

ალექსანდრე ლლონტი

# მ წ ა ვ ა ლ კ ა წ ი

ფილოლოგიური ეტიუდები

გამომცემლობა „ბანათლება“

თბილისი—1991

ნაშრომებში გაშუქებულია თანამედროვე ენათმეცნიერების, ქართული ენის სტრუქტურის, ლექსიკისა და ლექსიკოლოგიის, ტოპონიმიკისა და ფოლკლორის აქტუალური საკითხები, გამოვლენილი და გაანალიზებულია ახალი მასალები, შეფასებულია ახალი აკადემიური და სასწავლო გამოცემები, მათ ავტორთა თეორიული შეხედულებანი, მეცნიერული შემკვიდრება.

წიგნი განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა, ფილოლოგ სტუდენტთა, ქართული ფილოლოგიის პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რეცენზენტები: პროფ. ა. ჩაჩიბაია, დოც. ჭ. თევზაძე.

4306010200—050

Г—————ბრძ.—90

М—602 (08)—89

ISBN 5—505—01027—X

© ალ. დლონტი, 1991.

## წ ი ნ ა ს ი ტ უ მ ა

თუ ყოველ წიგნს თავისი ბიოგრაფია აქვს, „მრავალკარიც“ ამ რიგის წიგნია. უკანასკნელ წლებში დაწერილი და აქ თავმოყრილი ეტიუდები ქართული ენის, ენათმეცნიერების, ტოპონიმის, დიალექტოლოგიის, ფოლკლორისტიკის გვერდაუვლელ საკითხებს ეძღვნება და ერთ საერთო ღერძს ეყრდნობა. წიგნის მიზანია ფილოლოგიის კერძო და ზოგადი პრობლემათიკის გაშუქება მეცნიერების თანამედროვე მეთოდებით. ამ თვალსაზრისითაა შესწავლილი ზოგადი და ქართული ენათმეცნიერების საკითხები ილია ჭავჭავაძის მხატვრულ-ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში, შედარებისა და შეპირისპირების მეთოდთა გამოყენების ცდები ნიკო ჩუბინაშვილის გრამატიკულსა და ლექსიკოლოგიურ შრომებში, აკაკი შანიძის მწკრივის თეორია ენობრივი უნივერსალებისა და ტოპოლოგიის შუქზე, ქართველური თქმულებები უმცროს ძმაზე, ქართული ზღაპრის მოტივები „ათასერთლამიანში“ და ა. შ. აქ კარებად შემოტანილი ზოგი ნარკვევი სხვადასხვა დროს იყო გამოქვეყნებული შრომათა კრებულებში, სამეცნიერო და სალიტერატურო ორგანოებში, ჟურნალ-გაზეთებში, მეტი ნაწილი კი პირველად იბეჭდება, ოღონდ აღრე მოხსენებათა სახით იყო წაკითხული სამეცნიერო სესიებზე, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. ეს, კერძოდ, უნდა ითქვას ისეთ ნარკვევებზე, როგორცაა „შედარება და შეპირისპირება ნიკო ჩუბინაშვილის გრამატიკულსა და ლექსიკოლოგიურ შრომებში“, „ქართული ზღაპრის ერთი მოტივისათვის „ათასერთლამიანში“, „უკვდავ-უბერებელი წიგნი“ და სხვ. პირველადაა აღძრული რამდენიმე თეორიული პრობლემა და მწვავე საკითხებზე გამოთქმულია თავისებური შეხედულებანი. ჩემი აზრით, ილია ჭავჭავაძის მეცნიერული მემკვიდრეობა ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული. ირკვევა, მისი ნაზრევი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული და ზოგადი ენათმეცნიერების რთული პრობლემათიკის შესახებ სავსებით ასახავს ენათმეცნიერების განვითარების მაშინდელ დონეს და ავტორს ადგილს უძებნის შედარებითი ენათმეცნიერების ისტორიაში. მისი მოკრძალებული შენამატი ცოტა როდია. რაც შეეხება ნიკო ჩუბინაშვილის წვლილს შედარებითს კვლევა-ძიებაში, როგორც ჩანს, ისიც თვალსაჩინოა. მას შედარება და შეპირისპირება, როგორც ენათმეცნიერული

კვლევა-ძიების მეთოდები, გამოუყენებია ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ეს მეთოდები ყალიბდებოდა და მუშავდებოდა ახალი ლინგვისტური კონცეფციები. ამიტომ ნიკო ჩუბინაშვილი ჩვენ უნდა დავაყენოთ შედარებითი ენათმეცნიერების წინამორბედთა გვერდით. სამწუხაროდ, ამ საკითხზე ჯერ არავის უფიქრია. ავტორი ბედნიერი იქნება, თუკი აღძრული პრობლემა სპეციალისტთა დაინტერესებას გამოიწვევს.

ნარკვევები რამდენიმე ციკლად ჯგუფდება. თითოეულ ციკლს კი დამოუკიდებელი კარის ფუნქცია აკისრია. ამიტომ წიგნს მრავალკარი ვუწოდებ, სინონიმი მრავალთავის ან მრავალკარედისა.

წიგნში განხილულია ქართული ენის ისტორიის, ლექსიკის, ლექსიკოგრაფიის, ფოლკლორის ტრადიციული ჟანრების გენეზისის ცალკე საკითხები. გახსენებულია მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა მემკვიდრეობა, შეფასებულია ახალი წიგნები და გამოცემები. მოხმობილი ინფორმაცია განხილულია მეცნიერებისა და კულტურის განვითარების პერსპექტივის პლანით. „მრავალკარი“ იმ ტიპის წიგნია, როგორც ავტორის ადრინდელი „ფილოლოგიის ჩანაწერები“ იყო, შეიძლება ითქვას, მისი უშუალო გაგრძელებაა. წიგნი დახმარებას გაუწევს ქართული ფილოლოგიის პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველს, პირველ რიგში მასწავლებელს, მოსწავლეს, სტუდენტს წუთისოფლის, ბუნების, მეცნიერების უფრო გლობალურად შესწავლაში. წუთისოფელი, ბუნება სულ სხვა ასოებით დაწერილი დიდი წიგნია, მას ადამიანები კითხულობენ დაუსრულებლად, რადგან ის უსასრულობათა სამყაროს შეიცავს. ბუნების დიდი წიგნის წაკითხვის დამთავრება ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია ბუნების განვითარების შეჩერება. წუთისოფელს, მეცნიერებას დასაწყისი აქვს, დასასრული — არა. მეცნიერება გულისხმობს დაუსრულებელ, გლობალურ, დაძაბულ ძიებას ყველა დარგში. ავტორი და მკითხველი სხვადასხვა კალეიდოსკოპით ეცნობიან წიგნს, სხვადასხვა პარამეტრებით სწავლობენ და აფასებენ მას. ამ მიზანს ემსახურება „მრავალკარიც“ — მოკრძალებულ ეტიუდთა მცირე კრებული.

**ზოგადი და ქართული ენათმეცნიერების საკითხები**  
**ი. ჭავჭავაძის მხატვრულ-ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში**

1. ი. ჭავჭავაძის სახელთან მკიდროდ დაკავშირებულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება, რასაც მან მთელი სიცოცხლე შესწირა. ი. ჭავჭავაძე იყო XIX ს. მეორე ნახევრის დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწე, მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატი, მოაზროვნე-ფილოსოფოსი, შეუდარებელი პუბლიცისტი, ბრწყინვალე პოეტი და პროზაიკოსი, ქართული სალიტერატურო ორგანოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ერის სულიერი მამა. ნახევარი საუკუნის განმავლობაში მეთაურობდა ეროვნული მნიშვნელობის ყველა, პატარა თუ დიდ წამოწყებას. ფართო დიაპაზონის პატრიოტი მოღვაწის ღრმად ინტერნაციონალისტური საქმიანობა შემოქმედების ყველა დარგში გულწრფელი, მახლობელი, ეროვნული, ორიგინალური იყო. ქართველი ხალხის ცხოვრებასა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში ი. ჭავჭავაძემ ისეთივე და უფრო მეტი როლი შეასრულა, როგორც, ადრე, ა. ს. პუშკინმა — რუსი ხალხის ცხოვრებასა და ახალი რუსული სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში.

უმალღესი განათლება მან პეტერბურგის განთქმულ უნივერსიტეტში მიიღო. მართალია, იქ იურიდიულ მეცნიერებას ეუფლებოდა, მაგრამ პარალელურად ახლო კავშირი ჰქონდა აღმოსავლეთმცოდნეობისა და ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტებთან და მათ გამოჩენილ სპეციალისტებთან, გულდასმით ეცნობოდა იმდროინდელი თეორიული ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის მიღწევებს. აქ შეითვისა მან შედარებითი ენათმეცნიერების კვლევა-ძიების მეთოდები და შემოქმედებით გამოიყენა ენისა და ენათმეცნიერების საკითხებზე საკუთარი შეხედულებების გასამაგრებლად. ეს იყო XIX ს. 60-იანი წლები, როდესაც დასავლეთში უკვე ჩამოყალიბებული გახლდათ ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლები, ენის ფილოსოფია განვითარების მწვერვალს აღწევდა ვ. ჰუმბოლდტის მოძღვრებაში. ვ. ჰუმბოლდტის შრომების გაცნობამ მასზე, როგორც ჩანს, წარუხზოცელი შთაბეჭდილება მოახდინა. ი. ჭავ-

ჭავჭავაძის ლინგვისტური მოსაზრებების საყრდენი დებულება — „ხალხია ენის კანონის დამდები“ — შემუშავებულია სწორედ ვ. ჰუმბოლდტის იდეების შთაგონებით. ენა, ჰუმბოლდტის აზრით, არ არის ინდივიდუალური მოვლენა, არამედ ის მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხთან, საზოგადოებასთან და მისი პროდუქტია. „რა კუთხითაც უნდა შევხედოთ ინდივიდის ცხოვრებას, იგი აუცილებლად ადამიანებთან ურთიერთობას დაუკავშირდება“ (4,63); „ხალხი ენას ქმნის როგორც ადამიანური მოღვაწეობის იარაღს, შესაძლებლობას აძლევს მას, თავისუფლად განვითარდეს თავისი სიღრმეებიდან“ (4,68).

აზრი და ენა, ენა და აზროვნება მთლიანია. სიტყვა სიმბოლოა აზრისა ეს შეხედულება ი. ჭავჭავაძემ შეითვისა შედარებითი ენათმეცნიერების კორიფეთაგან და მტკიცედ იცავდა. მისი თვალსაზრისით, სიტყვა განასახიერებს საგანს იმ წარმოდგენების მიხედვით, რაც სუბიექტს ამ საგანზე აქვს. ამიტომ სიტყვა არ არის საგნის გრძნობა-წარმოდგენის ეკვივალენტი, არამედ აზრი, ხატი ამ საგნით გამოწვეული წარმოდგენისა. ი. ჭავჭავაძემ იმ შეხედულებაზე, რომელიც დამკვიდრებული იყო XIX ს. ენის ფილოსოფიაში, ააგო თავისი ორიგინალური თვალსაზრისი სიტყვის შინაფორმის შესახებ. ცნობილია, რომ ჰუმბოლდტის თეზისს „ენა არის აზრის წარმომშობი ორგანო“ თავისებური ხორცი შეასხა ჯერ კიდევ ა. პოტენიამ, რომლის თანახმად „მხოლოდ სიტყვაში აზრის ობიექტივიზირების შედეგადაა შესაძლებელი აზრის უმდაბლესი ფორმიდან ცნების ჩამოყალიბება“ (14,24); „ენა მხოლოდ საზოგადოებაში ვითარდება“ (14,25).

ი. ჭავჭავაძეს სწამდა, რომ ენის კანონის დამდები ხალხია და მისი მეტყველება უნდა იყოს საფუძველი სალიტერატურო ენისა: „ენა საღვთო რამ არის“; „სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა“ (18,35), „სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა“. მეცნიერულად დაასაბუთა ღრმად ფილოსოფიური დებულება: „ენას კანონსა თვითონვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“ (18,40), „ხალხია ენის კანონის დამდები“ (18,43) და არა ინდივიდუალური ან რაიმე თეორიული დოქტრინაო. ენა ყველა ელემენტითურთ, საკუთარივე სიტყვა, ი. ჭავჭავაძის აზრით, აერთებს ადამიანებს საზოგადოებად, უხილავს ხდის ხილულად. სიტყვისა და წინადადების მეშვეობით ენა აყალიბებს აზრს, ხატოვან სახეში განასახიერებს იდეას. თვით ხელოვნება არის სახეში განხორციელება იდეისა, აზრისა. „სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვია, რადგანაც სიტყვის საშუალებით და შემწეობით აღასრულებს ხელოვნების მნიშვნელობასა“ (18,30); „აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“ (18,38). სიტყვაში ავტორი ხედავდა როგორც გამოსახულების ხატს,

ისე გარეფორმას, ობიექტური სინამდვილის რეალიზებას. ამით ეხმაურებოდა მ. ვ. ლომონოსოვის ცნობილ თეზისს, რომელიც ასეა გამოთქმული: „იმ უკეთილშობილესი ნიჭიერებიდან, რითაც ადამიანი სხვა ცხოველებზე მაღლა დგას, ესე იგი ჩვენი მოქმედების მმართველით— გონებით, უპირველესი არის სიტყვა, რომელიც მას მოცემული აქვს თავისი აზრების სხვებისათვის გადასაცემად“ (9,394).

სიტყვის სემანტიკის რეალიზება წინადადებაში ი. ჭავჭავაძემ უკანასკნელის საკომუნიკაციო და სააზროვნო ფუნქციის გამოვლინებად მიიჩნია და ამის შესახებ თავისი ზოგადი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ენის ელემენტების ურთიერთკავშირის მოძღვრება ენათმეცნიერებაში ჩანასახის პერიოდში იმყოფებოდა. შემდეგ კი, როგორც ცნობილია, იგი მრავალი სხვადასხვა კონცეფციის ქვეკუთხედი გახდა. ი. ი. მეშჩანინოვი სამართლიანად ამბობდა: „სიტყვის სემანტიკა გარკვეულწილად მის სინტაქსურ როლს განაპირობებს წინადადებაში. სიტყვა წინადადებაში გამოიყენება ლექსიკური შინაარსის შესაბამისად“ (11,4). ი. ჭავჭავაძე მხარს უჭერდა იმ პოსტულატებს, რომლის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის აქტივიზაციის საშუალებად უნდა მივიჩნიოთ გრამატიკული ფორმებიცა და მნიშვნელობებიც, რამდენადაც სიტყვა, წინადადების წევრი, გამონათქვამის ბერკეტიცაა. აქტუალიზებული ლექსიკური ერთეულები წინადადებაში კანონზომიერად ლაგდება აზრის შესაქმნელად. ამიტომ ავტორის შეხედულებით, სამეტყველო აქტის, როგორც ენობრივი პროცესის, სტრუქტურისთვის მივყავართ ენის როგორც ზოგად გაგებასთან, ისე მისი სტრუქტურულ ელემენტთა დაშლისა და ცალკე სემენტთა ინტერპრეტაციის შესაძლებლობასთან. ყოველივე ამის შედეგად რამდენიმე ქვეაქტად დიფერენცირებული სამეტყველო აქტი იმისთანა პროცესადაა მიჩნეული, რომელშიაც ენის გამომსახველობის საშუალებები ბუნებრივად მქლავნდება და აღირიცხება. შედეგად კი წინადადება, გამონათქვამი მთლიანად ხასიათდება როგორც სამეტყველო ქმედება, რომელშიაც თავს იყრის ენის საკომუნიკაციო საშუალებები.

ა. შლაიხერის კონცეფციის გაცნობამ ინდოევროპული ენების წარმოშობა-გამრავლების შესახებ, როგორც ირკვევა, ი. ჭავჭავაძეზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და თავად მოსინჯა ზოგიერთი ქართული სიტყვის რეკონსტრუქცია ინდოევროპულ ენებთან შეპირისპირებით. აქ კარგად ჩანს ცოდნა კონკრეტული რეკონსტრუქციების მეთოდიკისა, იმ ხანად მკაფიოდ რომ იყო ჩამოყალიბებული შლაიხერის, პაულის, დელბრუკის, პოტენიასა და სხვ. ნაშრომებში. სანიმუშოდ და-

ვასახელებ აჩუა სიტყვის ავტორისეულ ეტიმოლოგიას. „ვსთქვათ, — ამბობს ის, — შეგვხვდა ქართული ბავშვური სიტყვა „აჩუა“, საიღამ არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა, რასაც ბავში ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში (ლაპარაკია ქართულ ენაზე, ა. ლ.) ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვი. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩხრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად acva, ზენდურად aspa, ლათინურად equus, ირლანდურად ech, ლიტვურად aszwa — ცხენსა ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური „აჩუა“ (19,32).

ეს საინტერესო მაგალითი დასახელებულია იმის მოწმედ, თუ შედარებითი მეთოდით როგორ შეიძლება სიტყვის რეკონსტრუქცია. იგი მარტო მონათესავე ენების მასალის მოხმობით არ დაკმაყოფილებულა: ინდოევროპულ ენათა მასალაში ჩართო ქართული სიტყვა, მოწმე ისტორიული კონტაქტებისა და არა გენეტიკური ნათესაობისა, და სამართლიანად დასძინა: „ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და საიღამ წარმომავალია ეს სიტყვა „აჩუა“, რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბავში ჰხმარობს, ან ბავშვისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ“ (19,32). ამისთანა მაგალითებიდან აჩქარებულ დასკვნას არ აკეთებს: „რა თქმა უნდა, ეს ამბავი, ასე ცალკედ, ასე ობლად და მარტოდ აღებული, იმოდენად არა არის რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით რაიმე გადაწყვეტილი აზრი შეადგინოს ან ერთა შთამომავლობასა და ნათესაობაზე, ან რაიმე მახლობლობაზე. ხოლო ყოველივე ამისთანა ამბავი, ცალკე თუ სხვებთან ერთად, ისტორიის მკვლევარისათვის ანგარიშგასაწევია იმდენად, რამდენადაც იგი ანიშნებს ზეგავლენას, დამოკიდებულებას ერთმანეთზე სხვადასხვა ერებისას, რომელნიც, რაკი ამისთანა საბუთია, უექველია, ერთმანეთს ოდესღაც შეჰხვედრიან ისტორიის გზაზედა ისე თუ ასე“ (19, 32—33). ავტორი ასევე ჩერდება რუს. МОЛОТ სიტყვის რეკონსტრუქციაზე სლავურ ენებში და მიუთითებს: „ერთგვარ ენების ჯგუფში ყველგან ეს თავდაპირველი ძირი სიტყვისა ისმის, ზოგან უცვლელად და ზოგან ცვლილებით, იმ მოქმედების აღსანიშნავად, რომელსაც „ფქვა“ ჰქვია. აქედამ წარმომდგარია თვით წისქვილის სახელიცაო ამ სხვადასხვა, ერთმანეთზე იმოდენად დაშორებულ ენებში, რომ ერთის მიერ მეორისაგან შემოღება რისამე საზოგადოდ და სიტყვისა ცალკედ ყოვლად შეუძლებელია ისტორიულის საბუთით კაცმა წარმოიდგინოსო“ (19,33).

ედუარდ ფრიმანის შრომის თანახმად, ავტორი სხვა უფრო ხელშესახებ მაგალითებს განიხილავს და შედარებითი ფილოლოგიის წარმატებებსა და თეორიულ პოსტულატებს უფრო მაღალ შეფასებას აძლევს. ბუნებრივია, ის რეკონსტრუქციის მყარ საფუძვლად უწინარეს



ყოველისა მონათესავე ენათა მასალას თვლის, მაგრამ, ამავე დროს, ყველა ფაქტს შედარებითი მეთოდის გამოყენებით მიღებული დასკვნებით არ ხსნის. მსგავსი მოვლენები „შედარებულ ერთა ნათესაობისა და ერთობის მომასწავებელი არ არის. იგი მარტო იმას გვაუწყებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავისი წარმატების გზაზედ, ერთნაირს შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთნაირად გადუხრია, ერთნაირად გაუტაცნია გონება“ (19, 35).

ამრიგად, ენისა და მისი სტრუქტურული ელემენტების გაგების საკითხში ი. ჭავჭავაძე გვერდში უდგას XIX ს. მეორე ნახევარს ენათმეცნიერების თეორეტიკოსებს და იცავს იმ შეხედულებებს, რომლებიც მეცნიერებაში იყო დამკვიდრებული. თავისი მსჯელობანი მრავალ ურთულეს საკითხზე შეუფარდა მისი დროის ენათმეცნიერებას. ენაში მომხდარი ცვლილებები მას ენის განვითარების კანონად მიაჩნია. „კაცის ენა,—წერდა ის,—კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც, ჩვენ, კაცნი, ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა“ (18,40). ამავე დროს ავტორი ხაზს უსვამს ამ ცვლილებათა ამპლიტუდასა და ხასიათს როგორც სინქრონიის, ისე დიაქრონიის პლანში. ეს მსჯელობა ეხმაურება ჰ. პაულის მოსაზრებებს. რომლებიც სწორედ 80-იან წლებშია გამოთქმული. გავიხსენოთ ჰ. პაულის სიტყვები: „ყოველგვარ ენობრივ ცვლილებას, მაშასადამე, ყოველგვარი დიალექტური თავისებურების წარმოქმნასაც, თავისი განსაკუთრებული ისტორია აქვს... მაგრამ სპონტანური ცვლილების ტენდენციებს შეიძლება ჰქონდეთ არსებითად განსხვავებული განაწილება, ურთიერთგავლენის საბოლოო შედეგი კი მასზეა დამოკიდებული“ (13, 62—63).

ი. ჭავჭავაძე გუმანით ზედება, რომ ქართული მასალა ზოგადი კონცეფციის საფუძველსაც იძლევა, ქართული ენის უძველეს ლექსიკასა და სტრუქტურაში გამოსკვივის ენათა ოდინდელი კონტაქტების ანარეკლი. ცალკე აღებული ერთეული ფაქტები ფართო განზოგადების შესაძლებლობას არ იძლევა, მაგრამ, როცა მსგავსი ფაქტობრივი მასალა ერთად თავს იყრის, მაშინ ამისთანა დასკვნის გამოტანას ის მხარს უჭერს. ავტორმა აწონ-დაწონა XIX ს. ენათმეცნიერების მიღწევები და ყოველმხრით მოიწონა ენათა კონტაქტების, დაახლოებისა და ნათესაობის შესახებ შედარებითს ენათმეცნიერებაში გამოთქმული თეორიული პოსტულატები. ცხადია, მას აქ რაიმე ახალი ლინგვისტური ტრაქტატები არ შეუქმნია, რომელთაც შევადარებდით რას-

კისა და გრიმის, ბოპისა და ჰუმბოლდტის, პოტისა და შლაიხერის გამოკვლევებს, მაგრამ მეტად რთულსა და მწვავე პრობლემებზე მისი კომპეტენტური მსჯელობა ნათლად მოწმობს, რომ ის საფუძვლიანად იცნობდა და, შესაძლებლობის ფარგლებში, პრაქტიკულად იყენებდა წედარებითი ენათმეცნიერების იმდროინდელ მიღწევებს, თვლიდა მათ პროგრესულად. ამის მიხედვით თავად აღწერა ქართული ენის მოდელი. რაც მთავარია, ენის განვითარებაში ხედავდა შინაგან ტენდენციებსა და კანონზომიერ რაოდენობრივსა და ხარისხობრივ ცვლილებებს: „ვგონებთ, თვალსაჩინოდ და სწრაფად უნდა იცვლებოდეს მარტო ჯერ არ-დადუღებული, არ-დასრულებული, არ-დამთავრებული ენა; როგორც ყველაფერი, რაც-კი ორგანებურ ზრდას ექვემდებარება. ბავშვი უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე დავაყვაცებული ადამიანი, ხოლო იგი ენები, რომელთაც უკვე მიუღწევიათ იქამდე, რომ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი მწიგნობრობა, უფრო ძლიერ უნდა ეურჩებოდნენ ცვლილებას, ესე იგი ახლის რისამე შემოსევას. რადგანაც ლიტერატურა, მწიგნობრობა, ანუ, როგორც ტეილორი ამბობს, სკოლის მასწავლებელი და სტამბა ძლიერ ინახვენ სიტყვებს და ერთხელ და ერთხელ დადგენილ ფორმებს. ველურთა ენა უფრო უღონო უნდა იყოს ამ შემთხვევაში. იგი უფრო ადვილად მოძრავია, რადგანაც ყოველ ცალკე თაობის ხელთ არის. მას მარტო საყოველთაო ლაპარაკი ინახავს და მარტო იგი შერჩება ხოლმე, რაც განუწყვეტლივ ხმარებაშია“ (19, 85—86).

2. ი. ჰავჭავაძე საფუძვლიანად იცნობდა შედარებით ფილოლოგიას და მას საუკუნის მეცნიერების უდიდეს მონაპოვრად თვლიდა. „ამ მეთოდმა, — წერდა ის, — სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც საცა საქირთა, ამ მეთოდს არა ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვედიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამოშვედა“ (19,30). შედარებითმა მეთოდმა იმისთანა გზა გაგვიჭრა, რომლის შემწეობითაც დღეს შესაძლოა მთლად და უექველად დავრწმუნდეთ იქ, სადაც უწინ ამოცანებითა და ეჭვით ლაპარაკი იყო. ავტორის კონცეფცია ფილოლოგიისა და ისტორიის კავშირის შესახებ საფუძვლად დაედო შესანიშნავ მონოგრაფიას („აი ისტორია“), რომელიც 1889 წ. დაიბეჭდა. ი. ჰავჭავაძეს ღრმად სჯეროდა, რომ ფილოლოგია და ისტორია მხარდამხარ დადიან, ერთმანეთს ჰშველიან, რადგან ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზევებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველი მისი თავგადასავლისა და ყოფაცხოვრების ცვალებადობისა (19,30). ე. ფრიმანთან ერთად ი. ჰავჭავაძე ფიქრობს, რომ შედარებითი ფილო-

ლოგია ისეთ მაგარ საფუძველს დაებჯინა, რომ ვერა ძალა ვერ შეარყევსო (19,31). ი. ჭავჭავაძის ღვაწლი შედარებითი ფილოლოგიის შეფასებისა და შედარებითი მეთოდის ისტორიულ-ფილოლოგიურ კვლევა-ძიებაში დანერგვის დარგში ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ფართოდაა გაშუქებული (7; 25, 7—51). მას განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა აკად. ი. ჭავჭავაძის (7, 14—15). ი. ჭავჭავაძის აზრით, ენის ლექსიკაზე დაკვირვება და შედარებითი ძიება საშუალებას გვაძლევს მიუდგომლად წარმოვადგინოთ ამ ენის მატარებელი ხალხის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპების, საცხოვრებელი ადგილებისა და ყოფის რეალიები. ამის საჩვენებლად ავტორმა მშვენივრად გამოიყენა ქართული ენის ლექსიკის უძველესი ნიმუშები: წყალობა, მიცვალება, მითხოვება. „განა ამისთანა სიტყვები, რომელიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მიწყალე, მოწყალეა?“ აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალობა“ ნატერისა და ვედრების საგნად გახდომია. ტიგროსისა და ევფრატის დაღმა აღარ ვიტყვი, მართო არმენია ავიდოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც „წყალობა“ მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ — კი არა მოჰყავს-რა. ან სიტყვა „მიცვალება“, „მიცვალებული“, რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარაობას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ გადასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია. ან ქალის „გათხოვება“, „მითხოვება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი სჭერია“ (19,91—92). დიდმა ისტორიკოსმა ი. ჭავჭავაძისმა სამართლიანად აღნიშნა: „მეტად საგულისხმოა ილ. ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, შედარებითს მეთოდთან ერთად, ლინგვისტური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაზე“ (7,14); „თუ რაოდენ საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით“ (7,14). ისტორიული პროცესის წარმოსახავად შედარებითი მეთოდი იმიტომ ჩათვალა უტყუარ საშუალებად, რომ „ენა როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს-ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოას-

წავებს ერთობას კულტურისას“ (19,30); ან კიდევ: „შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენიმე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა“ (19,31—32). შედარება „სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან სათავედამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისთვის კიბედ ვაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი გამოუჩენია“ (19,32). ამ მსჯელობას მოჰყვება რეზონული შეგონება: შედარებითი მეთოდი „სასწაულთმოქმედია და ბევრის რამის ამხსნელი და გამომრკვეველი“ (19,62).

შედარებითი მეთოდის შეფასებითა და პრაქტიკულად გამოყენებით ი. ჰავეჰავაძემ შეძლო ქართული ენის ზოგადი და კერძო ნიშანთვისებათა თავისებური მოდელირება და მკაცრი ანალიზი. მისი ადგილის განსაზღვრა ენათმეცნიერებაში, გრამატიკული წყობისა და ლექსიკის ახლებურად შეჯერება. ყოველივე ის, რაც მან ამ დარგში შექმნა (ენის როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალების, საზოგადოებრივი მოვლენის მართებულად განჰკრეტა, ქართული ზმნის ურთულესი ზოგადი ბუნების ამოცნობა და დახასიათება (ნახე ქვევით), ენის ცვალებადობის თეზისის აღიარება და დასაბუთება, ენის გრამატიკული აღწერისა და ლექსიკონის შედგენაზე მზრუნველობა, ცალკეულ ენობრივ ერთეულთა რეკონსტრუქციის ცდები და ა. შ.), მნიშვნელოვანი წვლილია მეცნიერებაში. აქ იგი ტრადიციის ერთგულიცაა და ნოვატორიც.

3. ი. ჰავეჰავაძეს ეკუთვნის მწყობრი შეხედულება მეტყველების ნაწილთა და მათი ფუნქციის შესახებ ქართულ ენაში, რომელიც შეიმუშავა XIX ს. ოთხმოციან წლებში არსებული ლინგვისტური ლიტერატურის საფუძველზე და ძირითადად ასახავს ზოგად ენათმეცნიერებაში იმხანად არსებულ ვითარებას. მეტყველების ნაწილებიდან ზმნა მან მიიჩნია ენის საფუძვლად, წინადადების კონსტრუქციის გვირგვინად. ი. ჰავეჰავაძე იყო პირველი ქართველი მოაზროვნე, რომელმაც სწორედ ამოიცნო და შეაფასა ქართული ზმნის არსი. ჩაწვდა მრავალვალენტოვანი ქართული ზმნის სემანტიკურსა და სტრუქტურულ საიდუმლოებას და შეძლო მისი უტყუერად ამოცნობა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის დიდებული იყო ცხოვრებაში და არა მეცნიერებაში. ქართული ზმნის არსი და კატეგორიათა სისტემა მეცნიერებისათვის გაცილებით გვიან გახდა ცნობილი, ვიდრე ი. ჰავეჰავაძე იტ-

ყოდა მათ შესახებ თავის სიტყვას, მხედველობაში მაქვს ნ. შარის „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“ (1908 წ.) და „ძველქართული ლიტერატურული ენის გრამატიკა“ (1925 წ.), ა. შანიძის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920 წ.) და „ქართული გრამატიკა“ (1930, 1953 წწ.), გ. დეეტერსის „Das kharthwelische Verbum“ (1930 წ.) და სხვ., რომელთაც ებოქა შექმნეს ქართული ენის შესწავლაში. ი. ჭავჭავაძემ ბევრად ადრე გონებით განჭვრიტა ბევრი რამ, რაც მოგვიანებით ლინგვისტურმა მეცნიერებამ ექსპერიმენტებით დასაბუთა.

ზმნას ავტორი სამართლიანად თვლის ენის ქვაკუთხედად, სულად და გულად. ამასთან, მან მშვენივრად იცის, რომ ყველა ენის მასალაზე ამ დებულების დასაბუთება შეუძლებელია. ი. ი. მეჩაიანიოვი სწორად მიუთითებდა: „განსხვავებული ენობრივი სისტემების შედარებისას არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ ზმნას სხვადასხვა ენაში მრავალფეროვანი გარეგნული ფორმის მიღება შეუძლია. ეს ფორმები მაშინაც კი არ ჰგვანან ერთმანეთს, როდესაც ერთსა და იმავე შინაარსს გადმოსცემენ“ (12,5).

ი. ჭავჭავაძეს ქართული ენა მიაჩნია ერთ-ერთ იმ ხანგრძლივი ისტორიის მქონე ენად, რომლის სულად და გულად სწორედ ზმნა ითვლება. 1889 წ. ის წერდა: „ალარაფერი განმარტება უნდა იმას, თუ რა დიდი ღირსება უნდა იყოს ენისა, როცა მრავალფერობა ზმნების ფორმებისა შესაძლოდა ჰხდის მოქმედებასა და მდგომარეობას საგნისას, ბევრ-გვარი გარემოება გამოუთქვამს სხვა სიტყვების დაუხმარებლად. არ ვიცი, სხვა რას იტყვის და ჩვენ კი გვჯერა, რომ მრავალფერად მიმოხვრა და, მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში გამოყენება იმ სიტყვისა, რომელიც სული და გულია მეტყველებისა, სიმდიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს. ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა ვერ წაუვა ჩვენს ენას. თუ, კარიერისა და ჰუმბოლდტისა არ იყოს, მეტყველების ღონე და ძლიერება ზმნა არის, მაშ, ქართული ენა ზედგამოჭრილი ყოფილა ამ ნათქვამზედა, იმიტომ რომ ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით ჰმეტყველებს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით“ (19, 88—89). ზმნა, ავტორის დასკვნით, გამონათქვამში აზრის გადმოცემის ძირითადი საშუალებაა, წინადადების ქვაკუთხედი, „იქ, — წერს ი. ჭავჭავაძე, — აზრი არამც თუ ცხადია, სადაც ზმნა აკლია, იქ თვით აზრიც არ არის, იმიტომ რომ სხვა სიტყვის ნაწილებს შორის მარტო ზმნა არის აზრის გამოხატველი. სადაც ზმნა არ არის, იქ ხომ წინადადებაც არ არი, მაშასადამე, არც აზრია, რადგან წინადადება გამოთქმაა აზრისა“ (18,52).

ავტორის უტყუარმა ალლომ სწორად განკვირება ქართული ზმნის აგებულების სპეციფიკური ნიშან-თვისებები. ამის მაუწყებელია უწინარეს ყოვლისა კომპეტენტური მსჯელობა ზმნის ბუნებისა და კატეგორიათა შესახებ. მან, კერძოდ, სწორად აღწერა და პროფესიულ დონეზე შეაფასა ქართული ზმნის კაუზატივის ფორმები. აღრინდელი ავტორები კი (ანტონ ბაგრატიონი, გაიოზ რექტორი, დ. ჩუბინაშვილი და ქართული ენის მომდევნო გრამატიკოსები) ასახელებდნენ მხოლოდ ფორმებს, მაგრამ გვერდს უვლიდნენ მათ კვალიფიკაციას. ანტონ ბაგრატიონმა (XVIII ს. შუა პერიოდი), კერძოდ, ვ ა ს მ ე ვ ი ნ ე ბ ტ ი ჰის ზმნური ფორმები დაასახელა მხოლოდ ლიტონად, და მათში გამოჰყო რა-ი ნ ე ბ სუფიქსი (ნაცვლად -ი ნ-ისა; -ე ბ სეგმენტი სხვა დანიშნულებისაა, ხოლო-ე ვ ი ნ სუფიქსს გვერდი აუარა), არც კი უცდია მოვლენის ახსნა (1,38). ასევე გაიოზ რექტორის (XVIII ს. მეორე ნახევარი) ნაშრომში ყოველგვარი კომენტარების გარეშე დასახელებულია ვ ა წ ე რ ი ნ ე ბ თ, ა წ ე რ ი ნ ე ბ თ, დ ა ვ ა წ ე რ ი ნ ო თ, დ ა ა წ ე რ ი ნ ო თ, დ ა ა წ ე რ ი ნ ო ს ფორმები (15, 96—97), მაგრამ მათი ანალიზი მოცემული არ არის, ძველ ავტორთა შორის ერთგვარი გამონაკლისი იყო ნ. ჩუბინაშვილი (XIX ს. ოციანი წლები), რომელიც კაუზატივის ფორმებს უფრო სიღრმისეულად განიხილავდა და -ი ნ ე ბ სუფიქსსაც შენიშვნებს ურთავდა (23,117). რამდენადმე ამ გზას ადგა დ. ჩუბინაშვილიც (22, XII). ეს იყო და ეს. კაუზატივის ფორმებს არც მომდევნო ეპოქის ქართველი გრამატიკოსები შეჰხებიათ (8,52). ი. ჭავჭავაძე იყო პირველი ავტორი, რომელმაც ცალკე აღწერა კაუზატივის ფორმები (Verba durativa) და ისინი ქართული ზმნის თვითყოფობის ერთ-ერთ მაჩვენებლად მიიჩნია და თავის დროისათვის მეტად საყურადღებო კვალიფიკაცია მისცა.

ვ ა კ ე თ ე ბ ი ნ ე ბ ტ ი ჰის ზმნებში ავტორი ხედავს სუბიექტურ პირსაც და შემსრულებლებსაც. «ვ ა კ ე თ ე ბ ი ნ ე ბ და ბევრი სხვა გარემოება, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — მოქმედებისა და მდგომარეობისა, არა გვეგონია სხვა ბევრმა ენამ გამოსთქვას ერთის ზმნით, სხვა სიტყვის დაუხმარებლად თუნდ, მაგალითებრ, ეს ქართული: „წავაღებინებ, წამოვაღებინებ, გადააზომინა, გადმოაზომინა და მებრვე სხვა“ (19,88). მოვლენა ოპტიმალურადაა ახსნილი, თანაც მას კანონზომიერი ადგილი ეძებნება ქართული ზმნის სტრუქტურაში. შემდეგდროინდელმა მეცნიერებმა სხვადასხვა ასპექტით განიხილეს კაუზატივის: პარადიგმები. ნ. მარმა, კერძოდ, -ი ნ, -ი ვ ი ნ სუფიქსიანი ნიმუშები ორმაგი გარდამავლობის ფორმებად ჩათვალია: ეს სუფიქსები „ფუძესთან შეერთებისას გარდაუვალ ზმნას გარდამავლად აქცევენ, ხოლო

თუ ისინი III ტიპის უღლების ზმნის ფუძეს დაერთვიან, გარდამავალ ზმნას გარდაქმნიან ორმაგ გარდამავლად“ (10,139). მაგალითებად დასახელებულია: 'ვ-ა-ბრწყ-ინ-ებ озаряю', заставляю блистать его//то 'ვ-ა-ცხადებ-ინ-ებ' заставляю его объявит, то, 'ვ-ა-ბტუნე-ბინ-ებ' 'Я побуждаю его заставить того пригаты', იმის გამო, რომ ზმნის ფორმაში სუბიექტთან ერთად გაჩნდა ორი ობიექტი: პირდაპირი და ირიბი. ბ. ტ. რუდენკო უფრო შორს წავიდა: „იძულებითი გვარის ფორმები არსებითად შეიძლება წარმოიქმნან მხოლოდ გარდამავალი ზმნებისაგან, რომლებიც ამრიგად ორმაგ გარდამავლად გვევლინებიან: მოქმედი (გამომწვევი) პირის მოქმედება ჯერ გადადის სხვა პირზე (ან საგანზე, ვთქვათ — მანქანაზე) — ვნებულზე, რომელსაც უკვე მოქმედება თვით ზემოქმედების ობიექტზე გადააქვს. ამ ობიექტებიდან პირველი ირიბია, მეორე — პირდაპირი“ (16,199). მაგრამ მოვლენას უფრო დამაჯერებელი ინტერპრეტაციაც ვერ მიეცა.

საკითხი მონოგრაფიულად შეისწავლა ა. შანიძემ და თავისი შეხედულება მასზე დაალაგა ჯერ კიდევ „ქართულ გრამატიკაში“ (1930 წ.), უწოდა მას კონტაქტის კატეგორია, ამავე დროს ამისთანა ფორმებში ორმაგი გარდამავლობის დანახვა საექვოდ მიიჩნია, მაწარმოებლად კი — ი ნ, -ე ვ და -ე ვ ი ნ სუფიქსები გამოყო (26,132—133; 27, 367—382). ქართული ზმნის კაუზატივის ფორმები თავისებური ასპექტებით აღწერეს გ. დეეტერსმა (5), ჰ. ფოგტმა (29), კ. ჩხენკელმა (24,334—342); ჰ. არონსონმა (2, 305—307), ზ. სარჯველაძემ (17, 473—474), ბ. გიგინეიშვილმა (3, 66—74) და სხვ. საინტერესო მოსაზრებანი და მსჯელობა აღძრული პრობლემის ირგვლივ ახლაც გრძელდება. ი. ჭავჭავაძის შეხედულება კაუზატივის ფორმების ადგილის შესახებ ქართული ზმნის სტრუქტურაში დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. ჩვენმა ავტორმა ქართულ კაუზატივში პირველმა დაინახა სხვა ენებისაგან განსხვავებული სპეციფიკა და ის ქართული ენის ერთ-ერთ ზოგად თავისებურებად მიიჩნია. ამ იდეის პრიორიტეტი, უეჭველია, ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

განუზომლად დიდია ი. ჭავჭავაძის დეაწლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის მოვლასა და ხალხში გავრცელების საქმეში. თანამედროვეობა მას სამართლიანად უწოდებდა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორს. ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას ქართულ სალიტერატურო ენაში ბატონობდა სამი სტილი: ძველი ანუ საეკლესიო, საშუალო ანუ დარბაისლური და სასაუბრო ანუ გლეხური. გაბატონებული პოზიცია პირველს ეკავა, ხოლო ხალხის სასაუბრო მეტყველება დავიწყებული იყო. საგულისხმოა იმის ხაზგასმა, რომ ჟურნ. „ცისკარში“, რომელიც XIX ს. ორმოც-

დაათიან წლებში გამოდიოდა, სამივე სტილი იყო მიღებული, მაგრამ მხატვრული ლიტერატურა იქმნებოდა მხოლოდ ე. წ. მაღალი, უაღრესად ხელოვნური, ლექსიკურ-გრამატიკული არქაიზმებით დამძიმებული სტილით, რაც ხალხისათვის ხელმიუწვდომელი და ძნელად გასაგები ვახლდათ (20,020—024; 21,10—16; 25,7—51). ი. ჭავჭავაძე გამოექომაკა სწორედ ხალხის მეტყველებას, სალიტერატურო ენის საფუძვლად აირჩია ის, ერთადერთი მისაღები და ოპტიმალურად გამართლებული, მეტყველება, რომელსაც ტრიბუნა წართმეული ჭკონდა და მხატვრულ ლიტერატურას, პუბლიცისტიკას, სკოლას ახლოს არ აკარებდნენ. ორიენტაცია ხალხის ერთიან სასაუბრო მეტყველებაზე, როგორც მთლიანობაზე, სავსებით გამართლებული აღმოჩნდა, რადგანაც ქართული სალიტერატურო ენის არსენალში მეტნაკლები დოზით შესული იყო მთლიანად ქართველი ხალხის ენობრივი პოტენციალი. სწორედ ამიტომ შეძლო ი. ჭავჭავაძემ თამამად გამოსვლა ბრძოლის ასპარეზზე და მთელი ქართველობის აყოლიება (27). საშვილიშვილო ბრძოლაში ის მარტო არ ყოფილა, გრძნობდა ერის პროგრესული ძალების საყოველთაო მხარდაჭერას. გვერდში ედგნენ XIX ს. მეორე ნახევრის გამოჩენილი ეროვნული მწერლები და მოღვაწენი (ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ვაჟა-ფშაველა და მათი მომდევნო თაობები). ი. ჭავჭავაძემ პრაქტიკულად უზრუნველყო სასაუბრო მეტყველების დამკვიდრება მწერლობაში, ერთიანი ორთოგრაფიის შემოღება. გაბატონებული სკოლასტიკის წინააღმდეგ გაბედულად გამოსვლა და ღრმა მეცნიერული კონცეფციის წამოყენება, შეიძლება ითქვას, მაშინ მდორე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთელ გადატრიალებას მოასწავებდა, სიმართლე სწორედ ი. ჭავჭავაძის მხარეზე იყო; გაუმკლავდა სკოლასტიკას და დემოკრატიული რადიკალიზმის დაცვით საშვილიშვილო სამსახური გაუწია ხალხს. მისი პრინციპული პოზიციის პროგრესულობა და მეცნიერული სისწორე ისტორიამ დაადასტურა. მოპოვებული გამარჯვება პროგრესის გამარჯვება იყო. ა. ჩიქობავა სამართლიანად ამბობდა: „ბრძოლაში ენისათვის ანტონის მიმდევართა წინამეცნიერულ და ანტიმეცნიერულ კონცეფციას უპირისპირდება ილიას მეცნიერული შეხედულება ენის რაობის, ენის კანონისა და ენის განვითარების შესახებ“ (21,14); „მეცნიერულად სწორი, საზოგადოებრივად პროგრესული, ისტორიული თვალსაზრისით საბუთიანი იყო ილია ჭავჭავაძის პოზიცია ამ ბრძოლაში“ (20,025). შ. ძიძიგურის აზრით, „ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ ხალხური მეტყველება გამოაცხადა სალიტერატურო ენის საყრდენად და ამით რადიკალურად დაუპირისპირდა ტრადიციულ თვალსაზრისს“ (6, 76—77).



ი. ჰავკავაძეს, რა თქმა უნდა, როგორც ითქვა, არც ერთი ენათმეცნიერული ტრაქტატი, არც ერთი ახალი გრამატიკული კატეგორია, არც ერთი ახალი ფონეტიკური თუ სტრუქტურული კანონი არ შეუქმნია და ენისათვის ძალად თავს არ მოუხვევია ისევე, როგორც მას არ უარუყვია ენაში მოქმედი არც ერთი გრამატიკული წესი თუ კანონი. მისი განუზომლად დიდი დამსახურება მშობელი ერის წინაშე, უწინარეს ყოვლისა, ის გახლავთ, რომ გამოექომაგა „არქაიკოსთა მიერ ჩაწინხულ“ სასაუბრო მეტყველებას, წარმეული ტრიბუნა დაუბრუნა იმ ენობრივ წესებსა და კანონებს, რომლებიც ხანგრძლივი განვითარების გზა-ჯვარედინებზე იყო შემუშავებული, მოქმედი, მაგრამ ავბედობის გამო, XVIII ს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული მთელი ათობით წლის განმავლობაში განდევნილი და დავიწყებას მიცემული. ორთოგრაფია გაამარტივა, ანბანიდან განდევნა არასაკირო ზედმეტი ასოები და ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლად ხალხური მეტყველების დამკვიდრებით დიდმა რეფორმატორმა ხალხს დაუბრუნა ხალხური ენა. ეს რულუნება ისტორიამ საკვებით გაამარფლა.

## ლიტერატურა

1. ანტონ I, ქართული ღრამბატია, თბ., 1885.
2. A r o n s o n H., Georgian a reading grammar, Chicago, 1982.
3. გიგინეიშვილი ბ., კუხატივის ფუნქციონალური სუფიქსი ზნნათა ერთ წყებასთან ძველ ქართულში, „მრავალთაი“, IX, თბ., 1981.
4. Г у м б о л ь д т В., Избранные труды по языкознанию, перевод с немецкого языка под редакцией и с предисловием Г. В. Рамишвили, М. 1984.
5. D o e t e r s G., Das Kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.
6. ძიძიგურაშვილი შ., ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974.
7. ჯაფარიშვილი ი., ილია ჰავკავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938.
8. ჯანაშვილი მ., ქართული გრამატიკა, თბ., 1906.
9. Л о м о н о в М. В., Российская грамматика, Соч., VII, М.-Л., 1952.
10. М а р р Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
11. Мещанинов И. И., Члены предложения и части речи, М.-Л., 1945.
12. Мещанинов И. И., Глагол, М.-Л., 1948.
13. Пауль Г., Принципы истории языка, перевод с немецкого языка под редакцией А. А. Холодовича, М., 1960.
14. Потення А., Мысли и язык, Харьков, 1913.
15. გაბოზ რექტორი, ქართული ღრამბატია, გამოც. ელ. ნიკოლაიშვილისა, თბ., 1970.
16. Руденко Б. Т., Грамматика грузинского языка, М.-Л., 1940.
17. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 2 აღ. ლონტი

თბ., 1964.

18. ჰავეჰავაძე ი., თხზულებანი, ტ. III, თბ., 1953.
  19. ჰავეჰავაძე ი., თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955.
  20. ჩიქობავა ა., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, I, თბ., 1950.
  21. ჩიქობავა ა., ილია ჰავეჰავაძე ენის შესახებ, თბ., 1938.
  22. ჩუბინოვი დ., ქართული ღრამატიკა, „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, პეტერბ., 1887.
  23. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.
  24. T s c h e n k è l i K., Einführung in die georgische Sprache, Zürich, 1958.
  25. შალამბერიძე გ., ილია ჰავეჰავაძის ენა, თბ., 1966.
  26. შანიძე ა., ქართული გრამატიკა, I, თბ., 1930.
  27. შანიძე ა., ილია ჰავეჰავაძე როგორც მებრძოლი ახალი ქართული სალატერატურო ქართული ენის დამკვიდრებისათვის, თბ., 1939.
  28. შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
  29. V o g t H., Grammaire de la langue géorgienne, Oslo, 1971.
- «Известия АН СССР, серия литературы и языка», т. 47, 2, М., 1988.  
с. 159—166.

## „შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ“

ამ სიტყვებით გამოეთხოვა აკაკი წერეთელი ვერაგი მტრის ხელით განგმირულ ერის მოციქულს და მისი წინასწარმეტყველება ახდა. ილია ჰავეჰავაძის საქმეები და ღვაწლი დღეს თავისთავად დაღადებენ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. ილიას ანდერძი სწვდება თითქმის ყველაფერს, რაც ხალხის მიერაა შექმნილი, რაც ეროვნული სულის განსახელებათ; სწვდება ჩვენს ისტორიასა და არქეოლოგიას, ლიტერატურისმცოდნეობასა და ენათმეცნიერებას, ფოლკლორსა და ეთნოგრაფიას, რუსთაველსა და ბარათაშვილს, პოეზიასა და პროზას, კულტურასა და მეცნიერებას, პურსა და ვაზს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს დღე-ენას, მის ლექსიკასა და სტრუქტურას. ილიამ ღრმად ჩაიხედა დღე-ენის ხელთუქმნელ საგანძურში და შთამომავლობას გაუმხილა სიმართლე მისი აუწონავი და დაუფასებელი სიმდიდრის შესახებ. სწორედ ეს არის მწერლის უდიდესი საქმეები და ღვაწლი, თავისთავად რომ დაღადებენ.

მცირე წერილში შეუძლებელია ილიას ქართულ ენასთან დამოკიდებულების საკითხის ამომწურავად გაშუქება, ან ჯერ ართქმულის თქმა მასზე.

ილია ქართული სალიტერატურო ენის არა მარტო ქომავი და ფხიზელი გუშაგია, არამედ კეშმარიტი გულთამხილველიცაა. იგი ჩვენში იყო პირველი ფართო დიაპაზონის მოაზროვნე, რომელიც ღრმად იცნობდა თავისდროინდელ ენის ფილოსოფიას და მის შესახებ ავტორიტეტულად მსჯელობდა. კარგად იცოდა ფასი და როლი ენისა ერის კულტურის განვითარებასა და საერთო ცივილიზაციაში. თავისი ზოგადი თვალსაზრისით ენის ფენომენზე, რაც განვითარებულია მის ლიტერატურულ-ფილოსოფიურსა და პუბლიცისტურ წერილებში, ილია გვერდში უდგას XIX ს. მეორე ნახევრის განმანათლებლებს, ენის ბუნებასა და ფილოსოფიას რომ იკვლევდნენ. ენა მან სიბრძნის ლაბორინთში შესასვლელ გასაღებად მიიჩნია. თუ კაცი ენის ბუნებას იცნობს, შეძლებს სინამდვილის საიდუმლოს ამოცნობას და წუთისოფლის ნაყოფიერ სამსახურსო: „ენა, — ამბობს ილია, — როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს — ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“ (თხზ., IV, გვ. 30). ერთობა ენისა, რაც კულტურის ერთობასაც გულისხმობს, კაცობრიობისათვის განუზომლად დიდი ღონეა და ამიტომაც ენათმეცნიერების თეორეტიკოსი, თუ მკვლევარი ცალკე ენისა, გრამატიკოსი, მისი აზრით, ერს დიდ სამსახურს გაუწევს, რომ წინ წაწიოს კულტურა და განუვითაროს აზროვნების ჰორიზონტი.

ილიამ XIX ს. მეორე ნახევარში ამ ამოსავალი პოზიციიდან კრიტიკული თვალთ შეხედა იმდროინდელი შედარებითი ენათმეცნიერების მიღწევებს და უალრესად მაღალი შეფასება მისცა მას. „აქედამა სჩანს, ენის გამოკვლევა რა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის და ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება, რა სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინადროთა აღსადგენად და საცნობელად. ეს ღონე გამოიჩინა ფილოლოგიამ უფრო მაშინ, როცა ადამიანის გონებამ მიაგნო ერთგვარს გზას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი“ ჰქვიან. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვიდალსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომზევდა“ (იქვე).

მწერალი დაკვირვებით ხვდება, რომ ქართული ენის მასალა ზოგადი კონცეფციის საფუძველსაც იძლევა, ქართული ენის ლექსიკასა და სტრუქტურაში გამოსჭვივის ენათა ოდესღანდელი კონტაქტების ანარეკლი. ცალკე აღებული ერთეული ფაქტები ფართო განზოგადების

შესაძლებლობას არ იძლევა, მაგრამ, როცა მსგავსი ფაქტობრივი მასალა ერთად თავს იყრის, მაშინ ასეთი დასკვნების გამოტანას ის მხარს უჭერს.

ილიამ აწონ-დაწონა XIX საუკუნის მეცნიერების ეს მიღწევები და მოიწონა ენათა კონტაქტების, დაახლოებისა და ნათესაობის შესახებ შედარებითს ენათმეცნიერებაში გამოთქმული თეორიული პოსტულატები. ცხადია, მწერალს აქ არ შეუქმნია რაიმე ახალი ლინგვისტური ტრაქტატები, რომელთაც შევაწამებდით რასკისა და გრიმის, ბოპისა და ჰუმბოლტის, პოტისა და შლაიხერის გამოკვლევებს, მაგრამ მეტად რთულსა და მწვავე პრობლემებზე მისი კომპეტენტური მსჯელობა ნათლად მოწმობს, რომ ის საფუძვლიანად იცნობდა და, შესაძლებლობის ფარგლებში, პრაქტიკულად იყენებდა შედარებითი ენათმეცნიერების იმდროინდელ მიღწევებს, თვლიდა მათ პროგრესულად, აქტიურად ეხმარებოდა ინდოევროპულ ენათა და ინდოევროპელ ხალხთა მდგომარეობის შესახებ ამ მეცნიერების მიერ გაშუქებულ საკითხებს, რომლებიც მაშინ საყოველთაო ინტერესის საგანს წარმოადგენდნენ (დაწვრილებით ზემოთ).

ენის ფენომენში ილია ხედავს განვითარების შინაგან ტენდენციებსა და კანონზომიერ რაოდენობრივსა და ხარისხობრივ ცვლილებებს. გონებამახვილურად მიუთითებს იგი: „ვეგონებთ, თვალსაჩინოდ და სწრაფად უნდა იცვლებოდეს მარტო ჯერ არ-დადუღებული, არ-დასრულებული, არ-დამთავრებული ენა, როგორც ყველაფერი, რაც-კი ორგანებურ ზრდას ექვემდებარება. ბავში უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე დავაყვაცებული ადამიანი, ხოლო იგი ენები, რომელთაც უკვე მიუღწევიათ იქამდე, რომ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი მწიგნობრობა, უფრო ძლიერ უნდა ეურჩებოდნენ ცვლილებას, ესე იგი ახლის რისამე შემოსევას, რადგანაც ლიტერატურა, მწიგნობრობა, ანუ, როგორც ტეილორი ამბობს, სკოლის მასწავლებელი და სტამბა ძლიერ ინახავენ სიტყვებს და ერთხელ... დადგენილ ფორმებს. ველურთა ენა უფრო უღონო უნდა იყოს ამ შემთხვევაში. იგი უფრო ადვილად მოძრავია, რადგანაც ყოველ ცალკე თაობის ხელთ არის. მას მარტო საყოველღეო ლაპარაკი ინახავს და მარტო იგი შერჩება ხოლმე, რაც განუწყვეტლივ ხმარებაშია. ამისთანა ყოფაში ენა მარტო ყურის ანაბარად არის დაგდებული. ხან ვერც მთქმელი იტყვის სიტყვას რიგიანად, ხან ვერც მსმენელი დაიხსომებს გაგონილს უცვლელად და ამიტომაც სიტყვა გადიცვლება ხოლმე ზოგჯერ იმდენადაც, რომ ვერც კი აღადგენს კაცი მის პირველყოფილ სახეს“ (იქვე, გვ. 85—86: ვრცლად ზემოთ).

ის ცალკე განიხილავს და მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენს უნიკალურ ანბანს, რომელიც „ქართული ენის დიდი წარმატების“ ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად მიაჩნია: „თუ ენის წარმატებას რაიმე დამოკიდებულება აქვს ანბანის მეტნაკლებობაზედ, რა თქმა უნდა, სავსეობა და სისრულე ანბანისა უეჭველი ნიშანი უნდა იყოს ენის წარმატებისა და განვითარებისა“ (იქვე, გვ. 81); ქართული ანბანი სრულყოფილია და მსოფლიოში მას ბადალი ცოტა მოეპოვებაო.

ქართული ენის შინაგანი სტრუქტურის ღრმად ცოდნამ და ჩინებულმა ინტუიციამ ილიას საშუალება მისცა, სწორად განეჭვრიტა ჩვენი ენის თითქმის ყველა ძირითადი ელემენტი და მტკიცედ დაეცვა მათი სიწმინდე. უწინარეს ყოვლისა, მან შეიცნო ქართული ზმნის რთული ფენომენი და პროფესიულად წარმოაჩინა მისი თვითმყოფი სტრუქტურა. ილია იყო პირველი ქართველი მოაზროვნე, რომელმაც შეძლო მრავალვალენტოვანი ქართული ზმნის ბუნების საიდუმლოს უტყუვრად ამოცნობა ჭერ კიდევ მაშინ, როდესაც ის დიდებული იყო პრაქტიკულ ცხოვრებაში და არა მეცნიერებაში. ქართული ზმნის სამყარო და კატეგორიათა სისტემა მეცნიერებისათვის გაცილებით გვიან გახდა ცნობილი, ვიდრე ილია იტყოდა მათ შესახებ თავის სიტყვას. მხედველობაში მაქვს ნ. მარის „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“ (1908 წ.), ა. შანიძის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920 წ.) და „ქართული გრამატიკა“ (1930 წ.), გ. დეეტერსის „ქართველური ზმნა“ (1930 წ.) და სხვ., რომელთაც ეპოქა შექმნეს ქართული ენის შესწავლაში. ილიამ ბევრად ადრე გონებით განკვრიტა ის, რაც მოგვიანებით მეცნიერებამ დაასაბუთა (ნ. ზემოთ.).

ზმნას ილია სამართლიანად თვლის ენის ქვაკუთხედად, სულად და გულად. ზმნის სიუხვე ქართული ენის უპირველესი ღირსებააო. ყანგმოდებელია მისი დებულებები: „ალარაფერი განმარტება უნდა იმას, თუ რა დიდი ღირსება უნდა იყოს ენისა, როცა მრავალფერობა ზმნების ფორმებისა შესაძლოდა ჰხდის მოქმედებასა და მდგომარეობას საგნისას, რომ ბევრგვარი გარემოება გამოუთქვამს სიტყვების დაუხმარებლად. არ ვიცი, სხვა რას იტყვის და ჩვენ კი გვჯერა, რომ მრავალფერად მიმოხვრა და, მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში გამოყენება იმ სიტყვისა, რომელიც სული და გულია მეტყველებისა, სიმდიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს. ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას. თუ, კარიერისა და ჰუმბოლტისა არ იყოს, მეტყველების ღონე და ძლიერება ზმნა არის, მაშ, ქართული ენა ზედგამოჭრილი ყოფილა ამ ნათქვამზედ, იმიტომ რომ

ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით ჰმეტყველებს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით“ (იქვე, გვ. 88—89).

რუსთაველის ენის მხატვრული ძალა და მაღალი ღირსება ილიამ ზმნური ფორმების სიუხვესა და ნაირფეროვნებაში დაინახა: „მოვიყვანთ რუსთაველს, რომლის ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვეს ზმნების ხმარებისას წარმოგვიდგენს. დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, რომ დედა-ძარღვს ჩვენის ჰმეტყველებისას ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უმტყუნა“ (იქვე).

სავსებით მართებულად აღნიშნავს მწერალი ჩვენი ენის იმ დიდ-მნიშვნელოვან თავისებურებას, რომ მას შეუძლია ბრუნება არამართო სახელისა, არამედ მეტყველების ყველა ნაწილისა, მათ შორის, ბრუნება ზმნისა, ზმნიზედისა, მთელი ფრაზისაც-კი და ეს გარემოება მას ქართული ბრუნების უნივერსალურ ღირსებად მიაჩნია.

ილიას ზოგადი კონცეფცია ენისა და, საკუთრივ, ქართული ენის ბუნებისა და თვისებათა შესახებ რეალიზებულთა მის მხატვრულ თხზულებებში. იგი ლალი გამგრძელებელია იმ ტრადიციებისა, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში შოთა რუსთაველმა და მოსე ხონელმა, „ქართლის ცხოვრების“ ავტორებმა და „ვისრამიანის“ მთარგმნელმა, საბა ორბელიანმა, დავით გურამიშვილმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაამკვიდრეს. „ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება ისაა, — ამბობს შ. ძიძიგური, — რომ ხალხური მეტყველება გამოაცხადა სალიტერატურო ენის საყრდენად და ამით რადიკალურად დაუპირისპირდა ტრადიციულ თვალსაზრისს“ („ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974, გვ. 76—77). ილიამ მწერლობაში კარი გაუღო მანამდის დავიწყებულ სასაუბრო მეტყველებას.

ილ. ჭავჭავაძემ, როგორც ვიცით, შეასრულა ისტორიული მისია, ჯერ თეორიულად დაასაბუთა ხელოვნური ენის უვარგისობა, შემდეგ კი პრაქტიკულად უზრუნველყო სასაუბრო ენის დამკვიდრება მწერლობაში. ილია თამამად გამოვიდა ბრძოლის ველზე, გაბედულად დაუპირისპირდა „ოფიციალურ სამწერლო ენას“, რომელსაც „ცისკარი“ და მის ირგვლივ შემოკრებილი „არქაიკოსთა ჯგუფი“ თავგამოდებით იცავდა; ამ საშვილიშვილო საქმეში მას მთელი თერგდალეულობა აპყვა. ა. ჩიქობავა სამართლიანად ამბობდა: „მეცნიერულად სწორი, საზოგადოებრივად პროგრესული, ისტორიული თვალსაზრისით საბუთიანი იყო ილია ჭავჭავაძის პოზიცია ამ ბრძოლაში“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, I, თბ., 1950, გვ. 025).

ილიამ „აღასრულა თავისი ვალი“ ერის წინაშე. ამიტომ უწოდეს მას ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორი. ილიას, რა თქმა უნდა, არც ერთი ახალი გრამატიკული კატეგორია, არც ერთი ფონე-

ტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური კანონი არ შეუქმნია და ენისათვის ძალად თავს არ მოუხვევია. მისი უდიდესი დამსახურება ერის წინაშე ის არის, რომ გამოექომაგა „არქაიკოსთა მიერ ჩაწიხლულ“ სასაუბრო ენას და წარმეული ტრიბუნა დაუბრუნა იმ წესებსა და კანონებს, რომლებიც ხანგრძლივი განვითარების გზა-ჯვარედინებზე იყო შემუშავებული, მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული განდევნილი და დავიწყებას მიცემული. ილიას რუღუნება ისტორიამ სავსებით გაამართლა.

ილიას ღვაწლი ენის ზოგადი ბუნებისა და საკუთრივ ქართული ენის განვითარების ტენდენციების დადგენაში ფართოდაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში. კერძოდ, ამ საკითხებს ეძღვნება ა. შანიძის ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე, როგორც მეგრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“ (1939 წ.), ა. ჩიქობავას — „ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“ (1938 წ.), ვ. ბერიძის — „ილია ჭავჭავაძე — ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელი და დამკველი“ (1957 წ.), შ. ძიძიგურის — „ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა“ (1965 წ.), გ. შალამბერიძის — „ილია ჭავჭავაძის ენა“ (1966 წ.), ი. ქავთარაძის — „ილიას ქართული“ (1957 წ.) და სხვ. ამის გამო ხსენებულ პრობლემაზე საუბრის გაგრძელება საჭირო აღარ არის. მაგრამ ერთ გარემოებას მაინც უნდა გაესვას ხაზი.

მოსაზრებანი სასაუბრო ენის თავის უფლებებში აღდგენის საკითხზე ჩვენს მეცნიერებაში ადრეც გამოთქმულა, მაგრამ გამოთქმულა გაუბედავად. ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე, რომელსაც ეს გარემოება და ქართული ანბანის „ზედმეტი ასოებისაგან განტვირთვის“ აუცილებლობა აწუხებდა, იყო ნიკო ჩუბინაშვილი (1790—1845). ის ჩვენი სალიტერატურო ენის განვითარებაში იცავდა არა ანტონის, არამედ ს.-ს. ორბელიანის პოზიციას. მან სალიტერატურო ენას მოხსნა ანტონის მიერ შემორტყმული არქაულობის მძიმე ჯავშანი და ხალხურ ენას დაუთმო ასპარეზი. ხალხური ენის საყრდენებს ეფუძნება მისი ცნობილი „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ (1815—1825) და თეორიული ტრაქტატი, ამ ლექსიკონს შესავლის სახით რომ ერთვის. ნ. ჩუბინაშვილი იცავდა სალიტერატურო ენის ორთოგრაფიის რეფორმის იდეას, მოითხოვდა ჩვენი ანბანის გამარტივებას არასაჭირო ასო-ნიშნების ამოღების გზით. სამწუხაროდ, ამ იდეის განხორციელებას მაშინ წინ მრავალი დაბრკოლება ელობებოდა და ვერც განხორციელდა. შთამომავლობისათვის ავტორის ნაშრომიც კი უცნობი დარჩა (გამოიცა 1961 წ.). მხოლოდ ილიამ შეძლო ამ იდეის გამარჯვებით დაგვირგვინება: „მესამოცე წლებში გაჩაღებული ბრძოლა ახალი ქართულისათვის ობიექტურად იყო ბრძოლა არა ახალი ენის შექმნისა-

თვის, არამედ შექმნილისა და უკვე არსებულის გამოყენებისათვის ლიტერატურაში“ (ა. ჩიქობავა, „ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“, თბ., 1938, გვ. 7).

ილიას გამოსვლა ხალხის სასაუბრო ენის დასაცავად შეამზადა იმ პირობებში, რომლებიც დიდი გარდატეხის მიჯნაზე აღმოცენდა. ეს მძიმე ეპოქა იყო. დაქროლა ახალმა სიომ, მაგრამ საკმარისი არ იყო ერთეულ მოღვაწეთა მხოლოდ წუხილი. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენი იმდროინდელი სამწერლო ენისა და წერის ნაყოფიანებათა გამო გამოთქმული წუხილი ოხერის იქით არ მიდიოდა, რადიკალიზმი კი საოცნებოდ რჩებოდა.

ილიას ამხედრება ენის დემოკრატიზაციის დასაცავად, ხალხური ენის გამოქონება და ორთოგრაფიის რეფორმის რეალობად ქცევა კანონზომიერი მოვლენა იყო. ამოსავალი გახდა თეზისი: „ხალხია ენის კანონის დამდებო“. ილიას გაბედულმა გამოსვლამ მთელი ერის სული შეძრა და ააფორიაქა, მწვანე ზუქი მისცა ახალ შეხედულებებს, დიდი მოვლენების საწყისად რომ შეიქმნა. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხური ენის ლიტერატურაში დამკვიდრების მოთხოვნა სრულიად არ ნიშნავდა ერთი რომელიმე დიალექტის, ან დიალექტთა ჯგუფის, წინ წამოწევას და სხვების მასზე უფლებიერ დაქვემდებარებას. ილიამ კარგად იცოდა, რომ ხალხური ენა არ უდრიდა დიალექტურ მეტყველებათა უბრალო ჯამს, არც „ქალაქურ ჟარგონს“, რომელიც იმ პერიოდში ასე იყო მოდებული თბილისსა და ზოგიერთ სხვა რეგიონში. ხალხური ენის ცნებაში ილია გულისხმობდა საზოგადოების ყველა ფენისათვის გასაგებ და ხელმისაწვდომ, ბუნებრივ მეტყველებას, საერთო ლექსიკასა და დახვეწილ, არა ხელოვნურ, გრამატიკულ წყობას. ილიამ კარგად იცოდა, რომ ყველაფერი ის, რაც მწიგნობრობის საშუალებით ვრცელდებოდა, ლიტერატურული არ იყო, ხალხური ენაც ისეთი ფენომენი არ ყოფილა, რომ ერთბაშად სრულყოფილ სალიტერატურო ენად გამოცხადებულყო. ამიტომ მან დასაბამი დაუდო ამ ენის აღდგენასა და შევსებას ყოველივე იმით, რაც ხალხის და სუფთა, ძვირფასი და სასარგებლოა ჭეშმარიტი ხალხური ენის განვითარებისათვის. მისაღები არ არის შეხედულება, თითქოს ახალი ქართული სალიტერატურო ენა ეფუძნებოდეს ერთი რეგიონის, მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველოს ბარის მეტყველებას. არა; ისტორიული და ფაქტობრივი ვითარება ამ დებულებას არ ამართლებს. პირიქით. ახალი ქართული სალიტერატურო ენა დაფუძნებულია არა მარტო ერთ კუთხურ მეტყველებაზე, არამედ სამწერლო ენის მრავალსაუკუნოვან ტრადიციაზე, მეტნაკლებად ყველა კილოს, ბარი-



სა და მთის რეგიონების, მესხურის, ქართლურის, კახურის, თუშ-ფშავე-ხევსურულის, მოხეურის, გუდამაყრულის, იმერულის, გურულის, რაჭულ-ლეჩხუმურის, აჭარულის, ყველა იმ მასულდგმულზელ, ქართველი ხალხის ერთიან სასაუბრო მეტყველებაზე, როგორც მთლიანობაზე, ერთიანი სალიტერატურო ენის არსენალში მეტნაკლები დოზით შესულია მთლიანად ქართველი ხალხის ენობრივი პოტენციალი, საერთო ენობრივი ნორმები, სოფლურიცა და ქალაქურიც. ეს არის სწორედ ილიას ქართული, აკაკის ქართული, ვაჟას ქართული, ერთად შედნობილი ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსთა ქართული, რომელიც შთამომავლობამ გაამდიდრა ლექსიკური საგანძურით და რომელსაც მოეპოვება მოქნილი, დახვეწილი სტრუქტურა, ერთიანი გრამატიკული ფორმები. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა კანონზომიერი გაგრძელებაა დიდი ტრადიციებისა. ამისათვის იბრძოდა ილია და ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ეს უნდა შივიჩნით ილიას უდიდეს დამსახურებად ქართველი ერისა და ქართული ენის წინაშე. ილია აქ ტრადიციის ერთგულიცაა და ნოვატორიც.

იმ ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, თითქოს ქართულ სალიტერატურო ენას. ასაზრდოებს ერთი რეგიონის მეტყველება, შეგვიძლია: ვკითხოთ: განა შეეძლო ილიას, რომელიც სინამდვილეს ფართო ფანჯრიდან უცქეროდა, ასე ვიწრო ჭუჭრუტანიდან შეეხედა ქართული სალიტერატურო ენის საყრდენების, მაგისტრალებისა და პოტენციალისათვის? სად მოხვდებოდა მაშინ აკაკის ქართული ან ვაჟას ქართული? მაშინ ილიასთან ერთად ერთიან სალიტერატურო ენას კი არ შეავსებდნენ, არამედ ერთურთს დაუპირისპირდებოდნენ იაკობ გოგებაშვილისა და გიორგი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილისა და შიო არაგვისპირელის, დავით კლდიაშვილისა და თედო რაზიკაშვილის, რაფიელ ერისთავისა და დუტუშ მეგრელის, ნიკო ლომოურისა და ბაჩანას, ეკატერინე გაბაშვილისა და ნინო ნაკაშიძის, მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას, ვალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის, სანდრო შანშიაშვილისა და დემნა შენგელაიას ენობრივი მემკვიდრეობა, რაც არ მომხდარა და არც შეიძლება მომხდარიყო.

მხატვრული სიტყვის ამ კოლორიტულ ოსტატებს ბევრი რამ, თანაც სრულიად არსებითი, აქვთ შემოტანილი ქართულ სამწერლო ენაში. აქ ორი აზრი არ არსებობს. მართალია, ყველაფერი ის, რაც მათ თხზულებებში გვხვდება, ლიტერატურულად არ მიიჩნევა, სამწერლო ენა და სალიტერატურო ენაც ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ქართული სალიტერატურო ენა მაინც მათი თხზულებებით სულდგმულობს, აქაა დაბუდრებული, ჩამოყალიბებული და ჩვენს წინაშე გადმო-

შლილი. ჩვენ არ გვყოლია მწერალი, რომელსაც თავისი თხზულებები მხოლოდ ერთ დიალექტზე გაეფორმებინა. პირიქით. ჩვენი მწერლობა მუდამ მტკიცედ იცავდა ერთიანი სალიტერატურო ქართულის განვითარების გენერალურ ხაზს. ცალკეულ მწერალთა ქმნილებებში, თვით ილიას ნაწერებშიც, ბუნებრივია, მეტნაკლებად გამოსჭვივის დიალექტური მასალა, რომლის ერთი ნაწილი სალიტერატურო ენის საკუთრებად იქცა, მეორე ნაწილი კი დიალექტიზმებად დარჩა. ეს კანონზომიერიცაა.

ერთი დიალექტი ან მცირე რეგიონის დიალექტთა ჯგუფის მეტყველება დასაწყისში შეიძლება სათავედ დაედოს სამწერლო ენას, ამის ფაქტები კარგად იცის ენათმეცნიერების ისტორიამ, მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. მეორე მხარე კი ის გახლავთ, რომ საერთო სალიტერატურო ენის განვითარება დიალექტთა ერთობლივი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ცალკე დიალექტების აყვანა საერთო ენის რანგში კი დაარღვევს ენის ერთობას, როგორც ერის საფუძველთა საფუძველს. დიალექტი კუთხური განშტოებაა ენისა და თანდათანობით ერწყმის მას. დიალექტთა უნიფიკაციის პროცესი, რაც ადრეა დაწყებული, ნიშანდობლივია ჩვენი საზოგადოებისათვისაც, ოღონდ იგი, უნდა ვიფიქროთ, მეტად ხანგრძლივი იქნება და ადრე არ დასრულდება. ენის ისტორია გვეუბნება, რომ დიალექტი იყო და კვლავ დიდხანს დარჩება ენის, უპირატესად მისი ლექსიკის, გამდიდრების უშრეტ წყაროდ.

ამასთან ერთად ცნობილია, რომ ქართული სალიტერატურო ენა ისტორიულად არ შემოზღუდულა მხოლოდ ერთი სამეტყველო რეგიონით და მუდამ ივსებოდა კილო-თქმათა შემონატანით; საზრდოობდა მთელი ხალხის საერთო სასაუბრო მეტყველების ლექსიკურ-გრამატიკული საგანძურით და არა ერთი კუთხის მასალით. ილია კარგად ხედავდა ამ ბუნებრივ პროცესს და ხელს უწყობდა სასიკეთო ტენდენციების ინტენსიურად განვითარებას, თავისი დიდი წვლილი შეჰქონდა მასში.

ჩვენი წინაპრების აზრით, ძველ ქართულს იმიტომ მოაკლდა მომხმარებელი, რომ ის, როგორც სამწერლო ენა, აღარ ივსებოდა დიალექტური ინოვაციებით, გაჩერდა ერთ წერტილზე, ხოლო ენის სიცოცხლისა და განვითარების ქვაკუთხედად დიალექტები იყო მიჩნეული. აი, როგორ იცავდა ამ შეხედულებას, კერძოდ, გ. გორისელი (ე. წერეთელი) თავის ნაშრომში „ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“, რომელიც 1872 წ. გამოქვეყნდა „კრებულში“ (№ 7, გვ. 1-48) და ასახავდა მეცნიერების განვითარების მაშინდელ დონეს, ეხ-

მაურებოდა ილიას მიერ 60-იანი წლების დასაწყისში გამოთქმულ აზრებს. „როგორც ზღვა მდინარეებით და ხევეებით ირთავს ახალ წყალს, — ამბობდა გ. გორისელი, — ისე ლიტერატურული ენა ნიადაგ უნდა სარგებლობდეს ყველა თემის კილოთი და ამ სახით ლიტერატურულ ენას ყოველთვის კავშირი უნდა ჰქონდეს თავის დიალექტებთან, მუდამ ითვისებდეს იმისგან ახალს გამოთქმებს, სიტყვებს და ლექსთა წყობას“ (იქვე, გვ. 41); როდესაც „დიალექტებისაგან აღარ იძენს ეს ლიტერატურული ენა ახალ-ახალ სიტყვებს, — დასძენს ავტორი, — დგება ერთ დონეზე“; „ძველი ენა ჩვენი ძალიან შემუშავებული ენაა, მაგრამ იმაზე აღარავინ ლაპარაკობს. ეს ენა აღრიდანვე აღარ აქცევდა ყურადღებას სხვადასხვა თემების სიტყვიერებას, არ სარგებლობდა იმ დიალექტებით, რომლითაც ლაპარაკობდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, ჭავჭავთვიში“; „ახლა არსდება ახალი ენა, რომელშიაც შერთულია ყველა მაზრის კილო, ე. ი. ქართლის კილოც, კახეთისა და იმერეთისაცა. აი ეს ენა ყველას ესმის და ჩქარაც იზრდება; როდესაც ლიტერატურულად კარგად შემუშავდება ეს ახალი ენა (ლაპარაკია ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბება-გავრცელებაზე, ა. ლ.) ის არასოდეს არ უნდა დაეცილოთ ჩვენს სათემო კილოებს ანუ დიალექტებს, თუ რომ გვინდა, მუდამ ცოცხალი ლიტერატურული ენა გვქონდეს და ისე არ მოკვდეს, როგორც ძველი ლიტერატურული ენა მოკვდა“ (იქვე, გვ. 39—41).

ეგვემ შეხედულება მოგვიანებით კიდევ უფრო მკაფიოდ განავითარა მ. ჭანაშვილმა. „ქართულ ენად, — სამართლიანად ამბობდა მ. ჭანაშვილი, — ჩვენ მიგვაჩნია, ჯამი იმ სიტყვიერ და სამეტყველო საუნჯისა, რომელიც, დროთა განმავლობაში, შეუქმნია და შეუმუშავებია არა ქართლელს ანუ კახელს, არა იმერელს ანუ მესხს, არა სვანს ანუ მეგრელს, არა აჭარა-კლარჯელს ანუ ჭანს, არამედ მთელს ქართველობას, ქართველთა გვარტომს“. „ვინც არ იცის ქართული მის წარსულსა და აწმყოში, არსება, პირობანი და კანონები მისი და მისი კილოკავეებისა, მას ვეჭობთ, ესმოდეთ შევნიერება იმ დიად მეტყველებისა, რომელიც არის საეროვნო, საგვარტომო ენა, გადაშლილი და გადაფურცენილი მრავალ ტოტებად“. „კილოკავეების უგულვებელყოფა, კარჩაკეტილობა მათ შესწავლაში მავნებელია იმ მხრივაც, რომ სწორედ ამ კილოკავეებში, ვით ხელუხლებელს სალაროში, შენახულა მრავალი, ძველისძველთაგანვე ქართველებისაგან შეძენილი, სიტყვიერი საუნჯე, რომელიც საჭიროა გამოშვედეს და მიემატოს საერთო ქართულს, გაუერთიანდეს სრულიად საქართველოს სამწერლო-საეროვნო ენას“ („ქართული გრამატიკა“, თბ., 1906, წინასიტყვაობა, გვ. 1-2).

ერის უპირველესი ნიშანი ერთიანი ენაა და არა მისი ერთი რომელიმე რეგიონის კუთხური მეტყველება. კუთხური მეტყველება, კილო-თქმები კი არ თიშავენ, არამედ, როგორც ითქვა, ამდიდრებენ და ავსებენ ერთიან ენას. ქართული ენის ისტორია გვეუბნება, რომ ეს პროცესი ერთნაირად ვითარდებოდა წარსულის გზაჯვარედინებზე და მრავალი სკოლის, სალიტერატურო ცენტრების აღმოცენებისა და მიმართულებების, მწერლობაში სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა შემოსვლის, ფეოდალური დაქუცმაცების მიუხედავად, ენობრივი ერთიანობა არასოდეს დარღვეულა, ხოლო თუ ეს სკოლები და ცენტრები თავიანთ სიახლეებს ან ადგილობრივ მასალას შემოუმატებდნენ ხოლმე ენას, ეს ე. წ. დიალექტური შრეები კიდევ უფრო ამაკრებდნენ ერთიანი ენის საყრდენებს. ამდიდრებდნენ მის ელემენტებს, ლექსიკას, ხვეწდნენ გრამატიკულ წყობას. ყველაზე მკაფიოდ ეს იგრძნობოდა გაერთიანებული საქართველოს, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის ეპოქაში, როცა, დიდი ეროვნული მოღვაწის ხელმძღვანელობით, თურქ-სელჯუკთაგან ქვეყნის გათავისუფლებისა და ერთიანი სამეფოს განპტიკების შედეგად, უდიდესი ასპარეზი მიეცა ერთიან ქართულ სალიტერატურო ენას, რომლის გვირგვინი XII საუკუნეში შოთა რუსთაველის უქკნობი „ვეფხისტყაოსანი“ გახდა.

სულ სხვა ვითარება გვაქვს ამჟამად. თანამედროვე ქართული ენის ქვაკუთხედს დღეს შეადგენს არა ხალხურ კილო-თქმათა სამყარო თავისი წინანდელი მდგომარეობის მიხედვით, არამედ თბილისის წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივების, მუშების, ინტელიგენციის (იგულისხმება მეცნიერების, კულტურის, მწერლობის, თეატრის, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს, გამომცემლობების, მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოთა მუშაკების) უკანასკნელ ხანებში აღმოცენებული სასაუბრო მეტყველება, მთელი ქართველი ერის ყველა სოციალური ფენის საერთო ენა, რომელიც სულ უფრო და უფრო საგრძნობი ძალა ხდება. მასში, ბუნებრივია, თვალსაჩინო როლს ასრულებს ყველა ქართული კილო-თქმის შემონატანი. ამ ენობრივი ფენომენისათვის ნიადაგი თანდათანობით მზადდებოდა, მაგრამ დიდი სამამულო ომის შემდეგ მომხდარმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ძვრებმა, განსაკუთრებით ურბანიზაციის პროცესის მოძალებამ და რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, გამოუკლებლივ ყველა დიალექტური რეგიონიდან ტალღებად წამოსული მოსახლეობის კონცენტრაციამ თბილისში, უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში, ქალაქური (თბილისური) მეტყველება უფრო რეალურ ენობრივ მთლიანობად გამო-

კვეთა. თბილისურში ამჟამად შედუღაბებულია აღმოსავლური და დასავლური ხალხური დიალექტების ბგერათწარმოთქმის, სიტყვისა და წინადადების ინტონაციის, აქცენტუაციის, ლექსიკის, რამდენადმე უნიფიცირებული გრამატიკული წყობის ერთიანი ნორმები. სხვადასხვა კილო-თქმაზე მოლაპარაკე მოსახლეობის თავმოყრამ თბილისში, ერთობლივად, ხშირად ერთჟერქვეშ თანაცხოვრებამ და მჭიდრო ურთიერთობამ სათავე დაუდო დიალექტთა შედუღაბებას. დიალექტთა ინტეგრაციის ეს რთული (ამავე დროს მეტად ხანგრძლივი) პროცესი ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს. მას ხელს უწყობს ხალხის სოციალურ ყოფასა და სულიერ ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხები, რასაც შეუძლებელია თავისი რეალური ასახვა არ ეპოვნა როგორც სასაუბრო, ისე ლიტერატურულ მეტყველებაში, და იპოვნა კიდევ. ეს გარემოება შეუძმნევლად არ დარჩენილა. აქა-იქ, როგორც მეცნიერთა, ისე მწერალთა, კულტურის მოღვაწეთა წრეებში ამის შესახებ გაისმის საუბარი, მაგრამ მწვავე პრობლემა ენათმეცნიერული თვალსაზრისით ჭერ-ჭერობით აწონილ-დაწონილი მაინც არ არის, მისი მოვლა-განვითარების გზების განმარტავადებელი დასკვნები, რომლებიც ემპირიული მასალის შეჯერების საფუძველზე იქნებოდა მიღებული, სამწუხაროდ, არა გვაქვს.

ხალხური ენის დამკვიდრებას მწერლობაში, სკოლაში, ყოფაში ილიამ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა. ამ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდნენ ილიას თაოსნობით შექმნილი ორგანოები, „საქართველოს მოამბე“, „ივერია“, გამოცემები, ხოლო ილიას მუდამ გვერდში ედგა აკაკი. მათ გენერალურ ხაზს იცავდნენ თერგდალეულები, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრები, სკოლები. ეს პრობლემა ფართოდაა გაშუქებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ თემაზე ცნობილია ი. მეუნარგიას, ივ. ჯავახიშვილის, კ. აბაშიძის, არჩ. ჭორჭაძის, ს. გორგაძის, ა. შანიძის, პ. ინგოროყვას, ს. ხუნდაძის, მ. ზანდუკელის, ვ. კოტეტიშვილის, გ. ჯიბლაძის, ა. ჩიქობავას, ვ. ბერიძის, ი. ქავთარაძის, შ. ძიძიგურის, ვ. თოფურიას, გ. შალამბერიძის, ა. მახარაძისა და მეცნიერთა მთელი მომდევნო თაობების წარმომადგენელთა მონოგრაფიები და გამოკვლევები. ჩემი ეს მცირე წერილიც ამ ნაშრომებსა და პირად დაკვირვებებს ეყრდნობა.

ილიას სწამდა, რომ ენის კანონის დამდები ხალხია და მისი მეტყველება უნდა იყოს საფუძველი სალიტერატურო ენისა; „ენა საღვთო რამ არისო“; „სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისაო“. ენა, სიტყვა, ილიას აზრით, აკავშირებს ადამიანებს, უხილავს ხდის ხილულად; სიტყვისა და წინადადების მეშვეობით ენა აყა-

ლიბებს აზრს, ხატოვან სახეში განახორციელებს იდეას. კერძოდ, „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებს ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა. სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვია, რადგანაც სიტყვის საშუალებით და შემწეობით აღასრულებს ხელოვნების მნიშვნელობას“ (თხზ., III, გვ. 30); „სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა“ (იქვე, გვ. 35). უკეთესად თქმა ძნელია! სიტყვა მიჩნეულია აზრის სამოსლად, სიტყვა აზრიაო. „სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე არსად არ გამიგია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“ (იქვე, გვ. 38). ილიამ ასოცი წლის წინათ იქადაგა ენისა და აზრის მთლიანობის იდეა და ზმნა მიიჩნია გამონათქვამში აზრის გადმოცემის ძირითად საშუალებად. დღესაც შენარჩუნებული აქვს ელვარება ილიას ამ მსჯელობას: „იქ აზრი არამც თუ ცხადია, სადაც ზმნა აკლია, იქ თვით აზრიც არ არის, იმიტომ რომ სხვათა სიტყვის ნაწილებს შორის მართო ზმნა არის აზრის გამომხატველი. სადაც ზმნა არ არის, იქ ხომ წინადადებაც არ არი, მაშასადამე, არც აზრია, რადგან წინადადება გადმოცემაა აზრისა“ (იქვე, გვ. 52).

ილიას უტყუარმა ალლომ იმთავითვე სწორად განჰკვირტა ქართული ენის გრამატიკული აგებულების სპეციფიკური ნიშნები. ჩანს, საფუძვლიანად იცოდა ქართული გრამატიკა. გრამატიკული კატეგორიების ღრმად ცოდნის მაუწყებელია ილიას კომპეტენტური მსჯელობა ქართული ზმნის ბუნებისა და კატეგორიათა შესახებ. მან სწორედ გამოჰყო და ახსნა კაუზატივის სპეციფიკური ფორმები: წავალებინებ, წამოვალეზინებ, გადააზომვინა, გადმოაზომვინა და მისთ., რომლებშიაც მისმა მახვილმა თვალმა სამი პირის გამოხატვაც შეინიშნა, გამოყო სუბიექტური და შემსრულებელი პირები. ცნობილია, რომ შემდეგ ასეთი ფორმები საგანგებოდ შეისწავლა ა. შანიძემ და მათ კონტაქტის კატეგორია უწოდა. დიდ მწერალს სხვა გრამატიკული პროცესებიც პროფესიულად აქვს განხილული და თითოეული მათგანი დახასიათებულია გრამატიკის ცოდნით. ა. შანიძე სამართლიანად ამბობდა: „ილიას რომ მოენდომებინა, უთუოდ კარგ გრამატიკასაც დაგვიწერდაო“ (დასახ. ნაშრ., გვ. 11).

ილია ხმალამოწვდილი იცავდა დედაენის სახელს, სიწმინდესა და ღირსებას. ხალხის სახელით გამოდიოდა და გზას უღობავდა იმ „უნი-

კო მწერლებს“, რომლებიც „თავიანთი ნაჯღაბნით“ ანაგვიანებდნენ: ენას. ცნობილია, თუ როგორ სასტიკად დაგმო მან რევავ ერისთავის თარგმანის „უენო ენა“ და შთამომავლობას მოუწოდა დედაენის დაცვისაკენ. „მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს, რადგანაც იგინი თავის ბლაჯნით ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდან ფეხს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას ვთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისათვის!“ (იქვე, გვ. 37).

აფორიზმებადაა ქცეული ილიას შეგონებანი, რომლებითაც შეაუთხა მან მამების პოზიცია მამათა და შვილთა ცნობილი პოლემიკის დროს: „მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის — მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა, მაგრამა გმობა, ენისა მტრობა ბრალად ვის დავდვათ, ჩვენა თუ თქვენა?“... „ენა მდიდარი, თქვენს ხელში მკვდარი, ჩვენ მიგვილია გასაცოცხლებლად“...

დიდი მოციქულის აღსარება დღესაც მაღალი სამრეკლოდან გვესმის. შთამომავლობამ ილიას სიტყვები თავის საბრძოლო დროშას ლოზუნგად დააწერა. ამჟამად ლიტერატურის საქმე, დედაენის მოვლა და სიწმინდის დაცვა მთელი საზოგადოების, სახელმწიფოს მზრუნველობის საგნადაა აღიარებული. დედაენის შესწავლა, მისი ასპარეზის ყველა რგოლში სათუთად მოვლა ჩვენი უწმინდესი მოვალეობაა. თანამედროვეობა ღირსეულად ასრულებს წინასწარმეტყველის ანდერძს.

ილია სამწერლო მოღვაწეობის დაწყებისთანავე შეუდგა სალიტერატურო ენის შეგნებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რის აუცილებლობასაც გარდუვლად მოითხოვდა ცხოვრების პროგრესი, საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული განვითარება. მისი მხატვრული, ფილოსოფიური, პუბლიცისტური თხზულებები სავესეა ცოცხალი სიტყვებითა და გამოთქმებით, ხალხური იერის მიხედვით შედგენილი ნეოლოგიზმებით, ცნება-ტერმინებით, საყოველთაო გავრცელების ინტერნაციონალური ლექსიკის ნიმუშებით. ილიამ გაამდიდრა ჩვენი სალიტერატურო ენის ლექსიკური საგანძური, შექმნა არა მარტო ლიტერატურისათვის, არამედ ცოდნის მრავალი დარგისათვის საჭირო ტერმინები. ა. შანიძე სამართლიანად ამბობდა: „ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს დღეს, რომ ჩვენ მიერ ხმარებული მრავალი სიტყვა და გამოთქმა პირველად ილიას მიერ არის მოპოვებული და უშუალოდ თუ შუალობით, ამ დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნაწერებიდან მომდინარეობს“ (დასახ. ნაშრ., გვ. 2).

სატერმინოლოგიო მუშაობაში ილია ემყარებოდა სამ ძირითად წანამძღვარს:

ა. ახალი ცნების ეკვივალენტს ის, უწინარეს ყოვლისა, ეძებდა სალიტერატურო ენის ძეგლებსა და ხალხურ მეტყველებაში. ამ გზით შექმნა მრავალი ტერმინი, რომელიც სწრაფად გავრცელდა. რუსული ეკონომიკური ტერმინის ტოვარ-ის შესატყვისად 1882 წ. („შინაური მიმოხილვა“) პირველად იხმარა საქონელი და ცნობილ სიტყვას მისცა სრულიად ახალი, დამატებითი მნიშვნელობა. ტერმინი დამკვიდრდა ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში. რუს. ბესპორიადოკ-ს შეუფარდა არეულობა და აშლილობა, მანამდის ამ სიტყვებს მხოლოდ ერთი მნიშვნელობით ვიცნობდით. ილიას მიერაა შემოღებული განთავისუფლება, მეთაური (გაზეთის მეთაური წერილი), გამოჯარება (გამოქვადანება), შუამდგომელი, თვითმყოფელი, გაერთება, პირახდილი, საროდო, სადღეისო, ვინაობა, შინაობა, მაშინდელიობა და ა. შ., რომელთა შესახებაც პოპულარულ სახელმძღვანელობებშიცაა საუბარი.

ბ. იმ ცნებათა აღსანიშნავად, უშუალო შესატყვისი ლექსიკის ტრადიციულსა და ხალხურ ფონდებში რომ არ მოიძებნებოდა, ილია, სიტყვათწარმოქმნის წესების შესაბამისად, ქმნიდა ნეოლოგიზმებს და უნარჩუნებდა მათ ხალხურ ბუნებრივობას. სა-ო: სახერხო, საკეთილო, სამწეო, საცალკეო, საგრამატიკო... სა-ე: სალაღე, საგანძე, სი-ე: სიმძულვარე, სინამეტნე... სა-ურ: საქებური, საკვებური... მე-ე: მექომაგე, მეთეორიე... უ-ო: უსარგებლო, უმხნეო... უ-არ: უწუნარი, უჩრ-მარი... მ-ელ: მჭერელი, გადმომკეთელი... როგორც ცნობილია, ილიასეული კომპოზიტებია: თვითმმართველობა, გულუშიშარი, შეთოფიარალება, აღებმიცემობა, ზედამხედაობა, ზედმოყოლება, გულმონდობილი, გულსაკლავი, გულშესატკივარი, პირუთვნელი, ხელქვეითი, კარშეკეტილობა და ა. შ. ასევე პირველად მის მიერაა ნახმარი: მიმართულება, მოხელე, ცილება, სამმართველო, წოდება, ღირებულება, ეროვნება, უწინდებური, სმენილი, სალაღე და მრავალი სხვა.

გ. რუსული ენის მეშვეობით მწერალმა პირველად იხმარა თავის პუბლიცისტურ წერილებში ათობით უცხოური წარმოშობის ინტერნაციონალური გავრცელების სიტყვა, რომელთა შესატყვისი ქართულს არ მოეპოვებოდა: ლათ. მაიორატი (უფროსი ვაჟიშვილის შემკვიდრობის უფლება), ინგლ. მიტინგი („კრება, ანუ ყრილობა ერისა“), ლათ. ფეოდი (მიწათმფლობელობა), ლათ. ორიგინალური (დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფი). ბერძნ. კრიტიკა (განხილვა ღირსებისა და ხაკლის ჩვენებით), ფრანგ. კომპლიმენტი (ქათინაური), იტალ. კვარტეტი (ოთხი მომღერალი), ბერძნ. ესთეტიკა (მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების ფორმათა შესახებ), ბერძნ. დრამატიზმი (მოქმედების



დაძაბულობა) და მისთ. ილია მხარს უჭერდა ინტერნაციონალური ლექსიკის გავრცელებას, მას დედაენის ლექსიკის გამდიდრებად მიიჩნევდა.

დიდი მწერალი არა მარტო ამდიდრებდა სალიტერატურო ენის ლექსიკას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, არამედ ზრუნავდა ქართული ენის ლექსიკონის შედგენაზეც. საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ თავად დაუწყია მასალების შეკრება ქართულ-რუსული და ქართულ-სვანური ლექსიკონებისათვის. არქივში დაცული საამისო ფრაგმენტები პირველად შ. ძიძიგურმა გამოაქვეყნა.

ილიამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მშობელ ხალხს. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ-გრამატიკული არსენალის პირველი ამოუწყვეტი წყარო სწორედ მისი მხატვრულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობაა, რომლითაც მთელი ხალხი ეუფლება დედაენას. ილიას ტკბილქართული ჩვენი დედაენის ზეიშია ლიტერატურაში, მასზე აღიზარდა, იზრდებოდა და კვლავაც აღიზრდება ბედნიერი შთამომავლობა.

1987 წ.

## ძველი ქართული ლექსიკიდან

(მ ა რ ჯ უ ლ, მ ა რ ც ხ უ ლ)

ძველ ქართულში გვქონდა ანტონიმური წყვილი: მ ა რ ჯ უ ლ და მ ა რ ც ხ ლ//მ ა რ ც ხ უ ლ. X—XI სს. ძეგლებში მათ ჩვეულებრივ ვხვდებით. საბას ლექსიკონში კი დამოწმებულია მხოლოდ მ ა რ ჯ უ ლ და მ ა რ ც ხ უ ლ, ისიც ლიტონად.

ა) მ ა რ ჯ უ ლ: „წინასწარ ვჰხედვედ უფალსა წინაშე ჩემსა მარადის, რამეთუ მ ა რ ჯ უ ლ ჩემსა არს, რათა არა შევიძრა“ (ფსალმ., 15,7); „მოგუეც ჩვენ, რადთა დავსხდეთ მ ა რ ჯ უ ლ შენსა“ (მარკ., 10,37, აღიშ.); „გამოეცხადა მას ანგლოზი უფლისა, მდგომარე მ ა რ ჯ უ ლ საკურთხეველისა“ (ლუკა, 1, 11, აღიშ.); „სდევით-ღა მ ა რ ჯ უ ლ კერძო ნავისა მაგის სათრომელი ეგე“ (იოვანე, 21,6, აღიშ.). მ ა რ ჯ უ ლ მარჯვნივ (საბა); „მარჯვენით, მარჯუნივ, მარჯვენას მხარეს, одесную, на правой стороне“ (ნ. ჩუბინაშვილი, 10, 270); მარჯვნივ, მარჯვნივ (დ. ჩუბინაშვილი, 9, 676). ილ. აბულაძეს მ ა რ ჯ უ ლ ნოვაციაც აქვს დადასტურებული: „უფროდს მ ა რ ჯ უ ლ და მარცხნ განჰმარტე იგი“ (1, 210—220).

ბ) 1. მ ა რ ც ხ ლ: „დავსხდეთ მარჯულ შენსა და მ ა რ ც ხ ლ დიდებასა შენსა“ (მარკ., 10,37, აღიშ.); „მაშინ დაიდგინნა იგინი მარ-

ჯოჯულ და მარცხლ“ (კიმენი, I, კ. კეკელიძის რედ., თბ., 1918, 47,31); „ვაჰოეცხადნეს მოსე და ელია, მდგომარენი მარჯულ და მარცხლ“ (1, 219).

2. მარცხულ: ძველ ქართულ ტექსტებში ჩვეულებრივ იკითხება მარცხლ, მაგრამ მარცხულ ინოვაციაც ხშირად გვხვდება; XVIII ს. ძეგლებში კი უფრო მარცხულ იკითხება: „მიმოდრიგულნა იესუ მარჯულ და მარცხულ ბაგინსა მას შინა“ (მოციქ. აპოკრიფ., 1066—1068 წწ., S 353, A 130, 26, 36); „არღარა მიდრევილ ვართ მარცხულ გინა მარჯულ“ (გიორგი მცირე, ცხ. გ. მთაწმიდ., ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901, 332, 5)<sup>1</sup>; „არა გარდაქციო შენ მათგან მარჯულ, არცა-ღა მარცხულ, რათა გულისხმა-ჰყო ყოველი“ (ისო ნავ., მცხეთური ხელნაწერი, ელ. დოჩანაშვილის გამოც., თბ., 1981, 1,7, გვ. 419); „მარჯულ და მარცხულ არ მიმიხედავს და არცა ერთისათვის არ მივიკერძავს“ (საქ. სიძვ., I, თბ., 1909, 203, 25); „ოდესცა სემინარია-სა შინა შემობრძანდა, მაშინ მარჯულ და მარცხულ თითო-თითო მოახსენეს მიმოგდებით“ (დავით რექტორის ანდერძი, 1791 წ., S 1735, 165,1); „მარჯულ და მარცხულ უდგენ ამათ გერმანო-ზისშვილი გიორგი და ყორჩიბაშისშვილი ქაიხოსრო“ (3, 83, 24); „არ მიმდრეკს მარჯულ მარცხულ ნებასა“ (6, 76, 26); „ესე ადგილსა დანიშნავს და სახენი სადაობისა შესემნანი არიან განყოფილებისა ადგილსა: ზემო, ქუემო, მარჯულ, მარცხულ, წინაით, უკანაით“ (საბა, ლექსიკ., სადა სიტყვასთან და ცალკე). ეგვვე ვათარება ბიბლიის წიგნების ბაქარისეულ გამოცემასშიც (მოსკოვი, 1743): „წე ვამცნებ დღეს მარჯულ არცა მარცხულ“ (2 სჯულ., 28,14); „არა გარდაქციოთ მისგან მარჯულ ანუ მარცხულ“ (ისუ ნავ., 23.6); „არა მიაქცია არცა მარჯულ ანუ მარცხულ“ (2 ნეშტ., 34,2)....

მარცხულ მარცხნით (საბა); „მარცხნივ, მარცხენას მხარეს, ошуюю, налево, или по левой стороне“ (ნ. ჩუბინაშვილი, 10,269); „მარცხენა მხარეს, влево, налево“ (დ. ჩუბინაშვილი, 9,676); „Лево, влево, налево, მარცხულ, მარცხნით“ (ნ. ჩუბინაშვილი, 11,487). საბას, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში, როგორც ითქვა, მარცხულ წაკითხვა დამოწმებულია წყაროს უჩვენებლად, ლი-

<sup>1</sup> ძეგლის ტექსტის ახალი გამოცემის მომზადებელს, ც. ქურციკიძეს, მარცხულ წაკითხვა მარცხლ-ად შეუცვლია, ხოლო ხელნაწერისეული მარცხულ სქოლიოში ჩაუტანია (12, 178, 24).

ტონად. ახალ ქართულს ეს ლექსემები აღარ გადმოჰყოლია. ამიტომ ბუნებრივია, თანამედროვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არც ერთი მათგანი (არც მარჯულ, არც მარცხლ//მარცხულ) შეტანილი არ არის. თუ ამ ფუძეებს ძირეულად მივიჩნევდით, აქ წარმოქმნილსაც არ უნდა დასთმობოდა ადგილი, მაგრამ ფაქტობრივად გვაქვს: მ ე მ ა რ ჯ უ ლ ე, მ ე მ ა რ ც ხ უ ლ ე, რომლებიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დადასტურებულია ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა მიხედვით.

ილ. ჭავჭავაძეს ეს სიტყვები, მართლაც, ნახმარი აქვს 1886 წ. 18 იანვარს გამოქვეყნებულ ერთ სტატიაში („პოლიაკების განდევნა პრუსიიდან“) პოლიტიკური პარტიების მოქმედების მიმართულებათა დასახასიათებლად — მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე და მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ფრთათა ფარდად. „ბისმარკის მოსარჩლედ გამოვიდა დებუტატი ჰელდორფი, — ამბობს ილია, — დიდხანს ილაპარაკა პოლონობის და გერმანიის ისტორიულს ბრძოლაზე და მით გაათავა სიტყვა, რომ ბისმარკი იძულებული იყო გარემოებათა ძალდატანებით ეს მოეხდინაო. მ ე მ ა რ ჯ უ ლ ე თ ა დიდის ტაშისკვრით მიიღეს ეს სიტყვა და მ ე მ ა რ ც ხ უ ლ ე თ ა კი ხმამაღლა პროტესტი გამოაცხადეს“ (13, 241).

შემდეგ ეს სიტყვები, რამდენადაც ვიცი, აღარავის ვაუშეორებია. ილიამაც პოლიტიკურ ტერმინებად გამოიყენა მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ს ა და მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ს მნიშვნელობით. საფუძვლად აიღო ასევე წარმოქმნილი ფუძეები მ ა რ ჯ უ ლ და სასაუბრო ენაში გავრცელებული მ ა რ ც ხ უ ლ (და არა ლიტ. მარცხლ). დიდმა მწერალმა კარგად იცოდა, რომ ძველ ქართულში მ ა რ ჯ უ ლ და მ ა რ ც ხ ლ იყო რეალიზებული, რადგან მისთვის ახლობელი გახლდათ ბიბლიის წიგნების უძველესი თარგმანები. ამიტომ მ ა რ ც ხ უ ლ ინოვაციის აღება ძველი ქართულის ძეგლებიდან არ შეეძლო, ის, უნდა ვიფიქროთ, რომ ილიას თხზულებაში გადმოვიდა ან საბასა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებიდან, ან ბიბლიის ბაქარისეული გამოცემიდან. აქედან ჩანს ნასესხები არა ორმაგსართიანი, არამედ მხოლოდ სუფიქსიანი ფუძე, რომელიც კვლავაა ნაწარმოები მე-ე ელემენტებით: მ ა რ ჯ უ ლ — მ ე მ ა რ ჯ უ ლ ე, მ ა რ ც ხ უ ლ — მ ე მ ა რ ც ხ უ ლ ე. წარმოება ილიასეულია და მოწმობს ლექსიკაზე შემოქმედებით მუშაობას. ილიამ ეს ორი ახალი სიტყვა სალიტერატურო ენის სამსახურში კი ჩააყენა, მაგრამ მათი ხმარების არეალი მაინც იმთავითვე შეზღუდული აღმოჩნდა, სალიტერატურო ენამ მას მაინც არ გაუღო კარი.

რა შეიძლება ითქვას ამ ლექსემათა ფუძეების შედგენილობასა და ეტიმოლოგიაზე?

ქართ. მარჯვენა-ა//მარჯვენ-ე-ს შესატყვისია მეგრ. მორძგე//მარძგე, მორძგუა, ლაზ. მარძგუნ, სვან. ლერსგუენ (4, 129), მარჯვენა ხელი; სვანური ფუძის ბოლო -ენ კილო-თქმებში -ან//-ან-ად ისმის. მ. ქალ-დანს დადასტურებული აქვს: უშგ. ლარსგვან<ლშხ. ლერსგვენ 'მარჯვენა ხელი', ხოლო რეგულარულია სვან. ლერსგვენ//მურსგვენ 'მარჯვენა', ლერთენ//მერთენ 'მარცხენა' (7,34). მეგრულ ფუძეში ა. ჩიქობავა -ალ სუფიქსს ვარაუდობს: „მარჯუ- ფუძისაგან სხვადასხვა აფიქსის დართვით ნაწარმოები ახალი ფუძეები -ალ-ს სუფიქსად მიგვაჩნევიან: მარჯუ-ალ; მეგრ. მარჯგვ-ან—ამავე დასკვნას უჭერს მხარსო“ (8,28). ქართ. მა-რჯუ-ენ-ე, მეგრ. მა-რძგე-ან-ი, სვან. ლერსგუ-ენ-ში რ სეგმენტი თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს უმარცვლო ელემენტად მიაჩნიათ (4,129). ამ ფუძეებიდან მა-ენ, მა-ან, ლე-ენ ელემენტების გამოყოფა სავსებით კანონზომიერია და რ სეგმენტის ინტერპრეტაცია უეჭველად ფრიალ საგულისხმო. ეს ვარაუდი ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სიტყვის ძირეული მორფემა რჯუ-, რძგე-, რსგუ-, მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენ გვაინტერესებს საკითხის მეორე მხარეც. ცნობილია, რომ ნ. მარი მ ა რ ჯ ვ ე ნ - ა და მ ა რ ც ხ ე ნ - ა ფუძეებს შედგენილად თვლიდა და მათში ცალკე გამოჰყოფდა მ ა რ სეგმენტს, რაც, მისი აზრით, 'ხელს' ნიშნავს (5,66). ამ მსჯელობაში ექვის შეტანა ძნელია. ოთხივე ქართველური ენა მ ა რ ძირეულ მორფემას ერთნაირად გვაჩვენებს და ყველა შემთხვევაში გვხვდება ხელის აღმნიშვნელ ფუძეში, რომელშიაც არჯ სეგმენტის გამოყოფა და მისი დაკავშირება ძვ. ირ. arg ფუძესთან მზ. ანდრონიკაშვილს დასაშვებად მიაჩნია. უეჭველად საყურადღებო და ყოველმხრივ ანგარიშგასაწვეია მკვლევრის აზრი: „ჩვენი ფიქრით, ეს ფუძე შეიძლება დაუკავშირდეს ძვ.-ირ. ფუძეს arg-||arj-, რომელიც წარმოდგენილია სიტყვებში: ავ. arjah, სკრ. argha, arghya, ფალ. arj, arz, ახ. სპ. arj და სხვა“; „მარჯ-უ-ენ-ე (ხელის აღმნიშვნელი) უფრო გვიანდელი წარმოება ჩანსო“ (2,27-28). ამ თავისთავად მეტად საინტერესო ვარაუდს, თითქოს არ ემოწმება ქართველური ენების წიაღიდან ავტორის მიერ მოხმობილი ფაქტობრივი მასალა. აუხსნელი რჩება მ ა რ ელემენტის მარისეული გაგება. ა რ ჯ - ელემენტის ავტორისეული კვალიფიკაცია უეჭველი ინტერესის შემცველია, მაგრამ მისი მ ა რ ჯ ვ ე ნ - იდან გამოყვანა მთლად ნათელი არ ჩანს. რაღა უნდა ვუყოთ მარცხენას? ა რ ჯ - თუ დამოუკიდებელი ირანული ფუძეა, ა რ ც ხ - როგორღა აიხსნას?

ამრიგად, ჭერჯერობით არ მოგვეპოვება დამაჯერებელი არგუმენტაცია იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ მ ა რ ჯ ვ ე ნ ა და მ ა რ ც ხ ე ნ -

ნა ლექსემათა ფუძეებში არ დავინახოთ მარ 'ხელის' აღმნიშვნელი სეგმენტი. მარჯულ, მარცხლ (//მარცხულ) შედგენილი, რთული ფუძეებია; ჩვენი ვარაუდით, მეორე სეგმენტიც 'ხელს', უფრო 'მარჯვენას', 'მარცხენას' უნდა ნიშნავდეს. ამას უნდა მოწმობდეს მარჯვენა ფუძეში ჯ და მარცხენაში ცხ სეგმენტები, ოდესღაც 'მარჯვეს', 'მოხერხებულის' ან 'მოუხერხებლის' ფუნქციით.

### ლიტერატურა

1. აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ანდრონიკაშვილი მზ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივ ფრთხილობიდან, I, თბ., 1966.
3. ბაგრატიონი თ., დავით ბაგრატიონის ისტორია, თ. ენუქიძის რედ., თბ., 1972.
4. გამყრელიძე თ., მაქავარიანე გ., სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
5. М а р р Н. Я., Избранные работы, IV, Л., 1937.
6. ჟორდანიას თ., ქრონიკები, III, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967.
7. ქალდანიანი მ., სვანური ენის ფონეტიკა, I, თბ., 1969.
8. ჩიქობავა ა., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
9. ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოც., სასტამბოდ მოამზადა აკაკი შანიძემ, თბ., 1984.
10. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლონტის რედაქციითა და გამოკვლევით., თბ., 1951.
11. ჩუბინაშვილი ნ., რუსულ-ქართული ლექსიკონი, I, ალ. ლონტის რედ., თბ., 1971.
12. ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, II, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967.
13. ქავკავაძე ილ., თხზულებათა სრული კრებული, IX, პ. ინგოროვიჯას რედ., თბ., 1957.

კრებ. „აკაკი შანიძე—100“, თბ., 1987, გვ. 82—87.

### ლექსურის ტოპონიმია და ლექსიკა

ლექსურის დიალექტური ბუნება და მისი ადგილი ქართული ენის კილო-თქმათა სისტემაში ჯერ კიდევ არ არის მთლად ნათელი და სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. რას წარმოადგენს იგი როგორც ენობრივი ერთეული: კილოა თუ კილოკავი? როგორია მისი სტრუქტურა და ლექსიკა სხვა ქართულ კილოებ-

თან მიმართებით, რა ურთიერთობა აქვს მას იმერულთან და რაქულთან, რომელთა მეზობლობასა და გარემოცვაშია მოქცეული ისტორიულ-გეოგრაფიულად? რა მასალას შეიცავს სვანური და კოლხური ფენა ლეჩხუმურში? აი, საკითხების წყება, რომლებიც ქართულ დიალექტოლოგიაში დიდი ხანია დგას და საეხებით კანონზომიერადაც.

საგნის სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: ჭერ კიდევ ნაადრევია გადაჭრით გამოიჩვენოს ლეჩხუმურის ადგილი ქართულ კილოთქმათა შორის, წინასწარ უნდა ითქვას, ლეჩხუმური იმერულის თქმას წარმოადგენსო. სპეციალურ ნაშრომში შ. ძიძიგური ამბობს: „ჩვენი დიალექტი იმეორებს მთელ რიგ ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია მეტნაკლებად აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისათვის, მაგრამ ძირითადად იგი მაინც ქვემოიმერულის ტიპისაა, რომლის შემდეგ ყველაზე მეტი შეხვედრის წერტილები ქვემო რაქულთან აქვსო“ (33, 178). ი. გიკინიშვილის, ვ. თოფურიასა და ი. ქავთარაძის კოლექტიურ ნაშრომში უფრო კატეგორიულადაა ნათქვამი: „ლეჩხუმური მკაცრი დიალექტოლოგიური დაყოფით დამოუკიდებელ კილოდ არ ჩაითვლება. იგი უფრო იმერულის კილოკავიაო“ (7, 482); ან: „ლეჩხუმური მთლიანი კილოკავია და, თუ რაიმე დიფერენციაცია შეინიშნება, ეს აიხსნება მომიჯნავე კილოთა თუ ენათა გავლენითო“ (7, 482).

ლეჩხუმური მასალების ახლო გაცნობა უეჭველად იძლევა ასეთი მოსაზრებების საფუძველს, მით უმეტეს, თუ მის სტრუქტურულ ნორმებს იმერულს ან რაქულს შევუპირისპირებთ. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ვარაუდს მხარს უჭერენ ქართული დიალექტოლოგიის ზოგადი პრობლემატიკის მკვლევარნი, რაც შეეხება, თვით ამ კუთხის მკვიდრ მკვლევარებს, მათ სხვა თვალსაზრისი აქვთ.

რა მასალა გვაქვს დღეს ლეჩხუმურის სტრუქტურული ნორმების დესკრიფტული ასპექტით გასათვალისწინებლად, რა წყაროებს ეყრდნობა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდები? როგორ არის იგი შესწავლილი, რამდენად მართებულად არის აღწერილი მისი სინტრონიული მოდელი?

ლეჩხუმური საკმარისად შესწავლილი დიალექტიკური ერთეულია. შესწავლილი და აღწერილია მისი როგორც ფონეტიკური, ისე მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა, ცალკეა გამოქვეყნებული მისი ლექსიკა და ტოპონიმიკა, სანდოდ ჩაწერილი ტექსტები. ლეჩხუმურის შესწავლა, უწინარეს ყოვლისა, თავად ლეჩხუმლებმა ითავეს. პირველი სპეციალური ნაშრომები ლეჩხუმურს მიხ. ჩიქოვანმა მიუძღვნა (28, 292—303; 30, 135—155; 29, 231—259; 31, 233—242)

და შეკლევ მას მიხ. ალავიძის ნარკვევები მოჰყვა (1, 139—164; 2, 229—347; 4, 29—77; 5, 147—154; 3). ორივე ავტორისათვის ლეჩხუმური მშობლიური კილოა და ამიტომ მათ დაკვირვებებსა და მასალებს ჩვენთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვთ. მოგვიანებით გამოქვეყნდა შ. ძიძიგურის ნარკვევი (33, 166—173) და ვ. თოფურის მიერ ადვილზე ჩაწერილი ტექსტების ნიმუშებიც (7, 485—487; 489—492; 493—496; 674—680), რამაც კიდევ უფრო გააცხოველა ამ დიალექტური ერთეულის უფრო ახლოს შესწავლის ინტერესი.

ამ ლიტერატურიდან ჩვენ ცალკე უნდა გამოვყოთ და შევაფასოთ მიხ. ჩიქოვანის ოთხი სპეციალური ნაშრომი: 1. „ხმოვანთა ზოგიერთი თავისებურება ლეჩხუმურში“ (1936 წ.), 2. „ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით“ (1949 წ.), 3. „ტოპონიმიკური ლექსიკონი“ (1939 წ.) და 4. „ლეჩხუმური ლექსიკონი“ (1941 წ.).

დასახელებულ ნაშრომებში განხილულია ლეჩხუმურის ძირითადი სტრუქტურული, ფონეტიკური და ლექსიკური პროცესები. მიხ. ჩიქოვანი ლეჩხუმურის შესწავლას ჯერ კიდევ 1935 წელს შესდგომია, ხოლო მისი პირველი ნარკვევი, მიძღვნილი ამ კილოს ფონეტიკური პროცესებისადმი, 1936 წელს გამოქვეყნდა (28, 294). ავტორს შეუდგენია მთელი მონოგრაფია, სათაურით „ლეჩხუმური კილო და ტოპონიმიკა“<sup>1</sup> (31, 233), რის ცალკე თავებსაც ზემოხსენებული ნარკვევები წარმოადგენენ. მონოგრაფია კი მთლიანად ჯერ არ გამოქვეყნებულა. სტრუქტურულ მოდლებთან ერთად, მონოგრაფიაში განხილულია ძირითადი ფონეტიკური პროცესები, ლექსიკის ცალკეული ფენები, მორფოლოგიური მოვლენები და სინტაქსური კონსტრუქციები სხვა კილოთქმებთან მიმართებაში. მონოგრაფიას ერთვის ადგილზე სათუთად ჩაწერილი ტექსტებიც. მონოგრაფიის ძირითადი დებულებები ახლაც ფართო ინტერესის შემცველია და მისი გამოქვეყნება მთლიანი სახით გამდიდრებდა ჩვენს დიალექტოლოგიურ ლიტერატურას.

მონოგრაფიით მკვლევარს მიზნად დაუსახავს, განსაზღვროს ლეჩხუმურის დიალექტური ბუნება, გამოყოს მისი სპეციფიკური ნიშანთვისებები და მიუჩინოს მათ კუთვნილი ადგილი ქართული ენის კილოთქმათა შორის. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ლეჩხუმური კი არ არის კილოკავი იმერულის, ან რაჭულისა, არამედ დამოუკიდებელი დიალექტური ერთეულია, რომელსაც შეხვედრის წერტი-

<sup>1</sup> ამ ნაშრომს ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „ეს წარმოადგენს ჩვენი შრომის „ლეჩხუმური კილო და ტოპონიმიკა“ ნაწილს. მასალები შეკრებილია ცაგარის რაიონში 1935 წლის ივლისში, სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის დროს“.

ლები არა მარტო ამ, მასთან ტერიტორიულად ასე ახლო მდგომ, არამედ სხვა კილოებთანაც აქვს. სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს იგი ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ პროცესებშიაც პოულობს. ეს სიახლე სპეციალისტთა უეჭველ ინტერესს იწვევს.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში, მიხ. ჩიქოვანის პირველი დიალექტოლოგიური შტუდიები რომ გამოქვეყნდა, მეცნიერებისათვის ლეჩხუმური მართლაც უცნობ სამყაროს წარმოადგენდა. „ლეჩხუმური, როგორც გარკვეული ენობრივი რაიონი, ჯერჯერობით ლინგვისტიკის საგნად არ ქცეულა. დღემდე მის შესახებ ერთი გვერდიც არ დაწერილა“ (28, 294), — წერდა გულისტკივილით მაშინ ავტორი. რა გვქონდა იმ ხანად ჩვენ? მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები და ისტორიკოსთა მიმოხილვები. დიალექტოლოგიური თვალსაზრისით კუთხე სრულიად ხელუხლებელი იყო.

მიხ. ჩიქოვანმა უშუალოდ შეისწავლა ლეჩხუმური მეტყველება; მოიარა მთელი ლეჩხუმი, ჩაიწერა მდიდარი დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალა, რისი ანალიზის შედეგადაც შეიქმნა ზემოხსენებული მონოგრაფია. მარშრუტისა და შეგროვებული მასალის ხასიათზე ავტორი გადმოგვცემს; „მუშაობის მარშრუტი ადგილობრივ ასე გავანაწილე: ნაკურალეში — ცხუკუშერი, შემდეგ ადვი, ოყურეში, ლასურიაში, ცაგერი, ლუხვანო; ქვემო სვანეთი, ორბელი, ალაპანა; რაჭა, ისევ ნაკურალეში — ცხეკუშერი და ბოლოს ტვიში. ჩემს მიერ ჩაწერილ იქნა: საუბრები, ზღაპრები, ლეგენდები, ლექსები, მოგონებები, ანდაზები, გამოცანები... დავათვალიერე მნიშვნელოვანი სიტყვლები: ნაკურალეშის წარწერიანი ეკლესია, ცაგერის, მურის, გვესოს, ორბელის, უწვაშის ციხეები, მურის წმ. მაქსიმეს აწ უკვე დანგრეული უძველესი მონასტერი, აქამდე სრულიად უცნობი გონის (ს. ორხვთან) ძველის-ძველი შესანიშნავი მხატვრობის მქონე ეკლესიის ნანგრევები; შევადგინე ღირსშესანიშნავ ადგილთა სრული სია, ჩავიწერე თითოეული სოფლის ტოპონიმიკური სახელწოდებანი, შევაგროვე მე-18 და მე-19 საუკ. ხელნაწერები და სხვ. აღნიშნული მასალები... პირველ ყოვლისა გამოყენებულ იქნება ლინგვისტური თვალსაზრისით ლეჩხუმელთა ბუნებრივი სასაუბრო ენის დახასიათებისათვის. ეს პირველი წერილიც სწორედ ამ დანიშნულებას ემსახურებაო“ (28, 294).

ავტორი ლეჩხუმურში ორ თავისებურ ტერიტორიულ ერთეულს გამოყოფს: ქვემო ლეჩხუმურსა და ზემო ლეჩხუმურს. „ლეჩხუმში, როგორც ენობრივ რაიონში, — აღნიშნავს იგი, — ჩვენ შეგვაქვს: 1. მთელი ტ ე დ ა დ მ ა რ თ ი (ადგილობრივი გამოთქმით), ანუ ქ ე ვ მ ო ლ ე ჩ ხ უ მ ი (ტვიში, ვანი, ორხვი, ქორენიში, ღერჩი, მექვენა,



ონკვიში, ჭაშლეთი, დღნორისა, საჩხეური, ჩორთისა) და 2. მდ. რიონისა და ცხენისწყლის ხეობებში მოთავსებული დღევანდელი ცაგერის რაიონის ტერიტორია, ანუ ზ ე მ ო ლ ე ჩ ხ უ მ ი (ტედალმართული გამოთქმით“, 28,294) <sup>1</sup>.

მეტყველებაზე უშუალო დაკვირვება მკვლევარს საშუალებას აძლევს გამოყოს ლეჩხუმურის ზოგიერთი ნიშანდობლივი ფონეტიკური, სტრუქტურული და ლექსიკური თავისებურება, რაც, ავტორის აზრით, მას სხვა კილო-თქმისაგან განასხვავებს. ფონეტიკური პროცესებიდან ასეთ განმასხვავებელ ნიშნებად მიჩნეულია, მაგალითად, კ-ის რეფლექსები, სუსტი ანარეკლი დიფთონგიზაციისა, უმარცვლო უ-ს ხმარება (ჯჭარი, ჩაიციმდეს...), ბევრი პროცესი უნიკალური მაგალითებით არის დოკუმენტირებული (28, 295, 297, 300).

სტრუქტურული პროცესებიდან ლეჩხუმურის ბუნებრივ ნიშნადაა გაგებული ტოპონიმიკურ სახელთა აფიქსაცია. აქ გამოყოფილია სვანური და კოლხური ფენები. მიხ. ჩიქოვანმა აღნიშნა და საგანგებოდ შეისწავლა კოლხური და სვანური გახმოვანების მორფმათა გავრცელებულობა თავის მშობლიურ დიალექტში (31, 238—241). ამ მოვლენის პირველი მეცნიერული დახასიათება თავად მისი დამსახურებაა, მართალია, მკვლევარის მიერ მოშველიებული ყველა მაგალითი ერთნაირი ღირსებისა არ არის, ზოგი მათგანი ახლა ეგების სხვაგვარ მიდგომასაც და სხვა ასპექტით ახსნასაც მოითხოვდეს, მაგრამ მთლიანად მისი ძიების შედეგები ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას და ფასეულია მეცნიერებისათვის. განსაკუთრებით ძვირფასია მასალა მიკროტოპონიმიის სამყაროდან, რომლის შესწავლა ახლა ასე დიდ ინტერესს იწვევს (19, 69—71).

ლეჩხუმის საკუთრივ- და მიკროტოპონომიაში მიხ. ჩიქოვანმა გამოყო ერთ-, ორ- და მეტფუძიანი საწარმოქმნო აფიქსებით ნაწარმოებ ტერმინთა რკალები.

1. სუფიქსური წარმოება. -ა: გვერდ-ა, უნაგერ-ა... -არ//-ალ: მაყერ-

---

<sup>1</sup> ზემო ლეჩხუმის ენობრივი საზღვრები და თავისებურებები შემდეგ დააზუსტა შ. ძიძიგური. „ტედალმართულს, — წერს შ. ძიძიგური, — მოსალოდნელია საზიარო ფორმები ჰქონდეს რაჭულთან (ქვემო რაჭულთან) გეოგრაფიული სიახლოვის გამო, ხოლო ზემო ლეჩხუმი შესაძლოა ორ ერთეულად დაიყოს: ცაგერსქვემოურ მეტყველებად და ცაგერსზემოურ მეტყველებად. პირველი ემეზობლება სვანეთს, მეორე — სამეგრელოს. სხვაობა თითქოს ჩანს: ცაგერსქვემოურში, მაგალ., გავრცელებულია თინ თანდებული, — ცაგერსზემოურში იციის მხოლოდ ისდა//იზა (შდრ.: შეილისთინ— შეილისდა—იზა; ძროხისთინ—ძროხისდა—იზა და მისთ.). არის ლექსიკური სხვაობანიც. მაგრამ ამ შინაგანი სხვაობების დადგენა მომავლის საქმეა“ (ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 166).

აღ-ი (—\*მაყვალ-არ-ი), კაბრ-აღ-ი (←\*კაპარ-აღ-ი), ბერ-აღ-ი... -ე: კუმბატ-ე, კორტობ-ე... -ებ: კვინცხ-ებ-ი, ახუ-ებ-ი, კოჯე-ებ-... ელ: ჯაბ-ელ-ი, ჩხუტ-ელ-ი, ორბ-ელ-ი... -ი-ერ//ერ: წილამ-ი-ერ-ი, ყელ-ი-ერ-ი, ცხუყუშ-ერ-ი, ცავ-ერ-ი, უცხანდ-ერ-ი... -ეთ: ქაშლ-ეთ-ი, ნაჟულ-ეთ-ი, ჩერელ-ეთ-ი (ჩ რ ე ლ ო ჩერო)... -ო: გვეს-ო, ლუხვან-ო... -ოურ//ოულ: ციციდ-ოურ-ი, ჩხეტ-ოურ-ი, ხორგ-ოულ-ი... -ურ//ულ: ცეკ-ურ-ი, კენაშ-ურ-ი... -უან//ოვან: ველ-უან-ი//ველ-ვან-ი, გველ-უან-ი... უტ-ა: ქობ-უტ-ა, ხარჩ-უტ-ა... ნ-არ//ნ-ალ: ქარცვ-ნ-არ-ი, ლეკ-ნ-არ-ი, ბარ-ნ-ალ-ა, ბზარ/-ნ-ალ-ა (31, 233—236; 30, 133—155; 5, 148—149)... აღნიშნულია ჩამოთვლილი ქართული აფიქსებით წარმოქმნილ ტოპონიმთა ათეულობით ნიმუში ლეჩხუმის შემოგარენში, დამოწმებულია როგორც საკუთრივ ტოპონიმები, ისე მიკროტოპონიმები.

2. პრეფიქსული წარმოება. სწორადაა აღნიშნული: „საეგეოგრაფიო სახელთა პრეფიქსული წარმოება შედარებით ნაკლებ გავრცელებულიაო“. სათანადო ნიმუშებად დამოწმებულია ნა- და სასა-თი წარმოქმნილი მოდლები: ნაურწყავი, ნარღვი, ნამეწყრი, ნამოსახლი (31, 236)... თუმცა ამ მაგალითებში უფრო პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება ჩანს, ვიდრე მხოლოდ პრეფიქსული. შდრ.: ნა-ურწყავი, ნა-რღ-ოვ-ი//ნა-რღვ-ევ-ი, ნა-მეწყ-რი-ი//ნა-მეწყ-ერ-ი...; სასა-ვაკე (31,236)...

3. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ნიმუშებად წარმოდგენილია: სა-ა: სა-ქერი-ა, სა-დათვი-ა, სა-ლეჩვი-ა... სა-ე: სა-კავი-ე, სა-კეც-ი-ე, სა-ფშალ-ი-ე... სა-ო: სა-სამ-ო, სა-ლოფირ-ო, სა-კანაფ-ო... სა-ელე/ა: სა-რეწყ-ელე, სა-ბურღვ-ელე, სა-შხეფ-ელა... მე-ურ... მე-ჯო-ურ-ი, მე-გებო-ურ-ი... ნა-(უ)არ//ნა-(ვ)არ: ნა-კალო-(ვ)არ-ი (//\*ნა-კალ-(უ)არ-ი), ნა-დიკ-(ვ)არ-ი, ნა-ციხ-(ვ)არ-ი... ნა-არ//ნა-ალ: ნა-გომ-არ-ი, ნა-საჩიხ-არ-ი, ნა-სათიფ-არ-ი (ნა-სათიბ-არ-ი)... ნა-კარვ-აღ-ი, ნა-ქერ-აღ-ი... ნა-ურ: ნა-ტბე-ურ-ა, ნა-დემუტ-ურ-ა (სვან. დაშთვ დათვი)... ნა-ებ: ნა-საკირ-ებ-ი, ნა-ფარეხ-ებ-ი, ნა-კაჭიტ-ებ-ი... ნა-ევ: ნა-ჯიხურ-ევ-ი, ნა-მან-ევ-ი... ნა-ობა: ნა-ბურღლ-ობა (31, 236—237; 30, 135—155; 5, 149)...

დამოწმებული დერივატები ტოპონიმთა საწარმოქმნოდაა გამოყენებული ქართულში საერთოდ და მის ყველა დიალექტში. ლეჩხუმურ მასალებში აღნიშნულია მათი გავრცელებულობა მიკრო- და საკუთრივ ტოპონიმიაშიაც. მართალია, ამით ირკვევა ხსენებულ დერივატთა არეალი, მაგრამ ლეჩხუმურის ნიშანდობლივად მათ ვერ მივიჩნევთ. საძებარია სხვა, ნამდვილად განმასხვავებელი, ნიშნები. ამ გარემოებას

კარგად ითვალისწინებს ჩვენი მკვლევარიც და ამიტომ საყურადღებოა მისი დავკვირებანი კოლხური და სვანური გახმოვნების მოდელთა სიჭარბეზე ლეჩხუმის ტოპონიმიაში.

1. კოლხური გახმოვნების მოდელები. მიხ. ჩიქოვანს აღნიშნული აქვს: „მეგრულ-ქანური წარმოების სახელები ძლიერ მკვიდრად არის შესული ლეჩხუმის ტოპონიმიაში. ამ რიგის მაწარმოებლებიდან აქ ყველაზე უფრო გავრცელებულია -აშ და -იშ. მეგრ. -ო-ს ქართული სა-შეესატყვისება“ (31, 238).

საილესტრაციოდ დასახელებულია ასეთი მაგალითები: -აშ: მახ-აშ-ი, ცულ-აშ-ი, ღომ-აშ-ი... -ეშ: ჩიხ-ეშ-ი, ციულ-ეშ-ი, ჩოლხ-ეშ-ი... -იშ: გე-იშ-ი, ჭყე-იშ-ი, ბოქ-იშ-ი!... დამოწმებულია კოლხური გახმოვნების ო-პრეფიქსიანი ტოპონიმები ო-ფიტარა-ს ('სა-ფიტარ-ო') ტიპისა, მაგრამ უფრო პროდუქტიულადაა მიჩნეული ო-ე (ო-სუნე-ლ-ე...), ო-ეშ (ო-ყურ-ეშ-ი...), ო-იშ (ო-ნ-ჰე-იშ-ი...), ნა-შ (ნა-კურ-ა-ლე-შ-ი... (31, 238—239; 30, 135—155).

2. სვანური გახმოვნების მოდელები. მხარის ტერიტორია იცნობს ათობით სვანური წარმომავლობის ტოპონიმს; შემორჩენილია სვანური აფიქსები. აქედან აღსანიშნავია:

პრეფიქსები: ლა- (ლა-სემა, ლა-ხეფა...), ლე- (ლე-შეკლა, ლე-იფა-ნა, ლე-ფურა...). ლე-თია წარმოქმნილი თვით ეთნონიმი ლე-ჩხუმ, რაც მიღებულია ჩხუმ (/ჩქუმ) ფუძისაგან და ჩხუმ-ების (თუ ჩხუმა-რების) მხარეს ნიშნავს (13, 222—223; 225—226; 394—395; 34, 242; 31, 239—240; 11, 147; 22, 96; 36, 100; 5, 150—154).

მიხ. ჩიქოვანს ამავე პრეფიქსიანი ტოპონიმი ჩაუწერია სოფ. ღვი-რიშსა და სოფ. ცხუკუშერს შუა — ლ ე შ ვ ე ნ ა, რომელიც ახლა ნა-სოფლარია. ტოპონიმი სვანთა ტომობრივი სახელისაგან მომდინარე-ობს: „ლე-შევენ-ა სვანური წარმოშობისაა და ნიშნავს სა-სვან-ო'ს, სვა-ნებით დასახლებულ ადგილს. ზუსტად ასეთი ფორმა ახლაც გვხვდება სასაუბრო მეტყველებაში“ (31, 240), მკვლევარი იმოწმებს ს. ჭანა-შიას აზრს, რომ სვანეთის აღსანიშნავად „ლაშტან“ და „ლეშტერა“ იხმარება ცხენისწყლის ხეობაში, ენგურის ხეობაში კი — „ლემშტან-ერა“ (35, 185) და მიდის დასკვნამდის: „ნასოფლარი „ლუშვენა“ უწინ

1 -იშ (/შ) სუფიქსისა და აქ დამოწმებულ ტოპონიმთა (ტვიში, ჭყვიში...) წარმომავლობაზე მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვეულებრივ, მას კოლხურად (მეგრულად) თვლიდნენ (ივ. ჭავჭავაძის შვილი, 34, 421; 12, XV; ა. ჩიქობავაძე, 27, 5; გ. ჩიტაია, 26, 267; მ. ალავეიძე, 5, 153). უკანასკნელად მ. ქალდანმა იგი სვანურად მიიჩნია და საკმარისი დამაჯერებლობით აღნიშნა: „-იშ (/შ) სუფიქსიანი ლეჩხუმური გეოგრაფიული სახელების შემოქმედია არა სვანური, არამედ სვანური მოსახლეობა“ (მ. ქალდან, 18, 69).

დასახლებული უნდა ყოფილიყო იმ გვარის წინაპრებით, რომელიც სვანიძეს ატარებს და ლუშვენის ზემოთ, ჩრდილო დასავლეთით, მკვიდრობს მასიურად დღესაც. ამნაირად, ცხენისწყლისა და რიონის შუა გამყოფზე „ლუშვენა“ ერთი პატარა კუნძული უნდა ყოფილიყო ცხუმართა შორის ძლიერ შორეულ წარსულში. სვანური ენობრივი კოლექტივი ამ ადგილას გაქრა, ხოლო გეოგრაფიული სახელი, შეკვეცილი ფორმით, დარჩა. სვანების ცხენისწყლის სათავისაკენ წაწევას ისიც მოწმობს, რომ ლეჩხუმშიც და სვანეთშიც სრულიად ერთნაირი გეოგრ. სახელები არსებობს, მაგალითად: მ ა ხ ა შ ი — სოფელი ცაგერის რაიონში და მახაში, სოფელი ლენტეხის რაიონში; ლ ა ს ხ ა ნ ა — სოფელი ცაგერის რაიონში და ლ ა შ ხ ე თ ი — სოფელი ლენტეხის რაიონში, ლ ა ხ ა მ ე ი ლ ა შ ი — სახანავი ადგილი ცაგერის რაიონში და ლ ა ხ ა მ უ ლ ა — სოფელი ზემო სვანეთში“ (31, 240). დებულება სარწმუნო და დამაჯერებელია.

სუფიქსური წარმოების მოდელები მცირეა, გვხვდება ეშ'-იანი ნიმუშები სამ-ეშ-ის ტიპისა (31,340).

პრეფიქსულ-სუფიქსური მოდელები ჩვეულებრივია: ლა-ა-შ (ლა-ჯებ-ა-შ-ი, ლა-ვალი-ა-შ-ი, ლა-ილ-ა-შ-ი...), ლა-იშ (ლა-ნჯე-იშ-ი), ლა-ო (ლა-სარ-ო), ლა-ალ//ლა-არ (ლა-ხარჩე-ალ-ი, ლა-რჩე-ალ-ი, ლა-ხარ-არ-ი... ლა-ან-ა (ლა-ქეკე-ან-ა...), ლე-ა-შ (ლე-კენტ-ა-შ-ი...), ლე-იშ (ლე-ბალ-იშ-ი...), ლე-არ (ლე-განჯულ-არ-ი 'ანწლნარი'...), ნა-ან (ნა-ქერ-ან-ი... (იქვე, 240—241; 30,135—155).

კოლხური და სვანური გახმოვნების ზემოხსენებული საწარმოქმნო აფიქსები, დაცული კოლხური და სვანური მოდელის ტოპონიმებში, აქა-იქ ლეჩხუმურის სიტყვათწარმოებაშიაც იჩენენ თავს<sup>1</sup> (23,7; 5,150; 18, 67—79). ბუნებრივია, ამ ფაქტის ახსნა კოლხური და სვანური მეტყველების სიახლოვეთა და გარემოცვით შეიძლება, რაც შე-

<sup>1</sup> მის. ჩიქოვანი ამბობს: „მეგრელობები და სვანობები ლეჩხუმურში ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით კი ლექსიკაში“ (ხმოვანთა ზოგიერთი თავისებურება ლეჩხუმურში, თუშ. V, 1936, გვ. 397). მეგრელობების შესახებ ლეჩხუმურში ა. ჩიქოვანა აღნიშნავდა: „იმერული კილოს ქვემო იმერული თქმაცაა და ლეჩხუმურიც სავსეა მეგრელობებით, როგორც ლექსიკასა, ისე მორფოლოგია—სინტაქსშიო“ (ვანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 5), ხოლო სვანური და მეგრული წარმოშობის აფიქსებს ლეჩხუმის ტოპონომიაში ხაზს უსვამს შ. ძიძიგურიც: ლეჩხუმის „ტოპონომიკური ტერმინები სვანური წარმოშობისა ჩანს (ელიაში, ლაილაში, ლეშკაში, ოყურეში, ლაბადაში, ჩხულუაში...), გვარებიც სვანურ წარმოშობაზე მიუთითებენ (ბურჯალიანი, გასვიანი, გვიშანი, გურგუჩიანი, გელოვანი, ლეკვეყელიანი, დავითულიანი, ჩხეტანი, ახვლედიანი...). ისმის როგორც სვანურთან მიმართების საკითხი, ისე მეგრულთან“ (ძიძიგური ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 166).

ეხება კოლხური და სვანური მოდელის ტოპონიმებს, ისინი ნაშთებია მხარის ადრინდელი დასახლებისა. თავდაპირველად ლეჩხუმის ახლანდელი მიწა-წყალი დასახლებული ყოფილა სვანებით და სვანურაენის არეალი გაცილებით სამხრეთით ვრცელდებოდა, ვიდრე დღესა გვაქვს. ამას მოწმობენ ლეჩხუმის ტოპონიმიაში შემორჩენილი სახელწოდებანი და ანტიკური ეპოქის უცხოური წყაროები. ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „უეჭველია, ძველად სვანები გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ეხლა ცხოვრობენ; პლინიუსი, მაგალითად, მოგვითხრობს, მდინარე ხობი კავკასიის მთიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის მიწაზე დისო (პლინიუსი, VI, § 11); ამასვე ამტკიცებს საგეოგრაფიო სახელის დაკვირვებაც. მაგ., ლეჩხუმი, ლეზილი და სხვა. შემდეგ სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუპყრიათ, ისინი კი კავკასიის უღელტეხილზე მოუმწყვედევიათ; დაპყრობილ სვანებს მეგრული შეუთვისებიათ“ (34, 422; 10,166). თავად ლეჩხუმი ე. თაყაიშვილს ძველი „ქვემო სვანეთის ანუ ცხენისწყლის სვანეთის ნაწილად“ მიაჩნია: „ლეჩხუმელები გაიმერლებული სვანები“ (9, 94; 18,77). ქართები გვიან შექრილან ამ ტერიტორიაზე და კოლხები შეუფიწროებიათ. ისტორიულად, ჩანს, ლეჩხუმი სვანებისა და კოლხების (მეგრელების) გადანაცხოვრი ადგილია. ამას ენობრივი, ტოპონიმური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალებიც მოწმობენ (13,222—223; 225—226; 12, XV; 27,5; 15,69; 31,239; 5,148—154; 18, 67—79). უწინარეს ყოვლისა, სვანურ-კოლხური კვალი ცხადად შემორჩა ლეჩხუმის ტოპონიმის ისევე, როგორც კოლხური კვალი ამჩნევია აჭარულის, გურულისა და იმერულის ტოპონიმისა. შდრ.: აჭარ. კინტრიში, ოღროკა, ოჯინჯალა, ოჯინჯო, ჯინიში, ჭყანიში (12, XV; 17, 36)... გურ. ჭანიეთი, ოჭილაური, ონჭიკეთი, ოჩხამური, ჯუმათი (14, 429; 12, XV; 14, 43)... იმერ. ჯიხაიში, რინდიში, ჩუნეში, ონჭეიში, მათხოჯი (34, 420; 12, XV; 27,5; 15,69; 33,255—258)...

ძიება სვანური და კოლხური განპოვნების მოდელებისა ლეჩხუმის ტოპონიმიაში, როგორც ვხედავთ, ახალ შუქსა ჰფენს ლეჩხუმურის სტრუქტურას და უფრო ცხადად წარმოგვიჩენს მის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს სხვა დიალექტებთან მიმართებაში. მიხ. ჩიქოვანის დაკვირვებანი ხელს უწყობენ პრობლემების პოზიტიურად გადაწყვეტას.

ლეჩხუმურის ადგილის გამოსარკვევად ქართული ენის კილოთქმათა შორის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ლექსიკას ენიჭება. ამჟამად მიხ. ჩიქოვანისა და მ. ალაიძის შრომათა წყალობით ჩვენ საკმარისად კარგად ვიცნობთ ლეჩხუმურის მეტად თავისებურსა და

მდიდარ ლექსიკას. საკუთრივ მიხ. ჩიქოვანმა 1941 წელს გამოაქვეყნა „ლენხუმური ლექსიკონი“, რომელშიაც ათასზე მეტი ადგილობრივი სიტყვაა შეტანილი. აქ დამოწმებული ათეულობით წკრიალა სიტყვა პირველადაა ჩაწერილ-განმარტებული და სხვა არც ერთ, მათ შორის არც ქართული ენის დიდ განმარტებით ლექსიკონში არ გვხვდება. ლექსიკის ეს მდიდარი ფონდი განსაკუთრებულ ადგილზე აყენებს ლენხუმურს, როგორც ქართული ენის დიალექტურ ერთეულს. მიეუ-თითებთ ზოგიერთ ნიმუშზე:

ა ვ კ ა ნ ჭ -ი (ავიზნე, გამომრები), ა კ ა კ უ ჭ ე ბ ა (ტკივილ-ის გავა ფეხის აწევა), ა ლ ა გ ო ბ ი ლ ე (ადგილობრივ, ახლომახლო), ა მ ც ა ვ ე ბ ა (გარჩეული სიმინდის ტაროს ერთ კუთხეში მიყრა, ჭერამდე ამალღება), ა ნ გ ა რ -ი (მწკრივში დარგულ მცენარეთა საფარი, ეკლის ღობე<sup>1</sup>), ა ჭ ე (ქვებმიყრილი ადგილი ყანაში<sup>2</sup>), ბ ე ნ ჭ -ი (ბელტი, ერთი ნიჩბის პირი თოვლი), ბ ე ლ ე ლ ა (ორი ერთად შეზრდილი ტარო), ბ ი კ ვ -ი (სკა)<sup>3</sup>, ბ ი ხ ვ -ი (ხის დამპალი ძირი, მიწიდან ამოთხრალი გადანაპრები), ბ ლ ი ყ -ი (ჩიყვი), ბ ო ჩ ო ლ ი ე (ოჩოკოჩი), ბ ო ჯ ვ ი -ტ ე (ხარის საჭედი ხელსაწყო), ბ რ ე ლ ვ ა (განუწყვეტელი თოვა), ბ უ ნ ა (გუნდი, ჭგუფი), ბ უ ჭ უ რ ი (წაბლის ბუსუსიანი ნაპერი), გ ა მ თ ჭ ი ვ ე ბ ა (გასუქება). გ ე გ ი ლ ა (გლახა, უქნარა, დოყლაპია), გ ვ ა ჯ ი ლ -ი (სულგუნე), გ ი ო რ გ ე ლ ა (ხვლიკი), გ ნ ა ც -ი (ძალ-ღონე), დ ა მ გ უ ნ ე ბ ა (ფრინველის მიერ კვერცხის მიტოვება), ვ ი ტ ა ტ ყ -ი (ბევრის მოლაპარაკე და უქნარა დედაკაცი), ი ჩ ჭ ი შ -ი (მოულოდნელი, უეცარი), კ ა ღ რ ი ტ -ი (ხმელ-ხმელი, კუმატი ადამიანი), კ ვ ა წ ა ნ ი ე (ინდაურის ქუეცი), კ ვ ი ლ ო (პატარა კუნძი), კ მ ე ჯ ო (კლდის ცბვი-რი, წამოშვერილი ნაწილი), კ უ ბ უ ზ -ი (ამობურცული ადგილი თავნე), კ უ რ კ უ ზ -ი (პატარა ტანის ადამიანი), მ ე ც ხ ე ზ -ი (უკადრისი, მან-კია ქალი<sup>4</sup>), მ ე ჭ ე შ -ი (ნიაღვრისაგან მოტანილი შლამი<sup>5</sup>), მ ო ჩ ე ტ -ი

<sup>1</sup> ფშურში — გაუმადარი ხარბი (ა. შ ა ნ ძ ე, ვაჟას ლექსიკონი, ვაჟა-ფშაველა, თხზ., IV, თბ., 1950), იმერულში — ეხოს ან ყანის საზღვარზე არსებული ბენეპრივი ან ხელოვნური ზღუდე („კომუნისტი“, № 88, 1967).

<sup>2</sup> მ. ალავეძის გადმოცემით: ჩირგვი, ბუჩქი.

<sup>3</sup> იმერულში—დამპალი ჭირკი (ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა იმერულ და რაქულ თქმათა, სპბ., 1912).

<sup>4</sup> რაქულში—მატაროცი, განგებ რისამე მომგონი, მაგ., ავადმყოფობისა (ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა იმერულ და რაქულ თქმათა, სპბ., 1912); იტყვიან ისეთ ადამიანზე, რომელსაც უბრალო ამბისა და მოვლენის გაზვიადება უყვარს („კომუნისტი“, № 157, 1968).

<sup>5</sup> ძლიერი, კოკისპირული წვიმა (მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, იქვე).

(მოზრდილი წიწილა), მ უ დ რ-ი (ჯგუფად ამოსული ლობიო<sup>1</sup>), ნ ა წ ი-გ ა რ-ი (ძირზე ამოსული ნერგი<sup>2</sup>), ნ ი ჩ ქ ვ-ი (უშნო სახე), პ ა ნ კ-ი (ბიჯი), რ ა გ ა დ-ი (ქალების ერთად ლაპარაკი), ს ა კ ვ-ი (საქონლის საკმელი: თივა, ჩალა, ბზე), ს ა რ ქ ვ ა (ყინვა, გაყინვა<sup>3</sup>), ს ხ ა პ-ი (დაკლული საქონლის კისრის ნაწილი<sup>4</sup>), ტ უ ნ ტ უ პ ო (თხელი ტალბა), უ ი ნ ც ა რ-ი (ეშმაკი, მოუსვენარი), უ შ ა დ-ი (უშობელი, ხბომოუგებელი), ფ ი ლ ა ქ-ი (დიდი მჭადი), ფ უ ც უ ც-ი (ტანზე გამონაყარი, მცირე მუწუჯი), ღ ვ ი ტ ი კ-ი (შიშველი), ღ რ ა შ ტ-ი (ყბა), ღ უ რ ტ უ კ-ი (გულჩახვეული, შემპარავი, ღვარძლიანი), წ ა წ კ-ი (ცუდი ენის პატრონი), ქ უ ქ უ რ ა ხ-ი (წყვედიანი), ხ უ ა (სიმინდის ავადმყოფობაა, შავმარცვლოვანა), ჯ ი კ ვ ა (ჯუჯა ტანის ღონიერი კაცი)... აქ ჩანოთვლილი სიტყვებიდან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შესულია მხოლოდ ორი სიტყვა: წ ა ნ კ-ი და ჯ ი კ ვ ა (ტ. VIII).

ლექსუმური შტუდიები მ.ხ. ჩიქოვანიას<sup>5</sup> ქართული დიალექტოლო-

<sup>1</sup> მ. ალავიძის გადმოცემით: ლობიოს ბუჩქი ყანაში (მ. ალავიძე, იქვე).

<sup>2</sup> ოკრიბულში — გადაწვენილი ვაზი ან ხე (მ. ალავიძე, ოკრიბული ლექსიკონი, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, X, 1950—1951).

<sup>3</sup> იმერულში — საქონლის დაბზარვებით (ვ. ბერიძე, იქვე), გურულში — ხარის, რქოსანი საქონლის დაბზა თოკით.

<sup>4</sup> გურულში — მახე, მსხვილი მკედის ძაფისაგან მოწყობილი (გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, პროფ. ვ. ბერიძის რედ., თბ., 1938); ჩიტის მახე (ს. ქლენტი, გურული კილო, თბ., 1936).

<sup>5</sup> მ.ხ. ჩიქოვანი ქართულ დიალექტებზე დაკვირვებას ფოლკლორული ძიებას პარალელურად სისტემატურად აწარმოებდა და ლექსუმური შტუდეები შემთხვევით როდეს დაიწერა. მისი პირველი დაკვირვებანი გურულ დიალექტს მიეძღვნა: 1934 წელს ავტორმა გამოაქვეყნა მშვენიერად ჩაწერილი გურული ტექსტები (მ.ი.ხ. ჩიქოვანი, ფირალის ეპოსი გურიაში, „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბ., 1934, გვ. 109—141). შემდეგ იგი არაერთჯერ დაპბრუნებია დიალექტურ ტექსტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალრიცხოვან ექსპლექციამი შეკრებილი მასალა, რომლის მცირე ნაწილი შესულია კრებულებში: „ხალხური სიტყვიერება“, ტ. I (თბ., 1950), ტ. II (თბ., 1952), ტ. V (თბ., 1956) და მონოგრაფიებში: ხალხური ვეფხისტყაოსანი (თბ., 1936, 1937), „მიჯაჭული ამირანი“ (თბ., 1947), „ეთერიანი“ (თბ., 1954), ხოლო უმეტესი ნაწილი დაკულია შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივსა და პირად კოლექციებში. შედარებითი დიალექტოლოგიური ძიების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მ.ხ. ჩიქოვანის მონოგრაფია „მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები“ („მრავალთავი“, I, თბ., 1964, გვ. 61—205). ამის შესახებ ნახე: ე. ვირსალაძე, მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, თბ., 1943, გვ. 363—383; ალ. დლოტი, ქართული ხალხური ნოველა, II, თბ., 1966, გვ. 6—19; მისივე: ზღაპრები მოგზაურობენ ქვეყნად, ქურონ. „დროშა“, № 1, 1966, გვ. 15.

გის ძვირფასი მონაპოვარია. მისი ხანგრძლივი დაკვირვებანი ლეჩხუმურზე, როგორც თავშიაც აღინიშნა, მთლიანად თავმოყრილია მონოგრაფიაში, რომლის გამოქვეყნებას დიდი ხანია ელის მკითხველი. მკვლევარმა არა მარტო ნარკვევები მიუძღვნა თავის შშობლიური კუთხის მეტყველებას, არამედ ჩაიწერა მდიდარი დიალექტოლოგიური ტექსტებიც. ლეჩხუმური ტექსტები მეტად მცირეა გამოქვეყნებული და ძველი ჩანაწერები, თანაც შესრულებული სპეციალისტების მიერ, უძველ ინტერესს იწვევს.

#### ლიტერატურა

1. მ. ალავეიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, პროფ. ვ. ბერიძის რედ., თბ., 1938.
2. მ. ალავეიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, II, 1941.
3. მ. ალავეიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, თბ., 1951.
4. მ. ალავეიძე, მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, XIII, 1955.
5. ვ. ალავეიძე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, XVIII, 1958.
6. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაქულ თქმათა, სპბ., 1912.
7. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიძე, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
8. ელ. ვირსალაძე, მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, თბ., 1948.
9. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში.
10. ვ. თოფურიძე, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, III, თბ., 1963.
11. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
12. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (инверского) языка, СПб., 1914.
13. Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, М.-Л., 1938.
14. И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слон в гурнийском, М.-Л., 1938.
15. Г. А. Мелякишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959.
16. ს. ქდენტი, გურული კილო, თბ., 1936.
17. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, ბათუმი, 1958.
18. მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ (//-შ) სუფიქსის საკითხისათვის, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, III, თბ., 1963.
19. აღ. დლონტი, ტოპონიმი და ტოპონიმიკა, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 4, 1967.



20. ა. ლ. ლონტი, ქართული ხალხური ნოველა, II, თბ., 1966.
21. ა. ლ. ლონტი, ზღაპრები მოგზაურობენ ქვეყნად, „დროშა“, № 1, 1966.
22. ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგია“, II, თბ., 1934.
23. ი. ფ. შიძე, ასიმილაცია-დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“, I, 1919.
24. ა. შანიძე, ვაჟას ლექსიკონი, ვაჟა-ფშაველა, თბ., IV, თბ., 1950.
25. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, პროფ. ფ. ბერიძის რედ., თბ., 1938.
26. გ. ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის ანგარიში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII—B“, თბ., 1944.
27. ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.
28. შ. ხ. ჩიქოვანი, ხმოვანთა ზოგიერთი თავისებურება ლეჩხუმურში, თუშ., V, 1936.
29. შ. ხ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, „ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები“, I, 1941.
30. შ. ხ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თუშ., IX, 1939.
31. შ. ხ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალის მიხედვით, „ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის შრომები“, VII, 1949.
32. შ. ხ. ჩიქოვანი, მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, „მრავალთავი“, I, თბ., 1964.
33. შ. ძიძიგური, ძიბანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
34. ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951.
35. ს. ჭანაშია, თუბალ-თობალი, ტიბარენი, იმერი, ენიმკ-ის მოამბე, I, თბ., 1937.
36. ს. ჭანაშია, შრომები, II, თბ., 1952.

1973 წ.

## კენიზოგით-მოფარეაზიტოგის ელემენტები ქართველურ ანთროპონიმიზში

პირის აღნიშვნა, ანთროპონიმიზაცია, სახელის მეორადი ნიშანია, რომელიც პირველადი ნიშნის, აპელატივის, საფუძველზეა მიღებული. ანთროპონიმიზაციის საკლასიფიკაციო ნიშან-თვისება აქამომდის არაა გამოკვლეულ-დადგენილი და ამის შესახებ მეცნიერებაში ერთიანი შეხედულება არცაა შემუშავებული. ჭერხნობით უდავოდ მიიჩნევა მხოლოდ ის თეზისი, რომლის თანახმად ანთროპონიმთა წყარო აპელატივთა კლასია, მაგრამ ანთროპონიმთა თანრიგში არა ყველა აპელატივი გადადის ხოლმე, არამედ ამ დამატებითი ფუნქციით იტვირთება აპელატივთა კლასის ერთგვარად რეგლამენტირებული რკალი. ხელ, მაგალითად, აღმოჩნდა იმისთანა მოქნილი აპელატივი, რომელმაც ადვილად შეითავსა საკუთარი სახელის ფუნქცია და გადავიდა ანთროპო-

ნიმთა თანრიგში, ხოლო ფეხ ლექსებში ეს შესაძლებლობა ვერ გამო-  
ამჟღავნა. ხელ ტიპის აპელატივებს ეკისრებათ დამატებითი ფუნქცია  
ფეხ ტიპის აპელატივებს კი სხვა მოვალეობის შესრულება ეკრძალებ-  
ათ. აქ რაღაც კანონზომიერება უნდა დავინახოთ (თავისუფლება და  
აკრძალვა), რაც, სავარაუდოა, ენაში იმთავითვე მოქმედებდა. აღსა-  
ნიშნავი ისიცაა, რომ ხელ ტიპის აპელატივები თავისთავად კი არ გა-  
დადიან ანთროპონიმთა თანრიგში, არამედ ამ მიზნით ისინი უპირა-  
ტესად იყენებენ სპეციფიკური დანიშნულების ენობრივ ელემენტებს,  
რომლებიც ესაშვებიან აპელატივთა მხოლოდ გარკვეული რიგის  
სტრუქტურულ მოდელებს და ახალ სემანტიკურ მთლიანობას ქმნიან.  
ჯერჯერობით ძნელი ხდება ამ რკალების არეალური შემოზღუდვა, მა-  
გრამ მათი ენობრივი რეალიზაცია საშუალებას გვაძლევს, რამდენად-  
მე მაინც განვსაზღვროთ ეს ფარგლები. ამასთან, ჩანს, ცალკე ენობ-  
რივ რეგიონში იგრძნობა ხსენებული რკალებისა და ელემენტების  
იერსახეთა არა სწორხაზობრივი იგივეობა, არამედ, რაც მთავარია,  
მნიშვნელოვანი რყევა, აგრეთვე კანონზომიერ მოვლენად რომ უნდა  
მივიჩნიოთ. ქართულში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენობრი-  
ვი ელემენტი, რომლის შეერთება აპელატივის ფუძესთან იწვევს უკა-  
ნასკნელის სემანტიკურ მოდიფიკაციასა და ანთროპონიმთა კლასში  
გადაადგილებას, არის კნინობით-მოფერებითობის მაჩვენებელი აფიქს-  
სი, და საგულისხმოა იმის ხაზგასმაც, რომ ამ აფიქსის ვარიანტები  
ქართველურ ენებში დაცულია როგორც ქართულ-კოლხური, ისე ქარ-  
თულ-სვანურისა და კოლხურ-სვანური დონეების მონაცემთა მიხედ-  
ვით.

ჩვენი დაკვირვება ეხება *CV* და *CVV* სტრუქტურების უძველეს ანთ-  
როპონიმთა ფუძეებს. ისინი ჩვეულებრივადაა რეალიზებული ქართვე-  
ლურ ენებში და მათ შორის კნინობით-მოფერებითობის აფიქსთა ხმა-  
რებულობაშიც სიახლოვე ჩანს, თუმცა სხვა სტრუქტურებიც არანაკ-  
ლები სიხშირით დასტურდება. ჩვენი ვარაუდით, კნინობით-მოფერე-  
ბითობის ელემენტები შეიძლება გამოდგეს პირის საკუთარ სახელთა  
ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად. ამ მცირე ცნობის მიზანია *CV* და  
*CVV* სტრუქტურების ქართულ ანთროპონიმთა საკლასიფიკაციო ნიშ-  
ხად კნინობით-მოფერებითობის ელემენტების ხმარებულობაში კანონ-  
ზომიერების დადგენის ცდა.

საალერსო-მაკნინებელი აფიქსების ხმარებულობა ქართველურ  
ენებში განიხილება სიტყვათწარმოების დონეზე, მაგრამ აქედან ცალ-  
კე არაა გამოყოფილი პირთა საკუთარი სახელები. ჩვენთვის კი ამჯე-  
რად სიტყვათწარმოების დონე იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც  
აქ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ აპელატივთა გადაადგილების პრო-

ცესს ანთროპონიმთა თანრიგში. უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიყოს -ა ელემენტი, რომელიც როგორც ცალკე, ისე -ჟა, -ჟნ, -იკ, -ილ, -ელ სუფიქსებთან ერთად უძველესი დროიდან მოყოლებული დაცულია ქართულ ანთროპონიმიაში.

-ა საკუთრივ საალერსო ფორმებს აწარმოებს და ამასთან ერთად მაკნინებელიცაა. კაც ლექსემა -ა-ს დამატებით სემანტიკურად პატარა კაცსაც ნიშნავს და დამცირების იერსახესაც გვაჩვენებს. ასეთივეა ქალ-ა ('პატარა ქალი'), ვაჟ-ა, ბერ-ა, ბაჩ-ა, კაბ-ა, ძაძ-ა, ქუც-ა, ჯორ-ა... ა. შანიძე ამბობს: „კნინობითის ა გვაქვს ადამიანთა საკუთარ სახელებში: ბეჟან-ა, დავით-ა, სიმონ-ა, ლუარსაბ-ა, დარეჯან-ა, საბედ-ა (ელისაბედ-ა), იმედ-ა და მისთ. იგივე ა არის ასეთ სახელებში: პეტრი-ა, პავლი-ა, გიგუ-ა, ვასუ-ა, ნინუ-ა, თიკუ-ა და სხვ. (მოსალოდნელი იყო: პეტრე-ა, პავლე-ა, გიგო-ა, ვასო-ა, ნინო-ა, თიკო-ა)“<sup>1</sup>. -ა ელემენტი ნასესხებ ლექსემებსაც გადაიყვანს ხოლმე ანთროპონიმთა თანრიგში, რაც სწორად აქვს შენიშნული მ. ჭიქიასაც: თურქ. ალთუნ (altın 'ოქრო') — ალთუნ-ა (შემონახულია გვარში: ალთუნ-ა-შვილ-ი), თურქ. საღირ (sayır 'ყრუ'), — საღირ-ა (შემონახულია გვარში: საღირ-ა-შვილ-ი)<sup>2</sup>.

-ჟა მაკნინებელი ელემენტი ორ ვარიანტადაა რეალიზებული; ა) დამოუკიდებლად: ცუბ-ჟა-ი, ჯატ-ჟა-ი... ბ) -ა-ს დართვით. დედ-ჟა-ა ('პატარა დედა'), ქალ-ჟა-ა ('პატარა ქალი'), ხან-ჟა-ა ('მცირე ხანი'), წარ-ჟა-ა... სემანტიკა ცუბ-, წარ-, ჯატ- ფუძეებისა გაუხსნელია, დედ-ქალ-, ხან- ჩვეულებრივი აპელატივებია, რომელთა მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია. მათი გადასვლა ანთროპონიმთა თანრიგში -ჟა-ა ელემენტის დართვამ გამოიწვია. -ჟა-ა სახელს კნინობითობის ელფერს აძლევს საერთოდ, მაგრამ ასე წარმოქმნილ სახელთა ფონდიდან მხოლოდ ერთი წყებაა დატვირთული ანთროპონიმის ფუნქციით. -ჟა-ა ერთნაირად დაერთვის დედ-, ქალ- და ცხენ-, სახლ- ფუძეებს, მაგრამ პირველი წყვილიდან ანთროპონიმებს აწარმოებს (შდრ.: დედ-ჟა-ა, ქალ-ჟა-ა), მეორე წყვილიდან კი — კნინობით-მოფერებით სახელებს (შდრ.: ცხენ-ჟა-ა 'პატარა ცხენი', სახლ-ჟა-ა 'პატარა სახლი').

ფუნქციურად -ჟა-ა ელემენტის ტოლფარდია -ჟნ-ა, რომელიც უპირატესად ერთ ვარიანტადაა რეალიზებული: ბაბ-ჟნ-ა, დედ-ჟნ-ა, ციცი-ჟნ-ა, ფაჩ-ჟნ-ა, თაკ-ჟნ-ა და მისთ. ბაბ-, დედ-, ციცი-, ფაჩ-, თაკ- და ა. შ. რომ ანთროპონიმთა ფუძეებია, ჩანს გვარსახელებიდან (შდრ.: ბაბ-ჟნ-ა-შვილი, დედ-ჟნ-ა-შვილი, ფაჩ-ჟნ-ა-შვილ-ი, თაკ-ჟნ-ა-შვილ-ი,...), მაგრამ მათი სემანტიკა უცნობია, თუმცა აპელატივთა როლს რომ ასრულებენ, ეს უდავოა.

ასევე უპირატესად ერთ ვარიანტად გვხვდება -იკ-ა-ც, რომელიც, -უკ-ა-ა-სა და უნახ მსგავსად, პროდუქტიულია როგორც სალიტერატურო ენაში, ისე კილო-თქმებში. ჩვეულებრივ ის მაკნინებელია, ზოლო სახელს მოფერებით-საალერსო იერს -ო-ს დამატებით აძლევს: ბაბ-იკ-ა, დედ-იკ-ა, დოდ-იკ-ა, მამ-იკ-ა, ხარ-იკ-ა, ხუს-იკ-ა, ჯან-იკ-ა... ან: სად-იკ-ო, თალ-იკ-ო, გულ-იკ-ო, სულ-იკ-ო, ფეფ-იკ-ო, ქიქ-იკ-ო,... -იკ ვარიანტი ჩანს -უკ-ისა ამისთანა შემთხვევებში: ქალ-იკ-ა||ქალ-უკ-ა, დედ-იკ-ა||დედ-უკ-ა, ძამ-იკ-ა||ძამ-უკ-ა... (შდრ.: ქალ-იკ-ა-შვილ-ი||ქალ-უკ-ა-შვილ-ი, ძამ-იკ-ა-შვილ-ი||ძამ-უკ-ა-შვილ-ი და მისთ. გვარსახელები).

საალერსო-მოფერებით სახელთა საწარმოებლად ქართულში ასევე პროდუქტიულია -ილ-ა, -ელ-ა, -ულ-ა ელემენტები. ა) -ილ-ა: დედ-ილ-ა, კიკ-ილ-ა, ქიქ-ილ-ა, ხუხ-ილ-ა,... (შდრ.: კიკ-ილ-ა-შვილ-ი, ხუხ-ილ-ა-შვილ-ი და მისთ. გვარსახელები); ბ) -ელ-ა: ძამ-ელ-ა, კეკ-ელ-ა, ფეფ-ელ-ა, ქექ-ელ-ა... (შდრ.: ძამ-ელ-ა-შვილ-ი, ფეფ-ელ-ა-შვილ-ი, ქექ-ელ-ა-შვილ-ი...). -ელ-ა დამცირებით სახელსაც აწარმოებს: კაც-ი-ა — კაც-ი-ელ-ა, გოგ-ი-ა — გოგ-ი-ელ-ა და ა. შ. არაიშვიათია ორმაგი -იკ-ელ-ა სუფიქსის ხმარებაც, რაც უფრო კილო-თქმებში დასტურდება: პეტრ-იკ-ელ-ა (უნდა ყოფილიყო: პეტრე-იკ-ელ-ა), დათ-იკ-ელ-ა (უნდა ყოფილიყო: დათ-იკ-ა-ელ-ა, შდრ. გვარსახელი: დათ-იკ-ა-შვილ-ი), შალ-იკ-ელ-ა (უნდა ყოფილიყო: შალ-იკ-ა-ელ-ა, შდრ. გვარსახელი: შალ-იკ-ა-შვილ-ი), მას-იკ-ელ-ა, მარ-იკ-ელ-ა და მისთ. ა. შანიძეს შენიშნული აქვს -უნ-ა-სა და -უკ-ა-ს პარალელურად ხმარების შემთხვევები ანთროპონიმებში: გლახ-უნ-ა, გლახ-უკ-ა და ა. შ.<sup>3</sup>; გ) -ულ-ა: ძამ-ულ-ა, ხუტ-ულ-ა, ხუჭ-ულ-ა, ჯუბ-ულ-ა... ხუტ-ულ-ა მოფერებითი სახელია: 'პატარა ხუტა'.

ამრიგად, ქართულ საკუთარ სახელთა დიდი ფონდი კნინობით-მოფერებითობის ელემენტებითაა წარმოდგენილი აპელატივთა კლასის ლექსემათა ფუძეებიდან. აქ ძირითად ადგილს ცyc (ბახ-ა. ბერ-ა), cvcv (ხუხუ, ცაცო) სტრუქტურები იჭერენ. არაიშვიათია სხვა მოდელებიც vcv (აბა, ეხო), vcvv (ოღია, ოჩია) და ა. შ. ჩვენს ლექსიკონში შეტანილი მასალა<sup>4</sup> გვაფიქრებინებს, რომ პირველადი უნდა იყოს ოcvc, cvcv ტიპის სახელები, რომელთა ფუძეებში სავარაუდოა ხუთივე ვოკალი (ა, ე, ი, ო, უ) და ნებისმიერი კონსონანტი.

კოლხური არსებითად იმეორებს ქართულის წარმებს: მის ორსავე დიალექტში — ლახურშიცა და მეგრულშიც, -ა(//-უა) ელემენტი ანთროპონიმებს აწარმოებს აპელატივთა ფუძეებიდან და მათ კნინობით-მოფერებითობის იერსახესაც უნარჩუნებს.

ა) ლაზურში პირის საკუთარი სახელის მოფერებითი ფორმა გად-  
მოიციემა აპელატივის დეზინტეგრაციით, რაც უპირატესად ნასესხებ  
საკუთარ სახელებში დასტურდება: იბრაჰიმ-ის დეზინტეგრაციით.  
გვაქვს იბა (უნდა გვქონდეს იბრა), სადაც აუსლაუტური -ა მაკინე-  
ბელი სუფიქსია (ქართ. -ა-ს ფარდი, შდრ.: ქალ-ა). ჰასან სახელს მოუ-  
ცია ქაცა (უნდა გვქონოდა ჰასა), მუსტაფა-ს — ტაფა (უნდა გვქონ-  
ნოდა სტაფა) <sup>5</sup> და ა. შ.

ბ) -ა ელემენტს მეგრულშიაც იგივე ფუნქცია აქვს. პირის საკუ-  
თარი სახელის კნინობით-მოფერებითობის ფორმები აქაც აპელატივის  
დეზინტეგრაციით წარმოებს. ილარიონ-ის დეზინტეგრაციის შედეგად  
გვაქვს ილა, თამარ-იდან — თამუნი-ა, კაპუნი-დან — კაპუნი-ა<sup>6</sup> და ა. შ.  
-ა ელემენტი ფუძის აუსლაუტში ქმნის -ო-ა კომბინაციას (მაგ., ბაჟი-  
-ი-ა, ბატე-ი-ა, ბატუ-ი-ა, კოჩო-ი-ა, პიხუ-ი-ა...), ხოლო თანხმოვანზე  
დაბოლოებულ ფუძეთა ძირითად ფონდში კი უცვლელადაა დაცული.  
(მაგ., ბაჯ-ა, ბეთ-ა, ბეჯგ-ა, გვაძ-ა, ციბ-ა, ცუქ-ა და მისთ.).

კნინობით-მოფერებითობის -ა ელემენტი საერთოა ქართულისა და  
კოლხურისათვის, მაგრამ სვანური აქედან განცალკევებით დგას, სვა-  
ნური იცავს კონოტატივის ფუძიდან დენოტატივის განვითარების სა-  
ერთო ტიპოლოგიურ მდგომარეობას, ხოლო ენობრივი რეალიზაცია  
ამისა სხვადასხვაა. ქართულ-კოლხური -ა ელემენტის ეკვივალენტად  
სვანურში გვევლინება -ილ, -ილ, -ნლ, -ნლ ელემენტები<sup>7</sup>. ა) -ილ: ბიტ-  
ილ, დოდ-ილ, მუშ-ილ... ბ) -ილ: ბიდ-ილ, დეკ-ილ, ფეკ-ილ... გ) -ნლ:  
ბიტ-ნლ, გუჯ-ნლ, მაღ-ნლ... დ) -ნლ: ბიბ-ნლ, ბიჩ-ნლ, ტუფ-ნლ... ე) -ნლ:  
ბით-ნლ, კუქ-ნლ, მეს-ნლ...

სახელთა კონოტაცია და აქედან დენოტატივის გამოყოფა უნივერ-  
სალური გავრცელების პროცესი ყოფილა. ლექსემათა სიგნიფიკაცია  
და ინტენციანაცია თავისთავად მოწმობს კონოტატივის ინვარიანტულ  
სისტემას. აპელატივის გარკვეულ ძირეულ მორფემას ენა კონოტატი-  
ვად იყენებს და -ა ელემენტის (ვარიანტებითა და ეკვივალენტები-  
თურთ) მოშველიებით დენოტატივს ქმნის: ფოთოლ—ფოთოლ-ა,  
ბერ — ბერ-ა, თავ — თავ-ა, ცივ — ცივ-ა. ამქამად ფოთოლ-, ბერ-  
თავ-, ცივ- დენოტატივები ენაში თითქოს ცალკე აღარაა შემონახული.  
მაგრამ დაცულია გვარსახელებში: ფოთოლ-ა-ძე, ბერ-ა-ძე, თავ-ა-ძე,  
ცივ-ა-ძე, როგორც უდავო მოწმე გარდასულ დროთა ენობრივი ნორ-  
მისა. ამ ენობრივი პროცესის რეალიზაციის არეალურად ლოკალიზება  
გაუმართლებელია, რადგანაც მაკინებელ-სამოფერებო აფიქსებით  
პირის საკუთარ სახელთა წარმოება საერთო კანონზომიერებაა, ეს  
პროცესი, რასაც მრავალი ენა იცნობს, ე. კუროლოვიჩმა საკუთარი  
სახელების მორფოლოგიურ თავისებურებად, მათ სპეციფიკად მიიჩ-

ნია<sup>8</sup>. ჩვენ კი მას ვთვლით კონოტატივის კლასიდან სახელის დენოტატივთა (ანთროპონიმთა) თანრიგში გადასვლის ერთ-ერთ ძირითად წესად, რასაც ონომასტიკური კანონის ძალა აქვს.

კონოტატივთა ის წრე, საიდანაც სათავეს იღებს პირის საკუთარი სახელი, შეზღუდულად გამოიყურება, მაგრამ ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ სუბსტანტივურ ერთეულებთან ერთად მრავლად გვაქვს ზმნებიც, სახელზმნებიც, ზოგჯერ ზმნისზედებიცა და სხვა არათავისთავადი სიტყვებიც. ამის პოტენციური შესაძლებლობა მეტნაკლებად ყველა მეტყველების ნაწილშია ჩამარჩული. ა. ვ. სუპერანსკია ხსენებული წრიდან ერთეულთა გამოყოფას უკავშირებს სახელის დასარქმევ ობიექტთა ხასიათს<sup>9</sup>, რასაც ანტროპონიმთა მეტად განსაზღვრული ფონდი ემოწმება, მაგრამ ისტორიულად დენოტატივთა კლასი მოტივირებული ლექსემებით უფრო მდიდარი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დღესაა. იგი მუდამ აპელატივთა სხვადასხვა სემანტიკური რკალის ერთობლიობას გულისხმობდა. ახსნა-ეტიმოლოგიას ამჟამად დენოტატივთა ძირეული მორფემების მხოლოდ მცირე ნაწილი ექვემდებარება. მისი მთავარი ფონდები, მათ შორის ადგილობრივიცა და ნასესხებიც, მოტივირების დონეზე აუხსნელი რჩება. ასე თუ ისე ჩვენთვის ნათელია ქართველურ ენებში რეალიზებულ ხატ-, სულ-, გულ- და მისთ. ტიპის ერთეულთა სემანტიკა (შდრ.: ხატ-ი-ა, გულ-იკ-ო, სულ-ა). მაგრამ ეტიმოლოგიას არ ექვემდებარება აგრეთვე ამავე ენებში რეალიზებული კაკ-(||ქაქ-), ხოტ-, დათ-(დათ-ა, დათ-უნ-ა), თაკ (თაკ-ო), უტუ, ბათ-(ბათ-ა, ბათ-ო, ბათ-უ)<sup>10</sup>, რუს (რუს-ა)<sup>11</sup> და მისთ. ტიპის ანთროპონიმები. ბევრი მათგანი, ცხადია, შეთვისებული ჩანს სხვა ენებიდან, რაც კიდევ უფრო ართულებს ამისთანა სახელების სემანტიკურ ანალიზს.

საზოგადო სახელის გადასვლა საკუთარ სახელთა თანრიგში, რა-შდენადაც გაირკვა, ისეთივე ბუნებრივია, როგორც შებრუნებული პროცესი, საკუთარი სახელის გადასვლა საზოგადო სახელთა თანრიგში. ამიტომ ზუსტი საზღვრის დაწესება საზოგადო სახელსა და საკუთარ სახელს შორის ძნელია, მათ შორის სხვაობა, ო. იესპერსენის სიტყვებით რომ ვთქვათ, რიცხობრივი ხასიათისაა და არა თვისობრივისა<sup>12</sup>.

#### ლიტერატურა და შენიშვნები

1. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 120.

2. მ. ჭიქია, თურქული წარმოშობის ანთროპონიმები ქართულში, „აღმოსავლური ფილოლოგია“, III, თბ., 1973, გვ. 216.

3. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 121—123.
  4. ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1967.
  5. Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка, МЯЯ, II, СПб. 1910, § 115, с. 72.
  6. И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, МЯЯ, VII, СПб, 1914, § 126, с. 125.
  7. აღ. ონიანის ცნობით, სვანურის კილო-თქმებში ისმის აგრეთვე ამათი ვარიანტები: -რლ(ღ)||-რლუ, -რლ(ღ)||-რლუ, -რლ(ღ)||-რლუ, -რლ(ღ)||-რლუ, -რლ(ღ)||-რლუ.
  8. Е. Курилов и ч, Очерки по лингвистике, М., 1963, с. 260.
  9. А. В. Супера н с к а я, Общая теория имени собственного, М., 1973, с. 106.
  10. გ. ე ო რ დ ა ნ ი ა, მეხურელნი, თბ., 1956, გვ. 125—179; შდრ., ჩეენი: ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 19—21.
  11. ც. ც ო ხ ა ძ ე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, X—XV სს.), თბ., 1956, გვ. 47.
  12. О. Есперсен, Философия грамматики, М., 1958, с. 77.
- „აღმოსავლური ფილოლოგია“, V, თბ., 1983, გვ. 12—18.

## ანტონიო ჯარდინა — ქართული გრამატიკის შემდგენელი XVII საუკუნეში

ანტონიო ჯარდინა, იტალიელი მისიონერი, საქართველოში ჩამოვიდა 1634 წ. მოღვაწეობა დაიწყო ჯერ გორში, შემდეგ განაგრძო ოზურგეთში, სადაც დააარსა ქართული სკოლა და დედანას ასწავლიდა ადგილობრივ ბავშვებს, შექმნა პირველი ქართული გრამატიკა. გარდაიცვალა 1637 წ. ასეთია მისი საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის სქემატური ქარგა. სამწუხაროდ, დღემდე განათლებული და კეთილშობილი მოღვაწე ისე გარდაიცვალა (დაახლოებით ორმოცდაათი წლისა), რომ კვალი ვერ დატოვა. ამ მცირე ცნობის მიზანია იმის ნათელყოფა, თუ რა დამსახურება მიუძღვის ანტონიო ჯარდინას ქართული კულტურის წინაშე, სად შექმნა ქართული ენის გრამატიკა, სად მდებარეობდა მის მიერ დაარსებული ქართული სკოლა. 1987 წ. მას შეუსრულდა დაბადების 400 და გარდაცვალების 350 წელი.

ცნობილია, რომ იტალიელი მისიონერები საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში მიდი-მოდიოდნენ. მათი მიმოსვლა XIII ს. დაიწყო და მეტ-ნაკლები ინტენსივობით შემდეგ საუკუნეებშიაც გრძელდებოდა. მოღვაწეობის ცენტრებად მისიონერებს არჩეული ჰქონდათ გორი, ახალციხე, თბილისი, ქუთაისი, ოდიში, ოზურგეთი. ამ საკითხზე არსებობს საინტერესო სპეციალური ლიტერატურა, რომლის მი-

მოხილვა ამჟამად ჩემს მიზანს არ შეადგენს. რადგანაც ანტონიო ჯარდინას მოღვაწეობა თითქმის მთლიანად ოზურგეთს უკავშირდება: აქ შექმნა მან ქართული სკოლა და ქართული ენის გრამატიკაც, მეც ამ საკითხებზე შეეჩერდები.

ოზურგეთში (გურიაში) იტალიელი მისიონერები პირველად XVII ს. 30-იან წლებში გამოჩნდნენ. მ. თამარაშვილის ცნობით, გურიის მისიონი დაიწყო 1634 წ., ხოლო „გურიის პირველი მისიონერები იყვნენ პატრი ქრისტეფორე კასტელი, პატრი ანტონ ჯარდინა და ძმა ქლაუდიო“ („ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“, თბ., 1902, გვ. 150—151), რომლებიც ოზურგეთს მოსულან მალაქია გურიელის მოწვევითა და მისიონთა მეთაურის, პეტრე ავიტაბილეს რეკომენდაციით. მისიონერები ქადაგებდნენ კათოლიციზმის დოგმებს, ამასთან ერთად, ხალხს აცნობდნენ სოფლის მეურნეობის აგროწესებს, მკურნალობდნენ ავადმყოფებს, ავრცელებდნენ მწიგნობრობას, საოჯახო მეურნეობის ევროპულ ჩვეულებებს. ქრისტეფორე კასტელი, კერძოდ, ფრიად განათლებული პიროვნება ყოფილა, მხატვარი, ექიმი, მევენახე. მან გააკეთა ასობით უნიკალური ჩანახატი. მისი ჩვენამდის მოღწეული სურათების ერთი ნაწილის მშვენიერი ალბომი გამოკლევითა და კომენტარებით გამოსცა ბეჟან გიორგაძემ (დონ კრისტოფორო დე კასტელი, „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“, თბ., 1977). კასტელის ალბომი ჩვენი ისტორიის ძვირფასი დოკუმენტური წყაროა, ამსახველი ხალხის (ქართლელების, კახელების, მესხების, ჯავახების, იმერლების, მეგრელების, გურულების, აფხაზების, ჩერქეზებისა და ა. შ.) რეალური ცხოვრების, კულტურისა და ეკონომიკური ყოფისა XVII ს. შუა წლებში. ალბომში შესული ჩანახატების მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნილია ავტორის გურიაში მოღვაწეობის დროს (1634—1639 წწ.) და სავსებით ბუნებრივია ამ ნაშრომის ასე აკადემიურად გამოცემა.

სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეგვიძლია ანტონიო ჯარდინის მოღვაწეობაზე, თუმცა, როგორც ირკვევა, მასაც არანაკლები დამსახურება მიუძღვის. რაც მთავარია, ანტონიო ჯარდინა ჩინებულად ფლობდა ქართულ ენას, იცოდა სოფლის მეურნეობის ევროპული წესები, ადამიანის მკურნალობა, იყო ექიმი. ყოველივე ამასთან ერთად, გახლდათ დახელოვნებული მასწავლებელი. ჯარდინას მოღვაწეობის ამსახველი ცნობები, რომლებიც დაცულია ვატიკანის არქივში, იქიდან პირველად გამოკრიბა და გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა. ეს ცნობები განხილულია ჩემს აღრიხდელ სტატიაში „სად დაიწერა პირველი ქართული გრამატიკა უცხოურ ენაზე“, რომელიც პირველად 1951 წ. გამოქვეყნდა („სტალინელი“, № 229), შემდეგ კი — 1954 წ. („საბჭოთა



ოსეთი“, № 108), ხოლო აქედან გადაიბეჭდა ავტორის შრომათა კრებულში („ფილოლოგიის ჩანაწერები“, თბ., 1980, გვ. 17-21) და მათზე აქ აღარ შევჩერდები.

რა მიზნები ჰქონდათ იტალიელ მისიონერებს? რისთვის მოდიოდნენ ისინი საქართველოში? ამ მიზნებზე ლაპარაკია რომის პაპის მიმართებებში საქართველოს სამეფოებისა და სამთავროებებისადმი. რომის პაპი, ურბანოს VIII, 1636 წ. 4 ივლისს, კერძოდ, გურიის მთავარს შემდეგს სწერდა: „ქართველ გურიელ მთავარს, კეთილშობილო მთავარო, მშვიდობა და ღვთიური მადლის ნათელი! რომის ეკლესიის მღვდლები საქართველოს მხარეს მოდიან არა მწყურვალნი იქროსი, რომელმაც უწინ, როგორც მოგვითხრობენ, საბერძნეთის გმირ არგონავტებს დაატოვებინა ეგვიპტის ზღვის ნაპირები და მოიყვანა რიონის მდინარესთან საარაკო საშიშარის გზებით. ჩვენი წარმოგზავნილი მღვდლები სტოვებენ თავიანთ ქვეყანას, რომლის პოზიციას და სახელგანთქმულობას შეუძლია მგზავრები მიიზიდოს; არც უშინდებიან ეგრეთ შორეული მგზავრობის დიდ გაჭირვებას; უიარაოდ და უჭაროდ მოდიან მანდეთ არა იმისათვის, რომ შეიძინონ სიმდიდრე, არამედ ხალხის ცხოვნებისათვის იზრუნონ. ეს არის მათი ერთადერთი ნატურა. ამიტომ ღირსნი არიან, რომ პატივით მიიღოთ თქვენს საბრძანებელში. გადაავლეთ თვალი ძველ დროებს, ნუთუ შეგიძლიათ ჰპოვოთ მისთანა ბარბაროსი ერი, მის სასიკეთოდ მოსულთ მტრულად და უღმერთოდ მოპყრობოდეს? თქვენ კარგად უწყით, რომ პატივი თქვენის ღირსებისა დამყარებულია დიდების ნატურასა, კეთილის ქმნასა და უმანკოთა მფარველობაზე ამიტომ ჩვენც გთხოვთ, რომ თქვენმა წარჩინებულებამ მათ ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინოს, რადგან თქვენის დიდების აღმატებისათვის საშრომელად მოდიან. უკეთუ ეს აღასრულეთ (იმედი გვაქვს, ჩვენი მოლოდინი ამით არ შეიქმნეს), სახელგანთქმულობა თქვენი მთავრობისა, მსწრაფლ გარდმოივლის კავკასიის მთებს, შავ ზღვას, მოაღწევს რომამდე და მიიღებს შესხმას“ (მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 151—152). ეს დაპირება შესრულდა.

მისიონერებს, უეჭველია, თავიანთი მესვეურებისაგან სხვა (პოლიტიკური, დიპლომატიური) დავალებებიც ექნებოდათ, მაგრამ ამათზე პაპის მიმართებებში ლაპარაკი არ არის.

ანტონიო ჯარდინა და მისი ორი მეგობარი (კასტელი და ქლაუდიო) გურიის მთავრის დავალებით გორიდან ოზურგეთს ჩამოიყვანა შემოქმედელმა ეპისკოპოსმა, რომელიც მათ შეხვდა და გაეცნო გორში, მარია მღვდლისა და როსტომ მეფის საქორწინო ცერემონიალზე,

დიდი ამბით რომ ჩატარდა. მისიონერები გურიელის კარზე პატივის-  
ცემით მიიღეს. მთავარმა მალაქიამ მათ თავის რეზიდენციაში მიუჩი-  
ნა ბინა, აუშენა ეკლესია, გაუხსნა სკოლა, რომელშიაც ჭარდინა ქარ-  
თულ გრამატიკასა და სხვა საგნებს ასწავლიდა. მ. თამარაშვილი მო-  
გვითხრობს: „მალაქიამ პატრებს იქვე თვითონვე დააარსებინა სკო-  
ლა და რამდენიმე ბავშვი მისცა გასაწვრთნელად. პატრებმაც შემოკ-  
რიბეს აქა-იქიდან ბავშვები, მეტადრე ისინი, რომელთა თათრებზე გა-  
ყიდვა შეეძლოთ მშობლებს. დაუწყეს მათ სწავლება თუ სასულიერო  
და თუ სახორციელო საგნებისა“ (იქვე, გვ. 155). ამ ცნობას ადასტუ-  
რებს მისიონერი კლემენტე გალანოც (იქვე). „ანტონ ჭარდინამ, —  
გადმოგვცემს მ. თამარაშვილი, — კარგად იცოდა ქართული ენა, რო-  
გორც ლამბერტი მოწმობს, როგორც თავის დედაენას, ქართულს ისე  
ლაპარაკობდაო. ამან შეადგინა ქართული გრამატიკა და დააწყებინა  
ყმაწვილებს მისი შესწავლა. ყმაწვილები ჩქარა დაწინაურდნენ სწავ-  
ლაში და ყველასათვის გასაოცარნი შეიქმნენ. მისიონერები ძლიერ  
აქებდნენ გურულების ნიჭიერებას და მათ ყველაფრის ადვილად შე-  
თვისების უნარსა. გურულების საოცარის ნიჭის მიზეზით მისიონერებ-  
მა დააპირეს, რამდენიმე ყმაწვილი იტალიაში გაეგზავნათ, რათა იქ  
მაღალი სწავლა მიეღოთ და შემდგომ დაბრუნებულნიყვენ თავიანთ  
მამულში საშრომელად. მაგრამ მისიონერები მტრებსა მოერიდნენ,  
იქნება ხალხში ხმა გაავრცელონ და თქვან, რომ პატრებმა ყმაწვილები  
თათრებს მიჰყიდესო. ამის გამო (მაშინ) ყმაწვილები ევროპაში აღარ  
გაგზავნეს“ (იქვე, გვ. 156). ჭარდინა „ძლიერ ეწინააღმდეგა ერს იმ  
ბარბაროსული ჩვეულებისათვის, რომ ყმაწვილებს მაჰმადიანებზე  
ყიდდნენ და ბევრს ხელი ააღებინა ამ სამარცხვინო ვაჭრობაზე“. ლე-  
გენდას ჰგავს მისი გარდაცვალება: „შემოქმედელ ეპისკოპოსთან  
(ოდიშში) მგზავრობის დროს, რათა მზეს იმისთვის არ ევნო, თავისი  
ქუდი მისცა, რაის გამო დასნეულდა და სამეგრელოს ქალაქ ოდიშში  
ანგელოზებრივი ცხოვრებით სიწმინდის ნიშნით მიიცვალა 1637 წლის  
აგვისტოს თვეში“ (იქვე, გვ. 157—158).

ჭარდინას გარდაცვალებამ საყოველთაო გულსტიკივილი გამოიწ-  
ვია. კასტელს ხელიდან გამოეცალა მრავალნადადი თანამემამულე.  
მისი სიკვდილი, ცხადია, პირველყოვლისა უმძიმესი დანაკლისი იყო  
ოზურგეთის მისიონერთა სკოლისათვის. ამის შემდეგ აღარაა ცნობი-  
ლი, თუ რა ბედი ეწია ამ სკოლას და აქ ჭარდინას მიერ შედგენილ  
გრამატიკას. უნდა ვიფიქროთ, რომ მის მემკვიდრეობასა და არქივს  
სათუთად მოუვლიდნენ. სწორედ რამდენიმე თვის შემდეგ, 1638 წ.  
დეკემბერში, ოზურგეთს ახალი მისიონერები მოვიდნენ — ფრანჩესკე  
მარია მაჯო, ვინჩენცო ჭილიბერტი, იაკობ არგოლიოზო და ანდრია

ლიბომანო. მაჯომ ოზურგეთის მისიონერთა სკოლაშიც განაგრძო მასწავლებლობა. და ეკვი არ არის, რომ აქ ის ჯარდინას არქივსაც, მთელ მეშვედრეობასაც გაეცნობოდა და მოუვლიდა. მართალია, მაჯოს ქართული ენა ისე სრულყოფილად არ სცოდნია, როგორც ჯარდინამ იცოდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1643 წ., მან შეძლო ქართული ენის გრამატიკის გამოცემა ლათინურ ენაზე. ამიტომ ამ წიგნში რაღაც ინფორმაცია ჯარდინას ხელნაწერი გრამატიკიდანაც უთუოდ უნდა იყოს შესული. ჯარდინას შრომა კი ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის. მე დასაბუთებულად მიმაჩნია დებულება: ფრანჩისკე მარია მაჯოს თავისი ქართული ენის გრამატიკის შედგენა დაუწყია 1637 წელს გორში, განუგრძია ოზურგეთში 1638 წლის დეკემბრიდან, ხოლო მისთვის საბოლოო სახე გამოქვეყნების წინ მიუცია. მაჯოს ნაშრომი პირველი ქართული ბექტური გრამატიკაა უცხოურ (ლათინურ) ენაზე. პირველი ქართული ხელნაწერი გრამატიკა უცხოურ ენაზე კი ეკუთვნის ანტონიო ჯარდინას, რომელიც მაჯოს შრომაზე აღრეა შედგენილი. მისი რაღაც ნაწილი, როგორც ითქვა, თანამემამულის ბექტურ ნაშრომში უნდა იყოს შეტანილი („ფილოლოგის ჩანაწერები“, თბ., 1980, გვ. 21). მაჯოს გრამატიკა პირველად შეისწავლა, ვრცლად აღწერა, გაპარული შეცდომები გამოავლინა და შეაფასა ა. ცაგარელმა (A. Цагарели, О грамматической литературе груз. яз., СПб., 1873, გვ. 46—55). შემდეგ ეგევე შრომა შეასრულა ა. ჩიქობავამაც („იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“, თბ., 1965, გვ. 26—56), მაგრამ ა. ცაგარელის ღვაწლის აღნიშვნა მაჯოს გრამატიკის შესწავლაში მას საკვიროდ არ დაუნახავს<sup>1</sup> (თუმცა ა. ცა-

<sup>1</sup> ამ წინა ორ სრულიად უწყინარ სტრიქონს, რომელიც პირველად „დროშაში“ დაიბეჭდა (№ 8, 1988), ვ. შენგელიამ „სამწუხარო გაუგებრობა“ უწოდა („ლიტ. საქ.“, № 48, 1988). იძულებული ვარ, აღვადგინო სიმართლე და გავფანტო ორმაგი გაუგებრობა, რასაც ვ. შენგელიას ეს უაღვილო შენიშვნა იწვევს. აკად. ა. ჩიქობავამ ა. ცაგარლის ღვაწლის აღნიშვნა მაჯოს გრამატიკის შესწავლაში ნამდვილად არ ჩათვალა საკვიროდ, თორემ აღნიშნავდა კიდევ. მეცნიერი მაჯოს შრომის შესახებ მსჯელობს თავისი სახელმძღვანელოს 26—56-ე გვერდებზე, მაგრამ აქ, ამ გვერდებზე, ა. ცაგარლის გვარი ნახსენები არ არის. წიგნის წინასიტყვაობაში კი ნათქვამია: ა. ცაგარელი „უცხოელ ავტორთა შრომებიდან შედარებით ვრცლად ეხება მაჯოს გრამატიკას“ (გვ. X) და აქ დასმულია წერტილი. ა. ცაგარელი განა მხოლოდ ეხება მაჯოს გრამატიკას“ და მეტი არაფერი? საზოგადოებამ კი კარგად იცის, რომ ა. ცაგარელი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც მოიძია, საფუძვლიანად შეაფასა მაჯოს გრამატიკა და მისი ავ-კარგი პირველად აუწყა მეცნიერულ სამყაროს ჯერ კიდევ 1873 წელს. სწორედ ამის თქმა დაამშვენებდა სახელმძღვანელოს, რომელშიაც, სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ა. ცაგარლის გვარი კია დასა-

გარლის ზემოხსენებულ წიგნს სხვა საკითხებთან დაკავშირებით ავტორი პატივისცემით იმორწმებას). ნ. კ. ორლოვსკაიამ მთლიანად გაიზიარა ამ სტრიქონების ავტორის აზრი ჯარდინას გრამატიკის ბედის შესახებ (Н. К. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII вв., თბ., 1965, გვ. 198).

ჯარდინას არქივი უცნობია. შემონახულია მხოლოდ მისი ერთი მიმართვა გურიის მთავარ მალაქიასადმი ოზურგეთში პირველჩამოსვლის დღეს. მიმართვის ტექსტიდან კარგად ჩანს ავტორის მალალი მომზადება და მიდრეკილებანი. სიტყვა, როგორც ჩანს, ქართულად ყოფილა წარმოთქმული. იმის გამო, რომ მიმართვის ტექსტი მრავალმხრივთაა საინტერესო თანამედროვე მკითხველისათვის, მომყავს მთლიანად მ. თამარაშვილის პირველპუბლიკაციის მიხედვით. „მთავარო დიდად სახიერო, ღმერთმა თქვენი ეპისკოპოსის შემოქმედელის გორში მოსვლა იმდენად სასარგებლო ჰყო ჩვენთვის, რომ მის უკეთესის ნატვრა აღარ შეიძლებოდა. ჩვენთვის უკეთესის ქმნა არ შეეძლო, რადგან გაგვიხსნა გზა, ვეთაყვანოთ ეგრეთ დიდ მთავარსა, რომელსაც დიდად უყვარს თავისი ერი და სავსეა სარწმუნოების სიყვარულით. თქვენ მიერ რა მოგვიწვია, დიდი სიხარულით აღვივსენით; სხვადასხვა საქმეებს რომ არ შევეყოვნებინეთ, აღფრთოვანებულნი მაშინვე მოვიდოდით ამ სამთავროში, სადაც კათოლიკე სარწმუნოებისათვის ამდენი სიკეთეა მოსალოდნელი. თქვენმა საყოველთაოდ განთქმულმა ღირსებამ გაგვაბედვინა თქვენებრ მთავრისათვის მოგვემართა. ვიცით, რომ მოწადინებული ბრძანდებით ჭეშმარიტების მოსასმენად და ჩვენც სხვა აღარავის ვეძებთ, კათალიკოსზე მეტად მოწადინებულ პირს ამ სამთავროში ჩვენ სხვას ვერ ვიპოვნით. სამოციქულო საყდრისაგან მიღებული კათოლიკე ჭეშმარიტებაა, რომელიც მოგვაქვს.

ხელეული, მაგრამ მისი ღვაწლის შესახებ კონკრეტულად მაჯოს გრამატიკის შესწავლაში აღნიშნული არ არის და გულისტვიფლსაც ეს იწვევს. ვ. შენგელიას უნდა შევახსენოთ, რომ მაჯოს გრამატიკას ადრე სხვა პირებიც, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც, ეხებოდნენ, მაგრამ მეცნიერს არც მათი ვინაობა გახსენებია. ამისთანა „გულმავიწყობა“ მას თავის დროზე უსაყვედურა ა. შანიძემ. ამავე ნიჟადაგზე აღმოცენდა კონფლიქტი ლ. კიკნაძესთან. აღარაფერს ვლაპარაკობ კონფლიქტებზე გ. წერეთელთან, ს. იორდანიშვილთან და სხვ. დღეს აბა ვინ არ იცის, რომ „არნ. ჩიქობავა კომპეტენტური მკვლევარი იყო, რომელიც სხვა ენებთან ერთად სრულყოფილად ფლობდა ლათინურს“, რომ მისი მსჯელობა მაჯოს გრამატიკის შესახებ „ორჯერ უფრო დიდა“ ა. ცაგარლის შრომასთან შედარებით. ყოველივე ეს თითქოს ასეა, მაგრამ შრომის სიმოკლე რაიმეს აშავებს? ან აძლევს ვინმეს უფლებას, რომ მას ჭვარი დაუსვას და არ მოიხსენიოს? ან კიდევ: ა. ცაგარელი ერთმან აღვიღო ხელწამოსაკრავი მეცნიერი იყო, სრულყოფილად არ ფლობდა ლათინურსა და სხვა ენებს? ასე რატომ უნდა დაუუპირისპიროთ ერთმანეთს ორი ცნობილი და დიდად პატივსაცემი მეცნიერი?

როდესაც თქვენი სამეფო სახიერებისაგან ნება მოგვეცა, მზალ ვართ, განვაცხადოთ იგი, რადგან შევიქმნებით მოძღვარნი და სხვათა მასწავლებლნი. აწ შორიდანვე ვხედავთ იმ განსაცდელს, რომელშიაც შემდგომ ჩაგვაგდებენ, ვისაც სძულსთ ჭეშმარიტება და არ უნდათ მისი მოსმენა. მაგრამ ამის სრულებით არ გვეშინია, თუნდაც სიკვდილი არ აგვეცდეს ჭეშმარიტების ქადაგებისათვის. ჩვენთვის თქვენისთანა პატრიარქ-მთავრის მფარველობაც კმარა, განვაცხადოთ: ვინც ნატრობს ცხოვრებას, მიიღოს ჭეშმარიტება, ხოლო ვისაც სიკვდილი უნდა, უარყოს იგი. ჩვენი მიზანი არის სულთა ცხოვნება. ამას ვეძიებთ მთავრის მფარველობით. ამიტომ უმდაბლესად გვედრებით, გაგვიხსნათ გზა, რათა ვეწიოთ წადილს“ (იქვე, გვ. 153). ფრიად საინტერესო დოკუმენტია.

შენახულია აგრეთვე ქრ. კასტელის ჩანახატი: „ანტონიო ჯარდინა და დე კასტელი მგზავრობაში დაღლილნი საქართველოს მიწაზე ისვენებენ“ (იხ. „ალბომი“, სურ. № 353). სურათზე სახეთა მკაფიოდ გარჩევა ძნელია, მაგრამ ჩანახატის უნიკალურობა თავისთავად ცხადია. კასტელის „ალბომში“ დაცულია მეორე იშვიათი ნახატიც: „უმშვენიერესი ვერცხლის ხატებით შემკული ეკლესია გურიაში“ (იხ. „ალბომი“, სურ. № 456). ეს ეკლესია აღბეჭდილი ჩანს № 425-ე სურათზეც.

სად იყო, სად მდებარეობდა მისიონერთა სკოლა? როგორც არსებული ცნობებიდან ირკვევა, ანტონიო ჯარდინას სკოლა გაუხსნა მალაქია გურიელმა თავისი ოზურგეთის რეზიდენციის მახლობლად (უფრო თვით სასახლის ეზოში!), იქვე აუშენა ეკლესიაც, კასტელის ალბომში დაცულია მთავრის რეზიდენციის ეზოს ჩანახატი (იხ. დონ კრისტოფორო დე კასტელი, „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“, თბ., 1977, სურ. № 425), რომელიც 1634—1637 წლების ეპოქას ეკუთვნის. ნახატზე სასახლესთან და ეკლესიასთან ერთად მოჩანს სხვა ნაგებობებიც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი ამ ნაგებობათაგანი არის სწორედ მისიონერთა სკოლა. ამ ვარაუდს 1987 წ. იელისში მხარი დაუჭირა კომპლექსურმა სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელშიაც მონაწილეობდნენ პროფ. იური სიხარულიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი გომარ სიხარულიძე და ამ სტრიქონების ავტორი. ექსპედიციამ სახალხო დეპუტატების ოზურგეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მაყვალა უღენტის ზელშეწყობითა და ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ე. გოგუაძის მონაწილეობით შეამოწმა გურიის მთავართა რეზიდენციების სავარაუდებელი ადგილმდებარეობა და მივიდა შემ-

დევ დასკვნამდის: მისიონერთა სადგომი და სკოლა უნდა ყოფილიყო იმ მიკრომიდამოებში (6-10 ჰექტრის ფართობზე), სადაც ამჟამად ჭალაქის თეატრი და 18-ე არმიის მუზეუმი მდებარეობს. აქ დაცულია გურიელთა სასახლის კედლებისა და საძირკვლის ნაშთები. მეორე მხრით, ამ მიკრორეგიონში მისიონის ადგილსამყოფელი რომ უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს სხვადასხვა დროს აქვე აღმოჩენილი იტალიური და სხვა უცხოური წარმოშობის მონეტები სწორედ 1630—1670 წლებისა. 1953 წ. ამ მიდამოებში, ორმოცი სანტიმეტრის სიღრმეში, აღმოჩნდა განძი — 8,5 კილოგრამი (414 ცალი) იტალიურ-ავსტრიული წარმოშობის ვერცხლის მონეტა, რომლის მცირე ნაწილი დაცულია ადგილობრივ მუზეუმში, მეტი კი—რესპუბლიკის განძთსაცავებში ინახება (თბილისში). ეს განძი, უნდა ვიფიქროთ, იტალიელ მისიონერებს ეკუთვნოდა და სწორედ მათ სადგომში ინახებოდა. 1984 წ. იმავე ადგილებში კვლავ აღმოჩენილა იტალიური მონეტები. აქედან მუზეუმში მოუტანიათ მხოლოდ ერთადერთი მონეტა (იქვეა გამოფენილი), დანარჩენი კი ავის მდომელთ წაულ-წამოულიათ და, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავინ იცის, სად ინახება ეს ძვირფასი განძი. ახალი აღმოჩენაც საფუძველს გვაძლევს, უფრო დაბეჯითებით ვიფიქროთ, რომ მისიონერთა სადგომი და სკოლა მდებარეობდა სწორედ ოზურგეთის რეზიდენციის ეზოში. ამ საკითხზე ახლა ჩადრმავებულად მუშაობს ახალგაზრდა მეცნიერი ე. გოგუაძე და, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის ჩქარა გავგახარებს სპეციალური ნაშრომით (ამასთან, დიდად დასანანია, რომ XVII ს. პირველი ნახევრის დროინდელი ამ ქართული სკოლის ბედით სპეციალისტები არ დაინტერესებულან!).

კომპლექსურმა ექსპედიციამ ადგილზე შეამოწმა აგრეთვე მთავართა საზაფხულო რეზიდენციების ნაშთები ნაგომარსა და უჩხუბში. უჩხუბის რეზიდენცია იმით იყო აღსანიშნავი, რომ XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში აქ ცხოვრობდა გურიის მთავრის ძმა, სამთავროს რეგენტი, ჭაიხოსრო, რომელიც ტახტის მცირეწლოვან მემკვიდრეს — მამიას ზრდიდა. საისტორიო წყაროებში მითითებულია, რომ უჩხუბში მას ჰქონდა მდიდრულად მორთული სასახლე, კარის ეკლესია, მარანი და აქ იმართებოდა უცხოელთა აუდენციები (ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985, გვ. 15). ამ სასახლის ლოკალიზაციასთან დაკავშირებული გადმოცემები მოგვაწოდეს უჩხუბის მკვიდრებმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გიორგი სალუქვაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა კუკური ცხომელიძემ, პედაგოგმა გენო ქილიფთარმა და სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ იური ბორჩხაძემ. მათი გადმოცემით, გურიის მთავარს აქ, სოფლის,

როგორც ბარის, ისე ზეგნის ზოლში — ახლანდელი ცხემლისხიდის მიკრორეგიონში, ჰქონია მოზრდილი მამული, რომელიც XIX ს. შუა წლებში თავად მაჭუტაძეს შეუძენია. ამჟამად ამ ადგილებში მჭიდრო დასახლებაა. სასახლე არ შენახულა.

1988 წ.

## შედარება და შეპირისპირება ნიკო ჩუბინაშვილის გრამატიკულსა და ლექსიკოლოგიურ ნაშრომებში

წინამდებარე ნარკვევის მიზანია გადმოსცეს ნიკო ჩუბინაშვილის კონცეფცია შედარებისა და შეპირისპირების, როგორც ენობრივი ფაქტების კვალიფიკაციის მეთოდების, შესახებ და გვაჩვენოს ის წვლილი, რომელიც ხსენებულმა ენათმეცნიერმა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის ზოგი საკვანძო საკითხის შესწავლაში შეიტანა ამ მეთოდების გამოყენებით.

1. ნიკო ჩუბინაშვილი (1790—1845) ქართული ენისა და კულტურის დაუღალავი მკვლევარი იყო. მან დაგვიტოვა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც, სამწუხაროდ, ჭერჯერობით არა თუ შესწავლილი, მთლიანად აღნუსხულიც კი არ არის. პირველი ცნობები ნიკო ჩუბინაშვილის სამეცნიერო ინტერესისა და შრომების შესახებ თავის დროზე გამოაქვეყნეს აკად. მ. ბროსემ<sup>1</sup>, პროფ. დ. ჩუბინაშვილმა<sup>2</sup> და პროფ. ა. ცაგარელმა<sup>3</sup>, რომელთაც მხოლოდ მოკლედ და მეტად ზოგადად აღნიშნეს მისი ღვაწლი ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკის შესწავლაში. მაგრამ საგანგებოდ ამ უაღრესად თავისებური და ნაყოფიერი მეცნიერის მემკვიდრეობას არავინ შეხეზია. მეტსაც ვიტყვი: გამოქვეყნებული პირველი ცნობებიც კი ღრმად ადვიწყებას მიეცა და შემდეგ აღარავის მოპკონებია. ეს არასასიამოვნო გარემოება, უწინარეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ ნიკო ჩუბინაშვილის გრამატიკული შენიშვნები და ლექსიკოგრაფიული ნაშრომები გამოუქვეყნებლადაა დარჩენილი, ინახება მანუსკრიპტთა-სეიფებში და ძნელად ხელმისაწვდომია არა მარტო ჩვეულებრივ მკითხველთათვის, არამედ სპეციალისტებისათვისაც კი. ერთი ნაწილი

<sup>1</sup> დ. ჩუბინოვი, ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი, სპბ., 1887, ბროსეს წინასიტყვაობა.

<sup>2</sup> Д. Чубинов, Русско-грузинский словарь, ч. 1, СПб., 1846, წინასიტყვაობა.

<sup>3</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, том 1, вып. III, СПб., 1894.

ნიკო ჩუბინაშვილის ხელნაწერად დარჩენილი ნაშრომებისა ამჟამად დაცულია ლენინგრადის (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა), ხოლო მეორე — თბილისის არქივთსაცავებში (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი). ამიტომ ნიკო ჩუბინაშვილის ნაშრომებში გამოთქმული აზრები ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის შესახებ ვერ აისახა შემდგომი თაობის ენათმეცნიერთა შესაბამის გამოკვლევებში.

ნიკო ჩუბინაშვილი ღრმად ჩასწვდა ქართული ენის რთულ მორფოლოგიურ ბუნებას და მართებულად გაიგო იგი. მან შენიშნა და თავისი ძალების შესაფერისად შეისწავლა ქართული ენის, საგნის ლიტერატურაში მანამდის უცნობი, ფორმა-კატეგორიები და მოგვცა მათი უეჭველად მარჯვე გრამატიკული კვალიფიკაცია. თავისი ორიგინალური დაკვირვებანი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის საკვანძო საკითხებზე ნიკო ჩუბინაშვილს შეტანილი აქვს კაპიტალურ ნაშრომებში „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ და „სპეციალურ გამოკვლევაში, რომელიც შესავლის სახით ერთვის ხსენებულ ლექსიკონს (1815—1825 წლების შუალედი) და სამ ნუსხადაა ცნობილი.

ჩვენი ნარკვევი ემყარება სამ ხელნაწერს. ესენია.

1. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ბროსეს კოლექცია, H 55; 2. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ი. ბატონიშვილის კოლექცია № 271 და 3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 3709 (ფ. 8, 9, 10).

2. ნიკო ჩუბინაშვილი იცავს ენობრივი ფაქტების შედარებით კვლევა-ძიების პრინციპებს. მან, ცხადია, ჯერ კიდევ არ იცის ენათა ნათესაობის დადგენის საფუძველზე აღმოჩენილი ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომელიც დაახლოებით ავტორის შრომების შექმნის დროს წარმოიშვა ევროპაში, მაგრამ ინტუიციურად გრძნობს, რომ შედარების გარეშე ვერ აიხსნება ენის ფაქტების დღევანდელი ვითარება.

ნიკო ჩუბინაშვილის ნაშრომებში შედარება გამოყენებულია ორი განსხვავებული მიზნით: გამოავლინოს ენის ფაქტების ზოგადი კანონზომიერებანი და მსგავსი მოვლენების ასახსნელად მოიპოვოს ისტორიული ცნობა. ამით იგი ეხმაურებოდა შედარებითი მეთოდის თავდაპირველ გაგებას და მის გამოყენებას ენათმეცნიერებაში, რაც ასე



გამოკვეთილად აქვს შეჭერებული გამოჩენილ ფრანგ ენათმეცნიერს ა. მეიეს<sup>1</sup>. ნიკო ჩუბინაშვილი შედარებას იმარჯვებს მსგავსი ენობრივი ფაქტების საკვალიფიკაციოდ, მაგრამ ეს მეთოდი მასთან ჯერ კიდევ გულუბრყვილოა, აკლია მთავარი — ისტორია: მსგავსი ფაქტების ისტორიის ახსნის ძიება მონათესავე ენებში. მისთვის ჯერ კიდევ უცნობია მონათესავე და არამონათესავე ენათა ის მკვეთრი გენეტიკურ-ტიპოლოგიური სხვაობა, რაც ენათმეცნიერთა შემდეგმა თაობებმა დაადგინეს<sup>2</sup>. იგი მოკრძალებით იყენებს ძველ ტექსტებს, ქართული გრამატიკული სტრუქტურის ელემენტებს აღწერს ძველი მწერლობის ტექსტების ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ ენის ისტორია არ შეიძლება აიგოს მხოლოდ ქრონოლოგიურად დალაგებული ტექსტების მონაცემებით. ტექსტებზე დაკვირვება ენის ფაქტების შედარებას მკვიდრ წიდაგზე აყენებს, მაგრამ ეს პირველი, მეტად მნიშვნელოვანი, მხარეა საკითხისა. მთავარი მეორეა: ეს ფაქტები შეუდარდეს მონათესავე ენათა მონაცემებს და განისაზღვროს მსგავსი ფაქტების განვითარების ზოგადი ისტორიული ტენდენცია. ნიკო ჩუბინაშვილი ირკვევს პირველი რიგის ფაქტებს. ტექსტებზე დაკვირვებით მიღებულ მონაცემებს ადარებს მსგავს ფაქტებს ნაცნობ ენებში და ამით ნათელყოფს არა ამ ფაქტების ზოგადი ისტორიული განვითარების კანონზომიერებებს, არამედ ენის მდგომარეობას განვითარების გარკვეულ ეპოქაში. ა. მეიე სავსებით სწორად მიუთითებდა, რომ ტექსტების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ ენის მდგომარეობა გარკვეული ეპოქის გარკვეულ პირობებში<sup>3</sup>. ნიკო ჩუბინაშვილის კვლევა-ძიება, რომელიც ემყარება მსგავსი ფაქტების შედარების მეთოდს, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ეს მეთოდი შედარებითია, მაგრამ არა ისტორიულ-შედარებითი. ნიკო ჩუბინაშვილს არც მოეთხოვებოდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევა-ძიება. იგი აღიზარდა ქართული და რუსული ენათმეცნიერული აზროვნების საფუძველზე. ხოლო გასული საუკუნის ათიან წლებში, როცა შეიქმნა მისი ნაშრომები, არც ქართულმა და არც რუსულმა ენათმეცნიერებამ ჯერ კიდევ არ იცოდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ძიება. ეს მეთოდი სწორედ ამ წლებში მუშავდებოდა.

ნიკო ჩუბინაშვილი შედარებისათვის მიმართავს მისთვის ცნობილი ენების — ქართულის, რუსულის, სომხურის, ბერძნულის, ლათინ-

<sup>1</sup> А. Мейе, Сравнительный метод в историческом языкознании, М., 1954, гл. 11.

<sup>2</sup> შტრ.: Г. Пауль, Принципы истории языка, М., 1960, гл. 45—67.

<sup>3</sup> А. Мейе, იქვე, გვ. 15.

ნურის, არაბულის — მასალებს. ამ ენებს იგი, ემჩნევა, ასე თუ ისე იცნობდა. რუსულ ენას კი ზედმიწევნით ფლობდა. იყენებდა სლავური ენების მონაცემებსაც. სხვანაირად ის ვერც შექმნიდა კაპიტალურ ნაშრომებს ქართულსა და ქართულ-რუსულ ლექსიკოგრაფიაში. მისი შედარებითი მეთოდი მარტივია, შედარების გამოყენება მას დასჭირდა ქართული ენის ზოგადენათმეცნიერული თვისებების გამოსავლინებლად. ნიკო ჩუბინაშვილის შედარებითი მეთოდი მარტივია, აკლია ისტორიულობა, მაგრამ ასეთი მეთოდი პირველად მაინც მის ნაშრომებში ჩანს გამოყენებული. ნიკო ჩუბინაშვილი პირველი ქართველი ენათმეცნიერია, რომელიც თავის გრამატიკულსა და ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში იყენებს შედარების მეთოდს იმ პერიოდში, როდესაც ისტორიულ-შედარებით მეთოდს დასავლეთში საფუძველს უყრიდნენ რასმუს რასკი (1787—1832), ფრანც ბოპი (1791—1867), ალექსანდრე ვოსტოკოვი (1781—1864) და იაკობ გრიმი (1785—1863). ესაა 1812—1820 წლები, როდესაც ხსენებულ მეცნიერთა გამოკვლევები გამოქვეყნდა. ნიკო ჩუბინაშვილმა (1788—1845) თავისი გრამატიკული და ლექსიკოგრაფიული შრომების შედგენა დაიწყო სწორედ 1812 წელს და დაამთავრა 1825 წელს ისე, რომ არ იცნობდა არც რასკის, არც ბოპის, არც გრიმისა და არც ვოსტოკოვის გამოკვლევებს. ამიტომ ნიკო ჩუბინაშვილი ჩვენ მიგვაჩნია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ერთ-ერთ უნიჭიერეს წინამორბედად<sup>1</sup>, რომელმაც დამოუკიდებლად ივარძნო ამ მეთოდის გამოყენება-გავრცელების საჭიროება. თუ მან ვერ დაიჭირა თავისი კუთვნილი ადგილი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წარმომადგენელთა პლეადაში, ამაში დამნაშავე ავტორი როდია. დამნაშავეა მისი მდგომარეობა, პირობები, ხელმოკლეობა, რომელმაც მას საშუალება არ მისცა თავისი ნაშრომების მაშინვე გამოქვეყნებისა. ეს კი ვერ დაჩრდილავს მეცნიერის უდავო დამსახურებას. პირუთვნელი მეცნიერული სიმართლის დაფარვა ისტორიამ არ იცის. ისტორიული ქეშმარიტება რა მიზეზითაც და როგორი ხერხითაც არ უნდა მიიჩქმალოს გარკვეულ პერიოდში, იგი სადღაც მაინც აღდგება და საყოველთაო სახალხო კუთვნილებად გახდება. ამისი მრავალი მაგალითი იცის ხალხების ისტორიამ.

3. როგორ იყენებდა ნიკო ჩუბინაშვილი შედარების მეთოდს? რანაირი ენობრივი ფაქტების საანალიზოდ მიმართავდა იგი შედარებას? აიხსნებოდა თუ არა ეს ფაქტები უიმეეთოდოდ?

<sup>1</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში სწორადაა აღნიშნული, რომ ბოპს, ვოსტოკოვს, გრიმს პყავდათ სახელოვანი წინამორბედნი (შდრ.: В. Георгиев, Исследования по сравнительно-историческому языкознанию, М., 1958, გვ. 7-8), რომელთა გარკვეულ რიგს ჩვენი ავტორიც ეკუთვნოდა.

ყოველი ენობრივი ფაქტის გრამატიკული თუ ლექსიკოლოგიური ინტერპრეტაციისათვის, საჭიროებისა თუ ნაკლებსაჭიროების შემთხვევაში, ავტორი, ცხადია, შედარებას არ მიმართავდა და არც შეიძლება მიემართა. ასეთ შემთხვევაში იგი შეპირისპირების ხერხს იყენებდა. ქართული ენის გრამატიკული მოვლენებისა და ლექსიკური მასალის შეპირისპირებით ის არკვევდა განსხვავებულ ენობრივ პროცესებს, აღწერდა და აჯგუფებდა გრამატიკულსა და ფონეტიკურ კატეგორიებს. შეპირისპირება ავტორთან ხერხია ენობრივი ფაქტების აღწერისა ერთი ენის ფარგლებში. შედარება კი მეთოდია გენეტიკურად მსგავსი ენობრივი მასალების შესწავლისა სხვადასხვა ენებში. შეპირისპირება ავტორთან შედარების აუცილებელი ელემენტია.

ნიკო ჩუბინაშვილის დროინდელი აღწერითი ქართული გრამატიკა არ იცნობდა ზმნის პირიანობასთან დაკავშირებულ მორფოლოგიურ მოვლენებს. ეს მოვლენები არსებობდა ენის ცხოვრებაში და არა გრამატიკაში. ამიტომ პირადად მას არ შეეძლო ერთბაშად ამოეცნო ქართული გარდამავალი ზმნის რთული შინაგანი მორფოლოგიური სამყარო. მაგრამ დაკვირვებულმა მკვლევარმა იმთავითვე იგრძნო, რომ ქართული ზმნის მოქმედებითისა და ვნებითი გვარის ფორმებს შორის უფრო მეტი სპეციფიკური სხვაობა იყო, ვიდრე ინდოევროპულ ენათა ზმნების აქტივისა და პასივის ფორმებს შორის. ამ დასკვნადის ის მიიყვანა ზმნის სწორედ მსგავს ფორმათა შეპირისპირებამ, რომელიც მან გამოიყენა როგორც ხერხი ერთი ენის შიგნით ზმნის ფორმათა შინაგანი თვისებების გამოვლინებისა, შეპირისპირებას მკვლევარი ბევრ შემთხვევაში მიმართავს, მაგრამ ამ ხერხის გამოყენებით მან ყველაზე ცხად შედეგს მაინც საწყისისა და ზმნის პირიან ფორმათა ურთიერთობის გამოკვლევისას მიაღწია.

საანალიზოდ ნ. ჩუბინაშვილს აუღია საწყისი და აბაღება და პირიანი ფორმები და ვჰბაღებ და დავიბაღები. აქ უკვე კარგად ჩანს, რომ და ვჰბაღებ მოქმედებითი გვარის რელატიური ფორმაა, დავიბაღები კი—ვნებითი გვარის აბსოლუტური ფორმა. ორი ფორმის შეპირისპირებით ავტორმა ერთსა და იმავე დროს გამოარკვია ზმნის ორი კატეგორიის—გვარისა და აგებულების—საკითხი, წარმოგვიდგინა ორივე მათგანის სარწმუნო ნიმუშები. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ანალოგიურადაა ილუსტრირებული ქვემოთ ჩამოთვლილ საწყისებთან მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები (დამოწმებულია მხოლოდ რამდენიმე მაგალითი):

- დაბერება: დავაბერებ, დავბერდები
- დაბლაგვება: დავაბლაგვებ, დავბლაგვდები
- დაბმა: დავაბამ, დავიბმი
- დაღუპვა: დავღუპავ, დავიღუპები
- დაშინება: დავაშინებ, დავშინდები
- დაშრობა: დავაშრობ, დაშრების
- განმზადება: განვაზადებ, განვემზადები
- განმკაცრება: განვაგვამკაცრებ, განვეგვამკაცრები
- გამოკიდება: გამოვკვიდებ, გამოვეკვიდები
- გამორიდება: გამოვრიდებ, გამოვერიდები
- განშორება: განვაშორებ, განვეშორები...

შეპირისპირების საშუალებით მკვლევარი გვაჩვენებს, რომ სხვადასხვა დავაშრობ, განვაშორებ და დაშრების, განვეშორებო. პირველ რიგშია მოქმედებითი, მეორეში კი — ვნებითი გვარის ფორმები, თანაც ერთი აბსოლუტური (დაშრების), მეორე — რელატიური (განვეშორები). ამ გზით ვაიხსნა ზმნის რთული სტრუქტურა, მისი შინაგანი პოტენციური და მორფოლოგიური ბუნება.

შეპირისპირება ნიკო ჩუბინაშვილს დასჭირდა ზმნის ლექსიკური ერთეულების გამოსავლინებლად და მათი ლექსიკონში გასაწყობად. ამ ძიებისას ამოსავალი ზმნის ლექსიკური შინაარსია და არა მორფოლოგიური ბუნება. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა არა მარტო ხერხი, არამედ შედეგიც. შეპირისპირების საშუალებით აღვიღად გამოიყო ვნებითი გვარის აბსოლუტური და რელატიური ფორმები.

ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ მოქმედებითი და ვნებითი ფორმები ერთი ფუძის ზმნისა ნაჩვენებია საწყისთან. საწყისი კი მიჩნეულია ზმნის ძირითად ლექსიკურ ერთეულად, რომელსაც ფრჩხილებში აქვს მითითებული პირიანი — მოქმედებითი და ვნებითი — ფორმებიც.

საწყისი:	მოქმედებითი:	ვნებითი:
დაბადება	დავჰბადებ	დავებადები
დაბერება	დავაბერებ	დავბერდები
დაბლაგვება	დავაბლაგვებ	დაბლაგვდები
განმკაცრება	განვაგვამკაცრებ	განვეგვამკაცრები
გამორიდება	გამოვრიდებ	გამოვერიდები
განშორება	განვაშორებ	განვეშორები...

ვნებითის ფორმები მიღებულია შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმათა კონვერსიის შედეგად. ამით ნიკო ჩუბინაშვილმა ზმნის ერთ

ფორმაში შენიშნა ორი ძიება (ობიექტი) და ეს ფაქტი ნათლად აღნიშნა კიდევ. ორი ობიექტის გამოყოფა ზმნის ერთ ფორმაში უკვე ნიშნავდა ზმნის პოლიპერსონალიზმის მიგნებას. ნიკო ჩუბინაშვილი, ცხადია, ვერ ამალდა იქამდის, რომ ზოგადად გაერკვია ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმის რთული საკითხი და აქედან გაეკეთებინა მრავალმეტყველი გრამატიკული დასკვნა, რაც ჩვენს ღროში ბრწყინვალედ შეასრულა პროფ. ა. შანიძემ თავის შესანიშნავ გამოკვლევებში 1920, 1930, 1942—1953 წლებში<sup>1</sup>. მაგრამ, როგორც ჩანს, ძველ ქართველ ენათმეცნიერთაგან ნიკო ჩუბინაშვილი პირველია, რომელმაც დაიჭირა ზმნის ერთ ფორმაში ორი ძიება (ობიექტი) და სათავე დაუდო ქართული ზმნის მრავალპირიანობის საკითხის შესწავლას. ამაში ჩვენ ღრმად გვარწმუნებს ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონსა“ და სპეციალურ გრამატიკულ ტრაქტატში ასეთი შეპირისპირებული ფორმები: ა) დაბინავება: და ვ ბ ი ნ ა ვ დ ე ბ ი (მე); ბ) გარიგება: გავარიგებ (მე მას); გ) გარევა: გ ა ვ უ რ ე ვ (მე მას მას). დღევანდელი, პროფ. ა. შანიძის მიერ დადგენილი, ტერმინოლოგიით, პირველ რიგში გვაქვს აბსოლუტური აგებულების, ერთპირიანი ზმნა, მეორე რიგში — რელატიური აგებულების, ო რ პ ი რ ი ა ნ ი ზმნა, ხოლო მესამე რიგში — რელატიური აგებულების, ს ა მ პ ი რ ი ა ნ ი ზმნა.

ანალოგიურადაა დამოწმებული (მოგვაქვს მხოლოდ რამდენიმე მაგალითი):

#### ერთპირიანი ზმნები:

დაბნედა: და ვ ბ ნ დ ე ბ ი, და ბ ნ დ ე ბ ი, და ბ ნ დ ე ბ ა

დაბრეცა: და ვ ი ბ რ ი ც ე ბ ი, და ი ბ რ ი ც ე ბ ი, და ი ბ რ ი ც ე ბ ა

დადუმება: და ვ ს დ უ მ დ ე ბ ი, და ს დ უ მ დ ე ბ ი, და ს დ უ მ დ ე ბ ა

დავარდნა: და ვ ვ ა რ დ უ ბ ი, და ვ ა რ დ ე ბ ი, და ვ ა რ დ ე ბ ა...

#### ორპირიანი ზმნები:

დაბარვა: და ვ ჰ ბ ა რ ა ვ, და ჰ ბ ა რ ა ვ, და ჰ ბ ა რ ა ვ ს

დაბნელება: და ვ ა ბ ნ ე ლ ე ბ, და ა ბ ნ ე ლ ე ბ, და ა ბ ნ ე ლ ე ბ ს

დაგმობა: და ვ ჰ გ მ ო ბ, და ჰ გ მ ო ბ, და ჰ გ მ ო ბ ს

დადაღვა: და ვ ს და და ვ, და ს და და ვ, და ს და და ვ ს...

<sup>1</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბ., 1920; მისივე: ქართული გრამატიკა. I, თბ., 1930; ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1942—1943, 1953.

### სამპირიანი ზმნები:

დაბრალება: და ვ ა ბ რ ა ლ ე ბ, და ა ა ბ რ ა ლ ე ბ, და ა ა ბ რ ა ლ ე ბ ს

დათხრა: და ვ ს თ ხ რ ი, და ს თ ხ რ ი, და ს თ ხ რ ი ს

დამსგავსება: და ვ ა მ ს გ ა ვ ს ე ბ, და ა მ ს გ ა ვ ს ე ბ, და ა მ ს გ ა ვ ს ე ბ ს

დარება: ვ ა დ ა რ ე ბ, ა დ ა რ ე ბ, ა დ ა რ ე ბ ს...

შეპირისპირებამ გრამატიკოსს შესაძლებლობა მისცა ჩაეხედა ჩვენი ზმნის სტრუქტურის სიღრმეში და იქ ისეთი მოვლენები შეენიშნა, რომელთათვისაც მის წინამორბედ ენათმეცნიერებს ყურადღება არ მიუქცევიათ.

შეპირისპირებას ნიკო ჩუბინაშვილი მიმართავს არა მარტოდენ უგრამატიკული პროცესების გამოსარკვევად. ამავე ხერხით ის ირკვევს ცალკეულ ფონეტიკურ მოვლენებსაც. შეპირისპირების გამოყენებით მან სწორად ახსნა პ და ხ ფონემათა მსგავსება ახალ ქართულში.

ახალ ქართულში ნიკო ჩუბინაშვილი ვერ ხედავს ბგერობრივ სხვაობას კ-სა და ხ-ს შორის, ხ მას ფონემად მიაჩნია, კ კი — არა დამოუკიდებელ ფონემად, არამედ მის ვარიანტულ სხვაობად. ამ ორი ასოთი ერთი ბგერა გადმოიცემაო, — ამბობს იგი. ამიტომ უმართებულოდ მიაჩნია ორი ასოს ხმარება ერთი და იმავე ბგერითი კომპლექსით გადმოცემული სიტყვების გარჩევისათვის (მაგ. კ ე ლ ი და ხ ე ლ ი), რადგან სიტყვები ამ შემთხვევაში მნიშვნელობით განსხვავდებიან ერთურობისაგან და არა თავკიდური ბგერებით. იგი წერს: „ვინემე დასდებენ კანონად, რათა ასოვთა კ იწერებოდეს კ ე ლ ი, რომელია ასო კაცისა თითებითურთ მობმული მხარსა ზედა და მისნი სხმითგარდასლვთნი: კ ე ლ ო ვ ა ნ ი, კ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა და სხ., ხოლო ასოვთა ხ განირჩეოდეს ხ ე ლ ი, რომელია გიჟი ან მოუსვენარი და მისნი სხმითგარდასლვთნი: გ ა ხ ე ლ ე ბ ა, გ ა ხ ე ლ ე ბ უ ლ ი და სხ. ვარნა გამოთქმა ამათი და თვით დაწერაცა არს თემითა თემად აღგიღის ჩვეულებისამებრ“<sup>1</sup>. ავტორის დასკვნით, ასეთი სისტემის გასარჩევად საგანგებო ასოს ხმარება არაფრით არაა გამართლებული, ხელოვნური, ნიადაგი არა აქვს და კ ასო აღარ უნდა იხმარებოდეს. „ამის გამო, — დაასკვნის გრამატიკოსი, — ქართულსა შინა ლექსიკონსა, უდავლესად პოვნისათვის ლექსთასა, უმჯობეს იქნებოდა შეერთება ორ-

<sup>1</sup> H 55; S 3709, გამოც., გვ. 106—107.

თავე ამათ ასოთა ხ და ჯ ესრეთ, რომელ დასწერონ ერთსა ასოსა ზე-  
და თჳს თჳსთა ადგილთა ლექსნი მით ასოთი, ვის როგორ ენებოს<sup>1</sup>.

გრამატიკოსი მოითხოვს ორი არსებული ასოდან ერთის ხმარებას:  
ფონემა ერთია, ასოც ერთი უნდა გვექონდესო. პირადად მან ხ აირ-  
ჩია, ჯ განდევნა. ამ დასკვნამდის მივიდა იგი ხ-სა და ჯ-ს შეპირის-  
პირებითი შესწავლით. შეპირისპირებამ მკვლევარი მეცნიერულად  
მართებულ დასკვნამდე მიიყვანა. მეორე მხრით, ავტორმა ქართული  
ხ//ჯ შეადარა სხვა, მაგ., ლეკურ ენას და გამოიტანა ზოგადი დასკვნა<sup>2</sup>:  
„გამოთქმა ასოჲ ჯ უფრორე ეკუთნვის ენასა ლეკთასა, რომელთაცა  
საუბარი არს ფრიადითა ძალის დატანებითა ხორხისათა, ხოლო ქარ-  
თულსა შინა საუბარსა სხვაობა ასოთა ხ და ჯ კნინდა არა რაჲჲე იპო-  
ების, რამეთუ მათ მხარეთა შინა, სადაცა გამოიღებენ ხ, არა სადა  
ისმის გამოთქმა ჯ, და სადაცა ხმარობენ ჯ, ყოველთავე ლექსთა გამოს-  
თქმენ ამით ასოჲთა და არა სადა სჩანს ხ<sup>3</sup>.

ასე გამოიყურება ნიკო ჩუბინაშვილთან შეპირისპირების ხერხი  
და შედარების მეთოდი. შედარებითი მეთოდით ავტორს ახსნილი  
აქვს რამდენიმე ენობრივი მოვლენა.

4. ნიკო ჩუბინაშვილს შენიშნული აქვს, რომ ძველი ქართული  
ენის ძეგლებში გვხვდება შემთხვევები, როცა ზმნის ფუძესა და პრე-  
ვერბს შორის რომელიმე ნაწილაკი ექცევა. ეს მოვლენა უფრო ძვე-  
ლი ქართულისათვისაა დამახასიათებელი, ახალ ქართულში იგი აღარ  
გვხვდება. VIII—XI საუკუნეების ძეგლებში გვაქვს: „მო-ვინმე-ვიდა  
განრინებულთანი“ (დაბად., 14, 13); „მო-ლა-იყვანოს  
იაკობ“ (იქვე, 27, 46); „გამო-ვინ-იძიე შემძლებელი სხუაჲ“ (გამოსლვ.,  
4, 13). ტექსტებში ასეთი ფორმები ხშირად გვხვდება, ვ ი ნ მ ე, მ ც ა,  
ღ ა, ვ ი ნ, რ ა ჲ, ო დ ე ნ, ღ ა ვ ე, ღ ა თ უ, თ უ... ელემენტები ჩნდე-  
ბა ზმნის ფუძესა და პრევერბს შორის. ამ მოვლენას პროფ. ა. შანი-  
ძემ ტმესი ანუ გაკვეთა უწოდა<sup>4</sup>.

ნიკო ჩუბინაშვილს ძველი ქართული ძეგლებიდან („ფსალმუნი“,  
„საქმე მოციქულთა“, „ოთხთავი“, აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი“ და  
სხვ.) დამოწმებული აქვს მსგავსი მაგალითები და აკეთებს ასეთ ზოგად  
დასკვნას: „შეისწავე კჳალად ზედდადებულთა ამათოჳს, ვითარმედ  
შორის მათსა და შორის ზმნათა მათ, რომელთაცა დაესხმიან იგინი,

<sup>1</sup> H 55; S 3709, გამოც., გვ. 107.

<sup>2</sup> ქართული კილო-თქმები (ხევსურული, მოხეური, ქიზიყური) და სვანური  
მხედველობაში არ მიუღია.

<sup>3</sup> H 55; S 3709; იქვე, გვ. 106.

<sup>4</sup> ა. შანიძე ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1953, გვ. 266—267.  
§ 323; შტრ.: მისივე. ძველი ქართული ენა, მეხუთე გამოც., თბ., 1947, გვ. 241—242.

საშუალ შთაერთვიან სხტანი ნაწილნი სიტყესანი და უფრორე ნაც-  
ვალსახელნი და კავშირნი. მაგალ.: გან-სამე-უკვე-ვვარდე,  
(ფსალ. 7,4), ე.ი. განვეარდე უკვე სამე, (მუნვე, 87,11): მი-მე-ვინ-  
უ-თ-ხ-რო-ბ-დ-ე-ს, ე.ი. მოუთხრობდეს ვინმე, (მუნვე, 54,12): მო-  
მ-ც-ა-ვ-ი-თ-მ-ი-ნ-ე, დ-ამ-ც-ა-ვ-ე-მ-ა-ლ-ე, ე.ი. მოვითმინეცა, დავე-  
მალემცა, (მუნვე, 77,17): შე-ლა-ვე-ს-ძ-ი-ნ-ე-ს, ე.ი. შესძინესლავე,  
(მუნვე, 138,3): აღ-თ-უ-ვ-ხ-დ-ე, შთ-ა-თ-უ-ვ-ხ-დ-ე, ე.ი. თუ აღვხდე,  
თუ შთავხდე, (მატ. 4,21): გან-რ-ა-ა-გ-ე-ბ-დ-ე-ს, ე.ი. განაგებდეს რა,  
(მუნვე, 12, 28): მო-ს-ამ-ე-ი-წ-ი-ა, ე.ი. მოიწია სამე, (საქმ. მოც.  
15,27): წარმო-უ-კ-ვე-გ-ვი-ვ-ლი-ნ-ე-ბ-ი-ა-ნ, ე.ი. წარმოგვივლი-  
ნებიან უკვე, (მუნვე, 28,1): გამ-ო-რ-ა-ვ-ხ-ე-დ-ე-თ, ე.ი. გამოვხედეთ  
რა<sup>1</sup>. ანალოგიურ მასალებს ავტორი იმეორებს არა მარტო საეკლე-  
სიო, საერო ძეგლებიდანაც. იგი წერს: „მგავსადვე საეროთაცა წიგნ-  
თა შინა იხმარების ესევეთარი საქცევი ლექსთა (ვევხისტ., 343/347,4):  
შე-ღ-ამ-რ-ჩ-ე-ბ-ი-ა-ნ, ე.ი. შემრჩებიანლა (კტალად 350/354,4)<sup>2</sup>:  
მო-რ-ა-ვ-ს-ჯ-ო-ბ-დ-ი, ე.ი. რა მოვსჯობდი და სხ.“<sup>3</sup>.

მოვლენა შენიშნულია გონებამახვილურად. ნ. ჩუბინაშვილი პირ-  
ველი ქართველი ენათმეცნიერია, რომელმაც ეს საგულისხმო მოვლენ-  
ა არა მარტო შენიშნა, არამედ მოგვცა მისი სათანადო კვალიფიკა-  
ციაც. მას ეს ზოგად მოვლენად მიაჩნია და შესადარებლად იყენებს  
სლავურ მასალებს, სანიმუშოდ იმავე ბიბლიური წიგნების თარგმა-  
ნებს იღებს, სადაც ქართულის ანალოგიური მოვლენა დასტურდება.  
ავტორი დასძენს: „ამგუარი საქცევი ლექსთა იხმარების სლავენურ-  
საცა შინა ენასა. ფსალ. 3,1: что ся умножиша нацтлал что ум-  
ножишася; მარკ. 16,8: бняхудося нацтлал бняхудся но; კტალად  
молимтися нацтлал молимся ти და სხ.“<sup>4</sup>.

ორივე ენის მასალა აქ, ცხადია, ნ. ჩუბინაშვილის ერთნაირი დას-  
კვნის გამოტანის შესაძლებლობას აძლევს. ამ მოვლენის შედარებითს  
შესწავლას უდავო თეორიული ინტერესიც მოეპოვება. იგი არკვევს,  
რომ პრევერბი, ისევე როგორც ე. წ. მეტყველების ფორმაუცვლელი  
ნაწილები და აფიქსები, ენაში თავდაპირველად თავისთავად სიტყ-  
ვებს წარმოადგენდნენ, ხოლო დამოუკიდებელი მნიშვნელობა მათ შემ-

<sup>1</sup> H 55; S 3709; იქვე, გვ. 112.

<sup>2</sup> აკადემიურ გამოცემაში: მო-რ-ე-ვ-ჯ-ო-ბ-დ-ი (1951 წ. გამოც. 354,4). ვახტანგ VI-ის გამოცემაშიაც, რომელსაც ჩვეულებრივ ემყარება ჩვენი ავტორი, მო-რ-ე-  
ვ-ჯ-ო-ბ-დ-ი იკითხება (ტნ, დ).

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> H 55; S 3709; იქვე, გვ. 112.



დგომ დაუქარგავთ. ახლანდელ ქართულში ზმნის გაკვეთა არ ხდება. დღეს პრევერბი პირდაპირ მიერთვის ზმნის ფუძეს, პრევერბსა და ზმნის ფუძეს შორის სხვა ელემენტი არ ჩნდება. ძველ ქართულში, პირიქით, ასეთი მოვლენა, როგორც ვნახეთ, ჩვეულებრივია. შედარებითი ძიების გზით ნ. ჩუბინაშვილმა შეძლო ამ საყურადღებო მოვლენის უსათუოდ მართებულად გაშუქება.

5. ნიკო ჩუბინაშვილი ქართულ ზმნებს, საპირისპირო ფორმების შესაბამისად, აჯგუფებს სქესებად (კილოდ). გამოყოფს საზღურები-თის, სათუვოს (ან: სათუოს!), ბრძანებითისა და განუსაზღურებელი სქესის ფორმებს. სქესის გაგება ასევეა მოცემული ავტორის ძმის — იესეს (1816 წ.) და ძმისწულის. — დავით ჩუბინაშვილის გრამატიკებ-შიაც. ოლონდ, ჩანს, თავისი გრამატიკული კონცეფციის ჩამოყალიბე-ბაში დავითს უპირატესად ბიძის ნაშრომებით უსარგებლია. სქესის ფორმების გამოსაკვეთად ავტორს შეუწავლია რუსული, ევროპისა და აზიის რამდენიმე ენის სათანადო მასალები. მაგ., სათუვო სქესი მას უპოვნია ევროპულსა და აზიურ ენებში, ხოლო რუსულში — ვერა. ამიტომ იგი ქართულის ამ ფორმებს უშუალოდ ევროპისა და აზიის ცალკეულ ენებს აღარებს, იძლევა მის მოკლე შედარებითს ინტერ-პრეტაციას. ავტორი წერს: „სქესი სათუვო იპოვების სხუათაცა შინა ევროპიულთა და აზიურთა ენათა, ხოლო რუსულსა შინა არა არს. და თუმცა სქესი ესე იხმარების შეერთებულად კავშირთა თანა: უკეთუ, უკეთუ მცა, თუ სადამე, თუ მცა და, დაღათუ, დაღათუ მცა, რათა, რათამცა, ხოლო მდაბიურად თუ, რომ და სხუანი, გარნა კავშირნი ესე იხმარებიან ზოგჯერმე საზღურებითსა-ცა სქესსა შინა და ამად ლრამმატიკათა შინა მრავალნი დრონი საზ-ღურებითისა სქესისანი აღურევით დროთა თანა სათუვოსა სქესისა-თა, არამედ საკუთრად განმრჩევი სათუვოსა სქესისა არს მდაბიური ლექსი უნდა, ხმარებული ამას მაგალითსა შინა ესრეთ, რამეთუ რომელსაცა დროსა მოეზავოს ლექსი უნდა, იგი უიკველად არს სა-თუვო და რომელსაცა დროსა არა მიეზავოს, იგი არს საზღურებითი. ამას ზედა დარწმუნებულ იქმნების თვთოეული, ვინცა იცის ერთი რომელიმე ენა, მექონი სათუვოსა სქესისა და შეამოწმებს მას“<sup>1</sup>.

განუსაზღურებელი სქესი ქართულისათვის ავტორს ბუნებრივად არ მიაჩნია, რადგან ასეთი სქესის ფორმები უკვე ბრუნებადი სიტყ-ვებია. მან ჯერ კიდევ კარგად არ იცის და გაბედულად ვერც ამბობს, რომ ქართულისათვის უცხოა ე. წ. ინფინიტიური ფორმები, რომ ქართ. განუსაზღურებელი სქესის ფორმა ინდოევროპულ ენათა ინფინიტივი

<sup>1</sup> H 55; S 3709; იქვე, 83. 114.

როდია, ისევე როგორც ინდოევროპულ ენათა ინფინიტივის ფორმები ქართულში საწყისს როდი ემთხვევა. ამის გარჩევა საკმარისად დიდ შრომას მოითხოვდა და მისი გადაწყვეტა ნ. ჩუბინაშვილის ძალ-ღონეს აღემატებოდა ქართული გრამატიკული აზროვნების იმდროინდელი დონის გამო. მაგრამ ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან დაინახა: ქართული განუსაზღვრებელი სქესი სხვაა, ვიდრე ინდოევროპული ენების ინფინიტივი. ქართული ენის გრამატიკულ წყობას მან ქართული თვალთ შეხედა და არა უცხოურით, ამოსავლად ქართული ენობრივი სინამდვილე მიიჩნია და არა უცხოური. ამიტომ მისმა ცნობისმოყვარე გონებამ შენიშნა, რომ „განუსაზღვრებელსა სქესსა შინა ჩვენებული: ს ა წ ე რ ა დ, დ ა ს ა წ ე რ ა დ ჰგავს ლათინურსა gerundium. არამედ ქართულად საკუთარი წოდება არა მიცემულ არს. გარდა ამისსა ადგილსა განუსაზღვრებელისა სქესისასა იხმარების სახელზმნა ნათესავობითსა შინა ბრუნვასა მოსპობით შემდგომად ზმნათა: მ ი ნ დ ა, მ ნ ე ბ ა ვ ს. მაგალ. არაუნდა ნ უ გ ე შ ი ნ ი ს ც ე მ ი ს (მატ. 2,18), უკეთუ გნებავს<sup>1</sup> შე წ ყ ნ ა რ ე ბ ი ს (მუნვე, 11,14), კჳალად: არა უნდა სმის (სუმის) (მუნვე, 27, 34) და სხ.“<sup>2</sup> ქართული ც ე მ ი ს (ცემა), შე წ ყ ნ ა რ ე ბ ი ს (შეწყნარება), ს მ ი ს (სმა), ცხადია, gerundium-ი უფროა, ვიდრე ინფინიტივი. ამ შედარებით ავტორმა მართებულად განსაზღვრა ქართული მასდარის (საწყისის) გრამატიკული ბუნება.

6. ნიკო ჩუბინაშვილი მოითხოვს სხვადასხვა ენების ფაქტების ანალიზს ზუსტი შედარების საფუძველზე. იგი უარყოფს სხვადასხვა ენებში ერთნაირად განმოვნებულ, ან ნასესხებ სიტყვათა შედარებას. ასეთი სიტყვების შედარება მას მეცნიერულად უმართებულოდ მიაჩნია. ამითაა გამოწვეული ის კრიტიკა, რაც მას მოუცია ვახუშტი ბაგრატიონის კვლევა-ძიებისათვის. ავტორი უკუაგდებს და არ იწონებს ო ვ ს ე თ ი ს ა და დ ვ ა ლ ე თ ი ს ეტიმოლოგიას, რაც ვახუშტის გეოგრაფიაშია მოცემული. ვახუშტი, როგორც ცნობილია, ამ სიტყვების ეტიმოლოგიის გასაღებს ხაზარული ენის მასალებში ეძებდა: ოვსეთი — თესვადო, დვალეთი — ორი წელიწადიო. ნ. ჩუბინაშვილმა ამ ეტიმოლოგიას უსაფუძვლო მსჯელობა უწოდა და ასეთი „შესწავება“ მოგვცა: „ვითარმედ ვახუშტი ბაგრატიონი აღწერასა შინა ოსეთისასა მოიხსენიებს: „ხაზართა მეფემან (უსახელომან) მისცა ქვეყანა კავკასთა ძესა თვისსა უ რ ბ ა ნ ო ს ს. ამან მოსწყვიდნა

<sup>1</sup> დედანშია: გნებავსთ.

<sup>2</sup> H 55; S 3709; ჭკვე, გვ. 114.

კავკასიანნი და დაეშენა თვთ და ხაზარულად უწოდა ო ვ ს ე თ ი, ე. ი. თ ე ს ვ ა დ ო, ხოლო არაგვის დასავლით კერძოსა — დ ვ ა ლ ე თ ი, ე. ი. ხაზარულად ო რ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ო და სხვ.<sup>1</sup> მოცემული გეოგრაფიული ტერმინების ამ ეტიმოლოგიაში ნ. ჩუბინაშვილმა საფუძვლიანად შეიტანა ექვი. ავტორის შემოქმედებითი მეთოდის უფრო ანალოგსა და სრულად ჩვენების მიზნით მოგვაქვს მოგარძო ამონაწერი მისი ნაშრომიდან.

„უსაფუძვლობა ვახუშტის მოთხრობისა აღმოიჩინების ესრეთ:

ა. ვახუშტის უნდა გამოეძებნა ძველთა ისტორიათაგან, უკეთუ ნამდვლ ყოფილან მეფენი ხაზართანი და რა სახელი რქმევია მამასა უ რ ბ ა ნ ო ს ი ს ა ს ა, რომელმანცა მისცა შვილსა თვსსა დვალეთი. თუ შვილის სახელი სწერია სადმე, მამის სახელიც უნდა იყოს. ანუ რით დაიმტკიცება, რომელ ხაზარულსა ენასა ზედა (რომელიცა ამას ეამსა სრულიად დაკარგულ და უცნაურ არს), რეცა ო ვ ს ე თ ი ჰნიშნავს თესვასა და დ ვ ა ლ ე თ ი ორსა წელიწადსა.

ბ. ლექსი დ ვ ა ლ ე თ ი არა არს რთული, არამედ სხმითგარდასლვითი და პირველი სახე მისი არს დ ვ ა ლ ი, დ ტ ა ლ ი ანუ დ ო ლ ი. ამას დაესხმიან მარცხალნი სხმითგარდასლვთისანი: ე თ ი, ე ლ ი და უ რ ი: დ ტ ა ლ ე თ ი, დ ტ ა ლ ე ლ ი, დ ტ ა ლ უ რ ი, ვითა სჩანს შემოთქმულთა სხუთა მაგალითთაგან. გარდა ამისსა არს კჳლად თემი მ ა ღ რ ა დ ო ლ ე თ ი, ანუ მ ა ღ რ ა ნ დ ო ვ ლ ე თ ი, ე. ი. მ ა ღ ლ ა დ ო ლ ე თ ი, რომელსა შინაცა თვსებისაებრ ქართულისა ენისა, ორთაგან ლ ერთსა რთულსა შინა ლექსსა შეხდომილთა, პირველსა შეიტყულების რ, ვითა რ ბ ი ლ ი ნაცჳლად ლ ბ ი ლ ი და სხ.

გ. უკეთუ ლექსი დ ვ ა ლ ე თ ი არს რთული ორთაგან ლექსთა და არა სხმითგარდასლვითი მარცხლითა ე თ ი, მაგალ., დ ვ ა ლ ი — დ ვ ა ლ ე თ ი, მაშა ლექსნიცა ხმე-ლეთი, მთიუ-ლეთი, კარა-ლეთი, თე-ლეთი და სხ. არამედ ცხადად სჩანს, ვითარმედ ლექსნი ესე არა არიან რთულნი ლექსითა ლ ე თ ი, გარნა სხმითგარდასლვითნი მარცხლითა ე თ ი: ღ მ ე ლ ე თ ი, მ თ ი უ ლ ე თ ი, კ ა რ ა ლ ე თ ი, ვითა: კ ა რ ა ლ ე

<sup>1</sup> ვახუშტის ნაშრომის გამოცემულ რედაქციაში ეს ადგილი ასე იკითხება: „ხაზართა მეფემან მისცა ქვეყანა კავკასიო ძესა თვსსა ურბანოს და ტყვენი ქართლსომხეთისანი. ამან მოსწყვიტა ნათესავი კავკასოსი, და დაეშენა აქა თუსითა და ტყვიითა მით, და უწოდა ოვსეთი. ესე არს ხაზარულად „ზოგი თესვად“. ვითამ — „ზოგი მოვსწყვიდე და ზოგი დავსხი თესვად...“ „ხოლო არაგვისა დასავლით, რომელ არს მდინარე ლომეკი და აწ თერგი, რომელი დის ჳევიდამ კავკასთა შინათა, დვალეთი, მისვე ურბანოსისაგან ხაზარულათ, ესე იგი არს „ორი წელიწადი“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 106).

ელი, კარალი, თელ-ეთი, თელ-ეთელი და, მაშასადამე, ასო  
ლ ამათ ლექსთა შინა ეკუთვნის ძირსა მათსა დვალი, ხმელი,  
მთიული, კარალი, თელა და არა თუ სხვასა ლექსსა მათ თანა  
შერთულსა.

დ. ესე უცალობელ არს, ვითარმედ მრავალნი სახელნი ადგილ-  
თანი საქართველოსა შინა მიღებულ არიან სხუათა ენათაგან, რომელ-  
თაგანცა ზოგნი მათგანნი ზემოხსენებულ არიან, გარნა ძიება წარ-  
მოებისა მათისა ჯერ არს ძირთაგან მათ ლექსთათა და არა თუ რთულ-  
თაგან მათთა ანუ სხმითგარდასლვთთა, ესრეთ ვიეთნიმე უსაფუძვლოდ  
ჰგონებენ ლექსსა ქათველი რთულად ლექსთაგან ველი ქართა,  
ე. ი. ქარების მინდორი; არა მიმღებნი განსჯად ძირისა ამის ლექსისა-  
სა: ქართლი ანუ ქართლის და ვითარმედ ამისგან სხმითგარდას-  
ლვთ ლექსი ქართველი არა ჰნიშნავს ადგილსა, ანუ ველსა, ანუ  
მინდორსა, არამედ კაცსა მკვდრსა ადგილსა მას შინა“<sup>1</sup>.

ასეთია ავტორის დიდად საყურადღებო და ანგარიშგასაწევი მეც-  
ნიერული მსჯელობა. მისი არგუმენტაცია დავას არ იწვევს. კვლევა-  
ძიების მეთოდიც პროგრესულია. ამიტომ მას შეეძლო ვახუშტის ეტი-  
მოლოგიის არა თუ დაწუნება, უარყოფაც. ამის შემდგომ ბუნებრი-  
ვად ისმის მისი სამახსოვრო სიტყვები „უხამს“ ეტიმოლოგიურ ძიე-  
ბათა შესახებ. „ხოლო ესევითართა უსაფუძვლოთა განმარტებათა შე-  
მოტანა ისტორიათა შინა რეცა საფუძვლიანად, ფრიად უხამს არს და  
საგიობელიცა. მაგალ., უკეთუმცა ვინმე რუსული ლექსი столничнымъ  
ჰსთქჳს რთულად რიცხვთისაგან სახელისა сто და არსებთისაგან სა-  
ხელისა лице! რამეთუ ძირი ამისი არს: стол, ამისგან престол, пре-  
стольный, столица, столничнымъ და სხ.“<sup>2</sup>.

ამ ვრცელი ამონაწერიდან ნათელია, შედარებითი კვლევა-ძიების  
გზით თუ როგორ ცდილობს ავტორი ცალკეული სიტყვების მეცნიე-  
რული ეტიმოლოგიის მოცემას.

7. ავტორის შედარებითი ანალიზი დამყარებულია პრინციპულ სა-  
ყრდენებზე. ყოველი ენობრივი მოვლენის საფუძველი თუ ლექსიკურ  
ერი ერთეულის ეტიმოლოგიური ძიება უნდა იყოს მყარი, საბუთიანი,  
სანდო. ქართული ენობრივი მოვლენების გასაღები ქართულ-ქართვე-  
ლურ ენათა წიაღშია საძებარი და არა მის გარეშე, სხვა ენობრივ  
წრეში. წინააღმდეგ ანტონისა, რომელიც ქართული ენის გრამატიკუ-  
ლი წყობის შესწავლის გასაღებს სხვა ენების გრამატიკაში ეძებდა

<sup>1</sup> H 55; S 3709; იქვე, გვ. 126.

<sup>2</sup> იქვე.

ნიკო ჩუბინაშვილი თავის ზოგად დასკვნებს აფუძნებს ქართული გრამატიკული წყობისა და ლექსიკის მონაცემებზე, ამას ეგრძნობთ არა მარტოდენ შესავალ გამოკვლევაში, არამედ, რაც მთავარია, მთელ ლექსიკონში. ამასთან დაკავშირებით საინტერესო შეხედულებას გამოთქვამს ავტორი სიტყვა „ლოცვის“ ეტიმოლოგიის დროს. იგი უკუაგდებს „ლოცვა“ სიტყვის „უმეცართა მიერ განმარტებას“ და წერს: „რომელთამე ლექსიკონთა შინა უმეცართა განუმარტებიათ ლექსი ლოცვა ესრეთ: ელოი ებრაულად ჰნიშნავს ღმერთსა, ხოლო ცვა ქართული ზმნისაგან ვსცავ და ესრეთ ლექსი ლოცვა დაუდვიათ რთულად, ე. ი. ელო ი-ცვა ანუ ლოცვა, მითამ ღვთისა მიერი დაცვა ანუ დაფარვა. და ახირდებიან სინამდვილესა ზედა ამის ეტიმოლოგიისასა! თუმცა ჰაზრი კეთილ არს, არამედ ეტიმოლოგია არა მართალ არს, არცა შესატან ლექსიკონსა შინა“<sup>1</sup>. ეს მსჯელობა მაჩვენებელია იმ მეცნიერული სიფრთხილისა, რასაც ლექსიკოგრაფოსი უნდა იჩენდეს ყოველი სიტყვის ანალიზისას და რასაც თვით ავტორი იჩენდა შედარებითს კვლევაშიც.

ნიკო ჩუბინაშვილი აკრიტიკებს ვახუშტი ბაგრატიონის ზოგიერთ გულუბრყვილო, ხალხურ ეტიმოლოგიას. ყოველგვარ არასარწმუნო წყაროზე დაფუძნებულ მსჯელობას საერთოდ იგი დიდი ეჭვით უცქერის. კერძოდ, მას დამაჯერებლად არ ეჩვენება ვახუშტისეული ახსნა საგეოგრაფიო ცნების ქიზიყისა (ჯიზიყი). „ამა ლექსისათვის, — წერს ავტორი, — მოიხსენებს ვახუშტი ბაგრატიონი აღწერასა შინა კახეთისასა. ვითამც სახელი ესე ეწოდა მათ უსაქციელო ბისათვის“<sup>2</sup>.

ეჭვი საბუთიანია. რა უნდა ჰქონდეს საერთო უსაქციელობას ამ გეოგრაფიულ ტერმინთან? თითქოს არაფერი.

ვახუშტი ამბობს: „საქვაბე—ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთიდან ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კანბეჩოვანი, კანბეჩთა სიმრავლისათვის, შემდგომად ქისიყი უსაქციელობისათვის — „მქის იყო“<sup>3</sup>. ავტორს ქისიყი რთულ სიტყვად მიაჩნია და მქის-იყოღ შლის. გონებამახვილური ეტიმოლოგია! მქის ი/მქის ე მართლა უსაქციელობას ნიშნავს. ვახუშტის არავითარი საბუთი არ დაუმოწმებია, თუ რაში მდგომარეობდა ადგილობრივ მკვიდრთა უსაქციელობა, როცა მათთვის ქისიყი (მქისიყო!)

<sup>1</sup> H 55; S 3709; იქვე, გვ. 120—121.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>3</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 98.

უწოდებიათ. მაგრამ სიტყვის შინაარსის ამგვარ ხალხურ გააზრებას რალაც საფუძველი ჰქონია. ნ. ჩუბინაშვილი დასძენს: „გარნა ქართულად ლექსი ესე არარას ჰნიშნავს უსაქციელოსა, არცა საქციელიანსაო“<sup>1</sup>.

აქ კი ნიკო ჩუბინაშვილი მართალი არ უნდა იყოს. თუ სიტყვის ეტიმოლოგიის ამგვარ საფუძველს მართებულად მივიჩნევთ (მქის-იყო), დასკვნაც ვახუშტისეული უნდა გამოვიტანოთ. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ თვით ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, მქისე გაქსუეებულს, უზრდელურს, უსაქციელოს ნიშნავს. მის ლექსიკონში ვკითხულობთ: „მქისე დამშხალული, დაბზარული გინა ხორკლიანი, ვითა მუხის ქერქი, рыхлый или шероховатый.//ველური, უგლიმი, უზრდელური, გაქსუეებული, ანუ აურზაური (ვეფხისტ. 181, 379, 848), дикий, одичалый, грубый“ (ლექსიკ.). სიტყვა, ავტორისავე მოწმობით, სწორედ უსაქციელობასაც ნიშნავს. აქი ლექსიკოგრაფოსი იმოწმებს სათანადო ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან“. ხსენებულ ძეგლში სიტყვა ყველგან სწორედ უსაქციელოს, გაქსუეებას ნიშნავს: „მიჰხედა რასმე ქვეყანასა უგემურსა მეტად მქისსა“ (სტრფ. 183,1); „უზნობენ ლალნი, წყლიანნი, არა სიტყვითა მქისითა“ (695,3); „პურად კარგი მასპინძელი, მხიარული, არ თუ მქისი“ (1071,2); „ერთგან სხდიან, უზნობდიან საუბარსა არა — მქისსა“ (1080,3) და სხვ.

ამრიგად, თუ ვახუშტის ეტიმოლოგიას მივიღებდით, მაშინ სიტყვის წარმოშობა უნდა დაგვეკავშირებინა რალაც უსაქციელობასთან. აქ ის მართალი იყო. ნ. ჩუბინაშვილმა სამართლიანად დაიწუნა ეს ეტიმოლოგია, მაგრამ უსაბუთოდ, დაიწუნა, იმიტომ, რომ სიტყვა მას არაქართულად მიაჩნია და არაქართული სიტყვის ქართულ მასალაზე ახსნა — მიუღებლად. თავისი აზრის დასასაბუთებლად ავტორს საყურადღებო მასალა აქვს დამოწმებული.

იგი წერს: „გარნა ქართულად ლექსი ესე (ე. ი. ქისიყი//კიზიყი თუ კვზიყი) არა რას ჰნიშნავს უსაქციელოსა, არცა საქციელიანსა, არამედ დარქმეულ არს მიმსგავსებითა საბერძნეთის ქალაქისათა, რომელია კვზიკი, მდებარე ნაწილსა შინა ელლესპონტისა, ანუ მიზისასა (იხილე მეტაფრასი დაუჯდომლობის შაბათისა და ჟამნში 29 აპრილს და 8 აგვისტოს). და რუსეთსაცა შინ არს კვზიჩესკი მონასტერი მახლობელ ყაზანისა, რომლისა დღესასწაულობა არს 19 ნოემბერს (იხილე в мѣцѣсловѣ). მსგავსადვე ამისსა არიან მრავალნი სახელნი ადგილთანი, საბერძნეთიდგან შემოღებულნი საქართველოსა

<sup>1</sup> H 55; S 3709; იქვე, გვ. 106.

შინა, ვითარ ნიქოზი, რომელიცა ეწოდების ქალაქსა, კვპრიზის ქალაქსა შინა მდებარესა; ხო ნი კლასეს (იხილე ჟამში ნ სექტემბერს): და ხო ნი იმერეთს; კუალად ონი (გამოსლ. 1,11; ონი ეგვპტეს); დირბი (საქმ. მოც. 16,1); კუალად ულუმბა, ე. ი. ოლიმპი, მთა საბერძნეთისა; იტრია, კორინთა, ბეთანია და თვთ სახელიცა გელათი ჰგავს წოდებულად ბერძულისაგან გალატი, გალატელი, არამედ ზოგნი განმარტებენ ზმნისაგან: გაენათა. ესე არა სარწმუნოებრი არს და სხვადასხვაა“<sup>1</sup>.

ეს მსჯელობა ახლა თავის მთავარ ნაწილში გულუბრყვილობის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ჩვენ იგი ასე ვრცლად განგებ დავიმოწმეთ. გვინდოდა ავტორის კვლევა-ძიების მეთოდისათვის გაგვესვა ხაზი და უფრო ღრმად გაგვეგო იგი. მითუმეტეს, რომ ამ მსჯელობას ერთგვარი დასკვნის სახით მოჰყვება ასეთი მტკიცება: „ესრეთთა ლექსთა მუნებურნი განმარტებენ ქართულითა ლექსებითა, ვითამც სამქებაროდ თვსად, ხოლო სხვს თემისანი საგიობელად მათდა თვსგანვე მოგონილითა, ვითამც ქართულითა ლექსებითა და ამითი იოცნებენ თავთა შორის თვსთა ღრმასა მეცნიერებასა, არამედ ესევეითართა სუსტთა ჰაზრთა მდაბიოსა ერისათა უხამს არს შეტანა ისტორიასა შინა რეცა საფუძლიანად, რამეთუ უხამს იქნებოდა თარგმანება ლექსთა ნიქოზი ნიგოზისაგან, ანუ დირბი ზმნისაგან დარბი“<sup>2</sup>.

ასე გამოიყურება ნ. ჩუბინაშვილის კვლევა-ძიების მეთოდი. იგი ცდილობს, დაამკვიდროს შედარებითი მეთოდი გრამატიკულსა და ლექსიკოგრაფიულს მუშაობაში. თანაც ეს მეთოდი მას ესმის თავისებურად. ნ. ჩუბინაშვილის კვლევა-ძიების მეთოდი, მიუხედავად მისი გულუბრყვილო შინაარსისა, ნაბიჯია წინ, პროგრესულია, და მას მიზნად აქვს დასახული ენობრივი ფაქტების შედარების გზით ახსნა-ინტერპრეტაცია.

შედარებითი მეთოდი, როგორც ენათმეცნიერული კვლევა-ძიების პროგრესული მეთოდი, ემყარებოდა მსოფლიო ენათმეცნიერთა მდიდარ გამოცდილებას. მართლაც, დიდი შეცდომა იქნებოდა იმაზე ფიქრი თითქოს «сравнительное языкознание возникло на пустом месте, и исключительно благодаря «гениальности» нескольких языковедов начала XIX в., внезапно ставших и в историческую»

<sup>1</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>2</sup> იქვე; გვ. 106. შემდეგ ეს მოსაზრება სიტყვასიტყვით გაიმეორა დ. ჩუბინაშვილმა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ქართული ღრამატიკა, სპბ., 1887, გვ. IV, შენიშვ.

точку зрения и творчески овладевших колоссальным лингвистическим материалом»<sup>1</sup>. ა. ვოსტოკოვს, ფ. ბოზს, რ. რასკს, იაკ. გრიმს ღიდი წინამორბედნი ჰყავდათ—ესენი იყვნენ კონკრეტული ენების გრამატიკოსები, რომელთა მასალამ მათ გზა გაუკაფა შედარებითი კვლევა-ძიებისაკენ. ამ მხარეს, ცხადია, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ნ. ჩუბინაშვილი ეკუთვნის იმ ენათმეცნიერთა რიგს, რომელიც შედარებითი მეთოდის დამკვიდრებამდის გამოდის ენათმეცნიერული კვლევა-ძიების ასპარეზზე, მაგრამ თავისი უდავო ლინგვისტური გონებამახვილობით დამოუკიდებლად ახერხებს იქამდის მისვლას, რომ აღიაროს შედარების — როგორც ენებრივი მოვლენების კვლევა-ძიების მეთოდის — გარდუვალი საჭიროება.

1955 წ.

### ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონების გამოცემის გამო

გამოვიდა ნიკო ჩუბინაშვილის უცნობი „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ (1961 წ.) და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ტ. I—1971, ტ. II—1973 წწ.) და ამით მე დავამთავრე დიდებული მეცნიერის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის პუბლიციკაცია. ახლა მთლიანადაა სამზეოზე გამოტანილი ნიკო ჩუბინაშვილის ხელნაწერად დარჩენილი, აქამომდის არქივის მტვერმიყრილი, მკითხველთათვის უცნობი შრომები და შესაძლებლობა გვქავს, სრულად წარმოვიდგინოთ და შევაფასოთ XIX საუკუნის პირველი ნახევრის შესანიშნავი ლექსიკოგრაფოსის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა. თავისი ლექსიკონების გამოქვეყნებას ავტორი სიცოცხლეში ვერ ეღიერსა და ბედმაც ისე უმუხთლა, რომ შთამომავლობისათვის მთელი ასოცი წლის განმავლობაში უცნობი დარჩა არა მარტო სწორუპოვარი ნაშრომები, არამედ მათი ავტორის ვინაობაც კი.

როგორც ახლა ცნობილია, ნიკო ჩუბინაშვილს შეუქმნია ორი კაპიტალური ლექსიკონი. პირველი მათგანია „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“, გამოიცა იგი 1961 წელს ჩემი რედაქციითა და გამოკვლევით; მეორე კი — „რუსულ-ქართული ლექსიკონია“ ორ კაპიტალურ ტომად; პირველი ტომი გამოიცა 1971 წელს, მეორე კი — 1973 წელს. ორივე ტომი ჩემივე რედაქციითა და შესავალი წერილებითაა გამოსული.

ამ ლექსიკონების გამო მრავალტანჯულ ავტორს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ მათ ფასი არ დაედებათო, და ნამდვილად მართებუ-

<sup>1</sup> А. В. Десницкая, Вопросы изучения родства индоевропейских языков, М.-Л., 1955, გვ. 31.



ღია! თავისი ლექსიკონების შედგენას ნიკო ჩუბინაშვილმა საკუთარი შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო პერიოდი, მთელი ოცი წელიწადი შესწირა. ისინი ხანგრძლივი, დაძაბული და მძიმე, ტიტანური შრომისა და რუდუნების ნაყოფია. მაგრამ ჩვენ მაინც გასაოცრად მიგვაჩნია, თუ ერთადერთმა, ისიც სხვა საქმეებით ასე გადატვირთულმა და ჯანშერყეულმა კაცმა, როგორ შეძლო, გნებავთ, ოცი წლის განმავლობაშიაც, უძნელესი და ურთულესი სამუშაოს შესრულებას! ვერ დაფარავ და გულაბდილად ვიტყვი, რომ ოცზე მეტი წელიწადი პირადად ჩემგან ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის მხოლოდ შესწავლა-შეჭერებამ და გამოცემის ხელმძღვანელობამ მოითხოვა. ნუ დავივიწყებთ, რომ მთელი ეს ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა, ახლა რომ სამ დიდ ტომადაა გამოცემული, 160-ზე მეტი სასტამბო თაბახის მოცულობისაა და 3.200-ზე მეტ სვეტს შეადგენს.

ნიკო ჩუბინაშვილი, მშვენება ქართული ლექსიკოგრაფიისა, XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში, სულხან-საბა ორბელიანის საქმის უდიდესი განმგრძობი იყო. ფართო განსწავლულობამ და ერუდიციამ, გააოცარმა შრომისმოყვარეობამ, მრავალი ენის, პირველ რიგში კი — ქართული და რუსული ენებისა და ლექსიკოგრაფიის ღრმა ცოდნამ მას შესაძლებლობა მისცა, ახალ სიმაღლეზე აეყვანა ჩვენი ლექსიკოგრაფია. კაპიტალური შრომებით გაემდიდრებინა ცოდნის ეს დარგი. ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა შევიდა ქართული კლასიკური კულტურის საგანძურში, როგორც მისი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი შენამატი.

დაიბადა ნიკო ჩუბინაშვილი 1788 წელს და გარდაიცვალა 57 წლსა 1845 წელს. 1807 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი და იმავე წლის 1 დეკემბერს იქვე დაინიშნა რუსული ენის მასწავლებლად. მშობლიურ ქართულთან ერთად ნიკომ კარგად იცოდა რუსული, ბერძნული, ლათინური ენები, იყენებდა სპარსულ, არაბულ, სომხურ წყაროებს. ჩუბინაშვილების ოჯახი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ტრადიციულად მწიგნობართა ოჯახი იყო. 1782—1891 წლებში ამ ოჯახში გვყავს მწიგნობართა სამი თაობა: მღვდელი დავითი, მისი შვილები იესე (ცნობილი გრამატიკოსი) და ნიკო (ჩვენი ლექსიკოგრაფოსი), იესეს შვილი დავითი (გამოჩენილი ფილოლოგოსი, პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში, აკაკი წერეთლის მოძღვართმოდვარი და საკანდიდატო დისერტაციის მეცნიერი ხელმძღვანელი). აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ დავითის შვილიშვილი გახლდათ აწ განსვენებული ანთქმული ხელოვნებათმცოდ-

ნე, აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, რომლის სახელთან მკიდრო-  
დაა დაკავშირებული ქართული ხელოვნების ისტორიის, როგორც  
მეცნიერების, აღორძინება ჩვენში და ქართული მატერიალური კულ-  
ტურის უნიკალური ძეგლების შესწავლა.

1807—1825 წლებში ნიკო ჩუბინაშვილი თარგმნითსა და ლექსი-  
კოგრაფიულ მუშაობას ეწევა თბილისში. 1825 წლიდან მოღვაწეობას  
განაგრძობს პეტერბურგში საგარეო საქმეთა სამინისტროში — მთარ-  
გმნელად, 1837 წელს მძიმე ავადმყოფობის გამო ბრუნდება თბილისს,  
ჯერ მკურნალობს, მომჯობინების შემდეგ კი განაგრძობს არქეოლო-  
გიურ ძიებას, 1845 წლის მაისში მოგზაურობს პალესტინაში და აღ-  
წერს ჯვრის მონასტრის სიძველეებს. აქ აღმოაჩინა მან გიორგი მერ-  
ჩულის სახელგანთქმული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრე-  
ბა“ და ჯვრის მონასტრის კედლის ფრესკიდან გადმოიღო შოთა რუს-  
თაველის პორტრეტი, რომელიც, დატული ჩვენი ავტორის არქივში,  
1958 წელს უღრნ. „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოაქვეყნა ბორის კან-  
დელაკმა. გიორგი მერჩულის თხზულება, როგორც ვიცით, შემდეგ  
დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ იგი პალესტინაში მოგზაურობის  
დროს ხელმეორედ იპოვნა ნიკო მარმა და კიდევ გამოსცა 1911 წელს  
რუსული თარგმანით, ბრწყინვალე გამოკვლევითა და ძვირფასი კო-  
მენტარებითურთ.

ორიგინალურ ლექსიკონებთან ერთად ნიკო ჩუბინაშვილმა ქარ-  
თული მეცნიერება და კულტურა გაამდიდრა შესანიშნავი თარგმანე-  
ბით, რომლებიც არათუ მაშინ, 160 წლის წინათ, დღესაც ფართო ინ-  
ტერესების შემცველია. ამის გამო სრულიად ბუნებრივი იყო, რომ  
დიდ მოაზროვნეს, იოანე ბაგრატიონს, რომელიც ახლოს იცნობდა  
ჩვენს ავტორს, თავის „კალმასობაში“ ნიკო ჩუბინაშვილი გამოჩენილ  
მთარგმნელად ჰყავს მოხსენიებული. სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნა,  
რომ დღეს პროფესორ ვახტანგ პარკაძის ხელმძღვანელობით ინ-  
ტენსიურად სწავლობენ ნიკო ჩუბინაშვილის თარგმანებს და ახლო  
მომავალში შესაძლებლობა მოგვეცემა მათი ბექტურად გაცნობისა.

ლექსიკონების შედგენა ნიკო ჩუბინაშვილმა ძირითადად 1812—  
1825 წლებში დაამთავრა, შემდეგ კი მათი პირები გადაიღო და გამო-  
საცემად მოამზადა, მაგრამ, სავალალოდ, დროისა და გარემოებათა  
მიზეზით, ბედმა უმუხტლა, დაბეჭდვა ვერ მოახერხა. მძიმე ავადმყოფი  
უანგარო მოღვაწე 1845 წელს გარდაიცვალა პეტერბურგს და იქვე  
დაკრძალეს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ამ სტრაქონების ჩამოწერიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ ჩვენი პუბლიკა-  
ციებით დაინტერესდა პროფ ა. მ. კულიკოვა, რომელმაც შეისწავლა ნ. ჩუბინაშვი-

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონები, როგორც ითქვამს, ეკუთვნის ქართული მეცნიერებისა და კულტურის კლასიკური მემკვიდრეობის ყველაზე ძვირფას ფონდს და ჩვენს ქვეყნში ეროვნულ სიამაყეს ქმნის. ამიტომ მათი გამოცემა დიდ სახალხო, ეროვნულ საქმედ იქნა მიჩნეული. ასე მიიღო მკითხველმა საზოგადოებრიობამ ეს ლექსიკონები.

ნიკო ჩუბინაშვილი გახლდათ ბრძენი საბა ორბელიანის მიმდევარი და ტრადიციების დამცველი. საბა ჩვენი ავტორის უზენაესი მასწავლებელია და მის სახელს ყოველთვის სიყვარულთა და მოწიწებით იხსენიებს. მაგრამ ნიკო ჩუბინაშვილი საბას ბრმად კი არ მისდევს. ცალკეულ პრინციპულ საკითხებში იგი არ იზიარებს საბას ძიების მეთოდს და გეთავაზობს სრულიად ახალს, საკუთარს, რომელიც მანამდის ცნობილი არ ყოფილა. კრიტიკულად აფასებს სხვა წყაროებსაც. მათ შორის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცნობილ ლექსიკონსაც. ჩვენმა ავტორმა მთლიანად თავისი ლექსიკოგრაფიული კონცეფცია შეიმუშავა ქართული, რუსული და უცხოური წყაროების კრიტიკულად, შემოქმედებითად ათვისების საფუძველზე. მის ძირითად ქართულ წყაროს საბას ლექსიკონი შეადგენდა, ძირითად რუსულ წყაროს კი — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონი (პირველი გამოცემა — 1789—1794 წლებსა, მეორე გამოცემა — 1806—1822 წლებსა) და იმ ზანად არსებული სხვა სიტყვარები. ეს წყაროები მნიშვნელოვნადაა შევსებული უცხოური ლიტერატურითაც. ხსენებულ წყაროთა შემოქმედებითად ათვისების საფუძველზე ნიკო ჩუბინაშვილმა საკუთარი, ორიგინალური ქართული და რუსულ-ქართული ლექსიკონები შეადგინა. ამას კარგად იგრძნობს ყველა, ვინც ახლოს გაეცნობა ნიკო ჩუბინაშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას და გონების თვლით განსჯის მას.

ყოველივე ამის გამო სრულიად ბუნებრივია, თუ ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონების გამოცემას ცხოველი ინტერესით შეეგებნენ ჩვენი საზოგადოებრივობა, სპეციალისტები, პრესის ორგანოები. მათ შესახებ დაიბეჭდა ბევრი რეცენზია და გამოხმაურება როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქითაც. დავიმოწმებ ორიოდ გამოხმაურებას. ერთი ეკუთვნის გაზ. „კომუნისტს“, მეორე — „უჩიტელსკაია გაზეტას“. „კომუნისტმა“ გამოცემებს უძღვნა სარედაქციო წერილი „დიდი შრომა“, რომელშიაც ნათქვამია: „გამომცემლობა

---

ლის ბიოგრაფიის საარქივო მასალა და ა. ცაგარლისა და ჩვენს შრომებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა სანტერესო ნარკვევი (А. М. Куликова, К биографии Н. Д. Чубинова (1788—1846), «Кавказ и Византия», вып. 2. Ереван, 1980, 223—241).

„საქართველო“ შეუდგა XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ლექსიკოლოგისა და გრამატიკოსის ნიკო ჩუბინაშვილის (1798—1845) ორტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემას. ეს ძეგლი, შედგენილი 1812—1832 წლების შუალედში, ხელნაწერად დარჩა და ფართო საზოგადოებრიობისათვის აქამდის უცნობი იყო. ლექსიკონი ასახავს პუშკინამდელ რუსულ ლექსიკას და ეყრდნობა უპდირდეს პირველ წყაროებს როგორც რუსულ, ისე ქართულ ნაწილში. ნიკო ჩუბინაშვილის ეს ნაშრომი რუსულ-ქართული ისტორიული ლექსიკოგრაფიის ძვირფასი შენაძენია. სამაგიდო წიგნია არა მარტო სპეციალისტთათვის, არამედ რუსული ენის შემსწავლელთა და პედაგოგთათვის. ამ დღეებში გამოვიდა ლექსიკონის პირველი ტომი პროფესორ ალ. ლლონტის რედაქციითა და შესავალი წერილით... მივიწყებული განძის სამზეროზე გამოტანით გამომცემლობა „საქართველომ“ უთუოდ დიდი, საშვილიშვილო საქმე გააკეთა... ნიკო ჩუბინაშვილის ასევე ხელნაწერად დარჩენილი პირველი კაპიტალური ნაშრომი „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ „საქართველომ“ 1961 წელს გამოსცა, რამაც სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო გამოჩნაულება გამოიწვია. რუსულ-ქართული ლექსიკონის II ტომით (რომელიც ამჟამად წარმოებაშია) დამთავრდება ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის გამოცემა<sup>1</sup>. „უჩიტელსკაია გაზეტამ“ ნ. ჩუბინაშვილის მემკვიდრეობის გამოცემას მიუძღვნა პროფ. ვ. ტრეტიაკოვის სპეციალური ნარკვევი „ენციკლოპედიის თხუთმეტი სტრიქონი“. „ალბათ, სამუდამოდ გაქრებოდა ნიკო ჩუბინაშვილის ხსოვნა, — წერს ავტორი, — და იგი ვერავითარ კვალს ვერ დატოვებდა შთამომავლობის ცნობიერებაში, რომ, თითქოს ასი წლის შემდეგ, ლენინგრადში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტი ალექსანდრე ლლონტი არ დაეფიქრებინა ერთ ფურცელს 1894 წელს გამოცემულ ა. ცაგარლის წიგნიდან — „ცნობები ქართული მწერლობის ძეგლების შესახებ“. წიგნის ამ ფურცელზე მოყვანილი იყო ამონაწერი იმ დროს უკვე განსვენებული პროფესორის დავით ჩუბინაშვილის არქივში აღმოჩენილი წერილებიდან: ბიძა ნ. ჩუბინაშვილი ძმისწულს სწერდა თავისი ლექსიკონის თაობაზე, რომ ჩემთვის ეს „ფასდაუღებელი რამ არის, ვინაიდან ჩემი სიცოცხლე მას შევწირეო“; „ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონების შესწავლამ, — განაგრძობს ავტორი, — დაა-

<sup>1</sup> „კომუნისტა“, № 4, 1972.

დასტურა, რომ ისინი უნიკალური არიან და გარკვეული ზომით, არც პრაქტიკული მნიშვნელობა დაუკარგავთ, არ მოძველებულან ისევე, როგორც რუსულ ლექსიკოგრაფიაში არ მოძველებულა დალის ლექსიკონი. ალბათ, სპეციალისტი თუ შეძლებს მთელი სისავსით წარმოგვიდგინოს ის უდიდესი ტექსტოლოგიური და სარედაქციო მუშაობა, რომელიც ჩაატარა რედაქტორმა ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონების გამოსაცემად მომზადების დროს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მან საკუთარი ხელით გადაწერა ისინი, გაიმეორა შრომა, რომლისათვისაც ავტორს თავის დროზე შვიდი წელი დასჭირდა“, „ღიახ! იგი იყო ქართული ლექსიკოგრაფიის კლასიკოსი, თავისი ეპოქის ერთ-ერთი უგანათლებლესი ადამიანი, ბედის უცნაური ირონიით, დღემდე უცნობი მეცნიერებისათვის“. აქვე ავტორმა დააყენა მეტად საინტერესო, ოღონდ ძნელად გადასაწყვეტი საკითხი: „მაგალითად, საგარეო საქმეთა კოლეგიის მთარგმნელს ნიკო დავითის ძე ჩუბინაშვილსა და დიპლომატ ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვს ხომ არ აკავშირებდათ ერთმანეთთან უფრო მეტი რამ, ვიდრე ერთი დაწესებულების ორი თანამშრომლისა გარდუვალი ნაცნობობა? საფუძველი ასეთი ვარაუდობისათვის ბევრია: ორივე სწავლობდა აღმოსავლურ ენებს და ლიტერატურას, ორივე საქართველოზე იყო შეყვარებული, ორივეს სწამდა საქართველოს რუსეთთან კავშირის პროგრესულობა. და არსებობდა ადამიანი, რომელიც უნდა დახმარებოდა მათ, გაეწვდინათ ერთმანეთისათვის ხელი — პოეტი ალექსანდრე ჰავჭავაძე, სიმამრი და თანამოაზრე გრიბოედოვისა, ტოლი და თანამემამულე ნიკო ჩუბინაშვილისა“<sup>1</sup>.

საყურადღებო აზრებია გამოთქმული აგრეთვე ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის გამოცემაზე სხვა რეცენზიებსა და გამოხმაურებებშიაც<sup>2</sup>.

ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ ასახავს ქართული ენის ლექსიკას XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ეპოქისაჲვის, ეყრდნობა უმდიდრეს პირველ წყაროებს, ძველი და საშუალო ქართულის კლასიკური (ორიგინალური და ნათარგმნი) ძეგლების მონაცემებს. მის ღირსებას ზრდას რუსული შე-

<sup>1</sup> В. Третьяков. Пятнадцать строчек в энциклопедии, «Учительская газета», № 47 (6646), 19.IV.1973.

<sup>2</sup> Д. С. Чантуршвили. Из истории двуязычной лексикографии, «Вопросы языкознания», № 1, 1975, 104—110; Dictionnaire russ-georgiende Niko Tchoubinachvili (17-8 1315), Bedi Kartlisa, Revue de Kartvélologie. XXXII. Paris. 1974. 311-313.

სატყვისები. შეიძლება ითქვას, ამ მხრით ის ორენული ლექსიკონის ნიშნული, ეპოქის ბრწყინვალე დოკუმენტი. „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ კი მოიცავს პუშკინამდელ რუსულ ლექსიკას იმ სლავური სიტყვართურთ, რომელიც მაშინ იყო ხმარებაში. ეფუძნება მკვიდრ წყაროებს როგორც რუსულ, ისე ქართულ ნაწილში და რუსულ-ქართული ლექსიკოგრაფიის ფრიად ძვირფასი შენაძენია. ეს ლექსიკონები ნამდვილად სამაგიდო წიგნებია არა მარტო სპეციალისტთა, არამედ რუსული ენის შემსწავლელთა, პედაგოგთა და მთარგმნელთათვის. გვაჩვენებს ქართული ლექსიკოგრაფიის მაღალ მეცნიერულ დონეს XIX ს. პირველ ნახევარში.

1975 წ.

### ნიკო ჩუბინაშვილი — 200

შესრულდა ორასი წელი ნიკო ჩუბინაშვილის დაბადებიდან. XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილმა ლექსიკოგრაფოსმა და მთარგმნელმა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ ბედმა ისე უმუხტლა, რომ საკუთარი თვალთ ვერ იხილა წვითა და დაკვირვებით შრომათა პუბლიკაციები, ხოლო როცა დასწავლდა და გარდაიცვალა, ირგვლივ დამტირებელიც არ აღმოუჩნდა. მისი საფლავი ისე დაიკარგა, როგორც შორეულ ჩრდილოეთში გადახვეწილი ბევრი სხვა ქართველის სამარადისო სამკვიდრებელი.

ნ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობა მღელვარე ეპოქაში მოუხდა. ეს იყო წლები, როცა ალ. პუშკინმა დაამთავრა ლიცეუმში და საგარეო საქმეთა კოლეგიაში გაიგზავნა სამოღვაწეოდ, ალ. გრიბოედოვი დიპლომატად გაემგზავრა სპარსეთში, ხოლო ოცდაათი წლის ქართველი კაცი, თბილისის გიმნაზიის რუსული ენის მასწავლებელი, ნ. ჩუბინაშვილი, იმავე უწყების აღმოსავლეთის დეპარტამენტის მთარგმნელად გაამწესეს. სიმბოლიურია ამის აღნიშვნა. თუმცა მან ორი განთქმული სეხნას შესახებ არა იცოდა რა. ნ. ჩუბინაშვილს ოჯახი არ ჰყოლია. თბილიდან თან წაიყვანა მხოლოდ თავისი ძმისწული, დავითი, რომელიც „ბიძის იმედებს ამართლებდა, ამჟღავნებდა არაჩვეულებრივ ნიჭსა და სიბეჯითეს, განსაკუთრებით ადვილად ითვისებდა ენებს“. და, როგორც ცნობილია, შემდეგ კიდევ გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული სიტყვიერების კათედრის გამგე, აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტის დეკანი.

ქართულმა ისტორიულმა ლექსიკოგრაფიამ სამი სახელი იცის: სულხან-საბა ორბელიანისა, რომელიც იყო ჩვენი ენათმეცნიერული აზრის ზენიტი, XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ეპოქაში, ნიკო ჩუბინაშვილისა, სულხან-საბას

მიერ დაწყებული საქმის განმგრძობისა, და დავით ჩუბინაშვილისა — ს.-ს. ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის ღირსეული მემკვიდრისა. ნ. კო და დავით ჩუბინაშვილები აღიზარდნენ საბას ტრადიციებზე და მომდევნო ეპოქაში თავად შექმნეს ახალი მიმართულებანი ლექსიკო-გრაფიაში.

ნ. ჩუბინაშვილი გახლდათ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ერთ-ერთი ნიჭიერი წინამორბედი ჩვენში. ენობრივი ფაქტების ჩაღრმავებულმა ანალიზმა აგრძნობინა მას ამ მეთოდის საჭიროება. იგი ენის მოვლენების ანალიზისას მიმართავდა შედარებასაც და შეპირისპირებასაც. ჩვენი დაკვირვებით, მის ხელში შეპირისპირება ენობრივი ფაქტების საანალიზო ხერხია ერთი ან ორი ნებისმიერი ენის ფარგლებში, შედარება კი მეთოდია მსგავსი და ერთგვარი წარმოშობის მასალის შესწავლისა სხვადასხვა ენებში.

ნ. ჩუბინაშვილი 1788 წელს დაიბადა. მშობლიურ ქართულთან ერთად იცოდა რუსული, ბერძნული, ლათინური ენები, სარკველობდა სომხური და თურქული წყაროებითაც. ლექსიკოგრაფიით სიყრმიდანვე დაინტერესებულა, ხოლო სალექსიკონო საქმიანობაში მთელი გატაცებით 1812 წლიდან ჩაბმულა. 1825 წლამდის რუსულ ენას ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში. 1825—1837 წწ. მოღვაწეობდა პეტერბურგში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთარგმნელად და ინტენსიურად მუშაობდა ქართული ლექსიკოგრაფიისა და გრამატიკის საკითხზე. 1837—1845 წწ. საქართველოში, პალესტინასა და პეტერბურგში ისტორიულ-არქეოლოგიურ ძიებას ეწეოდა. თავისი ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები ნ. ჩუბინაშვილს, როგორც ახლა გამოკვლეულია, 1812—1825 წწ. შეუქმნია. ლექსიკოგრაფოსის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები პირველად, 1894 წელს, ალ. ცაგარელმა გააცნო საზოგადოებრიობას, ხოლო ცხოვრების გზის აღწერა ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ცნობებისა და თავად ლექსიკონების შესაბამისად, ახლად მოპოვებული საარქივო მასალებით შეავსო პროფ. ა. მ. კულიკოვამ და მეცნიერის ბიოგრაფიის საინტერესო ნარკვევი გამოაქვეყნა.

ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები ხელნაწერად დარჩა და მთელი 120 წლის განმავლობაში უცნობი იყო. მხოლოდ 1961, 1971, 1973 წლებში მოხერხდა მივიწყებული განძის სამზეოზე გამოტანა, რამაც მაშინვე სამეცნიერო საზოგადოებრივობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ შედგენილია 1812—1825 წლებში (პირველად 1961 წ. გამოიცა), ასახავს ეპოქის ქართულ ლექსიკას და ს.-ს. ორბელიანის „ქართული სიტყვის კონის“ ტრადიციებს აგრძელებს. ავტორი ძირითადად ს.-ს.

ორბელიანის მემკვიდრე და მიმდევარია, თავის ლექსიკონსაც მოკრძალებით უწოდებს „საბა-სულხან ორბელიანისაგან შეთხზულს და მცირედ განმართულს სისტემისაებრ მისისა“. ლექსიკონი ფასიკული და გვერდაუვლელო წყაროა ყველა იმისათვის, ვინც ქართველოლოგიის პრობლემებითაა დაინტერესებული, სწავლობს და იკვლევს ქართულ ენას, მის ლექსიკასა და გრამატიკულ სტრუქტურას. ნაშრომში ნახვენებია ის წარმატებები, რომლებიც ლექსიკოგრაფიამ წილობოვად XIX ს. პირველ ნახევარში როგორც საქართველოსა და რუსეთში, ისე დასავლეთში. მასალის სიუხვით, განმარტებათა ოპტიმალურობითა და მოკვეთილობით, დოკუმენტურობითა და სრულყოფილობით მას დღესაც არ დაუქარავს მნიშვნელობა და სამაგიდო წიგნად რჩება სპეციალისტთათვის.

ლექსიკონი ასახავს ქართული ენის განვითარებას ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონის“ შექმნის შემდეგ, XVIII საუკუნის ოციანი წლებიდან XIX საუკუნის ოციან წლებამდის. ესაა ეპოქა, როცა ქართულ მწერლობაში მწუხრი იყო ჩამოწოლილი, მაგრამ ენა მაინც ივსებოდა ახალი ლექსიკური მასალით, აღბეჭდავდა ერის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ვითარებას მოცემულ პირობებში. ნაშრომს წინ უძღვის „შესავალი ქართულის ლექსიკონისა“, რომელშიაც დახასიათებულია ქართული ენის გრამატიკული წყობა და ლექსიკის სემანტიკური სტრუქტურა. ესაა ერთ-ერთი პირველი, ნიჭიერად და ღრმა ცოდნით დაწერილი გამოკვლევა ქართული ენის ზოგადი ბუნების შესახებ. აქ დალაგებულია საბას ლექსიკოგრაფიული კონცეფციის ის ძირითადი დებულებანი, რომლებიც ავტორს თავისი ნაშრომის საყრდენად აუღია: „სისტემა საბასი, — ამბობს ის, — არს ესრეთ: 1. შესავალსა შინა განმარტებს ქართულთა ასოთა, ეგრეთვე საქცევთა მარცვალთა და ლექსთასა. ესე ფრიად სახმარ არს ეტიმოლოგიურისა გამოძიებისათვის ლექსთა ძირისა. 2. სახელთა თანა, დამნიშვნელთა ნათესავისათა, მუნვე დაურთავს აღრიცხვა სახეთა მისთა და, რაოდენ შესაძლო არს, განუმარტებია სხვაობა მათი. ესე ფრიად სარგებელ არს, ვინათგან სახენი ურთიერთისა შესწორებითა და ჩვენებითა სხვაობისა მათისათა, უმჯობეს შეიმეცნებიან. გარდა ამისა ზრავალჭერ შეხუდების ვისმე, რომელ ვერ მოიგონოს მსწრაფლად ერთი რომელიმე სახე მის რომლისამე ნათესავისა, რომელსა თანაცა მალე ვპოვებს სრულიად სახეთა მისთა. მაგალ., მსწრაფლად ვერ მოვიგონე ჭვარედინის გზის სახელი, მაშინ გზასა თანა ვპოვებ მეზობრისა. ანუ სახელი ფეხსაცმელთ ძირისა, მაშინ ძირსა, ანუ ფხკერსა თანა ვპოვებ ლანჩსა. გინა სახელი აქლემთა ჯოგისა, მაშინ ჯოგსა თანა ვიპოვი კოლტსა და სხვადასხვა. 3. სიმოკლისათვის ლექს-



თა განმარტებისა საბას ფრიად კეთილად უხმარიან საზოგადონი ნი-  
შანი... 4. უმრავლესთა ლექსთა თანა აღუნიშნავს რიცხვი მუხლთა  
საღვთოსა წერილისაგან და სხვათა საეკლესიოთა ანუ საეროთა წიგნ-  
თა, სადაცა იპოვებიან ლექსნი იგი. 5. ქართულთა ლექსთა თანა ზედ  
მოუწერიან ლექსნი იტალიანთა, თურქთა და სომეხთანი, რომელნიცა  
აჩვენებენ, უკეთუ მათ ენათაგან მიღებულ არიან ქართულად ლექსნი  
იგი. ფრიად საქებელი ესე სისტემა საბასი დაცულ არს მცირედ გან-  
მარტულსა ამას ლექსიკონსა შინა“.

ავტორი ამ დებულებებს იცავს და შემოქმედებითად ავითარებს.  
მისი „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ ორიგინალურ-  
ი ნაშრომი, რომელიც ერთი მხრით, ქართული ლექსიკოგრაფიის  
ტრადიციებს, მეორე მხრით, ზოგად და რუსულ ლექსიკოგრაფიაში  
დამკვიდრებულ თეორიულ პრინციპებს ეყრდნობა. ლექსიკონში ქარ-  
თული ენის ფონეტიკური და გრამატიკული სტრუქტურა დანახულია  
ახალი თვალთ. აქ ვხვდავთ შედარებითი კვლევა-ძიების გზებს, ენა-  
ბრივი ფაქტებისა და მოვლენების ახლებური ანალიზის ცდებს. ნ. ჩუ-  
ბინაშვილი იყო პირველი ქართველი ენათმეცნიერი, რომელმაც XIX  
საუკუნის დასაწყისში მოგვცა ახალი ქართულის გრამატიკული წყო-  
ბის ორიგინალური მიმოხილვა და ვრცელი განმარტებითი ლექსიკო-  
ნი. გატკეპნილ გზას არ გაჰყოლია; თავისებურად გაიანზრა ენის ფაქ-  
ტები, სრულიად ახალი იდეები შემოიტანა ქართული ენის ლექსიკო-  
სა და აგებულების შესწავლაში. ის პირველი მკვლევარი იყო, რომელ-  
მაც დააყენა ქართული ორთოგრაფიისა და ანბანის გამარტივების  
პრობლემა, დაადგინა ასოებით სიტყვის მართლწერა, დიდძალი ტერ-  
მინი.

საღვთისმეტყველო მასალა ავტორს ძირითადად ამოკრებილი აქვს ბუ-  
ნებრივი სალაპარაკო ენიდან. მართალია, მასალის უმეტესი ნაწილი  
დოკუმენტირებულია ძველი ძეგლებიდან, მაგრამ ლექსიკონში უზუ-  
რატესად შეტანილი და განმარტებულია სიტყვათა ის მარაგი, XIX ს.  
დასაწყისში რომ იყო მიმოქცევაში. საბას ნაშრომიდან ნახესხები გან-  
მარტებებიც შეფარდებულია თვით ეპოქის ნორმებთან.

განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენს ავტორს  
ზმნის კატეგორიათა შესწავლასა და ლექსიკონში მათი ოპტიმალურად  
აღბეჭდვის დარგში. ნ. ჩუბინაშვილმა პირველად აღწერა ზმნის თურ-  
მეობითი და ხელმეობითი ფორმები, ზმნის ფორმაში გამოყო ორი  
ძიება (ობიექტი), მიჩემებითი (ვერსიისა), სხმითვარდასლვითი (კონ-  
ტაქტის) და ზმნის სხვა მორფოლოგიური კატეგორიები. საგულისხმოა  
იმის აღნიშვნაც, რომ მანამდე გრამატიკოსთა შორის ის პირველი

ოყო. რომელმაც შენიშნა ზმნის ერთპირიანი (ვნებითი: ვიწერები),  
ორპირიანი (მოქმედებითი: დავწერე. ვნებითი: ვიწერები). სამპირია-  
ნი (მაწინებს. მწერს) ფორმების სხვაობა და მართებულად აღწერა  
ის. ნ. ჩუბინაშვილის გრამატიკული მემკვიდრეობა, სამწუხაროდ, ჯერ  
კიდევ არ არის სრულად შესწავლილი. აქედან მხოლოდ ცოტა რამ  
გადავიდა დ. ჩუბინაშვილის ნაშრომებში და ისიც ანონიმურად.

ავტორი სავანებოდ ჩერდება ქართული პროსოდის საკითხებზე.  
„გრძელი და მოკლე მარცვლის“ შესახებ გვაცნობს საკუთარი დაკ-  
ვირების შედეგებს, რომლებიც ახლაც ცხოველ ინტერესს იწვევენ;  
მისი დასკვნები გაზიარებულიცაა. ავტორის სიტყვებით, „პროსოდია  
საზოგადოდ არს ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს, თუ რო-  
მელთა მარცვალთა (ლექსთა შინა) ჯერ არს გამოღება გრძლად და  
რომელთა მოკლედ“. გულისტივილით მიუთითებს: „ქართულელთა  
ღრამმატიკოსთა არა დაუდევიათ საჭიროდ ნაწილი ესე, და ეიეთნიმე  
ამტკიცებენცა, ვითარმედ ქართულსა ენასა არა აქვს პროსოდია, გარ-  
ნა თეათოეულსა ენასა პროსოდია აქვს ესრეთ მოუცილებელად, ვითა  
ნაწილნი სიტყვისანი, ხოლო მესტიხოზისათვის არს, ვითა სული  
ხორცათვის“. პროსოდის დახმარებით შეიძლება ლექსის შეფასება,  
იგი ლექსის საზომიანო, „საშუალობითა პროსოდისათა სტიხნი, ეს-  
რეთ ითქმოდეთ, აღიწონებიან, ვითა სასწორითა აფთექისათა უმცი-  
რესნი ნაწილნი მისხლისანი, ვიდრე ხორბლის მარცვლადმდე, და  
სტიხნი თვინიერ პროსოდისა არა არიან სტიხნი“. ავტორი უდიდეს  
მნიშვნელობას ანიჭებს ლექსში მახვილისა და სამახვილო კომპლექ-  
სების მონაცვლეობას. მან ზუსტად მიუთითა, რომ „ქართულისა ენი-  
სა პროსოდია არა ეგრეთ ძნელ არს, ვითა ბერძულისა ანუ სლავენუ-  
რისა“, მაგრამ ენას მაინც აქვს შემუშავებული მახვილიანობის ტრა-  
დიციული წესი. ავტორი ნათლად აღწერს მარცვილისა და სამახვილე  
კომპლექსების წესებს, რომელიც ბუნებრივია ქართულ ლექსში. მისი  
აზრით: ა) ერთმარცვლიან სიტყვებში გვაქვს „გრძელნი მახვალნი“,  
ე. ი. ამისთანა სიტყვებში ხმოვნები გრძლად (დაყოვნებით) გამოითქ-  
მის; ბ) ორ- და სამმარცვლიან სიტყვებში პირველი არის გრძელი,  
მეორე — მოკლე (მახვილიანია ბოლოდან მეორე ან მესამე ხმოვანი);  
გ) ოთხ-, ხუთ- და ექვსმარცვლიან სიტყვებში „აღირიცხებიან მარ-  
ცვალნი ბოლოთგან და მესამე მარცვალნი დასასრულითგან არს ნია-  
დაჲ გრძელი“; დ) სამახვილე კომპლექსი კი, ავტორის აზრით, იქმნე-  
ნა ასე: „სტიხთა შინა ზოგჯერმე ორნი და სამნი ლექსში შეერთდებიან  
ესრეთ, ერთა რთულნი, ანუ ერთი ლექსი მრავალმარცვლოვანი დაი-  
დების, ვითა განყოფილი, მიხედვითა ხმის ამაღლებისათა“. დაკვირ-  
ვებანი ეყრდნობა მკვიდრ ფაქტებს. ნ. ჩუბინაშვილმა შექმნა ქართუ-

ლი სიტყვის მახვილის მოძღვრება, რომელიც დღესაც იპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას.

„ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანიტურთ“ განძია ჩვენს ლექსიკოგრაფიაში. აგების პრინციპებით, მასალის სიუხვითა და ნაირფეროვნებით, განმარტებათა მოკვეთილობითა და მეცნიერული ღირსებებით ის მაღლა დგას იმ ეპოქაში შექმნილ სხვა ლექსიკონებზე. ნ. ჩუბინაშვილმა ქართულ ლექსიკოგრაფიაში შემოიტანა ბევრი სიახლე, რაც მთავარია, ახალი ლექსიკური მასალა. ნაშრომის მეცნიერულ ღირსებას ერთიორად ზრდის ქართულ სიტყვათა რუსული თარგმანი. მას ამ მხრით წინამორბედი არ ჰყოლია.

ნ. ჩუბინაშვილს ასევე თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი რუსულ-ქართულ ლექსიკოგრაფიაშიაც. უნიკალურია მისი რუსულ-ქართული ლექსიკონი, ორ კაპიტალურ ტომს რომ შეიცავს. შედგენილია ის 1812—1832 წწ. შუალედში. ამ შრომის შესახებ თავად ავტორი ერთ-ერთ კერძო წერილში, რომელიც ძმისწულის, დავით ჩუბინაშვილისათვის რომ გაუგზავნია 1845 წ., ამბობდა: „რუსული და ქართული ლექსიკონი, დიდი აკადემიურის სლოვარიდამ შედგენილი, რომელსაც ფასი არ დაედება იმისათვის, რომ ჩემი ცხოვრება სრულეებით ამის შრომაზედ გამიტარებია“. ავტორი მიუთითებს გაწეული შრომის სირთულესა და წყაროებზე. ნაშრომში, ცხადია, გამოყენებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონის არამარტო პირველი (1789—1784), არამედ მეორე (1806—1822). გამოცემაც. ამასთან ბევრად შეესებულება ახალი მასალითაც. ასახავს რუსული ენის პუშკინამდელი ეპოქის ლექსიკას; ციტირებულია მდიდარი, რუსული მხატვრული, საისტორიო, ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ლიტერატურა. რუსული სიტყვების ქართული თარგმანი გამოირჩევა ადეკვატურობითა და გრამატიკული კვალიფიკაციის სიზუსტით. ლექსიკონს არა თუ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, დღესაც მიუცილებელი წიგნია როგორც რუსული ენის სპეციალისტთა და შემსწავლელთა, ისე მთარგმნელთათვის.

ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანიტურთ“ და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ ეროვნული მეცნიერების ძვირფასი ძეგლებია, რომელთა ნიადაგზე XIX ს. მეორე ნახევარში აღმოცენდა დავით ჩუბინაშვილის „საუნჯე ქართულის ენისა“ და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, რომელთაც მთელი ეპოქა შექმნეს ჩვენს ლექსიკოგრაფიაში. პროფ. ვ. ტრეტიაკოვი სამართლიანად ამბობდა: „ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონების შესწავლამ დაადატურა, რომ ისინი უნივერსალური არიან და, გარკვეული მიზნით, არც პრაქტიკული

მნიშვნელობა დაუკარგავთ, არ მოძველებულან ისევე, როგორც რუსულ ლექსიკოგრაფიაში არ მოძველებულა დალის ლექსიკონი“; რუსი ავტორი განაგრძობს: ნ. ჩუბინაშვილი „იყო ქართული ლექსიკოგრაფიის კლასიკოსი, თავისი ეპოქის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი, ზედის უცნაური ირონიით უცნობი მეცნიერებისათვის“. ამ შეფასებას დამატება აღარ ესაჭიროება. ჩვენი ეს მცირე წერილი გვინდა დავამთავროთ ვ. ტრეტიაკოვისავე სიტყვებით: „ნ. ჩუბინაშვილი კი კვლავ ძნელ ამოცანებს უსახავს მეცნიერებას და არა მართო ენათმეცნიერებას. მაგალითად, საგარეო საქმეთა კოლეგიის მთარგმნელს ნიკო დავითის ძე ჩუბინაშვილსა და დიპლომატ ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვს ხომ არ აკავშირებდათ ერთმანეთთან უფრო მეტი რაჲ, ვიდრე ერთი დაწესებულების ორი თანამშრომლის გარდუვალი ნაცნობობა? საფუძველი ასეთი ვარაუდისათვის ბევრია: ორივე სწავლობდა აღმოსავლურ ენებსა და ლიტერატურას, ორივე საქართველოზე იყო შეყვარებული. ორივეს სწამდა საქართველოს რუსეთთან კავშირის პროგრესულობა და არსებობდა ადამიანი, რომელიც უნდა დახმარებოდა მათ, გაეწვდინათ ერთმანეთისათვის ხელი—ბოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, სიმამრი და თანამოაზრე გრიბოედოვისა, ტოლი და თანამემამულე ნიკო ჩუბინაშვილისა“ („მნათობი“, № 1, 1974, გვ. 164). ვინ იცის! რუსი ავტორის ამ კეთილ ვარაუდს უეჭველად აქვს პერსპექტივა.

1939 წ.

### უკვდავ-უბერიველი წიგნი

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ გამოქვეყნდა იმ დროს (1876 წ.), როდესაც გადამწყვეტი ბრძოლა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ძირითადად დამთავრებული იყო. ილია ჭავჭავაძემ მოიგო საოცრად ძნელი ბატალია, რომელიც თავად წამოიწყო 1861 წელს „ცისკრის“ ფურცლებზე. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში. ილიამ თავიდანვე საქვეყნოდ განაცხადა, რომ „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანით თეორეტიკაო“, და მოვლენები განეითარდა სწორედ ილიას მიერ გაკვალული გზით. ი. გოგებაშვილის „დედაენა“ ილიას მეცნიერულად სწორი, ფაქტობრივი მასალით უტყუვრად დასაბუთებული და მყარი პოზიციის გამარჯვების ზეიმიია. ილიასა და ი. გოგებაშვილის თვალსაზრისები სალიტერატურო ენის ბედის განსაზღვრის საკითხში ერთმანეთს დაემთხვა. ი. გოგებაშვილმა უყოყმანოდ გაიზიარა ილიას იდეები და თავისი „დედაენა“ სწორედ იმ ენობრივი ნორმების შესა-

ტყვისად გამართა, რომელთა გავრცელებასაც ილია ლამობდა. „დედაენა“ გადაიქცა ილიას პროგრესული იდეების სასწაულებრივი სასწრაფით გავრცელების ერთ-ერთ უძირითადეს ძალად და საშუალებად. „დედაენა“ ახალი სალიტერატურო ქართულია სკოლასა და ხალხში — სათუთად მოვლილი და მოკაზმული. ეს უნდა ჩაითვალოს ი. გოგებაშვილის „დედაენის“ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირსებად, რაც ასე მალლა სწევს მის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში, ერთიანი ახალი ქართული სალიტერატურო ენის გავრცელებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

ი. გოგებაშვილმა მიზნად დაისახა წიგნის გამართვა საერთო ენის შესატყვისად. სახელმძღვანელოს როგორც საანბანო, ისე საკითხავ ნაწილში შეტანილია დაწმენდილი, საერთო ენის უნიფიცირებული ნორმების ამსახველი მასალა. მართალია, საერთო სალიტერატურო ენის გამდიდრების ლექსიკურ ინვენტარს ი. გოგებაშვილი დიალექტებში ეძებდა, მაგრამ აქედან მან აიღო არა მარტო ერთი კილოს ან კილოთა ჯგუფის მონაცემები, არამედ ყველა კილოს საერთო მთელი ეთნოგრაფიული საქართველოს ყველა კუთხისათვის გასაგები და ადვილად დასაძლავი ლექსიკა.

ი. გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ ქართული სალიტერატურო ენა ისტორიულად არ შემოზღუდულა მხოლოდ ერთი სამეტყველო რეგიონით და მუდამ იცებოდა დიალექტთა შემონათანით, მეტნაკლებად საზღვრობდა მთელი ხალხის საერთო სასაუბრო მეტყველების საუნჯით და არა ერთი, გნებავთ ყველაზე განვითარებული, კუთხის მონაცემებით. ილია თავიდანვე კარგად ხედავდა ამ ბუნებრივი ენობრივი პროცესის პერსპექტივას და ყოველმხრივ ხელს უწყობდა სასიკეთო ტენდენციების ინტენსიურად განვითარებას, თავისი დიდი პირადი წვლილი შეჰქონდა მასში. ი. გოგებაშვილის „დედაენაში“ ორგანულად აისახა ეს კეთილისმყოფელი ტენდენციები.

იმ ღროს, როდესაც „დედაენა“ იქმნებოდა, სალიტერატურო ენის მერიდანები მკაცრად შემოფარგლული არ ყოფილა და დიალექტების ზედრით წონას მასში გარკვეული ყურადღება ექცეოდა. მაშინ ღრმად სწამდათ, თითქოს ძველ ქართულს იმიტომ მოაკლდა მომხმარებელი და ის იმიტომ დაშორდა თანამედროვეობას, რომ, როგორც სამწერლო ენა, აღარ იცებოდა დიალექტური ინოვაციებით, გაჩერდა და გაიყინა ერთ წერტილზე, ხოლო ენის სიცოცხლისა და განვითარების უკუკუთხედად დიალექტები იყო მიჩნეული. აი, როგორ იცავდა ამ შეხედულებას, კერძოდ, ძველი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გ. გორისელი (ე. წერეთელი), თავის ნაშრომში „ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“, რომელიც 1872 წელს გა-

მოქვეყნდა „კრებულში“ (№ 7, გვ. 1—48) და ასახავდა მეცნიერების განვითარების იმეამინდელ დონეს, ეხმაურებოდა ილიას მიერ 60-იანი წლების დასაწყისში გამოთქმულ აზრებს. „როგორც ზღვა მდინარეებით და ხევებით ირთავს ახალ წყალს, — ამბობდა გ. გორისელი, — ისე ლიტერატურული ენა ნიადაგ უნდა სარგებლობდეს ყველა თემის კილოთი და ამ სახით ლიტერატურულ ენას ყოველთვის კავშირი უნდა ჰქონდეს თავის დიალექტებთან, მუდამ ითვისებდეს იმისგან ახალს გამოთქმებს, სიტყვებსა და ლექსთა წყობას“ (გვ. 41). როდესაც „დიალექტისაგან აღარ იძენს ეს ლიტერატურული ენა ახალ-ახალ სიტყვებს, — დასძენს ავტორი, — დგება ერთ დონეზე“; „ძველთ ენა ჩვენი ძალიან შემუშავებული ენაა, მაგრამ იმაზე არაფერს ლაპარაკობს. ეს ენა აღრიდანვე აღარ აქცევდა ყურადღებას სხვადასხვა თემების სიტყვიერებას, არ სარგებლობდა იმ დიალექტებით, რომლითაც ლაპარაკობდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, ჭავჭავთში“; „ახლა არსდება ახალი ენა, რომელშიაც შერთულია ყველა მაზრის კილო, ე. ი. ქართლის კილოც, კახეთისა და იმერეთისაცა. აი ეს ენა ყველას ესმის და ჩქარაც იზრდება; როდესაც ლიტერატურულად კარგად შემუშავდება ეს ახალი ენა (ლაპარაკია ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბება-გავრცელებაზე, ა. დ.), ის არასოდეს არ უნდა დაეცილოთ ჩვენს სათემო კილოებს ანუ დიალექტებს, თუ რომ გვინდა, მუდამ ცოცხალი ლიტერატურული ენა გვქონდეს და ისე არ მოკვდეს, როგორც ძველი ლიტერატურული ენა მოკვდა“ (იქვე, გვ. 39—41).

ამ გეზს იცავდა იმ ეპოქის პროგრესულად მოაზროვნე თაობა.

ილიას მიერ არჩეულ გზას გაჰყვა შთამომავლობა. ამის მოწმედ დავასახელებ მხოლოდ მ. ჭანაშვილს, რომელმაც მშვენივრად გამოხატა შთამომავლობის ნოვატორული დამოკიდებულება ტრადიციასთან თავისი „ქართული გრამატიკის“ წინასიტყვაობაში. „ქართულ ენად, — სამართლიანად ამბობდა მ. ჭანაშვილი, — ჩვენ მიგვაჩნია ჯამი იმ სიტყვიერ და სამეტყველო საუნჯისა, რომელიც, დროთა განმავლობაში, შეუქმნია და შეუშუშავებია არა ქართლელს ანუ კახელს, არა იმერელს ანუ მესხს, არა სვანს ანუ მეგრელს, არა აჭარა-კლარჯელს ანუ ჭანს, არამედ მთელს ქართველობას, ქართველთა გვარტომს“; „ვინც არ იცის ქართული მის წარსულსა და აწმყოში, არსება, პირობანი და კანონები მისი და მისის კილოკავებისა, მას, ვეჭობთ, ესმოდეს მშვენიერება იმ დიად მეტყველებისა, რომელიც არის საეროვნო, საგვარტომო ენა, გადაშლილი და გადაფურცვნილი მრავალ ტოტებად“ („ქართული გრამატიკა“, თბ., 1906, გვ. 1). „კილოკავების უგულებელყოფა, კარჩაეცილობა მათ შესწავლაში მავნებელია იმ მხრივაც, რომ

სწორეთ ამ კილოკავებში, ვით ხელუხლებელს სალაროში, შეხატულა მრავალი ძველისძველადგანვე ქართველებისაგან შეძენილი, სიტყვიერი საუნჯე, რომელიც საქირთა გამოზზევდეს და მიემატოს საერთო ქართულს, გაუერთიანდეს სრულიად საქართველოს სამწერლო-საერონო ენას“; „როგორც რომელიმე მდინარე დიდდება თავისი ნაკადულების შემორევით, ისე ენაც, თავისის წინსვლის დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზრდოს თავისის კილოკავებიდან; უამისოდ იგი დიდ მანძილს ვერ გაივლის, საფანელი შემოაკლდება, გალატაკდება და სწორედ ის დაემართება, რაც ქვიშნარში მიმდინარე ხევს, რომელიც სათავეებში წყარო — ნაკადულების სიცოტავის გამო, ზღვამდის ველარ უწევს“ (იქვე, გვ. 2-3).

„დედაენა“ პირველი გამოცემიდანვე ამ მიმართულების ერთგული იყო. ი. გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოში აღბეჭდა სწორედ საერთო ქართული, ის სასაუბრო ქართული, რომელიც ერთნაირად იყო გავრცელებული მთელ ხალხში. ამიტომ გახდა „დედაენა“ სახალხო წიგნად, მთელი ერის სახელმძღვანელოდ.

ია-დან მოყოლებული ბოლომდის, ყველა ასო-ბგერის სწავლებას საფუძვლად დაედო საერთო ლექსიკა, საოცარი გემოვნებით შერჩეული სიტყვობრივი საუნჯე. სულ საანბანო ნაწილში დამოწმებულია 360-ზე მეტი სიტყვა, იმ დროს ერთნაირი სემანტიკით რომ იყო გავრცელებული ქვეყნის ყველა კუთხეში. გამონაკლისი არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ლექსემას (თონე, დო, ძნა, ღანძილი, გოგრა, ნამგალი, ჩამიჩი, აპურა, ჯაგანი, ყვეარი, წალო; ჯოჯო, გაჯი, ჯეჯილი, ჯონჯოლი), რომლებიც ან სულ არა, ან ნაკლებად იხმარებოდა დასავლურ კილო-თქმებში. ცალკე ასო-ბგერათა საილუსტრაციოდ გვხვდება ამისთანა სიტყვები:

ია: აი; ხ: ხე, ახ, ეხ, ხახა, ხეხე, ხეხა; ს: სახე, ის, ეს, ესე, სია, ასი, სასა, ჯესე; შ: მახე, მე, ამ, იმ, მამა, ხამი, მისი, მეხი, მიხა; თ: ათი, თასი, მათა, მათე, თიხა. თესე, საით, თითი; ო: თონი, ომი, ოსი, ასო, ამო, სოსო, მოსე, თომა, თითო; კ: სოკო, კი, კაი, აკი, კეკე, კოკა, თოკი, კეხი, კამა, მაკა, სიკო; ვ: იხვი, ავი, ევა, ხევი, ვასო, კევი, ვაკე, თავი, თივა, კავი; ზ: ვაზი, ეზო, ხაზი, თაზო, ზეთი, ზომა, ზეზე, ზაზა, აზიზი; უ: კუ, სუ, თუ, უმი, უთო, მუხა, თუთა, კუხე, სუკი, კუზი. ხუთი, უხმო, უზმო; ჯ: ფინჯანი, ჯოჯო, მუნჯი, ჯვარი, ბურჯი, ჯაჭვი, დონჯი, ჯაგანი, ნაბიჯი, ფანჯარა, ჯეჯილი, განჯინა, ჯონჯოლი, ჯორი, ჯამი, ქაჯი, ჯაგარი, ჯიუტი, მახინჯი, ჯიხვი...

დამოწმებულია საერთო ქართული ლექსიკა, რომელსაც სიბრძნის წიგნი აყვარებს ნორჩ თაობას, ახედვებს ენის სიღრმეში, აგრძნობი-

წავს ენის სიტუარფესა და ძალას. ამ სიტყვებითაა შედგენილი მარტი-  
ვი კამონათქვამები, რომლებშიაც ჯარისკაცებივითაა განლაგებული  
ალოუელი ლექსიკური ერთეული. საერთო ფონდში. აქა-იქ, ნასეს-  
ხები სიტყვებიცაა ჩართული, მაგრამ აღებულია იმისთანა ნიმუშები,  
რომლებიც უხსოვარი დროიდან შემოხიზნებიან ქართულ ენას და  
იხე ვათქვეფილან მასში, რომ ჰირს არაქართულად მიჩნევა. „დედა-  
ენა“ საანბანო ნაწილში ამისთანა ნასესხებობა მეტად მცირეა. სულ  
თაუებზე ჩამოსათვლელია: ექიმი (არაბ.), შავი (სპარს.), მელანი (ბერძნ.),  
ღუქანი (სპარს.), ფანარი (ბერძნ.), ბულბული (სპარს.), ფანჯარა  
(სპარს.), არაყი (არაბ.). ესაა და ეს.

ექიმ- (აქიმ-) სიტყვა არაბულიდანაა შემოსული და ისეა გაშინაუ-  
რებული, რომ დღეს კაცს ძნელად თუ დავაჯერებთ, რომ ნასესხებია.  
საბა ბრძანებს: „აქიმი სხუათა ენაა (არაბულია, არაბთა ენაა), ქარ-  
თულად მკურნალი ჰქვიან“. X—XI სს. იმისთანა ძეგლებში, როგორი-  
ცაა ოთხთავი, 864 წ. მრავალთავი, ბიბლიური წიგნების თარგმანები  
აიოქოს არ დასტურდება. ილ. აბულაძის „ძველ ქართულ ლექსიკონ-  
ში“ შეტანილი არ არის. „ვეფხისტყაოსანში“ სამჯერაა ნახმარი: „რა  
აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი“ (662, 1); „აქიმიცა იყ-  
ვირვებდეს: „ესე სენი რაგვარია?“ (352,1); „ამით უფრო დამაწყ-  
ლულა, არა წყლულთა მიაქიმადა“ (519,4).

შ ასო-ბგერის საილუსტრაციოდ დამოწმებულია შავ ლექსემა,  
პოპულარული სიტყვა ძველ და ახალ ქართულში. ლექსიკონებში მიჩ-  
ნეულია ქართულად. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ „დედაენაში“  
აღვალობრივადაა გაგებული. სიტყვა სპარსული უნდა იყოს, ახმარება  
ისურშიც (საუ გახმოვნებით).

ბერძნ. მელან-ი შავს ნიშნავს. დამოწმებულია ლ ასო-ბგერის საი-  
ლუსტრაციოდ. გვხვდება უძველეს ძეგლებში. ბერძნ. ფანარ-ი, საბას  
მიახვდით, „ფრანგულია, ქართულად ლიფლიფი ჰქვიან“; „ფანარი  
ლიფლიფი, სანთლის შესადგმელი ჭურჭელი, მოკრული სამოსლითა  
ანუ ჰიქითა და ეგვეითარიითა“ (ნ. ჩუბინაშვილი). სავარაუდოა, რომ  
მეტე გავრცელება რუსული ენის მეშვეობით მიეცა XIX საუკუნეში,  
თქმეცა ადრეც იხმარებოდა. საბას ლექსიკონში დამოწმებულია ლი-  
ტონად. სპარს. ღუქან-ი ჩვენში ადრე გაშინაურდა. ლექსიკონებში  
განმარტებულია ასე: „უკუსაჯდომელი, გინა სახლი სასაქმო, გინა ად-  
გილი სამარხავი“ (საბა); „სულა, ქულა, ქულბაგი, სავაქრო ან სამუ-  
წაო სახლი“ (ნ. ჩუბინაშვილი). განსაკუთრებით პოპულარული გახდა  
ვაჭრობის განვითარების წყალობით. XIX საუკუნეში ამგვარი სავაჭ-  
როები თითქმის ყველა მოზრდილ დასახლებულ პუნქტში აშენდა.  
სპარს. ბულბული-ი შ ასო-ბგერის საილუსტრაციოდაა დასახლებული.



საბას განმარტებით, ვარდის ჩიტია. ლექსიკონში შეტანილია წყაროს უჩვენებლად. ჩვეულებრივ იხმარებოდა საშუალ ქართულში. „ვეფხისტყაოსანში“, მაგალითად, რეაქერაა მოხსენიებული. სპარს. ფანჯარა ადრე ჩანს ნასესხები. საბა იმოწმებს ლიტონად: „ფანჯარა თურქთა ენაა, ქართულად კანკელი და ლანძვი და არდაბაგი ჰქეიან“; „ფანჯარა სარკმელი თტლებიანი“ (ნ. ჩუბინაშვილი). ნასესხები სიტყვა ისე გავრცელდა, რომ მკვიდრი სარკმელი განდევნა. არაყ-ი გვხვდება ყ ასო-ბგერის საილუსტრაციოდ. საბა ამბობს: „არაყი არაბულად ოფლსა ჰქეიან, ვინათგან იგიცა ქვაბისა ოფლი არს, ხოლო ქართულად არაყსა სახელად იყი ეწოდების“. ლექსიკონში შეტანილია ლიტონად. სიტყვა გახშირდა მოგვიანებით. ძველ ქართულში ჩვეულებრივ არ ჩანს.

სხვა ნასესხებად მიჩნეული სიტყვა „დედაენის“ საანბანო ნაწილში იშვიათია. რამდენადაც ავტორის კეთილი მიზანი იყო საერთო ქართულის სწავლება, სახელმძღვანელოში იმისთანა სიტყვები მოხვდა, ქართულად რომ ითვლებოდა.

ი. გოგებაშვილს მართებული პოზიცია ეჭირა დიალექტური მასალის გამოყენების მიმართაც. მან არსებითად თავი აარიდა დიალექტურ გამოთქმებს და შემოიფარგლა მხოლოდ ერთიანი ქართული ლექსიკით. ამასთან, ბევრ ლოკალურ სიტყვას მოსწმინდა დიალექტურობის ნაკუჭი, ვაასპეტაკა და ჩააყენა სალიტერატურო ენის სამსახურში. ეს იყო მეტწიერულად სავსებით გამართლებული ნაბიჯი. ორიოდ დიალექტური ლექსემის კუთხური გახმოვანებით ხმარება სურათს ვერ ცვლის. „დედაენის“ საანბანო ნაწილში დაშვებულია მხოლოდ რამდენიმე დიალექტიზმი: მამე, მიე, ადე||ადი: „თიხა მამე“, „თოკი მამე“, „ღოში მამე“, „სოკო მამე“ „სამი ია მამე“, „თითი მიე“, „კეკეს კონა ნეე“, „კაკალი კეკელას მიე“... თუმცა ეგ გამოთქმები ავტორს დიალექტიზმებად არ მიაჩნია, ლიტერატურულადაა გაგებული. წიგნის შემდგომი გამოცემები მნიშვნელოვნად დახვეწილია, მაგრამ მამე ფორმა უფრო ხშირად ხელუხლებლადაა დატოვებული. შემონახულია თვით „რწყილი და ჭიანჭველას“ ტექსტშიაც, რომელიც თავად ი. გოგებაშვილის მიერაა მოპოვებული: „ღორო, მამე ჭაგარი“, „მუხავ, მამე რკო“, „კრუზო, მამე წიწილა“, „ორმოვ, მამე ფეტვი“, „ძროხავ, მამე რძე“, „ღორი მამცემს ჭაგარსა“, „მუხა მამცემს რკოსა“, „კრუხი მამცემს წიწილასა“, „ორმო მამცემს ფეტვსა“.

საერთო ლექსიკა და გრამატიკული ნორმები პირწმინდად გასდევს სახელმძღვანელოს არა მარტო საანბანო, არამედ საკითხავ ნაწილსაც, საკითხავ ნაწილში შემოტანილია გულმოდგინედ დამუშავებული ტექსტები: ზღაპრები, მცირე მოთხრობები, სასაუბრონი, იგავ-არაკები თავად

ავტორის მიერაა დახვეწილ-დამუშავებული ან თარგმნილი. ხალხური ზღაპრების, ანდაზების, ვამოცანების უმეტესი ნაწილი ამოკრებილია პ. უმიკაშვილის ხელნაწერი კრებულებიდან.

საკითხავ მასალასთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილი ამბობდა: „პირველი ადგილი წიგნში უჭირავთ ზღაპრებსა. იგინი არიან ან ხალხური, ჩვენგანვე შეკრებილი, შეუცვლელათ, ან ცვლილებით შეტანილი წიგნში. ან ეკუთვნიან წარსული საუკუნის ჩვენ მწერალს საბა ორბელიანს და ამორჩეულნი არიან მისი შესანიშნავი თხზულებიდან „სიბრძნე სიცოტუვის წიგნი“, ან კიდევ რუსულიდან არიან გადმოღებული და გადმოკეთებულნი“ („დედაენა“, თბ., 1876, წინასიტყვაობა, გვ. 111). ი. გოგებაშვილის რეკომენდაციით, „ზღაპრების კითხვას კლასში მხოლოდ მაშინ მოითხოვს მასწავლებელი მოწაფეთაგან, როცა ესენი კითხვანი გაიმართებინან. მანამდის კი ეს ზღაპრები სიტყვით უნდა უამბოს და წიგნში მათი კითხვა მიანდოს ბავშვების სურვილს კლასის გარეთ, თავისუფალ დროსა“ (იქვე).

ზღაპრებთან ერთად მოცემული მცირე მოთხრობები ხელს უწყობს ბავშვის გონების გავარჯიშებასა და მხატვრული გემოვნების გამომუშავებას. „ზღაპრებს მისდევენ პაწაწ-პაწაწა მოთხრობები, იუმორიულნი, ზნეობითნი და სხვა ბევრგვარი შინაარსიანი. ესენი თავდაპირველათვე უნდა კლასში იკითხებოდნენ და მათ კითხვის დროს მასწავლებელმა უნდა მოითხოვოს მოწაფეთაგან გვარიანი კითხვის კანონების სასტიკი დაცვა“ (იქვე, გვ. IV). შემდეგ ავტორი განაგრძობს: „პატარა მოთხრობებს მისდევენ იგავ-არაკები. ესენი, უმეტეს ნაწილათ, ეკუთვნიან (მხოლოდ სიუჟეტით) ეზოპესსა, მცირე ნაწილი კი ხალხურია, ან კრილოვიდგან არის გადმოღებული. მათი კითხვა ბავშვებისათვის არც კლასში იქნება ძნელი, არც გარეთ, რადგანაც ესენი პატარები არიან და მარტივნი შინაარსით და გამოხატულებით. ლექსებს ამ წიგნში დიდი ადგილი უჭირავთ. ისინი არიან უმეტეს ნაწილათ ხალხური, რომლებიც ზოგნი პეტრე უმიკაშვილის ჭერ დაუბეჭდელი კრებიდან ამოვსწერეთ, ზოგნი თვითონ შეგკრიბეთ და ზოგნი ამოვირჩიეთ ახალციხური ლექსების კრებიდან, რომლებიც შეგროვილნი არიან უკანასკნელ დროს ერთი პატივცემული ფრანგების მღვდლისაგან, ნიკ. მესხიევის თაოსნობით, და რომლებიც დაბეჭდვას მოელიან. მცირე ნაწილი ლექსებისა არ არის ხალხური და უმეტეს ნაწილათ ჩვენგანივ არის შედგენილი“ (იქვე, გვ. IV).

ენის პრაქტიკულად შესწავლაში ი. გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლექსებს. სწორედ ამიტომ „დედა ენის“ საკითხავ ნაწილში წყობილსიტყვაობის ნიმუშებს საჭირო ადგილი ეთმობა. ბლომადაა

წარმოდგენილი ხალხური და ქართველ მგოსანთა ლექსებიც. აქ გვაქვს დ. გურამიშვილის ლექსების ნაწყვეტები, ნ. ბარათაშვილის „ყვავილი“, ილ. ჭავჭავაძის „გაზაფხული“, ჭალადიდელის „მთიური წყარო“, ფავ-  
ლენიშვილის „გამწვებული ჩიტი“, დ. დადიანის „დატყვევებული ჩიტი“. ქართველ პოეტთა ლექსების ნაკლებობას ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა. „კარგათ ვიცით, რომ უკეთესი იქნებოდა, მათ მაგიერად რომ ჩვენი გამოჩენილი პოეტების ლექსები ყოფილიყო ჩართული, მაგრამ, სამწუხაროთ, მათ ნაწარმოებში სრულიად არ მოიძებნება საბავშვო ლექსებიო“ (იქვე).

დახვეწილი ენით გამოირჩევა ანდაზები, გამოცანები, იგავ-არაკები. ადგილობრივი და ნათარგმნი ზღაპრები. ანდაზებს წიგნში ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს. მართალია, ანდაზის ენოტერიულობისა და სიმბოლიკის წვდომა იმ ასაკის ბავშვთათვის, რომლებსათვისაც „დედა-ენა“ არის განუთვნილი, ძნელია, მაგრამ ყმაწვილებს ისინი ეძლევათ გონების სავარჯიშოდ, ენის გასატეხად, სასაუბროდ. შერჩეულია ამის-თანა

ა) ანდაზები: „სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსქარბდებაო“, „სწავ-  
ლა სინათლეა, უსწავლელობა—სიბნელო“, — „მაძღარს მშიერიც მაძღა-  
რი ეგონაო“, „ცული პატარა არის, მაგრამ დიდ ხეს აქცევსო“, „აქ-  
ლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისესო“...

ბ) გამოცანები: „თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესავს  
ეუბნება“, „ფურცლები აქვს ჩირგვივითა, ნაკერია ქუდივითა, ლაპარა-  
კობს კაცივითა“, „დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი“, „დავაბამ დადის,  
ავუშვებ დგას“, „ცოცხალია ბალახსა სძოვს, მოკვდება—ღვინოსა  
სვამს“, „ჯერ დედა არ შობილიყო, შვილი ქალაქს მიდიოდა“...

გ) იგავ-არაკები: „ორნი ძმანი გაიყარნენ. ერთი ქვევრი ღვინო უნ-  
და გაეყოთ. შევიდნენ მარანში. მე ბევრი მერგებაო, — ერთმა სთქვაჲ:  
— არა, მე უფრო მეტი უნდა წავილოვო, — მეორემ უთხრა. მოუვიდათ  
ჩხუბი, ერთმანეთს თავ-პირი დაამტკრიეს. მოხადეს ქვევრი და ცარიე-  
ლი კი დახვდათ“ („ჩხუბი არაფერზედ“); „მგელს ყელზედ ძვალი დაადგა  
და იხრჩობოდა. დაუძახა წეროს და უთხრა: შენ, ჩემო ნათლიავ, გრძე-  
ლი ნისკარტი გაქვს, ჩამიყავ ყელში, ამომიღე ძვალი და დაგასაჩუქ-  
რებო. წერომ ჩაუყო ნისკარტი, ძვალი ამოაცალა და უთხრა: აბა დამა-  
საჩუქრეო. მგელმა კბილები გააკრაქუნა და უთხრა: განა ის კი არ გე-  
ყო საჩუქრათ, რომ თავი არ მოგგლიჯე, როცა ჩემ კბილებ შუა იყო-  
ვო?“ („მგელი და წერო“); „კუ აუტყდა არწივსა, ფრენა მასწავლეო.  
არწივმა უთხრა: არ შეგშენის, ვერ ისწავლიო. კუ უფრო ჩამოეკი-  
და: გინდა თუ არა, უნდა მასწავლოვო. არწივმა დაავლო კლანჭები კუ-

სა, ნალა ჰაერში აიტანა და გაუშვა: აბა ისწავლე ფრენაო. კუ ძირს  
ტყუიასავით წამოვიდა, დაეცა დიდ სიბ ჴვაზედ და სრულიად დაიმსხვ-  
რა“ („კუ და არწივი“)...

დ) ზღაპრები: „მეთევზემ დაიჭირა წყალში თევზი. თევზმა უთხრა:  
განიშვი წყალში, ხომ ხედავ, პატარა ვარ, ერთი ლუკმაც არ გამოვალო;  
განიშვებ, გავიზრდები, მაშინ დამიქერ და სარფა უფრო ბევრი გექნე-  
ბაო. მეთევზემ უთხრა: წყალში თევზსა და ჰაერში ფრინველსა ფასი  
რადი სძევსო“ („მეთევზე და თევზი“); „ცივი ზამთარი იყო. მელიას  
ძალიან მოშივნოდა და გზებზედ წანწალებდა. ცდილობდა, ცოტა რამე  
მანინ მიეძლია ცარიელი მუცლისათვის. უცებ თევზის სუნი ეცა. ციბ-  
რუტევით უკან მიბრუნდა და დაინახა, რომ ერთ გლეხს თევზით სავსე  
მარხილი მოჰქონდა, ჴილობგადაფარებული. მელიას კბილებმა კაწკაწი  
დაუწყო. რა კარგი იქნება, რომ ამ თევზს ერთი ღონივრად მივაძლო.  
ხერხიც მაშინვე მოიგონა. გაწვა ზედ შუა გზაზედ, კული გვერდზედ  
გადაავლო, ფეხები გაჭიმა, თვალები დახუჭა და სრულიად მკვდარს  
დაემსგავსა. მივიდა გლეხი ახლოსა, დახედა მელასა და სთქვა: რა კაი  
ღროს მამკვდარა ეს მელია, ჩემ ცოლს ჴათიბის ბეწვი აკლდა და შეუს-  
რულდებო. მოავლო მელიას კულზედ ხელი, გადისროლა მარხილში  
და გადაათარა ჴილობი. თვითონ ხარს გვერდზედ მოუდგა და გასწია.  
მელიასაც ის უნდოდა: მარხილი ძირში გახვრიტა და იქიდგან თევზის  
ყრა დაიწყო. თევზი რომ სულ გადმოყარა, თვითონაც ჩუმათ გამოძვრა.  
გლეხი მოვიდა შინ და თავის ცოლს ახარა: თევზიც ბევრი მოგიტანე  
და ჴათიბის ბეწვიცაო. გადახადა მარხილსა და ცარიელი კი დახვდა“  
 („გლეხი კაცი და მელია“).

ასეთი წკრიალა ენითაა გამართული წიგნში შეტანილი მთელი სა-  
კითხავეი მასალა.

წიგნში აქა-იქ დიალექტური ინოვაციებიც გვხვდება, რაც იმით უნ-  
და იყოს გამოწვეული, რომ, რადგან იმხანად სალიტერატურო ენის  
ნორმები არ იყო მტკიცედ რეგლამენტირებული, ავტორი მათ (ამ ინო-  
ვაციებს) ლიტერატურულად მიიჩნევდა. აღვნიშნავ ამის რამდენიმე  
შემთხვევას:

ა) ვითარებითი ბრუნვის ნიშნად სისტემებრ დაცულია -ათ და არა  
-ად: „მზე წითლათ ამოდიოდა“. ასევეა: მეტათ, ჩუმათ, თავათ, ტურ-  
ფათ, კარგათ, ძალათ, ხორცათ, ადვილათ, ჴალათ, შვილათ, სტუმ-  
რათ...

ბ) მო-პრევერბის ნაცვლად ნახმარია მა-: „თქვენნი ხმა არ მამ-  
დიოდა“, „მოიტა, ჩქარა მამეო“, „ამ ბალებს შემამაჩვია“, „მამრევის  
მამრევი არ დაიღევაო“. ასევეა: მამიგდებს, მამივიდა, გადმამკრა, გად-  
ნაწისხვილა, გამამანტუნებენ, მამკვდარა...

გ) სისტემები დატულია -ზედ თანდებული ზე-ს ნაცვლად: სწავლაზედ, დაფაზედ, ზურგზედ, წყალზედ, ქამარზედ, ზურგზედ: ტეზედ, ბუხარზედ, ჭავახეთზედ, მხრებზედ...

დ) -ავ-ის ნაცვლად გვაქვს -ამ ვარიანტი: მომნახამს. ვკრამ, დავ-ლექამ, მკლამ, ვხედამ, დაახეთქამდა...

ე) წერა ზმნას ხელოვნურად ერთვის -ავ ნიშანი: მწერავ, სწერავ, დავიწერავ. ამ ზმნას კი თემის ნიშანი არა აქვს.

ვ) ხმოვანფუძიან სახელებს -ებ-იან მრავლობითში ორი ე ახლავს: კალია — კალიეებს, პეპელა — პეპელეებს...

დასტურდება სხვა სახის დიალექტიზმებიც. „დედაენის“ შემდგომ გამოცემებში ტექსტი უფრო დაიხვეწა, უხეში დიალექტიზმები განიღვენა. ავტორს მთელ თავის სიცოცხლეში არ შეუწყვეტია ზრუნვა წიგნის ყოველმხრით სრულყოფაზე.

იაკობ ჯოგებაშვილის „დედაენა“ ერთიანი ახალი ქართულის ქცე-მარიტი საგალობელია. მისი გამოცემით სათავე დაედო საერთო ქარ-თულის ილიასეული ტრადიციის გავრცელებას სკოლაში. თავად ავ-ტორის სიცოცხლეში წიგნის 33 გამოცემა განხორციელდა. მასზე პო-პულარული წიგნი ჩვენში არ გამოცემულა. „დედაენაზე“ აღიზარდა მილიონობით ქართველი. მისმა დიდაქტიკამ, შინაგანმა სტრუქტურამ, ნაირფეროვანმა და ყველაფრის მომკველმა მასალამ, მიწოდების მუ-თოდიკამ, პატრიოტულმა პათოსმა გაუძლო ეპოქებს და დღესაც ასა-ზრდოებს თანამედროვე სახელმძღვანელოებს. „დედაენის“ ტრადი-ციები უკვდავ-უბერებელია.

1987 წ.

## აკაკი შანიძის მწარმოის თეორია ენობრივი უნივერსალიებისა და ტიპოლოგიის უწყვეტი

ენობრივი უნივერსალიების ძიებას ქართული ენის მორფოლოგი-ურ სტრუქტურაში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ყოველი კონკრეტუ-ლი ენის გრამატიკული წყობის საფუძველზე შემუშავებული კონცეპ-ცია სხვა ენების იზოგლოსების შეპირისპირებით მიღებული დასკვნე-ბით საზრდოობს და გულისხმობს კერძობითისაგან საერთოს გამო-ყოფას, მის ოპტიმალურ აღწერას. ამიტომ უნივერსალიების ძიების გზას, ასე თუ ისე, ყოველი გრამატიკოსი ადგას, ოღონდ კვალს მხო-ლოდ ის ტოვებს, რომელიც განერიდება შაბლონურ სტერეოტიპებს, ახალ გასაღებს იპოვის და მოსინჯავს რელევანტურ მოვლენათა ლა-ბირინთში დამოუკიდებლად შედწევას. ამის ნიმუშია, გნებავთ, ანტო-

ნის გრამატიკული კონცეფცია, თუმცა მისი უშუალო მიზანი არა სა-  
ერთო მოვლენებზე დაკვირვების განზოგადება ვახლდათ, არამედ ენის  
გრამატიკული პროფილის ხატის შექმნა. ევევე შეიძლება ითქვას ქარ-  
თული ენის სხვა, მომდევნო და გვიანდელ, გრამატიკოსთა რუდუნე-  
ბის შესახებაც.

გრამატიკა სხვა არაფერია, თუ არა, უწინარეს ყოვლისა, ენის ზე-  
დაპარული სტრუქტურის მოდილირება, ისე აღწერა, რომ ყოველი  
წარმოსახული ენობრივი ელემენტი სინამდვილის ადეკვატი იყოს. ადე-  
კვატურობა აღწერის უპირველესი მოთხოვნაა. ყველა დროის გრამა-  
ტიკოსები ისახავდნენ ამ უმაღლეს მიზანს და თითოეულმა მათგანმა  
კიდევ მოკვცა თავისებური აღწერითი გრამატიკა. ვამონაკლისს, ცხა-  
დია, არც აკაკი შანიძე წარმოადგენს. მაგრამ ის უფრო, ასე ვთქვათ,  
„შემოქმედებითი გრამატიკის“ დამცველია, ვიდრე ტრადიციული პა-  
რაპეტრებით შემოზღუდული სტერეოტიპული გრამატიკისა. აკაკი  
შანიძემ ვადალასა შაბლონის ზღუდეები და გრამატიკა განვითარების  
ახალ გზაზე დააყენა.

მრავალვალენტოვანი ქართული ზმნის რთული სტრუქტურა და  
სემანტიკა სინქრონიისა და დიაქრონიის კრილებში ყველაზე სრულ-  
ყოფილად სწორედ ა. შანიძის შრომებში წარმოჩნდა. მანამდის ისინი  
ახალი ენათმეცნიერული მეთოდებით აწონილ-დაწონილი არ ყოფილა.  
შანიძემდე სპეციალურ ლიტერატურაში ზმნა შაბლონური სქემები-  
თაა აღწერილი და სტერეოტიპულად დახასიათებულია მისი მხოლოდ  
ზედაპირული მოდელი, რომელიც სასკოლო გრამატიკის თარგზეა აქ-  
რილი. რაიმე განმაზოგადებელი კონცეფცია შექმნილი არ არის. ქარ-  
თული ზმნის ზოგადი შინაგანი ბუნების მეცნიერული შესწავლის  
პიონერი ვახლდათ ნიკო მარი, რომლის იდეებმა შემდეგ სრულიად  
ახლებური და ნოვატორული განვითარება ა. შანიძის გამოკვლევებში  
იპოვა. ჩვენი ავტორის მოძღვრება ქართული ზმნის ფენომენის შესა-  
ხებ მეცნიერებაში ახალ მიმართულებას ქმნის. მან პირველად გამო-  
ავლინა და ოპტიმალურად აღწერა ზმნის უცნობი გრამატიკული კა-  
ტეგორიები, სილამისეულად გამოკვეთა ნაცნობ კატეგორიათა პრო-  
ფილი, გვაჩვენა საოპოზიციო მოდელეები და მათი შესწავლა თანამედ-  
როვე მეცნიერების განვითარების იმ დონეზე დააყენა, რაზედაც ის  
არასოდეს მდგარა. აქ დაძლეულია გრამატიკული აღწერის მოქველე-  
ბული სქემები, რომლებიც ძირითადად ინდოევროპული ენების მი-  
ზღვით იყო კონსტრუირებული და გაპირობებული ამ ენათა აგე-  
ბულებით.

ქართული ზმნის სტრუქტურის სისტემური განხილვა XVIII ს  
შეორე ნახევარში, როგორც ცნობილია, ანტონ ბაგრატიონმა და მისმა

მიმდევრებმა სცადეს, ხოლო დაწყებული საქმე ნაყოფიერად განაგრძეს XIX (ს. დოდაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, დ. ყიფიანი, თ. ჟორდანიანი, ა. ქუთათელაძე) და XX საუკუნეთა (მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი, მ. კელენჯერიძე, დ. კარიჭაშვილი) გრამატიკოსებმა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ჩვენი ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის იმისთანა აღწერა, რომ სრულად გამოვლენილიყო მისი პოტენციური შესაძლებლობა და ლოგიკურ-გრამატიკული კატეგორიები. თუ ნ. მარის „ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ტაბულები“ (1908 წ.) და „ძველქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა“ (1925 წ.) მოასწავებდა ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის მეცნიერულად შესწავლაში ახალი ეტაპის დაწყებას, ა. შანიძის „პრეფიქსები“ (1920 წ.) და „ქართული გრამატიკა, I“ (1930, 1942, 1953 წწ.) ქართული ენათმეცნიერების მწვერვალია, რომელიც გზამკვლევის როლს თამაშობს. „იქ, სადაც სტრუქტურული ქაოსი და გაურკვეველობა სუფევდა, ა. შანიძემ არაჩვეულებრივი სიცხადე შეიტანა და სტრუქტურული წესრიგი დაამყარა“ (თ. გამყრელიძე). ა. შანიძის „ქართული გრამატიკა“, რომლის მოკლე ვარიანტი 1930 წ. დაიბეჭდა, ვრცელი ვარიანტი — „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ — კი 1953 წ., აღარ არის ძველებური, ტრადიციულ დოგმებზე აგებული გრამატიკა, ახალი, სწორედ „შემოქმედებითი გრამატიკაა“, ნიმუში სტრუქტურული გრამატიკისა, რომელსაც, გარკვეული აზრით, რარიტეტი შეიძლება ეწოდოს. თ. გამყრელიძე მეტსაც ამბობს: „აკაკი შანიძე მის მიერ შექმნილი ქართული გრამატიკული სისტემის წყალობით ენათმეცნიერებაში ფაქტობრივად იმ თეორიულ-ლინგვისტური მიმდინარეობის წინამორბედი აღმოჩნდა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური; და თუმცა აკაკი შანიძეს არ მოუცია თავისი ლინგვისტური კონცეფციისა და მეთოდოლოგიის მთლიანი ფორმულირება, მაგრამ ენისადმი (ამ შემთხვევაში ქართული ენისადმი) მთელი თავისი მეცნიერული მიდგომით და ენობრივი ანალიზის გამოყენებული ხერხებისა და მეთოდების მიხედვით ა. შანიძის ლინგვისტური თეორია უნდა განვიხილოთ როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური და ენათმეცნიერების ისტორიაში იგი იმ მიმდინარეობებს შევადაროთ, რომლებიც შემდგომ ჩამოყალიბდა სოსიურის სინქრონიული თეორიისა და პრაღის ენათმეცნიერო სკოლის სტრუქტურალიზმის სახით“. ა. შანიძე ბრმად არ გაპყლია არც ერთ ახალ ენათმეცნიერულ მიმდინარეობას, სწორედ მისი ინტენსიური ძიების წლებში რომ შეიქმნა დასავლეთში, არც ორთოდოქსალური სტრუქტურალიზმის დამცველად გვევლინება. თა-

ვად დაუდო სათავე სრულიად ახალ მიმართულებას, რომელსაც მიმდევარი ბევრი გაუჩნდა, ირიბთვალოსანი — ცოტა. ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ XX საუკუნის ენათმეცნიერული აზრის ზეიმია. ცენტრალური ნაწილი ამ ნაშრომისა ზმნას უჭირავს. შეიძლება ითქვას, ძირითადად ის ზმნის ახალი გრამატიკაა. ეს განიზოზომიერიც იყო, რადგან ქართული ზმნა ცენტრია წინადადებისა, აზრისა, რომელიც სიტყვათა ლოგიკური კომბინაციებითაა გამოთქმული. „ზმნა, — ამბობს თ. გამყრელიძე, — განსაზღვრავს წინადადების შინაგან სტრუქტურას, არსებითად ენის მთელ გრამატიკულ წყობას. ამგვარი გაგება წინადადებისა ყალიბდება ა. შანიძესთან საკმაოდ ადრე, ქართული ზმნის ანალიზის პირველი დღეებისთანავე, რაც ბუნებრივად ნაკარნახევი იყო თვით ქართული ზმნის სტრუქტურული ხასიათით, მისი მრავალპირიანობით, რითაც იგი განსხვავდებოდა სხვა ცნობილ ენათა ზმნური სტრუქტურებისაგან“.

ა. შანიძის მწკრივის თეორია ერთ დღეს არ შექმნილა და ცარიელ ადგილზეც არ აღმოცენებულა. წინაპრებიცა და მიმდევრებიც ჰყავდა და ჰყავს. მისი ძირითადი დებულებები დალაგებულია ჯერ კიდევ 1941 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, რომელსაც საფუძვლად დაედო ავტორის მიერ 1941 წ. 27 იანვარს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების ლენინგრადის სესიაზე წაკითხული მოხსენება. მოხსენების პოზიტიური ნაწილი შეტანილია ავტორის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ (ნაკვ. I, 1942, გვ. 208—228; იგივე: თბ., 1953, გვ. 219—241; ანდა: თბ., 1973, გვ. 215—235). ა. შანიძემ თანამედროვე ქართული ზმნის პარადიგმები მორფოლოგიური და სინტაქსური პარამეტრების მიხედვით სამ სერიად დააჯგუფა და გამოყო 13 მწკრივი (I: აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი; მყოფადი, პირველი ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი; II: წყვეტილი, ბრძანებითი, მეორე ხოლმეობითი, მეორე კავშირებითი; III: პირველი თურმეობითი, მეორე თურმეობითი, მესამე კავშირებითი), ცალ-ცალკე აღწერა თითოეული მათგანი და დაადგინა მათი ფუნქციები. ეს ყველაფერი საყოველთაოდ ცნობილია და მასზე სიტყვის გაგრძელება საჭიროდ არ მიმაჩნია. აღენიშნავ მხოლოდ, რომ წინაპართა გრამატიკულმა კონცეფციებმა შეამზადეს ნიადავი ივისათვის, რათა ენობრივი მოვლენები ენობრივი საშუალებებით აღწერილიყო. ტრადიციული გრამატიკა, რომელიც თავის არსებით ნაკლს სრულიად ვერ გრძნობდა, მთავარ ამოცანად თვლიდა ზმნის პარადიგმების ფორმობრივ აღწერას და არა კვალიფიკაციას. ჩვენი ავტორი ტრადიციული ძიების ამ მხარეს პატივს კი მიაგებდა,



მაკრამ ის სრულიად არ აკმაყოფილებდა. ამიტომ იმთავითვე გაემიჯნა ძველ სკოლას და სულ სხვა პოზიციაზე დადგა.

შევედაროთ ერთმანეთს ორი ავტორის — მ. ჯანაშვილისა და ა. შანიძის — ქართული გრამატიკა: ორი ნაშრომი, ორი მიმართულება.

მ. ჯანაშვილის გრამატიკა ტრადიციული მიდგომის ტიპობრივი ნიმუშია. საკუთრივ ზმნები აქ აღწერილია გვარის მიხედვით. გამოყოფილია მოქმედება-გარდამავალი (verba transitiva), მოქმედება-გარდაუვალი (verba intransitiva) და ვნებითი (verba deponentia) ზმნები. 1. მოქმედება-გარდამავალ ზმნას, მისი აზრით, აქვს ორი სახე: მოქმედებითი (activum) და ვნებითი (passivum). მოქმედებითი ზმნა გვიჩვენებს, რომ ქვემდებარის მოქმედება გადადის სხვა საგანზე, — დამატებაზე, რომელიც დაისმის სახელობით ბრუნვაში ან მიცემითში („მამამ შეიყვარა შვილი“, „მოსწავლე სწერს წერილს“); ვნებითი ზმნა გვიჩვენებს, რომ ქვემდებარეზე გადმოდის რომელიმე მოქმედება („წერილი იწერების სუფთად“). მოქმედებითი ზმნების ვნებითად გადაქცევისას ქვემდებარე სახელობითი და მიცემითი ბრუნვებიდან გადადის ნათესაობითში და ემატება გან, მიერ, თანდებულები (მამამ შეიყვარა შვილი — მამის მიერ შეყვარებული შვილი). მოქმედება-გარდამავალ ზმნას აქვს სამი სახე: მარტივი (ვაკეთებ), სხმითგარდასვლითი (ვაკეთებინებ) და კვლავ-სხმითგარდასვლითი (ვაკეთებინებინებ); 2. მოქმედება-გარდაუვალი ზმნა გვიჩვენებს, რომ ქვემდებარის მოქმედება სხვა საგანზე არ გადადის („ყმაწვილი ზის“, „კარდი ყვავის“); 3. ვნებითმაგვარ ზმნებს სახე აქვთ ვნებითისა, ხოლო მნიშვნელობა მოქმედებითისა (ვიწყევლები — სხვათა მიერ; ვიწყევლები — მე თვითონ). შემდეგ განხილულია სახეები: უსრული (ვწერ, ვწერდი, ვაკეთებინებ), მრავალგზისი (მიწერია, ვწერ ზოლმე, ვაკეთებინებ), სრული (დავწერე, გადაველ), ერთგზისი (წავაჯერე განვალ) და ა. შ. მ. ჯანაშვილის აზრით, ზმნას აქვს ხუთი კილო: მოთხრობითი, ნატვრითი ანუ თუოზითი, პირობითი, ბრძანებითი, განუსაზღვრებელი; მოთხრობით კილოს აქვს 7 დრო: ა) უმთავრესნი: აწმყო, ნამყო, მყოფადი; ბ) ისტორიულნი: ნამყო უსრული, ნამყო სამარადისო, ნამყო მრავალგზისი, ნამყო ოდინდელი; ნატვრითს — სამი დრო (აწმყო, ნამყო, მყოფადი), პირობითს — ერთი (ნამყო), ბრძანებითს — ორი (აწმყო, მყოფადი).

ბუნებრივია, ეს სქემა ზმნის ფორმათა ვერც სინქრონიულ სურათს გვაჩვენებს, ვერც დიაქრონიულს. ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ზმნის უღლებად ფორმათა მარაგზე, ფორმები კატეგორიათა

დომენე განხილული არ არის. ეს ნაკლი დაჰყვა ძველ ვრამატიკას იმ-  
თავითვე. მ. ჯანაშვილის ნაშრომი ტიპობრივია.

ა. შანიძემ უარყო ზმნის ფორმათა ანალიზის ეს მეთოდი და აირ-  
ჩია სულ სხვა ენა. ის აღწერს და ახასიათებს ზმნის უღლების პარა-  
დიგმას. ადგენს მათში ობოზიციურ ერთეულებს, დროულ და მოდა-  
ლურ შედარებებს, ზოგადი ნიშნებით წარმოაჩენს მწკრივის გაგე-  
მას. მისი აზრით, დრო ენაში არ შეიძლება იყოს სამზე მეტი. შვიდი  
და მეტი დრო, რაზედაც ლაპარაკობს შანიძემდელი ქართული გრა-  
მატიკა, და საერთოდ ტრადიციული სკოლა. ფიქციაა. დრო სამია:  
ახლანდელი, წარსული, მომავალი. წერდა, დაწერა; დაუწერია, დაე-  
წერა — ყველა ნამყოფა. ამ ფორმებით გადმოიცემა წარსულში შესრუ-  
ლებული მოქმედება. ამიტომ მათ დროები კი არა, დრო უნდა ვუწო-  
დოთ (წარსული დრო), ისევე როგორც დაწერს, დაწერდა, დაწერ-  
დეს, დაწეროს — მომავლის გაგებას შეიცავენ, ყველა შემთხვევაში  
იკვლისხმება იმისთანა მოქმედება, რომელიც უნდა შესრულდეს. თი-  
თოეული ეს პარადიგმა, ავტორის აზრით, სხვაგვარაა არა დროის მი-  
ხედვით (დრო ერთია), არამედ მწკრივის მიხედვით. ამრიგად, მწკრივი  
საუღლებელ ერთეულთა საერთო სახელია. საუღლებელი ფორმა, რო-  
მელსაც აქვს თავისი მოდელი, უპირისპირდება მეორე ფორმას, მაგ-  
რამ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, არის მწკრივი. მწკრივის ელე-  
მენტები (დრო, კილო, თანამდევრობა, აქტი) მყარი და უცვლელია,  
წევრები კი ჩვეულებრივ იცვლება დროისა და კილოს, ზოგიერთ ენა-  
ში აგრეთვე სქესისა და კლასის მიხედვით. „ზმნის უღლებად ფორ-  
მათა მთელი მარაგიდან, — ამბობს ა. შანიძე, — ჩვენს წარმოდგენაში  
გაპოიყოფა ჯგუფები, რომლებიც გარკვეული ნიშნების მიხედვით  
აერთიანებენ შიგ შემავალ ფორმებს“; „საზოგადოდ ირკვევა, რომ  
თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნას შეიძლება ჰქონდეს  
1: ასეთი ჯგუფი, რომლებიც შედგება უმეტესად ექვს-ექვსი, ან  
თერამეტ-თერამეტი ერთეულისაგან“; „რა განასხვავებს ერთი ჯგუ-  
ფის ფორმებს ურთიერთ შორის? ქართულში, — დაასკვნის ავტო-  
რი, — ეს არის პირი და რიცხვი, სხვა ენებში ზოგჯერ აგრეთვე სხვა  
კატეგორიებიც: სქესი ან კლასი. რა აერთებს მათ სხვა ჯგუფის ფორ-  
მებთან შეპირისპირებით? — ქართულში მაერთებელია დრო და კი-  
ლო, ზოგჯერ აგრეთვე სხვა კატეგორიებიც: გზისობა, აქტი, თანამდევ-  
რობა“. მაშასადამე, მწკრივი რთული გრამატიკული კატეგორიაა, ზუს-  
ტად: ზმნის მარტივ კატეგორიათა (პირი, რიცხვი, დრო, კილო, ჯერო-  
ბა, აქტი, თანამდევრობა) ერთობა. მწკრივის ამ გაგებას ცნობენ სხვა  
ავტორებიც. ცნობდა მას ა. ჩიქობავაც, ოლონდ მწკრივ ტერმინის ნა-  
ცვლელ ნაკვთს ხმარობდა. თანაც ის კატეგორიად არ მიაჩნდა.

ა. შანიძე კანონზომიერად აყენებს საკითხს: რა მიმართებით ვახდენთ ამ ენობრივი ფაქტების მსგავს დაპირისპირებას? ვხედავთ მათში მხოლოდ ოპოზიციურ კონსტრუქციებს, თუ, გარდა ამისა, იძულებული ვართ. მივცეთ მათ შესაბამისი ფორმათშემოქმედების პროცესის კვალიფიკაცია საერთო ქრონოლოგიაში? გვაქვს ამისათვის სანდო მონაცემები? დასმულ კითხვებზე ავტორმა დადებითი პასუხი გასცა. ამის აღიარებას კი, უნდა ითქვას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც. მართლაც, ის, რაც ერთ ენაში ან ენათა ჯგუფში შეინიშნება, შეიძლება არ აღმოჩნდეს მეორეში და ეს ენები, ბუნებრივად, თავთავიანთი გზებით განვითარდნენ. მაგრამ აქ მაინც არ არის გამორიცხული მთელი რიგი არამონათესავე ენების განვითარების საერთო ტენდენცია. შეიძლება ერთი და იგივე კატეგორია გამოიხატოს განსხვავებული ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით. ამისთანა ფორმათა ერთობაში ჩანს სწორედ ენობრივი უნივერსალიები.

შინაარსისა და გამოხატვის პლანის თანაფარდობის განსაზღვრას, ავტორის აზრით, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გამოვლენილ სტრუქტურათა შესაპირისპირებლად. ა. შანიძემ შეძლო გვერდი აექცია და ვანდგომოდა ენობრივი ფაქტების ფორმალისაყიის პარადიგმატიკულ მეთოდის და მწკრივის თეორიის სახით ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაში შეეტანა სიახლე იმ მიზნით, რომ ფაქტების შესაბამისობის თვალსაზრისით ცალკე ენების გრამატიკულ კატეგორიათა შესწავლაში დაძლეულიყო, აკად. ი. ი. მეშჩანინოვის გამოთქმა რომ ვინმაროთ, ე. წ. „ვეროპეიზმი“ ენათმეცნიერებაში. ამ მწვავე პრობლემის გადაწყვეტას კი არა მარტო თეორიული ინტერესი ახლდა, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა.

მწკრივის კატეგორიის დადგენა, ჩემი აზრით, ხელს უწყობს ტიპოლოგიურად რელევანტური სხვაობისა და ტოპოლოგიური იზომორფიზმის გამოვლენას განსხვავებული სტრუქტურის ენებში, მეთოდური უნივერსალიების პარალელურად გამოხატულებებისა და შინაარსის პლანის ერთეულთა განსაზღვრას შინაგანი და გარეგანი ანალოგიებით. არაიშვიათად ხდებოდა გრამატიკული კატეგორიების არაენობრივი ანალიზი. კვლევა-ძიების ეს მეთოდიკა ფეხმოდგმული იყო მაშინ, როდესაც ა. შანიძის მწკრივის თეორია ყალიბდებოდა. ა. შანიძემ არ გაიზიარა ეს ცალმხრივი ტენდენცია და თავისი მწკრივის თეორიით მხარი დაუჭირა გრამატიკული მოვლენების ენობრივი საშუალებებით აღწერისა და ინტერპრეტაციის მეთოდის, რომელიც

საფუძვლად უძევს მთელ მის მოძღვრებას ქართული ზმნის დენომენის შესახებ, საკუთრივ მწკრივის თეორიას.

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ: მწკრივის თეორია, XX საუკუნის ენათმეცნიერული აზრის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მონაპოვარი, წარმოადგენს ენობრივი უნივერსალიების სახესხვაობას, რომელიც ენის ელემენტების ხარისხობრივი ცვლილებების თანაფარდობებზეა დაყრდნობილი. აქ გამოვლენილია ზმნის ფენომენის მთელი რიგი ენებისათვის საერთო ელემენტები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ერთი და იმავე ცნების დეფინიციები განსხვავებული ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით. მწკრივის თეორიით აიხსნება ზმნის არამართო სინქრონიული, არამედ ისტორიული მოდელიც, შინაარსისა და გამოხატვის პლანის თანაფარდობა. ქართული მასალის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ა. შანიძემ ჩამოაყალიბა მწკრივთა პარადიგმატიკის ორი საწყისი მდგომარეობა: ფუნქციურ-შინაარსობრივი და ფორმალური პარადიგმების ტიპოლოგიური დაპირისპირება, განსაზღვრა უნივერსალური მოვლენის სტატუსი, უნივერსალიებისა და კატეგორიების თანაფარდობა.

მწკრივის თეორიის დებულებების გამოყენება სხვადასხვა სისტემის ენათა შესწავლაში ახალ ჰორიზონტს უქმნის ენობრივი უნივერსალიების ტიპოლოგიურ კვლევა-ძიებას. პირველად ამ თეორიას მოწონებით შეხვდა აკად. ი. ი. მეშჩანინოვი. პროფ. ი. შილაკაძე შემდეგ შეეცადა ამის მიხედვით აღეწერა სომხური ზმნის მორფოლოგიური კატეგორიები. თავისებური ასპექტებით შეაფასეს იგი და გამოიყენეს თავიანთ ნაშრომებში სხვა, ჩვენმა და უცხოელმა, მეცნიერებმა. მწკრივის თეორიის იდეებმა ფართო განვითარება ჰპოვეს ა. შანიძის მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების შრომებში. ყოველივე ეს კი მის გლობალურ მომავალზე მიუთითებს.

ა. შანიძე ეკუთვნის ენათმეცნიერთა იმ ბედნიერ პლეადას, რომლის მოძღვრების თეორიული პოსტულატები გაამართლა პრაქტიკამ, ძირითადი მიღწევები დაინერგა ცხოვრებაში (ისწავლება ქართულ საშუალო და უმაღლეს სკოლებში), მეცნიერების განვითარება წარმართა სწორედ ავტორის მიერ ნაჩვენები მიმართულებით. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ეს თეორია, ავტორის მთლიან გრამატიკულ მოძღვრებასთან ერთად, იძენს სულ მეტსა და მეტ მიმდევრებს, შეადგენს ახალ ტიპოლოგიურ განზოგადებათა საიმედო წყაროს.

პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1928. გვ. 17—28.

„კომუნისტის“ მკითხველებმა — ქვრივიშვილმა, ქოჩოროვმა, რჩეულიშვილმა, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადაიან № ნაწილში, კითხვებით მოგვმართეს: მსოფლიოში რომელი ენაა ყველაზე განვითარებული და მდიდარი „ბევრი სიტყვით“?. „მათ შორის რომელი ადგილი უკავია რუსულს, ქართულსა და სომხურს“?. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა რედაქციამ სთხოვა წინამდებარე წერილის ავტორს. მოგვყავს ეს პასუხი.

ძნელია კაცმა დაასახელო მხოლოდ ერთი რომელიმე ენა, რომელშიაც „ბევრი სიტყვაა“. ამისთანა ენა ქვეყანაზე მართო ერთი ან ორი როდია, მრავალია. ნაირი და მრავალფეროვანი ლექსიკის მარაგით განსაკუთრებით მდიდარია, მაგალითად, რუსული, უკრაინული, ლიტვური, ლატვიური, ესტონური, უზბეკური, აზერბაიჯანული, ინგლისური, ვერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ჩინური, პინდი, იაპონური, არაბული, პორტუგალიური და სხვა ენები. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს აგრეთვე ქართულსა და სომხურ ენებსაც.

რუსული — რუსი ხალხის ეროვნული და სსრ კავშირის საეროენებათაშორისო ენა — ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და გავრცელებული, საფუძვლიანად შესწავლილი ენაა მსოფლიოში. რუსულ ენაზე შექმნილია უმიდრესი მხატვრული, პუბლიცისტური, სამეცნიერო, ტექნიკური ლიტერატურა, რომელსაც მილიონობით ადამიანი ეუფლება. სსრ კავშირის გარდა ამ ენას ინტერესით სწავლობენ მრავალ ქვეყანაში. იგი განეკუთვნება ინდოევროპული ენების ოჯახის სლავურ შტოს. მასზე 180 მილიონზე მეტი კაცი (მათ შორის 160 მილიონზე მეტი საკუთრივ რუსი ეროვნებისა) ლაპარაკობს; ქართული — საქართველოს სახელმწიფო ენა — ერთ-ერთი დიდად განვითარებული, მეტად თავისებური სტრუქტურის ენაა. აქვს 15-საუკუნეზე მეტი სამწერლობო ტრადიცია, მდიდარი ლექსიკა. განეკუთვნება კავკასიური ენების ქართველურ ჯგუფს. მასზე ექვს მილიონამდე ადამიანი ლაპარაკობს; ასევე სომხური — სომხეთის სსრ სახელმწიფო ენა — ერთ-ერთი უაღრესად განვითარებული, 15-საუკუნოვანი სამწერლობო ტრადიციის, მდიდარი ლექსიკის მქონე ენაა, ქმნის ინდოევროპულ ენათა ოჯახის დამოუკიდებელ შტოს. მასზე ხუთ მილიონზე მეტი კაცი ლაპარაკობს.

ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა ენის მრავალფეროვანი სიტყვობრივი ფონდი, უწინარეს ყოვლისა, აღბეჭდილია მხატვრულ, პუბლიცისტურ, სამეცნიერო, ტექნიკურ ლიტერატურაში, დიდი ნაწილი კი დოკუმენტირებულია ცალკეულ ენათა განმარტებითს ლექსიკონებ-

ში. ენის ყველა სიტყვა, ბუნებრივია, ვერ აისახება ვერც ლიტერატურაში და ვერც ლექსიკონებში. ამიტომ არა თუ ძნელი, შეუძლებელიცაა ამის ზუსტად აღრიცხვა, რამდენი სიტყვაა ამა თუ იმ ენაში. რამდენ სიტყვას იცნობს ესა თუ ის მწერალი თუ მეცნიერი. ჩვენ შეგვიძლია ზუსტად გამოვთვალოთ ამა თუ იმ მწერლის ერთი თხზულების ან მთელი მხატვრული მემკვიდრეობის ლექსიკა (ამის ცდები ძალიან ბევრი გვაქვს!), მაგრამ ამით მაინც ვერ განვსაზღვრავთ იმას, თუ რამდენი სიტყვა იყო მწერლისეული ეპოქის ენაში, ან, გნებავთ, რამდენი სიტყვა იცოდა თავად ამ მწერალმა. ლექსიკოლოგიის იდეალი იყო და არის ენის საუნჯის რაც შეიძლება სრულად აღნუსხვა და აღბეჭდვა ლექსიკონებში.

ამ დებულების ნათელსაყოფად დავასახელებთ ორიოდ ფაქტს რუსული, ქართული და სომხური ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან.

რუსული ენის განმარტებით ლექსიკონებში სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა რაოდენობის სიტყვაა შეტანილი. მისი პირველ, ექვსტომიან განმარტებით ლექსიკონში (1789—1794 წწ.) 43.257 ერთეული გვაქვს, 1834 წლის ორ ნაწილად გამოსულ ლექსიკონში — 63.432, 1847 წლის ოთხტომიან აკადემიურ ლექსიკონში — 114.749, ვ. ი. დალის განთქმულ ოთხტომიან ლექსიკონში (პირველად 1863 — 1866 წწ. გამოიცა) — 200 ათასი სიტყვაა. ჩვენი ეპოქის ოთხტომიან განმარტებით ლექსიკონში, პროფ. დ. ნ. უშაკოვის რედაქციით რომ გამოიცა 1935—1940 წწ., თავმოყრილია 85.289 სიტყვა, ხოლო თანამედროვე რუსული ენის 17-ტომიან ლექსიკონში, რომელიც სასაანგს რუსული სალიტერატურო ენის ლექსიკურ მარაგს პუშკინის ეპოქიდან ჩვენ დრომდე — 120 ათასი სიტყვაა განმარტებული. ეს, თავისთავად უაღრესად საგულისხმო, ციფრები მოწმობენ რუსული ენის ლექსიკის უზარმაზარ სიმდიდრეს, მაგრამ ამით ზუსტად მაინც ვერ განვსაზღვრავთ რუსულ ენაში სიტყვათა რაოდენობას. იგი ამაზე ვაცილებით მეტია. ენის ლექსიკის ზუსტად გამოთვლა ძნელია, რადგან ცხოვრების პროგრესთან ერთად იგი განუწყვეტლივ იცვლება, კიდევ ემატება ახალი სიტყვები, რომელთაც ბადებს ხოლმე მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, სახალხო მეურნეობის განვითარება, კიდევ აკლდება მოძველებული სიტყვები, რომლებიც კანონზომიერად გამოდიან ხმარებიდან. მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე სარეზერვო ფონდიც. კილო-თქმათა სიტყვიერი, რისი ხალასი ნაწილი მწერლობის მეშვეობით გზას იკაფავს სალიტერატურო ენისაკენ და დგება ადამიანთა საერთო ურთიერთობის სამსახურში. აღარაფერს ვამბობ, ცხადია, სხვა ენებიდან ნასესხებ ლექსიკასა, რომლის დამკვიდრება ენაში ღელს უწყობს ტერმინოლოგიის გამდიდრებას, და სიტყვათწარმოებაზე.

ასევე ჩვენ ვიცნობთ ქართული ენის რამდენიმე განმარტებით ლექსიკონს, რომლებშიაც სხვადასხვა რაოდენობის სიტყვარია ასახული. ქართული ენის პირველ განმარტებით ლექსიკონში, რომელიც ს.-ს. ორბელიანმა შეადგინა 1685—1698 წწ. შუალედში (პირველად 1884 წ. გამოიცა), 17 ათასზე მეტი სიტყვაა აღნუსხული, ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ (შედგენილია 1815—1825 წწ., პირველად 1961 წ. გამოიცა) გვაქვს 14 ათასზე მეტი, დ. ჩუბინაშვილის „ქართული ენის საუნჯეში“ (1887—1890 წწ.) 34 ათასამდის, ხოლო ეპოქის შესანიშნავ ძეგლში — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში, რომელიც ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოიცა (1950—1964 წწ.), 113 ათასამდის სიტყვაა დამოწმებული. მიუხედავად იმისა, რომ მასში მოკრძალებულადაა წარმოდგენილი ძველი ქართულის, კილო-თქმებისა და დარგობრივი ტერმინოლოგიის მასალა, იგი გვაჩვენებს ქართული ენის უმდიდრესსა და მრავალფეროვან ლექსიკას, რომლის მოშველიებით შეიძლება გამოითქვას ყოველგვარი აზრი ცოდნის ნებისმიერი დარგიდან, ზუსტად გადმოითარგმნოს ყოველგვარი ქანრისა და მიმართულების თხზულება ნებისმიერი ენიდან. მაგრამ დაბეჭდვით ვიცით, რომ ქართული ენის საუნჯე ბევრად მეტ სიტყვობრივ მარაგს შეიცავს, ვიდრე ის ჩვენს ლიტერატურასა და ლექსიკონებშია დამოწმებული. ჩამოთვლილ ლექსიკონებში, მწიგნობრულ ლიტერატურასა და კილო-თქმებში დაბუდებულია 200-ათასზე მეტი, მათ შორის, ჯერ კიდევ მრავალი განუმარტებელი ლექსიკური ერთეული, რომლებიც, ეკვი არ არის, ადგილს იპოვის ახალ განმარტებით ლექსიკონებში.

იგივე უნდა ითქვას სომხურის შესახებაც. ცნობილია სომხური ენის რამდენიმე განმარტებითი ლექსიკონი, რომლებშიაც სხვადასხვა რაოდენობის სიტყვარია ასახული. „მომცრო ბარგირქებსა“ და პ. აჭარიანის სპეციალური დანიშნულების ბრწყინვალე ლექსიკონებზე რომ არაფერი ვთქვათ, სტ. მაღსასიანცის განთქმული ოთხტომიანი სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი (1944—1945 წწ.) დაახლოებით 120 ათას სიტყვას იტევს და მასში საკმარისი სისრულითაა წარმოდგენილი გრაბარისა და აშხარაბარის უმდიდრესი ლექსიკური ფონდებიც. თუმცა ზღვარი არც ესაა. ვერ ვიტყვი, რომ სომხური ენის (ძველი და ახალი ეპოქის) ლექსიკა მთლიანად, ზუსტად იყოს ასახული ლექსიკონში.

რუსული, ქართული და სომხური ენების აქ დასახელებული ლექსიკონები, რომლებიც მეცნიერთა თაობების რუდუნების ნაყოფია, გვაჩვენებენ ხსენებულ ენათა მაღალ განვითარებასა და ლექსიკის კოლოსალურ სიმდიდრეს, მძლავრ გამომსახველობით შესაძლებლო-

მებს ნებისმიერი აზრის სრულყოფილად და ოპტიმალურად გადმოცემისათვის.

სიტყვა, ერთეული ენისა, ადამიანთა ურთიერთობის ევექტური ელემენტია. მას თვალისჩინივით უნდა მოუფრთხილდეთ, სათუთად მოკუაროთ, შევისწავლოთ მასში ჩაქსოვილი ყველა ნიუანსი. ამის მაგალითს, უწინარეს ყოვლისა, მწერლობა გვაძლევს. დიდი ეროვნული მწერლები ბურჯად უდგანან მშობლიურ ენას, იცავენ და ავითარებენ მას ტრადიციებს, უვლიან და ამდიდრებენ ლექსიკის საგანძურს, ხვეწენ და აზუსტებენ ორთოგრაფიას, სალიტერატურო ენაში კარს უღებენ ახალ კრიალა სიტყვებსა და გამოთქმებს. მათ თხზულებებში სიტყვა ზეიმობს თავის ბრწყინვალეობას. ნიჭიერი მწერალი არის არა ძარტო ოსტატი, არამედ მეოხი სიტყვისა. პუშკინი და გორკი — რუსული, ილია და აკაკი — ქართული, თუმანიანი და ისააკიანი — სომხური სიტყვების უბადლო ოსტატები და ქომაგებია. მეცნიერთა გამოანგარიშებით, მოლიერის ლიტერატურული მემკვიდრეობა 7 ათასამდე სიტყვას იცნობს, ჰომეროსის პოემებში 9 ათასზე მეტი, პუშკინას ქმნილებებში 10 ათასი, შექსპირის ნაწარმოებებში 15 ათასზე მეტი (ზოგი მკვლევრის გამოთვლით, 24 ათასი) სიტყვობრივი ერთეულია აღრიცხული. რუსთაველის მხოლოდ ერთ პოემაში — „ვეფხისტყაოსანში“ (მისი სხვა ნაწარმოები ჩვენამდის არ მოღწეულა) 7 ათასამდის სიტყვა გვაქვს. ყოველივე ეს გვაჩვენებს ამ მწერალთა ენის გასაოცებელ სიმდიდრეს. კონტრასტია: ადრინდელი ადამიანები დედანის მხოლოდ რამდენიმე ათეულ სიტყვას იცნობდნენ. მაქს მიულერის გამოკვლევით, ინგლისელი უწიგნური გლეხის ლექსიკური მარაგი XIX ს. მეორე ნახევარში სამას ერთეულს ძლივს აღწევდა. განა მსგავსი ადამიანები შეძლებდნენ მოლიერის, ჰომეროსის, პუშკინის, შექსპირის, რუსთაველის შედევრების წაკითხვასა და გაგებას? ამიტომ საკაცობრიო კულტურის კლასიკურ მემკვიდრეობას მაშინ მხოლოდ საზოგადოების ვიწრო, განათლებული ფენები ეცნობოდნენ. ხალხთა უწიგნური ან დაბალწიგნიერი მასები მისგან შორს იდგნენ. ამჟამად კი სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს.

დღევანდელი ადამიანის ლექსიკური თვალსაწიერი განუზომლად ნაირფეროვანია და ტევადია. სკოლამ, წიგნმა, გაზეთმა, ჟურნალმა. რადიომ, ტელევიზიამ, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა ქვეყნის ყველა კუნჭულში შეადღწიეს, უწიგნურობა წარსულს ჩაბარდა, სალიტერატურო ენის პორიზონტი გაფართოვდა, შეივსო იგი ახალი მასალით, რაშიაც მნიშვნელოვან ადგილს ინტერნაციონალური გავრცელების საენათაშორისო ლექსიკა იჭერს და ყოველივე ამას ეუფლებიან მასები. ენის ნამდვილ სილამაზესა და სიტუარფეს ქმნის სწორედ



სიტყვა, რასაც განუზომლად დიდი ძალა აქვს. ეს ძალა ადამიანის ხელში სასწაულებს ახდენს. ყოველი ადამიანი ღრმად უნდა დაეუფლოს მშობლიური ენის საგანძურს, გონება გაიმდიდროს სიტყვათა ახალი მარაგის სწავლით. სწავლა სიბერემდისო! — ამბობს გონიერი ქართული ანდაზა.

1978 წ.

## მიხეილ ალავიძის ლინგვისტური ეტიუდის გამო

1982 გალაკტიონის წელი იყო და მისი მემკვიდრეობის შესწავლას ბევრი კარგი ნაშრომი მიეძღვნა. მიხეილ ალავიძის ლინგვისტური ეტიუდი „გალაკტიონის პოეტური ლექსიკა“, რომელიც „განთიადში“ დაიბეჭდა (№ 5, 1982), გალაკტიონიანას მშვენიერი შენამატია. აქ შეჯამებულია ავტორის ხანგრძლივი დაკვირვებანი პოეტის ლექსიკაზე და ფრიად საინტერესო აზრებია გამოთქმული გალაკტიონის სამი სარიჟო სიტყვის (რამდი, ცაიერადი, ფერვალი) წარმომავლობაზე. მკვლევრის მსჯელობა თანამიმდევრული, ღრმად გააზრებული, ნათელი და გასაგებია. ავტორს უნდა დავეთანხმოთ, რომ გალაკტიონის რამდი ნამდვილად იმერისშია, რომელსაც პოეტმა ტრიბუნა დაუთმო სალიტერატურო ენაში. მიხ. ალავიძის ეტიმოლოგია მე აღრევე უდაოდ მივიჩნე და შევიტანე „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“, როგორც პოეტის ენაში შესული ლოკალიზმის მეცნიერული ახსნის ნიმუში. გალაკტიონის ქმნილებებში ბევრი ამისთანა ობოლი მარგალიტია. საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ჩვენს პოეტს ამ ლექსიკის მეტი ნაწილი დამოწმებული აქვს არა როგორც ლოკალიზმები (ახლა იმერისებებს რომ ვუწოდებთ), არამედ როგორც სალიტერატურო ენის ლექსიკის სარეზერვო ფონდის ერთეულები.

ცაიერადიც ამ რიგის ლოკალიზმია. გალაკტიონმა ცაიერადსაც გაულო სალიტერატურო ენის კარი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა შეცდომითაა მიჩნეული „პოეტურად“. პირიქით. ის ამოღებულია პოეტის მშობლიური დიალექტის საგანძურიდან, გასპეტაკებულია და სალიტერატურო ენის სამსახურშია ჩაყენებული. მიხ. ალავიძის მიგნება, ამ სიტყვის წარმომავლობის ახსნა და ჩვენება დასაბუთებულია.

რაც შეეხება ფერვალ ლექსემის ნეოლოგიზმად მიჩნევას, მიხ. ალავიძე უაუთოდ მართალია, როცა მას მფერველ მიმღეობას უკავშირებს. ეს კავშირი უეჭველად თვალში საცემია.

მკვლევრის დასკვნა სწორად ახასიათებს გალაკტიონის ენის თავისებურებებს. მკაფიო და გასაზიარებელია მისი დებულებები: გალაკ-

ტიონი „სალიტერატურო ენის გასამდიდრებლად ფართოდ იყენებდა არქაიზმ-დიალექტიზმებს და ქმნიდა ნეოლოგიზმებს. ფორმალური ძიების მხრივაც ლექსის ოსტატთა შორის გალაკტიონი ნოვატორი და ვირტუოზია. კერძოდ, მის ორიგინალურ რითმებში მოექცა დიალექტიზმიცა და ნეოლოგიზმიც. რითმა იწვევს ამ მოვლენას. დიალექტიზმია „რამდი“ (როდემდის) და „ცაიერადი“ (ცაიერთადი — ცა ერთად) და ნეოლოგიზმი „ფერვალი“ (მფერვალი — გამფერავი)“. ნამდვილად ასეა. ამ მსჯელობას კაცი ვერც ვერაფერს მოაკლებს და ვერც ვერაფერს დაამატებს. აქ მართებულად ხასიათდება პოეტის ენობრივი პოზიცია. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ გალაკტიონი ლოკალიზმებს ექომაგებოდა და ნეოლოგიზმებს ქმნიდა არა მარტო რითმის გულისათვის („რითმა იწვევს ამ მოვლენასო“, — გვეუბნება მკვლევარი). რითმის მოთხოვნა, ჩემი აზრით, მთავარი არ ყოფილა. პოეტი ღვთიურ მოვალეობად თვლიდა, გამოქომავებოდა საერთო და ლოკალურ ობოლ მარგალიტებს, გაესპეტაკებინა ისინი და ამით შეევესო სალიტერატურო ლექსიკის არსენალი. ჭეშმარიტი ეროვნული პოეტი, მტკიცედ იცავდა ცხოვრების მიერ ნაკარნახევ ამ ისტორიულად გამართლებულ პოზიციას. მიხ. ალავიძის ნიჟიერად დაწერილი ეტიუდი დადასტურებაა წამოყენებული თეზისისა. მიმაჩნია, რომ მიხ. ალავიძის ეტიუდი შენამატია მეცნიერებისა, ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ვიკვლევდეთ პოეტის ლექსიკას.

1983 წ.

## ნოველისტური მოტივები ქართველური ხალხური პროზის ეპიკური ციკლების სიუჟეტიკაში

1. ქართველური ხალხური პროზა სამ შენაკადს გულისხმობს: საკუთრივ ქართულს, სვანურსა და კოლხურს (მეგრულ-ჭანურს).

ქართულ ენას მრავალსაუკუნოვანი სამწერლო ტრადიცია აქვს. V საუკუნიდან წერილობითი ძეგლებია მოღწეული, ხოლო დამწერლობის სისტემა (ქართული ანბანი), როგორც ფიქრობენ, VII საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი ჩვენს წელთაღრიცხვამდის. სვანური და კოლხური უმწერლობო ენებია, რომლებზედაც მდიდარი ხალხური პროზა და პოეზიაა შემონახული.

ქართველური ხალხური პროზის ასპექტებს აღუღაბებს მკვეთრად ჩამოყალიბებული სიუჟეტიკის საერთო და მსგავსი წყობა, ეპიკური ციკლების სტრუქტურული და თემატიკური ერთობა. სტრუქტურული ელემენტების, სიუჟეტიკისა და თემატიკური რკალების ერთობა სამივე

შენაკადის ზეპირშემოქმედებაში საფუძველს გვაძლევს, ქართველურა ხალხური პროზა გავიგოთ, როგორც ერთიანი ფენომენი და ხელი მოვიკიდოთ მის შედარებითს შესწავლას. ამის შესაძლებლობას გვაძლევს მდიდარი და ნაირფეროვანი ტექსტები, რომლებიც ბლომადაა ჩაწერილი უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში. მართალია, ტექსტების ტიპოლოგიურსა და შედარებითს შესწავლას ამჟამად ეყრება ფუნდამენტი, მაგრამ საამისოდ ნიადაგი დიდი ხანია მომზადებულია. ცნება ეპიკური ციკლებისა ჩვენ თავისებურად გვესმის. იგი, ჩვენი გაგებით, იტევს ხალხურ მოთხრობასა და ხალხურ რომანს მომიჯნავე ეპიკურსა და ქვეყანარბითურთ, როგორც მოტივთა მყარ სისტემას, ატრუქტურულსა და მხატვრულ მთლიანობას.

2. ჩვენი დაკვირვება ეყრდნობა პოსტულატს: საყოფიერო-ნოველისტური ქმნილებების მოტივთა სისტემა პირველადია, აღმოცენებული ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ნიადაგზე, განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესით და განმტკიცებული ცხოვრების გამოცდილებით. იგი ასახვავს რეალური ცხოვრებისა, მაჩვენებელი ხალხის გონების თვალთ დანახული და ახსნილი სინამდვილისა. ნოველისტურ მოტივთა სისტემა ხალხის თანაცხოვრების, ბრძოლისა და შემოქმედების, განცდისა და გამოცდილების უშუალო ანარეკლია. ხალხური პროზა ასახავს სინამდვილის განვითარებას აურაცხელი პერიპეტეებით.

ესთეტიკა ხალხური ქმნილებისა ჩვენ უნდა გავიგოთ მისი განვითარების ისტორიის განასერში, როგორც სინთეზი ძველისა და ახლისა, შორეული ტრადიციისა და გვიან შექმნილი ტენდენციებისა.

ჩვენი თეზისის საილუსტრაციოდ განვიხილავთ ორი ციკლის ქმნილებებს და ცალ-ცალკე გამოვყოფთ მათ საერთო მოტივებს. ესაა ა) კუდიანი დედაბრის მოტივები და ბ) უმცროსი ძმის მოტივი.

3. ქართველური ნოველისტური ქმნილებების პერსონაჟთა გალერეაში ეპიზოდურად გამოჩნდება ხოლმე ერთი დედაბერი. ტყის ქოხში შესული სათავგადასავლოდ წამოსული გმირი ნოველისა ხვდება ამ დედაბერს, რომლის პორტრეტი სხვადასხვა ფერითაა დანახული. თავდაპირველად ის კეთილი ძალა უნდა ყოფილიყო და ასედაც გვხვდება უძველესი ციკლების ხალხურ ქმნილებებში, მაგრამ პატრიარქალური რეალიების ამსახველ პროზაულ თხზულებებში ის კეთილიცაა და ბოროტიც, ადამიანის ქომაგიცა და კაციჭამიაც, დემონური კუდიანიცაა და ბრმა უკუდოც. ქართველურ ხალხურ პროზაში ეს სახე ერთნაირად, მეტნაკლები ფერშეცვლილობითაა წარმოდგენილი. ერთი სიუჟეტის ვარიაციებშიაც ამ სახეში რეალური (კეთილი) და ირეალური (დემონური) საწყისი ეცილება ერთიმეორეჯა. ამასთან

ერწინაირ ვითარებას ვხედავთ ქართველური ხალხური პროზის სამი-ვე (ქართულ, სვანურ, კოლხურ) ნაკადში. დადგენილი გვაქვს მისი შვალი ფუნქცია.

ა) ნოველისტურ ნაწარმოებში დედაბერი, ჩვეულებრივ, მაცნეა, ვანსაცდელში ჩავარდნილ გმირს აუწყებს ქვეყნის ამბებს და შუამავ-ლადაც უდგება, დახმარების ხელს უწვდის, გზა-კვალს უჩვენებს. ქარ-თველურ ხალხურ პროზაში ჩვენ აღრიცხული გვაქვს ორმოცზე მეტი ზღაპარი, ნოველისტურიცა და ჯადოსნურიც, სადაც დედაბერი, ეპი-ზოდური პერსონაჟი, ასეთი სავსებით რეალური სახეა.

ბ) დედაბერი კეთილია. ის ბინადრობს დედამიწაზე და ქვესკნელ-შიაც. ორივე ადგილას დახმარების ხელს უწვდის ადამიანებს. განსა-კუთრებით რელიეფურადაა ეს სახე ნაჩვენები ეპიკურ ნაწარმოებებ-ში, სადაც იგი ნოველისტური ქმნილებებიდან უნდა იყოს შესული. „ეთერიანის“ ეპოსის თითქმის ყველა ვარიანტში ვხვდებით კეთილ დედაბერს. კეთილი დედაბრის სახეც საერთოა ქართველური ხალხუ-რი პროზის ყველა შენაკადისათვის.

გ) ხალხური მოთხრობების ერთ ციკლში დედაბერი მკურნალ-ექიმბაშის ფუნქციას ასრულებს და პირველ დახმარებას უწევს ბო-როტ ძალებთან ბრძოლაში დაჭრილ გმირებს. ზოგჯერ (ამას უფრო ქართულ ჯადოსნურ ეპოსში ვპოულობთ) დედაბერი ჯადოსნური სა-შუალებებითაც მკურნალობს; მაქციერია, ადამიანსაც უცვლის სახეს. ასეთი დედაბერი უკვე ირეალური არსებაა.

დ) კეთილი დედაბერი ჩვეულებრივ უშვილოა. ამიტომ მასთან შემთხვევით მისულ დაჩაგრულ გერსა და ობოლს იშვილებს და მზრუნ-ველობით უვლის. უშვილო დედაბერი სტუმართმოყვარე, ადამიანის მფარველია. ეს მოტივებიც საერთოა ქართველური ხალხური პროზის სამივე შენაკადისათვის. უშვილო დედაბერი მათი საერთო პერსონა-ჟია:

ე) ჩვეულებრივ ეს დედაბერი თვალმჭრელი და მარდია, ზოგ-ჯერ — ცალი ან ორივე თვალით ბრმა ან კოჭლი. ბრმა და კოჭლი დე-დაბერი უფრო ბოროტი სულის განსახიერებაა.

ვ) ქართველურ ჯადოსნურ ზღაპრებში თვალთმაქცი, ცბიერი, ბო-როტი დედაბერი, ვანსაცდელში ჩავარდნილ სტუმარს ჯერ რომ ტკბი-ლად მიიღებს, შემდეგ კი მზაკვრულად ორმოს უთხრის. ცბიერი დე-დაბერი ურმით ესტუმრა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, მზეთუნახავს რო-ში შეაპარა, დააძინა, იმავე ურმით გაიტაცა და ხელმწიფის შვილს მიჰკვარა (24, 281). ასევე მოექცა ცბიერი დედაბერი „წიქარას“ პა-ტარა გმირს: ჯერ ის დაათრო, დააძინა, შემდეგ გაიტაცა და ხელმწი-

ფის კარისკაცებს მიჰგვარა (17, 346). ცბიერი დედაბერი ბოროტი და შურიანია.

ზ) ბოლოს ცალკე უნდა გამოვყოთ კუდიანი დედაბერი, რომელიც ქართველურ პროზაში სავსებით ჩამოყალიბებული და დასრულებული სახეა ბოროტი ძალისა. გარეგნულად ის კეთილია, ტკბილსიტყვაობით ხიბლავს თავის მსხვერპლს, არსებითად ავი სულია, მაქციურობის წყალობით მრავალ პოზას იღებს. ასეთ დედაბერს, რომელიც კეთილი მოხუცის ტყავში გახვეული ბოროტი სულია, ხალხმა კუდიანი ეშმაკი შეარქვა. ის, რა თქმა უნდა, არ არის სლაური ეპოსის არც *судья*, არც *Баба-яга*. ამ დემონურ სახეებთან ქართველური ეპოსის კუდიან დედაბერს მხოლოდ სიბოროტე აკავშირებს. სხვა მხრით ნათ შორის არსებითი სხვაობაა. *Баба-яга* მითიური არსებაა. გარეგნულად ადამიანსა ჰგავს, ოღონდ დგას ძვლის ფეხებზე, ბინადრობს ქათმის ფეხებზე მდგომ ქოხში. მის ფუნქციას ზოგჯერ ცხოველიც ასრულებს. დ. ზელენინის მიერ გამოქვეყნებულ ერთ ზღაპარში *Баба-яга*-ს როლს ასრულებს თხა, რომელიც წამოწოლილია ქოხში (3,11). რუსული ჯადოსნური ზღაპრების *Баба-яга* უფრო ხშირად მხარეთმცოდნეა წამოწოლილი — ღუმელზე ან იატაკზე — და მთელ ქოხს იჭერს (1, 58, 77). ზოგჯერ ის ბრმაა, რაშიაც ა. პოტებნია მითიურ იდეას ხედავდა: სიბრმავე მის სიბნელეს, სიბოროტეს განასახიერებსო (13, 85—232). ვს. მილერი მას არქაულ ფიგურად თვლიდა ისევე როგორც მის პოლონურ, ჩეხურ, სერბიულ ორეულებს (11,212). გერმანული და სერბიული ეპოსის ჩვენებით, მას მაგარი, რკინის ან ლურსმნის კბილები აქვს. ამ გარემოებას გენეტიკურად უკავშირებენ მითიურ წარმოდგენებს კბილებზე (13,95).

ქართველური კუდიანი დედაბერი, მიუხედავად მისი სიბოროტისა და სივერაგისა, უფრო ამქვეყნიური არსებაა, ვიდრე *Баба-яга*. მართალია, მას ზოგჯერ შეუძლია სახის ცვლა, მგლად, რაშად, იხვად, კაცად თუ ქალად ქცევა, მაგალითად, კუდიანი დედაბერი ხშირად აღკურვილია ჯადოსნური წკებლით, რის დაკვრაც საგანს სახეს უცვლის (19, 151—152), მაგრამ საწყის მდგომარეობაში იგი მუდამ ადამიანის, დედაბრის სახითაა წარმოდგენილი. მისი პირველადი სახეები (კეთილი, ქომაგი, მაცნე) თავიანთი ხასიათით, შინაგანი და გარეგანი ნიშნებით, ფსიქოლოგიური განწყობით ადგილობრივი სახეა და არა შეთვისებული.

კუდიანი დედაბრის გენეზისს შორს მივყავართ. კეთილი დედაბრის სახე თუ პირველად ქართველურ ნოველისტურ ნაწარმოებებში წარმოიქმნება როგორც რეალური ძალა, ქომაგი და მშველელი ადამიანისა, კუდიანი დედაბერი შემდეგ გამოჩნდა. მან შეიძინა სიბორო-

ტის ნაშან-თეისებები და დაუკავშირდა ავსული როკაპის კულტის რწმენას. ამიტომ შეხედულება, რომლის თანახმად ადამიანის წარმოდგენები სულთა შესახებ თითქოს ცვალებადია, კულტი — უცვლელი (5. 304). მეცნიერულ საყრდენს ვერ პოულობს. კულტის ცვალებადობაც ბუნებრივი პროცესია. როკაპის კულტი ქართველურ წარმოდგენებში (უპირატესად ქართულსა და კოლხურ ხალხურ პროზაში) ცვალებადია. მისი სახის ტრადიცია ხალხურ პროზაში ნაირფეროვანია.

ეპიზოდური სახე კუდიანი დედაბრისა ქართველურ ხალხურ პროზაში შემოტანილია ტრადიციული წეს-ჩვეულებებიდან. ქართველი ტომები ამ დედაბრის წინაპრის, როკაპის, კულტს უხსოვარი დროიდან იცნობდნენ. საქართველოს ყველა კუთხეშია დამოწმებული მისი უვალი. როკაპი ავი დედაბერია, რომელიც, ხალხის რწმენით, უდაბურ ტყეში ბინადრობს, საშინელი ღრჯოლები აქვს, ადამიანს გულს აგლეჯს, ჭამს ადამიანის თმასა და ფრჩხილებს. წელიწადში ერთ დღეს, — ესაა კუდიანების დღე — დადგვი, ძველებურ ახალ წელიწადს, 1 სექტემბერს, როკაპი მართავს თემობას. ამ დღეს მას ქვეყნის ყველა კუთხიდან ეწვევიან კუდიანები და მიართმევენ საჩუქრებს (9, 66—67; 20, 1 151—152). ასეთ კუდიანებს მეგრელები მაზაკერებს ეძახიან. მეგრელთა რწმენით, კუდიანთა უფროსი, როკაპი, სახლობს ტაბაკონის მთაზე. მაზაკერობის დღეს როკაპთან თავს იყრის ყველა კუდიანი დედაბერი, რომლებიც ბატონს საჩუქრად ადამიანის, განსაკუთრებით ჩვილი ბავშვების, გულს მიართმევენ ხოლმე (18, 17—21; 20, 1, 153). მეგრელთა და იმერთა რწმენით, როკაპი ბინადრობს ტაბაკონის თუ ტაბაკელას მთაში (18, 19; 6, 175; 20, 152—154), გურულების წარმოდგენით კი კუდიანების თემობა (კეკეთობა) იმართება ჭაჭვეთს, მაგრამ ასაეულ-დასაეული ამ ადგილისა არაეინ უწყის (9. 63—67; 20. 153). კუდიანების უფროსის, როკაპის, კულტს იცნობს მთელი ეთნოგრაფიული საქართველო. ნაშთები ამ კულტისა მეტნაკლებად შემორჩენილია საქართველოს მთასა და ბარში, გურიაში (9, 63—67; 20, 154), იმერეთში (6, 175—180; 20, 154), ხევსურეთში (8, 226; 20, 154—155), ფშავეში (7, 165—166; 2, 85; 20, 156—157), სამეგრელოში (18, 18—21; 20, 152—157), სვანეთში. კუდიანთაგან თავდასაცავად ხალხი რიტუალურ წესებს იცავდა (25, 100; 9, 64—65; 20, 156—157)

როკაპის სახე ხალხურ პროზაში, უნდა ვიფიქროთ, მოგვიანებით გაჩნდა. თავდაპირველად ის არ უნდა ყოფილიყო. თვით როკაპის კულტიც პატრიარქატისეულია და შექმნილია არა მატრიარქატის, არამედ სწორედ პატრიარქატის ეპოქაში. ხალხმა როკაპის სახით საშინლად დასცინა მატრიარქატს. ამით მან დაგმო მატრიარქატის უკანასკ-

ნელი გადმონაშთი. ამიტომ, ჩვენი აზრით, როკაპის, კუდიანი დედაბრის სახე ხალხმა შექმნა მატრიარქატის მითოლოგიის დამარცხების შედეგად, პატრიარქატის განმტკიცების ეპოქაში. სავესებით რეალური საწყისი გრძნეულ ქალად იქცა. მატრიარქატის გადმონაშთის მთელი სიმანჩრე ხალხმა როკაპის ანუ კუდიანი დედაბრის სახეში ჩააქსოვა, მოაშორა ამ ქვეყანას და წარმოსახულ ადგილას, მიუვალ მთებში დაასახლა. ამაში ღრმა აზრია გატარებული: კუდიანი დედაბრის პორტრეტში უნდა ამოვიცნოთ დაცემული და განწირული სახე მატრიარქატისა.

კუდიანი დედაბრის მოტივები თანდათანობით ეპიზოდურად გადავიდა ხალხურ ეპოსში. შემოტანილია ის აქ, როგორც ითქვა, ტრადიციული წეს-ჩვეულებებიდან. მაგრამ ხალხურ პროზაში მას დახვდა პატივისცემით გარემოსილი პერსონაჟი — კეთილი დედაბერი, რომელსაც ტრადიცია დადებითად თვლის და ადამიანის ქომაგად მიიჩნევს. კეთილი დედაბრის სახე და მასთან დაკავშირებული მოტივები პირველად ჩამოყალიბდა ნოველისტურ ნაწარმოებებში და მას დაეკისრა სავსებით კონკრეტული ფუნქცია. ახალ სიტუაციაში კი მას დაუპირისპირდა კუდიანი დედაბერი, რომელმაც თავს მოახვია ტრადიციულ რეალურ პერსონაჟს ირეალური თვისებები და ჭადონსური საჭურვლით შემოსა. ნოველისტური ეპოსის კეთილ სახეს დემონური საბურველი ჩამოეთვარა, ხალხური პროზის სიუჟეტუალში გაჩნდა ახალი რგოლი.

ხშირად ეპიკურ ნაწარმოებთა სიუჟეტურ ქსოვილში მოტივი კუდიანი დედაბრისა ისეა ჩაყრებული, რომ ძნელდება მისი ბუნებრივად მიჩნევა, არ არის მოტივირებული, დარღვეულია სიუჟეტის განვითარების ლოგიკური ხაზი. ეპოსის ციკლებში საერთოდ, და აქ ქართველური ხალხური პროზა გამონაკლისი არ არის, ჩვეულებრივ გვხვდება არამოტივირებული სიტუაციები, კოლიზიები, თვით პერსონაჟებიცა და სახეებიც. ამ გარემოებას სამართლიანად ვახაზავს ბ. ნ. პუტილოვიც სლავიანური ეპოსის მაგალითზე. «Сюжетные коллизии, — ამბობს ავტორი, — критические ситуации возникают как бы сами собой, они не подготовлены предшествующим ходом событий и не всегда могут быть логически объяснены. Часто не мотивированы (либо мотивированы чисто условно, формально, вне видимой связи с данной ситуацией) поступки героев, их ответные реакции. Повествование не раскрывает нам внутренних побуждений героя, не объясняет мотивов, лежащих в основе его поведения. Поступки героя в кажущейся их алогичности, загодичности и немотивированности предстают как некая дан-

ნობს, ვ ეპიხესკომ კონტექსტე ვპოლნე ესტეტსვენნია ი ნე ტრებუო-  
შაა კაკ-ბუდო რაციონალნიხ ობჟასნენიხ» (15,325).

4. ახლა ვნახოთ, როგორ და საიდან შემოვიდა ქართველური ხალხური პროზის საერთო სიუჟეტოკაში უმცროსი ძმის მოტივი. ზღაპრული ეპოსი კარგად იცნობს უმცროსი შვილის (//ძმის) მსგავსება და ვნახევებულ მოტივებს. იშვიათია დედამიწაზე ხალხი, რომლის ზღაპრებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი არ ეკუთროს ამ უნივერსალურ გმირს.

უმცროსი შვილის სახეში ყველა ხალხი თავის აზრსა და ფიქრს აქსოვს. ქართველურ ხალხურ პროზაში უმცროსი შვილი ცალკეა გამოყოფილი და მიაწერენ მას ხალხის ჭეშმარიტი გმირის საუკეთესო თვისებებს (21, 11, 170—182).

უმცროსი შვილი აქ იგივე უმცროსი ძმაა, ატრიბუტი პატრიარქატის ოჯახისა. აქ იზრდება იგი, როგორც გმირი, გარემოსილი ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით. მისკენ იხრება მთქმელთა და მსმენელთა სიმპათია.

უმცროსი ძმის ციკლის ქართველურ ნაწარმოებებში დადასტურებულ ათეულობით მოტივიდან ყველაზე გავრცელებულია ოთხი მოტივი.

ა) შესრულება მომავლადი მამის ანდერძისა. მამის ანდერძის ან დავალების შესრულებას ახერხებს მხოლოდ უმცროსი ძმა, უფროსები ან სულ არ ფიქრობენ ამაზე, ანდა ძალა არ შესწევთ ანდერძის შესასრულებლად. მოტივი ერთნაირადაა გავრცელებული ქართულს, სვანურსა და კოლხურ ზღაპრებში.

ბ) კონფლიქტი უფროს ძმებთან. უმცროს ძმას კონფლიქტი აქვს უფროსებთან და იძულებულია, ოჯახს გაჰშორდეს. კონფლიქტი ძმებს შორის უფრო მემკვიდრეობის გაყოფის ნიადაგზეა აღმოცენებული. სიმართლე ყოველთვის უმცროსი ძმის მხარეზეა, მაგრამ სახლიდან სწორედ მანაც ამას აძევენ. ხალხის ფანტაზია დიდხანს არ აყოვნებს კვანძის გახსნას, ჩქარა უფროსთა მიერ შევიწროვებული და სახლიდან გამოგდებული უმცროსი ძმა თავზე გამარჯვების გვირგვინს იდგამს.

გ) დაქორწინება ულამაზეს ქალწულზე — მზეთუნახავზე. სახლიდან გაძევებული უმცროსი ძმა მიეგზავრება ბედნიერების საძებრად, გაჭირვებით მიიკვლევს გზას, ამარცხებს ბოროტ ძალებს და წარმატებასაც აღწევს, ტყუილობიდან დაიხსნის მზეთუნახავს და მასზე ქორწინდება. მზეთუნახავის განთავისუფლება მეტად რთული საქმეა, რადგან მას ეუფლება ბნელი ძალა — დევი, აუცილებელია დევის შემუს-



ვრა. და აი, ჯადოსნურ მოთხრობებში ბრძოლების მთელი ასპარეზი ნაჩვენებია. უმცროსი ძმის მიერ ბოროტი ძალის შემუსვრა, მზეთუნახავის გათავისუფლება და დაქორწინება ქართველური ხალხური პროზის მეტად გავრცელებული მოტივებია. უმცროსი ძმის სახეს ზოგ შემთხვევაში ატყვია საყოველთაოდ ცნობილი შაბლონის ანაბეჭდიტ, მაგრამ არსებითად იგი ინარჩუნებს კოლორიტსა და რეალისტურ ნივთს.

დ) უფროს ძმათა ღალატი. ეს მოტივიც მეტად პოპულარულია. უმცროსი ძმის წარმატება უფროსთა შურსა და ღალატს იწვევს. მოსაზრებულობით, სიმამაცით, ადამიანური თვისებებით უმცროსი ძმა გამოირჩევა უფროსთაგან. ამიტომ იგი მიუწვდომლის მიწვდონასაც ახერხებს. ყოველივე ეს ძმათა შორის გათხრილ უფსკრულს უფრო აღრმავებს, შურსა და მტრობას თესავს.

ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტურ ქსოვილში ოსტატურადაა ჩაწნული უძველესი რეალური მოტივები. უმცროსი ძმის მოტივები, რომლებიც ახლა ასეა გავრცელებული ქართველური ხალხური პროზის ცალკე ეპიკის ნაწარმოებებში, როგორც ირკვევა, პირველად, აღმოცენებული რეალისტურ ნიადაგზე. აიხსნება ეს უმცროსი შვილის იდეალიზაციით, უმცროსი ძმის კულტით, რაც ღრმა სიძველის ნიშნებს ატარებს (21, 11, 176); უმცროსი ძმის კულტი ქართველურ ტომებში შეიძლება გაჩენილიყო იმ დროს, როდესაც დაიშალა დიდი ოჯახი, განვითარდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი და ამ ნიადაგზე აღმოცენდა მათობა. შეიქმნა ობიექტური პირობები იმისათვის, რომ წინაპლანზე წამოწეულიყო უფლებათა უფლები, დაჩაგრული, სწორად სახლიდან უმიზეზოდ გაძევებული, მაგრამ ხალხში სიკეთის თესვის მთესველი უმცროსი შვილი (21, 11, 176—177). უმცროსი ძმა თავიდანვე ჩაგვრა-დამცირების ობიექტი ყოფილა. მოგვიანებით, ჩანს, მას რაღაც უფლება კი მიუღია, მაგრამ ამ გარემოებას არ გამოუწვევია და არც შეეძლო გამოეწვია მისი კულტის წარმოშობა. ქართველურ ტომებში, როგორც ირკვევა, უმცროსი ძმის კულტის აღმოცენება განაპირობა მისმა სწორედ უფლებობამ და დამცირებამ და არა რაღაც უფლების მიღებამ. დიდი უფლებით, თანაც მეგვიდრეობისა და ქონებრივი უპირატესობის უფლებით, სარგებლობდა უფროსი ძმა, მაგრამ მისი სახის იდეალიზაცია ფოლკლორში არ მომხდარა.

პატრიარქატის განვითარების არც ერთ ეტაპზე უმცროსი შვილს არ შეეძლო მამის ადგილის დაკავება. უფროსის პატივისცემა და იურიდიული უფლებამოსილებით აღჭურვა ქართველურ ადამიანთა იმთავითვე ახასიათებდა. სწორედ აქედან განვითარდა უფროსის უფლებრივად გაბატონება ოჯახში, თემსა და ტომში. ქართველმა ტომებმა

ვაიარეს კანვითარების ეს საფეხურები, რასაც გენეტიური დადასტურება აქვს არა მარტოოდენ ყოფითი და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული რეალიებით. არამედ, რაც მთავარია, ენობრივი მონაცემებითაც.

ძველ ქართველურ დიდ ოჯახს, სახლს, სათავეში ედგა მამასახლისი. ატირბუტი პატრიარქალური ოჯახისა, რომელმაც მატრიარქატისეული დიასახლისი შეცვალა. ქართველური ოჯახი დასაწყისიდანვე იცნობდა სახლის უფროსის, ასაკით უზუცესის ავტორიტეტს (27,148). ასეთ იერარქიას ქართველური ტომების სოციალურ ყოფაში ადასტურებენ ძველი ბერძენი მწერლებიც, რომლებიც ანტიკურ ეპოქაში მოგზაურობდნენ ძველ კოლხეთსა და იბერიაში და აღწერილი აქვთ ქართველურ ტომთა მაშინდელი ყოფაცხოვრების დამახასიათებელი რეალიები. ქართველური ტომების უძველეს ადათებსა და სამართალში არა ჩანს უმცროსი ძმის რაიმე უპირატესი უფლება უფროსთან შედარებით. „რალაც უფლება“, უმცროს ძმას რომ მაინც მიეკუთვნა, მოწმობს ხალხის ერთგვარ მზრუნველობას იმაზე, რომ ის ჯერ კიდევ უსაკოა, მშობლების კალთაზეა მიჯაჭვული, საჭიროებს მათ მზრუნველობას. მზრუნველობის ფაქტორმა იმთავითვე განაპირობა უმცროსი შვილის სიყვარული, ვახადა მეტი ყურადღების საგნად. სამეფო და დიდ ფეოდალთა გვარში უფროსი შვილი მუდამ სარგებლობდა მემკვიდრეობის უფლებით. მეფეთა, ერისთავთა და სხვა თანამდებობრივი ტიტულების მოპოვების უფლებას მემკვიდრეობის ინსტიტუტი უფროს ძმას აკუთვნებდა. ეს წესი კანონმდებლობითაც იყო განპტიკებული შუასაუკუნეების ეპოქის ქართული სამართლით და ამას თვით ხალხური სამართალიც აღიარებდა (21, 11, 179).

უმცროსი ძმის იდეალიზაციით ხალხი, ცხადია, არ იბრძვის არც მაიორატის წინააღმდეგ და არც მინორატის პრიორიტეტისათვის, გვაჩვენებს მხოლოდ მაიორატის თანდაყოლილ მანკს, წინააღმდეგობებს მაიორატსა და მინორატს შორის, უმცროსი შვილის ღირსებებს, უფროსის უღირსობას. სწორედ ამითაა გამოწვეული ის შეურიგებლობა, რაც უმცროსი და უფროსი ძმების ხასიათებში მკლავნდება ხალხური პროზის მიხედვით.

ხალხის ვენია აღიარებს, რომ უმცროსი განვითარებადია, მომავალი მას ეკუთვნის, სიკეთე, ბედნიერება ახალგაზრდობის ხელით ითესება. უმცროსი ძმის სახეში თანდათანობით ყალიბდება და ერთიანდება ის დადებითი, კეთილი და მისაბაძი ღირსებანი, რაც, ხალხის ზრუნვით, უნდა ახასიათებდეს იდეალურ გმირს. ხალხური ავტორი სიყვარულით აქანდაკებს შესანიშნავ სახეს. არა თუ თქმულებებსა და ჯადოსნურ ზღაპრებში, ქართული ეპოსის კლასიკურ ძეგლებშიაც ყვე-

ლაზე მომხიბლავი, ადამიანის ბედნიერებისათვის გაბედულად შებრ-  
ქოლი ემირი ჩვეულებრივად უმცროსი ძმის სახითაა წარმოდგენილი  
უმცროსი ძმა არის თვით ამირანიც. რომელმაც ქვეყნად ბოროტება  
მოსპო და ადამიანებს ბედნიერება და სიკეთე მოუტანა (23, 313; 356;  
21, 11, 180).

პირველადია უმცროსი ძმის რეალისტური სახე, ასე მრავალფე-  
როვნად წარმოსახული ქართველური ხალხური პროზის ნოველის-  
ტურ ციკლებში. მეორადი ჩანს მისი სახე ჯაღოსნური ზღაპრებისა და  
თქმულებების იმ ციკლებში, რომლებიც მეტისმეტადაა დამძიმებუ-  
ლი ფანტასტიკური მოტივებით. ჯაღოსნური აქსესუარის ქსოვილში  
უმცროსი ძმის რეალისტური პორტრეტი გამოჩნდა იმის გამო, რომ  
კლასობრივი საზოგადოების იერარქიაში ხალხმა საჭიროდ დაინახა  
საყვარელი გმირის სახის გამოკვეთა და განდიდება. უმცროსი ძმის  
თავდაპირველი სახე შემდეგ შეიმოსა ჯაღოსნური საბურველით, თავ-  
დაპირველად იგი ამ საბურველს არ საჭიროებდა (20, 181). რა ასპექ-  
ტითაც უნდა მივუდგეთ უმცროსი შვილის სახის შესწავლას ქართვე-  
ლური ხალხური პროზის სიუჟეტურ სისტემაში, მასში, უწინარეს ყოვ-  
ლისა, დავინახავთ თვითმყოფი მოტივების წამყვან პოზიციას, ადგი-  
ლობრივ კოლორიტს. უმცროსი შვილის სახის შედარებითი შესწავ-  
ლა ქართველურ ხალხურ პროზაში ადასტურებს მის ერთნაირ გააზ-  
რებას ისტორიული საქართველოს ყველა ეთნიკურ კუთხეში.

\* \* \*

ჩვენი დასკვნები თავისთავად ნათელია. საყოფიერო ციკლის ნა-  
წარმოებების მოტივთა სისტემა, რომელიც წარმოშობილია ადამიანთა  
შრომითი დამოკიდებულების პირვანდელ ნიადაგზე და განმტკიცებუ-  
ლია ცხოვრების გამოცდილებით საზოგადოების განვითარების მთელ  
მანძილზე — პირველადია, ჯაღოსნურ მოტივებს წინ უსწრებენ. სპე-  
ციალურ ნაშრომში (20, 1, 33—49) ჩვენ საშუალება გვქონდა უფრო  
ვრცლად გვეჩვენებინა ამ კონცეფციის მეთოდოლოგიური საყრდენე-  
ბი და ახლა აქ მათ აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ნო-  
ველისტური მოტივების სისტემა, რომელსაც ჩვენ პირველადად  
ვთვლით, უნდა მივიჩნიოთ ადამიანის ბრძოლისა და შემოქმედების,  
განცდებისა და გამოცდილების რეალისტურ ასახვად. ნოველისტურ-  
საყოფიერო ნაწარმოებების პირველადი სტრუქტურული მოდელი  
ეყრდნობა მკვიდრად შეკრული ერთიანი სიუჟეტის მაგისტრალს,  
რომლის მამოძრავებელი ძალა რეალური ადამიანი და მისი საქმეებია.  
ამიტომ ხალხური პროზის ეპიკური ციკლის სიუჟეტიკაში ნოველის-  
ტურ-საყოფიერო მოტივები ბუნებრივადაა გადასული და კანონზო-  
მიერ აღვილს იჭერენ. ესენი პირველადი სტრუქტურული ელემენტე-

ბია, რომელთა მოდიფიკაცია გაპირობებულია შემოქმედებითი კოლექტივების ნიჭითა და გემოვნებით უკვე მალაღანვითარებულ საზოგადოებაში. მოტივთა ეს სისტემა ორგანულადაა ჩართული ეპიკური ციკლის ნაწარმოებთა სტრუქტურულ მოდელში, წარმოსახვითს კოლიზიებს, სიტუაციებსა და პასაჟებს ძალასა და დამაჯერებლობას კმატებს. ქართველური ხალხური პროზის ეპიკური ციკლები (ხალხური მოთხრობები და რომანები, ცხოველთა ზღაპრები, ეპოსი ამირანისა, ეთერისა და ა. შ.) მეტნაკლებად გვაჩვენებენ ამ კანონზომიერებებს. რეალური და ირეალური, ბუნებრივი და არაბუნებრივი, ნამდვილი და წარმოსახული საგნები და მოვლენები ერთიმეორის პარალელურად კი არ მოქმედებენ, არამედ ერთმანეთს ერწყმიან და ავსებენ, თანაარსებობენ, ქმნიან ერთ მთლიან სიუჟეტურ სისტემას, რომელიც იხვეწება და მდიდრდება საუკუნეთა სოციალურ-ესთეტიკური იდეალების, პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების, ადამიანთა, ხალხთა, ტომთა, ერთა კონტაქტების განვითარების წყალობით, სხვაობა ისაა, რომ რეალური მოტივი მთქმელსა და მსმენელს სჯერა, ირეალური არ სჯერა.

#### ლიტერატურა

1. Афанасьев А. Н., Народные русские сказки, III, СПб., 1897.
2. ვაჟა-ფშაველა, თხზ., V, აბ., 1961.
3. Зеленин Д. К., Великорусские сказки Вятской губернии, Петр., 1915.
4. Кнлшндзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914.
5. Липпер О., История культуры, СПб., 1897.
6. Ломинадзе В., Из народной словесности у имеретин, О ведьмах, СМОМПК, вып. 9, Тб., 1890.
7. შაკალათია ს., ფშავი, თბ., 1934.
8. შაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1935.
9. Мамаатадзе Т., Народные обычаи и поверия гурийцев, СМОМПК, вып. 17, Тб., 1893.
10. Миллер Вс., Всемирная сказка в культурно-историческом освещении, «Русская мысль», XI, М., 1893.
11. Мелетинский Е. Д., Герой волшебной сказки, М., 1958.
12. თნიანი თ., სვანური ჯადოსნური ზღაპრები, თბ., 1970.
13. Потебня А., О мифическом значении некоторых обрядов в поверий, «Чтение ..», кн. III, М., 1865.
14. Пропп В. Я., Исторические корни волшебной сказки, Л., 1946.
15. Путилов Б. Н., О некоторых структурных особенностях славянского эпоса, „Acta Ethnographica Academiae Scientiarum Hungaricae“, 19, 1970, 225-348.

16. რაზიკაშვილი თ., ქართული ხალხური ზღაპრები, I, თბ., 1951.
17. რაზიკაშვილი თ., ქართული ხალხური ზღაპრები, II, თბ., 1952.
18. სახოკია თ., ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1956.
19. ლლონტი ალ., ქართული ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1948.
20. ლლონტი ალ., ქართული ხალხური ნოველა, I, თბ., 1963.
21. ლლონტი ალ., ქართული ხალხური ნოველა, II, თბ., 1966.
22. მანაძე ა., თოფურია ვ., სვანური პროზაული ტექსტები, I, თბ., 1939.
23. ჩიქოვანი მიხ., მიჯაჭვული ამირანი. თბ., 1947.
24. ჩიქოვანი მიხ., ქართული ხალხური ზღაპრები, II, თბ., 1952.
25. Хаханов А. С., Очерки по истории грузинской словесности, I, М., 1896.
26. ხუბუა მ., მეგრული ტექსტები, თბ., 1938.
27. ჭავჭავაძე ივ., ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928.  
1972 წ.

### 3. ბერიძის „სიტყვის კონის“ ახალი გამოცემის გამო

„მეცნიერებამ“ ფოტოტიპურად გამოსცა პროფესორ ვუკოლ ბერიძის ცნობილი ნაშრომი „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“. გამოცემა განხორციელდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით. მცირე მოცულობის დიდმნიშვნელოვან წიგნს საოცარი თავკადასავალი აქვს. საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ის პირველად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დაბეჭდა ქართულ ენაზე პეტერბურგში, საშინელი რეაქციის ბატონობის ეპოქაში, 1912 წელს, როდესაც ქართული ენა და კულტურა იდევნებოდა. მაშინ ამისთანა წიგნის გამოცემა, ისიც ცარიტული იმპერიის სატანტო ქალაქში, ნამდვილად სასწაულს ჰგავდა და სასწაულთმოქმედად მოგვევლინა ჩვენი სწორუბოვარი თანამემამულე, ქართული აკადემიური ფილოლოგიის, როგორც მეცნიერების, ფუძემდებელი და გეზის მიმცემი, აკადემიკოსი ნიკო მარი, „სიტყვის კონის“ შედგენისა და ქართულ ენაზე გამოცემის ინიციატორი, სულის ჩამდგმელი და რედაქტორი.

წიგნი VI ნაკვეთად დაიბეჭდა ნ. მარის მიერ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაფუძნებულ განთქმულ სერიაში „Материалы по яфетическому языкознанию“. ამ სერიის გამოცემით დაიწყო ნ. მარმა ქართველურ ენათა და მათი დიალექტების ფართო გეგმით კვლევა-ძიება. მეცნიერმა დასაწყისიდანვე იწინასწარმეტყველა ქართველოლოგიის უდიდესი მომავალი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში სათავე დაუდო ცოდნის ახალ და დიდპერსპექტიულ დარგს, რომელმაც სრულიად ახალი მიმართულებით გაშალა მეცნიერული ძიება. ეს იყო ნოვატორი მეცნიერის კემმარიტად არნახული,

ჩვენთვის ახლა ძნელად წარმოსადგენი, თაოსნობა, რის ისტორიული მნიშვნელობა ცხოვრებამ საეცებით გაამართლა. აქედან მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართველოლოგიის აღმასვლას, ქართველური ცნებისა და ძველი ქართული უნიკალური ძეგლების ახალი მეთოდებით შესწავლას და, ივ. ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნ. მარმა ქართული „ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“. ნ. მარის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შექმნილმა ქართველოლოგიურმა სკოლამ უდიდესი შრომა გაწია და ჩვენი თანამედროვე ქართული ფილოლოგიის მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებათა ნიადაგი და პირველი წყარო სწორედ ის არის. ამ სკოლიდან გამოვიდნენ ეროვნული მეცნიერების იმისთანა მოღვაწენი, როგორც არიან ივანე ჭავჭავაძე და სარგის კაკაბაძე, აკაკი შანიძე და იოსებ ყიფშიძე, გიორგი ჩუბინაშვილი და გიორგი ჩიტაია, იუსტინე აბულაძე და კარპეზ დონდუა. ნ. მარის სკოლასთან იყვნენ მკიდროდ დაკავშირებული კორნელი კეკელიძე და სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ახვლედიანი და მეცნიერთა მთელი მომდევნო თაობები. ამ სკოლაში აღიზარდა ვუკოლ ბერიძეც. აქ მიიღო მან ბრწყინვალე ფილოლოგიური განათლება ნ. მარის ხელმძღვანელობით. აქ, ნ. მარის დავალებითა და ხელშეწყობით, შექმნა თავისი შესანიშნავი „სიტყვის კონა“.

ხსენებულ სერიაში პირველ წიგნად (აგრეთვე ქართულ ენაზე) დაიბეჭდა ილია ჭყონიას „სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები“ (1910 წ.). მეორე წიგნად გამოვიდა ნ. მარის „ჭანური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ“ (1910 წ.), ა. ჩიქობავას სიტყვებით, „საუკეთესო გამოკვლევა, რაც კი ჭანურის შესახებ დაწერილა“. შემდეგ წიგნებად — ნ. მარისავე: „აფხაზურის ადგილის საკითხისათვის იაფეტურ ენებს შორის“ (1912 წ.), „იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიკური ელემენტი ხმელთაშუაზღვეთის კულტურის შექმნაში“ (1920 წ.), „ამონაკრები სვანურ-რუსული ლექსიკონიდან“ (1922 წ.), „ძველქართული ლიტერატურული ენის გრამატიკა“ (1925 წ.), ი. ყიფშიძის ფუნდამენტური „მეგრული ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ“ (1914 წ.) და „დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ“ (1911 წ.), პ. ჭარაიას „აფხაზურა ენის დამოკიდებულების შესახებ იაფეტურთან“ (1912 წ.), ა. ონიანის მცენარეთა სვანური სახელწოდებები და ლაშხური ტექსტები (1917 წ.). ეს ნაშრომები დამკვიდრდა ჩვენი მეცნიერების კლასიკურ

საგანძურში. მათ განუზომლად დიდი როლი შეასრულეს (ასრულებენ ამჟამადაც) ქართველურ ენათა შესწავლასა და ქართველოლოგიის განვითარებაში, დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

რით იქცევს დღევანდელი მკითხველის ყურადღებას ვ. ბერიძის „სიტყვის კონა“? რა თეორიულ პრინციპებს ეყრდნობა ის, რა ღირსების მასალაა მასში აღბეჭდილი? რამ განაპირობა 75 წლის წინათ დაბეჭდილი მცირე მოცულობის დიალექტოლოგიური ლექსიკონის კვლავ გამოცემა იმჟამად, როდესაც ქართული დიალექტოლოგია ასე წარმატებით ვითარდება, ხელთა გვაქვს ათობით მშვენიერი დიალექტოლოგიური ლექსიკონი, მათ შორის თვით იმერულის და რაჭულისა, რომელთა ლექსიკური მასალა მოკრძალებითაა ასახული ვ. ბერიძის ნაშრომში?

ეს კითხვები უეჭველად დაებადება დღევანდელ მკითხველს, „სიტყვის კონის“ ახალ გამოცემას თვალის ერთი გადავლებით რომ გასინჯავს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ვ. ბერიძის „სიტყვის კონა“ იყო ახალი გზის გამკვლევი, ასე თუ ისე პირველი, ცალკე გამოცემული დიალექტოლოგიური ლექსიკონი, რომლის მასალა და შედგენის პრინციპები ამჟამადაც ისევე სანიმუშო და საინტერესოა, როგორც გამოცემისას იყო. მას მნიშვნელობა და ელვარება არ დაუკარგავს, დარჩა ეტალონად, რაც მთავარია, ავტორმა პირველად შეაგროვა თავისი მნიშვნელობით ნამდვილად უნიკალური ლექსიკური მასალა და მოგვცა ყოველი სიტყვის მარჯვე, სხარტი, ვიტყოდი, საბას სტილის, განმარტებები. ლექსიკონის ღირსებაც სწორედ ამით აიწონ-გაიზომება. ამ მხრით „სიტყვის კონა“ უზადოა.

ლექსიკონში ორი ათას ორასზე მეტი სიტყვაა აღბეჭდილი. მასალა ავტორს 1911 წ. ზაფხულში შეუკრებია ქვემო იმერეთისა და ზემო რაქის დაბა-სოფლებში: ხონში, მათხოჯში, კონტუათში, საწულუკიძეთში, კუხში, გუმში, ივანდიღში, ჭიხაიშში, ქუთაისში, ოკრიბაში, ზემო რაქიდან — ონში, უწერაში... ამ დასახლებულ პუნქტებში, კეთილადამიანთა დახმარებით აღუნუსხავს და გადაურჩენია ასობით წკრილა ქართული სიტყვა, რომლის დიდი ნაწილი დღეს აღარავის ახსოვს. მათ ასავალ-დასავალს მხოლოდ ვ. ბერიძის „სიტყვის კონა“ გვაუწყებს. ყოველი ლექსიკური ერთეული დოკუმენტირებულია: ახლავს პასპორტი, წყარო, ცნობები ინფორმატორთა ვინაობის შესახებ, მითითება ლოკალზე, სადაც ის მოპოვებულია. სრულიად ბუნებრივია, რომ „სიტყვის კონა“ ყოველივე ამით გახდა პირველ სანდო წყაროდ სხვა ანალოგიური შრომებისა და თვით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისათვის“, რომელშიც ვ. ბერიძის მასალა თითქმის მთლიანად და უცვლელადაა შეტანილი. ჩემ „ქართული ენის კილო-თქმათა

სიტყვის კონაში“ პატივისცემითაა ჩართული მეცნიერის მიერ პირველად გამოვლენილი ლექსიკური ერთეულები და გამოთქმები.

დავიმოწმებ სიტყვათა სხარტი, მოკვეთილი განმარტების რამდენიმე ნიმუშს ქვემო იმერული, ზემო რაჭული და გურული კილო-თქმეზაიდან. ავტორს ჰყოლია ნიჭიერი ინფორმატორები: ქვემო იმერეთიდან: აპოლონ აბაშიძე, გერასიმე ბერიძე, დომენტი ბახტაძე, დავით გლეშკოვი, ემელიანე ცაგარეიშვილი, სერაპიონ ჩირგაძე, პარმენ ბერაძე, დავით ავალიანი; ოკრიბიდან: რაქდენ არსენიძე; ზემო რაჭიდან: ალექსი მეტრეველი, ივანე ჭიჭინაძე, ივანე ფოფხაძე, ნიკო გიორგობაიანი; გურიიდან: სიმონ ლომაძე და სერგეი ჟორჯოლიანი. მათი ცნობები სანდოა, განმარტებები — სწორი.

დომენტი ბახტაძისაგან (ხონი) ავტორს ჩაუწერია და მკაფიოდ განუპარტავს იშვიათი სიტყვები: ბაჩიჩო („ბავშვთა სათამაშო ხოხოლა“), ბენძო („ხის ტანის ქვედა ნაწილი ფესვებიანად“), ბეჩო („ღრუ მღინარეში, სადაც ბუდობს თევზი და კიბო, ჭილე“), ბანცალა („ძაღლის ავადმყოფობაა, ქარებივით გაუდგება ტანში“), მოდგვეფილი („უშნო, ტლანქი, მოუხეშავი. „იმ ქალს მოდგვეფილი სახე აქვს“), კაკა („მრულე ფეხებიანი“), ფსტვილა („ბლის ტყავისაგან დაწნული ჩანთა, ხმარობენ მწყე(მ)სები საკმლის შესანახავად“). ასევე მოკვეთილად განმარტებული ბევრი სხვა ინფორმატორისგან მოწოდებული სიტყვები: ბელენძეხა („უშნო, უსუფთაო, პელენწუჯა“). ბიჯაგი („საკაც“). ზინდალი („ქვაბის მქედელთა გრდემლი სპილენძეულობის გამოსაკვერავად), თული (მოდუნული წნელი, ოდრიკალი, რომელზედაც აქუნენ მიმინოს გასაწაფავად“), ოცობოდო („მბოდავი, მპროტავი, ფანტაზიორი“), ჭაკელი („მეორე წლის ხბო“) და ა. შ.

ზემო რაქაში შეკრებილ იშვიათ სიტყვებსაც მსგავსი სხარტი განმარტება ეძლევა: ბაჭული („ხაქაპური, ჩართული აქვს ხაჭო და არა ყველი“), ბორო („დიდი მთა, მიყრუებული ადგილი მთაში“), ოცობრკუდა („ცუდლუტი, გაიძვერა“), ალეში („მდარე, ნაკლები“ „ი ბოში რომ ცოტა ალეში ქალი არ იყოს, მზითევი კარგი აქვს“. ალეში ლეინო თხელი, მდარე ღვინო“), ენძა (წვრილი ბაწარი, რომელსაც კალატოხები ხმარობენ კედლის სწორად გასაყვანად, ლარი“), საფხი („ლესვაზე გადანაცვალი რკინის პირველი პირი“). ასეთივეა: ფანთხი („ბანდლი, ქსელი; ობობას ქსელი“), ღრუქუმი („ბუნებრივი ორმოები სათაში“), ყაირი („მსხვილთავა ლურსმანი ცხენის დასაქვდი, რომ ყინულზე ფეხი არ დაუტურდეს“)...

„სიტყვის კონაში“ პირველადაა აღბეჭდილი გურული ლექსიკის იშვიათი, ამჟამად დავიწყების ბინდდაკრული, ნიმუშები: აჭა („ხნულში დატოვებული ალაგი, ხარვეზი, ხტული“), დოღრი („მსუქანი, ზოზ-



ბა. მოსული“), ბოწოწო („სიმინდის ფოჩვი“), გვანი (ნაგავი, „ფოცხე, ფოცხე, დააყენე ეგერ-აგერ გვანი“), თანარსი („სიმინდის უეარგისი ღეროები დედა ღეროს გვერდს ამოსული, ბიჭა-ბიჭა“), მუქკა („ლომის თაველი სათესურად (სანჩხვეთ) შენახული“), წკაპარტა („პატარა პატლია, ყველში ჩნდება“), წურუკა („ნადულის გადანაწერი“), ყაყაპაა („ხის ბაყაყი“), საცივი („წყარო“), გლიმურჭი („მოუხეშავი, უშნო“), დილენჯი („მოუხეშავი, გაუთლელი“), გვინძლი („ეკლიანი ბუჩქი“) და მისთ.

პირველადაა აღნუსხული ქვემო იმერულსა და ზემო რაჭულში გავრცელებული აღმოსავლური სიტყვები, უშუალოდ შემოსული ხალხურ მეტყველებაში, რომლის ძირითადი ნაწილი სალიტერატურო ენაში არ დამკვიდრებულა. სპარსული: აზამბარი („თანასწორი ტვირთის მექონი“), ბერძენი („შეძლებული, მდიდარი“), დოსტი („ამხანაგი, მეგობარი, ძვირფასი“), დომფალაა („აბრეშუმის პარკი, რომელშიაც ორი ჭიაა“), მუშტა („სპილენძის კვერი, ხარაზნი ხმარობენ საწულე ტყავის დასატკეპნად, დასაკვერავად“), სიფთა („ახალი ნავაჭრი, დილაზე აღებული ფული“), ქილახორი („საწყაო, კოდი, ცხენთა საპირე ჩალა-თივის ჩამოსაყრელი“), შეშაიბარი („ექვსფეხიანი, ზღაპრული ცხენია“), ხოში („სიკეთე, პატიოსნება. „ახალგაზრდობის ხოში არ გამიტეხია“)... არაბული: ალა-ალა („მეტფ. სიადვილის აღსანიშნავად. „ფული მომეციო რო მთხოვ, ასე ალა-ალა ასი თუმნის გადახდა?!“), ერეყანი („ავადმყოფობაა, სიყვილღე, საშინელი ქავილი იცის, იშვიათად რჩება“), მალიათი („სიმდიდრე, შეძლება“), ნასიბი („ბედნიერება. „ღმერთმა ნასიბი და ბარაქა ნუ მოგიშალოს!“), ყაილა („ლაპარაკი, დავიდარობა; მოჩხუბარი“), ყაიმი („სწორი; გაყაიმიდა გასწორდა“), ხაბალობა („ოხუნჯობა“)... თურქული: აირანი („კეფერის მავგარი სამწყურვალო სასმელია“), ბალი („ლევკერთხი“), თენჯერაა („თუჯის ჭურჭელი“), დოშლოყი („დაბამბული სათბური ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი“), სერესკელი („ჭარი, ურიცხვი, უთვალავი“), ყაფანი („დიდი სასწორი; ადგილი, სადაც სწონიან“), ყურუმსალი („თავისი ცოლის მაჭანკალი“) და ა. შ. ამ სიტყვათა მაშინ ფიქსირებული ფონეტიკური პროფილის გათვალისწინება მრავალ სიახლეს გვიჩვენებს მსესხებელ დიალექტთა და გამსესხებელ ენათა ურთიერთობის საკითხის გასაშუქებლად.

„სიტყვის კონაში“ შეტანილია ეთნოგრაფიული ცნობებიც, ხალხური წეს-ჩვეულებათა ტერმინები, ლექსიკის ყველა სემანტიკური განშტოების ნიმუშები. ყოველივე ამით კიდევ უფრო მეტად იზრდება მისი ღირსება.

ამ მცირე მიმოხილვიდან კარგად ჩანს, რომ ვ. ბერიძის „სიტყვის

კონის“ კვლავ გამოცემით საშური საქმეა გაკეთებული. ძვირფას წიგნს ახალი სული ჩაედგა, ხელმისაწვდომი გახდა.

გამოცემას ახლავს შოთა ძიძიგურის ნარკვევი „ვეუკოლ ბერიძე“, რომელშიაც დოკუმენტურადაა გაშუქებული გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები და შეფასებულია მისი ღვაწლი. წიგნი გამოცემულია შ. ძიძიგურისავე ხელმძღვანელობით.

ამ გამოცემით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ სათავე დაუდო უმნიშვნელოვანეს წამოწყებას, რასაც საზოგადოებრიობა სულითა და გულით მიესალმება. სასურველია, რათა დაწყებული საქმე გაგრძელდეს და ფოტოტიპურადვე გამოიცეს ნ. მარის ზემოხსენებულ სერიის შესული სხვა, ამჟამად უსაჭიროესი, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული, წიგნებიც. პირველ რიგში, ჩემი აზრით, დიდად საჭიროა ნ. მარის ჭანური ენისა და ძველქართული სალიტერატურო ენის გრამატიკებისა და ი. ყიფშიძის მეგრული ენის გრამატიკის გამოცემა. ცნობილია, რომ ეს ფუნდამენტური ნაშრომები დიდი ხანია დამკვიდრებულია ჩვენი მეცნიერების კლასიკურ ფონდში და მათ, როგორც პირველ წყაროს, მნიშვნელოვნად ეფუძნება თანამედროვე ქართველოლოგია. ეჭვი არ არის, რომ ამ იშვიათი წიგნების ფოტოტიპური გამოცემით საშვილიშვილო საქმე გაკეთდება.

ვეუკოლ ბერიძე ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან, გარდაიცვალა 80 წლისა, 1963 წელს. მისი ნათელი სახე და შრომები ცოცხლობენ, მარად იცოცხლებენ. ძვირფასი წიგნის ახალი გამოცემით სახელოვანი მეცნიერი კვლავ წამოდგა თანამედროვეობის წინაშე როგორც ქართული დიალექტური ლექსიკის მკვლევარი და მოჭირნახულე. ვ. ბერიძის „სიტყვის კონას“ სიძველის ჟანგი არასოდეს მოედება, ამშვენებდა და მარად დაამშვენებს ჩვენს ბიბლიოთეკას.

1987 წ.

## ინეპ ზმნურ ერთეულთა განლაგებისათვის განმარტავით ლექსიკონებში (პრინციპული დებულებები)

1. ზმნის ფუძეები მწკრივთა იერარქიაში იმისთანა სემანტიკურ ერთეულებს გვაძლევენ, რომლებიც დამოუკიდებელი მნიშვნელობის ლექსემებს უტოლდებიან და თავიანთ ადგილს მოითხოვენ ენის განმარტებით ლექსიკონებში. ზმნის წარმოქმნილი ფუძეები, როგორც ცნობილია, გრამატიკულ პარადიგმად ჯგუფდება და ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებად იშლება. ქართული ზმნის ფუძის სემანტიკურ რკალებად გაშლის ფართო შესაძლებლობანი, რაც მისი სტრუქტურის

უპირველესი თვისებაა, ართულებენ ზმნური ერთეულების განმარტებით ლექსიკონებში ოპტიმალურად განლაგებას. ეს პრობლემა სპეციალისტებში ყოველთვის ბადებდა აზრთა სხვადასხვაობას და ზმნურ ფუძეთა სალექსიკონო ერთეულებად გამართვა ამჟამადაც ძნელ ამოცანად გვესახება, ვინაიდან ერთიანი შეხედულება ამ საკითხზე ლექსიკოგრაფოსთა შორის შემუშავებული ჯერ კიდევ არ არის.

2. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში, ტრადიციულად ზმნის ფუძეები როგორც მასდარულ-მიმღეობური, ისე პარადიგმულ-პირიელი ფორმების სახითაა აღბეჭდილი. უპირატესობა მინიჭებული აქვს მასდარულ წარმონაქმნს, რომელიც უნივერსალური მნიშვნელობის ენობრივ ფენომენადაა მიჩნეული, რაც კარგად ჩანს როგორც ს.-ს. ორბელიანის, ისე აღრინდელი და შემდგედროინდელი ლექსიკონების მაგალითზე. განმარტებით ლექსიკონში ზმნურ ფუძეთა ასახვის ძირითად საშუალებად მასდარულ მოდელებს თელიდა ჯერ კიდევ ეფრემ მცირე — ავტორი ჩვენამდის მოღწეული პირველი ორიგინალური განმარტებითი ლექსიკონისა. ამ ტრადიციას ერთგულად იცავდნენ ჭაბაცა და მისი სკოლის სხვა ლექსიკოგრაფოსებიც, XIX საუკუნეში კი — ნიკო და დავით ჩუბინაშვილები, რომელთა ლექსიკონებში, ამასთან ერთად, ზმნათა პირიანი ფორმებიცაა აღბეჭდილი, რაც, სხვათა შორის, იმას მოწმობს, რომ ლექსიკონთა შემდგენელნი ვერ ახერხებდნენ ერთიანი, სავალდებულო ნორმის დაცვას.

3. საკითხის თეორიული ასპექტების სირთულეს ადასტურებს მასდარ-მიმღეობათა უარყოფისა და ზმნის ფუძეთა სალექსიკონო ერთეულებად მხოლოდ პირიელ პარადიგმათა მიჩნევის ცდები, რომელსაც როგორც ცნობილია, ჩვენში დასაბუთებაც მიეცა.

4. პროგრესულად უნდა მივიჩნიოთ ნ. ჩუბინაშვილის ცდა, რამაც შეძლო ქართული ზმნის ფუძეთა შედარებით სრულად ასახვა განმარტებით ლექსიკონში. მართალია, ავტორმა ძირითად სალექსიკონო ერთეულად (მეთაურ სიტყვად) მიიჩნია მასდარი, მაგრამ, ამასთან ერთად იქვე, ფრჩხილებში, მიუთითა რამდენიმე პირიელი პარადიგმაც. ნ. ჩუბინაშვილის მიერ დადგენილი წესები შემდეგ უცვლელად გაიმეორა: ჩუბინაშვილმა თავის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“. აღრე კი ამ წესის დამცველი იყო იოანე ბაგრატიონიც, რომლის ხელიდან გამოსული ლექსიკონები, პირველ რიგში ქართულ-რუსული ლექსიკონი (ინახება ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდებში, № 253), ამ წესის მიხედვითაა გამართული, ოღონდ აქაც მასდარის პარალელურად ლექსიკონში ზმნის პირიელი ფორმებიცაა შეტანილი.

5. ქართული ზმნის ფუძე სახელის ფუძესთან შედარებით უფრო რთული სემანტიკისაა. სირთულეს მრავალვალენტოვნება, მორფოლოგიურ კატეგორიათა სიუხვე და დერივაცია ქმნის. რთული სემანტიკის სალექსიკონო ერთეული, ბუნებრივია, რთულ ლექსიკონს მოგვეცემს. მაღარულ ინოვაციებს მეტი ნდობა იმიტომ ეცხადება, რომ მათი პარამეტრები უფრო ტევადია, ვიდრე ზმნის პირიელი პარადიგმები, სემანტიკურად უახლოვდება ინდოევროპულ ენათა ინფინიტივს, რომელიც მრავალ ენაში ზმნური მოდულების უნივერსალურ სალექსიკონო ერთეულადაა აღიარებული. სწორედ ამით აიხსნება მასდარული წარმონაქმნის სალექსიკონო უნივერსალიად მიჩნევის ქართულ ისტორიულ ლექსიკოგრაფიაში ტრადიციულად დამკვიდრებული ტენდენცია, ამჟამად რომ ინარჩუნებს სიცოცხლის უნარს.

6. ა. შანიძის ინდექსების თეორია განმარტებით ლექსიკონში ზმნურ ერთეულთა განლაგების ახალ შესაძლებლობას გვთავაზობს და მეტ მხარდაჭერას საჭიროებს.

1987 წ.

## XI საუკუნის უცნობი ძეგლების კუხალიკაციის გამო

„მნათობის“ 1982 წლის მეოთხე და მეხუთე ნომრებში გამოქვეყნდა XI საუკუნის უცნობი პოეტური ქმნილებანი, რომლებიც პროფ. ი. ლოლაშვილის რუღუნების წყალობითაა ამოშიფრული ხელნაწერთა მიკროფილმებიდან, ათონის მონასტერში რომ გადაიღეს და სამშობლოში ჩამოიტანეს გ. პატარაიამ და ალ. მიქაბერიძემ. ამ მიკროფილმებზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ უფრო მეტი ითქმება და დაიწერება მომავალში, რადგან მათი საფუძვლიანი შესწავლა მხოლოდ ახლა დაიწყო.

ი. ლოლაშვილის პუბლიკაციები დაკვირვებათა პირველშედეგებია და, ბუნებრივია, ცხოველ მეცნიერულ ინტერესს იწვევს. მოპოვებული და გამოცემულია უძვირფასესი ორიგინალური ძეგლები, რომლებიც ამდიდრებენ ქართული მწერლობის ისტორიას, ავსებენ XI ს. ჩვენამდის მოღწეულ ენობრივ მემკვიდრეობას. პუბლიკაციების მნიშვნელობა იმის გამოც იზრდება, რომ ისინი ამოშიფრულია ამჟამად, თუმცა ათონის ძველ ხელნაწერთა დედნები მანამდისაც კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ამ მინაწერთა შესახებ არა ვიცოდით რა, რადგან მათზე არაფერია ნათქვამი ალ. ცაგარლისა და რ. ბლეიკის აღწერილობებში, სწორედ ამ ხელნაწერებს რომ ეძღვნებიან.

აღმოჩენილია ქართული სახოტბო, კიდურწერილობის 16-მარცვლოვანი ლექსების იშვიათი ნიმუშები, გადაიშალა ახალი ფურცელი ქართული წყობილსიტყვაობის ისტორიაში.

აქამომდის ჩვენ ვიცნობდით 16-მარცვლოვანი კიდურწერილობის მხოლოდ ერთადერთ ნიმუშს, რომელიც თავის დროზე ნიკო მარმა აღმოაჩინა. ეს იყო იამბიკო ფილიპე ბეთლემის საგალობელი, რამაც დასაბამი დაუდო თეორიას შოთა რუსთაველის ლექსის წინამორბედთა შესახებ. ნ. მარმა ის სამართლიანად მიიჩნია „შოთა რუსთაველის წინამორბედად ლიტერატურაში ქართული ხალხური საზომის გამოყენების მხრით“. ფილიპე ბეთლემის იამბიკოს გამო კ. კეკელიძე წერდა: „მნიშვნელობა იამბიკოსი იმაში მდგომარეობს, რომ საეკლესიო პოეზიის დარგში ის წინამორბედაა შოთა რუსთაველის 16 მარცვლოვანი სილაბურ-ტონური საზომისაო“. ფილიპეს იამბიკო ასევეა შეფასებული ძველი ქართული მწერლობის სხვა მკვლევართა მიერაც.

ზუსტად ამავე ეპარისაა ახლად აღმოჩენილი პოეტური ქმნილება-ნიც. ისინი გვერდში ამოუდგნენ ფილიპე ბეთლემის საგალობელს, როგორც მოწმენი უძველესი ლიტერატურული ტრადიციისა.

ხელთა გვაქვს XI ს. ორი ცნობილი ავტორის სამი უცნობი ავტოგრაფული თხზულება, რომლებიც მინაწერთა სახით ერთვიან ნათარგმნ ძეგლებს. ი. ლოლაშვილის დასკვნით, ერთი ეკუთვნის განთქმულ ეფრემ მცირეს, ორი კი — სვიმეონ ლოლოთეტის წიგნთა სრული კორპუსის გარდამომანებელს თეოფილე თარგმანს. ორივე ავტორის სახელი პატივისცემითაა გარემოსილი XI ს. მწიგნობართა შორის, მაგრამ მათი ორიგინალური პოეტური ნაწარმოებნი აქამომდის ჩვენთვის ცნობილი არ ყოფილა.

პირველი თხზულება ერთვის გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილ „პარაკლიტონის“ ნუსხას და, ი. ლოლაშვილის კონიექტურით, არის შესხმა ეფრემის დიდი მოძღვრის, გიორგი მთაწმიდლისა, დაწერილი 16-მარცვლოვანი ურითმო ლექსით. ასახავს იგი XI ს. ვითარებასა და ენობრივ ნორმებს. აკროსტიქი გვაჩვენებს ლექსის პირველსა და ბოლო სტრიქონს: „ნეტარებით იქები შენ ნათესავთა ყოველთაგან, || იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან. გეორგი!“ ტექსტში დაცულია ეფრემის დარბაისლური ქართული. „ენაჲ შენი ბრწყინვალე არს, ვითარცა რაჲ მზე ელვარე“, „ვისწრაფი აჲ ხილვად შენდა, უაღრესსა ვერვის ვხედავ. ერთგულებით განძლიერდი, რათა ჩჩვილნი ყრმანი მოსრნე, ლერწმონანი მწყურნებითურთ განახმე და ყავ წყარო ტკბილ. თქუ, ნეტარო, ნუ გეშინინ მოსლვა შენი მთით სიონით. აღმაფრინვე, აღმამალლე ფრთეებითა განცდისაჲთაო“, — მიმართავს ავტორი მოძღვარს. ძეგლის მხატვრული ენა, სიმბოლიკა, შედარებანი, მეტაფორები, გამომხატველობის სხვა საშუალებანი ეფრემის სტილის მაჩვენებელია. ისინი ცალკე შესწავლის საგნად უნდა იქცნენ. ერთი

ბიტყვით, ძეგლი ძველი ქართული პოეტური ენის ბრწყინვალე ნიმუშია. შვაფიოდ გვაჩვენებს XI ს. ქართული მხატვრული ენის მთელ სიტურფეს.

მეორე თხზულებაში შექებულია მოსე წინასწარმეტყველი: როგორც ავტორი „დაბადებისა“, და იოანე ოქროპირი, როგორც კომენტატორი „დაბადებისა“. ორივე ლექსი მინაწერის სახით ერთვის გარდმომავნების, თეოფილე თარგმანის, ანდერძს. შეიცავს იგი ორ თავისებურ ნაწილს: პირველი ნაწილი იამბიკური აკროსტიქია, შესრულებული 10 მარცვლოვანი ზომით (იკითხება ასე: „ღმერთო ცხოველო, დიდება ჰოა შენდა! ამენ“); მეორე კი დაწერილია 16 მარცვლოვანი ურითმო შაირით (აკროსტიქი იკითხება ასე: „მოსეს და იოვანეს ნეტართას“). თეოფილე ღრმად ეუფლება ქართული ენის საუნჯეს, მისი ლექსიკა მდიდარია, ფრაზა — სხარტი, შედარებები, მეტაფორები, მთელი ენობრივი აქსესუარი ასახავს XI ს. დარბაისლურ ქართულს.

როგორც ვხედავთ, აღმოჩენილია ორიგინალური პოეტური ძეგლები. ეპეი არაა, ისინი კუთვნილ ადგილს დაიკავებენ ქართული ენისა და ლექსის ისტორიაში. ხალხური იერი თხზულებათა ენისა გვარწმუნებს, რომ ორივე ავტორი, ეფრემიკა და თეოფილეც, ერთგულია ტრადიციისა. კიდურწერილობა (აკროსტიქი), უწინარეს ყოვლისა 16-მარცვლოვანი საზომი, რომელიც გვიან განვითარების ზენიტზე აიყვანა შოთა რუსთაველმა, ამ ეპოქაში ღრმად ფესვგამდგარი ჩანს. ეს თხზულებები გვიჩვენებს, რომ შოთა რუსთაველი ეყრდნობა ხალხურ ნიადაგს, მასზე აღმოცენებულ 16 მარცვლოვან საზომს, რომლის ტრადიცია საუკუნეებით უსწრებდა ქართულ გენიას.

ნ. მარის თეორიას, რომელიც მხოლოდ ფილიპე ბეთლემის საგლობლის მიხედვით იყო წამოყენებული რუსთაველის 16-მარცვლოვანი ლექსის გენეზისის თაობაზე, აღმოაჩნდა დამატებითი საფუძველი. აღმოჩენა ზემოა მეცნიერებისა. ხალხური შაირის გენეზისის შესწავლის შედეგად ჩვენში ჯერ კიდევ ადრე გამოითქვა მოსაზრება: „საეარაუდოა, რომ შაირის ეს ზომა ძველთაგანვე ბატონობდა ხალხურ პოეზიაში, გამოყენებული იყო სახალხო სიმღერებსა და შაირებში“. დღეს ამ შეხედულებასაც ახალი საყრდენი მიეცა. პროფ. ი. ლოლაშვილის რუდუნება ნათელ პერსპექტივას შლის მეცნიერების წინაშე. ძველი ქართული ენისა და სასულიერო პოეზიის საგანძურს ძვირფასი ძეგლები შეემატა. სასურველია ამ ძეგლების ცალკე წიგნად გამოცემა, ძველი ორთოგრაფიის დაცვითა და ფოტოპირებით.

## მოკლე პასუხი დასმულ კითხვებზე

### 1. როგორ ვხსოვს მთავარად მთავარად?

— რთული კითხვაა. ამაზე უფიქრიათ აზროვნების ქურუმებს, ხალხის რჩეულებს. რა არ დაბეჭდილა! კაცი თითქოს ვედარაფერს დაუმატებს. მე ვავიხსენებ ერთ ძველ ქართულ ხალხურ შეგონებას: „ძალმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო“. საოცრად ღრმა აზრია გადმოცემული: ძალს კბენა არ სცოდნია, კაცს უსწავლებია. აქედან მორალი: კაცმა კაცობა არ უნდა დაკარგოს, კაცს მოეთხოვება კაცურობა, ადამიანურობა. მაგონდება ძველინდური თქმულება: ქუჩაში ძალი იწვა. ჰკითხეს, რას აკეთებო? — ადამიანებს ვამოწმებო! — აქ ადამიანის შემოწმება როგორ შეიძლებაო? — კარგი ადამიანი გვერდს ამივლის, ავი — ფეხს დამადგამსო. ამით სიბრძნე ღალადებს: გადმოცემულია კაცობის, ადამიანურობის, მოქალაქეობრიობის არსი; ფეხის დადგმა მოქალაქეს არ ეკადრება. ადამიანი უნდა ემსახურებოდეს სიკეთეს, კაცურ-კაცობას, მოვალეობის შეგნებას. მოქალაქეობრიობა სხვა არაფერია, თუ არა მოვალეობის შეგნება და შესრულება. ამ სიკეთეს ვემსახურები და მის გრძობებს ვუნერგავდი და ვუნერგავ ახალგაზრდობასაც. ადამიანის ცხოვრების აზრად მიმაჩნია სწორედ ამ სიკეთის ნამუსიანი სამსახური.

### 2. უველაზე მატად ვინთან შეხვედრა ჩაგრინიანთ სოვნაში?

— აბა, ვის არ შევხვედრივარ! განვილი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შევხვედრივარ შინაურსაცა და გარეშსაც, დიდსაცა და პატარასაც. დიდთა შორის ნიკო მარს დავასახელებ. მას მრავალჯერ შევხვედრივარ. განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო შეხვედრები მისი საქართველოში უკანასკნელად ჩამოსვლის ცხელ ზაფხულში. დიდი ოპტიმისტი წუხილსაც გამოთქვამდა ხოლმე; მაგრამ იმ დღეს, აგვისტოს ცხელ შუადღეს, რაღაც განსაკუთრებით იყო შეწუხებული. მოულოდნელად გადაწყვიტა ლენინგრადს სასწრაფოდ დაბრუნება. ცაქ-ის პრეზიდენტის წევრმა დეპუტატობის მოწმობა გამატანა და მთხოვა ლენინგრადამდის ორი ბილეთის აღება. დავალება მაშინვე შევასრულე. გულისტკივილით შემომჩივლა ნაადრევად გამგზავრების მიზეზი (ამის შესახებ სხვა ღროს გიამბობთ). რკინიგზის სადგურში გამცილებელი ორნი ვიყავით, პროფესორი პიჩიკიანი და მე. ის მეუღლეთურთ გაემგზავრა. გამოთხოვებისას დავალება მომცა — ლექსიკაზე იმუშავეო. ნ. მარზე დიდი ადამიანი, ჩემი აზრით, ქვეყნად ცოტა მოიპოვება. ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურას ყველაზე მეტი

ამაგი სწორედ მან დასდო. ნ. მართან გასაუბრება მთელი სასიამოვნო ლექცია იყო ზიხლეთა შესახებ.

შეხვედრივარ სულ პატარა, ათიოდე წლის ნორჩ პოეტს ეკა ბაქრაძეს. წელმცირე ეკა ბაქრაძე წელმრავალი ბრძენის ბაღდად მსჯელობდა. მისმა საოცარმა ლექსებმა გამაკვირვა არა მარტო მე.

ყველაზე ღრმად მეხსიერებაში ჩამრჩა ერთი შეხვედრა უბრალო ხალხურ მთქმელთან 1935 წ. ზაფხულში. ჩემ წინ იდგა კეთილი გლეჯაკი, ენამქვერი, გონებაგახსნილი. გატაცებით მიაბზო შესანიშნავი ხალხური ნოველა „ერთი მანეთის შოვნა“ — შრომის ქებათა ქება, სიკეთის საგალობელი. ეს იყო დიდი ხნის წინათ, როცა ცხოვრებაში თვალს ვახელდი და ახლაც ისევე შთამბეჭდავად მახსოვს, როცა ამ თვალების დახუჭვაა მოახლოებული. ნოველის შინაარსი დღეს ვინ არ იცის, სასწავლო ქრესტომათიებშიც კია შეტანილი, ნათარგმნია გრავალ ენაზე, რუსულად ცალკე წიგნადაა გამოცემული რამდენიმე გზის. ნოველამ წარუბოცელი კვალი დატოვა ჩემს ხსოვნაში, დამაწერინა სამწიგნიანი მონოგრაფია „ქართული ხალხური ნოველა“. სოფლის ბრძენ ბერიკაცთან მაშინდელი უბრალო შეხვედრა ცხოვრების მაგისტრალის სამიჯნო წერტილი გახდა.

### 3. რას იტყვიტ მოწაფეაზე, მომავალზე?

ცხოვრების გრძელ გზაზე ბევრი ახალგაზრდა ადამიანის აღზრდაში მიმიღია მონაწილეობა. სტუდენტებთან, ასპირანტებთან — მოწაფეებთან მუშაობა ყოველთვის განუზომელ სიამოვნებას მგვირდა და მგვირის. ახლაც მათ შორის ვტრიალებ. მოწაფე — მომავლის მოციქულია. ახალგაზრდობა ჩვენი საიმედო შემცველია და მომავალი მას ეკუთვნის. ახალგაზრდობა ხვალინდელი დღეა, უფრო ნათელი, ვიდრე დღევანდელი. კაცი, რომელიც თანამედროვეობას ნამუსიანად ემსახურება, მომავლის ურყევ ბურჯს აგებს. დღევანდელი პრელუდიაა ხვალინდელისა. ასი წლის კაცი კაკლის ხეს რგავდა. ჰკითხეს: თავს რას იკლავ, მაგის ნაყოფს შენ ხომ ვერ მოესწრები? — მე ვერ მოვესწრები, მაგრამ შვილიშვილებს გამოადგებათო. ნამდვილად ასეა. ყოველგვარი დღევანდელი მომავლის ყლორტია, მომავალი — უსასრულობაა.

მოვლილი მაქვს თითქმის მთელი ეთნიკური საქართველო. მივიღია ყოველგვარი ტრანსპორტი. ყოველ სოფელსა თუ ქალაქში შემხვედრია ნამოწაფრები. ტკბილად მაგონდება თამილა ქაიხოსროშვილი — მანავის საშუალო სკოლის პედაგოგი, რუბენ ბურჭულაძე —



ლიხაურის საშუალო სკოლის დირექტორი, რუსუდან ცუცქირიძე — გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ლამარა ნოზაძე — თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ვენერა სომხიშვილი — ხაშურეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, რუსუდან შამელაშვილი და იზოლდა რუსაძე — მეცნიერებათა კანდიდატები ქუთაისიდან, შოთა ქურდაძე — მეცნიერებათა დოქტორი — პროფესორი, გამგე სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრისა, რომლის აკვანთან 30-იან წლებში მე ვიდექი და 15 წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი. ყველა მოწაფის გახსენება და აქ ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ერთი მაინც უნდა დავასახელო კიდევ. ჩემი ერთი მოწაფე, ნიკოლოზ ჭანელიძე, ამჟამად ჰამბურგის უნივერსიტეტის მოღვაწეა, გერმანულ სტუდენტებს ასწავლის ქართულ ენას, ეწევა ქართული მეცნიერებისა და კულტურის პროპაგანდას, ქალაქ იცეპოეში განაგებს გამოცემლობა „საქართველოს“, გერმანულად ბეჭდავს ქართულ წიგნებს, რომლებიც ხელიდან ხელში გადადის, აღწევს ჩვენამდისაც. ესაა ჩემი ბედნიერება, სიამაყე, სიმდიდრე. სხვა ბედნიერება არც შეიძლება ინატროს კაცმა. ყველა მათგანს გულზე აწერია ილიას უკვდავი სიტყვები: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთან!“ შრომისა და ძიების გზა, ცხადია, ყოველთვის ია-ვარდებით მოფენილი როდია. ნაყოფიერ მოღვაწეობასთან ერთად მათ სიძნელეთა გადალახვაც უხდებათ. სიძნელე კი იმისთვის არსებობს, რომ გადაილახოს, თორემ, ქართული გონიერი ანდაზისა არ იყოს, „ერთი დღით კაცი წინაც წავა და უკანაც დარჩება“, მთავარი ისაა, რომ გაიძლოს ხიდი, გადებულ ხილზე კი ყველა გაივლის და გამოივლის.

1980 წ.

### ქართული ზღაპრის ერთი მოტივისათვის „ათასერთლამიანში“

„ათასერთლამიანის“ სიუჟეტური ჩარჩოს მერიდიანები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართება და სამხრეთის შუქითაცაა განათებული. ვრცელ ეპოსში მოდელირებული ხალხური სიბრძნე არეალურ საყრდენებს ეფუძნება და ჭაჭვეურადაა შედღუღებული ერთიან ქსოვილში. „ათასერთლამიანის“ ლოკალურ მოთხრობებში ორჯანულადაა ჩაქსოვილი უნივერსალური მოტივებიც და მთლიანად ეპოსი ერთგვარად მოტივთა და სიუჟეტთა იმისთანა გრანდიოზული ნაკრების შთაბეჭდილებას ქმნის, რომელიც მრავალი ხალხის ზღაპრებისა და ლეგენდების სიუჟეტური

სტერეოტიპებით საზრდოობს, ოღონდ ლოკალური და უნივერსალური მზა ფორმულები ისეა შერწყმული საერთო მოტივთა ქსოვილში, რომ მათ შორის საზღვარი წაშლილია. ამითაა გამორჩეული შუასაუკუნეების შესანიშნავი არაბული ეპოსის ეს განუმეორებელი ქმნილება. ჯერ კიდევ ენო ლიტმანმა, რომელმაც ეპოსის შედგენილობის კვლევას დიდი დრო და ენერგია მოახმარა, მასში გამოყო ექვსი ძირითადი რკალის ჯადოსნური და ნოველისტური ფაბლიურ-ფაცეციური მოთხრობები, რომლებშიც კონცენტრირებულია მრავალი ძველი ხალხის ზღაპრული ეპოსიდან ცნობილი ეპიკური თხრობის სიუჟეტები. წამყვანი ადგილი აქ, რაღა თქმა უნდა, ინდურ ხალხურ სიბრძნეს უჭირავს თავისი ტრადიციული ატრიბუტებით. მნიშვნელოვანია თავად არაბული, აგრეთვე სპარსული ლეგენდა-გადმოცემები, ცნობილი სასიყვარულო, იუმორისტული მოთხრობები თუ ფაცეციები, რომელთაც ღრმა ფილოსოფიური, დიდაქტიკურ-ალმზრდელობითი შინაარსი აქვთ. ამიტომ „ათასერთლამიანი“ გონების სავარჯიშო ძვირფასი ეპიკური თხზულება იყო მთელ შუასაუკუნეთა ეპოქაში და მას ეს ელვარება აქამომდის შემორჩა. ხალხის გენიამ აქ ფართო ასახვა და გაქანება იპოვა. შუასაუკუნეების მსოფლიო ცივილიზაციის საუკეთესო იდეალები აქ აღიბეჭდა მთელი თავისი უშუალობით. ამიტომ მოიხვეჭა მან განუზომლად დიდი პოპულარობა, ითარგმნა მრავალ ენაზე და მსოფლიოში გავრცელდა, გვერდში ამოუდგა „გილგამეშიანს“, „ბანჩატანტრას“, „პიტოპადემას“, „ქილილა და დამანას“, „თუთი ნამეს“, „თიმსარიანსა“ და სხვებს. ეს მეტად საინტერესო და აქტუალური საკითხია, მაგრამ ამჯერად ამაზე სიტყვის გაგრძელებას არ ვფიქრობ. დღეს საუბარი გვექნება „ათასერთლამიანის“ ერთი მოტივის წყაროთა საკითხზე. ეს არის ცხოველთა და ფრინველთა მიერ ადამიანის ენის ცოდნის მოტივი, რომელიც საქვეყნოდაა გავრცელებული და აარნე-ანდრეევის სიუჟეტთა კატალოგში 670-ე ნომრადაა აღნუსხული. ამ მოტივს ამჟამად იცნობს რუსული, ბელორუსული, უკრაინული, სომხური, გერმანული, ქართული და სხვა ზღაპრული ეპოსები. ვარიანტულ ციკლთა შინაგანი ამპლიტუდა მრავალი პოსტულატის წამოყენების საშუალებას იძლევა.

ჩვენ ხელთ არის მოტივის რამდენიმე წერილობითი და ზეპირი ვარიანტი. წერილობითი ვარიანტები მოხმობილი გვაქვს სხვადასხვა ხალხის ეპიკური ქმნილებებიდან. ზეპირი კი — ხალხური ზღაპრებიდან. ქართული მასალის შესაპირისპირებლად ავიღოთ „ათასერთლამიანის“, ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ და „მელის წიგნის“ ვერსიები, ერთი მხრით, თ. რაზიკაშვილის (1908 წ.), ალ. ლლონტის

(1948 წ.), ელ. ვირსალაძის (1949 წ.), მიხ. ჩიქოვანისა (1956 წ.) და ა.პ. ცხავეაძის (1959 წ.) კრებულებში შეტანილი ხალხური ზღაპრების პუბლიკაციები, მეორე მხრით.

„ათასერთლამიანის“ ტექსტი აქედან განცალკევებით დგას. ვენეტიკურად მასთან უნდა იყოს დაკავშირებული ვარდანის კრებულის სომხური ვერსია, რომელიც „მელის წიგნში“ შეტანილი. საბას ვარიანტის დედანი კი საძებარია. იგი არ ემთხვევა არც „ათასერთლამიანის“ ვერსიას და არც „მელის წიგნის“ ვერსიას, რომელიც XII საუკუნეში ჩამოყალიბებული ვარდანის იგავ-არაკების კრებულიდან მომდინარეობს. „მელის წიგნის“ ვერსია უფრო უახლოვდება „ათასერთლამიანისას“, „ვიდრე „სიბრძნე სიცრუისასა“ და „მელის წიგნის“ ვერსიები ერთმანეთს, თუმცა ეს ორივე რედაქცია XVII საუკუნეშია ჩამოყალიბებული. მასალების შეჯერება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ „ათასერთლამიანისა“ და „სიბრძნე სიცრუისასა“ ერთი საერთო წყარო აქვთ და ისინი ცალ-ცალკეა ჩამოყალიბებული, ვარდანის კრებულისა და „მელის წიგნის“ ვერსია კი, შეიძლება ვიფიქროთ, „ათასერთლამიანიდან“ ან მისი უშუალო ხალხური წყაროდან მომდინარეობს. ჩემს პოსტულატებს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის პრეტენზია არა აქვს, რჩება ვარაუდის ფარგლებში. ახლად შეჯერებული მასალა უფრო სარწმუნოდ ხდის ჩემ მიერ ადრე გამოთქმულ დებულებას, რომელიც ასე იყო ფორმულირებული: „საბას არაკი „ანჩხლი ცოლის პატრონი“, ჩემი აზრით, დამუშავებული უნდა იყოს დამოწმებული სიუჟეტის ხალხურ ფაბლიოთა მიხედვით. ავტორს ხელაქონია ფაბლიოთა რამდენიმე ვარიანტი, რომელთა მოტივები ლიტერატურულად გადაუმუშავებია და შეუქმნია ორიგინალური არაკი“ („სულხან-საბა ორბელიანის ორი იგავის ფოლკლორული წყაროები“, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 2, 1958, გვ. 55). რაღა შეიძლება ითქვას ზეპირი (ხალხური) ინოვაციების წყაროთა შესახებ? აქ კი უფრო რთული ვითარება გვაქვს. ჩემი აზრით, ეს ინოვაცია ზეპირი წყაროებით საზრდოობს, ზეპირი წყაროები კი შეიძლება მომდინარეობდეს „ქილილა და დამანას“ ადრინდელი ზეპირი ვარიანტებისა და მოაზრული ზეპირი სიუჟეტების სხვადასხვა არხებიდან გავრცელების შედეგად. ამის რამდენიმე გზა შეიძლება წარმოვიდგინოთ.

შეეუპირისპიროთ ერთუროს „ათასერთლამიანისა“ და „მელის წიგნის“ ვერსიები. მათ საერთო მხოლოდ შაბლონი, სტერეოტიპობრიობა კი არა აქვთ, არამედ ტექსტთა იდენტიფიკაციაა თვალში საცემი.

ა) „ათასერთლამიანში“ ამ მოტივის შემცველი მოთხრობა უსწრებს შაპრაზადის მოთხრობათა დასაწყისს. ის ცალკე სიუჟეტს ქმნის; ვა-

ზირმა რომ არაკად უამბო თავის ქალიშვილს, შაჰრაზადის. ალაჰს ერთი ვაჰრისათვის ცხოველთა და ფრინველთა ენის ცოდნა მიენიჭებინა. ერთხელ ვაჰარმა გაიგონა, რომ ვირმა უთხრა ხარს: ორი ან სამი დღის განმავლობაში თავი დაანებე ქამა-სმასა და ქაპან-წყვეტა ატყუდე. ვაჰარს ხარისა და ვირის ლაპარაკსა და საქციელზე გაეცინა. ჰირვეულმა ცოლმა თვალი შეასწრო: რაზე გაიცინეო? — ერთ რამეზე, რაც დავინახე და გავიგონე, მაგრამ რომ გავამხილო, მოგვკვდებიო, — უთხრა ქმარმა. ცოლი არ მოეშვა: კიდევაც რომ მოკვდე, თავს არ დაგანებებ, სანამ არ მეტყვიო. ვაჰარს რაღა უნდა ექნა: „პირუტყვის სადგომისაკენ გაემართა, რათა აღესრულებინა განბანა, დაბრუნებულიყო, ეამბნა ახირებული ცოლისათვის საიდუმლო და მომკვდარიყო“. ვაჰარმა გაიგონა, რომ შეწუხებულმა ძაღლმა მამალს უთხრა: „შენ არ ხეინად ხარ, რა გენაღვლება, ჩვენი პატრონი კი სიკვდილს აპირებსო“. მამალმა უპასუხა: ჩვენი პატრონი ჰკუანაკლულია, მე ორმოცდაათ ცოლს ვუვლი, იმას ერთისათვისაც ვერ მოუვლია, რატომ უნდა გაუმხილოს საიდუმლო? აიღოს თუთის წყებლები და მანამდის ურტყას, სანამ არ მოინანიებს და მეორედ აღარაფერს ჰკითხავსო. ვაჰარი ასეც მოიქცა და გადარჩა (ათასერთი ლამე, I, თარგმანი ნანა ფურცელაძისა, გ. წერეთლის რედ., თბ., 1967, გვ. 10-11). ნათლად ჩანს, რომ ებოსი მუსულმანურ წრეშია ჩამოყალიბებული.

ბ) „მეღის წიგნის“ ვარიანტი ასეთია: ერთმა კაცმა ხელმწიფეს პირში ენა გამოავლო და ისწავლა ყოველი მხეცისა და ფრინველის ენა: თუ ამ საიდუმლოს ვისმე გაუმხელდა, დაიღუპებოდა. ამ კაცმა ერთი ფრინველისაგან შეიტყო, რომ კლდის ძირში დაფლული იყო სიმდიდრე, ამოიღო და შინ მიიტანა. უგუნური ცოლი შეუჩნდა: მითხარი, ვინ მოგცაო! კაცს რაღა უნდა ექნა, წავიდა, ეზიარა, უნდა გაემხილა ყველაფერი ცოლისათვის და დაღუპულიყო. იმ ღამით მამალმა სამჯერ ფრთა ფრთას შემოჰკრა და დაიცივლა. ძაღლმა უთხრა: „რა გიხარებ, რომ ფრთა ფრთას შემოჰკარი, ხვალ ჩვენი პატრონი უნდა მოკვდესო და ჩვენ უპატრონოთ დავრჩეთო! მამალმა თქვა: „მე რა ექნა, თუ მოკვდებო! მე ორმოცი ცოლი მყავს და ჩემის ბრძანების მორჩილნი არიან! მაგას კი ერთისათვის ვერ მოუვლიაო. თუ სიცოცხლე უნდა, წავიდეს ტყეში, ორმოცი მუხის ჯოხი მოჰკრას, მოიტანოს. ცოლმა რომ ჰკითხოს, ვინ მოგცა, მითხარიო, უთხრას: ამ ორმოცს სახრეს ზედ დაგამტრევე-თქო“ და გადარჩებოდა. კაცი ასეც მოიქცა (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ., თბ., 1949, გვ. 327).

მოტივები თანხვედნილია. სომხური ვერსია XII საუკუნეშია ჩამოყალიბებული ქრისტიანულ წრეში, აქედან XVII საუკუნეში გადა-

ვიდა „მელის წიგნში“. ვარდანის კრებულში (XII ს.) უნდა ვიფიქროთ, მოტივი უშუალოდ არა „ათასერთლამიანიდან“, არამედ მისი მსგავსი წყაროდან მოხვდა. ამრიგად, სომხური ვერსიის წყარო ჩვენთვის ნათელია ასე თუ ისე.

საიდან მოხვდა ის მოტივი საბას თხზულებაში, რომელიც XVII ს. ბოლოს შეიქმნა? მისი წყარო „ათასერთლამიანი“ ან „მელის წიგნი“ ვერ იქნებოდა, უწინარეს ყოვლისა, იმის გამო, რომ მათ საბა არ იცნობდა. საბას ტექსტი ერთგვარად მხოლოდ შაბლონით იმეორებს სომხური რედაქციის ძირითად მახასიათებლებს. საძებარია სხვა წყარო. „სიბრძნე სიცრუის“ ინოვაცია („ანჩხლი ცოლის პატრონი“) ასეთია: ერთ საბრალო კაცს, ანჩხლი ცოლი რომ ჰყავდა, მდინარიდან გამოსულმა კაცმა პირში ენა გამოავლო და ყოველი სულიერის ენა ისწავლა. კაცმა ერთხელ ყვავის ბახალა დაიჭირა. ბახალას დედამ დაუძახა: მაგ კაცმა ჩემი ენა რომ იცოდეს, მანდ მიწაში განძია დაფლული, იმას ამოიღებს და შენ გაგიშვებსო. კაცი ასეც მოიქცა. განძი აიოვა. ერთ დღეს ცოლს ლოცვა მოუნდა და „დაუყენა სალოცავად წყყენა“, რახან არ დაიშალა, „ერთი კვიციანი მაკე ცხენი შეუქაზმა, დიაციც ორსულად იყო. შეჭდა, ერთი მარტივლი უკან შემოისვა, საგზალი გარდაიკიდა და წავიდა“. კვიცი დავარდა და დედას დაუძახა, მომიცადეო! დედამ უპასუხა: „მე ერთი მუცელში მიძს და სამი თავისის ნუზლით ზურგსა მკილია, თუ მე ვიარებდი, შენ რა დაგემართა, რატომ დავარდიო?“ კაცს გაეცინა. ცოლმა უთხრა: რაზე იციანი, მითხარიო? არ მოეშვა. კაცს რაღა ექნა, უთხრა ცოლსა: „წავიდეთ, ვილოცოთ. შინ დავბრუნდეთ, ჩემი ალაპისა და სულარის საქმე გამირიგე და გეტყვიო“. ცოლმა ყველაფერი გაამზადა. კაცს ერთი ციბა ჰყავდა. ტირილით კარში გამოვიდა. მამალმა ჰკითხა, რა გატირებდისო? — პატრონს დიაცი მიკლავს და ის მატირებსო. მამალმა საბრალო კაცს უთხრა: „მე სამოცი ცოლი მყავს, ვინძლო უჩემოდ ერთმან საკენკი აილოსო, და შენ ერთის ცოლის ხელით ჰკვდებიო!“ „ერთი შინდის ჯოხი მოსჭერ, რა გითხრას, თქვიო, მისდგე, ეგოდენი ჰყარ, რომ შიამკვდარო და აღარ გკითხავსო“. კაცმა დაუჯერა მამალს და სიკვდილს გადაარჩა (ს.-ს. ორბელიანი, თხზ., I, თბ., 1959, გვ. 130—132).

მოტივი ერთია, ორივე ვარიანტით კაცმა იცის ცხოველთა და ფრინველთა ენა, რომელიც „ათასერთლამიანის“ ვარიანტით, ალაპის ნაბოძებია, საბას ვარიანტით, — მდინარიდან ამოსულმა კაცმა ენა გამოავლო პირში და იქიდან ისწავლა; „ათასერთლამიანის“ ვარიანტით მოქმედი პირნია: ხარი და ვირი, ძაღლი და მამალი, თანაც მამალს ორმოცდაათი ცოლი ჰყავს; საბას ვარიანტით კი — ანჩხლი ცოლი აჩე-

მებს სალოცავში წასვლას, აქ პერსონაჟებია ყვავი, ბახალა. კვციანი ცხენი, ორსული დიაცი, მამალი და ციბა. ერთი სიტყვით, ეს ჯარიანტები ერთმანეთისავე დიდად სხვავენებიან. საბას ვარიანტი „ათას-ერთლამიანიდან“ არ მომდინარეობს. მათ სხვადასხვა წყარო აქვთ; ოლონდ ამ წყაროში ერთი საერთო მოტივია: ცხოველთა და ფრინველთა ენის ცოდნა, მამლის მიერ საწყალი კაცის გადარჩენა გარდუვალი დაღუპვისაგან. მამალი, გარდა რამდენიმე დეფინიციური ტექსტისა, თითქმის ყველა ვერსიაში მონაწილეობს და იმ მთავარი, „ქკუის დამრიგებლის“ ფუნქციის შემსრულებელი პერსონაჟის როლში გამოდის, რომელთანაც დაკავშირებულია რთული სიუჟეტური კვანძის გახსნა. ფრინველთა და ცხოველთა მიერ ადამიანის ენის ცოდნის მოტივის შემცველი ქართული ხალხური ზღაპრები მრავალ ავტორს აქვს გამოქვეყნებული და თითოეული მათგანი სტილურ-კომპოზიციურად, პერსონაჟთა მოქმედების, ფრინველთა და ცხოველთა ენის შესწავლის წყაროთა მიხედვით დამოუკიდებელ ნაწარმოებად შეიქმნება მივიჩნით. ისინი ერთმანეთს ემსგავსებიან არა სტრუქტურით, პასაჟებით, მოქმედებათა განვითარებით, არამედ მხოლოდ სტერეოტიპული შაბლონით. ამის ნიმუშებია: საინგილოში ჩაწერილი „პარრაში ენი ნაცოდნ კაც“ (მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო“, II, განყ. IV, თბ., 1913, გვ. 196—199), კახეთში ჩაწერილი „მეცხვარე და გველი“ (თ. რაზიკაშვილი, ქართული ხალხური ზღაპრები, I, თბ., 1950, გვ. 81—83). ქიზიყში ჩაწერილი გ. ნატროშვილის მიერ (აბ. ცანავა, წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ და ქართული ხალხური მახვილსიტყვაობა“, თბ., 1959, გვ. 54—57), ქართლში ჩაწერილი „გველი და კაცი“ (ალ. ლლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1948, გვ. 167—169), „გველის ძმობილი“ (ელ. ვირსალაძე, რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 1949, გვ. 271—274) და „ზღაპარი საწყალი კაცისა, ფრინველების ენა რომ იცოდა“ (მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, III, თბ., 1956, გვ. 159—161) და სხვ. მე აღრიცხული მაქვს ამ მოტივის შემცველი 20-ზე მეტი ხალხური მოთხრობა, ჩაწერილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომელთაც მხოლოდ ზოგადი შაბლონი აქვთ საერთო, სხვა მხრით კი განსხვავებულ სიუჟეტურ ქსოვილს ეყრდნობიან. ამ სიუჟეტის ხალხურ ზღაპართა მეტ ნაწილში მამალი წამყვანი პერსონაჟია, მამლის მოსაუბრედ კი სხვადასხვა პერსონაჟი გამოდის, ზოგან კეთილი ძალა — ძაღლი (საბას „ანჩხლი ცოლის პატრონში“ — ციბა — „ასაკ-მცირე ძაღლი“), კატა ან იღბლიანი ბატკანი. ზოგი ზღაპრის მიხედვით ფრინველთა და ცხოველთა ენას კაცს ასწავლის ალაპი, „ზღვიდან ამოსული კაცი“, გველი ან თევზი და ა. შ. ქართული ვერსიები

იცნობენ მხოლოდ ზოგად სტერეოტიპს, სხვა მხრით თითოეული ჩანაწერი ერთგვარად დამოუკიდებელი ზღაპარია მთელი თავისი აქსესუარით, პერსონაჟებით. ერთი ნაწილი რამდენადმე უახლოვდება საბას „ანჩხლი ცოლის პატრონს“, და, როგორც ითქვა, ამ უკანასკნელის უშუალო წყარო სწორედ ეს ხალხური ვერსიებია, მაგრამ რაც შეეხება „ათასერთლამიანის“ ვერსიას, მასზე ამის თქმა არ შეიძლება. საბას ვერსიას მეტი აქვს საერთო ვარდანის კრებულის ტექსტთან და ქართული ხალხური ზღაპრების მოტივებთან, ვიდრე „ათასერთლამიანის“ ვერსიასთან. „ათასერთლამიანში“ შეტანილ მოთხრობისაგან ვერ მივიღებდით ვერც საბასა და ვერც ვარდანის ვერსიას. უნდა ვიფიქროთ: რომ საბას ვერსიაცა და ვარდანის ვერსიაც ერთი საერთო (მესამე) წყაროდან მომდინარეობს ცალ-ცალკე. ბუნებრივია, „ათასერთლამიანის“ მოთხრობასაც ერთი, სხვა წყარო უნდა ჰქონდეს. რა უნდა იყოს ეს წყარო? ეს უნდა იყოს, უწინარეს ყოვლისა, „ქილილა და დამანას“, აგრეთვე „პანჩატანტას“, „თუთი ნამეს“ ან „ჰიტოპატემას“. ზეპირი რედაქციები, რომლებიც ხალხში ტრიალებდა უხსოვარი დროიდან მოყოლებული. „ათასერთლამიანის“, საბას, ვარდანის ვერსიებზე ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული შუასაუკუნეებში და ცალ-ცალკე მომდინარეობენ ერთი, მესამე, წყაროდან. ზეპირი მორალური ტრადიცია ასაზრდოებს ქართულ ვერსიებსაც.

ამრიგად, ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

ა) არაბული „ათასერთლამიანის“ ბევრი, სხვადასხვა წარმოშობის, სიუჟეტური მოტივების ინოვაციები მრავალი ხალხის ზღაპრულ ეპოსში დასტურდება. ერთ-ერთ ამისთანა მოტივად უნდა მივიჩნიოთ ადამიანის მიერ ფრინველისა და ცხოველის ენის სწავლა, რომელიც, კერძოდ, ქართულ ზღაპრებში რამდენიმე ვარიაციად გვხვდება და თითოეულ მათგანს თავისი პირველწყარო უნდა ჰქონდეს. ქართული ხალხური ზღაპრების ერთი ციკლის მოტივთა შეპირისპირება „ათასერთლამიანის“ სიუჟეტურ ქარგასთან და იმ ემპირიული მასალის შეჭერება, რაც ამ საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით დაგვიტოვდა, ნათელყოფს მსგავს მოტივთა ერთი ციკლის არა მხოლოდ ნასესხებობას, როგორც ეს აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, არამედ ერთი წყაროდან წარმომავლობას: ორივეს ერთი (მესამე) წყარო ასაზრდოებს პარალელურად.

ბ) ფრინველთა და ცხოველთა ენის სწავლის მოტივი ქართულ ზღაპრულ ეპოსში კოლორიტულად დამუშავებულა და როგორც თავისი შინაარსითა და ფორმით (სტრუქტურით), ისე სიმბოლიკით, ენობრივი სამოსლით, პერსონაჟთა ნომენკლატურითა და ხასიათთა

პით ადგილობრივ ნიადაგს უკავშირდება. საერთო ჩანს გარეგანი შპლონი და არა შინაგანი ხასიათი მოტივის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ელემენტისა. ხშირად საერთო პერსონაჟია ფრინველი ან ცხოველი, რომელიც ერთ ფუნქციას ასრულებს მრავალი ხალხის სლაპრულ ეპოსში. მოტივის სათავე ხალხური იგავ-არაკების უძველეს აღმოსავლურ და დასავლურ კრებულებსა და ზეპირ ტრადიციებში უნდა ვეძებოთ, რადგან „ფრინველთა ენა“ და „ცხოველთა ენა“, როგორც ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტური ქარგის მხატვრული კომპონენტები, პირველად სწორედ ამ ქანრის ხალხურ ქმნილებებში დამუშავებულა და გავრცელებულა. მოტივი ჩასახულია მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში, იგავ-არაკების სახით კი დიდი ყოფითი გამოცდილება და ხალხური ფილოსოფიური სიბრძნეა განსოგადებული.

გ) ქართული ზღაპრის ლოკალური მოტივების შეხვედრები არაბული „ათასერთლამიანის“ ტრადიციულ უნივერსალიებთან აიხსნები არა მხოლოდ სერსხებით ან გადაღებით, არამედ ერთი საერთო (სესამე) წყაროდან წამოსულ მსგავს ან საერთო მოქმედება-ვითარებათა ან ნაცნობ, უნივერსალურ მოტივთა ადგილობრივი გააზრებითა და განზოგადებით.

1987 წ.

## პირველი არქეოლოგიური ლექსიკონი

ქართული ლექსიკოგრაფია აღმავლობის გზაზე დგას. ყოველწლობით ივსება იგი ახალი გამოცემებით. გვემატება ცნობარები, ტერმინოლოგიური საძიებლები, დარგობრივი სიტყვარები, დიალექტთა, უცხოურ სიტყვათა, ორენეული, თარგმნითი ლექსიკონები. მართალია, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არა გვაქვს ლექსიკოგრაფიული ლიტერატურის გამოცემის ერთიანი ცენტრი, მაგრამ საშვილი-შვილო საქმეში თავისი წვლილი თითქმის ყველა გამომცემლობას შეაქვს. აქ უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, დასაფასებელია გამომცემლობა „საქართველოს“, „მეცნიერების“, „განათლების“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის კოლექტივების ღვაწლი ძველი და ახალი სიტყვარების გამოცემაში. სიამოვნებით უნდა ვთქვათ: იმისთანა უხვი მოსავალი, როგორც უკანასკნელ წლებში გვქონდა ლექსიკოგრაფიის დარგში, ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიის მანძილზე არასოდეს მიგვიღია. ეს მრავლისმეტყველი ფაქტი საკანგებოდ აღნიშვნისა და ხაზგასმის ღირსია.



აი, ახლაც ჩვენ წინ ძვეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ნა-  
ყოფიერი შრომის ახალი ნიმუში, კაპიტალური რუსულ-ქართული  
არქეოლოგიური ლექსიკონი, რომელიც მიიღო მკითხველმა.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1980 წელს ბევრი  
კარგი და უთუოდ საჭირო წიგნი მიაწოდა მომხმარებელს. მათ შო-  
რის ერთ-ერთი პირველთაგანია ზემოხსენებული „არქეოლოგიუ-  
რი ლექსიკონი“, ოცწლიანი რუდუნებით შედგენილი ანდრია აფა-  
ქიძის, მარგალიტა ინასარიძის, ანზორ სიხარულიძისა და გუშა აფა-  
ქიძის მიერ ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი ცნობილი თავკაცის,  
სახელოვანი ისტორიკოსის, ანდრია აფაქიძის რედაქციით (რეცენ-  
ზენტები ალ. ჭავჭავაძე და ო. ჭაფარიძე). ხელთა გვაქვს ჭეშმარი-  
ტად სამაგიდო წიგნი, ფრიალ მდიდარი საინფორმაციო მასალით,  
წინადაწერილი სიახლეებისა, 20 ათასამდის ტერმინისა. გამომცემლობა  
გვაუწყებს, რომ იგი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, არქეოლო-  
გოსებსა და ისტორიკოსებისათვის, მაგრამ ეს თავმდაბლობითაა  
ნათქვამი. ნამდვილად ლექსიკონი გამოადგება ყველას, სპეციალისტ-  
სა და არასპეციალისტსაც, არქეოლოგიის პრობლემატიკით დაინტე-  
რესებულ პირებს. იმის გამო, რომ არქეოლოგიური ტერმინოლო-  
გია ჭერ კიდევ გამოცემული არაა, ავტორები წარმოდგენილ სიტყ-  
ვარს თვლიან მასალად მომავალი „ვრცელი ლექსიკონისათვის. მართ-  
ლაც-და, როგორც წინასიტყვაობაშია ხაზგასმული, „არქეოლოგიური  
ლიტერატურა მრავლად შეიცავს სპეციალურ გამოთქმებს თუ ტერ-  
მინებს. ამის გამო, სპეციალური ლიტერატურით სარგებლობისას  
სტუდენტებს ხშირად უხდებათ სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგი-  
ით, ლექსიკონებით და სხვა სახის საცნობარო წიგნებით სარგებლო-  
ბა, მაგრამ რაკი ქართულად ჭერ კიდევ არა გვაქვს არქეოლოგიური  
ტერმინოლოგია, ძნელდება შესატყვისი ტერმინისა და გამოთქმის  
შერჩევა“. ავტორთა კოლექტიური ნაშრომი მნიშვნელოვნად ავსებს  
არსებულ ხარვეზს.

ლექსიკონი ორენეულია. აქ წარმოდგენილია რუსულ-ქართული  
ნაწილი. სალექსიკონო ერთეულებად გამოტანილია არქეოლოგიურ,  
საისტორიო და ცოდნის მოსაზღვრე დარგების სამეცნიერო ლიტე-  
რატურაში დამკვიდრებული ცნება-გამოთქმები. ამასთან, ტერმინთა  
უმეტესი ნაწილი უშუალოდ არქეოლოგიას ეძღვნება, ხოლო გარკ-  
ვეული ფონდი აღებულია დამხმარე დარგებიდან და ავსებენ ერთი-  
მეორეს. ამით აიხსნება რუსული ტერმინების ქართული შესატყვი-  
სების ჩვენებისას სინონიმის სიუხვე. ლექსიკონის ქართული ნაწი-  
ლი თავისთავად მეტად საინტერესო დამოუკიდებელი ნაშრომია,

რომელიც მრავალი მიკნებითა და საგულისხმო დაკვირვებებით აღ-  
დიდრებს ჩვენი ლექსიკოგრაფიის საგანძურს.

შემდგენელნი საფუძვლიანად იცნობენ ქართული ენის ლექსიკას,  
მისი გამომსახველობის საშუალებათა ამოუწყავ შესაძლებლობებს,  
დარგობრივ ფონდებს, ხალხურსა და ლიტერატურულ წყაროებს,  
რამაც მათ საშუალება მისცა ფართოდ გაეთვალისწინებინათ ტრადი-  
ცია, ნაშრომში მოხერხებულად ჩაერთოთ უცნობი ან ნაკლებცნო-  
ბლი მასალა. ასპარეზი დაეთმოთ როგორც საყოველთაო ხმარების  
ლექსიკურ ერთეულთა ახალი ნიუანსებით გამოყენების, ისე იშვია-  
თი სიტყვების ხმარებისათვის. ყოველივე ეს „არქეოლოგიურ ლექ-  
სიკონს“ ორიგინალურ სახეს აძლევს და საპატიო ადგილს უძებნის  
ჩვენს ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში.

ამ დებულებათა საილუსტრაციოდ ასობით ნათელი მაგალითი-  
დან დავიმოწმებთ ორიოდეს, რადგან ყველა მათგანის ჩვენებას დი-  
დი ადგილი და დრო დასჭირდებოდა.

რუსული ტერმინი **забор**, რომელიც **шосе** ლექსემასაც უკავშირ-  
დება, ადრიდანვე იყო ცნობილი, იყენებდნენ ტექნიკის მრავალ დარგ-  
ში, ჩვეულებრივ სიტყვა-პასუხშიაც. აქ მართებულადაა მიჩნეული  
არქეოლოგიურ ტერმინადაც. მის ქართულ შესატყვისებად დამოწმე-  
ბულია: ნაკერი, განაკერი, წიბური, ნაწიბური, ნაპრალი, ღრეჩო.  
ნ. ჩუბინაშვილის კონიექტურით, რუსული სიტყვა გაიგება ასე: „ცა-  
რიელი ადგილი კედელსა და გაბმულს კალატოზის ლარს შუა გასახე-  
დავად“ (რუსულ-ქართული ლექსიკ., 1, 323). ნაპრალი მიღებუ-  
ლია \*პირ ძირის მოდიფიკაციით (\*ნაპირ-ალ-ი), ისევე როგორც  
ნარგი — \*რიგ (\*ნა-რიგ-ი), ნაკბილი — \*კიბ (\*ნა-კიბ-ილ-ი)  
ძირებისაგან და ა. შ. რაც შეეხება ღრეჩო-ს, ეს იშვიათი სიტყვა  
ადრინდელ ქართულ ლექსიკონებში არ გვხვდებოდა (არ დაუმოწმებიათ  
არც საბასა და არც ჩუბინაშვილებს), ხალხის სალაპარაკო და ახალ  
სალიტერატურო ენაში კი იხმარებოდა. ერთ-ერთი პირველი ავტორი,  
რომელმაც ამ სიტყვას სალიტერატურო ენაში ასპარეზი გაუფართო-  
ვა, იყო დ. შენგელია, რაც აღნიშნულიცაა „ქართული ენის განმარტე-  
ბით ლექსიკონში“ (ტ. VII). ღრეჩო იგივეა, რაც ღრიქე, ქუშკრულტანა,  
ხოლო ის ტერმინად (მანქანის მექანიზმის ნაწილთა შორის არსებული  
ნაპრალი) პირველად დამოწმებულია ვ. ბერიძის რედაქციით გამოცე-  
მულ „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ (1935 წ.), შემდეგ სიტყვას უფრო  
ფართო მნიშვნელობა მიეცა ახალ „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ (აკად.  
რ. დვალისა და დოც. რ. ღამბაშიძის რედ., 1977), საიდანაც მიღებულია  
20 რუსული ტერმინის ქართული შესატყვისების საფუძვლად (იხ. გვერ-  
დული ღრეჩო და მისთ.).

რუსულში დამკვიდრებული Акрополис-ის (ეს სიტყვა წარმოშობით ბერძნულია და უშუალოდაა ნასესხები ქართულში) შესატყვისად: მითითებულია: შიდაციხე, ზედაციხე, დედაციხე, ციხე-ქალაქი: ყველა მათგანი, ცხადია, ერთ ცნებას აღნიშნავს, მაგრამ ნიუანსაც გვაჩვენებს. ამიტომ სხვადასხვა შემთხვევაში სინონიმებიც შესაბამისი იერსახით გამოიყენება. რუს. зерино-ს ქართულ ეკვივალენტებად ნაჩვენებია: მარცვალი, მარცვლეული; ცვარა, გავარსი. ორი უკანასკნელი იშვიათი სიტყვაა, ჩვეულებრივ ლექსიკონებში არ გვხვდება, აქაა გაცოცხლებული.

ასევე მდიდარი ქართული სინონიმია ახლავს ასობითა და ასობით სხვა ტერმინსაც: Завант გროვა, ზვავი, მეწყერი, ჩამონაკეცი, შვაგ: Загородки აწანგვარა, ბაგა, ზღუდე, ზღუდარი, მესერი, ქალტა, ლობე, ლობურა, ყორე (აწანგვარა, ზღუდარი იშვიათი სიტყვებია, რომლებიც მოხდენილადაა ჩართული რუსული ცნების ქართულ შესატყვისობათა შორის). Сегментация: დანაწილება, დაყოფა, დაწვრილერთეულება; Склеп აკლამა, ეგეტერი, სამარე, სამარხი, საფლავი; Усадьба აგარა, აგარანი, კარმიდამო, სასლ-კარი; ქალაქგარეთა სასახლის კომპლექსი (ვილა); Шпилька სარკი, ჩხირი, ორჩხირი; Подсека ახო, საყანე, გაკაფული ტყეში; საკვეთელი; Уступ კალთა, საფეხური, მუხლი, ბაქანი და ა. შ. ძირითად რუსულ ცნებებს ახლავს ქართულ შესატყვისობათა მარჯვედ შერჩეული სინონიმია, რაც ყოველგვარი, და მათ შორის ტერმინოლოგიური, ლექსიკონის დიდი სიკეთეა. მთელი სიტყვარი ისეა შედგენილი, რომ მომხმარებელს საშუალება ეძლევა მოსთვის საჭირო ერთეულის ამორჩევსა. ეს კი, ბუნებრივია, ხელს უწყობს ტექსტის, თვით ცნების შინაარსის სწორად გახსნას.

ლექსიკონის შედგენაზე გაწეულია ხანგრძლივი შრომა. დაძლეულია მრავალი დაბრკოლება, რაც თავისთავად ახლავს ყოველგვარი ლექსიკონისა და, მით უმეტეს, პირველი ორენეული არქეოლოგიური ლექსიკონის შედგენას დასჭირდებოდა. ავტორებს წინამორბედი არ ჰყოლიათ. მათ წინაშე იდგა რთული ამოცანა: რა პრინციპით უნდა შეედგინათ სპეციალური დანიშნულების ლექსიკონი? რა მასალა უნდა აღებუქდათ მასში? უნდა შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ არქეოლოგიით, თუ მოეხმოთ მომიჯნავე სამეცნიერო სისტემების მასალაც? ცნობილია, რომ სანამ არქეოლოგოსი მიწას ბარს დაჰკრავდეს, უნდა გავალსწინოს ბევრი გარემოება. სჭირდება ისტორიის, არქიტექტურის, ნუმისმატიკის, ხელოვნების, სამშენებლო საქმის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ენათმეცნიერების მონაცემების ცოდნა, სჭირდება სპეციალური და ზოგადი მომზადება. მეცნიერების ყველა ეს დარგი რაღაც წიშნით უკავშირდება არქეოლოგიურ ძეგლს. ამიტომ აქ მარ-

ტო ერთი დარგის ინფორმაციით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ავტორთა არჩევანიც ღრმად დასაბუთებულია. მათ უარი თქვეს „წმინდა არქეოლოგიაზე“ და მასთან ერთად მოსაზღვრე და მონათესავე სამეცნიერო დისციპლინათა საერთო ტერმინოლოგიასაც სათანადო ადგილი მიუჩინეს თავიანთ ნაშრომში. ამით, ცხადია, ლექსიკონს ერთგვარად ენციკლოპედიური განზრაც მიეცა და სავსებით კანონზომიერადაც.

წიგნის მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას მეტად ზრდის თანდართული არქეოლოგიური ინვენტარის ტაბულები, რომლებიც შერჩეულია სპეციალური ლიტერატურიდან. სულ 300 ნახატი და ნახაზია წარმოდგენილი, ისინი აადვილებენ ლექსიკონში დამოწმებულ ტერმინთა შინაარსის აღქმას. სპეციალური დანიშნულების ლექსიკონის აღქურვა ამისთანა სათვალსაჩინო მასალით, რაც იშვიათად ხორციელდება, მოსაწონი და დასაფასებელია.

ლექსიკონი ემყარება უხვ წყაროებს როგორც რუსულ, ისე, რაც ასე საშურია, ქართულ ნაწილში. ლექსიკურ ერთეულთა ძირითადი ფონდი აპრობირებული და ცნობილია სამეცნიერო წრეებისათვის, მნიშვნელოვანი ნაწილი კი პირველადია რეკომენდებული ავტორთა მიერ. ამასთან, შემდგენელნი ცნობენ, რომ „რუსულ ტერმინთა ან გამოთქმათა აქ შემოთავაზებული ქართული შესატყვისობანი საერთოდ აღიარებულად და მიღებულად არ უნდა მივიჩნიოთ. ავტორები ცდილობდნენ, ქართულ არქეოლოგიურ პრაქტიკაში მეტ-ნაკლებად გავრცელებული შესატყვისები შეერჩიათ. ამის გამო წიგნში სინონიმები ხშირიათ“; „ქართული შესატყვისები ყოველთვის არ ამოწურავს რუსულ ტერმინთა და გამოთქმათა ყველა მნიშვნელობას“; „ლექსიკონის მასალები, რა თქმა უნდა, განმარტებითი არაა, მიუხედავად ამისა, ტერმინთა მნიშვნელოვანი ჯგუფის განმარტების ცდა მაინც არის წარმოდგენილი. განმარტებები ამომწურავი არაა, მაგრამ მკითხველს აწვდის უმთავრეს ცნობებს ტერმინის თუ მისი ქართული შესატყვისის მნიშვნელობის შესახებ. ეს კი სასარგებლო უნდა აღმოჩნდესო“; „სპეციალური ლიტერატურის სასურველი რაოდენობით დამუშავება და ტერმინოლოგიური ძიება დიდი კოლექტივის მუშაობას გულისხმობს და დიდ დროს მოითხოვს; ამიტომ, სანამ ეს შესრულებული არ არის, ავტორები იმედოვნებენ, რომ მათი წინამდებარე წვლილი დადებით შედეგს გამოიღებსო“. სავსებით მართებული მსჯელობაა! ამ აღსარებას არ შეიძლება, კაცი არ დაეთანხმოს.

რამდენადაც ვიცით, ავტორები განაგრძობენ ლექსიკონის შემდგომ სრულყოფაზე მუშაობას და გამოსაცემად ამზადებენ მის ქართულ-რუსულ ვარიანტსაც, საზოგადოებრიობა რომ შეუნელებელი ინტერე-

სით ელოდება. ამასთან დაკავშირებით სასურველად მიგვაჩნია, მათ გავუზიაროთ ორიოდ სურვილი, რომელთა გათვალისწინება ეგებრს საქმისათვის სასარგებლო გამოდგეს. ლექსიკონში, მაგალითად, ერთ-ერთის პარალელურადაა დამოწმებული კოლხეთი და კოლხი-და, კოლხური და კოლხიდური და ამას, ცხადია, აქვს საფუძველი. მაგრამ ნათლად არა ჩანს (ან ახსნილი არაა) საფუძველი კოლხეთური ისათვის, რომელიც სინონიმებშია ჩართული (პარალელურად გვხვდება: კოლხეთურ-ბერძნული, კოლხეთურ-ყობანური და კოლხურ-ბერძნული, კოლხურ-ყობანური). ცნობილია, რომ -ეთ ელემენტი ფუძეს აღარ შემორჩება, თუ მას -ურ//-ულ სუფიქსიც დაემატება. მესხეთიდან გვაქვს მესხური და არა მესხეთური, იმერეთიდან — იმერული და არა იმერეთული. ამის გამო ორივე წარმოების დატოვება ერთ წიგნში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. უპირატესობა, ბუნებრივია, ტრადიციულ კოლხურ ფორმას უნდა მიეცეს (ახალ წარმონაქმნებში შეიძლება კაცმა ყური მოჰკრას ბრეთულ ტიპის წარმოებასაც, მაგრამ ამას სხვა ახსნა აქვს). შემდეგ, რუსული ენის მეშვეობით გავრცელებულ უცხოურ ტერმინებს უეჭველად უნდა მიეთითოს წარმომავლობა, რომ ის წიგნის მომხმარებელს რუსულ სიტყვად არ მოეჩვენოს. მრავალ შემთხვევაში ავტორები ასედაც იქცევიან (მაგ., Гарпия, Лабиринт, лекиф და მისთ. ტიპის ბერძნულ ტერმინებს მითითებული აქვთ წარმომავლობა), მაგრამ ეს სწორი წესი ბოლომდის დაცული არაა: რუსული ტრანსლიტერაციის დამოწმებულ ასობით უცხოურ ტერმინს არ ახლავს მითითება წარმომავლობაზე (ტერმინები დამოწმებულია ასე: Геодезия გეოდეზია, Гравиметрия გრავიმეტრია, Графика გრაფიკა, Ономастикон ონომასტიკონი და მისთ.). ტრადიციულად ამისთანა შემთხვევებში აჩვენებენ ხოლმე თითოეული მათგანის წარმომავლობას (იხ. კერძოდ, დ. უშაკოვის რედაქციით გამოცემული რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და ა. შ.). ნათქვამს ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ აჯობებს ტექსტის ორსვეტად დაბეჭდვა, თანაც სასურველია რუსულ ტერმინებს იქვე მიჰყვეს ქართული შესატყვისობებიც. ამით ტექსტიც უფრო გაიმართება და ადგილის ეკონომიასაც მივიღებთ. ასევე უკეთესი იქნებოდა არქეოლოგიური ტაბულების არა წიგნის ბოლოს გადატანა, არამედ ტექსტში თავ-თავის ადგილას ჩართვა. ერთი სიტყვით, ამ თვალსაზრისით ტექსტის გადასინჯვა, თუ ამას შესაძლებლად ჩათვლიან ავტორები, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ლექსიკონის შემდგომ სრულყოფას.

... მოულოდნელი და საკვირველი არაა ცალკეული ტექნიკური წაკლი, რომელიც თან ახლავს ყოველ დიდ შრომას და ამათგან თავისუფალი ვერც „არქეოლოგიური ლექსიკონი“ იქნებოდა. უნაკლო და სრული ლექსაკონი ქვეყანაზე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. არსებითი ისაა, რომ მთავარი მიღწეულია, შექმნილია შესანიშნავი საცნობარო წიგნი; შედგენილია რუსულ ტერმინთა და გამოთქმათა ოციათასსიტყვიანი ინდექსი და მარჯვედ დაძებნილია თითოეული რუსული ლექსიკური ერთეულის ოპტიმალური ქართული ეკვივალენტი, განმარტებისას მოხმობილია სანდო ფაქტობრივი ინფორმაცია და ის შეხაპებულია ქართულ ენობრივ საშუალებებთან. ყოველივე ეს კი, ჩვენი აზრით, წიგნის უდავო მეცნიერული ღირსებებია, რომლებითაც ის იმსახურებს მკითხველის გულითად მოწონებას.

რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონის ერთ-ერთი შემდგენლისა და რედაქტორის, ანდრია აფაქიძის, სახელი კარგადაა ცნობილი ჩვენში და საზღვარგარეთაც, როგორც ქართული არქეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ბურჯისა და აღიარებული სპეციალისტისა. მის ნაყოფიერ მოღვაწეობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია არქეოლოგიის თვალსაჩინო წარმატებები ჩვენში, საველე ძიების ჩინებული ორგანიზაცია, აღმოჩენათა მთელი სერია. მეცნიერის გამოკვლევებსა და მონოგრაფიებს იცნობენ შინ და გარეთ და პატივისცემით იმოწმებენ. მისი ყოველი ახალი შრომა მეცნიერების ნამდვილი ზეიშია. საკმარისია აქ გავიხსენოთ ან. აფაქიძის მონოგრაფიები და გამოკვლევები, რომლებიც ისტორიული მცხეთისა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლებს ეძღვნება, საკუთარი აღმოჩენები. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ბიჭვინთის არქეოლოგიური საეულე ძიებისადმი მიძღვნილი სამი კაპიტალური ტომი, „ღრდი პიტიუნტის“ სახელით რომ გამოიცა, და მრავალი სხვა, რომ წარმოვიდგინოთ მკვლევრის რუდუნების დიპაზონი და ინტერესთა ფართო სფერო. ამ შრომებში მეცნიერების თანამედროვე მეთოდებით გაანალიზებულია უმდიდრესი ფაქტობრივი მასალა და ნაჩვენებია მოპოვებული ძეგლების მნიშვნელობა მეცნიერებისათვის საერთოდ. ზემოხსენებული ლექსიკონი, ძვირფასი შენამატი ქართული ლექსიკოგრაფიისა, სახელოვანი მეცნიერის დაუცხრომელი ძიების მორიგა შედეგია, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს ერუდირებული რედაქტორის ანალიტიკურ ცოდნას, უძნელესი ტერმინოლოგიური კვლევა-ძიების ღრმა აღლოს, დაბრკოლებათა დაძლევის, მჭიდრო შემოქმედებითი კოლექტივის შეკვრისა და საშვილიშვილო საქმის ორგანიზაციის საქმე უნარს.

ამასთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ ჟიულ ცეზარ სკალიგერის (1484—1558) გახმაურებული შეგონება, რომლის რუსული თარგმანი აკად. ლ. შჩერბამ წინ წარუძღვარა თავის განთქმულ რუსულ-ფრანგულ ლექსიკონს, ხოლო ქართული თარგმანი თამარ და ისიდორე გვარჯალაძეებმა დაურთეს თავიანთ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს. ტომით იტალიელი ჰუმანისტის, ფილოლოგისა და კრიტიკოსის, საოცარი შეგონება ქართულად ასე ელერს: „თუ მისჯილი აქვს ვინმეს მტანჯავი შრომა და ელოდება ბეჩავს ტანჯვა-წვალება... დე, მან შეადგინოს ლექსიკონი და ეს შრომა ყველა სახის ტანჯვა-წამებას გაუტოლდება“. ოღონდაც! რაღა შორს მივდივართ. ბრძენი საბა ხომ, როგორც ავტორებიც მიუთითებენ, თავისი სწორუპოვარი „სიტყვის კონის“ გამო ამბობდა: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ აძაგებთ, სრული ძნელია“. ჭეშმარიტად!

1981 წ.

## შეხვედრები გალაკტიონთან

### ფურცლები მოგონებით

გალაკტიონი ჩემს წარმოდგენაში არის ღვთაება პოეზიისა, სწორუპოვარი მეუფე ქართული სიტყვისა.

გალაკტიონის ლექსი ქართული კაზმული სიტყვის მწვერვალია, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ჩვენი პოეზიის გაშლილი საფარდე. გალაკტიონის პოეზიაში გამჟღავნად შედუღებულია გრძნობა და ოცნება, მელოდია და მუსიკა, წუხილი და სიხარული. აქ სადგურობს სიტურფე რუსთაველის გრძნობისა, წუხილი გურამიშვილის ლექსისა, მღელვარება ბარათაშვილის სულისა, განსჯა ილიას გონებისა, სილადე აკაკის ჩანგისა, გუგუნის ვაჟას ხმისა, მაგრამ გალაკტიონი მანაც გალაკტიონია. ის ნამდვილად ერთია ქვეყნად, როგორც ერთია იალბუზი, განუყოფელია როგორც ვარძია და უფლისციხე. ვერავის შეადარებ, რადგან შეუდარებელია.

გალაკტიონმა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში პირველმა შეძლო სიტყვის რითმული ძალის საიდუმლოს ამოცნობა. ქართულ სიტყვაში დაუნახავის დანახვა, მიუწვდომლის მიწვდომა. გალაკტიონის შემდეგ არარაობად იქცა გოდება იმაზე, თითქოს ქართულმა სიტყვამ ამოწურა პოეტური რითმის შესაძლებლობა, გაიცრიცა და გაცედა. ამოა ამისთანა მოთქმა. პირიქით, გალაკტიონის პოეზია ცხადყოფს, რომ ქართული სიტყვის სარითმოდ ძალა ჯერ კიდევ არასაკმარისად არის გამოვლენილი, პოტენციურად ის უკიდევანო და ამოუწყავია. ოღონდ მისი საიდუმლოს ჩაწვდომას სჭირდება ფერთა ისეთი შეგრძ-

ნება, როგორც გალაკტიონს ახასიათებდა, სჭირდება ტონის, რიტმის, მელოდიის, მუსიკის გალაკტიონური ვანცდა. ჭეშმარიტად, გალაკტიონი XX საუკუნის ქართული პოეზიის მარად მოკაშკაშე მნათობია, რომელიც ათბობს ადამიანის გულს, თავისი სხივებით შუქს ჰტყენს და ასულდგმულებს ჩვენს ეროვნულ პოეზიას, გააქვს ის გალაკტიონის გზაჯვარედინებზე. ეს რეალური ფაქტია და არა პარადოქსი.

გალაკტიონს ბევრჯერ შევხვედრივარ. მრავალჯერ გვექონია შინაურული საუბარი ჩვენი ცხოვრების საჭირ-ბოროტო საკითხებზე, მრავალჯერ მომისმენია მისი ამალეღვებელი გამოსვლა და ლექსი. ვამიჩივია გალაკტიონური სიტყვა— ქართული. ამჯერად გავიხსენებ ჩამდენიმე შეხვედრას.

## I

ეს მოხდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. დიდი სამამულო ომის წინ, 1941 წლის აპრილში, აქ გაიმართა ქართული პოეზიის დიდი საღამო. ინსტიტუტის სააქტო დარბაზი გაქვიდილი იყო ხალხით. სტუდენტებთან ერთად საღამოს ესწრებოდნენ უფროსი კლასების მოსწავლეები, ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა მუშაკები, კოლმეურნეები, პედაგოგები, მეცნიერები.

...საღამოში მონაწილეობის მიღება პირადად ვთხოვე გალაკტიონს, გიორგი ლეონიძეს, იოსებ გრიშაშვილს, ალიო მაშაშვილს, სიმონ ჩიქოვანს.

დღის 3 საათზე რკინიგზის გორის სადგურზე უნდა შევხვედროდით საპატიო სტუმრებს. გალაკტიონმა წინასწარ გამაფრთხილა: გორს 12 საათის მატარებლით ამოვალო და მეც შესახვედრად, სტუდენტების ჯგუფთან ერთად, სადგურში ერთი საათით ადრე მივედი. და... საშინლად გავოცდი, როცა მოსაცდელ დარბაზში გალაკტიონი დავინახე, უცნობ პირს გატაცებით ესაუბრებოდა. თვალი მომკრა თუ არა, შემომეგება: ცოტა ვიჩქარე, ძამიკო, არ დამაგვიანდეს-მეთქი, საღამო ხომ გაიმართება?

საღამო 7 საათისათვის იყო დანიშნული, გალაკტიონი კი დილის 10 საათზე ამოსულიყო გორს. სასტუმროში გაჩერებაზე უარი თქვა: ჯერ ქალაქში გავისეირნებ და 7 საათზე ინსტიტუტში მოვალო.

საღამო დიდი წარმატებით ჩატარდა. გალაკტიონი პრეზიდენტობა იჭდა გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილისა და ალიო მაშაშვილის გვერდით. ჩემს მოკლე შესავალ სიტყვაში მე გალაკტიონს ქართული ლექსის ჯადოქარი, ხოლო მის შედეგებს— „გურიის მთებს“, „მერის“, „ლურჯა ცხენებს“, „მთაწმინდის მთვარეს“, „მესაფლავეს“— ქართული პოეზიის სვეტიცხოვლები ვუწოდე. შევნიშნე, რომ გალაკ-



ტიონმა იღუმლად გაიღიმა. ძალიან მოეწონა სტუდენტების გამოსვლები. მაშინ II კურსის სტუდენტმა, ამჟამად ცნობილმა კრიტიკოსმა ვასო ბაიაძემ, სტუმარი მგოსნების ჯგუფს ქართული პოეზიის გენერალიტეტი, ხოლო პირადად ვალაკტიონს — მთავარსარდალი უწოდა. ვალაკტიონმა სტუდენტის გამოსვლა ტაშით დააჯილდოვა. გულში ჩამწვდომად წაიკითხა „მშობლიურო ჩემო მიწა!“ დამსწრენი ალტაცებით შეხედნენ ვალაკტიონს. დიდხანს არ შეწყვეტილა მის საპატრივსაცემოდ გამართული ოვაცია.

სალამო რომ დამთავრდა, ვალაკტიონმა ხელი ჩამკიდა, გვერდზე გამიხმო და ჩვეული, ვალაკტიონური, ირონიით მითხრა: ჰო, ასეა, ძამიკო, ვალაკტიონი ლექსის ჭადოქარი, ვალაკტიონი სვეტიცხოველი, ვალაკტიონი ლექსის მთავარსარდალი — პრემია კი!... პრემია სხვებს, ჰმ!...

შემდეგ ვალაკტიონს არაერთხელ გაუხსენებია ეს თბილი სალამო. ერთხელაც მკითხა: ნეტავ, ახლა სად არის ის სტუდენტი, მაშინ მშვენიერი სიტყვა რომ თქვაო? ამ დროს უკვე ვასო ბაიაძეს ვალაკტიონთან ჩემი რეკომენდაცია აღარ სჭირდებოდა...

## II

ეს იყო დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1948 წლის ზაფხულში. მე კვლავ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვმუშაობდი. იმ დღეებში გამოვიდა ჩემი „ქართლური ზღაპრები და ლეგენდები“, რომელშიაც გამოქვეყნებულ ომამდე ჩაწერილ ორ ზღაპარს ტრადიციული „ჭირი იქა, ლხინი აქას“ ნაცვლად დაბოლოებად „ეგ არის და გორის ციხე“ აქვს (ნიჭიერმა მთქმელმა ამ მშვენიერი ხალხური შეგონებით დაამთავრა ზღაპარი).

...ნაშუადღევი იყო. ინსტიტუტში ლექციები დავამთავრე და ქალაქს ვბრუნდებოდი. მთავარ ქუჩაზე ვალაკტიონი დავინახე. ღმერთკაცი ნელა მოაბიჯებდა მოკვდავთა შორის. შევეგებე და იქვე რესტორანში შევიპატიე. ბევრი ვისაუბრეთ. სხვათა შორის, მითხრა: თქვენი წიგნი, ძამიკო, ვნახე, ასეთი ზღაპრების გამოცემა ნამდვილად საჭიროა, განსაკუთრებით ზღაპრის დაბოლოებები მომეწონა, „ეგ არის და გორის ციხე“ ხალხში მეც გამიგონია, ამაზე რამე უნდა დავწეროო. მეც ჩავურთე, ეს დამაფიქრებელი გამოთქმაა, ბატონო ვალაკტიონ, ალბათ, გორის ციხე დიდხანს შენდებოდა, ასეთი სიტყვების მასალა ხალხის ხსოვნას რომ შემორჩენია-მეთქი. ვალაკტიონი ღრმად ჩაფიქრდა. მოგვიანებით თქვა: დიახ, დიახ, ალბათ დიდხანს შენდებოდა. ხალხი ბრძენია, ამაზე დავწერ, ნამდვილად დავწერო!...

მოგვიანებით გამოვეთხოვე. ის ქართლის რომელიღაც სოფელში ეპირებოდა.

მალე გალაკტიონმა მართლა დაწერა მშვენიერი ლექსი — „ეგ არის და ვორის ციხე“. რომელიც, როგორც მახსოვს, დაიწერა სწორედ კორში და პირველად, იმავე წლის ზაფხულში, გორის გაზეთში დაიბეჭდა, შემდეგ — „მნათობში“ გამოქვეყნდა.

### III

ეს ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, 1952 წლის მაისში მოხდა. იმ ხანად ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტშიაც ვმუშაობდი. ერთ დღეს პარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა აკაკი იმნაძემ მთხოვა, შევხვედროდი ქართველ მწერალთა დიდ ჯგუფს, რომელიც ცხინვალს ესტუმრა ლიტერატურული საღამოს გასამართავად. ის მწერლებს მაშინ რევაზ ასავეი მეთაურობდა და ის იყო ჩვენი მთავარი მასპინძელი. ქართველ მწერალთა ჯგუფში გალაკტიონიც შედიოდა. დილით გაიმართა დიდი მიტინგი კოსტა ხეთაგურის ძეგლთან. მახსოვს, გალაკტიონი და გოგლა ძეგლს მარჯვნივ და პარცხნით ედგნენ. იმავე დღეს ჩატარდა ლიტერატურის დაუვიწყარი საღამო. გალაკტიონმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა. საზოგადოება განსაკუთრებული სიყვარულით შეხვდა მას. ყრუანტელის მომგვრელად უღერდა გალაკტიონის ქართული. საღამო კონცერტით დამთავრდა. გალაკტიონმა დამიმართხელა და მკითხა: ხომ არ შევარცხენიე, ძამიკო, სამშობლო?...

მეორე დღეს ჭავაში მიგვიწვიეს. აქაც სამახსოვრო შეხვედრები გაიმართა. ღამით მწერალთა მთელი ჯგუფი მოთავსდა ერთ-ერთ სანატორიუმში, რომელიც მთლად მწვანეში იყო ჩაფლული და ჩიტების ჟღერტული იქაურობას აცოცხლებდა. ზოგი საერთო, ზოგიც ორ-სამ კაციან პალატებში შეიყვანეს, გალაკტიონს ცალკე ოთახი დაუთმეს. დილით გალაკტიონმა მითხრა: საოცარი ადგილი ყოფილა, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ყურს ვუგდებდი ბულბულების სტვენას, ანაჲ კარგი რამ უნდა დაიწეროსო...

რამდენიმე ხნის შემდეგ, 1956 წლის 20 აპრილს, გალაკტიონი ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოვიპატივეთ. ჩინებულნი საღამო გაიმართა. მე შესავალი სიტყვა და მისალმება წარმოეთქვი. მოხსენება დიმიტრი ბენაშვილმა წაიკითხა. გამოვიდნენ სტუდენტები: გ. თედევი, გ. შუბოთიძე, ზ. ზასავეი, მ. მამისაშვილი, ც. ყავლაშვილი, ე. ჯახველაძე, მ. ცხოვრებოვი, ლ. ბაგაური, ა. სულაძე, ვ. ბაგაური, ნ. დოკაძე. გალაკტიონს ძალიან მოეწონა ჩვენი სტუდენტები, განსაკუთრებით გივი თედევი შეუყვარდა. თავად ჯერ რამდენიმე ცნობილი ლექსი წაიკითხა, შემდეგ ექსპრომტად წარმოთქვა ისალო ლექსი, რომელიც პაპიროსის კოლოფზე ჰქონდა დაწერილი. გაზ... „სახ-

ქოთა ოსეთის“ წარმომადგენლებმა სთხოვეს ლექსის გამოსაქვეყნებლად გადმოცემა. აღუთქვა: გადავათეთრებ და თბილისიდან გამოვიგნავინათ! აღარ ვიცი, გალაკტიონმა შეასრულა თუ არა ეს დაპირება, მაგრამ ლექსი მოგვიანებით გამოაქვეყნა (იწყება ასე: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“).

გალაკტიონს იმ დამით არ დაუძინია. ესაუბრებოდა სტუდენტებს, უამბობდა საოცარ თავგადასავალს, პეტროგრადში გატარებულ დღეებზე, თურქესტანის ბრძოლებზე, გამოჩენილ რუსსა და უცხოელ მწერლებთან შეხვედრებზე, ჯონ რილზე, ცალკე ლექსების ადრესატებზე. სიტყვაძვირი გალაკტიონი. მე პირველად ვნახე ასე სიტყვა-მრავალი.

ერთა სტუდენტმა „მე და ღამეზე“ თქვა: ამ დიდებულ ლექსში სიმბოლიზმის კვალი ჩანსო.

გალაკტიონმა ირონიულად გაიღიმა და შენიშნა: სიმბოლიზმი კრატოკოსებმა დამწამესო. „მე და ღამე“ რევოლუციური ლექსია, მას გავება უნდაო; მიუბრუნდა დიმიტრი ბენაშვილს და უთხრა: ხომ ასეა, ძამიკო; გალაკტიონი რევოლუციის პოეტია და არა სიმბოლისტიო!

სამხელად არ მოსწონდა, როცა მის ადრინდელ შედევერებზე საუბრისას სიმბოლიზმზე ჩამოაგდებდნენ სოლმე სიტყვას.

1979 წ.

### ქვეყნად სიკეთის მთესველი

გიორგი ახვლედიანის დაბადების 100 წლისთავის შესრულების ბაზო

შესრულდა ასი წელი გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან. მადლური საზოგადოებრიობა ღრმა პატივისცემით აღნიშნავს ღირსეული მამულიშვილის, ახალი თაობის სამაგალითო მოძღვრის, ქვეყნად სიკეთის მთესველის დაბადების დღეს. იმართება მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები, სამეცნიერო სესიები, შეხვედრები, მოგონებები.

ქართული ენათმეცნიერების ისტორიას სამი განუყრელი პირის სახელი ამშვენებს. ესენია: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი. მათ სახელებთან და მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული საუნივერსიტეტო ენათმეცნიერების ჩასახვა და განვითარება საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა იმ თანავარსკვლავედში, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოქმედებდა, ხსენებულ სამ პირს ჭეშმარიტ მნათობთა როლის შესრულება დააკისრა ისტორიამ და ეს მისია მათ სასახელოდ შეასრულეს. აკი

თავად ი. ჯავახიშვილი ბრძანებდა: „ტფილისის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფ. იოს. ყიფშიძისა, პროფ. აკ. შანიძისა და პროფ. გ. ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, გარდაცვალების გამო უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა“. მართლაც—და აკ. შანიძემ ქართველური ენების შესწავლა განვითარების მწვერვალზე აიყვანა, გ. ახვლედიანმა კი ჩვენში სათავე დაუდო ზოგად ენათმეცნიერებას და თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ცოდნის ეს დარგი მნიშვნელოვნად დააწინაურა, აღზარდა სპეციალისტთა თაობები, რომელთა შემოქმედებითი წარმატებები დღეს საქვეყნოდაა ცნობილი. საკმარისია იმ მრავალმეტყველი ფაქტის გახსენება, რომ მის აღზრდილთა შორის არიან თამაზ გამყრელიძე და ტოგო გუდავა, არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია, გიორგი წერეთელი და გივი მაკვათარია, შოთა ძიძიგური და მზია ანდრონიკაშვილი, სერგი ჟღენტი და გივი ნუბიერიძე, გურამ რამიშვილი და ბაქარ გიგინეიშვილი, ნათელა ქუთელია და თინა აბზიანიძე, შესანიშნავი პლეადა ლინგვისტებისა, რომელთა სახელები დღეს საქვეყნოდაა ცნობილი.

3. ახვლედიანი მაინც სულ სხვა, გამორჩეული პიროვნება იყო. ძნელია მისი ვინმესთან შედარება, ჭეშმარიტად განუმეორებელი, ნათელი შუბლის მოქალაქე იყო. ვის დაავიწყდება მისი განუყრელი ღიმილი და ალურსი, მამობრივი მზრუნველობა ახალგაზრდობაზე, მცირე და დიდ საქმეზე. მის სახელთანაა უშუალოდ დაკავშირებული ჩვენში ზოგადი და ქართული ფონეტიკის, ინდოლოგიის, ირანოლოგიის, რუსისტიკის, ლოგოპედიის განვითარება. ის გახლდათ ცოდნის ამ დარგების მეაკენე და პირველი თეორეტიკოსი. მის მიერ აღმოჩენილი და დადგენილი კანონზომიერებანი ახვლედიანის კანონის სახელითაა გავრცელებული. მათ კარგად იცნობს ლინგვისტიკური სამყარო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის ორტომიანი მონოგრაფია „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“, ავტორებმა გ. ახვლედიანს რომ მიუძღვნეს მ. პეტერსონთან და გ. წერეთელთან ერთად. გ. ახვლედიანმა მშობლიურ ენაზე შექმნა ქართული და ზოგადი ფონეტიკის პირველი მონოგრაფიები, რუსული ენის პირველი მეცნიერული გრამატიკა, ენათმეცნიერების შესავლისა და სანსკრიტის პირველი სახელმძღვანელოები, პირველი ლოგოპედიური გამოკვლევები. გ. ახვლედიანი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელიც სამშობლოში ეახლა და თავის დედაენაზე ესაუბრა მაპათმა განდის, ინდოეთის დიდ შვილს. ცნობილია, თუ ამ ფაქტმა თავის დროზე რა ცხოველი გამოძახილი გამოიწვია მსოფლიოში.

გ. ახვლედიანს გულით ახარებდა ყოველი სიახლე. ირგვლივ მუდამ სიკეთეს აფრქვევდა. ალერსით ათამამებდა ყველას, ვინც ემსახურებოდა ხალხის საქმეს, თავისი წვლილი შეჰქონდა მეცნიერების, კულტურის, განათლების, სპორტის განვითარებაში. ბევრ მათგანს უძღვნიდა საკუთარ წიგნებს სამახსოვრო წარწერებით, უგზავნიდა საოცრად თბილ წერილებს. ამ წერილების აღრესატები ცხოვრობდნენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში. დაჯილდოებული იყო საუკეთესო ადამიანური თვისებებით. მაღალი ინტელიგენტურობა, თავმდაბლობა, უშურველობა, სხვისი გარჯის საკადრისად დაფასება, სიახლისკენ დაუცხრომელი ღტოლვა — ყოველივე ეს ამშვენებდა მთელ მის, როგორც მეცნიერისა და ერისკაცის, ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

გ. ახვლედიანმა ფართო ენათმეცნიერული განათლება მიიღო. 1915 წ. წარმატებით დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ძველი ინდური, ძველი სპარსული, ძველი გერმანული, სლავური ენები, დაეუფლა შედარებით ენათმეცნიერებას. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები, აკად. ი. ენძელინი და პროფ. ს. კულბაკინი. ი. ენძელინის წარდგენით ის 1915 წ. დატოვებულ იქნა ხარკოვის უნივერსიტეტის შედარებითი ენათმეცნიერების კათედრის ასპირანტად. ცოდნის გასაღრმავებლად ახალგაზრდა მეცნიერი გაიგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც მეცადინეობდა აკად. ნ. მარის (ქართული და სომხური ენები), აკად. ლ. შჩერბას (ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა) და აკად. კ. ზალემანის (ინდური ფილოლოგია) ხელმძღვანელობით. მის მეცნიერულ წარმატებებში დიდი როლი ითამაშა აკად. ი. ენძელინისა და აკად. ლ. შჩერბასთან მუშაობამ და თანამშრომლობამ. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ თავისი ფუნდამენტური ნაშრომი „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ მან მიუძღვნა მოძღვრებს სამახსოვრო წარწერით: „ძვირფასი მასწავლებლის, ვინც ჩამინერგა ფონეტიკის სიყვარული, აკადემიკოს ლევ შჩერბას ნათელ ხსოვნას და ძვირფას მასწავლებელს, ვინც მასწავლა მეცნიერებისათვის თავდადება, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ივანე ენძელინს ვუძღვნი ამ წიგნს“.

ხარკოვის უნივერსიტეტში, როგორც ეს მ. კილაბერიას ცნობის საფუძველზე ხაზგასმით აღნიშნულია შ. ძიძიგურისა და ს. ულენტის ნარკვევებში, მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას რომ ეძღვნება, გ. ახვლედიანს ჩამოუყალიბებია რევოლუციონერ სტუდენტთა წრე, რის გამოც ის 1913 წ., რამდენიმე ქართველ სტუდენტთან ერთად, დაუპატიმრებით და ექვს თვეს ციხეში მჯდარა. მისმა პირველ-

მა სტუდენტურმა ნაშრომმა „ნარნარა და ცხვირისმიერი თანხმონები სანსკრიტში, ბერძნულში, ლათინურსა და სლავურ ენებში“ ოქროს მედალი მოიპოვა.

გ. ახვლედიანის სამეცნიერო მოღვაწეობა წარიმართა რამდენიმე მიმართულებით. მისი კვლევა-ძიების ძირითადი სარბიელი ზოგადი ენათმეცნიერება იყო. თბილისის უნივერსიტეტში შექმნა ზოგადი ენათმეცნიერების პირველი კათედრა, რომელსაც გარდაცვალებამუსი ხელმძღვანელობდა, დააარსა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება. სათავე დაუდო ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებასა და სწავლებას ჩვენში. „ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა და „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“, — ამბობს სამართლიანად შ. ძიძიჯურო, — ის სარბიელია, სადაც გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით მთელი თაობები ეზიარებოდნენ ენის თეორიულ საფუძვლებს. ზოგად-ენათმეცნიერულ მეთოდოლოგიას, ეუფლებოდნენ კონკრეტული ენობრივი ფაქტების განზოგადებისა და პრინციპული თვალსაზრისით განხილვის ჩვევებს. პირდაპირ უნდა ითქვას: თუ დღეს საქართველოში თეორიული ენათმეცნიერული აზროვნება საკმაოდ მაღალ დონეზე დგას, ეს უმთავრესად გიორგი ახვლედიანის ღვაწლია. საენათმეცნიერო კულტურის დამკვიდრებას საქართველოში მან შეუქმნა მტკიცე საყრდენი, და ეს შეეძლო ისეთ ფართოდ ერუდირებულ ლინგვისტს— ძრავალი ენის მცოდნეს, საუკეთესო სკოლაგავლილს, დიდად ნიჭიერ ადამიანს, როგორც თავად ბრძანდებოდა. უკლებლივ ყველა ქართველი მკვლევარი მომდევნო თაობებისა, ამჟამად რომ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ საენათმეცნიერო დისციპლინებში, გიორგი ახვლედიანის ყოფილი მოწაფეა და მის მიერ ენის თეორიაში სამაგალითოდ გაწვრთნილი“.

გ. ახვლედიანი ავტორია „ენათმეცნიერების შესავლის“ პირველი თეორიული კურსისა, რომელსაც საფუძვლად დაედო თბილისის უნივერსიტეტში 1918 წ. წაკითხული 15 ლექცია. ის გამოირჩევა პრობლემატიკისა და ნაირფეროვანი ფაქტობრივი მასალის სიუხვით, ზოგადი საკითხების ქართული ენის მასალაზე გაშუქებით, ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკის, ენის ფილოსოფიის რთული პრობლემების ფართოდ განხილვით. ამ უნიკალურმა კურსმა დიდი როლი ითამაშა ჩვენში ენათმეცნიერული კვლევა-ძიების გაშლაში. მასზე თაობები აღიზარდნენ. ნაშრომში ზოგადი პლანით განხილულია ბგერითი და ჟესტიმიმიკის ენა, ენისა და აზროვნების ურთიერთობა, ენის ცვალებადობა; ენათა ტიპოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციები, სამეტყველო ორგანოები, ბგერათა კლასიფიკაციები, მარცვლის თეო-

რიები, ფონეტიკური კანონები, გრამატიკის დარგები და კატეგორიები. აქ პირველად დასმულმა საკითხებმა შემდეგ განვითარება პოვენ ავტორის სპეციალურ გამოკვლევებში.

თავისი ზოგადი ფონეტიკური მოძღვრება გ. ახელედინამ დაალოცა ფუნდამენტურ ნაშრომში „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ — ფილოლოგოსთა სამაგიდო წიგნში. ძნელია ამ ნაშრომის გადაჭარბებით შეფასება. ის იმ რიგისაა, რისაც ივ. ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორია“, დ. უსნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია“, ავ. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“. ის ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის არა მარტო საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომია, არამედ ცოდნის ამ სფეროს მთელი ენციკლოპედიაა. აქ ფონეტიკის კარდინალური საკითხები მრავალი ასპექტითაა განხილული; დადგენილია ზოგადი ფონეტიკის საბუნებისმეტყველო საფუძვლები. შესწავლილია ფონეტიკური ანატომია-ფიზიოლოგია, ოპტიმალურად აღწერილია საწარმოთქმო ორგანოები, ექსპერიმენტულად გამოკვლეულია ქართულ თანხმოვანთა სისტემა, სრულიად ახალი კონცეფციაა განვითარებული ხშულმსკდომი (ბფჰ, დტ, ძცწ, ჯჩჰ, გქ, კყ), ნაპრალოვანი (ვ, ზს, უშ, ლხ, ჰ), აფრიკატი (ძცწ, ჯჩჰ), ვიბრანტი (რ), ლატერალი (ლ), ნაზალი (ნ), ფაჩინგალური თანხმოვნების შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში პირველადაა შეფასებული ამ თანხმოვანთა (ცალეულები, წყვილეულები, სამეულები, ოთხეულები), განსაკუთრებით ქართულ აბრუპტივთა (პ, ტ, წ. ჰ, კ, ყ) სპეციფიკა და ადგილი კავკასიურ ენათა ფონემურ სისტემაში. მეცნიერმა ექსპერიმენტულად შეისწავლა ფონეტიკური აკუსტიკა, ტონი და ჩქამი, ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, ხანგრძლივობა, ტემბრი, პაუზა ბგერათწარმოთქმაში. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თანხმოვანთა კლასიფიკაციას; გადმოცემულია ორიგინალური შეხედულებანი ბგერათა სიმძლერე-სიყრუის, სონორობის, ხმოვნის, თანხმოვნისა და „ნახევარხმოვნის“ შესახებ. ავტორის ეს შეხედულებანი დღეს მეცნიერებაში გაზიარებულია ისევე, როგორც მიღებულია მისი თვალსაზრისი ხმოვანთა სამი რიგის (წინა, შუა და უკანა) შესახებ, რაც საფუძვლად უძევს ქართული ენის ხმოვნათა ე. წ. სამკუთხედს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ავტორის ბგერათშეერთების (კოარტიკულაციის) თეორია. მან დამაჯერებლად ცხადყო, რომ „ჩვეულებრივს მეტყველებაში ცალკეული ბგერა არ წარმოითქმება, რამდენადაც იგი არაა რაიმე მნიშვნელობის მატარებელი. თუ ზოგჯერ ჩვენ განძრახ წარმოვთქვამთ განცალკევებულ ბგერას, მაგ., ა-ს, ის უთუოდ განსხვავებული იქნება მეტ-ნაკლებად იმ ა-ებისაგან, რომლებიც

გვაქვს, მაგ., სიტყვებში: აქ, რა, ბანი, ქალი და ა. შ. მაშასადამე, ჩვეულებრივად (სიტყვაში) ყველა სამეტყველო ბგერა მოცემულია სიტყვის სხვა ბგერებთან შეერთებაში“. ნაშრომში დადგენილია ბგერათშეერთების ზოგადი წესები, ნაჩვენებია ბგერათშეერთების დეცესაურ-აქცესიურ პროცესთა ერთმანეთისაგან განსხვავება და მსგავსება, კერძოდ ის, რომ ამ წესის თანახმად დეცესიურ კომპლექსში ჰქმავალ თანხმოვნებს ერთუამიერი შემართვა აქვთ. წამოყენებულმა თეორიამ ავტორს საშუალება მისცა, ქართულში გამოეყო თანხმოვანთა ჰარმონიული ჯგუფები და განესაზღვრა მათი ორი სისტემა (არრელი: ბგ-ფქ-პკ: აბგა, ფქვა, აპკი; დგ-თქ-ტკ: ადგა, თქვა, ტკივილი; ძგ-ცქ-წყ: ბგერა, ცქერა, წკირი; ჯგ-ჩქ-ჭკ: ჯგლეთა, ჩქარი, ჭკნობა; მეორე: ბღ-ფხ-პყ: ბღავის, ფხა, ეპყრობა; დღ-თხ-ტყ: დღე, თხა, ტყე; ძღ-ცხ-წყ: ძღოლა, ცხელი, წყალი; ჯღ-ჩხ-ჭყ: ჯღაბნა, ჩხირი, ჭყივის). ასევე დიდმნიშვნელოვანია კოარტიკულაციის ორი სახის (პალატალიზაცია, ველარიზაცია) დადგენა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე მითითება.

ნ. მარის შემდეგ გ. ახვლედიანი იყო პირველი ენათმეცნიერი, რომელმაც შექმნა ქართული მახვილის ოპტიმალური მოძღვრება. ავტორმა ცალ-ცალკე გამოყო და აღწერა დინამიკური და მუსიკალური, ლოგიკურ-ემოციური და ლინგვისტური, მარცვლის, სიტყვის, შესიტყვების, კითხვის, ძახილის მახვილები. მისი აზრით, მახვილის (როგორც დინამიკურის, ისე მეტადრე მუსიკალურის) სახეცვლილება უსასრულოდ მრავალფეროვანია მარცვალში, სიტყვასა და მეტადრე სიტყვათშეერთებაში. მახვილი სხვადასხვა სახეს იღებს იმის მიხედვით, თუ რას გამოხატავს მთქმელი: თხრობას, კითხვას, ძახილს, გაკვირვებას, აღტაცებას, სასოწარკვეთილებას, გაჭავრებას, აღერს... თითოეული ამათგანის გამოხატეაც სხვადასხვა ინტონაციას გვაჩვენებს. მეცნიერმა ძირითადად გაიზიარა ნ. მარის თეორია სიტყვათმახვილის შესახებ და, ამასთან, მასში ცვლილებაც შეიტანა: „ნ. მარის აზრით, — ამბობდა გ. ახვლედიანი, — ქართულ სიტყვაში მახვილიანი მარცვლებია ბოლოდან მეორე და მესამე; მრავალმარცვლიან (ე. ი. ორზე მეტ მარცვლიან) სიტყვაში მახვილი შეიძლება იყოს ბოლოდან მეორეზე ან მესამეზე“; „მახვილის ადგილი სიტყვაში ნ. მარს საერთოდ სწორად აქვს დადგენილი.... სავსებით გასაზიარებელია აგრეთვე მეორე მახვილის (ე. ი. თანამახვილის) არსებობა ოთხსა და მეტ მარცვლოვან სიტყვაში. მაგრამ, რაც შეეხება დებულებას, რომ მრავალმარცვლიან სიტყვაში (მაგ., ქართველი, მარგალიტი) მახვილი შესაძლებელია მეორე მარცვალზე ბოლოდან... ამას არ ადასტურებს ჩვენ



დაკვირვება: მთავარი სიტყვათმახვილი ქართულ მრავალმარცვლიან სიტყვაში შესაძლებელია მხოლოდ მესამე მარცვალზე ბოლოდან“. მახვილის პრობლემას მკიდროდ უკავშირდება ავტორის მარცვლის თეორია. ღრმა მეცნიერული ღირებულება და პრაქტიკული გამოყენება აქვს გ. ახვლედიანის ცნობილ დებულებას: „ქართულში მხოლოდ აბრუპტივი მიისწრაფვის მიეკედლოს მომდევნო მარცვალს; დანარჩენი თანხმოვნები ნეიტრალურია მიეკედლების მხრივ: შეუძლიათ მიეკედლონ როგორც წინმდგომს, ისე მომდევნო მარცვალს. ყოველ შემთხვევაში, ქართულ მარცვალს, ჩვენი აზრით, მიდრეკილება აქვს ღიაობისადმი, თუ სხვა რამ ფაქტორი (მაგ., სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა) ხელს არ უშლის; ქართულ მარცვალს ადვილად შეუძლია გათავდეს არა მხოლოდ ხმოვნით (ე. ი. იყოს ღია), არამედ სონორული თანხმოვნითაც“.

გ. ახვლედიანმა შექმნა სამეტყველო ბგერისა და წერის, ენის ფონეტიკური ცვალებადობის, ფონეტიკური კანონის, რუსული ენის ბგერითი შედგენილობის ქართულთან მიმართების მოძღვრება, რომელსაც დღეს წარმატებით ავითარებენ მისი მოწაფეები. მეცნიერმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფონოლოგიის განვითარებაშიც. ფონოლოგიის პრობლემატიკით ის დაინტერესდა ჯერ კიდევ მანამდის, სანამ მასზე ასე გაცხოველებით ალაპარაკდებოდნენ დასავლეთის ენათმეცნიერული სკოლები.

ასევე თვალსაჩინოა ავტორის შეხედულებანი ენობრივი მოვლენების შეპირისპირებით შესწავლაში. „ორი სიტყვის ერთმანეთისაგან ფონეტიკური განსხვავება, — ამბობდა ის, — შესაძლებელია მხოლოდ დაპირისპირების გზით, და ორი სიტყვის ერთმანეთისაგან განსხვავებულად საკმარისია ერთი დაპირისპირებაც“. ამ აზრის პოსტულირებამ მკვლევარს საშუალება მისცა დაესაბუთებინა, რომ „საწარმოთქმო მოძრაობები ავტომატიზებული პროცესია“, სიტყვაში შემავალ ფონემათა ხმარება ცოცხალ მეტყველებაში სრულდება გაუცნობიერებლად, ე. ი. თითოეული ფონემა, რომლის სხვა ფონემასთან დაპირისპირებაზე ვლაპარაკობდით, გაუცნობიერებელია. მაშასადამე, თვით დაპირისპირებაც წარმოადგენს ჩვევად ქცეულ გაუცნობიერებელ მოვლენას. არავითარ წინასწარ განზრახულ ნებისმიერ დაპირისპირებაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ვინილავთ ბუნებრივად წარმოთქმულ სიტყვებს“. ამიტომ, ავტორის აზრით, ფონემები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა შემთხვევით, არამედ თავისი აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური თვისებებით. ფონოლოგია ჩვენს მეცნიერს გაგებულნი აქვს როგორც ფუნქციონალური ფონეტიკა, მნიშვნელოვანი ეტა-

პი ზოგადი ფონეტიკის, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინის, განვითარებაში. უაღრესად ფასეულია გ. ახვლედიანის წვლილი თანამედროვე ფონოლოგიის წარმატებებში.

სრულიად ახალი სიტყვაა მეცნიერებაში ქართული ენის თანხმოვანი ფონემების ავტორისეული კვალიფიკაცია, მათი პოზიციური განაწილებისა და სახეცვლილებათა კანონზომიერებების დადგენა, რასაც ათობით გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის: „თანხმოვანთა აქცენსიური კომპლექსების სუპერაციის საკითხისათვის“, „ყრუ მედიე ქართულში“, „აბრუპტივები და მკვეთრი ხშულები ქართულში“, „ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების საკითხისათვის“, „დიალექტთა შერევის ორი ნიმუში“ და სხვ. ამ გამოკვლევებმა გ. ახვლედიანს ფართოდ გაუთქვეს სახელი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. მათ მსოფლიო აღიარება აქვთ.

საყოველთაოდ ცნობილია გ. ახვლედიანის შრომები ინდოევროპულ ენათა შესახებ. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მისი დიდად საინტერესო გამოკვლევები, რომლებიც ოსურ ენასა და დიალექტებს ეძღვნება. ის ქართული ოსოლოგიის ფუძემდებელია. ოსოლოგიაში ახალი მიმართულებები შექმნა ავტორის ცნობილმა ნაშრომებმა: „სამი „ტ“ ოსურში და მათი მიმართება ძველი ირანულის შესაფერ ბგერებთან“, „პროთეტული ხმოვნის საკითხი ოსურში“, „ოსური ენის ისტორიისათვის“, „გემინირებული და ნაზალიზებული აფრიკატები ოსური ენის დვალურ დიალექტში“, დაკვირვებანი ი. იალლუხიძის ოსურ მასალებზე, ოსური ენის დიგორულსა და დვალურ დიალექტებზე. 1960 წ. ავტორის ოსური ეტიუდები გამოიცა ცალკე კრებულად, ხოლო 1963 წ. მისივე რედაქციითა და მონაწილეობით გამოვიდა ოსური ენის ფუნდამენტური გრამატიკა, კოლექტიური ნაშრომი, რომელიც გამოირჩევა თავისი მაღალი მეცნიერული დონით. ამ ნაშრომებსაც მსოფლიო აღიარება აქვთ.

გ. ახვლედიანს დიდმნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ჩვენს ლექსიკოგრაფიაში. ქართული ინტელიგენციის, ახალგაზრდობის სამაგიდო წიგნებია მის მიერ შედგენილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ს. იორდანიშვილთან ერთად), „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (ვ. თოფურიასთან ერთად). მისი ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით გამოცემულია ცოდნის მრავალი დარგის ტერმინოლოგია.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჩვენი ავტორი რუსისტიკის განვითარებას. ის ქართული რუსისტიკის აღიარებული მეთაური იყო. ჭერ კიდევ 1919 წ. დაბეჭდა „რუსული ენის გრამატიკა“, ხოლო „რუსული ენის სასკოლო გრამატიკა (ქართული სკოლებისათვის)“, რომე-

ლიც 1938 წ. გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, რუსული და ქართული ენების პირველი შეპირისპირებითი გრამატიკაა. ნოვატორი მეცნიერის მიერ ამ ნაშრომში განვითარებულმა იდეებმა საყოველთაოდ შეისხა ფრთები. ეს წიგნი რუსული ენისა და ლიტერატურის სხვა სახელმძღვანელოებთან ერთად, რომლებიც გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობითაა შედგენილი, დღესაც წარმატებით ემსახურება სკოლას. გ. ახვლედიანმა ბევრი რამ გააკეთა, უაღრესად დიდი პრაქტიკული დახმარება გაუწია ჩვენს საშუალო და უმაღლეს სკოლას რუსული ენის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით შეიქმნა და განმტკიცდა რუსული ენის კათედრები რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ამჟამად ნაყოფიერი შემოქმედებითი სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაა გაჩაღებული, აღიზარდა და იზრდება სპეციალისტთა თაობები.

გ. ახვლედიანის სახელთან ჩვენში დაკავშირებულია ლოგოპედიის, როგორც ფონეტიკის პრაქტიკულად გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, ჩასახვა და განვითარება. მის მიერ შემუშავებული მეთოდებითა და ხერხებით შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული სკოლებში ბავშვის დეფექტური მეტყველების, ენაჩლუნგობის (დისლალია), ენაბლუობის (ლოგონევროზი) და აფაზიის გამოსასწორებლად. ლოგოპედიის პრაქტიკული მნიშვნელობა განუზომელია. ჩვენი მეცნიერის ღვაწლი ამ დარგში უაღრესად თვალსაჩინოა.

გ. ახვლედიანი თავისთავში აერთიანებდა სახელოვანი მეცნიერისა და ბრწყინვალე პედაგოგის ყველაზე საუკეთესო თვისებებს. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე, ერუდიცია და ანალიტიკური ნიჭი მოახმარა ერის სამსახურს, მეცნიერების განვითარებას, ახალი თაობის აღზრდის საშვილიშვილო საქმეს. საოცრად გულისხმიერი და გულჩვილი კაცი უაღრესად პრინციპული და მრისხანე იყო, როდესაც საქმე მეცნიერების პრესტიჟს ეხებოდა. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ათობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, როგორც ქართველური, ისე მთელი რიგი ინდოევროპული ენების (მათ შორის რუსულის, ოსურის, გერმანულის, ფრანგულის, ინგლისურის) გრამატიკული წყობის, ფონეტიკისა და ლექსიკის საკითხებზე. გამოვიდა ასოცზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო შრომის ოფიციალურ ოპონენტად, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა. საგულისხმოა იმის აღნიშვნა, როგორც ფაქტისა, რომ გ. ახვლედიანი იყო ჩვენი დროის იმისთანა გამოჩენილ ლინგვისტთა სადოქტორო დისერტაციების წამყვან ოფიციალურ ოპონენტად, როგორებიც არიან აკაკი შანიძე და

არნოლდ ჩიქობავა, თამაზ გამყრელიძე და გიორგი წერეთელი, შოთა ძიძიკური და სერგი ჟღენტი, თამარ ბელინსკაია და მერი იანქოშვილი, მირა გუხმანი და აგნია დესნიცკაია და სხვები. მისი ბევრი დისერტანტი ქართველებთან ერთად იყო რუსი, ოსი, აზერბაიჯანელი, ყაზახი, სომეხი, ინდოელი, ბენგალიელი და ა. შ. ცნობილმა ინდოელმა მეცნიერმა, პროფესორმა ჭეკ ლიტონისმა, რომლის სადოქტორო შრომის („ბენგალიური ენის გრამატიკა“) ოფიციალურ ოპონენტად გ. ახვლედიანი გამოვიდა, თავისი მადლობა და აღტაცება ოპონენტის მიმართ შემდეგი ვულთბილი სიტყვებით გამოხატა 1962 წ.: „ყოველთვის, როცა ჩემთვის ამ ძვირფას სახელს წარმოვთქვამ, უნებლიეთ ვიგონებ პირველ შეხვედრას. ეს მოხდა ათიოდე წლის წინათ, მაშინ მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის დოცენტად ვმუშაობდი. მახსოვს, მრავალი უძილო ღამის შემდეგ, როგორც იქნა დავასრულე სადოქტორო დისერტაცია. ერთ-ერთმა ჩემმა ახლობელმა მირჩია, მიმემართა სახელგანთქმული ინდოლოგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ახვლედიანისათვის და მეთხოვა ოპონენტობა საჯარო პაექრობაზე. სიმართლე რომ ვთქვა, დიდხანს ვმერყეობდი, როგორღაც უხერხულად მიმაჩნდა შემეწუხებინა მნიშვნელოვანი საქმეებით დატვირთული ადამიანი, რომელიც მოსკოვიდან ათასზე მეტი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდა. რამდენჯერმე მოვკიდე კალამს ხელი წერილის დასაწერად და ისევ შეეჩერდი. და აი, ერთხელ როგორღაც მტკიცედ გადავწყვიტე თბილისში გამგზავრება და სტუმართმოყვარე საქართველოში მასთან შეხვედრა. მართალია, მსცოვან მეცნიერს არ ვიცნობდი, მაგრამ მის მოღვაწეობას თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გულმოდგინედ თვალყურს ვადევნებდი, ვიცოდი, რომ იგი უმნიშვნელოვანესი შრომების ავტორი იყო და ეს ადამიანი მიზიდავდა, უბრალოდ მინდოდა, გადავხვეოდი, მადლობა მეთქვა იმისთვის, რომ საბჭოთა საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა გააცნო ფართო მკითხველს ჩემი ქვეყნის წეს-ჩვეულება, ლიტერატურა“ („თბილისი“, 1962 წ., № 93; შ. ძიძიკური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974, გვ. 571—572).

უკეთესად ძნელია გიორგი ახვლედიანის პიროვნების, საუკეთესო ადამიანური თვისებებისა და ღვაწლის შეფასება.

გ. ახვლედიანი არ ყოფილა კარჩაკეტილი, თავის ნაჭუჭში გახვეული პიროვნება. ის მეცნიერების ორგანიზატორი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მოაწყო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები და კაბინეტები, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს პროფსაბჭოს მეცნიერ-მუშაკთა სექციას, იყო საქართვე-

ლოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და პუბლიცისტულ მეცნიერებათა სამეცნიერო საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე, მოხსენებებით გამოდიოდა მეცნიერთა მსოფლიო და საკავშირო სიმპოზიუმებზე, სესიებზე, დიდ ხანს მუშაობდა ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორად, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად, საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებათმეცნიერებების განყოფილების თავმჯდომარედ, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად, მრავალი სამეცნიერო საბჭოს უცვლელ წევრად, შედიოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელთა შემადგენლობაში, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ და ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, „შრომის წითელი დროშის“, „ოქტომბრის რევოლუციის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით. არჩეული იყო ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრად, ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრად.

ახლა გიორგი ახვლედიანი და ქართველ მეცნიერთა ის შესანიშნავი პლეადა (ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ანდრია რაზმაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი), რომელმაც იტვირთა ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების საშვილიშვილო საქმე და გზა გაუკაფა ახალ ქართულ მეცნიერებას, ეკუთვნიან ისტორიას. ერის სასიქაღულო მოღვაწეთა ამ გუნდიდან ასი წლის აკაკი შანიძე ამ რამდენიმე დღის წინათ გააცილა ქართველმა ხალხმა თავის უკანასკნელ გზაზე. საქმე მათი უკვდავია. დღაწლი მათი მუდამ აღაფრთოვანებს და ღრმა პატივისცემით აღანთებს შთამომავლობას. ქვეყნად სიკეთის მთესველი სიკეთეს მოიმკის უკუნისი უკუნისამდე.

ბოლოს, სიამოვნებითა და მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნოთ, რომ „მნათობის“ რედაქციამ საშუალება მომცა, ეს მოკრძალებული სტრიქონები ჩამომეწერა ჩემი დაუვიწყარი მასწავლებლის ნათელი სახის გასახსენებლად და მისი დაბადების ასი წლისთავის შესრულების აღსანიშნავად.

...იმ საღამოს გიორგი ახვლედიანის ლექცია იყო დანიშნული ფონეტიკაში და ადრე წავედი. უნივერსიტეტის შესასვლელთან თანასტუდენტმა მითხრა: კლუბში საინტერესო დისპუტია, მოდი, იქ შევიდეთო. საყვარელი პროფესორის ლექციის გაცდენა დამენანა (თუმცა დასწრება სავალდებულო არ იყო), მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მაინც წამძლია და კლუბისაკენ გავუხვით. მრავალრიცხოვან აუდიტორიას მოეყარა თავი. მიმდინარეობდა ცხარე კამათი პოლიტეკონომიის საკითხებზე. დინჯად ლაპარაკობდა გამხდარი ახალგაზრდა, რომლის დარბაისლურმა ქართულმა მომხიბლა. მკათოდ გამოთქვამდა ყოველ სიტყვასა და ფრაზას. ზეპირად იმოწმებდა ადგილებს მარქსისა და რიკარდოს წიგნებიდან. ხელში არაფერი ეჭირა. აუდიტორია ინტერესით უსმენდა. — ვინაა-მეთქი, — წავჭურჩულე გვერდში მჯდომ სტუდენტს. — ვერ იცანი? სახელოვანი ეკონომისტი ბიძინა რამიშვილიაო, — უკმაყოფილოდ მიპასუხა უცნობმა.

შემდეგ რამდენიმე ორატორი კიდევ გამოვიდა, მაგრამ მათგან მხოლოდ მოსე გოგიბერიძის სახელი და გვარი დამამახსოვრდა. ესეც ახალგაზრდა იყო და უფრო ჩქარა ლაპარაკობდა, ვიდრე წინა ორატორი. არჩევდა ეკონომიკური კატეგორიების ფილოსოფიურ არსს. ზეპირად იმოწმებდა ჰეგელისა და მარქსის ციტატებს. აუდიტორია ამასაც სულგანაბული უსმენდა. შევიშმუშნე, როცა მან ფილოსოფიის სიღრმისეულ პრობლემებზე მსჯელობისას ფრაზაში გურულიზმები გამოურია. რამდენიმე იმისთანა გამოთქმა იხმარა, ბაბუაჩემისაგან რომ მქონდა გაგონილი დვაბზუში. — ეს რატომ გიკვირს, ძამია, ცოდნას უყურე, ცოდნას, შეხედე რა მომზადება აქვსო, — უკმაყოფილოდვე გაღმომიგურულა მეზობელმა. ახალბედა სტუდენტმა ძველ სტუდენტს შეკამათება ვერ გავუბედე, მაგრამ ერთი ორატორის რაფინირებული ქართულის გვერდით მეორის თავისებური მეტყველებით გაკვირვებული კი დავრჩი.

გვიან, როცა კამათი დამთავრდა და ყველა წავიდ-წამოვიდა, უცნობმა სტუდენტმა ზელი ჩამავლო და მკითხა: სადაური ხარ, საიდან ჩამოდიო?...

ასე გავიცანი „დამწყებმა სტუდენტმა“ „ძველი სტუდენტი“ იოსებ მეგრელიძე, რომელსაც ყველა სოსოს ეძახდა. ეს იყო 1929 წლის შემოდგომა, მღელვარე ჟამი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ინგროდა ყველაფერი, რასაც ძველს ეძახდნენ, თითქოს შენდებოდა ახალი, საოცნებო, უნივერსიტეტში ყველაზე მეტად იგრძნობოდა ახალი ქარტახილი. სიახლის ერთ-ერთი მკათიო მაჩვენებელი ის იყო, რაღ უნი-

ვერსიტეტისაკენ გზა გაეხსნა მშრომელთა ფენებიდან გამოსულ ჰაბუკებსა და ქალიშვილებს, აქ მოვარდა სოფლის ახალგაზრდობის მძლავრი ტალღა. ჩვენ, ორივე, გურიიდან ჩამოვედით, ის აღრე — ხიდისთავიდან, მე გვიან — დვაბზუდან. უნივერსიტეტის დერეფნებში ისმოდა გაბმული საუბარი ჩვენი დედაენის ყველა კილოზე, ისმოდა სვანური, მეგრული სიტყვა-პასუხი.

ეს გახლდათ ეპოქა, როცა ქალაქი თბილისი ეთხოვებოდა აღმოსავლურ ეგზოტიკას, სცენიდან ჩამოდიოდნენ კინტო და ყარაჩოღელი, ხოლო მათ გულამომქდარი ემშვიდობებოდა ძველი და ახალი თბილისის უბადლო ტრუბადური იოსებ გრიშაშვილი.

დიდი ხანი, მთელი ნახევარი საუკუნე გავიდა ამის შემდეგ. დღეს თბილისი სულ სხვაა, თანამედროვეობის უმშვენიერესი ქალაქი გახდა მრავალსართულიანი ნაგებობებით, ახალი კვარტალებით, განიერი და კრიალა პროსპექტებით, ახალი წარმოებებით, სკოლებით, უმაღლესი სასწავლებლებით, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით. გაიზარდნენ ადამიანებიც. თავად იოსებ მეგრელიც ახლა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა. მისი სახელი ცნობილია ჩვენშიცა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქეთაც. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ავტორი 350-ზე მეტი დასახელების ნაშრომისა, აღმზრდელი პედაგოგთა ახალი თაობებისა, თავდადებული მამულიშვილი, დაუღალავი მკვლევარი ქართული ენისა და კულტურისა, გულისხმიერი მეგობარი, ფილოლოგოსი ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, — ასეთია ი. მეგრელიძის ცხოვრება და მოღვაწეობა თვალის ერთი გადავლებით. მისი მოღვაწეობა ღრმა შინაარსის ფაქტებითაა მდიდარი.

იოსებ მეგრელიძემ პირველი მეცნიერული წრთობა თბილისის უნივერსიტეტში მიიღო. აქ ისმენდა იგი ქართული მეცნიერების კორიფეების ლექციებს და ხალისით მონაწილეობდა მათ სემინარებში. საასპირანტო კურსი გაიარა ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში, სადაც იმ დროს ბობოქრობდა მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელი, უბადლო ცოდნის მეცნიერი ნიკო მარი. ასპირანტურაში ის თავად ნ. მარის რეკომენდაციით ჩაირიცხა და ამავე მეცნიერის ხელშეწყობით დაუახლოვდა ფილოლოგიური მეცნიერების შესანიშნავ სკოლებს, რომელთაც სათავეში უთვალსაჩინოესი მეცნიერები ედგნენ. ლენინგრადი იმ ხანად იყო მეცნიერების საქვეყნოდ განთქმული ცენტრი, საითყენაც ცოდნის გასაღრმავებლად მოისწრაფოდნენ არა მარტო ერთი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მრავალი კუთხიდან როგორც ახალგაზრდა, ისე ხანდაზმული ადამიანები. ი. მეგრე-

ლიქ უშუალოდ მონაწილეობდა ნიკო მარისა და ივანე მეშჩანინოვის სემინარებში, კონსულტაციებს იღებდა განთქმული მეცნიერების — იოსებ ორბელისა და ეგნატე კრაჩკოვსკის, ვასილ სტრუვესა და ვლადიმერ შიშმაროვის, ლევ შჩერბასა და იური სოკოლოვის, მარკ აზადოვსკისა და ნიკოლოზ ანდრეევის, კარპეზ დონდუშასა და ვასილ აბაქეისაგან. ამათი თანდასწრებით კითხულობდა მოხსენებებს ქართველური და დიდოური ენების სტრუქტურის, ქართული ხალხური სიბრძნისა და ტექსტოლოგიის საკითხებზე. მაშინ ი. მეგრელიძესთან ერთად იმალლებდნენ იქ ცოდნას კიტა მეგრელიძე და ვარლამ დონდუა, სერგი ჯიქია და გიორგი წერეთელი, შოთა ძიძიგური და მიხეილ ჩხაიძე, მიხეილ ჩიქოვანი და სერგი ჟლენტი, მაკარ ხუბუა და სხვები, რომელთაც საშობლოში დაბრუნების შემდეგ მთელი ეტაპი შექმნეს ქართველოლოგიის განვითარებაში. მის მხარდამხარ გაიარეს საასპირანტო კურსი ჩვენი მეცნიერების ისეთმა საქვეყნოდ ცნობილმა მოღვაწეებმა, როგორც არიან ფედოტ ფილინი და აგნია დესნიცკაია, მირა გუხმანი და სოლომონ კაცნელსონი, გიორგი სერდუჩენკო და ნიკოლოზ ჩემოდანოვი, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ჩვენი ენათმეცნიერების აყვავებაში.

ი. მეგრელიძემ აქ გამოაქვეყნა რამდენიმე საუკეთესო შრომა, რომლებიც მიეძღვნა ქართველური ენების სტრუქტურის, ლექსიკის, დიალექტების, ქართული ეპიგრაფიკის, ტექსტოლოგიის, ტოპონიმიკისა და ფოლკლორის სისხლხორცეულ საკითხებს, ავტორის მონოგრაფიები — „ქალთა გვარების დაბოლოებები სამხრეთ კავკასიის ენებსა და ფოლკლორში“, „ლაზურისა და მეგრულის ფენები გურულში“, ნარკვევები ქართული ენის გურული, აჭარული და იმერული დიალექტების თავისებურებათა შესახებ ძვირფასი წვლილია მეცნიერებაში. ამ ნაშრომებში პირველადაა გარკვეული ბევრი რთული საკითხი ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკისა და ისტორიის პრობლემატიკიდან. ქართველური ენების ბგერით სისტემაზე დაკვირვების შედეგად მან შეძლო ეჩვენებინა ბგერათშესატყვისობის, ბგერათშერწყმისა და ბგერათკომპლექსების კანონზომიერებანი ქართული ენის დასავლურ დიალექტებში და წამოეყენებინა მოსაზრება, რომელიც ასეა ფორმულირებული: „ქვემო იმერული კილო ძველი ენობრივი ფენებით უფრო მეგრულს უახლოვდება, ხოლო გურული და აჭარული კი — ჭანურსო“. მკვლევარმა ახალი ასპექტით განიხილა ქართული მიკრო- და საკუთრივ ტოპონიმიის წარმომავლობის საკითხი და მოგვცა მრავალი ძველი ტოპონიმის ოპტიმალური ეტიმოლოგია, რომელიც დღესაც მიღებულია.



ი. მეგრელიძეს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი ქართულ ფოლკლორისტიკაში. ტრადიციულ ჟანრებთან ერთად მან შეისწავლა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიმართება ხალხური შემოქმედების სამყაროსთან. ამ პრობლემას მიეძღვნა მონოგრაფია „რუსთაველა და ფოლკლორი“, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა. აღნიშნავ როგორც საგულისხმო ფაქტს: მონოგრაფიის შესახებ 20-ზე მეტი რეცენზია გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ, უნგრულ, პოლონურ ენებზე. მონოგრაფიაში უმდიდრესი მასალის საფუძველზე დასაბუთებულია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალობა. რუსთაველოლოგიის პრობლემებს უძღვნა ავტორმა 60-ზე მეტი დასახელების ნარკვევი, რომლებშიაც განხილულია პოემის ენის, ლექსიკის, შესწავლის ისტორიის, ქართველ და უცხოელ მკვლევართა ღვაწლისა და სხვ. საკითხები.

ცნობილია ი. მეგრელიძის ნარკვევების სერია: „ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები“ (დაიბეჭდა ათ ნაკვეთად), ხალხური პოეზიისა და სიმღერის საწყისების, ქართულ ფოლკლორში ტორეადორობის კვალის, ბიბლიური და მითოლოგიური სიუჟეტების, დიონისეს, აგუნას კულტისა და სხვ. საკითხებზე. აღმოაჩინა საიათნოვას რამდენიმე უცნობი ლექსი და გამოაქვეყნა საინტერესო კომენტარებით. შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე ცნობილი მთარგმნელის, უდროოდ დაღუპული უკრაინელი პოეტის, პ. პეტრენკოს არქივი, რასაც უძღვნა საინტერესო სტატია, რომელიც მაშინვე ითარგმნა უკრაინულ ენაზე.

ვის არ წაუუკითხავს ჩვენი ავტორის მშვენიერი მოგონებები ნ. მარის, ალ. სვანიძის, ი. ჭავჭავიძის, ი. მარის, ი. მეშჩანინოვის, ა. შანიძის, ი. ორბელის, ე. თაყაიშვილის, გ. ახვლედიანის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ვ. სტრუვეს, კ. ჩხენკელის, კ. მეგრელიძის, მ. გოგიბერიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ცოცხლად დაწერილ მოგონებებში დამოწმებულია მრავალი უცნობი ფაქტი, მოხმობილია ჭერ კიდევ გამოუქვეყნებელი საარქივო მასალა.

ყველა ეს შრომა დაბეჭდილია ავტორიტეტულ გამოცემებში ქართულ, რუსულ, სომხურ, პოლონურ, უზბეკურ, ყირგიზულ, აფხაზურ, ოსურ და სხვ. ენებზე. ბევრ მათგანზე გამოქვეყნებულია გამომხატურება — რეცენზიები როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ი. მეგრელიძის ტექსტოლოგიური ძიებანი და პუბლიკაციები. ის, რაც მან ამ დარგში გააკეთა, ჭეშმარიტად საშურიია. აკად. ე. კრაჩკოვსკისა და ი. მეგრელიძის რედაქციით პირველად დაიბეჭდა ნ. მარის ურთულესი კაპიტალური ნაშრომი „სინის მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობა“ (ლენინგრადი,

1940 წ.); აკად. ი. მეშხინიანისა და ი. მეგრელიძის რედაქციით გამოვიდა ნ. მარის შრომათა დიდი კრებული „აზხათა ენისა და ისტორიის საკითხები“ (ლენინგრადი, 1938 წ.), საკუთრივ ჩვენე ავტორის რედაქციითა და კომენტარებით გამოიცა იური მარის შრომათა ორტომეული (ლენინგრადი, 1936, 1938 წწ.), ვ. ბერიძის (1961 წ.), მ. გოგიბერიძის (1961, 1978 წწ.), იუსტ. აბულაძის (1967 წ.), კ. მეგრელიძის (1965 წ.), ჯ. ნოლაიძელის (1967, 1973, 1975 წწ.) შრომათა კრებულები და ყველა მათგანს სამეცნიერო საზოგადოებრივობის დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. კერძოდ, კ. მეგრელიძის მონოგრაფიის პუბლიკაციამ, როგორც ცნობილია, მსოფლიო აღიარება პოვა. ამ გამოცემას შესანიშნავი რეცენზია უძღვნა გაზ. „პრავედამ“ (13, II, 1967 წ.).

იური მართან ერთად ი. მეგრელიძემ შეადგინა „აღმოსავლური შრიფტის სახელმძღვანელო“, რომელიც სამჯერ გამოცა ლენინგრადში (1938, 1963, 1964 წწ.).

ძნელია მცირე წერილში ყველაფრის აღნუსხვა. იოსებ მეგრელიძე ჩვენი კულტურისა და მეცნიერების დაუღალავი მოღვაწეა. მეცნიერულ ძიებას უთავსებს პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობასაც. წლების განმავლობაში ქართული ენის კურსებს კითხულობდა თბილისის, გორის, სოხუმის, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, მონაწილეობდა მრავალ სამეცნიერო ექსპედიციაში დიალექტური, ლექსიკური, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების შესაგროვებლად. მის მიერ ადგილებზე შეკრებილი მასალა რამდენიმე ტომს შეიცავს, ჯერხნობით კი მისი მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. ხშირად გამოდის საჯარო ლექციებით ქალაქებისა და სოფლების აუდიტორიათა წინაშე. პროფ. ი. მეგრელიძე წლების განმავლობაში მოღვაწეობდა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მან სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ღრმა პატივისცემა დაიმსახურა. მის მიერ აქ აღზრდილი თაობები ამჟამად დამოუკიდებლად მუშაობენ როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ისე რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

პატრიოტი მეცნიერი ჩვეული ხალისით განაგრძობს სანუკვარ საქმეს. თავის მეშვიდე ათეულ წელს ბარაქიანი მოსავლით ხვდება. ღრმა ცოდნას, დაუშრეტელ ენერჯიას ახმარს სიკეთეს. უკვე ერგასისო წელიწადია დგას ხალხის სამსახურში. ღირსეული მამულიშვილის საქმე და გარჯა მაგალითია შთამომავლობისათვის, ვუსურვოთ მას ახალი წარმატებები და მრავალი შემოქმედებითი სიხარული.

1979 წ.

აკაკი ჭყონია.

ცოტა ვინმეს თუ ახსოვს დღეს ეს სახელი. დასანანი, რომ მის ზსოვნას ბინდი ჩამოეთარა. დასაეიწყარი კი არ ყოფილა. პირიქით. აკ. ჭყონია ქართული კულტურის ერთ-ერთი თავდადებული მშენებელი იყო. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1923 წ. მოღვაწეობა დაიწყო ჟურნალისტიკის დარგში. 1925 წ. მოსკოვშივე დაამთავრა ჟურნალისტიკის ინსტიტუტი და თავისი ბედი „კომუნისტის“ რედაქციას დაუკავშირა, სადაც 1932 წლამდის მუშაობდა კოლეგიის წევრად და რედაქტორის მოადგილედ. ნიკო კიკნაძესთან ერთად ის ახალი ქართული ჟურნალისტიკის აკვანთან იდგა. ვისაც ოციან-ოცდაათიანი წლების „კომუნისტი“ უფურცლავს, ამაში ღრმად დარწმუნდება. მაგრამ მისი სტიქია მარტო ჟურნალისტიკა არ ყოფილა. აკ. ჭყონია ქართული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი მეაბჯრე, ხელოვნების ქომაგი, მეცნიერების ორგანიზატორი იყო. სრულიად ახალგაზრდა, 39 წლისა, წავიდა ჩვენგან, დაიღუპა ტრაგიკულად. მისი განუყრელი მეგობარი, ნიკო კიკნაძე, 1937 წლის 30 მაისს ღრმა მწუხარებით იუწყებოდა ოჯახთან ერთად: მტრის ხელით დაიღუპა ძვირფასი მეგობარი აკაკი ჭყონიაო.

აკ. ჭყონია ჩემს წარმოდგენაში დარჩა, როგორც ნათელი სახე, კალამაუბერალი ჟურნალისტი, შესანიშნავი რედაქტორი, მრავალი წამოწყების თაოსანი და სულისჩამდგმელი, ახალგაზრდა მწერლებისა და ჟურნალისტების მასწავლებელი, მაღლიანი ქართული გამონათქვამის საოცარი არქიტექტორი. ავტორის ცოცხალი ფრაზა გემოვნებით შერჩეული ლექსიკით კაცს გულში სწვდებოდა. წაიკითხეთ მისი რომელიმე ნარკვევი, თუნდაც „მოწინავეთა ძახილი“, „ახალი გურია“, „ჯოდუციანის თამბაქო“, „ამბები მოსკოვზე“, „ნავთი კახური“, ცალკე წიგნებად რომაა გამოცემული, წაიკითხეთ მისი ცნობილი გამოკვლევა „ნიკოლოზ ბარათაშვილი — პოეტი და მოქალაქე“, პირველი მონოგრაფია დიდი ქართველი რომანტიკოსის შემოქმედებაზე, და დარწმუნდებით თქმულის ქვეშაირებაში. იგი ავტორია სოფლად და ქალქად ახალი ყოფის დამკვიდრებისადმი მიძღვნილი ნარკვევების სერიისა, რომლებიც შემდეგ ცალკე წიგნებად გამოიცა. მშვენიერი ნარკვევი უძღვნა მან გიორგი ბარკალაიას ცნობილ გამოგონებას, რომელიც ენციკლოპედიებსა და ცნობარებში „ბარკალაიტის“ სახელითაა შესული. ეს ნაშრომი 1932 წ. ცალკე წიგნად გამოიცა — „ჯემს

უატი ნოსირიდან“, რომელიც ამჟამადაც ცხოველი ინტერესით იკითხება.

აჟ. ჭყონიას პირველად ოცდაათიანი წლების დასაწყისში გავეცანი გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში. უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა იქ დავიწყე მუშაობა განყოფილების გამგის თანამდებობაზე და ის რედაქტორმა, ნიკო კიკნაძემ, გამაცნო. განყოფილება კი, რომელიც მე ჩამაბარეს, აჟ. ჭყონიას ექვემდებარებოდა. განყოფილება-მეტეი, ვამბობ, თორემ რა განყოფილება იყო, ერთადერთი კაცი ვმუშაობდი. რედაქციაში დამხვდნენ გამოცდილი ჟურნალისტები ი. აგლაძე და გ. კვარაცხელია, კ. ჩარკვიანი და ა. კელენჯერიძე, დ. გვაზავა და ვ. მაჭავარიანი, აჟ. იმნაძე და ალ. ჩიქოვანი, გ. მერკვილაძე და ვ. მთვრალაშვილი, ა. ჭოჭუა და ა. ალიბეგაშვილი, რ. გვეტაძე და გ. გიორგაძე, ვ. მგალობლიშვილი და აპ. ნუცუბიძე, დ. ლომთაძე და ვ. ჭიბუტი, პრესის მაშინდელ მოღვაწეთა მთელი პლეადა.

აჟ. ჭყონიასთან გატკბილქართულება ყოველთვის სასიამოვნო იყო. მის კაბინეტში თავს იყრიდნენ მწერლები, მეცნიერები, ჟურნალისტები, მთარგმნელები. აქ ჩვეულებრივ ვხვდებოდი მ. ჭავჭავაძისა და გ. ქიქოძის, კ. გამსახურდიასა და დ. შენგელაიას, ალ. ახმეტელსა და ი. გრიშაშვილს, გ. ტაბიძესა და ალ. მაშაშვილს, ბ. იაშვილსა და ტ. ტაბიძეს, გ. ლეონიძესა და გ. ქუჩიშვილს, ს. ეულსა და ნ. ზომლეთელს, შ. რადიანსა და ბ. ბუაჩიძეს, რ. გვეტაძესა და პ. საყვარელიძეს, ვ. ბერიძესა და ქ. რაჭველიშვილს, ა. დუდუჩავასა და ვ. ლუარსაშიძეს. იმართებოდა ცხარე კამათი ლიტერატურისა და ხელოვნების მწვავე საკითხებზე.

ერთხელ მასთან გ. ქუჩიშვილი მოვიდა და რაღაც ნარკვევი მოიტანა: შევესწარი დავას. გ. ქუჩიშვილმა ჩვეული სიღინჯით უთხრა:— შე კაცო, ყველას შენებრი კალამი ხო არ ექნებაო! კამათი არ გავრძელებულა. ნარკვევი, მგონი, უცვლელად დაიბეჭდა. მახსოვს ამისთანა შემთხვევა. გარდაიცვალა ერთი გამოჩენილი, პატივსაცემი მეცნიერი და მის შესახებ ასევე ცნობილმა მეცნიერმა ვრცელი წერილი მოიტანა გამოსაქვეყნებლად. აჟ. ჭყონიამ ის დაიწუნა, ჯერ შეამოკლა, გადახაზ-გადმოხაზა, რამდენიმე ფრაზა ჩაამატა და შემდეგ გადმოშტა, ჩაასწორე და მოამზადეო. მე რაღას ჩავასწორებდი, შემოკლებული ტექსტი მემანქანეს გადავაბეჭდვინე, რუსული ფრაზები ხელით ჩაეწერე და წარუვდგინე. არც ეს ვარიანტი მოეწონა. მემანქანე მონხმო და სრულიად ახალი ტექსტი ზეპირად უქარნახა. ავტორს, ცხადია, დაბეჭდილი წერილის ცნობა გაუჭირდა, მაგრამ კმაყოფილი დარჩა და აჟ. ჭყონიას გულითადი მადლობაც მოახსენა.

დახვეწილი სტილი ჰქონდა. მთელი გაზეთის მასალას ჩქარა გადაიკითხავდა ხოლმე, ყველა წერილსა და შენიშვნას გაჰკარავდა ხელს, სათაურთა უმეტესობას შეცვლიდა და ისე გადასცემდა ასაწყობად. ხშირად ბექდავდა მეთაურებს, მაგრამ არ მანსოვს, რომ ისინი დაეწერა, ჩვეულებრივ, კარნახობდა ხოლმე მემანქანეს. კორექტურას კი გულდასმით კითხულობდა.

ერთხელ რედაქციაში ახალი თანამშრომელი (ვასო მექვაბიშვილი) მიიღეს, მაგრამ სამუშაო ადგილი ვერ გამოუნახეს. ბოლოს მხატვარ ვ. კროტკოვის გრძელ მაგიდას მოუსვენს. მაგიდა საღებავებით იყო გათხერილი და თავაზიანი მხატვრის ბოდიშების მიუხედავად ახალი თანამშრომელიც სულ საღებავებში იყო ამოსვრილი. ხანი გამოხდა, ვ. მექვაბიშვილისათვის ადგილი ვერა და ვერ გამოიძებნა. ერთხელ მან სახუმარო ლექსი დაწერა და აკ. ჭყონიას მაგიდაზე დაუდო. სახუმარო ლექსი, სხვათა შორის, ასე მთავრდებოდა: „უმაგიდ-უსკამ-უმელნოდ მე სანამდე უნდა ვიყო, ან თუ იცის და რას ამბობს ამ საქმეზე ნეტავ ნიკო? მაგიდაზე რომ ვუზივარ ამ ჩვენს მხატვარს ვასილ კროტკოვს, თუ „გაკუჭდა“ ერთხელ იგი, მუშგლენხინში პასუხს მომთხოვს“. ლექსმა ყველას ღიმილი მოჰგვარა. აკ. ჭყონიამ ის რედაქტორსაც წააკითხა; მრისხანე გამომეტყველების ნ. კიკნაძესაც სახეზე ღიმილმა გადაურბინა და ახალ თანამშრომელს იმავე დღესვე გამოუძებნეს სამუშაო ადგილი და ბინაც მისცეს.

აკ. ჭყონია ყოველთვის მზრუნველობდა ახალგაზრდა, ნიჟიერ ჟურნალისტებზე. განსაკუთრებით უყვარდა აკ. იმნაძე, ალ. ჩიქოვანი, ვ. მგალობლიშვილი, გ. გიორგაძე. მათ პასუხსაგებ დავალებებს აძლევდა, მივლინებებში გზავნიდა და ხშირად მათთან ერთად წერდა საგაზეთო ნარკვევებსაც. გულითადი მეგობრობა აკავშირებდა ევგ. წულაძესთან, რედაქციის მდივანთან, რომელთან ერთად დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტი, სწავლობდა აკად. პისარჟევსკის ხელმძღვანელობით და ქებას ასხამდა მის ელექტროიონურ თეორიას.

რამდენიმე წელიწადს რედაქტორობდა გზ. „კოლექტივიზაციას“, სადაც კიდევ უფრო ფართოდ გაშალა ჟურნალისტური საქმიანობა. მოკლე ხანში ირგვლივ შემოიკრიბა მწერალთა და ჟურნალისტთა მთელი პლეადა (გ. ლეონიძე, რ. ქორქია, პ. აბრამია, ლ. ჭიჭინაძე, ვლ. თორღუა, ამბ. გაჩეჩილაძე, ი. ჩიტაია, ლ. ხომერიკი, ლ. ასტვატურაშვილი, შ. ცინცაძე და სხვ.) და „კოლექტივიზაცია“ რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, საყოველთაოდ საკითხავ გაზეთად გადააქცია. იმ წლებში „კოლექტივიზაციაში“ ბევრი ახალგაზრდა მწერალი და ჟურნალისტი გაიზარდა. ეს უნდა ითქვას, კერძოდ, ვლ. თორ-

ღუაზე, რომლის ნარკვევები ხშირად გაზეთის ორ-სამ გვერდსაც მოიცავდა. გაზეთი მრავალ წამოწყებას მეთაურობდა. ვანსაკუთრებით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილესათვის მზადების წლებში. „კოლექტივიზაციამ“ გამოაცხადა შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული ლაშქრობა ხალხური შემოქმედების ნიმუშების შესაგროვებლად. გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში ქვეყნდებოდა ადგილებზე ჩაწერილი ხალხური ლექსები. კულტურული ლაშქრობა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ერის სულიერ ცხოვრებაში. „როდესაც გაზეთმა „კოლექტივიზაციამ“ გამოაცხადა შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული ლაშქრობა, რედაქცია გულისხმობდა ახალი საქართველოს სინამდვილეში წარმოშობილ და დღემდე ხალხში შენარჩუნებულ ზეპირსიტყვაობის შეგროვებასო“, — წერდა აკ. ჭყონია, და ეს კეთილშობილური მიზანი ლაშქრობამ ნამდვილად გაამართლა. გაზეთში გამოქვეყნებული ხალხური შემოქმედების საუნჯე შემდეგ სამ წიგნად გამოიცა აკ. ჭყონიასვე რედაქციითა და წინასიტყვაობით. „საუნჯის“ მესამე წიგნის წინასიტყვაობაში (1936 წ.) აკ. ჭყონია წერდა: „საუნჯის“ მესამე ტომიც გამოვიდა. ამრიგად ვამთავრებთ იმ დიდძალი მასალის ნაწილობრივ წიგნებად გამოშვებას, რომელიც გაზეთმა „კოლექტივიზაციამ“ შეაგროვა თავისი მრავალრიცხოვანი კორესპონდენტების დახმარებით. ხალხური შემოქმედების დანარჩენი ნიმუშები, დაახლოებით ათი-ათასამდე ცალი, შესაფერისად დახარისხებული, გადაეცეით საქართველოს ლიტ. მუზეუმის დირექციას, პოეტს ამხ. გ. ლეონიძეს, მუზეუმის საკუთრებადო“. დიდი ნაწილი აკ. ჭყონიას თაოსნობით შეგროვებული ფოლკლორული მასალისა შევიდა „ქართული ხალხური პოეზიის“ თორმეტტომეულში, რომელიც „მეცნიერებამ“ გამოსცა 1972—1984 წლებში.

1933 წ. აკ. ჭყონია სათავეში ჩაუდგა თბილისის უნივერსიტეტთან შექმნილ ახალ სამეცნიერო ცენტრს — ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტს („ელზი“), სადაც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გაიშალა მრავალი მიმართულებით. ჩამოყალიბდა ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების სექციები, რომელთა ერთ-ერთ ძირითად მიზნად შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესათვის მზადება დაისახა. აქ თავი მოიყარეს ქართული მეცნიერებისა და კულტურის ძველი და ახალი თაობის საუკეთესო ძალებმა (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. ბერიძე, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა, ვ. კოტეტიშვილი, მ. ზანდუკელი, ალ. ბარამიძე, იუსტ. აბულაძე, ილ. აბულაძე და სხვ.) და ფართო მასშტაბის შემოქმედებითი ძიება გაჩაღდა.

მალე აკ. ჭყონიას მოღვაწეობას ახალი სარბიელი მიეცა: 1935 წ. დაინიშნა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორად. მეტად რთული მოვალეობა დაეკისრა ახალგაზრდა კაცს. ის დიდი სიყვარულითა და მონდომებით ჰკიდებს ხელს მისთვის ახალ საქმეს, იბრძვის თეატრის გარდაქმნისა და შემოქმედებითი აღმავლობისათვის. მთელ თავის უშრეტ ენერგიას ახმარს მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის მზადებას (ჩატარდა 1937 წ. იანვარში); საყოველთაოდ ცნობილია დეკადის შედეგები, რომლის ექო ახლაც ისმის. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დადგმებმა მ. გორკის სახელობის დიდ თეატრში მოსკოველებზე წარუხოციელი შთაბეჭდილება მოახდინა. დეკადამ შორს გაუთქვა სახელი ქართულ ეროვნულ ხელოვნებას. ჩვენი მხატვრული კოლექტივების შემოქმედებითს წარმატებებს მრავალმხრივ შეუწყო ხელი აკ. ჭყონიას ორგანიზატორულმა ხელმძღვანელობამ. ამის შესახებ გაზ. „კომუნისტი“ მაშინ (1937 წ., № 122) წერდა: „იმ დიდ გამარჯვებაში, რომელიც მუსიკალურმა კულტურამ მოიპოვა, საკმაოდ დიდ წვლილი მას ეკუთვნის. მუშაობის სათანადო გამოცდილებით აღჭურვილი აკ. ჭყონია მთელ თავის ძალას ანდომებდა ეროვნულ საოპერო ხელოვნების შემდგომი ზრდის ამოცანათა განხორციელებასო“. „პრადამ“ ამ დეკადას „საბჭოთა ხელოვნების ტრიუმფი“ უწოდა. თავად აკ. ჭყონია კი დეკადის წარმატებათა შესახებ წერდა: „თუ მოსკოვის პრესა, თბილისის ოპერას რომ გაეცნო, აკუთვნებს მას პირველხარისხოვანი თეატრების რანგს, ამას ჩვენ მივალწიეთ იმით, რომ გვყავს შესანიშნავი არტისტები, რომელთა დიდი უმრავლესობა ჩვენმა სკოლამ გამოზარდაო“ („კომუნისტი“, № 3, 1937 წ.).

მთავრობამ დეკადის მონაწილენი ორდენებითა და საჩუქრებით დააჯილდოვა. „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა აკ. ჭყონიაც. ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივში აკ. ჭყონიამ ღრმასიყვარული დაიმსახურა. თავად თვითონ და მისი მეუღლე, ალექსანდრა ჭყონია, თარგმნიდნენ და აქართულებდნენ კლასიკური ოპერების ლიბრეტოთა ტექსტებს, ხვეწდნენ მომღერალთა სტილს. მათი კეთილი ნაკვალევი ახლაც ნათლად ჩანს.

1936 წ. „სახელგამმა“ აკ. ჭყონიას რედაქტორობითა და წინასიტყვაობით დაბეჭდა ქართული მხატვრული მწერლობის ანთოლოგია, კაპიტალური ერთტომეული, რომელშიაც 47 ქართველი მწერლის საუკეთესო თხზულებები შევიდა. წინასიტყვაობაში რედაქტორი ამბობდა: „ქართული მხატვრული სიტყვის ანთოლოგია, რომელშიც წარმოდგენილია ჩვენი მწერლობის უმრავლესობა, ამ მხრივ

ღირსშესანიშნავ ლიტერატურულ დოკუმენტად ჩაითვლება; იგი არის ჩვენი მწერლობის 15 წლის პერიოდი, იგი ცხადყოფს ჩვენი ლიტერატურის უდავო აღმავლობას, ისაა ჩვენი ქვეყნის მხატვრული სიტყვის მოქანდაკეთა გაღერება საქართველოში. ჯერ კიდევ არ მოსულა ჩვენი დროის რუსთაველი და ბარათაშვილი, ისინი კი უსათუოდ მოვლენო“.

1937 წ. 28 მაისს ტრაგიკულად შეწყდა აკ. ჭყონიას გულისცემა. ბევრი ახალი სასიკეთო ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. მისი ოცნება იყო, რათა ძმისწულს, პატარა ლამარას, რომელსაც იგი სათუთად უვლიდა და შეილივით ზრდიდა, საოპერო განათლება მიეღო. ტკბილი ოცნება ასრულდა: ლამარა ჭყონიამ საყვარელი ბიძის ანდერძი სასახელოდ შეასრულა.

ეს მცირე გახსენება მინდა დავამთავრო სურვილით: შეიკრიბოს აკ. ჭყონიას რჩეული ნაწერები (წიგნები, ნარკვევები, სტატიები) და გაპოიცეს ცალკე წიგნებად, რომ შთამომავლობა უფრო ახლოს გაეცნოს ღირსეული მამულიშვილის მემკვიდრეობას. ამით უეჭველად საშური საქმე გაკეთდებოდა.

1985 წ.

## ხალხური ეპოსის ბამოჩენილი მკვლევარი

ქართული ხალხური ეპოსის პრობლემატიკა უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე შეუწელებელი ინტერესის საგნად იქცა. ეპიკურ ციკლებს ფოლკორული და ისტორიული თვალსაზრისით ნაყოფიერად იკვლევდა მეცნიერთა მთელი პლეადა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურაც იყო შექმნილი, რაც კარგადაა ცნობილი. ყოველივე ეს, რაღა თქმა უნდა, საგანგებოდ აღსანიშნავია და ღრმად გასათვალისწინებელი მოვლენები, ქართული ეპოსის ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების მაინც დასაწყისი იყო, ყამირზე პირველი ხნულის კვალი რომ დატოვა. პრობლემის კომპლექსური შესწავლა მომავლის საქმედ ივარაუდებოდა. ჩვენი საუკუნის ოცდაათიან-ორმოცდაათიან წლებში ქართული ეპოსის (ამირანიანი, ეთერიანი, როსტომიანი, ტარიელიანი) კვლევა ახალი მიმართულებებით განვითარდა და როგორც ფოლკლორსა და მითოლოგიას, ისე ფილოსოფიური აზრის ძირების კვლევის სისხლხორციულ საკითხებს დაუკავშირდა. გამოჩნდა შორს-გამიზნული ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთაც აღძრული ინტერესის ფარგლები კიდევ უფრო შორს გაწიეს. ქართული ეპოსის ახალი მიმართულებით კვლევა-ძიებაში თვალსაჩინო წვლილი შეი-



ტანა მიხ. ჩიქოვანმა, რომლის შრომებში პრობლემა ფართო პლანით, სხვადასხვა განზომილებითაა აწონილ-დაწონილი და განხილულია ეპოსის მოძღვრების სადღეისო მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად. სარწმუნოდ დასაბუთებული და უდავოა მიხ. ჩიქოვანის შეხედულება იმის შესახებ, რომ ქართული ეპოსის შესწავლა სწორედ ამირანიანით უნდა დავიწყოთ, „რადგან მიჯაჭვული ამირანის თქმულება ყველაზე ძველი ეპიკური ძეგლია ქართულ ფოლკლორში“ და აქ „ისიც გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ამირანიანი ერთ-ერთი უძველესი და უთვალსაჩინოესი ძეგლია საერთოდ მსოფლიო ფოლკლორში“.

მოტივი მიჯაჭვული გმირისა, მეცნიერებაში პრომეთეს ბერძნული მითის განუყოფელ კუთვნილებად რომ იყო მიჩნეული და მის წარმომავლობაზე მსჯელობა არსებითად ანტიკური ბერძნული ეპოსის ფარგლებს არ ჰშორდებოდა, მიხ. ჩიქოვანმა ქართულ ამირანიანს დაუკავშირა, პრომეთეს გვერდში ამოუყენა მისი ადგილობრივი ორეული ამირანის სახით და მიჯაჭვული გმირის მოტივის გენეზისის საკითხი ქართული ეპოსის სიუჟეტური ციკლების გავრცელების არეალების მიხედვით განიხილა, რითაც ახალი სხივი შეიტანა აქტუალური პრობლემის მეცნიერების თანამედროვე მეთოდებით გაშუქებაში. გამოთქმული შეხედულებანი, რომელნიც მყარ ნიადაგს ეყრდნობოდნენ, ღრმად პერსპექტიული აღმოჩნდა, რადგანაც ისინი ქართული ეპოსის თავდაპირველი სიუჟეტური ქარგის მოდელირებას, მსოფლიო ეპოსში ქართული თვითმყოფი ეპოსისათვის კუთვნილი ადგილის მიჩენას ითვალისწინებდნენ. ქართული ამირანიანი ზოგადი ეპოსთმცოდნეობის ფარგლებში მოექცა და მისი პარამეტრების კვლევა თანამედროვე ფუნდამენტური მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დაისახა. და თუ დღეს მსოფლიოს ხალხების ეპოსთა საკვანძო საკითხებზე მსჯელობა, მათი შედარებითი და ტიპოლოგიური ანალიზის პორიზონტები ასე თუ ისე ქართულ მასალასაც წვდება, ეს, უწინარეს ყოვლისა, მიხ. ჩიქოვანის ღვაწლს შეადგენს. აეტორს, ერთი მხრით, ღრმად სჯეროდა, რომ „ამირანიანი ძველი მსოფლიო ეპოსის კლასიკური ძეგლია“, მაგრამ, მეორე მხრით, სიფრთხილით მიუთითებდა: „რამდენადაც დიდმნიშვნელოვანი და მალაპოეტურია საუკუნეების მანძილზე შექმნილი მიჯაჭვული ამირანის მარადიული სახე, იმდენად ძნელია ხალხური თქმულების ისტორიული დახასიათება, მისი განვითარების ყველა საფეხურის მეცნიერული სიზუსტით ჩამოყალიბება და ისეთი თეორიის შექმნა, რომელიც თავიდანვე ყველასათვის მისაღები იქნება“. მიხ. ჩიქოვანმა შექმნა მწყობრი მოძღვრება ქართული ეპოსის



რანის თქმულება ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია და საუკუნეების განმავლობაში თვალსაჩინო ცვლილებანიც განუცდია. ჩვენ შევკრიბეთ, — განაგრძობს იგი, — თქმულების როგორც ქართული, ისე კავკასიის სხვა ხალხთა ენებზე არსებული ყველა ძირითადი ვარიანტი. სიუჟეტურმა და შინაარსობრივმა შედარებამ ცხადპყო, რომ ძველი მთლიანი გადმოცემა თანდათან გადასხვაფერებულა, განშტოებულა და ისე დამკვიდრებულა ზეპირსიტყვიერებაში. ხალხის მხატვრული შემოქმედებიდან ამირანის სიუჟეტი ადრევე გადავიდა ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ასევე აისახა თქმულება საისტორიო მწერლობაში, ტოპონიმოქასა და ონომასტიკონში. კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე სიუჟეტი საქართველოდან თანდათან გავრცელდა მისი მეზობელი ქვეყნების მოსახლეობაში. კოლხეთის გზით კავკასიონის ქედზე მიჭაჭვეული ღეთის ურჩი გმირის თავგდასაჯალმა საბერძნეთამდე მიადწია და გონობატულება ჰპოვა ანტიკურ მწერალობაში, ათასეული წლების განმავლობაში, — დაასკვნის მკვლევარი, — ეს ღრმა სოციალური შინაარსის შემცველი თქმულება ზეპირად გადადის ხალხში. მასში მხატვრულად ასახულია დამპყრობლებთან ბრძოლა და თავისუფლებისაკენ შეუწელებელი ლტოლვა, თავდადება და გმირობა, ძმადნაფიცობა და სიყვარული, ბუნების ძალთა დამორჩილება<sup>1</sup>.

აქ ყველაფერია ნათქვამი ეპოსის სიუჟეტის აღდგენის გარემოებათა და წყაროთა შესახებ. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარე იყო. ავტორმა ძეგლის მოტივების ფრაგმენტთა შეეინძეას ხელი მას შემდეგ მიჰყო, როცა უკვე საფუძელიანად, ტიპოლოგიურად და გენეტიკურად, შეისწავლა ძეგლის სიუჟეტური მოტივების გავრცელებულობა და ჩამოაყალიბა მწყობრი შეხედულება ქართული ეპოსის საკითხებზე.

2. თქმულების ჩანაწერები, როგორც ითქვა, ფართოდ ვრცელდება. მიხ. ჩიქოვანმა პირველმა მოუყარა თავი სხვადასხვა არქივსა და გამოცემაში გაფანტულ ტექსტებს და ისინი „მიჭაჭველ ამირანს“ დაურთო. დაახასიათა და შეაფასა თითოეული ტექსტი და მისი პუბლიკაციები. „ამირანის წრის წმინდა ფოლკლორული მოთხრობის ფიქსირება, — ამბობს მკვლევარი, — შეუდარებლად გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე მისი ლიტერატურული რეპროდუქცია. ამირანიანის ჩაწერა იწყება მაშინ, როცა ჩვენში, ისევე როგორც მთელს კავკასიაში, იღვიძებს ხალხური სიტყვიერების მეცნიერული შესწავლის მისწრაფება.

<sup>1</sup> მიხ. ჩიქოვანი, ამირანის თქმულება, თბ., 1961, გვ. 156..

ეს იყო XIX საუკუნის 10-იან წლებში<sup>1</sup>. პირველ ჩანაწერად მიჩნეულია თეიმურაზ ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიაში“ შეტანილი ფრაგმენტები. თქმულების ჩამწერთა რიცხვი 70-ს აღწევსო. „ამ დიდ კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობა მიუღია XIX და XX საუკუნეთა თითქმის ყველა გამოჩენილ მოღვაწესო“<sup>2</sup>. შეფასებულია ის დიდი შემკრელობითი მუშაობა, რაც ჩვენში გაჩაღდა.

3. თქმულების გავრცელების არეალები. მკვლევრის შრომებში დადგენილია ამირანიანის გავრცელების არეალები და ნაჩვენებია მისი დიდი პოპულარობა. „ამირანის ეპოსს ყველა ქართველი ტომი იცნობსო“, — სამართლიანად მიუთითებს ის<sup>3</sup> და ამასთან აყენებს საკითხს „იმ ტომის შესახებ, რომელმაც სათავე დაუდო დიდებულ ზეპირ მოთხრობას და პირველმა დაარწია ამირანის აკვანი“<sup>4</sup>. ამირანიანის სიუჟეტების გავრცელების არეალი საქართველოსთან ერთად სამხრეთი და ჩრდილოეთი კავკასიის სხვადასხვა ხალხით დასახლებულ რეგიონებსაც მოიცავს. თქმულების ვარიანტები ჩაწერილია ქართლსა და კახეთში, ფშავსა და ხევსურეთში, ხევსა და მთიულეთში, გუდამაყარსა და თუშეთში, მესხეთსა და ჭავჭავაძეთში, აჭარასა და გურიაში, იმერეთსა და რაჭაში, სვანეთსა და სამეგრელოში, აფხაზეთსა და ოსეთში, ყაბარდოეთში, ჩერქეზეთში და სხვ. „ქართული ენის გარდა, — ამბობს ავტორი, — თქმულება არა ნაკლები პოპულარობით სარგებლობს სვანურ, მეგრულ, აფხაზურ, სომხურ, ოსურ, ჩერქეზულ, ყაბარდოულ და სხვა ენებზე. ამ ენების ცენტრში ქართულია. ქართველი ხალხიდან თქმულება გადადის მეზობელ ხალხებში, იქ ადგილობრივი ელემენტების შერწყმის გზით ნელ-ნელა მკვიდრდება და გაეროვნულდება განიცდისო“<sup>5</sup>.

4. ამირანიანის კვლევის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა. მის ჩიქოვანმა ღრმად შეისწავლა ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა, რაც ამირანის თქმულების ირგვლივ შეიქმნა საუკუნენახევრის განმავლობაში, და მოგვცა მისი ობტიმალური კრიტიკული მიმოხილვა-შეფასება ახალი მიღწევების შუქზე. მარჯვედაა განხილული თ. ბაგრატიონისა და გ. წერეთლის, მ. ჭანაშვილისა და ა. გრენის, აკ. წერეთლისა და ალ. ხახანაშვილის, გ. პოტანიჩისა და ი. ნუსინოვის, ნ. მარისა და ი. ჭავჭავიძის, ვ. ბარნოვისა და იუსტ. აბულაძის,

<sup>1</sup> მ. ხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, თბ., 1959, გვ. 31.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 46.

კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვასა და შ. ნუცუბიძის, კ. დონდუასა და ლ. მელიქსეთ-ბეგის შეხედულებები, რასაც მონოგრაფიის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი ეძღვნება. ახალი თვალსაზრისითაა შესწავლილი ხალხური თქმულების მიმართება მ. ხონელის „ამირან-დარეჯანიანთან“. ავტორმა შეაჯამა XIX—XX საუკუნეებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები და მიიღო შემდეგი დასკვნები: 1. ამირანი ღვთის ურჩი კეთილი გმირია და მის შესახებ თქმულება საქართველოში ქრისტიანობამდის არსებობდა (გ. წერეთელი, ალ. ხახანაშვილი, აკ. წერეთელი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, მიხ. ჩიქოვანი); 2. იაფეტურ სამყაროში წარმოშობილი ამირანი გმირად გადაქცეული მზის ღვთაებაა, რომელიც მკედლობის კულტთან არის დაკავშირებული (ნ. მარი, მიხ. ჩიქოვანი); 3. ამირანის თქმულება აღმოსავლურ მოხეტიალე სიუჟეტთა ჯგუფს მიეკუთვნება, საქართველოში იგი ჩრდილოეთიდან შემოვიდა (გ. პოტანიანი, იუსტ. აბულაძე); 4. კოლხეთიდან თქმულება ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე გავრცელდა და იქ პრომეთეს გამოხატულება მიიღო (ვს. მილერი, ა. წერეთელი, ნ. მარი, მიხ. ჩიქოვანი); 5. ზეპირმა თქმულებამ გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე; მოსე ხონელის თხზულება ფოლკლორული ქმნილებების გადამუშავების ნიადაგზე აღმოცენდა (ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე, მიხ. ჩიქოვანი); 6. „ამირანდარეჯანიანის“ გავლენით ძველმა ხალხურმა თქმულებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა (ნ. მარი, ალ. ხახანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე)<sup>1</sup>. ჩვენი ავტორის აზრით, პრომეთე ამირანის ორეულია, მაგრამ ამასთან ერთად იგი ცნობს: „პრომეთეს სახის ამირანის ორეულად მიჩნევა იმას არ ნიშნავს, რომ ბერძნულ მითში ყველაფერი ადგილობრივ მოვლენად გამოვაცხადოთ და მასში კულტურულ ურთიერთობის ნიადაგზე მიღებული რაიმე პლასტის არსებობაზე უარი ვთქვათ<sup>2</sup>.

5. ამირანიანი და ნივთიერი კულტურის ძეგლები. ინტერესს იწვევს მიხ. ჩიქოვანის ორიგინალური დაკვირვებანი ნადირობის რიტუალის სიუჟეტების მაჩვენებელ თრიალეთის ოქროს თასზე. თრიალეთის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ავტორის კონცეფციას მძლავრი ნივთიერი საყრდენი მისცა. „მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში ქართველი ტომები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ჰქმნიდნენ რა მატერიალური კულტურისა და სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებს, ამ ძეგლებზე სხვადასხვა კომპოზიციის სახით გა-

<sup>1</sup> მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, თბ., 1959, გვ. 85—86.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 105.

მოხატავდნენ საწესჩვეულებო-რიტუალურ სიუჟეტებს. ერთ-ერთ ასეთ ნიმუშს თრიალეთის ვერცხლის სასმისი წარმოდგენსო<sup>1</sup>. ამირანის ნადირობის გამოხატულება მკვლევარმა დაინახა აგრეთვე სამთავროს ბრინჯაოს სარტყელზე, სტეფანწმინდის პლასტიკურ ძეგლებზე, მეგალითური კულტურის ძეგლებზე<sup>2</sup>.

6. ამირანის ეპოსის წარმოქმნის პრობლემა. 30 წელზე მეტი ხანი შოანდომა მეცნიერმა ამირანის ეპოსის წარმოქმნის პრობლემის გაშუქებას. ამას მიედღვნა მისი ხუთი კაპიტალური მონოგრაფია და 35-ზე მეტი ნარკვევი. პრობლემა პოზიტიურადაა გაშუქებული ჯერ კიდევ „მიჯაჭველ ამირანში“ (1947 წ.), შემდეგ კი ფართო გეგმითაა განხილული „ქართული ეპოსის“ ორტომეულში (1959, 1965 წწ.). ეს წიგნები გამოცემულია რუსულ ენაზე<sup>3</sup>. პრინციპული მნიშვნელობა აქვს და თეორიული ინტერესი ახლავს აქ განვითარებულ შეხედულებებს, რომლებიც მარტოოდენ ამირანიანის წარმომავლობას კი არ უნება, არამედ ქართული ეპოსის განვითარებას საერთოდ, ეპოსმოდენობის თეორიულ წინამძღვრებს. ამირანის ეპოსი, ამ კონცეფციის თანახმად, საუკუნეთა განმავლობაში „ყველა ქართველი ტომის სიტყვიერებაში ტრიალებდა. ქართველებს სხვა ასეთი საერთო ფოლკლორული გმირი წარმართობის ხანაში ან არ ჰყოლიათ, ანდა თუ ჰყავდათ, მისი თავგადასავალი დავიწყების სქელმა ბურუსმა დაფარა“; „მიჯაჭვეული გმირის თქმულება საქართველოში არსებობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე და იგი აისახა ადგილობრივ ნივთიერი კულტურის ძეგლებზე სიუჟეტური კომპოზიციების სახით. ქართველებსა და კავკასიის სხვა ხალხებს შორის გავრცელებული სიუჟეტების შედარებითი ანალიზით ისიც გაირკვა, რომ ამირანი პირველ ეტაპზე დედის უფლების, მატრიარქატის დროინდელი ნადირობის ღვთაების ინტერესების დამცველია, ხოლო მისი მიმჯაჭველი ღვთაება ღრუბელთუფალი მამის უფლების გამომხატველი“<sup>4</sup>.

ამირანიანი, ავტორის აზრით, მატრიარქატის საზოგადოების პირმშოა. „ეს უკანასკნელი ჩვენ ამირანის ეპოსის შექმნის სათავედ მიგვაჩინიაო“<sup>5</sup>; „ამირანის ეპოსი მონადირეთა წრეში ჩაისახა, მისი მთავა-

<sup>1</sup> შიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, თბ., 1959, გვ. 120.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 106—143.

<sup>3</sup> М. Чиковани, Амირаниани (грузинский эпос), Тб., 1960; М. Я. Чиковани, Народный грузинский эпос о прикованнов Амيرانе, М., 1966.

<sup>4</sup> შიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 196—197.

<sup>5</sup> შიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 411.

რი გმირიც მონადირეაო“<sup>1</sup>. თქმულების ვარიანტებისა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულად შეჯერებამ ის მიიყვანა დასკვნამდის, „რომ ამირანის დედა ნადირობის ქალღმერთი დალი არის, მამა კი — უცნობი მონადირე. ამირანი ღმერთკაცია, რომელიც ადამიანს დარაჯად უდგას და მტრისაგან იცავს“<sup>2</sup>. კეთილმა გმირმა კლდეზე მიჯაჭვა სწორედ იმიტომ დაიმსახურა, რომ ადამიანის ქომაგი იყო, წინ აღუდგა ღმერთს და თავის საქმედ ადამიანის ბედის სამსახური გაიხადა. თქმულების ვარიანტთა უმეტესობა მოწმობს მთავარ პერსონაჟთა ნათესაობას: ამირანი, ბადრი, უსიბი სისხლით ნათესაეები — ძმები არიან. ეს გარემოება კი იმის უტყუარ საბუთადაა მიჩნეული, რომ ეპოსი წარმოიქმნა საზოგადოებაში, რომელშიაც ჯერ სისხლით ნათესაობის ინსტიტუტი იყო გარჩეული, შემდეგ — დაძმობილება. „ჩვენი აზრით, — დასკვნის მიხ. ჩიქოვანი, — ეს სწორად ასახავს თქმულების უძველეს მდგომარეობას. გმირთა სამეულის შექმნაში თავდაპირველია მისი სისხლით ნათესაობა და არა გმირული წესით დაძმობილება“<sup>3</sup>.

მყარი საყრდენი აქვს ქართული ეროვნული ეპოსის ორ, ქვედა და ზედა, საფეხურად დაყოფას. პირველ-საფეხურზე, ავტორის თვალსაზრისით, ტომობრივი გმირები ისხამენ ხორცს, მეორეზე კი — ეროვნული გმირები. „ეროვნული ეპიკური გმირი დაქსაქსული მონათესავე ტომების ეკონომიკური გამთლიანებისა და საერთო სახელმწიფოებრივი მიზნების შეგნების მხატვრული წარმოსახვის ნაყოფიაო“. ამავე დროს მკვლევარი ცნობს: „ამირანს არ გაუვლია ტომობრივი, ლანდ-შაფტური გმირის საფეხური, იგი არასოდეს არ ყოფილა მხოლოდ ერთი რომელიმე მხარის ან კუთხის მხატვრული სიმბოლო, ის ერთსა და იმავე დროს ყველა ტომის საერთო სულიერ მონაპოვარს შეადგენდა“<sup>4</sup>. ამიტომ სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია დასკვნები, რომლებსაც არა მარტო ისტორიული, ფოლკლორული, მითოლოგიური რეალიები, არამედ ლინგვისტური ფაქტობრივი ვითარებაც მხარს უჭერს. დასკვნები კი მკვლევარს ასე აქვს ფორმულირებული: „ამირანის მარადიული სახის შექმნა დაკავშირებულია ქართველ ტომთა ეთნოგენეზისთან. ახლანდელი ეთნიკური სიჭრელე არაა თავდაპირველი მოვლენა, იგი უმთავრეს ნაწილში მეორადია. თანამედროვე ენათ-

<sup>1</sup> მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1956, გვ. 412.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 413—414.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 417.

<sup>4</sup> მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 196—197.

მეცნიერება ქართველური ხალხების ერთ ძირზე აღმოცენებას ვარაუდობს. თავდაპირველი ერთიანობა დაშვებულია არა მარტო ისტორიულ იბერია-კოლხეთის ძირითადი მოსახლეობისათვის, არამედ „ენების მთად“ წოდებულ კავკასიისათვისაც<sup>1</sup>. ამირანი ქართველური ხალხის საერთო გმირია, „რომლის დიფერენცირების საფუძველზე ახლანდელი ტომები ჩამოყალიბდნენ. განაყოფ ჯგუფებს საერთო ეპიკური მარაგიდან, ამირანიანის გარდა, თან გაჰყვა თქმულებები დარგობრივ ღვთაებათა შესახებ. მონათესავე ტომებმა, მიუხედავად მრავალგზისი ტრანსფორმაციისა, ბოლო დრომდე შემოინახეს საერთო ეთნიკური მარაგიდან ნაანდერძევი ღმერთები და გმირები“<sup>2</sup>. კავკასიის ხალხებში გავრცელებული ეპიკური ციკლების ცალ-ცალკე და შედარებითმა შესწავლამ კი ავტორი ახალი პრობლემის წინაშე დააყენა. მან იპოვნა საერთო მოტივები და განვითარების თანხედენილი ტენდენციები ქართული ამირანიანის, ტარიელიანის, როსტომიანისა და შპერის ეპიკურ ქმნილებებში. ეს მეტად პოპულარული სიუჟეტების მოტივები, სხვადასხვა ჩამომავლობისა და განვითარების ნაირ საფეხურზე მდგომ ხალხებში რომ ვრცელდება, გენეტიკურად მონათესავენი აღმოჩნდნენ. როსტომიანში, მაგალითად, მკვლევარმა დაინახა ორი ჯგუფის სიუჟეტური მოტივები. ერთი ჯგუფის ცენტრში როსტომისა და ზურაბის თავგადასავლები გაერთიანდა, მეორეში — ბეჟანისა და მანიყეს ამბავი. მიხ. ჩიქოვანი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც ამ ეპიკურ მოტივთა მსგავსება აღნიშნა და აქედან ქართული კლასიკური ეპოსის პრობლემატიკის ჰორიზონტები ვააფართოვა: „შაპ-ნამეს“ თარგმანთა გავლენით საკუთრივ როსტომიანი უფრო უნიფიცირებულია, ვიდრე ამირანიანი. ხალხური თქმულების მიხედვით შვილთან მებრძოლი როსტომი სიუჟეტურად დაკავშირებულია ღმერთთან მებრძოლ ამირანთანო“<sup>3</sup>. ახალი თეორია უეჭველად პერსპექტიულია და ეპოსთმცოდნეობაში ახალი პოსტულატების წყაროდ იქცევა.

7. ამირანის ორეულები. ამ პრობლემაზე მუშაობას მიხ. ჩიქოვანმა დიდი დრო მონადგომა. ბერძნული და ქართული მითოლოგიის შეპირისპირებამ მას საშუალება მისცა ეთქვა ახალი სიტყვა, ამირანი და პრომეთე ერთმანეთის ორეულებად მიეჩნია. ამირანის ორეული ნაპოვნია ქართულ ეპოსშიაც როკაპის სახით, თუმცა როკაპი და ამირანი სხვადასხვა წარმოშობისა და ფუნქციის სახეებია. აქ ფუნქცია

<sup>1</sup> მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 197.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 198.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 198—199.



ერთია, შემსრულებელი — სხვადასხვა. როკაპი ბნელი, ზოროტი ძალაა, ამირანი კი მისი სრული ანტიპოდი, ხალხის საყვარელი გმირია. „როკაპი რწმენაზე დამყარებული მითია, ამირანის სიუჟეტი კი აშკარა საგმირო თავგადასავლის შემცველ თქმულებას წარმოადგენს“<sup>1</sup>. ამირანის ორეულები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეპოსებშიაც აღმოჩნდა, მაგრამ ორეულების თეორიისათვის ყველაზე მთავარი მაინც ამირანისა და პრომეთეს ურთიერთობაა. აქ მკვლევარმა მკვეთრად ჩამოაყალიბა ახალი კონცეფცია, რომლის საყრდენი დებულებები შემდეგია: „ქართული ამირანი და ბერძნული პრომეთე საუკუნოებრივი უკვდავი სახეები არიან“; „იმერულ-აჭარული როკაპი და მათი სომხური ორეულები ადგილობრივი, კავკასიური ტყუპები არიან“<sup>2</sup>. პრომეთე და ამირანი ერთურთის ორეულია. „პრომეთეს სახის ამირანის ორეულად მიჩნევა, — მიუთითებს მიხ. ჩიქოვანი, — იმას არ ნიშნავს, რომ ბერძნულ მითში ყველაფერი ადგილობრივ მოვლენად გამოვაცხადოთ და მასში კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე მიღებული რაიმე პლასტის არსებობაზე უარი ვთქვათ. არა, ასეთი აბსოლუტური ხასიათის მტკიცება დამაჯერებლობას იქნებოდა მოკლებული. პირიქით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრომეთეს მითში, და მის გაგებაშიც. იბერიულ-კოლხური ელემენტი ადრიდან არის შეჭრილი ღვთისურჩი ტიტანის კავკასიონის ქედზე მიჯაჭვის მოტივის სახით“<sup>3</sup>. ეს თვალსაზრისი მკვლევარს განუმტკიცა ფაქტობრივი მასალის მკაცრმა ანალიზმა და საგნის მდიდარი სპეციალური ლიტერატურის ჩვენებებმა. დღეს კი იგი საქვეყნოდაა ცნობილი. ფართო გამოცხადი აქვს ჩვენშიცა და საზღვარგარეთაც.

**8. ძირითადი სიუჟეტური მოტივების განსაზღვრა.** შედარებითი შესწავლის შედეგად განისაზღვრა ამირანის სიუჟეტის ძირითადი, საკვანძო მოტივები: დედის გაკვეთა, ოქროს თმა, აკვანი მდინარის პირას, გმირის გოლიათური ძალა, მძიმე ხმალი, დაკარგული თვალი, ცალთვალა დევი, მზის დაბნელება, ფიცის ტეხა, გამოცდა, ბედის მკედელი, ქვის მსხვრევა, გაცოცხლება მკვდრისა, გმირის მიჯაჭვამღვიმეში, ციური ცეცხლი, მზეთუნახავი (ყამარი). ამ მოტივების გრეხილად და ასხმული ამირანის ეპოსი. თითოეულ მოტივს გენეტიკური ძირები ეძებნება ეროვნულ ეპოსში. ბოლოს, ავტორმა დაახასიათა ამირანის თქმულების მხატვრული ფორმა, ლექსური, პროზაული და ლექსნარევი-პროზაული ვარიანტები, კომპოზიცია, თქმულების შეს-

<sup>1</sup> მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 192—193.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 206.

<sup>3</sup> მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, თბ., 1959, გვ. 105.

რულება, ეპოსის ქრისტიანიზაცია, თქმულების გადამუშავების გზები და საზოგადოებები. ცხოველი ინტერესის შემცველია ავტორის მიერ შედგენილი ამირანის თქმულების გავრცელების რუკა, რომელიც „ქართული ეპოსის“ ორტომეულს ერთვის. ამისთანა არეალური ატლასი ეპიკურ ქმნილებათა თუ ზღაპრის სიუჟეტთა გავრცელებისა პირველადაა შედგენილი.

ამირანიანი ამ გეგმითა და პრობლემატიკით მხოლოდ მიხ. ჩიქოვანმა განიხილა. მონოგრაფიის როგორც ქართული, ისე რუსული აკადემიური გამოცემებით ჩვენი ეროვნული კლასიკური ეპოსი გახდა მეცნიერების საყოველთაო ინტერესის საგნად და მისი კვლევა აქტუალურ გლობალურ პრობლემათა რიგში ჩადგა. ეს იყო მეცნიერის უეჭველი გამარჯვება.

ქართული ეპოსის სისხლხორცეული პრობლემების კვლევა-ძიება, როგორც ვნახეთ, მიხ. ჩიქოვანმა რამდენიმე მიმართულებით გაშალა. უწინარეს ყოვლისა, გულისყური მიაპყრო ეპოსის მოტივების გენეზისის საკითხებს. ეძება მათი რეალიები ძველ ქართულ მწერლობაში და დაკვირვებათა შედეგებს თავი მოუყარა 1936—1980 წლებში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში.

ამირანიანის შემდეგ მკვლევარმა დიდი დრო მოახმარა „ეთერიანის“ შესწავლას. რაც მთავარია, პირველმა მოუყარა თავი „ეთერიანის“ ვარიანტებსა და სიუჟეტების ფრაგმენტებს და დამატების სახით დაურთო ცნობილ მონოგრაფიას (ეთერიანი, თბ., 1954, გვ. 59—265). „ამირანის თქმულების შემდეგ, — ამბობს მიხ. ჩიქოვანი, — ეთერიანს პირველი ადგილი უჭირავს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. აბესალომისა და ეთერის სამიჯნურო თავგადასავალი ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სოციალური ურთიერთობის მკვეთრ სურათებთან ერთად გადმოცემაში არაჩვეულებრივი ოსტატობით არის ნაჩვენები უჭკნობი სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული ქალ-ვაჟისა და დემონური მურმანის სახეები. სამიჯნურო ეპოსის სფეროში ჩვენი ხალხის მხატვრულმა აზროვნებამ უმაღლეს დონეს ეთერიანის შექმნით მიაღწია. მძაფრი სიუჟეტური ამბავი, დახვეწილი ეპიკური სახეები და მდიდარი პოეტური ენა — აი რა ახასიათებს ამ მრავალსაუკუნოვან და სოციალურ მოთხრობას“<sup>1</sup>. მკვლევარი სამართლიანად მიუთითებს, რომ „ეთერიანი“ ყოველივე ზემოთქმულით სამიჯნურომანტიკული ეპოსის კლასიკური ნიმუშია და თავისი მნიშვნელო-

<sup>1</sup> ეთერიანი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, „ხალხური სიტყვიერება, IV“, თბ., 1954, გვ. 5.

ბით სცილდება ქართული ფოლკლორის ფარგლებს. „მარადიული სიყვარულის გრძნობით შეპყრობილი აბესალომი და ეთერი, დემონური მურმანი და აბეზარი დედინაცვალი ქართული თქმულებისა ისეთ მაღალ მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ, რომელთა საზოგადოებრივი ღირებულება საუკუნეთა განმავლობაში არ ქრება“<sup>1</sup>.

ეპოსის პერსონაჟთა სამყაროს შესწავლით, იმ საზოგადოებრივი გარემოს განსაზღვრით, სადაც „ეთერიანი“ უნდა იყოს შექმნილი, აბესალომსა და მურმანს შორის პატრონყმური ურთიერთობის არსებობა ავტორს საშუალებას აძლევს დაახასიათოს ეპოქა, როცა ის უნდა წარმოშობილიყო: „აბესალომ და ეთერის თქმულება ძირითადად შუასაუკუნეების კლასიკური პერიოდის ნაწარმოებია. მისი საბოლოო ჩამოყალიბება მე-10—11 საუკუნეებშია სავარაუდებელი“<sup>2</sup>. ავტორის მსჯელობა აქ თანამიმდევრული და სავსებით ლოგიკურია, მაგრამ, ჩემი აზრით, ის თქმულების მხოლოდ რამდენიმე მოტივს ეხება და არა წამყვანს. წამყვანი კი, როგორც მკვლევარსაც ხაზგასმითა აქვს აღნიშნული, მარადიული სიყვარულის გრძნობის ქებათა-ქებაა. სიყვარულის რომანტიკა კი ვერ გადმოიტანება X—XI საუკუნეებში, გაცილებით ძველია, წვდება იმ საზოგადოებას, როცა აღმოცენდა კერძო საკუთრება და შრომის დანაწილება.

მკვლევარმა კომპლექსურად დაახასიათა ეპოსის რომანტიკული გმირები, აბესალომი, ეთერი, მურმანი, ეთერის მშობლები, დედინაცვალი, უშტარნათელი, აბესალომის დები, კეთილი დედაბერი, ავი სული და თითოეული სახე გამოკვეთა თქმულების ვარიანტთა ჩვენების შესატყვისად. ქართულ ეპოსში გვხვდება მრავალი ღირსშესანიშნავი გმირი, რომლებიც სხვადასხვა კლასის ან სოციალური წრის შვილები არიან. აქ ეპოულობთ არა მარტოდენ საზოგადოების პრივილეგიური კლასების წარმომადგენლებს, როგორც, მაგალითად, არის აბესალომი, არამედ მშრომელი ადამიანების შვილებს, მონადირეებს, მწყემსებს, ავი დედინაცვლების მიერ დაჩაგრულ გერებს და ა. შ. ამ გმირთა შორის პირველ რიგში აბესალომის რომანტიკულ-ტრაგიკული სახე დგას. „ეთერიანის“ ვარიანტებში ერთი მეორის გვერდითაა გამოკვეთილი აბესალომის ტრაგიკული სახე, რასაც ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებსაც კი ვადარებთ. აბესალომი, ავტორის აზრით, „ქართული რომანტიკული ეპოსის ძირითადი ფიგურაა. თუ ლიტერატურაში მიჯნურობის გრძნობის მატარებელთა შორის პირველად

<sup>1</sup> ეთერიანი, მ. ი. ჩ. ი. კ. ო. ვ. ა. ნ. ს. რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, „ხალხური სიტყვიერება“, IV, თბ., 1954, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 9.

„ვეფხისტყაოსნის“ ტარიელს დავასახელებთ, ხალხურ ეპოსში სიყვარულის თემაზე საუბარი აბესალომის გარეშე შეუძლებელია“<sup>1</sup>. აბესალომის რომანტიკული სახე ქართული ხალხური სიბრძნის ბრწყინვალე შენატანია მსოფლიო ეპოსის გმირთა გალერეაში. ეგვეე ითქმის ეთერისა და მურმანის სახეებზეც. ეთერი გლეხი ქალის, უიღბლო სიყვარულის კლასიკური სახეა. იგი ამოიზარდა დედინაცვლობის ინსტიტუტიდან და ზოგადი ეპიკური გამოხატულება შეიძინა. ეთერი მარადიული სიყვარულის კონკრეტული და ზოგადი სახეა. ის არ არის იზოლდა ან ვისი. ჭეშმარიტი ქართველი გლეხი ქალია თავისი უმწიკვლო ქცევით. მიხ. ჩიქოვანი სავესებით მართალია, როცა ამბობს: „ეთერი დასრულებული მხატვრული მოვლენაა. საუკუნეთა მანძილზე ხალხმა მშრომელი ქალის შესანიშნავი სახე ჩამოაყალიბა. ამ ღარიბი გლეხის ქალს დროთა განმავლობაში მრავალი ისეთი თვისება განუმტკიცა, რომელთა დახმარებითაც კოლექტიურმა ავტორმა მსოფლიო მნიშვნელობის რომანტიკული გმირი შექმნა“<sup>2</sup>. ეთერი რომანტიკული გმირის რეალისტური სახეა. ზღაპრულ-ჯადოსნური მოტივები, ჩემი აზრით, მერმე დაუკავშირდა რეალისტურ სახეს, თავდაპირველად ის მას არ ჰქონია და არც სჭირდებოდა. მეორადია მისი ჩასახვა კაცის კანკში, კავშირი მისნობასთან. მურმანის დემონური სახის შექმნაში რაღაც წილი უდევს მსოფლიო ეპოსსაც, მაგრამ იგი ბუნებრივი სახეა, რომელმაც ეროვნულ ეპოსს ღრმად კოლორიტული იერი მისცა და გზა გაუკაფა დემონური გმირების მსოფლიო გაღერებისაკენ. ეპოსის სხვა პერსონაჟები მეტ-ნაკლებად იმეორებენ ქართული ეპოსის სხვა ციკლების მოტივებს, მაგრამ აბესალომი, ეთერი, მურმანი განუმეორებელი, ორიგინალური რომანტიკული სახეებია. მიხ. ჩიქოვანმა ტიპოლოგიურად შეაჯერა „ეთერიანის“ საოცრად თვითმყოფი პერსონაჟები, ხალხური თქმულების მოტივები შეუპირისპირა მსოფლიო ეპოსის შედეგებს და მათ შორის ქართულ ეროვნულ ეპოსს კუთვნილი ადგილი მიუჩინა. იდეები, რომელიც ავტორის „ეთერიანს“ ასაზრდოებს, ქართველი ხალხის აზროვნების მაღალი განვითარების შედეგად დახვეწილ მოტივებს ეყრდნობა. „ეთერიანი“ მიხ. ჩიქოვანისა ქართული ეროვნული ეპოსის ერთ-ერთი ფართო პლანის განმაზოგადებელი მონოგრაფიაა, რომელმაც ავტორს „მიჯაჭვულ ამირანთან“ ერთად ფართოდ გაუთქვა სახელი. აქ დასმული და

<sup>1</sup> ეთერიანი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, „ხალხური სიტყვიერება, IV“, თბ., 1954, გვ. 9-10.

<sup>2</sup> ეთერიანი, იქვე, გვ. 18.

გადაწყვეტილია არა მარტოდენ ქართული ეროვნული ეპოსის სისხლ-  
ხორციეული პრობლემები, არამედ ახალი იდეებითაა გამდიდრებული  
ზოგადი ფოლკლორისტიკა. ამ რიგისაა ავტორის მონოგრაფიები და  
გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება „ხალხური ვეფხისტყაოსნის“,  
როსტომიანის, ნართების ეპოსის მწვავე პრობლემატიკას. გამოჩენილ-  
მა ქართველმა ეპოსმცოდნემ ამ ნაშრომებში თქვა ახალი სიტყვა,  
ბევრ რთულ პრობლემას მოუძებნა ოპტიმალური გადაწყვეტა და  
მთლიანად ქართული ეპოსმცოდნეობა ფუნდამენტურ მეცნიერებათა  
რიგებში ჩააყენა.

მიხ. ჩიქოვანის შრომებმა გამოძახილი გამოიწვია ჩვენშიცა და  
საზღვარგარეთაც. ბევრი მისი გამოკვლევა და მონოგრაფია ითარგმ-  
ნა უცხოურ ენებზე. „ამირანის თქმულება“, გამოკვლევები ქართული  
ზღაპრების შესახებ ითარგმნა გერმანულ ენაზე. მისი კონცეფციები  
ამირანის ეპოსის პრობლემის შესახებ გაიზიარეს ისეთმა უცხოელმა  
მეცნიერებმა, როგორც არიან ლანგი, სტივენსონი, მერედიტ-ოუენ-  
სი, ფენრიხი, იშტვანოვიჩი, ნაზორი, ჩვენი თანამემამულე სალია, გან-  
საკუთრებით, ტრენჩენი-ვალდაფელი. პროფ. ტრენჩენი-ვალდაფელ-  
მა თავის კაპიტალურ „მითოლოგიაში“ მიხ. ჩიქოვანის კონცეფციის  
დალაგებას ამირანიანისა და ამირანისა და პრომეთეს ორეულობის  
თეორიის შესახებ მთელი თავი მიუძღვნა. ამ საკითხებზე აქ აღარ შევ-  
ჩერდები, რადგანაც მათ ამას წინათ მშვენიერი სტატია მიუძღვნა  
ს. თურნავამ — „ქართული ფოლკლორი გერმანულენოვან სამყაროში“,  
რომელიც ყველასათვის ცნობილია („ქართული ფოლკლორი“, XIII,  
თბ., 1983, გვ. 136—151).

მიხ. ჩიქოვანმა ეპოსის მოძღვრება შეავსო არა მარტო ახალი მა-  
სალით, არამედ პერსპექტიული თეორიული განზოგადებებითაც გაამ-  
დიდრა. ავტორის შეხედულებათა საყრდენი პოსტულატები ქართული  
მასალის ჩვენების ნიადაგზეა ამოზრდილი და ახალ ჰორიზონტებს  
შლის შედარებითს ფოლკლორისტიკაში.

შეხედულებები, რომლებიც გამოჩენილი მეცნიერის შრომებშია  
განვითარებული, ხალხური ეპოსისა და ზეპირშემოქმედების სხვა ეან-  
რების წარმომავლობა-ნიშან-თვისებების შესახებ, ჩვენი მეცნიერებე-  
ბის მიღწევების არსენალსა და გზა-ჯვარედინებს უნათესავდება. ავ-  
ტორმა ცხოვრების მიერ დასმული პრობლემის კვლევას სწორი მიმარ-  
თულება მისცა და საყოველთაო ინტერესის ობიექტად გახადა; გაბე-  
დულად თქვა „უთქმელი სათქმელი“. ცნობილია, რომ „მსოფლიო  
ეპოსი“ არაა რაღაც „გამოგონილი მთლიანობა“. პირიქით. იგი შედ-  
გება იმ მძლავრი შენატანებისაგან, რაც მასში ისტორიულად დიდსა

და მცირე ხალხებს წარმოუდგენია. ქართველი ხალხის შენატანი აქ ფრიალ საგრძნობია. ამ შენატანისა და მთლიანად ფენომენის შემდგომი შესწავლის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, მისთვის მომავალი მცრიდიანების განსაზღვრა, რასაც მიხ. ჩიქოვანმა მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა, კვლავ რჩება წინ გადაშლილ წიგნად, რომელსაც ახალი თვალთ წაკითხვა უნდა. ეპოსი ხალხის ცოცხალი წარსულია მხატვრულ-ესთეტიკურ სახეებში. ეპოსში რელიეფურად აისახა ხალხის სანუკვარი იდეალები, სიკეთისათვის ბრძოლის უკიდვანო გამოცდილება, გუშინდელი დღე, აწმყო და მომავალი. ამ ურთულეს საკითხებს მიეძღვნა მიხ. ჩიქოვანის ფუნდამენტური მონოგრაფიები და გამოკვლევები. შეხედულებები, რომელთაც იცავდა და ავითარებდა სახელოვანი მამულიშვილი, არის არა მშრალი დოგმების კრებული, არამედ ცოცხალი, შემოქმედებითი იდეები, მუდამ განვითარებადი, ღრმად პერსპექტიული.

1934 წ.

## მას კარგად იცნობენ შინ და გარეთ

ძნელია ჩვენში მეორე ისეთი პოპულარული მეცნიერი ქალის დასახელება, როგორც ქსენია სიხარულიძეა. საქვეყნოდაა განთქმული მისი სახელი: კარგად იცნობენ შინ და გარეთ; თაყვანისმცემლები ჰყავს რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში, მის შრომებს ქართული ხალხური სიბრძნის საკითხებზე დიდად აფასებენ და იმოწმებენ მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევსა და მინსკში; მისი გამოკვლევები იბეჭდებოდა უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთსა და ბულგარეთში; გამოხმაურებანი და რეცენზიები ამ შრომებზე ქვეყნდებოდა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთად მრავალ ენაზე. ფოსტას ყოველდღე მოჰქონდა მასთან სასიხარულო ცნობები ახლობელი და შორეული ქალაქებიდან.

მეცნიერების კანდიდატი და დოცენტი 27 წლისა, მეცნიერების დოქტორი და პროფესორი 36 წლისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის პირველი გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფოლკლორისტთა საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილი წევრი, მრავალი გამოცემის, მათ შორის „საქართველოს ქალის“, სარედაქციო კოლეგიათა წევრი, უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს უცვლელი წევრი, ახალი კადრების სახელოვანი აღმზრდელი და ბრწყინვალე პედაგოგი, ავტორი 180-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, რომ-

ლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, უნგრულ, ჩეხურ, გერმანულ ენებზე, მონაწილე მეცნიერთა მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო და მსოფლიო ფორუმისა თბილისში, ბათუმში, სოხუმში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ბუდაპეშტში, პრაღაში, ბუქარესტში, — ასეთია პირველი ცნობები ქ. სიხარულიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მომენტების შესახებ.

ქ. სიხარულიძე დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ჩოხატაურის რაიონის მომხიბლავ სოფელ გოგოლეისუბანში. მის მშობლებს ექვსი შვილი ჰყავდათ: სამი ქალი, სამი ვაჟი. მამა, ალექსი, ადრე (1919 წ.) გარდაიცვალა და მცირეწლოვანი შვილების აღზრდა მთლიანად დედას, დარდოს, დააწვა კისერზე. მარტონელა დედა არ შეუშინდა გაჭირვებასა და განსაცდელს და ექვსივე შვილის სასახლოდ აღზრდა შეძლო. უფროსი ვაჟი, ივანე, შემდეგ ოფთალმოლოგიის შესანიშნავი სპეციალისტი, სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი და კათედრის გამგე გახდა (გარდაიცვალა 1964 წ.), უფროსი ქალიშვილი, მარია — გამოჩენილი სელექციონერი, ამჟამად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორია, უმცროსი ქალიშვილი, თამარი — პედაგოგია. ორი შუათანა ვაჟი, მიხეილი და შალვა, 22—23 წლის ასაკში დაკარგა დედამ...

დაწყებითი განათლება ქ. სიხარულიძემ ადგილობრივ, ჩოხატაურში, მიიღო, ხოლო საშუალო — ბათუმში. ყოველთვის სამაგალითოდ სწავლობდა და გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიბეჭითით. ავტობიოგრაფიაში მეცნიერი მოგვითხრობს: „საშუალო სკოლაში ჩემს ოცნებას სამი მხარე ჰქონდა. 1. მიყვარდა მათემატიკური საგნები და ამ მიმართულებით მინდოდა უმაღლეს სასწავლებელში განმეგრძო სწავლა; 2. მიყვარდა პოეზია, ზეპირად ვიცოდი ძველი თუ თანამედროვე პოეტების ბევრი ლექსი; 3. უკანასკნელ ორ კლასში გამიტაცა ფილოსოფიამ“...

1927 წელს ქ. სიხარულიძემ სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ივ. ჭავჭავაძე და კ. კეკელიძე, ა. შანიძე და გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე და გრ. წერეთელი, შ. ნუცუბიძე და ს. ყაუხჩიშვილი, მ. ზანდუკელი და ვ. კოტეტიშვილი, ა. ჩიქობავა და ვ. თოფურია, მ. გოგიბერიძე და კ. ბაქრაძე. მეოცნებე სტუდენტი გულმოდგინედ უსმენდა ქართული მეცნიერების ამ ცნობილ მოღვაწეთა ლექციებსა და აქტიურად მონაწილეობდა მათ სემინარებში. აქ

გამოიყვება მისი მომავალი მუშაობის პერსპექტივა: ახალგაზრდა ქალმა თავის სპეციალობად ქართული ფოლკლორი აირჩია და მას დაუკავშირა მთელი შეგნებული ცხოვრება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელს პედაგოგის მძიმე ტვირთს ეწეოდა: ქართულ ენასა და ლიტერატურას და რუსულ ენას ასწავლიდა თბილისის საშუალო სკოლებში, პარალელურად კი თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალებში. აქვეყნებდა მოთხრობებსა და ლექსებს. საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ მის ამდროინდელ საბავშვო მოთხრობებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი ელვარება და მხატვრული ღირებულება.

1933 წლიდან ქ. სიხარულიძე მთელი ხალისითა და ენერგიით ჩაება ფოლკლორისტულ საქმიანობაში. ჯერ მუშაობა დაიწყო საქართველოს მუზეუმში, სადაც იმ ხანებში ვ. კოტეტიშვილმა ფოლკლორისტთა პირველი უჯრედი ჩამოაყალიბა, ხოლო 1936 წელს გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსებულ შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, რომელშიაც მაშინ ფოლკლორის განყოფილება შეიქმნა და რესპუბლიკის ფოლკლორისტთა ძალები გაერთიანდა. აქ გაშალა ახალგაზრდა მოღვაწემ ფრთები და ჩამოაყალიბდა როგორც ქართული ხალხური სიბრძნის გამოჩენილი მკვლევარი. 1938—1939 წწ. თბილისის უნივერსიტეტის მივლინებით იმყოფებოდა ლენინგრადში და იქ მუშაობდა განთქმული ფოლკლორისტების აკად. ი. სოკოლოვის, პროფ. მ. აზადოვესკისა და პროფ. ნ. ანდრეევის ხელმძღვანელობით.

ფოლკლორის განყოფილებაში ქ. სიხარულიძე გვერდში ამოუდგა მ. ჩიქოვანს, ე. ვირსალაძესა და სხვებს და მათთან ერთად უკვე მეოთხე ათეული წელიწადია ეწევა საერთო ქაპანს. ჩქარა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გაერთიანდა და ჩვენი ფოლკლორისტების, მათ შორის ქ. სიხარულიძის, მოღვაწეობას ახალი იმპულსი და უფრო ფართო პორიზონტი მიეცა.

ქ. სიხარულიძის ინტერესი ერთნაირად აღძრა ჩვენმა უკიდევანო ხალხურმა პოეზიამ და პროზამ. და ეს ბუნებრივიც იყო. 30-იანი წლების შუახანებში, როდესაც ახალგაზრდა ქალიშვილი პირველ მორცხვ ნაბიჯებს დგამდა მეცნიერებაში, ქართული ხალხური ლექსი და ზღაპარი დიდებული იყო ცხოვრებაში და არა მეცნიერებაში. ცოტა რამ ვიცოდით მათ სპეციფიკურ ნიშან-თვისებებზე, ჟანრობრივ შემადგენლობაზე, ციკლთა ვარიაციებზე, ეპიკურ და ლირიკულ შედეერთა ზოგად ღირებულებაზე. ყველაფერი ეს მეცნიერების თანა-



მედროვე მეთოდებით ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო და თავის მკვლევარებს ელოდა.

მაგრამ ქ. სიხარულიძესა და მის კოლეგებს ძიება ცარიელ აღგოლზე როდი დაუწყიათ. მათ ყამირი ერთგვარად გატეხილი დახვდათ, მემკვიდრეობით დიდი ტრადიციები გადმოეცათ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მათი ორიენტაციის მყარ ბაზას შეადგენდა ილიას, აკაკის, ვაჟას მეცნიერულად სწორი და ცხოვრების მიერ გამართლებული შეხედულებები ჩვენი ხალხური სიბრძნის სისხლბორცეულ საკითხებზე, ლ. აღნიაშვილის, თ. რაზიკაშვილის, ე. თაყაიშვილის, ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებული უნიკალური ტექსტები, ნ. მარის, ა. ხაჩანაშვილის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ვ. კოტეტიშვილის პირველი ფოლკლორისტული დაკვირვებანი. ქ. სიხარულიძისა და მისი კოლეგების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ღირსეულად განაგრძეს წინა თაობათა მიერ დაწყებული საქმე, ქართული ფოლკლორისტიკა დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად გახადეს, რამდენიმე წლის განმავლობაში ფოლკლორისტული ძიება ჩვენში განვითარების ახალ სიმაღლეზე აიყვანეს და ქართული ფილოლოგიის სხვა დაწინაურებულ დარგებს გაუთანაბრეს. ამ საშვილიშვილო საქმეში ქ. სიხარულიძემ დიდი წვლილი შეიტანა.

მეცნიერული ძიება მკვლევრისა რამდენიმე მიმართულებით წარმართა. მის ინტერესთა სფეროში შემოდის ხალხური ზეპირშემოქმედების არა ერთი ცალკე აღებული ყანრი და მისი ასპექტები, არამედ ფოლკლორისტიკა საერთოდ, ხალხური სიბრძნის ყანრების გენეზისის, სტრუქტურული და ტიპოლოგიური სპეციფიკის, ტრადიციის, ლიტერატურასთან და ეთნოგრაფიასთან მიმართების, ჩაწერა-პუბლიკაციის, მეთოდოლოგიური საყრდენების ზოგადი და კერძო საკითხები.

უწინარეს ყოვლისა ქ. სიხარულიძეს ფრიად დიდი დამსახურება მიუძღვის ხალხური ზეპირსიტყვაობის შეკრება-პუბლიკაციაში. ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა მასალების ჩასაწერად ესტუმრა ფშავს, ხევსურეთს, თუშეთს, სვანეთს. ამათთან ერთად მას მოვლილი აქვს ხევი და მთიულეთი, ქართლი და კახეთი, მესხეთი და ჯავახეთი, გურია და იმერეთი, ლეჩხუმი და რაჭა. უმოგზაურია ქვეითად და ურმით, ცხენითა და ვერტმფრენით, ფოლკლორული ტექსტები ჩაუწერია შატისსა და მუცოში, შუაფხოხსა და მალაროსკარში, დიკლოსა და ომალოში, მულახსა და ლახორში, ჩოლურსა და უშგულში, გრემსა და იყალთოში... სად არ უძებნია ხალხური სიბრძნის მარგალიტები, სად არ შეჰხვედრია ნიჟიერ მთქმელებს, ზეპირსიტყ-

ვაობის შემნახველებს. სამეცნიერო ექსპედიციებში მან გამოავლინა გონებამახვილი მთქმელები, შეკრიბა ასობით უნიკალური ხალხური ქმნილება, დავიწყებას გადაარჩინა ისინი და შეუმატა ჩვენს ეროვნულ საუნჯეს. ჩვეული სიფაქიზითა და სიზუსტით ჩაწერილი ტექსტების მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად ინახება ან პირად კოლექციებში, ან შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებისა და თბილისის უნივერსიტეტის არქივებში, დიდი ნაწილი კი გამოქვეყნებულია ცალკე კრებულებად ფართო მეცნიერული კომენტარებით. ამ კრებულებიდან განსაკუთრებით უნდა აღენიშნოთ „ქართული საბავშვო ფოლკლორი“ (1938 წ.), „ხალხური ზღაპრები“ (1938 წ.), „ქართული ხალხური სიტყვიერება“ ორ წიგნად (1956, 1961 წწ.), „ხალხური საისტორიო სიტყვიერება“ სამ წიგნად (1961, 1964, 1967 წწ.), „ქართული ხალხური პოეზია“ (1965 წ.).

მკვლევარმა ბრწყინვალე გამოკვლევები უძღვნა ჩვენს ხალხურ ზღაპრებსა და პოეტურ შედეგებს. ეს გამოკვლევები დიდი ხანია დამკვიდრდნენ მეცნიერების ოქროს ფონდში. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია „ქართული ზღაპრის სოციალური მოტივები“ (1939წ.), „ქართული ზღაპრის სოციალური ფუნქციისათვის“ (1958 წ.), „რუსუდანინანის“ ზღაპრების ხალხური წყაროები“ (1958 წ.), „ქართული ხალხური ლირიკის სიმბოლიკის საკითხები“ (1938 წ.), „ბატონყმობის ასახვა ქართულ ხალხურ პოეზიაში“ (1953 წ.), „1905—1907 წლების რევოლუცია ქართულ ხალხურ პოეზიაში“ (1955 წ.), „საწესო კალენდარული პოეზია“, „სამგლოვიარო პოეზია“ (1960 წ.) და სხვ. რაზე არ უძღერია ქართველ კაცსო, — წერდა იგი, — რაზე არ უთქვამს მას შთაგონებული ლექსი. ადამიანის ღმერთი თუ ჭირი, სიხარული თუ სევდა, იმედი და უიმედობა, ბრძოლა არსებობისა და თავისუფლებისათვის, მისი მორალი და ეთიკა ყოველთვის იყო საგანი უშუალო წარმოსახვისა, წრფელი და საოცრად სადა პოეტური განზოგადებისა. ამიტომ არის ასე უწყვეტი, ვრცელი და უღვევი ხალხური პოეზია. ამიტომ არის ასე მდიდარი ქართული ხალხური პოეზიის თემატიკა და ნაირფეროვანი მისი ფორმა“.

განსაკუთრებით დიდი ამაგი ქ. სიხარულიძემ ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების შესწავლას დასდო. ამ უაღრესად საინტერესო პრობლემას მიეძღვნა მისი სადოქტორო დისერტაცია „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“ (1949 წ.) და სამტომეული „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“ (1961 — 1967 წწ.). ამ ფუნდამენტალურმა ნაშრომებმა ავტორს შორს გაუთქვეს

სახელი. ქ. სიხარულიძე ჩვენში ხალხური საისტორიო სიტყვიერების მეცნიერების თანამედროვე მეთოდებით შესწავლის ფუძემდებელია. მეცნიერის მთავარი დამსახურება აქ ის არის, რომ მან პირველმა ახალი გეგმითა და ასპექტით გამოიკვლია ხალხური საისტორიო სიტყვიერება, თავი მოუყარა ხალხში დარჩენილსა და გამოცემებში გაფანტულ მასალას, გამოავლინა ათობით უცნობი ტექსტი და მათი ასობით ვარიაცია, შეაჯერა ისინი საისტორიო წყაროებთან, დააჯგუფა ქრონოლოგურ ციკლებად და მთელი სისრულით გვაჩვენა ხალხის გენიის უჭკნობი კმნილებანი, რომელთა ტრადიცია საუკუნეებს წვდება. მდიდარი ფაქტობრივი მასალის შედარებებით შესწავლამ ავტორი მიიყვანა უდავო დასკვნებამდის, რომ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებებში სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა სოციალური ფენის თვალსაზრისით ასახულია საქართველოს ისტორია, მისი წარსული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება. უანობრივად მრავალფეროვან ციკლებში, ლირიკულსა და ეპიკურ ლექსებში, გადმოცემებში, თქმულებებსა და ლეგენდებში გადმოშლილია ხალხის მძიმე თავგადასავალი, ისტორიული პირების ცხოვრებისა და ბრძოლის სამახსოვრო ეპიზოდები. ხალხური საისტორიო პოეზიისა და პროზის ნიმუშები განხილულია მკიდრო ურთიერთ კავშირში. პრინციპული მნიშვნელობა აქვს ავტორის კონცეფციას საისტორიო ნაწარმოებთა მხატვრული მეთოდის შესახებ. ასეთ მეთოდად მას სამართლიანად მიაჩნია რეალიზმი. ქ. სიხარულიძე პირველი მკვლევარია, რომელმაც რეალიზმის ისტორიაში ხალხური შემოქმედების უანრებიც ჩართო.

ფართო ინტერესს იწვევს ავტორის შრომები ლიტერატურისა და ფოლკლორის ურთიერთობის საკითხებზე. ის პირველი მეცნიერია ჩვენში რომელმაც ეს პრობლემა თეორიული ასპექტით შეისწავლა და შემდეგ დასკვნებამდის მივიდა: „ხალხური შემოქმედება დაუშრობელი წყაროა პროგრესული ქართული ლიტერატურისა მისი განვითარების ყველა ეტაპზე“; „თავის მხრივ გამოჩენილ ქართველ მწერალთა შემოქმედებაც ამდიდრებდა და ამდიდრებს ხალხურ სიტყვიერებას“. ცხოველი ინტერესი გამოიწვია მისმა ნარკვევებმა შ. რუსთაველის, ს.-ს. ორბელიანის, ვ. ბაგრატიონის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის, გ. წერეთლის, რ. ერისთავის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, ი. აბაშიძის შემოქმედების ფოლკლორთან ურთიერთობის შესახებ. ნარკვევებში გაანალიზებულია ძვირფასი მასალა, დადგენილია ბევრი ხალხური მოტივის პირველი წყარო და მისი ლიტერატურაში გავრცელების გზები. ასევე ფართო მოწონებას იმსახურებს ამავე რიგის

შემაჯამებელი ნაშრომები „XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობა და ხალხური შემოქმედება“ (1959 წ.), «Сказание об Амнране и грузинская литература» (1964 წ.) და სხვ.

მკვლევარმა საყურადღებო სტატიები მიუძღვნა ზოგადი ფოლკლორისტიკის თეორიისა და მეთოდოლოგიის პრინციპულ პრობლემებს. აქ წინა პლანზე წამოწეულია შედარებითი მეთოდი ხალხური შემოქმედების ქანრების სპეციფიკის კვლევაში. ქართული ეპოსის მასალაზე მან ნათელყო ეროვნულ ეპოსთა ახლებურად შესწავლის მეთოდოლოგიური წანამძღვრები. ეს საკითხებია გაშუქებული სტატიებში: „ხალხურ პოეტურ ქანრთა გენეტიკური კავშირი“ (1964 წ.), „ქართული ხალხური გოდება“ (უნგრულ ენაზე, 1965 წ.), «К вопросу о грузинском эпосе» (1958 წ.), «Грузинская народная поэзия» (1959 წ.), «О сравнительном изучении народных исторических произведений (1961 წ.), «Традиция героической поэзии Грузии» (1965 წ.), «Сравнительное изучение эпических рассказов и лиро-эпических песен» (1965 წ.), «Жанровые особенности грузинской народной героической поэзии» (1969 წ.) და სხვ. ამ სტატიებში ქართულ მასალაზე ნაჩვენებია შედარებითი მეთოდით ძიების შედეგად მიღებული ზოგადი დასკვნები, ქართული ხალხური შემოქმედების ქანრებისა და მათ მოტივთა უდიდესი მნიშვნელობა ზოგადი ფოლკლორისტიკის მწვეავე თეორიული პრობლემების გადასაჭრელად. ხსენებულ სტატიებში განვითარებული აზრების ძირითადი დებულებანი ავტორმა მოხსენებათა სახით წაითხა ფოლკლორისტთა საკავშირო და მსოფლიო ფორუმებზე, სადაც მათ დადებითი გამოძახილი გამოიწვიეს.

თეორიულ ძიებასთან ერთად პროფ. ქ. სიხარულიძე მზრუნველობას იჩენს სკოლის საჭიროებისადმი. მან დიდი შრომა გაწია ქართული ფოლკლორის სახელმძღვანელოთა და სწავლების მეთოდიკის დამუშავებაში. იგი ავტორია ქართული ფოლკლორის საუნევერსიტეტო სახელმძღვანელოსა და მასწავლებელთა მეთოდური რეკომენდაციებისა, რომელთაც კარგად იცნობენ პრაქტიკოსი პედაგოგები და სტუდენტები. მისი მეთოდიკური ნარკვევი «ფოლკლორის შესწავლა საშუალო სკოლაში», რომელიც ჯერ კიდევ 1941 წელს გამოიცა, და ორტომიანი სახელმძღვანელო «ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია» (გამოიცა ორჯერ) დაუფასებელ სამსახურს უწევნ ჩვენს საშუალო და უმაღლეს სკოლებს.

ქ. სიხარულიძე ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა მახლობელი მეგობარი და გულისხმიერი აღმზრდელია. მრავალ ნიჭიერ სტუდენტს ჩაუწერა ჩვენი ხალხური სიბრძნის სიყვარული და გზა-გაუქაფა მეცნიერების მწვერვალებისაკენ. მისი ხელმძღვანელობით გაიარა საასპირანტო მომზადება და დაამუშავა საკანდიდატო დისერტაცია 20-მა ახალგაზრდა მეცნიერმა, რომელთაც დღეს მთელი საზოგადოებრიობა იცნობს. მის მოწაფეთა შორის ქართველებთან ერთად არიან ჩერქეზები, ადიღელები, ოსები, აფხაზები, უცხოელები. ქ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით უნგრელმა მეცნიერმა მარტონ იშტვანოვიჩმა შეისწავლა ქართული ზღაპრის ტიპოლოგია, ქართულ ენაზე დაწერა და ჩვენს უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მარტონ იშტვანოვიჩი დღეს ცნობილი მეცნიერია და ფართო ქართველოლოგიურ მუშაობას ეწევა თავის სამშობლოში. ქ. სიხარულიძის ბევრი ყოფილი მოწაფე ახლა მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია და დამოუკიდებლად განაგრძობს რთულ პრობლემებზე მუშაობას. იგი გამოსულა 40 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტად.

ფოსტას მეცნიერის ბინაზე ყოველდღე მოაქვს სასიხარულო ცნობები. ფართო მიწერ-მოწერა აქვს თავის ყოფილსა და ახლანდელ მოწაფეებთან, გამოჩენილ მეცნიერებთან, სამეცნიერო ორგანიზაციებთან. მის არჩევასთან დაკავშირებით ფოლკლორისტთა საერთაშორისო საზოგადოების წევრად ბუქარესტში ამ საზოგადოების ევროპული განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი უნგრელი ფოლკლორისტი, აკადემიკოსი დ. ორტუტაი ქს. სიხარულიძეს სწერდა: «Я считаю за честь для общества, что, оно сможет зачислить Вас в свои ряды». ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი, ლინგვისტი და ფოლკლორისტი, აკად. ვ. მ. უჩომენსკი ამას წინათ მას მიმართავდა შემდეგი სიტყვებით: «Большое Вам спасибо за ваше внимание вообще. Я исключительно высоко ценю дружеское отношение Ваше... Я ссылаюсь на Ваши интересные сообщения...» სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მაშინდელი გამგე, პროფ. ვ. ი. ჩიჩერევი, 1955 წელს ქს. სიხარულიძეს ატყობინებდა: «Я очень ценю Вашу работу и так рад, что у нас с Вами сложились дружеские, творческие отношения. Ваше выступление на Киевском совещании имело для меня большое значение.. Ваша статья о понятии и жанрах исторического эпоса в «Трудах» обязательно должна быть напечатана. Имен-

ხო статья, звучащая проблемно, как звучало и Ваше выступление....»

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ მისი ყოფილი ასპირანტის, ჩერქეზი მეცნიერი ქალის, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ სარინეტ აუტლეას წერილს. მადლიერი მოწაფე მასწავლებელს სწერს: «Годы учебы в Тбилиси были самыми светлыми, самыми незабвенными, счастливыми годами в моей жизни... Я очень благодарна Вам за Ваше чуткое, человеческое, доброе отношение ко мне, за то, что в трудные минуты моей жизни Вы морально всегда поддерживали меня своими умными советами и заражали меня духом Вашего оптимизма...»

მიწერ-მოწერა მდიდარია, ადრესატთა მხოლოდ ჩამოთვლასაც დიდი ადგილი დასჭირდებოდა.

ძნელია ერთ მცირე წერილში ოდნავ მაინც სრულად აღინუსხოს შესანიშნავი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის უაღრესად ნაყოფიერი საქმიანობა.

ჩვენმა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ქ. სიხარულიძის უანგარო შრომა. მინიჭებული აქვს მას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებითა და მრავალი სიგელით.

თავის მესამოცე გაზაფხულს მეცნიერი შემოქმედებითი ძალები ახალი აღმავლობით ეგებება. მუდამ პრინციპული და ნაკლოვანებებთან შეურიგებელი, დაუღალავი მკვლევარი ჩვენი ეროვნული საუნჯისა, ახალი კადრების მახლობელი და გულთამხილავი, მგზნებარე პატრიოტი მოღვაწე — ჩვეული ხალისითა და ჭაბუკური ენერგიით განაგრძობს თავის სანუკვარ საქმეს. წინა ზაფხულს მან კვლავ მოინახულა სევანეთის მაღალი მთები და აყვავებული სოფლები, შეხვდა იქ ძველ მეგობრებს, შეიძინა ახალი კორესპონდენტები. სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელსაც თავად მეთაურობდა, ძვირფასი და ნაირფეროვანი მასალა შეაგროვა. ექსპედიციიდან შინ კმაყოფილებით დაბრუნებულმა მეცნიერმა განაცხადა: ბევრი, ძალიან ბევრი რამ ისევ ხალხშია დარჩენილი, ვინ იცის, ჯერ კიდევ რამდენი ამისთანა ექსპედიცია დაგვჭირდება, რომ კიდევ უკეთესად შევისწავლოთ ჩვენი დიდებული ხალხის ზეპირი შემოქმედება. ხალხური სიბრძნე უძირო ზღვაა, მისი ამოწურვა შეუძლებელია. მეორე სიცოცხლეც რომ მომცეს, მხოლოდ ისევ მის შეკრება-შესწავლას შევწირავდიო!.. მშვენიერადაა ნათქვამი!..

1971 წ.

## მატიანე ჩვენი ღღეებისა

### 1. „მარად და მარად“

ვინც ახლოს იცნობს ალექსანდრე სიგუას, ნიჟიერ მწერალსა და მენარკვევეს, დამეთანხმება, რომ ამ ტანმორჩილ კაცს დიდი და ცხელი გული აქვს. ის ნაყოფიერად იკვლევს სხვათა მიერ უკვლევ მოვლენებს, სამზეოზე აფენს აქამომდის დაფარულ ფაქტებს. მერვე ათწლეულში ფეხგადადგმული მოღვაწე ჰაბუკუთრი ენერგიით განაგრძობს ღვიძლ საქმეს, თავს დასტრიალებს გარდასულ დღეთა არქივებს და ცოცხალ სტრიქონებს უძღვნის უცნობსა და ნაკლებად ცნობილ მასალას, მტვერმიყრილ ცნობებს საყოველთაო ინტერესის საგნად ხდის. მას საშინლად სძულს შტამპი, შაბლონი, გადაღვილი ცნობეზის მორევეში ტრიალი. მუდამ სიახლეს ეძებს. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბევრი უნახავს და განუცდია, ბევრ მოღვაწეს შეჰხვედრია ან საქმიანი ურთიერთობა ჰქონია, ბევრი წყარო უფურცლავს და უჩხრეკია და ამიტომაც სათქმელიც ცოტა როდი აქვს. აკი ამბობს კიდევ და მერმე, აბა გასინჯეთ, როგორი პათოსით ამბობს! მისი ყოველი ნარკვევი და წიგნი ამოსუნთქეა ჩვენი ტბილი ენისა. ამ რიგისა ავტორის ნარკვევების ახალი კრებულის „მარად და მარად“, „საქართველომ“ ამას წინათ რომ მიაწოდა მკითხველს.

პატარა მოცულობის წიგნში დიდი და ფრიად საინტერესო მასალა თავმოყრილი. იხსნება იგი პრობლემური ნარკვევით, რომელსაც სათაურად აქვს ილიას ცნობილი შეგონება: „ლიტერატურა ყოველის კაცის პატრონი უნდა იყოს და მფარველი“. მას მოჰყვება „პუშკინი“ და „ივერია“, ორივე მათგანი დაწერილია ღრმა ცოდნითა და მკითხველს ახალ ინფორმაციას აწვდის ილია ჰავჭავაძისა და მისი „ივერიის“ ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალ საკითხზე. ყურადღეზას იპყრობს ავტორის მოგონებები, ნარკვევები, შენიშვნები. ესაა ცოცხალი მატიანე გარდასული დღეებისა, ჩაწერილი და გამართული უშუალოდ. ალ. სიგუას თავიდანვე ჩვევად ჰქონდა, რომ ღღისით ნახული და გაგონილი, სადამოთი დღიურებში აღებუქდა, არ გამორჩენოდა არც ერთი დეტალი, ამიტომ მის არქივს შემორჩა ფასეული ჩანაწერები და ახლა, როდესაც ღრო ჩამოდგა ძველის გახსენებისა, და მას ფურცლავ, გაოცებული რჩები; ეს გაყვითლებული რვეულეზი რა ძვირფას მასალას იტევს! ალ. სიგუას წიგნებში მოგონებებისა და ნარკვევების სახითაა გადმოცემული ეს ჩანაწერები, რომლებიც ასე ცხოველი ინტერესით იკითხება.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ალ. სიგუას ახლო ურთიერთობა

ჰქონდა და ხშირად ხედებოდა ქართული კულტურის იმისთანა გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორც იყვნენ: შალვა დადიანი და თედო სახაკია, გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჭავჭავაძე და კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი და პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და ტიციან ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი და გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი და ალიო მირცხულავა, ნიკოლოზ მიწიშვილი და ილია ზურაბიშვილი, ალექსანდრე აბმეტელი და აკაკი ხორავა, ბესო ჟღენტი და კოტე გორდელაძე, ივანე კახიშვილი და აკაკი შანიძე. არაერთგზის შეხვედრია თვით ნიკო ნიკოლაძეს, ვალერიან გუნიას, ვასილ ბარნოვს. ამ შეხვედრათა შტრიხები აღბეჭდილია მის დღიურებში. უსაუბრია მაქსიმ გორკისთან, გამოჩენილ რუს, უკრაინელ, სომეხ მწერლებთან (ნ. ტიხონოვი, ბ. პასტერნაკი, ბ. პილნიაკი, ვ. გოლცევი, მ. ბაჟანი, ე. ჩარენცი, ა. კორნეიჩუკი). აღ. სიგუა, როგორც ვიცი, დღესაც განაგრძობს დღიურების წერას. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ იგი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი მეცნიერების ბერმუხის აკაკი შანიძისა და მისი არაერთი ნაამბობი შეტანილი აქვს თავის გრძელ დღიურებში.

აღ. სიგუას ხსოვნას შემოუწინაბავს ზემოხსენებულ მოღვაწეთა ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული მრავალი ისეთი ცნობა არა თუ ფართო მასებისათვის, არამედ სპეციალისტთათვისაც კი რომ ხელმიუწვდომელია. ბევრი მათგანი ავტორს გამოქვეყნებულ აქვს ადრე გამოცემულ წიგნებსა და ნარკვევებში, ზოგიერთს კი ახალ კრებულშიაც გვაცნობს. ეს კი ამ კრებულს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

დავიმოწმებ ერთ ფრიად საინტერესო დიალოგს ქართული სალიტერატურო ენის მოვლის საკითხებზე, რომელიც მიხეილ ჭავჭავაძე და ნიკოლო მიწიშვილს შორის გამართულა და ჩვენს ავტორს სიტყვა-სიტყვით ჩაუწერია დღიურში. „მიხეილ ჭავჭავაძისა და ნიკოლო მიწიშვილს, — მოგვითხრობს აღ. სიგუა, — განსაკუთრებით უყვარდათ ერთმანეთი. ზაფხულობით იგი, თეთრ კიტელში გამოწყობილი, ჯოხით ხელში ხშირად შემოდის ნიკოლო მიწიშვილთან. ერთ დღეს ასეთი დიალოგი გაიმართა მიხეილ ჭავჭავაძისა და ნიკოლო მიწიშვილს შორის: — ჩემო ნიკო, საჭიროა ქართული სალიტერატურო ენის საკითხის მოგვარება, მწერლებმა ქართლისა და არაგვის ხეობის ენა უნდა დაამკვიდრონ მწერლობაში. — არა, მიშა, ამაში არ ვეთანხმები — უთხრა ნიკომ, — ქართული სალიტერატურო ენა იქმნება არა მარტო ქართლსა და კახეთში, ქსნისა და არაგვის



ხეობაში, არამედ საქართველოს ყველა კუთხეში — ქართლსა და კახეთში, გურიასა და სამეგრელოში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. აქ პრიორიტეტი არც ერთ კუთხეს არ შეიძლება მივაკუთვნოთ. რასაკვირველია, ზოგ კუთხეში შეიძლება მეტი იყოს სალიტერატურო ენის ნიმუშები, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რომელიმე კუთხეს უპირატესობა მიეცეთ. ჩვენი ამოცანაა ახალ ქართულ ენაში მთლიანობდეს ილიას ძარღვი და აკაკის სიმსუბუქე. — რასაკვირველია, სალიტერატურო ენის ნიმუშები საქართველოს ყველა კუთხეში მოიპოვება, მაგრამ ქართლი და კახეთი, ქსნისა და არაგვის ხეობებში მდიდარია და, მე ვფიქრობ, მომავალი სალიტერატურო ენა ამ მართულებით უნდა განვითარდეს, — უპასუხა მიხეილმა. — მთლიანად ჩვენი ერთი ქმნის სალიტერატურო ენას და არა რომელიმე კუთხე“. ნამდვილად საინტერესო, დღესაც კჳუსის სასწავლი დიალოგია.

კრებულში მშვენიერი ნარკვევები და მოგონებებია შეტანილი. ცხოველი ინტერესით იკითხება, მაგალითად, აკაკის მოგზაურობა პეტერბურგსა და მოსკოვში, იონა მეუნარგისთან და შალვა დადიანის ცხოვრებასთან დაკავშირებული ამბები, შალვა დადიანის დაკარგული რომანის თავგადასავალი, ცნობები ნიკო ნიკოლაძის, თედო საბოკიას, იოსებ გრიშაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის, ალიო მირცხულავას ცხოვრებიდან, ილიას „კაკო ყაჩაღის“ პროტოტიპის შესახებ და ა. შ. აქ ლაპარაკია ახალ, მათ შორის ბევრ სრულიად უცნობ, ფაქტებსა და მოვლენებზე.

უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ნარკვევი „შალვა დადიანთან ერთად“. ესაა ჩინებული ესეა ჩვენი საუკუნის პირველ ნახევრის თვალსაჩინო მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. შალვა დადიანი სწორადაა დახასიათებული როგორც ქართული კულტურის რაინდი, ნაჩვენებია მისი ოჯახური გარემო, პირადი ცხოვრება, მეგობრებთან ურთიერთობა. ავტორი ოთხ ათეულ წელს მუშაობდა შ. დადიანთან ერთად და, ბუნებრივია, მან კარგად იცოდა სახელოვანი მოღვაწის ცხოვრების მრავალი, ჩვენთვის უცნობი, შტრიხი. „შალვა დადიანი, — მოგვითხრობს ალ. სიგუა, — არასოდეს მინახავს მოხუციბული, დაჩივებული და აზროვნებასმოკლებილი. 85 წლის ასაკშიც ისეთივე მხნე და ნათელი აზროვნებისა იყო, როგორც კაბუკობისას“, „შალვა დადიანის სიკვდილი ისეთივე ვაჟაკური და გმირული იყო, როგორც მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება“, „ის კაცი იყო, ვით შეფერის კაცსა კაცობა“. ბევრი რამ დაწერილა შ. დადიანის დასახასიათებლად, მაგრამ ეს სულ სხვაა. ესაა მართალი სიტყვა, ნათქვამი უბრალოდ, მაგრამ თბილად.

„მოგონებები თედო სახოკიაზე“ ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. კოლორიტულადაა გამოკვეთილი უანგარო მოღვაწის სახე. თედო სახოკია ლეგენდარული პიროვნება იყო. რიგითმა მასწავლებელმა გრძელი გზა განვლო. იწვინა ცარიზმის სუსხი, ციმბირში გადასახლება, ემიგრაცია ევროპაში, მოიარა მრავალი ქვეყანა და შინ სახელმოხვეჭილი დაბრუნდა. მუდამ ტრიალებდა ერის ფიქრთა მპყრობელების წრეში. მის ღვაწლს აფასებდნენ ილია დე აკაკი. ქართული ეთნოგრაფიული რეალიები პირველად სწორედ მან გააცნო დასავლეთ ევროპას. უცხოური ენებიდან გადმოაქართულა ათობით კლასიკური ძეგლი, მარტო ის რად ღირს, რომ ნახევარსაუკუნოვანი რუღუნების შედეგად შექმნა ქართულ ხატოვან-თქმათა ლექსიკონი, რომელიც ამშვენებს ჩვენს ლექსიკოგრაფიას.

კრებულში საინტერესო ცნობებია თავმოყრილი ილიას „კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟის — ბლაჟიაშვილის პროტოტიპთან დაკავშირებით კარდანახელი გლეხის შესახებ. „ილიამ თავისი შესანიშნავი პოემა „კაკო ყაჩაღი“ ამ კარდანახელი გლეხის მწარე და უკუღმართ ცხოვრებას მიუძღვნაო“. ავტორი ამბობს, რომ ილიამ ბლაჟიაშვილის სახე კარდანახელი გლეხის, იოსებ ჩალათაშვილის, თავგადასავლის მიხედვით შექმნაო და აღადგენს ამ გლეხისა და მისი შთამომავლების თავგადასავალს. „იოსებს, — ვკითხულობთ ნარკვევში, — დარჩა ერთი შვილი — გიორგი; ეს იყო უბრალო გლეხაკაცი, ბეჯითი და გამრჩე მშრომელი, მოწინავე კოლმეურნე. იგი გარდაიცვალა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ. გიორგის შვილები, ანუ კაკო ყაჩაღის შვილიშვილის შვილები — იოსებ და ალექსი ჩალათაშვილები მამაცურად იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე. ტანკისტი-ოფიცერი იოსებ ჩალათაშვილი ვალმოხდილი დაბრუნდა ფრონტიდან, მისი ძმა, რიგითი მებრძოლი ალექსი ჩალათაშვილი, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე“. ნარკვევში საყურადღებო ცნობებია წარმოდგენილი ილიას შემოქმედებითი ლაბორატორიის გასაგებად.

ნოველისტურადაა დაწერილი მოგონებები ნიკოლო მიწიშვილზე. ეს შუბლნათელი მოღვაწე ისე წავიდა ჩვენგან, რომ დარჩა მხოლოდ რამდენიმე თხზულება. ავტორმა აღადგინა ნიჭიერი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და ღირსეული მამულიშვილის საკმარისად სრული პორტრეტი. მას, ცხადია, სათქმელიც ბევრი ჰქონდა, რადგან წლების განმავლობაში მასთან ერთად მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობაში. ნარკვევი დახმარებას გვიწევს უდროოდ დაღუპული მწერლის ღვაწლის გასათვალისწინებლად.

სამახსოვრო ფურცლები ეძღვნება ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობას

ფოთში. ნიკო ნიკოლაძე განსაკუთრებული პიროვნება იყო ქართული კულტურის ისტორიაში, მას კარგად იცნობდნენ. ბოლოს ყველაფერს თავი მიანება და ფოთში დასახლდა, მიზნად დაისახა ფოთის საზღვაო პორტის აშენება. ამბობდა თურმე: პეტრე დიდმა ჭაობი ამოაშრო და ნევაზე დიდი ქალაქი ააშენაო; მე კი ფოთში ჭაობი უნდა ამოვაშრო და ის დიდ საზღვაო პორტად უნდა ვაქციოო. ასევე ცხოველი ინტერესის შემცველია ნარკვევები, რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობას, იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკას, ალიო მირცხულავას პოეზიას, ნიტროფანე ლალიძისა და ნიკო ხუდადოვის დამსახურებას ეძღვნება.

ოროდე სიტყვით სიამოვნებით უნდა აღვნიშნო ალ. სიგუას დახვეწილი ქართული. მისი ფრაზა სხარტი, გამჭვირვალე და ნათელია. ავტორი თავს არიდებს მეტსიტყვაობას. ცოცხლად აღწერს აღუწერელს, გვაჩვენებს უჩვენებელს, გვაცნობს უცნობს. ავტორის სახით ჩვენს წინ დგას ცოცხალი მოამბე, სიტყვაშეხვედრი მემართიანე ჩვენი დღეებისა. შევიტყვე, რომ იგი გამოსაცემად ამზადებს ნარკვევების ახალ წიგნსო. ღმერთმა მარჯვენა უკურთხოს!

1983 წ.

## 2. იშვიათი ბუნების კაცი

მწერალი და პუბლიცისტი ალექსანდრე სიგუა საშური საქმეების წამომწყებია. უკანასკნელ წლებში, როგორც ითქვა, მან ბევრი მივიწყებელი მოღვაწე გაახსენა მკითხველს და მრავალი უცნობი ფაქტი გამოიტანა სამზეოზე. ამჯერად კი მისი კალამი „იშვიათი ბუნების კაცი“ — დავით სარაჯიშვილს (1848—1911) გადაწვდა და მეტად საინტერესო მონოგრაფიით გავგებარა, „იშვიათი ბუნების კაცი“ ახლანან მიაწოდა მკითხველს გამომცემლობა „საქართველომ“ აკაკი შანიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით. მცირე მოცულობის წიგნში, რომელიც მდიდარ ფაქტობრივ მასალას ეყრდნობა, ბევრფასი ინფორმაციაა გადმოცემული.

დ. სარაჯიშვილი ჰუმანიტური მამულიშვილი, კეთილშობილების, გულუხვობის, მეგობრობის განსახიერება იყო. დიდი სიმდიდრე დააგროვა, მაგრამ მის გულს სიძუნწე არ შეჰპარვია. ალ. სიგუა სწორად მიუთითებს, რომ დ. სარაჯიშვილმა მთელი თავისი ქონება ხალხს დაუტოვა და უანდერძა მუზეუმებისა და თეატრების, სკოლებისა და ბიბლიოთეკების ასაშენებლად და გასახსნელად, ძველი სიგელ-გუჯ-

რებისა და ხელნაწერების შესაძენად, ხელოვნების ნიჭიერ მოღვაწეთა გზის გასაკაფავად, ღარიბ მოწაფეთა, მოხუც-დავრდომილთა, ქვრივ-ობოლთა ხელშესაწყობად. წიგნიდან ვეცნობით ქველმოქმედის ღვაწლს. ის უანგაროდ ეხმარებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს, სკოლებს, სტუდენტებს. ნიჭიერ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში გზავნიდა და სტიპენდიებს უნიშნავდა. დ. სარაჯიშვილის სტიპენდიებით აღიზარდნენ ვანო სარაჯიშვილი და დიმიტრი არაყიშვილი, მოსე თოიძე და ათობით სხვები, რომელთაც ღირსეულად გაამართლეს კეთილშობილი ქველმოქმედის იმედები და ერის სასიქადულო მოღვაწენი გახდნენ.

„უმაწვილობიდან გულში ღრმად ჩაენერგა, — წერდა 1911 წ. ი. გოგებაშვილი, — სამსახური თავისი ქვეყნისა, მისი სიკეთე, მისი შვება და ღხენა, მისი ჭირვარამის შემეცირება და მოსპობა. დავითი კარგად გძნობდა, რომ ქვეყნის სამსახურისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა საფუძღვიანი განათლება, მრავალგვარი ცოდნა. ეს ცოდნა თავის სამშობლო თბილისში შეიძინა, მერე განაგრძო მისი შეძენა რუსეთში და ბოლოს დაამთავრა ევროპაში“. იყო ფილოსოფიისა და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, გერმანიაში დაეუფლა სოფლის მეურნეობის მეცნიერებას, საფრანგეთში შეისწავლა მევენახეობა-მეღვინეობის საქმე და როცა შინ დაბრუნდა, ხელი მოჰკიდა ეროვნული მრეწველობის აღორძინებას, განსაკუთრებით კონიაკის წარმოების განვითარებას, რაც მის სახელთანაა დაკავშირებული. მისმა ქართულმა კონიაკმა კი მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი და მრავალი ჯილდო დაიმსახურა. კონიაკის წარმოების მოთავე კავკასიაში, და მთელ რუსეთშიაც, სწორედ დ. სარაჯიშვილი იყო. ასევე დ. სარაჯიშვილმა დილომში გახსნა დაწყებითი სასწავლებელი, კავკასიაში (ახლანდელი ვლადიკავკაზი) — მუშათა სკოლა და ქართული ბიბლიოთეკა, დიდი ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინა ეროვნული კულტურის ცენტრებსა და ორგანიზაციებს, წამოიწყო მუზეუმისათვის ახალი ბინის მშენებლობა. ყველა იმ სიკეთის დასახელება, რაც ამ საოცარი მამულიშვილის ამაგს უკავშირდება, ძნელია. ამიტომაც იყო, რომ დ. სარაჯიშვილის ღვაწლს დიდად და ღრმა პატივისცემით აღნიშნავდნენ ხოლმე ერის იმისთანა ქურუმები, როგორც იყვნენ ილია და აკაკი, ნ. ნიკოლაძე და ი. გოგებაშვილი, ე. თაყაიშვილი და ივ. ჯავახიშვილი.

ყოველივე ამის საილუსტრაციოდ ალ. სიგუა მრავალ, მათ შორის ბევრ აქამომდის სრულიად უცნობ ფაქტს იმოწმებს და სწორად

განსაზღვრავს ქველმოქმედის ადგილს ქართული კულტურის ქომავთა გალერეაში.

ავტორი ამასთან ერთად გვაცნობს ერთ უცნობ მხარეს დ. სარაჯიშვილის მოღვაწეობიდან, რაც კიდევ უფრო ზრდის წიგნის უღაგო ღირსებას. საქმე ეხება საზოგადოება „უღლის“ ორგანიზაციაში დ. სარაჯიშვილის მონაწილეობას, რაც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული არ ყოფილა. ჩვენ ვიცოდით, რომ საზოგადოება „უღელი“ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში შეიქმნა ციურინში ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლისა და ს. მესხის ხელმძღვანელობით. პროფ. რ. ნიკოლაძის ფრიად საყურადღებო ცნობის საფუძველზე ავტორს დაუდგენია, რომ ხსენებული საზოგადოების საქმიანობაში 1875—1876 წწ. აქტიურად მონაწილეობდა დ. სარაჯიშვილიც. ახალ ინფორმაციას, ბუნებრივია, სიცხადე შეაქვს ბევრ ბუნდოვან საკითხში და ის ხელს შეუწყობს ამ საზოგადოების საქმიანობის, შემადგენლობისა და პროგრამის შემდგომ ჩაღრმავებულ შესწავლას.

წიგნი დაწერილია ცოცხლად, მდიდრულადაა ილუსტრირებული ფოტოდოკუმენტებით და იკითხება ინტერესით.

ეს მცირე წერილი მინდა დავამთავრო პატარა ამონაწერით ქართული მეცნიერების პატრიარქის, აკაკი შანიძის, წინასიტყვაობიდან, რომელიც წიგნს ერთვის: „დავით სარაჯიშვილი (1848—1911) არაჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოს ახალ ისტორიაში. კაცი უაღრესად ნიჭიერი და გამჭრიახი, კარგად მომზადებული და შორს მკვრეტელი, იგი იყო თავისი დროის ქართველ მოღვაწეთა უნარჩვევსთაგანი, რომელმაც დაუღალავი შრომითა და ჯაფით დიდი მრეწველის სახელი გაითქვა, საკმაო ქონება შეიძინა და ეს ქონება გონივრულად გამოიყენა“. ეს სიტყვები ზუსტად ახასიათებს გულმხურვალე მამულიშვილის მოღვაწეობას, რასაც შთამომავლობამ ყოველთვის პატივი უნდა მიაგოს. მრავალმეტყველია თავად დ. სარაჯიშვილის აღსარება: „ყველგან და ყველაფერში უნდა იყო პატიოსანი ადამიანი, ეს ყველაზე მეტია, ვიდრე იყო მილიონების პატრონი“. ჭეშმარიტად ასეა! ასეთი გახლდათ, უწინარეს ყოვლისა, პირადად დ. სარაჯიშვილიც. შეგონება დღესაც შთამაგონებლად ქდერს. მას ჟანგი არ მოედება.

ალ. სიგუას მონოგრაფიას ინტერესით გაეცნობა მკითხველი საზოგადოებრიობა. მისი გამოცემით „საქართველომ“ უთუოდ კარგი საქმე გააკეთა.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი ერთ ლექსში ამბობს: „მე მთელი ჯანით და გულით ვარ ქვეყნისა და ლექსის მსახურიო“. და, მართლაც, ეს ფრთიანი ფრაზეოლოგიზმი ზედგამოჭრილია პოეტის ღვაწლის დასახასიათებლად. ის ნამდვილად ალალი მსახურია ქვეყნისა და ქართული ლექსისა.

თ. ჯანგულაშვილის პოეზიას სამი ლირიკული ნაკადი ასაზრდოებს: კაცის გულისთქმის პათოსი, ომის მიმე გზებისა და ბილიკების გახსენება და თანამედროვის ფიქრები. სამივე ნაკადი მის შემოქმედებაში მაგისტრალურ ლერძადაა შედუღებულნი და დღევანდლობის ერთიან სუნთქვას ექვემდებარება. პოეტის იდეალია თესვა სიკეთისა, რწმენა მომავლისა, სისპეტაკე სულისა, გრძნობა ქართული სიტყვის მადლისა, განცდა თანამედროვე ადამიანის მისწრაფებისა, უბრალოება. ის ცხოვრებითაც, მთელი შემოქმედებითაც სინამდვილის ვნებათაღელვის წინაშე კდემამოსილი და მოკრძალებული რჩება, არის შეურიგებელი შტამპისა და სტანდარტისა, მაძიებელი სიახლისა, რადგან ხედავს, რომ „უქვდავ სიცოცხლით დასახლებულა ველები — მზისგან დაკოცნილები, დიდი ცხოვრება გაჩაღებულა, შრომაც, ძიებაც და ქორწილებიც“. ამიტომ სპეტაკი და გულწრფელია მისი აღსარება: „დღევანდელ დღეთა ქება-დიდება... მოკრძალებული სიმღერა ჩემიო“.

პოეზია თ. ჯანგულაშვილისა სიცოცხლისა და სილამაზის სიმღერაა, რომელშიაც წარმოჩენილია ქართული სიტყვის ჯადოსნური ძალა, მშობლიური მიწის სურნელება, ხალხის საქმისადმი ერთგული კაცის სულიერი საბაღნარო, სადაც „ფარფატებენ ფანტელები, ციდან ჩამოფანტულები“, „სიყვარულის ყვავილნარში ყვავავით გზამოვარდულები“, სადაც ამაყად მი-მოდის ბედნიერი ადამიანი, მშვენიერება, რომელსაც პოეტი უქკნობი შედარებით ესიტყვება: „ხარ ყაყაჩოს გაცი-ნებაო“.

მრისხანე ორმოცდარში, როდესაც პოეტი ფრონტის გრძელ გზას დაადგა, გულის სიღრმიდან აღმოხდა დედის წმინდა საგალობელი: „მოხუცი ისევ ზის ბუხრის პირას, ღამეა და ქსოვს შვილისთვის წინდას... არ შემეცივდეს! — დედის თვალებმა შორს ბრძოლის ველი ოცნებით მოვლეს. ბუხარში ალი ცახცახებს თრთოლვით, გარეთ კი ბარდნის ახალწლის თოვლი“. ჯარისკაცულ ლექსებში ვგრძნობთ პატრიოტის მძლავრ გულისფეთქვას, გამარჯვების ურყევ რწმენას.

თეიმურაზ ჯანგულაშვილის ლექსები ჩვენი დღეების სიმღერაა თავისი წუხილითა და სიხარულით, მარცხითა და წარმატებით. აქ

ერთმანეთთანაა შეერთებული სიტყვა და საქმე, კაცობა და მამული-  
შვილობა. კლასიკური პოეზიის ღამის გუშმაგი ფხიზლად უვლის  
ლექსს და მას მკითხველის გულის სიმების ასაწყობად მართავს, რომ  
მართალი ტკბილსიტყვაობით ადამიანს წუთისოფლის სიმწარე დაავი-  
წყებინოს და იგი შრომის ბედნიერებას აზიაროს. ეს მიაჩნია მას თავის  
უპირველეს მოვალეობად. „უნდა ვადიდო მამულის შუქი, რომ ჩემი  
ვალი ბოლომდე ვზიდო“; „სამშობლოს მკერდზე გულს სანთლად  
ვანთებ — ვერ ჩამიჭრობენ ცივი ქარები. როგორ შევხედო ამ მზეს  
და ამ მთებს, თუ საქართველოს არ ვეყვარებიო?!“

პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს უშუ-  
ალობა, გულწრფელობა და უბრალოება. მთელი მისი პოეზია უბრა-  
ლოების განსხეულებაა. მის ლექსებში ჰარმონიულადაა შეხამებული  
სიტყვებისა და სიტყვათშეერთებების ბუნებრივი მიმართებები. აქ  
ვერ იპოვით სიტყვათა თვითმიზნურ თამაშს, რაც ყოველგვარ ცოც-  
ხალ აზრს ახშობს და ბურუსში ახვევს. პირიქით, პოეტი ქართული  
ლექსიკის უკიდვგანო საგანძურიდან სათუთად არჩევს სწორედ ბუ-  
ნებრივ ქართულს და მას აკისრებს ნაფიქრალის შეუფერადებლად  
ხორცუმესნმას. პოეტის ლექსების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ  
ბუნებრივი ქართული სიტყვა მძლავრი საშუალებაა ამალღებული  
გრანობის, ურთულესი ფილოსოფიური შეგონებებისა და ადამიანის  
საუყეთესო იდეალების გადმოსაცემად იმ მიზნით, რომ აზრი ეკიბ-  
რებოდეს სიტყვას და სიტყვა აზრს. წყობილსიტყვაობას ზოგად კა-  
ნონებთან ერთად ადგილობრივი კანონებიც აქვს. ზოგადი კანონების  
მოქმედება მაშინაა ეფექტური, როცა მასში ადგილობრივიც ზომიე-  
რად ჩაირთვება. ადგილობრივს პოეტის ინდივიდუალური ნიჭი და  
ფანტაზია ასულდგმულებს. ლექსი მხატვრულთან ერთად ენობ-  
რივი ფენომენიცაა და თუ მასში ენის მხატვრული აქსესუარი ად-  
გილს ვერ იპოვის, ლექსი გაიხლართება ზოგადი კანონების ტყვეო-  
ბაში და ველარ აღმოჩნდება ადამიანის ესთეტიკური ტკბობის  
საშუალებად. ლექსი კი თუ ადამიანის ემოციას არ აამალღებს და  
გულის ძარღვს „ტოტს არ წაჰკრავს“, არააობად იქცევა, ადამიანის  
სულს ვერ დაუკავშირდება. ამ მწვავე პრობლემას მეორე უკიდურე-  
სობაც ახლავს. მაშინაც კი, თუ ლექსი მხოლოდ ეფექტის ცდუნებას  
აპყვება, თავის ნამდვილ მიზანს აცდება და მხატვრულ ღირებულე-  
ბას დაკარგავს. ამიტომ ლექსი მთლიანია, მას უწინარეს ყოველისა  
მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია აქვს. ლირიკული ლექსის სოციო-  
ლოგიზმი მხოლოდ მაშინ ამართლებს მიზანდასახულობას, როდესაც  
მთავარი ფუნქციის ჩარჩოებს არ შორდება. გალაკტიონის კლასიკური

ფორმულა — პოეზია უწინარეს ყოვლისა — სწორედ ამ აზრს უსვამს ხაზს.

ჩვენი პოეტი წვდება ენის მხატვრულ შესაძლებლობებს და შემოქმედებით იყენებს მათ. ამიტომაც მისი ლექსი სადა, გამომსახველობის საშუალებებით, მეტაფორებით, ალიტერაციული შეხამებებით, შედარებით დამუხტული, მსუბუქი, ასე ბუნებრივი. მზა ფორმულები ჩართულია სიტყვათშეერთებების ერთიან ნაკადში, ესთეტიკურ აბსტრაქციას მხატვრულ გააზრებას რომ აძლევს: „მკერდში ჩავიფრენ აპრილის ნიავს, ნიავია თუ სუნთქვა ზღაპრული. ჩვენ გაზაფხულის შვილები გვქვია, სამშობლოვ, შენ ხარ ეს გაზაფხული“. ხალხური რიტმი და მელიოდი აქვს ამ სტრიქონებში: „შუადღის ტანტზე დაბრძანდა მზე. ჰე, გასულა რა ხანი... მწყურვალს და დაღლილს მიხმობდა პირისპირ მდგარი კაკალი, გულის კარს მიკაკუნებდა კაკაბურ კაკბის კაკანი“; „სამგორის ველზე მოსულა ნორჩი ნერგების ლაშქარი, შეკრთა და გადაიკარგა სამგორის ქარი ავქარი. დინჯნი და უჭავრელები ნერგს რგავენ უჯარმელები. მზეში გარუჯულ ხელებით მოდიან გარეჯელები“... გზად მიმავალმა პოეტმა მინდერის ყვავილს გაანდო საიღუმლო: „გამვლელთ გულებს რომ ესალმუნება, მიველ, შევახე კრძალვით მე ბაგე, — ნუ გამიწყრები, დედაბუნებავ, დედაბუნებავ, დიდო მებაღე. ეს ყვავილი ხომ ჩვენთვის გიძღვნია, გიჩუქურთმია უკვდავ ხელებით; გზაზე წვებიან და წინ გვიძღვიან მისი ფერების ცისარტყელები“; „ნეტავ მასავით ეს ჩემი სიტყვაც იდგეს ცხოვრების წარაგზის პირზე“. პოეტის შუადღე „კეთილი დარის“ სიმბოლოა, რომელსაც იგი ევედრება: „შუადღევ, დიდხანს გაგრძელდი, ფიქრო, დაღინდი, დარძვედიო“; ევედრება გულს, მზეს, სიტყვას, რომ შეუნარჩუნონ ძალღონე, რათა მთელი ხმით იმღეროს: „გულო, იყუჩე, ცოდო ხარ, ეს რა აღმურით აღმანთე!.. მზევ, გაივაკე ცოტა ხანს, გვიან დაეშვი დაღმართზე“, „სიტყვავ, დაფდაფებს დაჰკარი, იქუხე, არ დაახანო!“

მკითხველი ნება-ნება ითვლის ამისთანა ხატოვან სტრიქონებს იმ სამახსოვრო ლექსებში, რომლებიც რამდენიმე კრებულადაა გამოცემული. ვის არ წაუკითხავს „სტუმარი საგარეჯოში“ და „ვისლის დღეები“, „ვინა თქვა, თეთრიაო თოვლი“ და „ეს არის ჩემი თანამედროვე“, „საქართველოვ, დაგიბრუნდი“ და „ფანდურები“, „შენ და აპრილი სამგორის ველზე“ და „შენ როგორ გითხრა, რა არის ომი“. ამ და პოეტის სხვა ქმნილებებში დაბუდრებულია გამჭოლავი გრძნობა; ცოცხალი მხატვრული ორნამენტებით ამეტყველებულია დაუვიწყარი სახეები; ლაღად ისმის სამშობლოს, ხალხთა ძმობის, დედაენას



საგალობელი. არ არის შექმხვევითი, რომ ამ ლექსების ბევრი ნატიფი სტრიქონი საჰანგოდ აიტაცა მკითხველმა.

თავისი ერთი ბოლოდროინდელი ლექსების წიგნის წინასიტყვაობაში თ. ჯანგულაშვილი ამბობს: „მთელი წიგნის მთავარ ძარღვად ფოქავს ჩვენი დღევანდლობა, ჩვენი ხალხის ვაჟკაცური შემართება. ჩემი თანამედროვის სულის სილამაზე და საქმის ძლიერება“. ნამდვილად ასეა. მისი პოეზია ჩვენ წინ გადაშლილი დღევანდლობაა ესთეტიკურ სახეებში.

პოეტი დიდ ენერგიას ახმარდა და ახმარს ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. წლების განმავლობაში მუშაობდა ლიტერატურული ორგანოების რედაქციებში. მახსოვს მისი ჰაბუკობის წლები. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში რომ გაატარა. ხშირად შეესწრებოდა, როცა გაზეთის მაშინდელ მთავარ რედაქტორს, გიორგი ნატროშვილს, მარჯვნივ ერემია ქარელიშვილი ეჭდა, მარცხნივ — თეიმურაზ ჯანგულაშვილი და ახალ ნომერს აკაბადონებდნენ. ერემია ქარელიშვილი რომელიღაც კრიტიკოსის გრძელ სტატიას ადგილს უძებნიდა გაზეთის მესამე გვერდზე, თეიმურაზი კი — ახალბედა პოეტის ჰაშნიკის მეორე გვერდზე დაბეჭდვას სთხოვდა რედაქტორს. ასე მიდიოდა წლები. თ. ჯანგულაშვილი მრავალ წელს რედაქტორობდა „წიგნის სამყაროს“ და ამ მძიმე უღელს ქედუხრელად ეწეოდა. „წიგნის სამყარო“ კი უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ერთ-ერთ პოპულარულ ლიტერატურულ-ბიბლიოგრაფიულ გაზეთად იქცა. ჩვენი ქალაქების, რაიონების შრომითი კოლექტივების მუდამ სასურველი სტუმარი პოეტი სათავეში უდგას დავით გარეჯის კულტურის სახალხო უნივერსიტეტს, სადაც ირგვლივ შემოკრებილი ჰყავს მწერლები, მეცნიერები, საგარეჯოს რაიონის აქტივისტები და საზოგადოება „ცოდნის“ დავალებით ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა. იგი გადაცდა შუადღეს და მესამოცე ვარდობის თვეს უახლოვდება. გავლილია ნათელი გზა. წინ ისევ და ისევ მალაღობი შორიზონტები ჩნდება.

ახალი შემოქმედებითი სიხარული ეუნატროთ საყვარელ პოეტსა და ღირსეულ მამულიშვილს.

1983 წ.

## შეწყვეტილი თხრობა გრძელდება

მკითხველი ინტერესით ჩასცქერის წიგნის უკანასკნელ სტრიქონებს. მის თვალწინ კინოლენტივით გაიბზინეს მრავალი საუკუნის საშინელმა ამბებმა. ერთი დღის მშვიდობასა და სიხარულს მრავალი წლის ომი და წუხილი ცვლიდა. სისხლის წვიმები არ წყდებოდა. შინა შუღლი მოძალებულ მტრებს ხელ-ფეხს უხსნიდა. ბულა თურქის ყაჩაღურმა ლაშქრობამ კიდევ უფრო მძიმე გახადა ქვეყნის ხვედრი. მაგრამ ამ განსაცდლის წლებშიაც არ შეწყვეტილა კულტურის, მეცნიერების განვითარებაზე, დაფლეთილი სამთავროების გაერთიანებაზე ფიქრი. საქართველოს გაერთიანების საკითხი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ იჭედებოდა. უკვე გაჩნდა იმედი, გამოიკვეთა მთავარი კონტურები გაერთიანებებისაკენ ხალხის ლტოლვისა. მაგრამ... „აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენი მოთხრობა, მკითხველს დროებით გამოვეთხოვოთ და ჩვენი გრძელი საუბრის გაგრძელება მეორე წიგნში აღვუთქვათ“.

ამ სიტყვებით მთავრდება ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ პირველი წიგნი, რომელმაც გამოსვლისთანავე ფართო ინტერესი გამოიწვია, და აი, ახლა ჩვენს წინ გადაშლილია მეორე წიგნი, სავსე არანაკლებ ამაღლვებელი ამბებით, ამსახველი IX—XI სს. მოვლენებისა.

ვახტანგ ჭელიძე განაგრძობს შეწყვეტილ საუბარს. ყოველ მხრით უტრიალებს ქართლის ცხოვრების ქრონიკებს, მშრალ ფაქტებს აცხოველებს, ამდიდრებს ადგილობრივი და უცხოური ინფორმაციით, აკეთებს გაბედულ განზოგადებებს. წიგნი დაწერილია ცოცხლად, ვახტანგ ჭელიძისეული ქართულით, უტრემლოდ ვერ წაიკითხავ. ავტორის სადასიტყვაობის სტილს ჩვენ ვიცნობთ ჯერ „ივანე მაჩაბლიდან“, შემდეგ „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ პირველი წიგნიდან. ტრადიციული თხრობა აქაც გრძელდება. ვახტანგ ჭელიძე დოკუმენტური პროზის ერთგულია. პროზის ამ ენარს ადრე დიდი სამსახური გაუწია გერონტი ქიქოძემ, მას ემსახურება ჩვენი ავტორი ელგუჯა მალრაძესთან და სხვებთან ერთად. ელგუჯა მალრაძის „გრიგოლ ორბელიანი“ და „გოდება“, რომლებმაც მკითხველთა სიყვარული დაიმსახურეს, ამის ნიმუშებია.

მე მიზნად არ დამისახავს წიგნში აღნუსხული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზი. ეს სპეციალისტების საქმეა და ისინი, მჯერა, არც დააყოვნებენ ამის გაკეთებას. ამ წერილის მიზანი უფრო მოკრძალებულია, უნდა გამოკვეთოს საინტერესო წიგნის რამდენიმე მომენტი.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ქართლის ცხოვრების ამაღლვებელი მოვლენები ვ. ჭელიძეს გაუშუქებია როგორც შემატა-

ნეთა ქრონიკების, ისე თავად მის მიერვე შეჯერებული უცხოური წყაროებისა და თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა მიხედვით, ამიტომ წარმოდგენილ დასკვნებს დამაჯერებლობა ემატება, პირველი წყაროს ელფერი ექლევა. ეს უნდა ითქვას უდავოდ, რადგან ამისთანა შეფასებას წიგნის ბევრი ადგილი უეჭველად იმსახურებს. საილუსტრაციოდ დავიმოწმებ მხოლოდ ერთ მომენტს.

მემათიანეთა ქრონიკებში გოდება ისმის: „ყრუმან ბაღდადეღმან შემუსრნა ყოველნი ციხენი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი. და კუალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაოხრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედილა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“... „ნაარა უღმერთომან მურვან ყრუ ზღვის პირი და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი ზღვის პირისანი, და ოხერ და უვალ ყო ყოველი ქუეყანა ზღვის პირისა“ .... „არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საქადაი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე“ ...სასტიკი მურვან ყრუს მიერ ქვეყნის აოხრების ამაზრზენ სურათებს ერთნაირად ხატავენ ძველი ქართველი მემათიანეები, ჯუანშერიც, სუმბატ დავითის ძეც... და აი, ზენი ავტორი, თანამედროვე მემათიანე წარსული უბედურებისა, დასძენს: არაბთა სარდალმა, მურვან ყრუმ, „თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრით სულ გადათელა ქვეყანა. ციხეები და ტაძრები დაანგრია, საცხოვრებელი სახლები გადაბუგა, ხალხი გაჟლიტა. ლამის ერთიანად მოსპო სიცოცხლე ამ პატარა მიწა-წყალზე. და „ადგილ-ადგილ“ თუ კი რამე გადაურჩა მის მახვილს, თუ კი აქა-იქ მაინც დარჩა ჩაუმქრალი კერა, იმას საშინელი ჭირი მოუვლინა — თვითონ წავიდა და უკურნებელი სენი დატოვა“.

ავტორის მსჯელობა სწორად ეხმიანება მემათიანეთა მოთქმულ ტირილს ქართველი კაცის ავბედობაზე. სენი მართლაც გაუვრცელდება ით ურჯულო დამპყრობლებს. ეს სენი იყო სატალი, ბრძენი საბაზა გაგებით, „სენი მუცლისა“, ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით — „მუცელა, სენი მომსრველი“, — ქოლერა.

შემდეგ ქართული სამთავროების გაერთიანებისა და საქართველო ტერმინის შესახებ. ავტორის მსჯელობა აღძრულ საკითხებზე საფუძვლიანია. დაქუცმაცებული მხარეების გაერთიანების იდეის ბორცმესხმას IX—X სს. აძნელებდა სამთავროთა პატივმოყვარე ერისთავების თავგასულობა, რასაც ხელს უწყობდნენ ბიზანტიის იმპერატორები, არაბი ხალიფები, სპარსეთის ხანები. ადვილი საქმე როდი იყო ცალკე სამთავროების მეფე-მთავართა წინააღმდეგობის დაძლევა. წიგნში მოთხრობილია გაერთიანებისათვის ბრძოლის სამანსოვრო ეპიზოდები. დიდი როლი ქართული სამთავროების გაერთიან-

ნებისათვის ბრძოლაში XI ს. მეორე ნახევარში ითამაშა ბაგრატ მესამე. რომელმაც შეძლო აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი სამთავროების შეერთება და ერთიანი ქვეყნის ჩამოყალიბება. სწორედ ამ დროს გაჩნდა შემკრებლობითი ტერმინი საქართველო, რითაც აღინიშნა ქვეყანა, რომელიც აერთიანებდა ქართული სამთავროების მიწა-წყალს. გაერთიანებული ქვეყნის მეფედ ბაგრატ მესამე გახდა. ამ პარტებულადაა დამოწმებული ივ. ჯავახიშვილის ცნობილი სიტყვები: ქვეყნის შემკრებლობითი ცნების გამოსახატავად ძველი ტერმინებს — „ყოველი ქართლისა“ ან „ერთობილი ქართლის“ ნაცვლად მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული საზოგადო ტერმინად „საქართველო“ ან კიდევ „ყოველი საქართველო“ დაკანონდა.

საქართველო, როგორც ვთქვით, შემკრებლობითი ტერმინია, მიღებული ქართ ძირიდან. ამიტომ უნდა გვქონოდა, ცხადია, საქართველო და ქართველი, მაგრამ ერთიანი ტერმინები საქართველო და ქართველი „ე“ თანხმოვნის ჩართვით გაფორმებულა. ეს კი ქართული ენისათვის ბუნებრივი პროცესი იყო: ანუ, კერძოდ, კიდევ ნაწარმოები რაქა ფუძიდან რაქველი (უნდა გვქონოდა კი რაქელი).

ქართული სამთავროების გაერთიანება შეამზადა ისტორიულმა აუცილებლობამ, სოციალურმა, ეკონომიკურმა, კულტურულმა პირობებმა. წიგნში სწორადაა ნაჩვენები, რომ გაერთიანებას სჭედდნენ ერას ღირსეული შვილები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. ამ დიდ საქმეში თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი იოანე საბანიძის მოთხრობასაც, გრიგოლ ხანძთელის მთელ მოღვაწეობასა და იმ თხზულებასაც, რომელიც ამ დიდებულ მამულიშვილს მიეძღვნა, ქართული კულტურის იმ მცირესა და დიდ კერებსაც, რომლებიც X ს. აღმოცენდნენ ჩვენში და ჩვენი ქვეყნის გარეთაც, განვითარებულ სამეურნეო იარაღებსაც, მშრომელი კაცის ოფლსაცა და სისხლსაც. ამასთან ერთად რეზონულად უნდა მივიჩნიოთ ავტორის განსჯა: ბაგრატ მესამეს რომ შორს გამიზნული პოლიტიკა არ გაეტარებინა, მას რომ საოცარი სიმტკიცე და შეუპოვრობა არ გამოეჩინა, ეს სანატრელი ღვე ქვეყნის გაერთიანების და შეკავშირებისა იქნებ უფრო დაყოველებულიყო და გაჭიანურებულყო. ნამდვილად ასეა.

ბოლოს, კიდევ ერთი მომენტიც. ეპოქა, რომელიც წიგნშია აღწერილი (IX—XI სს.) მძიმე და მღელვარე იყო. მღელვარე იყო მშე-

ნებლობითაც და ნგრევითაც. გაუთავებელი სისხლის ღვრა, მტრის ურდობის ავაზაკური თარეში, შუღლი, გაუტანლობა — ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ანადგურებდა ქვეყნის ეკონომიკასა და კულტურას, ანშობდა შემოქმედებას. მაგრამ საოცარია, რომ შავბედობის ეპოსაც არ შეწყვეტილა კულტურასა და მწიგნობრობაზე ზრუნვა, სამეცნიერო კერების მშენებლობა-განმტკიცება. სწორედ ამ ეპოქაში შექმნილა ენის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების შედეგები, რომლებიც დღესაც ერის სიამაყეს წარმოადგენენ. მცირე წერილში შეუძლებელია ამ ძეგლების ოდნავ დახასიათებაც კი, მაგრამ ზოგიერთი მათგანის გახსენება რამდენადმე მაინც წარმოდგენას მოგვცემს იმ მასშტაბებზე, რასაც ხსენებული ეპოქის კულტურულ მშენებლობას ვამჩნევთ. ამის ნიმუშებია, გნებავთ, ბაგრატის დიდებული ტაძარი ქუთაისში, ან შატბერდის, ოშკის, ხანძთის, ჯმერკის, ბერთის, დოლისყანის, ოპიზის, წყაროსთავის შესანიშნავი ტაძრები. ამ პერიოდში რომ არის აშენებული. ავებდობის მიუხედავად IX—X სს. ფართო სამონასტრო მშენებლობა გაჩაღებულა ტაო-კლარჯეთში, აღმოცენებულა ქართული მწიგნობრობის კერები საზღვარგარეთ (საბერძნეთი, პალესტინა, ბულგარეთი), შექმნილა ორიგინალური სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებები, უცხოური ენებიდან თარგმნილა მსოფლიო კულტურის ძეგლები. მეცხრე-მეთათე საუკუნეთა შატბერდში ითარგმნა და გადაიწერა მსოფლიო მწიგნობრობის კლასიკური ნიმუშები, რომელთა შორის აღსანიშნავია 897, 936 და 973 წლებში გადაწესებული ბიბლიური წიგნები; 978 წ. ოშკში გადაუწერიათ ქართული ენის ისტორიის უნიკალური ძეგლი „ოშკის ბიბლია“; საზღვარგარეთის ცენტრებში გადაწესებულთაგან აღსანიშნავია სინური მრავალთავი 864 წლისა, ათონის ბიბლია და მრავალი სხვა. ორიგინალური მწერლობის კლასიკურ დონეს მოწმობს X ს. მწერლის, გიორგი მერჩულის შედეგრი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

X ს. პირველ ნახევარში აიგო ნიკორწმინდის, სამთავისის, ალავერდის, ხცისის, საეანის, მანგლისის, სამთავისის ტაძრები, აიგო „დიდებული სვეტიცხოველი თავისი სვედიანი და ამაღლევბელი ლეგენდით“.

კულტურის ზემოხსენებულ ტაძრებში, შინ და გარეთ, სხვადასხვა ეპოს მოღვაწეობდნენ იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი — მსოფლიო დიდების მეცნიერები. და

ქვეყნობრები, რომელთა სახელები ამშვენებენ ჩვენი ენის, ლიტერატურის, მეცნიერების ისტორიას. ექვთიმე მთაწმიდელმა ქართულიდან ბეოქნულად გადაიღო განთქმული „სიბრძნე ბალავარისა“ — ქართული ფილოსოფიური აზროვნების უქცნობი ძეგლი, იოანე პეტრიწმა ჩამოაყალიბა თვითმყოფი ფილოსოფიური მოძღვრება; ეფრემ მცირემ განჯათარების ზენიტზე აიყვანა მთარგმნელობის თეორია და პრაქტიკა; X ს. მეორე ნახევრის შესანიშნავმა მწიგნობარმა, დავით კუროპალატის თანამედროვემ, იოანე-ზოსიმემ, ქართულ ენას ბრწყინვალე ქებათა-ქება უძღვნა: „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელშიც ჩვენი დედაენა მსოფლიურადაა აღიარებული. ავტორს სიმბოლურად მიაჩნია, რომ ქართულ ენაში დამარხულია ღვთაებრივი სპირტუალური და დიდი მომავალი აქვსო. ძეგლი მოწმობს X ს. მოღვაწეთა მაღალ ეროვნულ თვითშეგნებას, ქართული ენის ღირსებების ღრმა ცოდნას. ამისთანა შინაარსის ქებათა ქება ენისა იშვიათად მოიპოვება სადმე.

ვახტანგ ჭელიძე კარგად იცნობს ყველა ამ ძეგლსა და მოვლენას და მართლად მსჯელობს მათ შესახებ, მკითხველს აწვდის მდიდარსა და მრავალ მხრით საინტერესო ინფორმაციას.

აყვავებული ქართული სამთავროები, როგორც აღინიშნა, IX—X სს. მრავალჯერ აუოხრებიათ გადამთიელ დამპყრობლებს. აქეთკენ ვანოურბოდთ თავიანთი ხარბი თვალები ბიზანტიის კეისრებს, არაბ ხალიფებს, სპარსეთის ხანებს. მათ ურდოებს ამ წლებში მილიონზე მეტი უდანაშაულო ქართველი გაუჟღეკთათ. დიად, მილიონზე მეტი არა მარტო ქართლის ცხოვრების, არამედ მსოფლიო ისტორიის მრავალ ქრონიკაში ლაპარაკია ამ აოხრებათა საშინელებაზე. წიგნში სათანადოდაა ნაჩვენები თავდასხმათა ძნელსათქმელი შედეგები ზოგიერთი უცხოური წყაროს მიხედვით. ნაშრომის ეს ადგილები განსაკუთრებული ინტერესით იკითხება. გავიხსენოთ მხოლოდ ერთი ეპიზოდი. მეშვიდე თავში დახატულია ის შემადრწუნებელი ჯოჯოხეთი, რაც X ს. პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთში დაატრიალა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილიმ. ქრონიკა მღუმარედ მოგვითხრობს: მან გადაწვა და გაანადგურა მთელი ქვეყანა, მიიტაცა ქართული მიწა-წყალი, გაწყვიტა 200.000 ადამიანიო. ამ რაოდენობის მსხვერპლის წარმოდგენა, ახლა რომ ასე ძნელია, მაშინ რაღა იქნებოდა! ბასილის ამ ველურობის შესახებ აქვე უნდა მოვიყვანო იმჟამინდელი სომეხი მემკვიდრის, არისტაკეს ლასტივერტეცის, ძნელადსაკითხავი ცნობა, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ვ. ჭელიძეს. „საწყალობელი და ცრემ-

ლისმომკვერელი სანახაობა იყო აქ, -- გადმოგვცემს სომეხი ავტორი, -- რადგანაც მაღალი სამეფო სასახლეები და ტაძრები, რომლებიც დიდი ხარჯითა და ხუროთმოძღვართა ოსტატობით იყო ნაშენი მხილველთა განსაცვიფრებლად და მცხოვრებთა სიხარულით დასატკბობად, გადაიწვა, დაინგრა და განადგურდა. ხოლო მათი პატრონები მათთან ერთად მახვილით ამოწყდნენ... ძუძუმწოვარა ყრმებს ზოგს დედას გვერდიდან გლეჯდნენ და ქვებს ურტყამდნენ, ნაწილს კი დედას მკერდზე აკლავდნენ შუბით და დედის რძეს ყრმების სისხლს ურევდნენ, სხვებს გზაჯვარედინებზე ცხენების ჩლიქებში აგდებდნენ და ხოცავდნენ. ვაი ღმერთო, შენ მოწყალეხარ იმ დროს, ვაი, მეფის შეუბრალებელ ბრძანებას. მაგრამ ამით არ დამცხრალა მისი რისხვა, მან კვლავ აღმართა ხელი, რათა ყველა ბოროტებისათვის გადაეპარებინა: ასე გაუჟაცრიელდა კეთილმოწყობილი ქვეყანა. ზამთრის მოსვლამდე აოხრდა და დაცარიელდა ირგვლივ ყოველივე". ცრემლისმომკვერელი სურათია დახატული! მრისხანე იმპერატორმა გაქელა, გადაბუგა და მოაოხრა ყველაფერი, მაგრამ ხალხი მაინც ვერ გატეხა, დაპყრობით ვერ დაიპყრო, ვერ დაიმორჩილა ქვეყანა...

წიგნი მთავრდება XI ს. მიწურულისა და XII ს. დასაწყისის ამბებით. საქართველომ გადაიტანა ახალი განსაცდელი. თურქ-სელჯუთთა ურდოების თავდასხმა. გაპარტახებული ქვეყანა შეუდგა მძიმე კრილობის მოშუშებას. მოღვაწეობას იწყებს დავით აღმაშენებელი და... თხრობა წყდება. იხურება „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მეორე წიგნის უკანასკნელი გვერდი. გაგრძელება მესამე წიგნში იქნება...

ხელთა გვაქვს მშვენიერი საკითხავი თხზულება, დაწერილი სიყვარულით, პატრიოტულად, მეცნიერების თანამედროვე მიღწევების შესაბამისად. მართალია, აქ მოთხრობილი ყველა ეპიზოდის უყოყმანოდ დაჭერება ეგების მკითხველს გაუქირდეს, ზოგიც გადაჭარბებულად, ზოგიც საკამათოდაც მოეჩვენოს, მაგრამ ამისთანა შინაარსის თხზულებაში მსგავსი ნაკლი ბუნებრივად მოსალოდნელია, მთავარი ისაა, რომ მთლიანად წიგნი სწორ წარმოდგენას გვაძლევს შორეულ წარსულზე, მასობრივ მკითხველს დაეხმარება ისტორიის მძიმე ფურცლების მართებულად გაგებაში. ჩვენს დოკუმენტურ პროზას შეეძინა ახალი, მშვენიერი საკითხავი წიგნი, რომელშიაც თანამედროვის თვალთ დანახული და აწონილ-დაწონილი წარსულია გადმოშლილი, წარსული ჩაყენებულია თანამედროვეობის სამსახურში.

## ლეგენდების სამხაროში

ჩემ წინ დევს მარგო თომასის ჩინებულად აღკაზმული ახალი წიგნი — „წყაროსთან თეთრი ქვებია“. ისედაც მშვენიერ გამოცემას შნოსა და ლაზათს ჰმატებს ბელა ბერძენიშვილის მიერ ნიჭიერად შესრულებული ფერადი ილუსტრაციები და პოლიგრაფოსთა ხელრთვა. აქ თავმოყრილია 36 მცირე ზომის მოთხრობა, თუმცა ეს არაა ცნობილი მწერლის ჩვეულებრივ მოთხრობათა კრებული, მას სხვა დროსაც რომ უძღვნია ნორჩი მკითხველისათვის. პირიქით, ესაა მოკრძალებით შეკინძული კრებული ლეგენდა-თქმულებებისა, რომლებიც ავტორს წლების განმავლობაში სიყვარულით უგროვებია სოფელ-სოფელ მოგზაურობისას. აქ ყოველი ადგილობრივი გამოთქმა და ხალხური სენტენცია გულში ჩამწვდომად ჟღერს.

მარგო თომასეს საჭირო საქმე გაუკეთებია: შეუკრებია და ოსტატურად დაუმუშავებია წყაროებთან დაკავშირებული ხალხური ლეგენდები. ხალხში მარგალიტებივით მიმობნეული თქმულება-გადმოცემები გვაგრძნობინებენ ადამიანის მზრუნველობას წყაროზე, გეგონებათ, თითქოს ალალი კაცი ანკარა წყაროს პირას ქვაზე ჩამომჯდარა, ჩასცქერის ნაკადულის კრიალა ჰავლებს და დაუსრულებლად გაიბობხს გარდასულ დროთა მისტერიებს. საუკუნეთა სიღრმიდან გესმით მამა-პაპათა სიხარული და წუხილი, ადამიანის საოცარი თავგადასავალი.

ამეტყველებულა ანკარა წყარო!

მომხიბლავ ლეგენდებში ორგანულადაა შერწყმული გუშინდელი და დღევანდელი, ბედნიერი აწმყოსა და მომავლის ღიმილი.

წყარო, ისევე როგორც ჟანგბადი, მაცოცხლებელია კაცისა. სადაც წყარო ჩქეფს, იქ სიცოცხლეა, ხარობს ადამიანი, ყოველი სულდგმული, მცენარე. წყალი სიცოცხლის წყაროა. ამიტომაც, რომ მისი. მოვლ-მოფრთხილება, მთელი ბუნების, მთების და ხიდების, ტყეებისა და მდელოების, მდინარეებისა და ტბების, წყაროებისა და ნაკადულების დაცვა ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მოვალეობაა. ოქროპირი შოთა ნიშნიანიძე სწორად ამბობს: „ნეტა ამ ხედებს ქვეყანაზე რა შეედრება — ციხე-ტაძრები ცად ასულან ლოცვა-ვედრებად. წევს ვეფხვის ტყავზე საქართველო — მზის წილხვდომილი, თავს დასდგო-მია იალბუზი ხელაპყრობილი“...

დიდად საჰირობოროტო საკითხებზე ჩააფიქრებს მკითხველს მარგო თომასის „წყაროსთან თეთრი ქვებია“. ამისთანა შინაარსის წიგნი აქამომდის არ გვქონია. მერმე-და როგორ საჭიროა იგი, რა მდიდარი ინფორმაციაა დატეული ამ პატარა წიგნში. მწერალი ფრთხილად



უელის ყოველ ფრაზას. ავტორს სამშობლო ქვეყნის თითქმის ყოველი კუთხე მიმოუვლია, თავად უხილავს წალკოტად ქცეული ადგილები, უტყვი და მეტყველი წყაროები. ამყამად კი მოკრძალებნით შეკრებილი მასალის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოუტანია მკითხველის სამსჯავროზე. ის, რაც აქ წარმოდგენილია, კარგად გვაგვრძნობინებს იმასაც, რაც კვლავ ელოდება გამოცემას.

მწერალი სიყვარულით გვაცნობს ბრძნულ ხალხურ ლეგენდებსა და შეგონებებს. ყური დავუვდოთ, რა შემოუნახავს ხალხის ხსოვნას. გავიხსენოთ თუნდაც მტრედის წყაროს რაჭული ლეგენდა: ნიკორწმინდის ტაძრის მშენებლებს გავარვარებული მიწიდან ავარდნილი ხეატი სულს უხუთავდა. ცად აღმართულ ხარაჩოებს ფუტკარივით შესეული ადამიანები ცივ წყალს ნატრულობოდნენ. ხუროთმოძღვარმა თავის მზეთუნახავს უბრძანა: წადი, მონახე, არ შეიძლება, ამ წალკოტად ქცეულ მიდამოში სადმე წყარო არ იყოსო! ბუჩქებში დილის ნამივით გაცურდა მზეთუნახავი. უცებ დაბურული ტყე ციური შუქით განათდა: ბალახებში მკლავის სისხო წყარო ქუნდა და მტრედისფრად მოკამკამე მცირე ტბას აყენებდა. ქალიშვილმა პეშვით წყლის გემო გასინჯა, სურა აავსო და უკანვე გამობრუნდა. ტაძრის მშენებლებმა გაიხარეს, წყურვილი მოიკლეს, წყაროს ფასადი გაუკეთეს, ზედ მისი აღმომჩენი მზეთუნახავის პორტრეტი დაახატეს, მხარზე დოქითა და ხელის გულზე ასაფრენად ფრთებგაშლილი მტრედით. ასე გაჩნდა მტრედის წყარო...

სიღნაღში არის განთქმული წყარო — თავგატეხილა. თავგატეხილა თუ დალიე, სიღნაღს ვერ დაივიწყებო. ამ წყაროზე ხალხში ბევრი ლეგენდაა დარჩენილი, მაგრამ ერთი მათგანი მაინც ყველაზე უფრო მოსაგონარია: სიღნაღელთა ჩვეულებით, პატარძალს ორმოცი დღის შემდეგ ხელში კოკას მისცემდნენ და წყაროსკენ გაასეირნებდნენ. წყაროზე პატარძალს კოკისათვის თავი უნდა მოეტეხა, აევსო და შინ წაელო. თავგატეხილ კოკას კი ზედაშეს უწოდებდნენ. ზედაშე პატარძლის განკარგულებაში იყო. ვისაც კი მოსწყურდებოდა, მისთვის უნდა მიემართა. სიკვდილის წინ თავგატეხილას წყარო ინატრა თურმე აქაურმა მკვიდრმა, განთქმულმა მომღერალმა, ვანო სარაჯიშვილმა: მომიტანდეთ, შემასმევდეთო, — აბესალომივით ჩაილილინაო ვანომ...

ადიგენის რაიონში, შავშის წვერის მთის სამხრეთ ფერდობზე არის ვინ გიშლის წყარო. ლამაზი ლეგენდა გვაუწყებს: მწყემსი გოგო და ბიჭი აქ ცხვარს აძოვებდნენო. ბიჭმა გოგოს კრძალვით გა-

ხელა და ძლივსძლივობით ამოდერლა სამი სიტყვა: უნდა გაკოცო, ვოვოვ! გარინდული გოგო ვაზის რტოსავით შეირხა, წარბები ოდნავ მორკალა, თავი ზევით არც აუწევია, ისე ჩაილაპარაკა: ვინ გიშლის! ასე გაჩენილა მშვენიერი ჰიდრონიმი „ვინ გიშლის წყარო“.

არავის ხეობაში ვის არ უნახავს წიწამურის წყარო. გადმოცემით, იგი თითქოს ილიამ გადმოაყვანიხა ზედაზნის კალთებიდან. ილიას ძალიან უყვარდა ამ წყაროსთან ჩამოჯდომა და დასვენება. სწორედ ამ ადგილას დაესხნენ თავს სიკეთის მოციქულს შარაგზის ყაჩაღები და ნათელი შუბლი ტყვიით შეუხვრიეს. იმ საშინელ დღეებში თურმე აღარ ისმოდა წყაროს ჩუხჩუხი. მწერალი მოგვითხრობს: „ვინა თქვა, წყარომ დარდი არ იცისო? დაშრა და დაიწრიტა მაშინ წიწამურის წყარო, წვეთებად მოწანწკარებდა, განსაკუთრებით ღამით, როცა ყველას ეძინა, როცა ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა და არ ისმოდა „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“...“

ასევე ცოცხლად იკითხება მშვენიერი ლეგენდები მთაწმინდის წყაროს, აკაკის, ვაჟას, თამარის, შოთას, გალაკტიონის, ყინწვისის, ყორანას, ჭოეთის, კალიას, გვირაბისა და სხვა წყაროთა შესახებ.

წყრილა ქართულით დაწერილ წიგნს ლეგენდების სამყაროში გადავყავართ. მკითხველის თვალწინ გადაიშლება და ცოცხლდება ტურფა საბაღნარო, ძველი და თანამედროვე კოპწია სოფლები და ღაბები. მაღალი მთები და დაბურული ტყეები. ცადატყორცნილი კლდეები და თვალწიერი ველები, წყალუხვი მდინარეები და ანკარა წყაროები, კაცის მარჯვენით აგებული ციხე-ტაძრები და კოშკები, მთელი ქართული მიწაწყალი, თავისი სვებედნიერი ადამიანებით. გაკეთებულია უეჭველად სასარგებლო საქმე, შექმნილია კარგი საკითხავი წიგნი. გული კი მაინც გწყდება. კიდევ ბევრი წყაროს ლეგენდის გაცნობა გსურს. უკვდავების წყაროს წყლებით ხომ დასერილია ზენი ბარი და მთა.

გვჯერა, მწერალი კვლავ დაუბრუნდება ამ თემას და ლეგენდების ახალი კრებულით გაგვახარებს.

მაცოცხლებელი წყაროს წყალსავით ესალბუნება მკითხველის კულს ყოველი ახალი კარგი წიგნი. მათ შორისაა მარგო თომაძის „წყაროსთან თეთრი ქვებია“.

1980 წ.

### მეცხრა მთის გადმოსახედიდან

სიამოვნებით ვკითხულობ მიძღვნილ წიგნს. თვალწინ მიდგას ავტორის სახე. ტანბრკე, გამხდარი, მხცოვანი კაცი, მეცნიერი, მწე-

ჩალი, ერთ დროს ფაკულტეტის სათხო დეკანი, შემდეგ უნივერსიტეტის „მრისხანე“ რექტორი, ახლა დამსახურებული აკადემიკოსი, ახალგაზრდობის გულისხმიერი მოძღვარი და აი, თითქოს ვხედავ კიდეც: კანჩხიბი მთაკაცი ქვანისხევის გაგაზულ აპანთებს აპყუა. ზურგჩანთოსანი ბიჭები მართვისავეთ აედევნენ ტყეში შექრილ ბილიქზე. ერთი კუნთმაგარი ჭაბუკი დაწინაურდა და კრანჩხის თარჯთან შეჩერდა, კიმელი მოირთვლიანა და ნიმუში მოძღვარს მიართვა. მთაკაცმა კარაპანთან ჩაიმუნლა, კიმელს გემო გაუსინჯა და ყმაწვილებს ველური ვაზის საოცარი თავგადასავალი უამბო: აქ თურმე ვაზის ძვირფასი ჯიშები ხარობდაო. თურქთა საუკუნოვანმა ბატონობამ ვაზი გაანადგურა, მაგრამ ადამიანთა მარჯვენამ ზოგი მათგანი გადაარჩინა. ახლად შემოერთებულ აქარაში პირველად თედო სახოკიამ აღწერა გადარჩენილი ჯიშებიო და იქვე ჩამოთვალა ისინი: ბროლა და კლარჯულა, მატენაური და ბუდეშურა, ვანური ბურძგლა და მეკერენჩხი, შხუმი და ჩხავერი, ცხენისძუძუ და ხარისთვალა, ჯანიში და ხოფათური... ყველამ ყურადღებით გასინჯა კიმელიანი ვაზის ფოთოლიცა და რქაც. გაგარეულებული ბროლაო, — დაასკვნა მოძღვარმა.

ყმაწვილებს ეუცნაურათ შინაური ვაზის გაგარეულება. მაგრამ ეს ზომ მწარე სინამდვილეა, რის მოწმეც მრავალი ლეგენდა და თვით აქარის მძიმე ისტორიაა. ოსმალებმა მხარე დააქციეს. მოსპეს მალალი კულტურის იმისთანა კერები, როგორც იყო ტბეთი და ოშკი, ხახული და ოპიზა, არტანუჯი და იშხანი, ერუშეთი და შავშეთი. ააოხრეს აყვავებული სოფლები, აჩეხეს ვაზი და ხეხილი. მუსრი გაავლეს კაკლეს ხეებს. სამჯერ აუჩეხავთ ვენახი. ერთხელ რომ გაჩეხეს, მეორე წელს გლეხებმა ახალი ბაგა ჩაყარეს და მოკლე ხანში რთველი გააჩაღეს. ოსმალის ჯარმა წამოუარა და კვლავ უმოწყალოდ გადაკაფა ნორჩი ვაზი, ნავენახარი გუთნით გადახნეს, ვაზი და კაკალი ამოძირკვეს. ხალხს იმისთანა დღე დასდგომია, რომ ორი წლის განმავლობაში ოჯახში ერთ ფიჩხაურა ღვინოს ვერ იშოვნოდა კაცი და ოჯინჯახს ვერ გაქნიდა ქალი, რაც არ უნდა გულის სტუმარი მოსვლოდაო. ისევ გაშენდა ვენახი, მაგრამ ასკერთა ურდომ კვლავ წამოუარა და ამოძირკვა შეილივით ნახარდი ვაზი. როცა მესამედაც აჩეხეს, გლეხებმა ხერხი იხმარეს, კარმიდამოებს ტყრუშული ღობე შემოავლეს, კარწინ მარტო ტყემალი, ვაშლი და სხვა ხეხილი დარგეს. მოილაპარაკეს და ყველა სოფელმა თავის ტყეში გაიტანა ყველაზე მოსავლიანი ჯიში. ჩამოურიგა რცხილას, უხრავს, ნეკერჩხალს, წაბლს და შეპლადადა, კარგად შემინახეო. ძირი თურმე ცრემლით მოურწყეს. ოსმალ

ტყეში ვერ შედიოდა, ეშინოდა, ტყის ძმები არ ასვენებდნენ. ვაჭმა და ხემ იგრძნეს ცრემლის სითბო, სიყვარულიც, ორ წელიწადში დაბურულ ტყეში მალღარები გაჩნდნენ და დაიტვირთნენ გაჭიქული მტყენებით. სოფელმა კვლავ აიტაცა მელოდია:

მასპინძელო, მხიარულო,  
მარნის კარი აჭრიალე,  
ტკბილი ღვინო მოგვიტანე,  
ყელი დაგვიმაპკრიანე.

გაცოფებულან დამპყრობნი: ვენახი აღარა აქვთ, რა ემღერებათო? ახლა სიმღერას დაადეს ხარკი. საქმე გაჭირდა: ქართველმა კაცმა ღვინო დალიოს და არ იმღეროს, როგორ იქნება? დაიბეგრა ვასიცა და მისი პროდუქტიც. შირას (ყურძნის ტკბილი წვენი) გამოსაღები მეჩვიდმეტე საუკუნეში ორასი ათას აჩხას (თურქული ფულის ერთეულია) უღრიდაო. თურქი დამპყრობლები ჩეხდნენ, თხრიდნენ ვაჭს, მაგრამ ვერ მოსპეს. აჭარამ საშინელ განსაცდელში გამოატარა ვენახი და გათავისუფლების შემდეგ შთამომავლობას შემოუნახა ორმოცამდის ჯიშის საუკეთესო ვახი: აღმურა და ბუტკო, ბათომურა და ბროლა, თეთრა და კიბურა, ლივანურა და კოლოში, მისკიეთა და მეკერენჩხი, მტრედოფერა და მახათური, მათენაური და თავშურა, საწურავი და ჭავახეთურა, ჯინეში და ხოფათურა, ჩხუში და სირის თვალა, ქორქაულა და ტყისყურძენა, ჭეკიბერა და ტაგიმურთა. ამ სასწაულის მოხდენა მხოლოდ გლეხკაცის მარჯვენას შეეძლო, მაგრამ ყველგან ეს, ცხადია, ვერ მოხერხდა. გურიაში, მაგალითად, ადრე გავრცელებული 60 ჯიშიდან შემოინახა მხოლოდ 20, სამეგრელოში — 55-დან გადარჩა 14, აჭარაში კი 50-დან შემორჩა 40. შეხედეთ თუნდაც ამ ანგეშ ავგავანს, — გაიშვირა ხელი მოძღვარმა, — თვალი გააყოლეთ ბეზან ბიხვებს, რამდენი კეზი მოუჭრიათ და მაინც როგორ შრიალებს მწვანე ხაფხი. ეს ნიადაგი მეტწილად მეორადი წარმოშობისაა. საძოვრების მეტი ნაწილიც ნატყევარზე ყოფილა გაშლილი. უწესრიგო ძოვებამ და ჩეხვამ წიწვიანები (სოჭა, ნაძვი, ფიჭვი) შეაეწიროვა, უკან დაიწია, მის გზას დაადგნენ არყნარები, ნეკერჩხლიანები; დეკიანები ბევრგან სულაც მოისპო. ამ მალლობებზე გვხვდება გაეწრებული ყომრალი ნიადაგები, ნეშომპალა კარბონატული ყომრალი ნიადაგები, ბარაქიანი საძოვრები. ტიმოთელა და ნამიკრეფია, წივანა და კეწეწურა, ცხვრის სამყურა და ბაბუაწვერა ყუათიანი საკვები მცენარეებია, რომლებიც ამ საძოვრებს ამშვენებენ. მართალია, მათ შეპკრევია სარეველა და შხამიანი ბალახეულიც.

მავრამ მთლიანად მდებლობები წოყიერია. სარეგლა და შხამიანი მცენარეულიდან აქ ფეხმოკიდებულება ძიგვა (ქისრიბა), კრელი წივიანა, მარმუქი, მედგარი, ნემსიწვევრები...

ასე იწყება ნიკო კეცხოველის ახალი თხზულების პირველი თავები. „მეცხრე მთაც გადავიარეთ“ მორიგი წიგნია ავტორის დოკუმენტური პროზის მრავალტომეულიდან. ადრე „ცხრათვალა მზის ქვეშ“, შემდეგ „მორბის არაგვი, არაგვიანი“ და „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“, ახლა „მეცხრე მთაც გადავიარეთ“ ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ, თითქოს ბაშაგი იკრიფება, აქიანები იესება, სამშობლოს თვალუწვდენელი ავგავანი თვალწინ იშლება. ჩანს ავტორის გარჯა. უვლია მას კარდაკარ, შინ და გარეთ, ზამთარსა და ზაფხულს, უნახავს მთა და ბარი, სოფელი და ქალაქი, ძველი და ახალი, შეხვედრია ნაცნობსა და უცნობს, ჭადაროსანსა და უწვევრულს, გაუცხრილავს ხელნაწერი და ბექდური წყაროები და ასე, ადომ-ადომ, წლების განმავლობაში ადგილ-ადგილ უკრებია ძველი და ახალი ცნობები, ლეგენდები და გადმოცემები, სიტყვები და ანდაზები, მაკატო და ლარი... მდიდარი ინფორმაცია ახლებურად აუქლერებია, აუწონ-გაუზომავს, კაბადონებად შეუყინძავს და მეცხრე მთის გადასახედიდან ზურგაკუჩებული მოუტანია მკითხველის სამსჯავროზე.

მოძღვარი და მისი ცნობისმოყვარე შეგირდები ეცნობიან ქვეყნის მთასა და ბარს. ამჭერად მათი ასპარეზია მესხეთი, აქარა, გურია, იმერეთი, მტკვრისა და ჭოროხის, აქარისწყლისა და კინტრიშის, ჭვანოსხევისა და ჩაქვისწყლის, სუფსისა და გუბაზოულის, რივინისა და ყვირილას ხეობები. მოგზაურები ჩაუვლიან მრავალჭირგამონაცად ახალციხეს, მოივლიან ხაშურსა და ბორჯომს, აბასთუმანსა და ადიგენს. გადაკვეთენ ვოდერძის უღელტეხილს, ესტუმრებიან მზიურ აჭარას, მონინახლებენ ხულოსა და შუახევს, ქედასა და გონიოს, ბათუმსა და ქობულეთს, შემდეგ გადმოდინ გურიაში, ჩერდებიან ოზურგეთსა და ლანჩხუთში, ჩონატაურსა და ხიდისთავში, გაივაკებენ იმერეთის ზეგანზე, ჩერდებიან ვანსა და საირმეში, ბლდათსა და გულათში, ქუთაისსა და ზესტაფონში, კიათურასა და საჩხერეში. წიგნს ერთვის მოგზაურობის მარშრუტი და რუკა.

გზადაგზა აღწერილია ისტორიული ძეგლები, ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებები, ძველი და ახალი ყოფის რეალიები. ნაჩვენებია ადამიანთა სახეები. ალაგ-ალაგ ჩართულია ახალგაზრდა მეცნიერის პირველი ნაბიჯების ამსახველი ცნობები, უნივერსიტეტის რექტორის მოგონებები. ყოველივე ეს ისე მოხდენილადაა აკინძული, რომ თხრობა არ წყდება, მთლიანობა არ ირღვევა.

წიგნი იკითხება შეუწელებელი ხალისით. საყოველთაოდ ცნობილია ნიკო კეცხოველის დარბაისლური ქართული, ცოცხალი დიალოგები, ხვარბიელი ლექსიკა. ათეულობით ანდაზა უფრო მეტ გამოშსახველობას ანიჭებს ავტორის ხატოვან ენას. წიგნში მრავალი ცნობილი და უცნობი ანდაზა დამოწმებული. ბევრ ანდაზას, რომლებიც უშუალოდ ხალხშია შეკრებილი, პირველად კაცი სწორედ აქ ეცნობა. პირველი გვერდებიდანვე ტექსტში ნატვრისთვალეითაა ჩასმული წკრიალა ანდაზები: ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, შერიგების დროს შეგრცხვესო; ნიკორა გაატყავეს, რატომ დედა არა გყავსო; ვირი გარბოდა ცხენთანაო, მეც ბედაური შენთანაო; ერთხელ მახალის მთაზე მცხოვრებსაც დასკირდა მახათიო; კარგიცა და ავიც გრძელი ნაბიჯით დადის ამ ქვეყანაზეო; ვინც რომ კაცია, ჩოხა ჯაქვია, ქუდი ნაბდისა ჩაბალახიაო; სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერიაო; კოლოც მოერევა ღომს, თუ მგელი მოეშველებო; ქვეყანა დიდია, კაი კაცი არ დაიღვეო; ყორანმა შაშვის ჯავრით შროშანი მოკლა, შენც შავი ხარ და ისიცაო; ავიხედე, ცას შეგხედე, დავიხედე — მიწასაო; ბრიყვ სიძეს, რაც სიმამრთან ნახა, ყველაფერი თავისი ეგონაო; მივრბივარ და მომდევ, საქმე ის არის, მოგიბრუნდე და დამხედეო; საგონებელი წლისაო, საკეთებელი დღისაო; წყალში ნუ შეტოპავ, სანამ ფონს არ ნახავო; ცოტავ, სად მიდიხარ და ბევრთანაო; ძმა მაშინ მოგაგონდება, ორნი რომ გცემდეს მარტოსაო; მაშინ ვაქებ ალოსაო, როცა გავლენ კალოსაო; ძროხასთან რომ საწველელი მიიტანეს, ხარი ვარო, უღელი მიიტანეს — ძროხა ვარო...

ანდაზა, მასალა ენისა, ფრაზას გამჭოლობას ანიჭებს. ანდაზით ადამიანის ნაფიქრალ-ნააზრევის შედეგია განზოგადებული და მისი ღრმა ფილოსოფიური აზრი იმთავითვე ცხადია. მასში ნართაულადაა შეჯამებული ადამიანის ხანგრძლივი გამოცდილება. ერთი სიტყვით, ანდაზა სარკვე ხალხის სიბრძნისა. ჩაიხედეთ ამ სარკვეში და დაინახავთ, იგრძნობთ მისი შემოქმედი ხალხის გონების ძალას. ანდაზა ხელს უწყობს ნაფიქრალის ფილოსოფიურსა და ესთეტიკურ აღქმას, სტილს ამსუბუქებს, მსჯელობას არგუმენტაციას ჰმატებს. ამიტომ მათი შერჩევა და ჩართვა მსჯელობაში სტილის იდეალია. ნ. კეცხოველის მხატვრულ მეტყველებას ამშვენებს ეს სამკაული.

წიგნი ერთგვარად საცნობაროცაა, შეიცავს უხვ ინფორმაციას ცოდნის მრავალი დარგიდან. ვიტყვოდი, იგი მკირე ენციკლოპედიური ცნობარია, შემეცნებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველი. ცალკე თავებში აღძრული და დალაგებულია საკითხთა კომპლექსი. ასე გა-

მოყურება თავები: „მთის სიმფონია“, „ვაზის ცრემლი“, „ცვილის სანთელი“, „შქერის ტყე“, „დიდი კერა“, „ძველი კვნესა და ახალი სიხარული“, „გზა შორიდან მოდის“, „კრიმანჭული“, „ქაი ყმა“, „წარსულიდან მომავალში“, „სავეანის ბრწყინვალეობა“.

ათეულობით უცნობი ან ნაკლებცნობილი სიტყვა პირველად ამ წიგნის მეოხებითაა ჩაყენებული სალიტერატურო ენის სამსახურში. ზოგი სიტყვა ნახმარია ახალი მნიშვნელობით, ნაჩვენებია მისი გონებამახვილური ეტიმოლოგია. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის იმისთანა სიტყვებზე, როგორცაა: ჩქოლი (ახალმოზარდი ხე მცენარე; ნერგი), ქაშანი (შამბთა და თოვლზე გაქედილი გზა), წავარნა (კლდის ბილიკი), მემთევრე (მემთე), მემთევრეობა (საქონლის ყოფნა მთის საძოვრებზე), ღორღალი (ღადა-ღუდა ადგილი), უღნარი (კაპან-ტყიანი, ნაძვნარი), უღალო (ძნელ-სავალი), უსიანი (უხვედრო ადგილი), ავრიტი (ხის ქერქი, ლაფანი), ფარნა (თეთრფერდა ძროხა), ვეჟანა (წითელშავი, ზოლებიანი), ეალი (შავმოწითალო), დოლა (რქამოკლე, ზოგჯერ ურქოც), ჭოტა (რქაგრძელი), ალხი (გამხდარი, ნაზამთრი), კარკალი (დიდი ქვეანარი), მებოძირი (ადგილი, სადაც მრავალი გზა ერთდება), კუტალი (ხის ჭურჭელი), შურო (ხის დასაცურებელი ადგილი), სადველი (ხმელი ყველი), გალი (უშტო ხე), სათარი (შეშა), შირა (ყურძნის ტკბილი წვენი), ახჩა (ფულის ერთეული იყო ძველად თურქეთში), ხვინჭა (წყალთაქენჭი), ბურბურა (გამხმარი მცენარის მიწისზედა ნაწილი, ქარის შემობერვით რომ გორავს და თესლს აბნევს), ჭოროხი (მდინარისაგან შეყრილი ქვიშა, ქერები), იყი (არაყი), ნინველა (ქალიშვილი ათიდან თხუთმეტ წლამდის), იფრინდა (მალემსრბოლი), ხუნწი (მოცხარი), დახუნწვა (ხვავიანად მოსხმა), წარაფი (წვრილი, მოგრძო ტყე), ვეძა (მინერალური წყალი), მზეკაბანი...

ენა, — ამბობს ავტორი, — ყველაზე უდიდესი, ყველაზე ძვირფასი და წმინდა საუნჯეა ერისა, ეს საუნჯე ისეთი მარგალიტებოთა და ღალითაა სავსე, რომლის ბადალი არ არსებობს არსად; ენა, — განაგრძობს იგი, — დიდებააო ხალხისა, დროშაა უკვდავებისა, ენა ხალხს აძლევდა ძალას, გადაეტანა ჟამთა სიძველე; მშობლიური სიტყვით გონებამიხდის შემოაბრუნებდა ამ ქვეყნისაკენ; კარგი სიტყვა ყოველთვის დიდ ნატვრისთვალად გვევლინებოდა. ქართველი კაცის გული, — მიუთითებს შემდეგ ავტორი, — კარგი სიტყვის დაუშრეტელი საბადოა, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება, ერთი სიტყვა მეორეს ბადებს. იღებ ამ ძვირფას მადანს და არ იღევა. მემადნის წერაქვი შეუჩერებლად უნდა მუშაობდეს, იბრძოდეს იმ დიდი საგანძურის დაცვისა და გამდიდრებისათვის, რასაც ხალხის ენის ლექსიკა

ეწოდება. ეს უბრალო და ლიტონი სიტყვები არ არის. ავტორი თავად მემადნეა, ხელთუპყრია წერაქვი და გულმოდგინედ ეძებს ღვრას მადანს.

წიგნში ჩინებულადაა აღწერილ-დახასიათებული ქვაკვი და დოლის-პური, მუხუდო და ცულისპირა, ბარდა და სელი, კანაფი და ბამბა, ქერი და სიმინდი, ფეტვი და ბრინჯი, წაბლი და კაკალი, ზღმარტლი და თხილი, ნარინჯი და თურინჯი, ჩაი და ლიმონი. თურინჯზე ავტორს მაული გამოკვლევა დაუწერია. ამ ტერმინით ქართულ წყაროებში ფართოხალია დამოწმებულიო. დებულების დასასაბუთებლად მრავალი წყაროა შეჭერებული და ციტირებული. ირკვევა, თურინჯი, მართლაც, უბრალოდ სინონიმი უნდა იყოს. რთულ პრობლემაზე სპეციალური მსჯელობა ისეა შეხამებული პოპულარული წიგნის საერთო მიზნებთან, რომ მკითხველი სიმბიძეს ვერ გრძნობს. პირიქით. ამისთანა ჩანაწერები ინტერესს კიდევ უფრო აღრმავებს. ავტორი ამასთან ერთად გვაცნობს მცენარეთა არა მარტო გავრცელების არეალს, ფიზიოლოგიურ თვისებებსა და ღირსებებს, არამედ თვით სახელწოდებათა ხმარებულობას, წარმომავლობას, ეტიმოლოგიას. ბევრი ავტორისეული ეტიმოლოგია მეცნიერულად სანდო და ზუსტია.

ცალკე ტოპონიმები ავტორს განხილული აქვს როგორც ენის ლექსიკური ერთეულები. ყურადღება გამახვილებულია მათ ლოკალურ ხმარებულობაზე, არეალზე, სტრუქტურასა და წარმომავლობაზე. აღწერილია ათეულობით დასახლებული პუნქტის, სოფლისა და ქალაქის, ღირსშესანიშნაობანი, გადმოცემულია ამ ადგილებში აღზრდილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიის სამახსოვრო მომენტები, მოგონებები. მკითხველი სიამოვნებით გაეცნობა მოგონებებში ჩართულ ცნობებს უდროოდ დაღუპულ პოეტ გრიგოლ მკერდელიშვილზე (მთის ნიაფი), რომელსაც რამდენიმე ხნის წინათ ჩვენმა ავტორმა მთელი სტატია უძღვნა და საზოგადოებრიობას გააცნო უღვთოდ დაღუპული მეგობრის მემკვიდრეობა. საინტერესოადაა ნაჩვენები ანა კალანდაძისა და ნოდარ დუმბაძის საუნივერსიტეტო წლები, მათი პირველი ნაბიჯები მწერლობის დიდ გზაზე. ცოცხლად იკითხება გალაკტიონ ტაბიძესთან, გიორგი ნიკოლაძესთან, ევგენი ხარაძესთან და სხვ. შეხვედრებისადმი მიძღვნილი ფურცლები. აქ ბევრი ახალი შტრიხია გახსენებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ხსოვნაში შემონახული ცნობები, რომლებიც, მართალია, აქ ასე კულშეკრეპილადაა წარმოჩენილი, მაგრამ, გვიჩვენებს, მათ სხვა ადგილას ჩვენი ავტორი უფრო ვრცლად და გაშლილად წარმოგვიდგენს.



პატარა წიგნი დიდ საკითხებზე, — ასე შეიძლება შეფასდეს ნიკო კეცხოველის „მეცხრე მთაც გადავიარეთ“. მოძღვარი მოგზაურობას განაგრძობს. ცნობისმოყვარე თანამგზავრები — ვახტანგი, ერეკლე, გივი, ლელა, გიორგი — მორიგი თავგადასავლებისათვის ემზადებიან. ვინ იცის, კიდევ რამდენი ცხრა მთა დარჩათ გადასასვლელი. სტუმრებს ელოდებიან მაღალ მთიანეთში, რაქაში, ლეჩხუმში, კოლხეთში, სეანეთში...

ნიკო კეცხოველის ახალი წიგნი უეჭველია, ახალ სიხარულს მოჰპოვებს მკითხველს.

ქართულ მხატვრულ სიტყვას მრავალი ქომაგი ჰყავს. მისი პირველი ჭარბიუფალი მწერალია ბევრ გამოჩენილ მწერალს უსახელებია თავი ჩვენი დედაენის ლექსიკური საგანძურის გამდიდრებაში, სტრუქტურისა და სტილის დახვეწაში. მათ რიგებში დგას ნიკო კეცხოველი — ცნობილი მეცნიერი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ბერძენი.

1977 წ.

### ქართული ზღაპრები რუსულ ენაზე

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა რუს მკითხველებს: გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრების ახალი კრებული (თარგმანი ნინო დოლიძისა). რედაქტორის, პროფ. მ. ჩიქოვანას, საინტერესო შესავალ წერილთან ერთად, წიგნს ერთვის მთარგმნელს ბიბლიოგრაფიული შენიშვნები და მცირე ლექსიკონი. კრებული ილუსტრირებულია მხატვარ ს. ქობულაძის მიერ.

წიგნში შეტანილია 100 რჩეული ზღაპარი, რომელთა ერთი (მეტი) ნაწილი ამოღებულია ლ. აღნიაშვილის (1890 წ.), თ. რაზიკაშვილის (ტ. I, 1908 წ., ტ. II, 1909 წ.), მ. ჩიქოვანის (ტ. I, 1938 წ., ტ. II, 1852 წ.), ქ. სიხარულიძის (1938 წ.), ე. ვირსალაძის (1949 წ.) და სხვ. ცნობილი კრებულებიდან, ხოლო მეორე (მცირე) ნაწილი კი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივიდან.

ტექსტები კარგადაა შერჩეული. მათი თემატიკა მრავალფეროვანია. აქ გვაქვს როგორც ჯადოსნური მოთხრობები და ცხოველთა ეპოსის საუკეთესო ნიმუშები, ისე სამახსოვრო ნოველები და ლეგენდები. კრებულში შეტანილი ზღაპრები ჩვენს წინაშე შლის შრომისმოყვარე ქართველი ხალხის მხატვრული ზეპირშემოქმედების უფართოეს დია-

პახონს. ამ ზღაპრებიდან იგონება ჩვენი ხალხის მრავალფეროვანი გენია, ჯანსაღი ფანტაზია, ოპტიმისტური იდეალები, თავისუფლების, მშრომის, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული.

ზღაპარი არის მშრომელი ხალხის ზეპირპოეტური შემოქმედების ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრი. ზღაპარში ასახულია სხვადასხვა ისტორიული ეპოქების ადამიანთა ფიქრები და განცდები, მათი ბედნიერება და ავებელობა, დამოკიდებულება შრომისადმი, ბუნების ძალებისადმი, ურთიერთობა კოლექტივში. ზღაპრის დამახასიათებელი თვისებები განისაზღვრება ხალხის მატერიალური ცხოვრების პირობებით, მისი შრომითი დამოკიდებულების პრაქტიკით, მატერიალური, სულიერი, ესთეტიკური მოთხოვნებით. ყოველივე ამას კარგად ვხედავთ ქართულ ზღაპრებშიც, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ტრიალებენ ხალხში და თაობიდან თაობას გადაეცემა.

ზღაპარი ახასიათებს სწორედ იმ ადამიანთა წრეების ცხოვრებას, რომელთა შორისაც ის ვრცელდება. მეცნიერება ამიტომ ზღაპრებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ხალხის ფსიქოლოგიის შესასწავლად. ჩვენი აზრით, ზღაპრების მასალაზე დაიწერება შესანიშნავი გამოკვლევა ხალხის მისწრაფების, სურვილების შესახებ, რადგან მასში გადმოცემულია სინამდვილის ცოცხალი ელემენტები. ყოველ ზღაპარში, — ამბობს ხალხი, — არის სინამდვილის ელემენტები: ბავშვებს რომ მოუყვებ ზღაპარი, სადაც მამალი და კატა არ ლაპარაკობენ ადამიანურ ენაზე, ისინი ამით არ დაინტერესდებიან.

ქართულ ხალხურ ეპოსში წამყვანი ადგილი ჯაღოსნურ მოთხრობებს უკავია. ამ ჟანრის ზღაპრები შექმნილა ფეოდალიზმამდელ საზოგადოებაში, ხოლო ფეოდალური ურთიერთობის დროს ისინი ახალი სიუჟეტებით, პერსონაჟებითა და მოტივებითაა შევსებული. ამ გარემოებას ნათლად მოწმობს კრებულში შეტანილი „ივანე ცისკარი“, „გაუტინარი ხელმწიფის ზღაპარი“, „ფაშგუნდი“, „მზის ქალი“, „ანანა“, „ეშმაკის ლაგამი“, „უჩინმაჩინის ქული“, „ეყვის ყვავილი“, „ხელმწიფის შვილი“, „მარგალიტის ცრემლი“, „ირმის შვილი“ და სხვ. ეს ზღაპრები ხალხური ფანტაზიის უშესანიშნავეს ნიმუშებს გვიჩვენებენ. მათი პერსონაჟებია, ერთი მხრით, სასწაულთმოქმედი ძალები, ცხრათავიანი დევები, სამთავიანი გველეშაპები, გრძნეული კულიანი დედაბრები, ავი ხელმწიფეები, მოლაპარაკე რაშები, ფრთამალი არწივ-ფასკუნჯები, ოქროსკვერცხისმდებელი ფრთოსნები: მეორე მხრით, უბრალო, მაგრამ მამაცი ადამიანები: უმცროსი ძმები, მონადირე-მენახირეები, პატიოსანი მებაღურები, მორცხვი მზეთუნახავები, უმცროსი დები, კეთილშობილი ირმები, წითელი თევზები. ამ

პერსონაჟთა მოქმედება წარმოებს „ერთ ქვეყანაში“, „ცხრაშიას იქით“, უდაბურ კლდე-ღრეებში, გაუვალ ტყეებში, ტრიალ მინდორზე, სადაც დგას ან მაღალი მუხები ან უფანჯრა ქონები და ოქროს სასახლეები, ოქროს ნივთებით, მფრინავი ხალიჩებითა თუ სასწაულთმოქმედი პერანგებით რომაა აღსავსე. ამ სამყაროში მოქმედებენ და ერთუროს უპირისპირდებიან ეს ბოროტი და კეთილი ძალები. ბოროტ ძალებს ამარცხებენ კეთილი ძალები გამარჯვებული მუდამ პატიოსანი, მშრომელი ადამიანები გამოდიან.

ერთი სიტყვით, ზღაპრების ამ ციკლში ასახულია ხალხის უშუალო წარმოდგენა ადამიანთა პირვანდელ ყოფა-ცხოვრებაზე. ნაჩვენებია, როგორც ბელინსკი ამბობდა, „ის, თუ როგორ ესმის ხალხს ცნობარება“.

ჯადოსნური ზღაპრებიდან ჩანს, რომ ადამიანს ჯერ კიდევ სწამს ზებუნებრივი, მითური ძალების არსებობა, ბუნების ძალებს იგი ვერ იცნობს, მაგრამ ცდილობს ამ ძალების დაპყრობას ფანტაზიის საშუალებით. ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და აყალიბებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში.

ქართულმა ეპოსმა არ იცის კეთილ ძალებზე ბოროტი ძალების გამარჯვების მოტივი. ხალხი მუდამ ჩაგრულთა, პატიოსან ადამიანთა მხარეზეა. გამარჯვებაც ყოველთვის მათ რჩებათ. „ფოლკლორისათვის სრულიად უცხოა პესიმიზმი... მშრომელი ხალხისათვის დამახასიათებელია თავისი უკვდავების შეგნება, მისდამი ყველა მტრულად განწყობილ ძალაზე გამარჯვების რწმენა“, — ამბობდა მაქსიმ გორკი:

კრებულს ამშვენებს „ამირანისა“ და „აბესალომ და ეთერის“ ცნობილი ვარიანტები. აქვეა შესანიშნავი ხალხური მოთხრობები: „წიქარა“, „ლომი და კურდღელი“, „ნადირთა ძმობა“, „მელიას ოინები“, „რწყილი და ჭიანჭველა“, რომლებიც დიდი ხანია ხალხური ზღაპრების საბავშვო რეპერტუარის კუთვნილებად იქცნენ. ამ ზღაპრებს, ისევე როგორც მთელ კრებულს, განუზომლად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ. ასწავლიან სკოლებში; მათ დიდი ინტერესით კითხულობს ნორჩი თაობა.

კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხალხურ ნოველებს („გამოქეპილი ბერიკაცი და ყეყეჩი მღვდელი“, „ერთი მანეთის შოვნა“, „მუქთახორა“, „მძლეთამძლე“, „ამისთანა და ამის უარესი“ და სხვ.). მათი პერსონაჟები უკვე რეალური ადამიანებია, რომლებიც მოქმედებენ ჩვეულებრივ საზოგადოებრივ გარემოში. ნოველების

ოპორტიკა უადრესად მდიდარია. ნოველის სახით ხალხს უპოვია თავისი აზრისა და ფიქრის, ყოველდღიური ცხოვრების რეალურად კადმოცემის ყველაზე მოხერხებული მხატვრული ფორმა. ყოველი ხალხური ნოველა ნამდვილი ცხოვრების ანარეკლია. მათ არ იციან ირეალური ძალები. გაეხსენოთ პოპულარული ნოველა „ერთი მანეთის შოვნა“. მისი დედააზრია სასარგებლო შრომის სიყვარული. ხალხური სატირის უღმობელი მახელით ნოველა დასცინის ზარმაცს, უსაქმურს, საზოგადოების მეტხორცს, მაგრამ, მეორე მხრით, ქებათაქებას უმდერის ნამდვილ მშრომელ ადამიანს. სხვა ნოველებში, ასევე, ასახულია რეალური ცხოვრება, კლასობრივი უთანასწორობა, რელიგიური კულტის მსახურთა თავგასულობა, ადამიანთა დამოკიდებულების ყოველგვარი სახე. ნოველა ყოველთვის კონკრეტულია და მოქნილ მხატვრულ სახეებში გადმოგვცემს ხალხის ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, სტუმარ-მასპინძლობას, მეგობრობას, ამხანაგობას, ძმანათესაობას, ქალ-ვაჟთა ურთიერთობას, სიყვარულს. თითოეულ მათგანში იგრძნობა ეროვნული მაჯისცემა.

ხალხური მოთხრობები ეროვნულია არა მარტოდენ ფორმით, ე. ი. ვნით, არამედ, რაც მთავარია, პერსონაჟთა ხასიათებით, მოქმედების ჰორიზონტის ლოკალიზმებით, გეოგრაფიული გარემოთი, ტანფესხაცმლით; ეროვნულ ელფერს გვაძლევს ცხოველთა და მცენარეთა სამყაროც. ყოველივე ეს ნიშანდობლივია ქართული ხალხური ზღაპრებისათვის.

ხალხური ნოველა ჩვენში ყველაზე სუსტადაა შესწავლილი. გამოცემულიც ცოტაა. მისი მნიშვნელობა კი განუზომლად დიდია. ხალხურმა ნოველამ გზა გაუკაფა ლიტერატურულ ნოველას. ლიტერატურული ბელეტრისტიკის, ე. წ. საერო პროზის უშუალო წყაროდ ჩვენ სწორედ ხალხური ნოველა მიგვაჩნია და არა ჰაგიოგრაფიული თუ ამპროტიკული მოთხრობები. მეტიც უნდა ითქვას. ამ უკანასკნელთა პირველ წყაროდაც ხალხური მოთხრობა უნდა იქნეს მიჩნეული.

ხალხურ ეპოსს მუდამ დიდი გავლენა ჰქონდა მწერლობაზე. ქართული კლასიკური ლიტერატურა დიდადაა დავალებული მისგან. ხალხური ეპოსის მოტივები გარკვეულ ადგილს იჭერენ არა მარტოდენ საერო მწერლობის ქმნილებებში, როგორც არის, მაგალითად, მოსე ხონელის რაინდული რომანი „ამირანდარეჯანიანი“ და გენიალური შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, არამედ ამაზე გაცილებით ადრინდელ ძეგლებშიაც. მის კვალს ვხვდებით ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიაშიც. ხალხური ეპოსის განუყოფელი მოტივებია (ნადირობა, ნადიმობა, სტუმართმოყვარეობა, მეგობრობა) დიდი

ოსტატობითაა ასახული IX—X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში („დავით გარეჯელის ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „ნინოს ცხოვრება“ და სხვა). დღეს დადასტურებულია, რომ მოსე ხონელმა თავისი „ამირანდარეჯანიანის“ საფუძვლად ამირანის ხალხური თქმულებები გამოიყენა, სულმნათი შოთა რუსთაველი მოწიწებით ეკიდებოდა და უხვად იყენებდა ხალხური პოეზიის მოტივებს, ასევე მომდევნო ეპოქების მწერლებმა (არჩილმა, თეიმურაზმა, საბა ორბელიანმა, დავით გურამიშვილმა) თავიანთ თხზულებებში ფართოდ გაუღეს კარი ხალხურ სიუჟეტებს.

ხალხური ეპოსის მოტივების მხატვრული ასახვის პროცესი ქართულ მწერლობაში არც XIX საუკუნეში შეწყვეტილა. ილიამ და აკაკიმ, ვაჟამ და ყაზბეგმა დიდი შთაგონებით განაგრძეს ეს ნაცადი გზა. ამაში დაინახეს მათ ეროვნული, ნოვატორული ხელოვნების მაცოცხლებელი საწყისები. თანამედროვე ქართული მწერლობა ამ მხრით ჩვენი წარსული სახელოვანი ლიტერატურული ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეა. ხალხური პოეზიისა და ეპოსის მოტივები მალამხატვრული ექსპრესითაა ასახული ლ. ქიქელიძისა და მ. ჭავჭავაძის მიერ. კ. გამსახურდიასა და გ. ტაბიძის, გ. ლეონიძისა და ი. აბაშიძის თხზულებებში. ჩვენში არ არის მწერალი, რომლის შემოქმედება არ საზრდოობდეს ამ მოტივებით. ესაა მათი შემოქმედებში თვითმყოფობის, ხალხურ წიაღთან უწყვეტი კავშირის ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელი. და ეს შემთხვევითი არცაა. მაქსიმ გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზღაპრებსა და ზღაპრის თემებს უძველესი დროიდანვე სარგებლობდნენ ყოველი ქვეყნის ლიტერატორები ყველა ეპოქაში“.

მდიდარი ქართული ზღაპრული ეპოსის ნიმუშები რუსმა მკითხველმა პირველად XIX საუკუნის შუა წლებში გაიცნო. ცალკეული ხალხური მოთხრობების თარგმანები ეპიზოდურად იბეჭდებოდა თავისდროინდელ გაზეთ „კავკაზსა“ და სხვა რუსულ პერიოდულ გამოცემებში, ხოლო ქართული ზღაპრების პირველი კრებული რუსულ ენაზე მხოლოდ 1884 წელს გამოიცა.

ქართული ეპოსის ნიმუშების რუსულ თარგმანზე უკანასკნელი 15 წელიწადია ნაყოფიერად მუშაობს მწერალი ნინო დოლიძე. მან საქმეს დიდი სიყვარულით მოჰკიდა ხელი და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია: ამ ხნის განმავლობაში თარგმნა 130-ზე მეტი ქართული ხალხური მოთხრობა, რომლებიც უკვე შესულია სამ კრებულში. (პირველი გამოიცა 1937 წელს მოსკოვს, მეორე — 1939 წელს თბი-

„ზარია ვოსტოკას“ მიერ და შესამეც — ამ უკანასკნელად იმავე ვაშლიც მკვლობის მიერ). ამ კრებულებიდან ქართულ ზღაპრებს გაეცნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკენი. ცალკე ზღაპრები შეტანილია ხალხური ზეპირშემოქმედების ნიმუშების მასობრივსა და საბავშვო კრებულებში. მაგალითად, შესანიშნავი ქართული ხალხური ნოველა „ერთი მანეთის შოვნა“, ნ. დოლიძემ რუსულ ენაზე 1937 წელს რომ თარგმნა. შესულია სსრ კავშირის ხალხთა ზღაპრების მთელ რიგ მასობრივ გამოცემებში (1937, 1940, 1946, 1950 წლებში). ასევე შეიძლება ითქვას ბევრი სხვა ზღაპრის შესახებაც. ნ. დოლიძის კრებულებიდან ქართული ზღაპრების ნიმუშები გადაითარგმნა სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზეც, უცხოურ ენებზე.

ნ. დოლიძის თარგმანები გამოირჩევა მხატვრული სისრულით. შთარვმნელმა უეჭველად შეძლო ქართული ეროვნული ზღაპრებისათვის სათანადო რუსული შესატყვისის პოვნა. ამ მხრით გაცილებით მაღლა დგას უკანასკნელი კრებული. აქ შეტანილი ტექსტები მნიშვნელოვნად დახვეწილია, შესაძლებლობის მიხედვით, დატულია ქართული ხალხური ენის კოლორიტი, უფრო გამართულია დიალოგების თარგმანი. მთარგმნელის შემოქმედებითი შრომა თვალნათლივია.

მართალია, თარგმანში ქართული ზღაპრის შინაგანი ბუნებრივი კოლორიტი ყოველთვის ერთნაირი სიძლიერით არაა გადმოცემული და ზოგჯერ შენარჩუნებულიც არაა (განსაკუთრებით ეს ითქმის ზღაპრების დასაწყისსა და დასასრულზე და ცალკეულ იდიომატურ გამოთქმებზე), შეინიშნება რუსული ხალხური ზღაპრების სტილიზაციის გავლენაც, მაგრამ ეს გარემოება ვერ ჩრდილავს თარგმანის უდავო ღირსებას. ნ. დოლიძე ჭერჭეროვით ერთადერთი ადამიანია, ასე სიყვარულით რომ დასტრიალებს თავს ქართული ხალხური ეპოსის თარგმანს. გვჯერა, ის არ დაკმაყოფილდება მიღწეულით, იზრუნებს თავისი თარგმანების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ორიოდე სიტყვა ზღაპრების ილუსტრაციებზე. მხატვარ ს. ქობულაძეს ძირითადად სწორად გაუგია ქართული ეპოსის სიუჟეტები და ამიტომ ბევრი კარგი და ორიგინალური ნახატიც მოუტია (მაგალითად, მოსაწონია ამირანის პროფილი, ეყენის ყვავილის, ლურჯა ცხენის, ზარმაცის ფერწერული გაფორმება), მაგრამ მთლიანად წიგნის ილუსტრაციები მაინც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას. მეტიც. მხატვარს ვერ გაუხსნია ხალხური ზღაპრების ისეთი პერსონაჟების სახეები, როგორცაა დევი, გველეშაპი, ქაჯი. სრულიად გაუგებარია, თუ რის ჩვენება სურს მხატვარს წიგნის 28-ე, 198-ე, 209-ე, 286-ე გვერდებზე

მოთავსებული ნახატებით. ჩვენი ეპოსის ისეთი, ყველასათვის საყვარელი პერსონაჟები კი, როგორცაა ეთერი, აბესალომი, მზეთუნახავი, ირმისშვილი, ან მასში აღწერილი თვალარმტაცი ბუნება (მცენარეულობა, ტყეები, ცადატყორცნილი მთები, თვალუწვდენელი წყალგარდნილები) სრულიად არაა ასახული.

სამწუხაროდ, უგემურადაა ილუსტრირებული ქართული ზღაპრების არა მარტო ეს კრებული, ბევრი სხვა გამოცემაც.

ღაღა ხანია დროა, ამ გარემოებას სერიოზულად ჩაუფიქრდნენ ჩვენი მხატვრები.

რუსული ხალხური ზღაპრების სიუჟეტზე მუშაობდნენ სახელოვანი მხატვრები. გამოჩენილმა რუსმა მხატვარმა ვ. მ. ვასნეცოვმა (1848—1926), მაგალითად, რუსული ხალხური ეპოსის პოპულარულ სიუჟეტებზე შექმნა გულში ჩამწვდომი ტილოები: „Аленушка“ (1881 წ.), „Ковер-самолет“ (1882 წ.), „Иван царевич на сером быке“ (1889 წ.), რომლებიც ახლა ამშვენებენ ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეასა და რუსული ხალხური ზღაპრების მრავალ გამოცემას. შარლ პეროს ფრანგული ზღაპრების ილუსტრირებაზე მუშაობდა გუსტავ დორე (1832—1883), გრიმების ზღაპრების ილუსტრაცია მრავალმა ცნობილმა მხატვარმა მოგვცა. ყველა ეს ილუსტრაცია დარჩა შთამომავლობას. ვინ დაივიწყებს დორეს მიერ შექმნილ წითელქუდას შესანიშნავ პორტრეტს!

ჩვენმა მხატვრებმა ხელი უნდა მოჰკიდონ ქართული ხალხური ეპოსის სიუჟეტებსაც.

განა არ უნდა შეიქმნას ქართული ეროვნული გმირის—ამირანის პორტრეტი?

ჩვენმა მხატვრებმა უნდა მოგვცენ ეთერის, აბესალომის, მზეთუნახავის, ნაცარქექიასა და ქართული ხალხური ეპოსის სხვა დადებითი თუ უარყოფითი პერსონაჟების სახეები, ქართული ხალხური ზღაპრების ცოცხალი ილუსტრაციები. ბოლო უნდა მოედოს ხალხური ეპოსის ფანტასტიკური პერსონაჟების აგდებულ გამოსახვას.

1955 წ.

### ქართული ლექსიკის განვითარების გზები

თ. სანიციძის ნაშრომი „ქართული ლექსიკის განვითარების პრობლემები (აკაკი წერეთლის თხზულებათა ენის მიხედვით)“ ეძღვნება ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის განვითარების აქტუალურ საკითხთა კომპლექსს და იმ წვლილის შესწავლას, რაც ამ დარგში თავისი პოეტური ქმნილებებით შეიტანა ქართული ლიტე-

რატურის კლასიკოსმა აკაკი წერეთელმა. ნაშრომი გაფორმებულია მონოგრაფიის სახით.

თ. სანიციძეს ჩვენ კარგად ვიცნობთ, როგორც ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ ნაყოფიერ მკვლევარს. იგი ავტორია რამდენიმე საინტერესო ლინგვისტური ნაშრომისა, რომლებშიაც აღძრული და პოზიტიურად გაშუქებულია ბევრი სადღეისო მწვავე პრობლემა. მისი მეცნიერული ინტერესების სფეროში შემოდის თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის განვითარების საკითხები, რომელთაც იგი კარგა ხანია გულმოდგინედ იძიებს და ამ დარგში საყურადღებო დაკვირვებებიც აქვს გამოქვეყნებული. უკანასკნელ ხანებში მან ხელი მოჰკიდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის განვითარება-გამდიდრებაში აკაკი წერეთლის პოეტური მემკვიდრეობის როლის შესწავლას. ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს მიეძღვნა მისი „აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონის“ ორტომეული (1982—1983 წწ.), რომელმაც სპეციალისტთა და მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. ნაშრომში შეჯამებულია ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგები და მრავალმეტყველი განზოგადებები, რომლებიც თავად ავტორის მიერ გამოვლენილი ფაქტების სხვა წყაროებთან შეჯერება-შეპირისპირებითა და ახალი ასპექტით შესწავლის საფუძველზეა მიღებული. ნაშრომში აღძრული და მეცნიერული მიუდგომლობით გაშუქებულია ბევრი იმისთანა საკითხი, რომლებიც მანამდის მეცნიერებაში ან სულ არ დასმულა, ანდა, თუ იდგა, სულ სხვაგვარად შუქდებოდა. მთელი ნაშრომი, შეიძლება ითქვას, მოპოვებულ სიახლეთა მონოგრაფიული განზოგადებაა.

შესავალში განხილულია სალიტერატურო ენის წარმოშობა-განვითარებაში დიდ მწერალთა სიტყვათშემოქმედებისა და ინდივიდუალური სტილის როლი იმ პოზიციებიდან, რაც თანამედროვე ჩვენს თეორიულ ლინგვისტიკაშია დამკვიდრებული. მართებულადაა ხაზგასმული, რომ სიტყვის სემანტიკის გაღრმავებამ, მრავალმნიშვნელობის წარმოშობამ, ექსპრესიულ-ემოციური იერის მინიჭებამ აკაკი წერეთლის ენაში დაბადა ახალი დამოკიდებულება სიტყვის მიმართ. სავსებით ვეთანხმებით ავტორის შემდგომ დებულებას: აკაკი წერეთელმა „ქართული პოეზიის განვითარების საქმეში ახალი სიტყვა თქვა. მის შემოქმედებაში ქართული ენა ახლებურადაა წარმოდგენილი. ასევე ახლებურია ორიგინალური სტილი და პოეტური აზრის გამოხატვის ენობრივი საშუალებანი“; „აკაკი წერეთელმა დაარღვია მანამდე არ-



სებული „სტილისტიკური ფორმალიზმი“ და შეიტანა მასში სასაუბრო ელემენტები. ამიტომაც გახდა თავიდანვე მისი პოეზია ყველასათვის ადვილად გასაგებია“. მონოგრაფია მთლიანად ეძღვნება ამ ამოსავალი აზრის მეცნიერულად დასაბუთებას. ნიჭიერმა ავტორმა, ჩემი აზრით, პრობლემა მართებულად დააყენა და მოგვცა მისი ოპტიმალური გადაწყვეტა.

ნაშრომის სხვა მეცნიერული ღირსებანი და სიახლენი ასე შეიქმლება ჩამოვყალიბოთ:

მკაფიოდ და დასაბუთებული დებულებები: აკაკი წერეთელი იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი XIX ს. მეორე ნახევარში. ამ საშვილიშვილო საქმეს მან მოახმარა მთელი თავისი უზადო ტალანტი და დიდი შესაძლებლობანი. აკაკი იბრძოდა არა მარტო ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის, არამედ ასევე მისი სრულყოფისათვისაც. ნაშრომში სწორადაა აღნიშნული: ილიასა და აკაკის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას დაემთხვა დემოკრატიული აზრის განვითარება, რამაც გამოიწვია სალიტერატურო ენაში ხალხში არსებული ლექსიკის მოზღვაება. ზომიერების დაცვა იყო საჭირო. განუსჯელად ყველა ლექსიკური ერთეულის შემოღება სალიტერატურო ენის დანაგვიანებას გამოიწვევდა. მეორე მხრივ კი ხალხში არსებობდა უამრავი ლექსიკური ერთეული, რომლის შემოტანა-დამკვიდრება გაამდიდრებდა ქართულ სიტყვიერ საგანძურს. ამიტომ საჭირო იყო თითოეული მათგანის მოძიება და ლიტერატურული ფიქსაცია. ამ თვალსაზრისითაც დიდია ილიასა და აკაკის დამსახურება. ნაშრომში დაცულია პოეტური სიტყვის აღწერის ის პრინციპები, რომლებიც ავტორმა თავის ორტომიან „აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონში“ განავითარა.

ნაშრომის ავტორი ვრცლად მსჯელობს აკაკი წერეთლის დამსახურებაზე ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. მისი აზრით, აკაკი იყო „რეფორმატორი ნამდვილი ეროვნული ქართული ენისა. მან მისცა ქართულ სალიტერატურო ენას ის გამართულობა და უჩვენა ის წყარო, რომელთა მეოხებით ენა გამდიდრდა, მოიქნა და გამშვენიერდა“. ეს დებულებები ნათელყოფილია უხვი ფაქტობრივი მასალით. დახასიათებულია ის მღელვარე ეპოქა, როცა აკაკი წერეთელი მოღვაწეობდა, და ცხარე ბრძოლები, რომელთაც თერგდალეულები ეწოდნენ ენის დემოკრატიზაციის დასაცავად.

მოკვეთილად და თანამიმდევრულადაა დალაგებული აკაკი წერეთლის ენათმეცნიერული დაკვირვებანი. უეჭველ ინტერესს იწვევს

მწერლის ეტიმოლოგიური ძიებების შედეგების ჩვენება; შეფასებულია თათოქული სიტყვის აკაკისეული ეტიმოლოგია და ხაზგასმულია მისი კავშირი ხალხურ ეტიმოლოგიასთან. დახასიათებულია აკაკი წერეთლის კონცეფცია ზმნის ზოგადი ბუნებისა და ლექსიკაში მისი ადგილის შესახებ. ცნობილია, რომ დიდ მწერალს მიაჩნდა: „ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სიმდიდრეს უმეტესად შეადგენენ ზმნები, მათი უღვლილება და მიმოხვრა!.. ვინც ზმნებს ჯეროვნად ვერ ხმარობს, ის უძველად ქართული ენის უმცარიაო“ (თხზ., XIII, 435). აკაკი, ცხადია, როგორც ეს ავტორსაც აქვს აღნიშნული, ენათმეცნიერი არ ყოფილა, მაგრამ ფართო ერუდიციამ, პეტერბურგის უნივერსიტეტში მიღებულმა ფილოლოგიურმა განათლებამ და საოცარმა ალლომ მას საშუალება მისცა მართებულად განეჭვრიტა ენობრივი პროცესები და ობაექტურად შეეფასებინა მათი განვითარების ტენდენციები. მკვლევარმა ებოქის ენათმეცნიერული აზრის თეორიულ პოსტულატებს შეუპირისპირა აკაკი წერეთლის შეხედულებები ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის განვითარების გზაჯვარედინების შესახებ და განსაზღვრა ამ შეხედულებათა პარამეტრები. ეს გარემოება ნაშრომის ერთ-ერთ უდავო მეცნიერულ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ.

თანამიმდევრულადაა განხილული აკაკი წერეთლის აზრები რუსული და უცხოური ენების სწავლების შესახებ. მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული ენის დაუფლებას ქართველი ახალგაზრდობის მიერ და ამ მიზნით მოითხოვდა განსაკუთრებული პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას. ამავე დროს ის უცხოური ენების შესწავლის აუცილებლობასაც ცნობდა. მწერალი დასცინოდა და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა იმათ, ვინც საუბრისას ამახინჯებდა დედაენასა და რუსულ ენას. ის მოითხოვდა მშობლიური ენისა და სამშობლოს ისტორიის ღრმად შესწავლას, რადგან სწამდა, რომ ის, ვინც თავისი ვინაობა არ იცის და თავის თავს ვერ იცნობს, სხვის ენასა და კულტურას ვერ შეისწავლისო; დედაენისა და სამშობლო ქვეყნის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე შეუძლებელია ადამიანმა სარგებლობა მოუტანოს თავის ან სხვა ხალხსო. ავტორმა დამაჯერებლად გვაჩვენა, რომ აკაკი წერეთლის შეხედულებები დედაენისა და შემდეგ რუსული ენის ღრმად შესწავლის მნიშვნელობის შესახებ მეცნიერულად იყო მყარი და დასაბუთებული. ეს შეხედულებანი დღესაც ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობას და ქვაკუთხედად უძვეს დღევანდლობას, შემოწმებულია ცხოვრების პრაქტიკით; ემსახურება ქართველი ხალხის სანუკვარ იდეალებს. თეორი-

ული ინტერესი აქვს მწერლის შეხედულებას ნასესხები სიტყვების ქართულ ენაში დამკვიდრების ისტორიის საკითხებზე. ავტორი სწორად მიაუთითებს, რომ ამ საკითხშიაც აკ. წერეთლის თეორიული პოზიცია იყო ღრმად დასაბუთებული.

შემდეგ, ნაშრომში დალაგებულია „აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონის“ ძირითადი პრინციპები, გადმოცემულია მისი მეცნიერული საყრდენები და ნაჩვენებია შედგენის მიზანი. ლექსიკონი მიზნად ისახავს, სრულად გამოავლინოს პოეტის სიტყვათშემოქმედების მთელი შესაძლებლობანი. მასში აღწერილია ყოველგვარი სიტყვა როგორც ენის ფაქტი, ამასთან ნაჩვენებია თითოეული მათგანის ხმარების სინშირე. მოშველიებულია სტატისტიკაც, რის საფუძველზე შექმნილია ახლებური ლექსიკონი, ფრიად ძვირფასი ცნობარი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დაკვირვებანი „აკაკი წერეთლის პოეტური ენის ლექსიკაზე“, რომელსაც ნაშრომში ცენტრალური ადგილი უჭირავს და მოწმობს ავტორის ერუდიციას, მომზადების დიპაზონს, ენათმეცნიერული ძიების საშურ ალღოს. გამოვლენილი და ახლებურად განხილულია პოეტური სინონიმები, ანტონიმები, უპითეტები, პარონიმები, დიალექტიზმები, სასაუბრო ლექსიკა, არქაიზმები, უცხოური სიტყვები აკაკის ნაწერებში. ავტორმა განსაზღვრა პოეტური ენის ლექსიკის ეს განშტოებანი და წარმოაჩინა მათი განვითარება-გამდიდრების გზები და წყაროები. აქ, ბუნებრივად, მრავალ სიახლეს ვეცნობით. სიფრთხილითა და სიფაქიზითაა მოდელირებული პოეტური ენის ლექსიკის სემანტიკური ველები მწერლის მხატვრულ მემკვიდრეობაში. გამოვლენილია უადრესად ფასეული მასალა, რომლის ძირითადი ნაწილი პირველადაა ჩართული მეცნიერულ კვლევა-ძიებაში.

მწუობრად განალიზებულია აკაკისეული ლექსიკა. გამოვლენილია ათასობით ლექსიკური ერთეული, პირველად ჩვენს მგოსანს რომ უხმარა და მათი დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, არცაა ასახული არსებულ განმარტებით ლექსიკონებში. აკაკისეული სიტყვობრივი ფონდი შეჯერებულია ლექსიკურ-სემანტიკურად, თითოეული ერთეულის სემანტიკა დადგენილია კონტექსტთა მიხედვით. პრობლემატიკა, რომელიც ამ თავშია აღძრული, და განხილული მასალა ახალია, პირველად ხდება ისინი სპეციალური მეცნიერული მსჯელობის საგნად.

ამრიგად, თ. სანიკიძის ნაშრომი ყურადღებას იქცევს შესრულების მაღალმეცნიერული დონით, პრობლემათა სიახლითა და სიუხვით,

საანალიზოდ მოხმობილი მასალის მრავალფეროვნებით, ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურის კეთილსინდისიერად გამოყენებით.

მიუხედავად მაღალი შეფასებისა, რომელსაც იმსახურებს თ. სანიკიძის ნაშრომი, ის უნაკლო მინც არ არის. უნაკლო ნაშრომიც ბუნებაში ძნელად მოსაძებნია საერთოდაც. მასში შეინიშნება ნაკლებ-დასაბუთებული ან ძნელადდასაჯერებელი დებულებები, აქა-იქ კაცი იპოვის შეუფერებელ გამოთქმებსა და სხვა სახის წვრილმან შეუსაბამობებსაც. ყურადღებას გავემახვილებთ მხოლოდ ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე.

მკვლევარი იმოწმებს ვ. ეიხენბაუმის ცნობილ მოსაზრებას პოეზიის ენის კონსერვატიულობის შესახებ და, ჩანს, უკრიტიკოდ იღებს მას. ჯერ ერთი, ვ. ეიხენბაუმის დებულება ღრმად სადავოა, მეორე მხრით, მისი დაკავშირება აკაკი წერეთლის პოეტურ მემკვიდრეობასთან მხარდაჭერას ვერ იმსახურებს. განა აკაკი წერეთლის პოეზიის ენა მისსავე პროზის ანდა პუბლიცისტიკის ენასთან შედარებით კონსერვატიულია? ავტორი ერთგან სავესებით რეზონულად მიუთითებს, რომ აკაკის ლექსები „ისევე სადა, უბრალო ენითაა დაწერილი, როგორც ყოველი სტრიქონი, იქნება ის პროზის, დრამატურგიისა თუ პუბლიცისტიკისაო“. თუკი ეს ასეა (მე მგონია, რომ ნამდვილად ასეა და ვეთანხმები მკვლევარს), მაშინ რაღა საჭირო იყო ვ. ეიხენბაუმის ამ მივიწყებული აზრის გახსენება?

ავტორი სწორად და კომპეტენტურად ახასიათებს აკაკის ღვაწლს ქართული ენის წინაშე. იგი ლაპარაკობს დიდი მგოსნის დაუცხრომელ ბრძოლაზე ახალი სალიტერატურო ქართულის თავის უფლებებში აღდგენისა და დამკვიდრების საკითხებზე. ყოველივე ეს მართებული და მეცნიერულად დასაბუთებულია. ამ აზრს დღეს იცავს მთელი ჩვენი მეცნიერება, მათ შორის ავტორიც. ჩემი შენიშვნა ეხება მხოლოდ ნაშრომის ორიოდ ადგილს, სადაც ნათქვამია შემდეგი: „აკაკი წერეთელს განუზომელი ღვაწლი მიუძღვის ახალი ქართული ენის შექმნისა და დამკვიდრების საქმეში“. ან შემდეგ გვერდზე ოდნავ სხვა ასპექტით ავტორი განაგრძობს: „ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-შექმნისათვის ღვთით ბოძებული ნიჭი და ენერჯია იყო საჭირო, სწორედ ისეთი, როგორც აკაკის ჰქონდა“. შეიძლება თუ არა ამ დებულების უდავოდ მიჩნევა? იყო თუ არა აკაკი ახალი ქართული სალიტერატურო ენის შემქმნელი, როგორც ამას მოაწერს დიდ შემოქმედს ჩვენი ავტორი? განა აკაკიმ შექმნა ახალი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკული სტრუქტურა და

უზოაერესი სიტყვობრივი ფუნქცია—საფუძვლები ენისა? აკაკი წერეთელამდის ამის გასაგისი არ ყოფილა? ჭანაშვილის ახალი ქართული სალიტერატურო ენა არ გვექონია? ძალიან შორს ნუ წავალთ, მაგრამ ს.-ს. ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა მაშინ რომელ ენას უნდა მივაკუთვნოთ? ილიას რაღა ვუყოთ? ილიაც ხომ იმ დროს მოღვაწეობდა, როცა — აკაკი? ამიტომ ჩვენ აქ გადაჭარბებას ვხედავთ. ფაქტობრივი ვითარება, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია ამ დებულებას არ ამართლებს და საქმესაც ეს გადაჭარბება არ სჭირდება. საესებით ნათელია ის დებულება, რომელიც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან და, ჩვენი ავტორიც რომ იცავს. დებულება კი ასეა ფორმულირებული: აკაკი წერეთელს ისე როგორც, უწინარეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძეს, განუზომლად დიდი როლი აქვს შესრულებული ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დაკარგული უფლების აღდგენის, მისი შემდგომი გამდიდრებისა და ხალხის ყოფაში დამკვიდრების საქმეში. ესაა აკაკის უდიდესი დამსახურება ერისა და ენის წინაშე. მაგრამ ახალი ქართული სალიტერატურო ენის შემქმნელი ის, ერთი პიროვნება, ქართული ენისა და მწერლობის გოლიათი მოამაგე, არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ეს ენა მანამდეც არსებობდა, ოღონდ წართმეული ჰქონდა ტრიბუნა, განდევნილი იყო ლიტერატურიდან. ილიასა და აკაკის ისტორიული ღვაწლი, ჩემი აზრით, ის არის, რომ მათ თავიანთი ორიგინალური, უპარესად ეროვნული სულით გაყდენილი თხზულებებით ხალხის ენას დაუბრუნეს წართმეული უფლებები და ვააკრელებს ის მწერლობაშიც, ყოფაშიც, სოფელშიცა და ქალაქშიც. ეს აზრი დღეს საყოველთაოდაა მიღებული და მას ჩვენი ავტორიც იცავს. აკი თავად ავტორიც სამართლიანად ამბობს: „აკაკიმ განაგრძო ქართული ენის საუკეთესო ტრადიციები და კიდევ უფრო ახალ, დიდ სიმაღლეზე აიყვანა იგი. აკაკი სიტყვით თუ საქმით შეუპოვრად იბრძოდა ქართული ენის უფლებისათვის. იგი იდგა მშობლიური ენის საღარაჯოზე, მას ემსახურებოდა, თავს დასტრიალებდა და ფაქიზად უვლიდა. ქართული ენისადმი ბრძოლა, ქართული ენის უფლებებისა და ღირსების დაცვა ერთ-ერთი ნიშანსვეტია აკაკის მოღვაწეობისა“. ქვევითაც: „აკაკი წერეთლის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროს ქართული სალიტერატურო ენა არასახარბიელო მდგომარეობაში იყო. ე. ი. ახალი სალიტერატურო ენა აკაკი წერეთელამდის ყოფილა, მაგრამ ყოფილა არასახარბიელო მდგომარეობაში. ნამდვილად მართებულადაა ნათქვამი. კომენტარი აღარ სჭირდება.

ქვეყნებულად გვეჩვენება გამოთქმა „ინდივიდუალური წერა“. „მწერლის ინდივიდუალური წერის თავისებურება მუდამდგება აგრეთვე სინონიმებთან ერთნაირ სიტყვათა გამოყენებაშიცო“. აქ საჭიროა ლაპარაკი არა ინდივიდუალურ წერაზე, არამედ სტილზე, რაც მართლა შეიძლება იყოს (და არის კიდევ!) ინდივიდუალური. ასევე შეუფერებლად გამოიყურება გამონათქვამი: „მწერლის წერის ინდივიდუალური თავისებურებანი ანტონიმებთან დაკავშირებით სხვა მხრივია საძიებელი“.

რამდენადმე გასაცხრილავი ჩანს დიალექტურ სიტყვათა ავტორისეული ნომენკლატურა. რატომ, რა ნიშნებით უნდა მივიჩნიოთ, მაგალითად, დიალექტიზმებად ჯირკი, ჭაკი, ჭური, ვირთაგვა, ანდა ფლოქვი, კვეთი და მისთანანი? ადრინდელ და გვიანდელ წყაროებში, საბასა და შემდგომდროინდელ განმარტებით ლექსიკონებში ლიტერატურულ სიტყვებადაა დამოწმებული ჯ ი რ კ ი (კუნძი დასაწვავი — საბა; კუნძი — ქეგლი), ჭ ა კ ი (ჯრდალი ცხენი და ვირი — საბა; დედალი ცხენი ან ვირი, ფაშატი — ქეგლი), ვ ი რ თ ა გ ვ ა (ოთხფეხი — საბა; მღრღნელი ცხოველი საშუალო ზომისა — ქეგლი), ჭ უ რ ი (კეცთაგან ჭურჭელი, ქვევრი — საბა; ქვევრი — ქეგლი). ასევე კ ვ ე თ ი დღეს წმინდა ლიტერატურული სიტყვაა, ფ ლ ო ქ ვ ს ო დნავ იმერული იერი კი გადაჰკრავს, მაგრამ ლიტერატურული ენა ვერც მას დაიწუნებს.

სადავოდ გვეჩვენება დებულება: „მართო ეპითეტების ანალიზით შეიძლება მოხერხდეს მწერლის წერის ინდივიდუალობის განსაზღვრა, ინდივიდუალური სტილის დადგენა“. გაჭირდებოდა! ეპითეტის ხმარებისას, რაღა თქმა უნდა, მწერალი თავისებურებას გვაჩვენებს, მაგრამ ეპითეტი იმისთანა სასწაულთმოქმედი ფენომენი არ არის, რომ ინდივიდუალური სტილის ყველა ნიუანსი დაიტიოს. მართო ეპითეტი ამ სასწაულს ვერ მოახდენს. ამიტომ გამოთქმა მ ა რ ტ ო ე პ ი თ ე ტ ი თ, რომელიც ჩვენს ავტორს ე. გრიგორიევის ნაშრომიდან გადმოუღია, დასაზუსტებელია. სადავოდ დებულების უდავოდ მიჩნევა გაძნელებოდა.

მთლიანად ნაშრომი ჩინებულადაა დაწერილი და ინტერესით იკითხება.

1985 წ.

### პართველურ ენათა სინტაქსის საკითხები

ქართული ენის სინტაქსის კვლევა-ძიებაში მნიშვნელოვანია პროფ. ა. კიზირიას წვლილი. მისი მონოგრაფიები და სტატიები ხელს უწყო-

ბენ ჩვენი დედაენის ძირითადი სინტაქსური კატეგორიების ჩაღრმავებულ შესწავლას ტრადიციული მეთოდებით. ა. კიზირიას შრომები უპირატესად ეძღვნება ქართული წინადადების სტრუქტურას, მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებების შედგენილობას ძველსა და ახალ ქართულში. საკითხთა ფართო წრეა განხილული, კერძოდ, მონოგრაფიაში — „მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“, რომელიც ჯერ კიდევ 1963 წ. გამოიცა და მაშინვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. ახლა ხელთა გვაქვს ავტორის ახალი წიგნი — „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“, რომელშიაც მიმოხილულია ქართველურ ენათა სინტაქსის საკითხებზე მეცნიერებაში არსებული კონცეფციები, კრიტიკულად შეჭამებულია კვლევა-ძიების შედეგები, შეფასებულია ძიების ასპექტების ღირსება-ნაკლოვანებები. ამიტომ წიგნს თეორიულ ინტერესთან ერთად ფართო საცნობარო ღირებულება აქვს.

კანონზომერია ავტორის მიერ კვლევა-ძიების სიმძიმის ცენტრის მარტივი წინადადების აგებულებაზე გადატანა. მარტივი წინადადება ენის სინტაქსური საფუძველია. აქ ირკვევა და თვალსაჩინოდ ვლინდება ენის სინტაქსის სპეციფიკა. მარტივი წინადადების შედგენილობის, წევრთა ურთიერთკავშირის საიდუმლოების ამოცნობა ენის მთლიანი სინტაქსური სისტემის გასაღებს იძლევა. ვინც ენის მარტივი წინადადების შინაგანი სტრუქტურა იცის, მან იცის აფიქსური ენის მთელი სინტაქსი, რადგან წინადადება იტევს ენის სინტაქსთან დაკავშირებულ ყველა ლინგვისტურ ასპექტს, ხოლო შერწყმული და რთული წინადადება სხვა არაფერია, თუ არა მარტივი წინადადება, ამაღლებული წევრთა და გამონათქვამთა ორგანიზებულ შენაერთებად. შერწყმულსა და რთულ წინადადებებში ყოველთვის ჩანს მარტივი წინადადების სტრუქტურული მოდელები, როგორც მათი ბირთვი, ხოლო მარტივ წინადადებაში პოტენციურადაა წარმოდგენილი შერწყმულისა და რთული კონსტრუქციისაკენ გადახრათა შესაძლებლობანი. მარტივი წინადადება ლოგიკური აზროვნების შედეგების რეალიზაციაა, რთული წინადადება კი ამ მასალის მოძრაობაა გამონათქვამთა იმ უსასრულო იერარქიაში, რასაც შეიცავს ენა, როგორც აზროვნების იარაღი, განვითარებისა და ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საშუალება. ამის გამო ჩვენი ავტორის დაინტერესებას მარტივი წინადადების შედგენილობის პრობლემით ძველსა და თანამედროვე ქართულში, მთლიანად ქართველურ ენებში, აქვს მყარი ნიადაგი და მეცნიერული დასაბუთება.

წიგნში განხილულია ორი ძირითადი პრობლემა: შესიტყვება და მარტივი წინადადება. პირველი ნაწილი შესიტყვების თეორიათა მიმოხილვას ეძღვნება, მეორე ნაწილში კი — სპეციალური ლიტერატურის ჩვენებისა და მკაცრად შეჭერებულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია მარტივი წინადადების ტიპები, წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები და მათი გრამატიკული ურთიერთდამოკიდებულებანი. ორივე ნაწილში საანალიზოდ მოშველიებულია გემოვნებით შერჩეული მასალა. მშვენიერი ქართული, მკაფიო და დასაბუთებული მსჯელობანი წიგნს ადვილმოსახმარად ხდის არა მარტო სპეციალისტთათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვისაც.

ცნობილია, რომ შესიტყვების შესწავლის ისტორია იმავე ასაკისაა, რასაც თვით გრამატიკა. ავტორი ყურადღებას ძირითადად რუსული გრამატიკული ლიტერატურის მონაცემებზე ამახვილებს. ერთი მხრით, მიმოხილულია ნ. გრეჩის, ი. დავიდოვის, თ. ბუსლაევის, ა. პოტებნის შეხედულებები, რადგან ისინი ეხებიან სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის საკითხებს, და, მეორე მხრით, დალაგებულია ა. ვოსტოკოვის, ფ. ფორტუნატოვის, მ. პეტერსონის, ა. შახმატოვის, ა. პეშკოვსკის, ვ. სუხოტინის, ვ. ვინოგრადოვისა და სხვათა კონცეფციები შესიტყვების მოდელირების საკითხებზე. შესიტყვების ცნების ლინგვისტური გაგება, მისი სტრუქტურის ანალიზის პრობლემა სხვადასხვანაირად აისახა სხვადასხვა საენათმეცნიერო მიმდინარეობის ამ წარმომადგენელთა გამოკვლევებში.

ა. კიზირია უკუაგდებს გავრეცელებულ შეხედულებას, რომლის ნიხედვით შესიტყვება წინადადების გარეთ დგას და მასთან ერთად არ უნდა განიხილებოდეს, და ეთანხმება იმ მკვლევრებს, ვისაც შესიტყვების გარკვეული კონსტრუქციები წინადადებად ან მათ ნაწილებად მიაჩნიათ. ამავე დროს ის სრულიად არ აიგვიებს წინადადებასა და შესიტყვებას. „სიტყვისა და შესიტყვების გათანაბრება არ შეიძლება. მათ აქვთ თავიანთი დამოუკიდებელი სახე და შედგენილობა“. ამ აზრს, როგორც ცნობილია, ადრიდანვე ადგას, კერძოდ ა. ჩიქობავა.

შესიტყვების აგებულების საკითხზე მრავალი საერთოდ სწორი და უდავო შეხედულების პარალელურად მეცნიერებაში გამოთქმულია მცდარი და მიუღებელი ვარაუდებიც. თვით ჩვენი ავტორის ნაშრომშიაც შეიძლება კაცმა იპოვოს სადავო აზრები, მაგრამ ეს არა თუ ჩაუღიავს წიგნის ღირსებას, არამედ კიდევ ამაღლებს მას, რადგან აცხოველებს პრობლემის პოზიტიურად შესწავლის ინტერესს.



ავტორის ზოგადი შეხედულება მისაღები და გასაზიარებელია. როგორც ის ფიქრობს, ქართველურ ენებს აქვთ შესიტყვეების შედგენის საერთო პრინციპები, განსხვავებულია მხოლოდ გამოხატვის საშუალებანი. მართლაც: შესიტყვება იქმნება სახელითა და ზმნით ნაგულისხმევი სახელების მიერ ისე, რომ ერთი ნიშნის მიხედვით შესიტყვებას წარმართავს ზმნა, მეორე ნიშნის მიხედვით — სახელი. ამისთანა შესიტყვევებს ჩვენი ავტორი „ზმნურ-სუბიექტურსა და ზმნურ-ობიექტურ შესიტყვევებს“ უწოდებს და, რადგან სხვა შემთხვევებში შესიტყვებას წარმართავს ზმნა, სახელი და ფორმალური სიტყვა, ასკენის, რომ ქართველურ ენებში გვაქვს ოთხი სახის შესიტყვება — ზმნური, სახელური, ზმნისართული და თანდებულნი. არგუმენტირებულია დებულება: „შესიტყვება ემყარება სინტაქსურად არათანაბარი უფლების მქონე სიტყვების შეერთებას“.

ახალი მასალის მოშველიებით ავტორი ცხადყოფს სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ დებულებებს და გვაჩვენებს მათ რეალზაციას ქართველურ ენათა მასალაზე.

მე შესიტყვეების (სიტყვათშეერთების) აგებულებისა და კლასიფიკაციის სხვა შესაძლებლობას ვუქერ მხარს. მაინც მგონია, რომ ქართველურ ენებში ძირითადად გამოიყოფა ატრიბუტული (მაღალი სახლის-ს ტიპისა), პრედიკატული (სახლი ააშენა-ს ტიპისა), მართული (ქვის სახლის ტიპისა) და მართული (სერზე აშენდა-ს ტიპისა) სიტყვათშეერთებანი. ძირითადთან ერთად არაძირითადიც გვაქვს. ამასთან, აქედან პრედიკატული სიტყვათშეერთება ტოლია მარტივი წინადადებისა, ხოლო დანარჩენები (ატრიბუტული, მართული, მართული) გამონათქვამის სეგმენტებია. ამრიგად გამოდის, სიტყვათშეერთება შეიძლება განვიხილოთ როგორც წინადადების (გამონათქვამის), ისე წინადადების (გამონათქვამის) ნაწილის დონეზე. ეს თვალსაზრისი კი არ უპრისპირდება სიტყვათშეერთების თანამედროვე გაგებას, არამედ. ჩემი აზრით, მის უფრო ოპტიმალურ ახსნას გვაძლევს.

ზემოთქმულის შესაბამისად პრედიკატულ სიტყვათშეერთებაში, ჩვეულებრივ, შესიტყვეებულია ზმნა (ყველა კატეგორიის ფორმით) და სახელი (არსებითი სახელი და მისი ფუნქციით — ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელები ყველა ბრუნვის ფორმით). გვაქვს წყვილები: ბავშვი ხატავს (ხატავდა, ხატავდეს, დახატავს, დახატავდა, დახატავდეს), ბავშვმა დახატა (დახატოს), ბავშვს დაუხატავს (დაეხატა, დაეხატოს); ბავშვი დაიხატა, ბავშვი დაახატვინა... პატარამ გაიცინა; შენ ააშენე, ცხრამ გაიმარჯვა... სახელისა და ზმნის ამისთანა წყვილო-

ბრივი დამოკიდებულება ენის უპირველესი სინტაქსური ნორმაა. ამიტომ პრედიკატული სიტყვათშეერთება უნდა მივიჩნიოთ გამოწვევის ლერძად, რაზედაც დაყრდნობილია სიტყვათშეერთების სხვა სახეებიც. რადგან შეიძლება განივრცოს ზმნაცა და სახელიც. გავრცობილი ზმნა ქმნის როგორც მართულ, ისე მართულ სიტყვათშეერთებას; გავრცობილი სახელი კი გვაძლევს ატრიბუტულსა და მართულ სიტყვათშეერთებებს (მაგალითად, გამონათქვამში — „მთის გულადი მონადირე ცხენით მიდიოდა გზაზე ნელა“ — გვაქვს: 1. გავრცობილი ზმნა — მართული სიტყვათშეერთება: მიდიოდა ცხენით; მართული სიტყვათშეერთებანი: მიდიოდა გზაზე, მიდიოდა ნელა; 2. გავრცობილი სახელი — ატრიბუტული სიტყვათშეერთება; გულადი მონადირე, მართული სიტყვათშეერთება: მთის მონადირე).

რაც შეეხება ატრიბუტულ სიტყვათშეერთებას, მას მხოლოდ სხვადასხვა ბრუნვის ფორმის სახელი ქმნის (არსებითი სახელები: მესხი ქალი, ქვაბი ჩიხირთმა; ზედსართავი სახელი და არსებითი სახელი: კარგი დილა, ავი ძაღლი; რიცხვითი სახელი და არსებითი სახელი: ცხრა ძმა, ასი კაცი); მართულ სიტყვათშეერთებას ზმნაცა და სახელიც (ქვის სახლი, მთის წყარო, მზის ამოსვლა, გულით ინატრა). ხოლო მართულ სიტყვათშეერთებას ზმნები და უფორმო (ან თანდებულიანი) სიტყვები ქმნიან (წავიდა ჩქარა, ავიდა მთაზე). ერთი სიტყვით, სიტყვათშეერთებათა ეს იერარქია საერთოა ქართველური ენებისათვის და ამისთანა სეგმენტები მეტწილად მონაწილეობენ გამონათქვამთა უსასრულობაში. ეს კონცეფცია უძველეს საფუძვლად ჩემს „ქართულ წინადადებას“. საწინამდებო შეხედულება არავის გამოუთქვამს.

წიგნის მთავარი ნაწილი მარტივი წინადადების სტრუქტურული ტიპების აღწერას უჭირავს. ერთნაირი გეგმითაა გაშუქებული მარტივი წინადადების მოდელები როგორც ქართულში, ისე კოლხურსა და სვანურში. წიგნის მეცნიერული ღირსებაც სწორედ ეს არის.

მარტივი წინადადების ტიპების დადგენისას ამოსავლადაა მიჩნეული მათი ტრადიციული დაჯგუფება აგებულების, მოდალობის, წევრთა შედგენილობისა და მტკიცების მიხედვით. ამის შესაბამისადაა გაშლილი მთელი ძიება. თანამიმდევრულად განხილულია თბრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ემოციური წინადადებების მოდალური სახეები. უკანასკნელ სახეში ცალკე რიგებადაა გამოყოფილი ემოციური და კითხვით-ემოციური წინადადებები. ტრადიციული ტერმინებსა

(ძახილის წინადადება, კითხვით-ძახილის წინადადება) ნაცვლად ნახ-მარი ტერმინები — ემოციური და კითხვით-ემოციური წინადადება— არა ჩანს მთლად გამართლებული. არც ამჟამინდელ სასკოლო გრამატიკაში ა. შანიძის მიერ დამკვიდრებული ტერმინებია (ძახილის წინადადება, კითხვით-ძახილის წინადადება) იდეალური, მაგრამ უფრო ოპტიმალურად გამოიყურება და გავრცელებულიც არის. ეს შენიშვნა ეხება არა მარტო ამ ორიოდ ტერმინს, არამედ სხვებსაც. სამწუხაროდ, უნიფიცირებული გრამატიკული ტერმინოლოგია ამჟამად არა გვაქვს. საშუალო და უმაღლეს სკოლებში (პროგრამებში, სახელმძღვანელოებში, მეთოდურ ლიტერატურაში), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის, „განათლების“, პედაგოგიური ინსტიტუტების მიერ დაბეჭდილ წიგნებში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ორგანოებში („სკოლა და ცხოვრება“, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, „სახალხო განათლება“, მეთოდური კრებულები) მიღებულია ერთი ტერმინოლოგია, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემებში — მეორე. ეს არაფრით არ არის გამართლებული. საქმეს ხელს არ უწყობს, მეცნიერებას არაფერს ჰმატებს, მეცნიერებათა აკადემიის შესანიშნავ გამომცემებს კი გზას უხშობს სკოლისაკენ. გრამატიკული ტერმინოლოგიის ნაირობა აფერხებს საენათმეცნიერო კვლევა-ძიების შედეგების პროპაგანდასაც. უნიფიცირებული ტერმინოლოგია აგვაშორებდა აუტანელ ტერმინოლოგიურ სიჭრელს, რაც ახლა ასე თვალში საცემია, და გააადვილებდა მეცნიერულ სიახლეთა პროპაგანდას, სკოლას, მოსწავლესა და მასწავლებელს არ მოსწყვეტდა აკადემიურ გამომცემებს. საქმისათვის მნიშვნელობა აქვს შეთანხმებულ, უნიფიცირებულ ტერმინოლოგიას და არა იმას, თუ ვინ, მეცნიერი თუ სამეცნიერო კოლექტივი, იცავს ამ ტერმინოლოგიას, არამედ იმას, ესა თუ ის ტერმინი რამდენად უფრო ზუსტად ასახავს სამეცნიერო სისტემის არსებით ნიშნებს. სიჭრელის დაძლევა. ერთიანი, შეთანხმებული ტერმინოლოგიის დანერგვა გრამატიკულ კვლევა-ძიებაში თანამედროვეობის გადაუღებელი მოთხოვნაა. ამის გახსენება საჭირო გახდა იმის გამო, რომ ტერმინოლოგიურ სიჭრელს ვერ აცდენია ვერც ჩვენი ავტორი.

საინტერესო ინფორმაციაა მოხმობილი სრული და უსრული წინადადების საანალიზოდ. საილუსტრაციო მაგალითები აქაც და მთლიანად წიგნში შერჩეულია ფაქიზად და დამოწმებულია ზომიერად.

სუბორდინაციის დაცვითაა დალაგებული წინადადების მთავარი (შემასმენელი, ქვემდებარე, პირმართი დამატებები) და არამთავარი

წევრები (პირმიუმართავი დამატებები, განსაზღვრება, გარემოებანი). აღწერილი და დეფინიცირებულია მდიდარი მასალა. ყურადღებას იქცევს ფაქტობრივი მოწმობანის სიუხვე, ნაირფეროვნება და ვარიანტულობა. ამ მიზნით შეჭერებულია XIX ს. და თანამედროვე ქართველი მწერლების საუკეთესო თხზულებანი, შესაბამისი სევანური, მეკრული და ლაზური ტექსტები. სევანური, მეგრული, ლაზური ნიბუშები ამოწერილია მეცნიერულად გამოცემული ტექსტებიდან (მხედველობაში გვაქვს ნ. მარის, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, ა. ჩიქობავას, ვ. თოფურის, მ. ხუბუას, ს. ჟღენტის, მ. ქალდანის, გ. კარტოზიას და სხვ. პუბლიკაციები).

მოკლე წერილში შეუძლებელია აღინუსხოს ავტორის შედარებითი ძიების ყველა შედეგი. ნიმუშისათვის აღვნიშნავ მხოლოდ ორი-ოდე მათგანს.

წიგნში სწორადაა აღნიშნული, რომ „ქართულში ზოგ შემასმენელთან ქვემდებარის გამოსახატვად ერთმანეთს ეცილებიან სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვებით“. სალიტერატურო ენაში, მართლაც, პარალელურად იხმარება: „წვიმა გადაიღო“, და „წვიმამ გადაიღო“. „მზე გადაიხარა“ და „მზემ გადაიხარა“, „დრო მოაწია“ და „დრომ მოაწია“ კონსტრუქციები (თუმცა მოთხრობითი ბრუნვის ფორმები აქ დიალექტური წარმომავლობისა უნდა იყოს, ამჟამადაც პროდუქტიულია ფშაურში, გურულში, ქვემოიმერულში). ქართულისა და მეგრულისათვის ბუნებრივია „ბავშვმა გაიღვიძა“ კონსტრუქცია (ქვემდებარე მოთხრობითში), ლაზურსა და სევანურში კი მას უპირისპირდება „ბავში გაიღვიძა“ ვარიანტი (ქვემდებარე სახელობითში). ლაზ. „ოხოში საპეხი ქაგოკუცხუ“—„სახლის პატრონი (პატრონმა) გაიღვიძა“; სევან. „ბეფშე ენჯაჲცდ — „ბავში (ბავშვმა) გაიღვიძა“...

ასევე თანამედროვეულადაა განხილული გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების სინტაქსური კონსტრუქციები ყველა ქართველურ ენაში.

მნიშვნელოვან სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ლაზურის ზოგიერთი თავისებურების ჩვენება ქართულთან და მეგრულ-სევანურთან მიმართებებში. თეორიულად დასაბუთებულია დებულება: „ქანური ქვემდებარე-შემასმენლისა, და დამატება-შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა დაშორდა ქართულსაც და მეგრულ-სევანურსაც. და მაინც ქვემდებარე-შემასმენლისა და დამატება-შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა გათანაბრებულია: შემასმენელი-ზმნის პირს მართავენ ქვემდებარეც და დამატებებიც და ორივე მართულია ზმნის მიერ ბრუნვაში“.

დადასტურებულია ქვემდებარის ბრუნვების (სახელობითისა და მოთხრობითის) პარალელური ხმარება. მაგ., ლაზურში ერთსა და იმვე დროს გვხვდება: „ოხორჯა დაღიშა მენდახთუ“ (ქალი ტყეში წავიდა) და „მენდახთუ დაღიშა ბაღიქ“ (წავიდა ლელეზე ბერიკაცმა). დამოწმებული მასალა შეპირისპირებითაა გაანალიზებული.

ავტორის მსჯელობა ყველა შემთხვევაში ეყრდნობა ტექსტების ჩვენებას, საილუსტრაციო მაგალითები დოკუმენტირებულია.

ერთი სიტყვით, წიგნში ეპოულობთ მარტივი წინადადების აგებულების შესახებ ვრცელსა და სანდო ინფორმაციას ტრადიციული სინტაქსის მოთხოვნათა შესატყვისად. ფაქტების ავტორისეული ანალიზი საინტერესოა შედეგების მიხედვით. აქ შესაძლებლობა გვაქვს ამა თუ იმ სინტაქსური მოვლენისა და კატეგორიის გამოხატვა შევამოწმოთ ყველა ქართველურ ენაში ღონეთა მიხედვით. მსგავსი ღირსების მონოგრაფია ქართველურ ენათა სინტაქსის საკითხებზე ჯერ არ გვქონია. ამიტომ ჩვენი ავტორის რუდუნება აღსანიშნავი და ღრმად დასაფასებელია. ნაშრომი ხელს შეუწყობს ქართველურ ენათა სინქრონიული სინტაქსის შემდგომ შესწავლას, სპეციალისტებსა და მკითხველებს დახმარებას გაუწევს ხსენებულ ენათა სინტაქსური ერთობისა და განსხვავების სიღრმისეულად გაგებაში.

უნდა აღინიშნოს წიგნის კიდევ ერთი, უთუოდ მნიშვნელოვანი, ღირსებაც. იგი ეყრდნობა სპეციალური ლიტერატურის მონაცემებს, რომლებიც მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და სრულადაა დამოწმებული. თავად საფუძვლიანად იცნობს ამ ლიტერატურას და პატივისცემით იყენებს. შტუდირებული და კრიტიკულად შეფასებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული მონოგრაფიები, გამოკვლევები, წერილები იმის მიუხედავად, თუ რა ღირსებებსა არიან ისინი. ამ ფაქტის აღნიშვნა იმიტომ მივიჩნევ საჭიროდ, რომ ბოლო ხანებში სხვა ვითარება შეიქმნა. ზოგი ავტორი, ანალოგიურ პრობლემებს რომ აშუქებს, ამას როდი თვლის სავალდებულოდ. ამისთანა ნაშრომში ძნელი ხდება იმის გამორკვევა, თუ რა ეკუთვნის მას (ავტორს) და რა—სხვას. ა. კიზირია ყოველთვის შორს იდგა ამისთანა ავტორებიდან და ამითაა გაპირობებული ის პატივისცემა, რასაც თავად და მისი შრომები იმსახურებენ. ყოველივე ეს კარგად ჩანს ამ წიგნიდანაც.

ავტორს თავისებურად ესმის ქართველურ ენათა სინტაქსის აზრო-ერთი და ორი საკითხი და მათ შესწავლაში მნიშვნელოვანი სიახლე შეაქვს. ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ აქ აღძრული ყველა

საკითხი ერთნაირი სიღრმით გაშუქებული არაა, საკამათოც ცოტა რამ როდია. ძნელად დასაჯერებელია, მაგალითად, მკვლევრის შეხედულება ე. წ. ინვერსიულ ზმნათა სინტაქსურ ბუნებაზე, „ქვემდებარის შედგენილობაზე“ და ა. შ. არა ჩანს აგრეთვე მოტივაცია „უბრალო დამატების“ ნაცვლად სისტემებრ „პირმიუმართავი დამატების“ ხმარებისა. მართალია, ერთ ადგილას მითითებულია, რომ პირმიუმართავი დამატება იგივე ტრადიციული უბრალო დამატებააო, მაგრამ შემდეგ ყველგან მაინც პირმიუმართავი დამატებაა ნახმარი მაშინ, როდესაც „პირმიმართი დამატების“ პარალელურად „პირდაპირი დამატება“ და „ირობი დამატება“ დატოვებული, და სამართლიანადაც. თავად ტერმინი „უბრალო დამატება“ სემანტიკურად გულისხმობს, რომ პირმიუმართავია და როგორც ტერმინი ვერ სჯობნის უბრალო დამატებას. ამიტომ ამ უკანასკნელის დავიწყება მიზანშეწონილი არ არის.

წინადადებაში: ქართ. „ბავშვს თავი სტკივა“, სვან. „ბეფშვს თხვიმ ხეზგი“, მეგრ. „ბლანას აჰუ დუდი“, ავტორის კონცეფციით, ქვემდებარედ უნდა მივიჩნიოთ მიცემითში დასმული სახელები (ბავშვს, ბეფშვს, ბლანას). ძნელად დასაჯერებელია! მაშინ რაღა უნდა იყოს სახელობითში დასმული სახელები (თავი, თხვიმ, დუდი)? დასანანია. რომ იარა, ირბინა, იცურა, ისკუბა, იცხოვრა, იმეფა, იტირა. იცინა. იცოცა, დაიძინა, შეხვდა და მათი ტიპის ზმნებთან ქვემდებარის ბრუნვის საკითხზე შედარებით ძიების შედეგები ნაჩვენები არაა. ამ გარდაუვალ ზმნათა სტრუქტურა, მკვლევართა მიერ „აქტიურ გარდაუვლად“ რომაა მიჩნეული, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის და უფრო ჩაღრმავებულ შესწავლას მოითხოვს, თუ გნებავთ, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებითაც. ავტორი ამახვილებს ყურადღებას წინადადების წევრთა და მეტყველების ნაწილთა მიმართების პრობლემაზე და აფასებს ამ დარგში რუსი მეცნიერების (ფ. ფორტუნატოვი, ნ. დურნოვი, მ. პეტერსონი, ლ. შჩერბა. ა. შახმატოვი, ვ. ვინოგრადოვი) ღვაწლს, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ი. მეშჩანინოვის დავიწყება, ი. მეშჩანინოვის განთქმული მონოგრაფიის („წინადადების წევრები და მეტყველების ნაწილები“). რომელსაც კარგად იცნობს ჩვენი ავტორიც) გათვალისწინება ახალი ასპექტებით გაამდიდრებდა ამ ნაშრომსაც.

შენიშვნებს საინტერესო წიგნის ზოგიერთი სხვა ადგილიც იწვევს. მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეულ საკითხებს ეხება. მთლიანად კი მონოგრაფიაში, როგორც ითქვა, პრობლემათა ფართო წრეა განხილული ახალი პარამეტრებით და მიღებულია საგულისხმო შედეგები. მას,

გვჯერა, ღრმად პატივისცემით გაეცნობა მკითხველი საზოგადოებრიობა.

1932 წ.

### ინგილოურის დარგობრივი ლექსიკა და ტოპონიმია

ქართული ენის ინგილოური დიალექტის შესწავლის ინტერესი მეცნიერებაში ადრე აღიძრა. მ. ჯანაშვილის ცნობილ მონოგრაფიას („საინგილო“, თბ., 1913 წ.) მოჰყვა ჯერ ა. შანიძის, შემდეგ კი შ. ძიძიგურის, გრ. იმნაიშვილის, ივ. ქავთარაძის, არ. მარტიროსოვის, რ. ლამბაშიძისა და სხვ. ნაშრომები, რომელთა შორის გრ. იმნაიშვილის „ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი“ (1966 წ.), მ. ჯანაშვილის „საინგილოს“ შემდეგ, მეორე მარჯვე მონოგრაფიაა ინგილოურის შესახებ. ახლა სპეციალურ ლიტერატურას შეემატა ასრათ რამაზანის ძე ასრათოვის ნაშრომი „ინგილოურის დარგობრივი ლექსიკა და ტოპონიმია“, ავტორი საინგილოს მკვიდრია, აქაა აღზრდილი და კარგად იცნობს როგორც მშობლიურ დიალექტს, ისე მასზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, თანაც. — ეს განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, — ამჟღავნებს საჭირო მომზადებასა და დიალექტური კვლევა-ძიების ცხოველ ინტერესს.

ავტორს მიზნად დაუსახავს ინგილოური დიალექტის დარგობრივი ლექსიკისა და ტოპონომიის აღწერა, მოპოვებული მასალის გაანალიზება ძველი ქართულისა და ჩვენი დიალექტების მონაცემთა მიმართებებში, დიალექტის ლექსიკაში სხვა ენობრივი ფენების. აზერბაიჯანული და თურქული ელემენტების გამოვლენა და მათი ხვედრითი წონის შეფასება მეცნიერების თანამედროვე მეთოდებით. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდა მკვლევარს დასახული კეთილშობილური მიზანი წარმატებით განუხორციელებია: ხელთა გვაქვს მრავალმხრით საინტერესო მონოგრაფია, რომელიც მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ინგილოურის, ქართული ენის ამ მეტად თავისებური დიალექტის შესახებ.

ნაშრომი სამ ძირითად თავს შეიცავს, წინ კი უძღვის ინგილოური დიალექტის შესწავლის ისტორიის სხარტად შედგენილი მოკლე მიმოხილვა, ბოლოს ერთვის დასკვნითი დებულებები, შემოკლებათა საძიებელი და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 213 დასახელების წყაროს ჩვენებით ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

ნაშრომში აღძრული და გაშუქებულია ინგილოურის ძირითადი თავისებურებები, შესწავლილია მისი დარგობრივი ლექსიკისა და ტოპონომიის სტრუქტურა და ნომენკლატურა, წარმოდგენილია უმთავრეს

შემოტყვევებში ღრმად გააზრებული, მკაფიოდ დასაბუთებული დებულებები. ინგილოურის ლექსიკასთან დაკავშირებულ საკითხთა ეს კომპლექსი ამ ასპექტით აქამომდის არავის განუხილავს და მათი ამ გეგმით შესწავლა ჩვენი ავტორის უეჭველი დამსახურებაა. რაც მთავარია, ის საფუძვლიანად იცნობს და სათანადოდ იყენებს საგნის სამეცნიერო ლიტერატურას, რომლის მონაცემებთან ერთად კვლევა-ძიებაში ჩართული აქვს თავად მის მიერ ადგილებზე წლების განმავლობაში შეკრებილი სანდო მასალა. ამიტომ ნაშრომში განვითარებულ განმარტებადებელ შეხედულებებს თეორიულ ინტერესთან ერთად გამოყენებითი, პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

სწორადაა გაანალიზებული ინგილოური ლექსიკის თავისებურებანი, თავად ინგილოური ლექსიკის მიმართება ძველი ქართული ენისა და ადგილობრივი დიალექტების ლექსიკასთან. ინგილოურის სპეციალურ ლექსიკასთან ერთად განხილულია სხვა ენებიდან ამ დიალექტში შემოსული სიტყვები. მართებული გეგმითაა აღწერილი მესაქონლეობის, მეცხვარეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის, პურეულის, მებოსტნეობა-მებაღეობისა და მათთან დაკავშირებული სამეურნეო ლექსიკა. გამოვლენილია მრავალი უცნობი სიტყვა და ხმარებაში არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობანი, რომლებიც ავსებენ როგორც ინგილოურის, ისე მთლიანად ქართული კილო-თქმების ლექსიკურ საგანძურს. ამ სიტყვათა ფონდის ცალკე გამოკრება და ინგილოურის მთლიანი ლექსიკონის შედგენა საშური საქმე იქნებოდა. ნაშრომის ბოლო ნაწილი ინგილოური ტოპონიმის აღწერასა და სათანადო მასალის ლინგვისტურ ანალიზს ეძღვნება. ავტორს აღუწერია 14 დასახლებული პუნქტის 600-ზე მეტი ტოპონიმი და მოუცია მათი ანალიზი სხვა რეგიონებში დადასტურებულ საგეოგრაფიო სახელებთან შეპირისპირებით. ნაშრომის ეს ნაწილიც ბევრ სიახლესა და საყურადღებო დასკვნებს შეიცავს. განსაკუთრებულ ინტერესს მიკროტოპონიმის სტრუქტურულ-სემანტიკური კლასიფიკაცია იწვევს. მრავალი ეტიმოლოგიური დაკვირვება ჩინებულია და საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს. ამ დებულების საილუსტრაციოდ დავიმოწმებ მართო ერთ მაგალითს, სახელდობრ, ფადარ ტოპონიმის გააზრებას. „ზაქათლის რაიონის სოფელ მოსულთან, მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს მდებარეობს ძველი ნამოსახლარი ფადარი||უფადარიო“, — მიუთითებს ავტორი და ლოკალიზებასთან ერთად გვაძლევს ამ ცნობილი ტოპონიმის თავისებურ ეტიმოლოგიას. ტოპონიმი მოხსენიებულია ბერი ევანტაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებასა“ და ვახუშტი ბაგრატიონის პერეთის აღწერაში, მაგრამ მისი ადგილმდებარეობა არ იყო ასე, კოორდინატთა ჩვენებით, განსაზღვრული. მეორე მხრით, მკვლევრის ვარა-



უდით, ფადარი რთული სახელი უნდა იყოს და მასში გამოიყოფა ფას და დარ: „ფა შეიძლება ფას სიტყვის ნაშთი იყოსო“. საყურადღებო გაგებაა. თუ ეს დასაბუთდება, მაშინ, ცხადია, ფა||ფას||ფაწ||ფაშ ელემენტი წყლის მნიშვნელობით ძველი საინგილოს მიწა-წყალზეც აღმოჩნდება, რაც საშუალებას მოგვცემს, ვიფიქროთ, რომ ხსენებულ ელემენტი საერთო ქართველური გავრცელებისა ყოფილა. ასევე საინტერესო ინფორმაციაა მოხმობილი ახალ სამარუან, კორწაფ ტყე, ივან ზაბაძე სამარე, თოფლიანები და სხვ. ტოპონიმებთან დაკავშირებით.

ამ მოკლე მიმოხილვითაც ცხადი ხდება, რომ ნაშრომი ეძღვნება ფრიად აქტუალურ საკითხთა კომპლექსს და მასში განხილულია ბევრი იმისთანა საჭირობოტო პრობლემა, რომელსაც აქამომდის არავინ შე-  
პხებია. კვლევა-ძიებაში ჩართული მასალის დიდი ნაწილი, როგორც ითქვა, პირველად ხდება დაკვირვების ობიექტად. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას მესაქონლეობის, საოჯახო მეურნეობის, პურეულის, მე-  
ბოსტნეობა-მებაღეობის, მშენებლობის ლექსიკისა და ტოპონიმის შესახებ, რომლებიც აქაა განხილული. ყოველივე ეს მეტყველებს ნაშ-  
რომის მეცნიერულ ღირსებებზე, ხოლო ძიების შედეგები გვარწმუ-  
ნებს, რომ ავტორის სახით ჩვენ წინ დგას ქართული დიალექტურა  
ლექსიკის პერსპექტიული მკვლევარი. ნაშრომი, გვჯერა, გარკვეულ  
ადგილს დაიჭერს საგნის სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჩემი შენიშვნები ნაშრომის რამდენიმე მხარეს ეხება და მიზნად ისახავს მის შემდგომ სრულყოფას. წვრილმანებს არ გამოვედევნებ, შევჩერდები მხოლოდ ზოგიერთ გარემოებაზე.

1. პირველი თავის სათაურია „ინგილოური დიალექტის დარგობ-  
რივი ლექსიკის თავისებურებანი“ და მოსალოდნელი იყო, რომ აქ  
ლაპარაკი იქნებოდა სწორედ ლექსიკის საკითხებზე, მაგრამ ეს ასე  
არაა. პირიქით. რამდენიმე გვერდი უჭირავს დიალექტის ფონეტიკ-  
რი და გრამატიკული თავისებურებების მიმოხილვას. საუბარია, კერ-  
ძოდ, კილოს ბგერით შედგენილობაზე, კომპლექსთა ცვალებადობაზე,  
სუბსტიტუციაზე, აფრიკატიზაციაზე, ასიმილაციაზე, დისიმილაციაზე, მე-  
ტათეზისზე, ბგერათა დაკარგვასა და ჩაპატებაზე, დეზაფრიკატიზაციაზე,  
სახელის, ნაცვალსახელის, ზმნის თავისებურებებზე, სინტაქსურ მოვ-  
ლენებზე, კავშირთა, თანდებულთა ხმარებულებაზე და ა. შ. რომელთაც  
ნაშრომის გეგმით გათვალისწინებულ პრობლემატიკასთან მეტად შო-  
რეული დამოკიდებულება აქვთ. ეგ საკითხები დიდი ხანია შესწავლი-  
ლია და მათზე მთელი სამეცნიერო ლიტერატურაა შექმნილი, ხოლო  
ნაცნობის ხელმეორედ გაცნობა, ისიც ასე სპეციალური დანიშნულების  
ნაშრომში, გამართლებულად არ მიმაჩნია. მითუმეტეს, აქ არაა დასმუ-  
ლი არცერთი ახალი საკითხი და არცაა წამოყენებული რომელიმე ახა-

ლი დებულება. რომელიც კორექტივს შეიტანს სპეციალურ ლიტერატურაში. ქვემოთ. სათანადო საკითხებთან დაკავშირებით ავტორი მარაგებულად ჩერდება ფონეტიკური და გრამატიკული პროცესების შედგად ინვოლუტური დიალექტის ლექსიკის ნიმუშებში გამოწვეულ ცვლილებებზე. და სავსებით სამართლიანადაც.

2. არ მუხეხნება მოტივირებულად მსჯელობა არქაიზმების შესახებ ინვოლუტურში. ნაშრომში ნათქვამია: „არქაიზმები ინვოლუტურში დამკვიდრდა გარკვეული ისტორიული პირობებით. საინგილო ჩამოშორდა საქართველოს. ინვოლუტურმა კილომ ძველი ქართული ენის ფორმები საუკუნეობით შემოინახა“ და განა ეს მერმე არქაიზმია? ავტორი ფიქრობს, რახან ბაკი. ბანდი, აპეური, ბოსტანი, გუბი, კოლტი, ყაჭი, ჭიმი, სანდალი, ციდა და მისთ. სიტყვები ძველ ქართულშიც იხმარებოდა და ამჟამად ინვოლუტურშიცაა დაცული (ზოგჯერ ოდნავი ნიუანსით), ამიტომ თითქოს ისინი არქაიზმებად უნდა მივიჩნიოთ. არა, ამის დაჯერება ძნელია. ამისთანა სიტყვები არქაიზმებად არ შეიძლება ჩაითვალოს. მართალია, ზოგი მათგანი დღევნადელ სალიტერატურო ენაში იშვიათად იხმარება, მაგრამ ცოცხლობს დიალექტებში, მათ შორის ინვოლუტურში და ცოცხლობს არა როგორც არქაიზმი, არამედ ისევე, როგორც სხვა სიტყვა (მაგ. კაცი. ქალი, ხელი, თავი და მისთ.). ინვოლუტურს ისინი ხმარებიდან არასოდეს განუდევნია და არქაიზმი საიდან-ღა უნდა იყოს? არქაიზმი, ჩემო აზრით, იმისთანა სიტყვაა, რომელიც მოძველების გამო ხმარებიდანაა გამოსული და კვლავ შემოაქვთ ხმარებაში. განა ამისთანა სიტყვებია ინვოლუტურისათვის ბაკი, ბანდი, გუბი, ყაჭი? რა თქმა უნდა, არა. ეგ სიტყვები იხმარებოდა ადრეც, იხმარება დღესაც, ხმარებიდან არ გასულა. ცხადია, მათ არქაიზმებად ვერ ჩავთვლით. ამიტომ ნაშრომის ამ ნაწილში დამოწმებული და გაანალიზებული სიტყვები მკაცრად უნდა გაიცხრილოს. ყველა მათგანის არქაიზმად მონათვლა მართებული არ იქნება.

3. მკვლევარი სწორად ამახვილებს ყურადღებას ინვოლუტურის სპეციფიკურ ლექსიკაზე. ლექსიკის ამისთანა ფონდი ნამდვილად გვხვდება ინვოლუტურში და მასზე მსჯელობა სავსებით კანონზომიერიცაა. მაგრამ დასაზუსტებელია ამ სიტყვათა ნომენკლატურა. სწორედ იმ სიტყვათა შორის, რომლის შესახებაც ვამბობთ, რომ „ამ კილოს საკუთრებად უნდა ჩაითვალოს“, ბევრია იმისთანაც, რომელსაც ვხვდებით არა მარტო დიალექტებში, არამედ სალიტერატურო ენაშიაც, დამოწმებულია როგორც დიალექტურ, ისე სალიტერატურო ენის განმარტებით ლექსიკონებშიაც. მხოლოდ რამდენიმე ნიმუში ავიღოთ, თუნდაც, აშარკლა უშნოდ ჯდომა ან წოლა. ეგ სიტყვა პირველად მ. ჯანაშვილის

ლექსიკონში გვხვდება: „წელზედ ქანაობა ფეხაწეულიო“. აქედან გადასულია სხვა დიალექტურ ლექსიკონშიც. ავტორს კი დამოწმებული აქვს წყაროს უჩვენებლად. ეგევე ითქმის ერამუკზე, რომელიც უშობელს ნიშნავს. მ. ჯანაშვილის მიხედვით „ერამუკ უშობელი ფურკამეჩია“. სიტყვა მოხსენიებულია აგრეთვე ლ. ლეონიძისა და სხვ. ლექსიკონებშიაც. ჩვენი ავტორი კი ამ წყაროებს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში იხსენიებს, მაგრამ სათანადო ადგილას არ იმოწმებს. ძნელია ასევე ვერწმუნოთ იმ აზრს, რომ მუყენი (ჩალის დასამაგრებელი სასურავზე) სპეციფიკური ინგილოური სიტყვაა. მართალია, ის იხმარება ინგილოურში, მაგრამ მას იცნობენ საბას. ნიკო და დავით ჩუბინიშვილების ლექსიკონები, თვით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც. მაშასადამე, იგი არაა ერთი რომელიმე დიალექტური ერთეულის კუთვნილება, სალიტერატურო ენის ინვენტარიდანაა აღებული. ეგევე ითქმის კორთე || იკორთა, კაწი და მისთ. ლექსიკურ ერთეულებზე. საერთოდ ამისთანა სიტყვების ძირითადი ნაწილი ამოღებულია მ. ჯანაშვილის ინგილოური ლექსიკონიდან, წყაროს უჩვენებლად. სასურველი იყო აგრეთვე, რომ ბანგურა, ბორტო, ბოლოლა, ბორიალი, ბრული. ბურუულა, გაგამ; გაჩქერება, გროში, დახრა, ვაიშუანი, ზიანა, ზინ-ზილა. თიანი, კალო, კინკილო, კოლა, კუდრუტუნა, ლოდათი, მემზანაგე, პანკლიანი, ჩალიკი და სხვ. სიტყვები ავტორს დაემოწმებინა პირველ წყაროთა ჩვენებით.

4. ნაშრომის იმ ნაწილში, რომელშიც ლაპარაკი უნდა იყოს ინგილოური ლექსიკონის მიმართებაზე სხვა დიალექტთა შესაბამის მასალასთან, წარმოდგენილია მხოლოდ სიტყვათა გრძელი სია. კმარა კი მხოლოდ სიის შედგენა? რაც შეეხება იმის ჩვენებას. ესა თუ ის სიტყვა ინგილოურთან ერთად კიდევ სხვა რომელ დიალექტშია ლოკალიზებული, ავტორი დაკმაყოფილებულა ცნობილ ლექსიკონთა მონაცემებს ჩვენებით. ჩემთვის ნათელი არაა, თუ რატომაა აქ დამოწმებული, მაგალითად, ატკრეცა სიტყვა, რომელიც იხმარება სხვა დიალექტებშიაც, გვხვდება ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიაც. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიაც? განა ეს დიალექტური სიტყვაა? ასევე ითქმის ბაბაყულზეც, რომელიც დასტურდება აღმოსავლურ დიალექტებში — მოხეურში, ქართულურსა და ქიზიყურში. ოღონდ გადატანითი მნიშვნელობით (იხ. ქართული ენის ცილოთქმათა სიტყვის კონა, 1, 53), შეტანილია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში, საიდანაც გადასულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიაც. ოდნავი ნიუანსით ხმარება სიტყვას სპეციფიკურად ვერ გახდის. ასევე მოტივირებული არაა ამ რიგში იმისთანა წმიდა ლიტერატურული სიტყვების დასახელება, როგორცაა, ვთქვათ, აბედი, აღოყება,

ბავა (|| ფავა), ბაკანი, ბერწი, დაკუტება და მისთ. სასურველი იყო ავ სიის გაცხრილვა. ბევრი სპეციფიკური ინგილოური სიტყვა კი სწორა- დაა ვანხილული.

5. ბერო-ნ-ებ-ის ტიპის ტოპონიმებში -ნ- ელემენტი -ან-ის ნაშთადაა მიჩნული. ეს ახსნა გასაზიარებელია საერთოდ, მაგრამ საკირო იყო იმის აღნიშვნაც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მსგავს ტოპონიმებში -ნ მრავლობითობის ნიშანია და არა -ან-ის ნაშთი.

6. დასაბუთებული არა ჩანს ქედეკრიან||ქედეკნიან ტოპონიმებში რ-ს გაჩენის ვარაუდი. ხომ არაა ეს ფუძე რთული? (ეგების გვაქვს აქ კომბინაცია: \* ქედე-კერ-იან\* — ქედე-კარ-იან?).

7. სარწმუნო არ ჩანს ნიახურა-ს ტიპის ტოპონიმებში ბოლო — ა-ს ფუნქციაზე მსჯელობა. ძნელი დასაჯერებელია ვარაუდი: აქ „-ა კინობითის მაწარმოებელი არ უნდა იყოს“.

8. ვერაა ცხადად ნაჩვენები აზერბაიჯანული -ლუ, -ლი, -ჩი სუფქ-სებით ნაწარმოები ტოპონიმების ხმარებულობა. როგორც ჩანს, ამის მაგალითები ინდივიდუალურ მეტყველებაში გვხვდება და არაა ნორმა მთელი დიალექტისათვის. ამიტომ მულან-ლუა-ქევი, ალმა-ლუა-ქევი (ვაშლოვნის ხევი), ბეგლი ჯიდი (ბეგლის ხიდი) და მისთ. სახელები ადგილობრივ ტოპონიმებად ვერ მიიჩნევა, რადგან ისინი არც ისტორიულად არიან ფიქსირებულნი და დღესაც უფრო ინდივიდუალურა მეტყველებაში ისმიან. აზერბაიჯანული და სხვა ენობრივი წარმომავლობის ტოპონიმთა გაჩენა საინგილოს რეგიონში ამ ენებზე მოლაპარაკეთა წრეშია საგულეებელი და მათ ძველ და ისიც ინგილოურ ერთეულებად ვერ მივიჩნევთ. სასურველი იყო საინგილოს ტოპონომიაში ძველი ქართული ელემენტის აღდგენის ცდა. სამწუხაროდ, საამისო სანდო წერილობითი ცნობები არ შენახულა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული და აზერბაიჯანული საარქივო ფონდების შემდგომი გულდასმით შეჯერება მომავალ მკვლევარს საშუალებას მისცემს, მიახლოებით მაინც აღადგინოს მხარეში გავრცელებული ძველი ქართული ტოპონიმები.

1980 წ.

### **მონოგრაფია ქართული ზმნის ფორმოებრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპების საკითხებზე**

ქართული ზმნა მრავალი ასპექტითაა შესწავლილი. ძველ გრამატიკოსებზე რომ არა ვთქვათ რა, უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში იგი ბევრი ცნობილი ენათმეცნიერის სპეციალური დაკვირვების საგანს წარმოადგენდა. შეიქმნა და გამოქვეყნდა საინტერესო მონოგრაფიები და გამოკვლევები როგორც ქართულსა და რუსულ, ისე უცხოურ ენებზე-

ქართული ზმნის სემანტიკისა და სტრუქტურის შესწავლაში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ნ.მარის, ა. შანიძის, ა. ჩიქობავას, ვ. თოფურისა, გ. დეეტერსის, ჰ. ფოგტისა და მომდევნო თაობათა წარმომადგენლებების სპეციალურ ნაშრომებს. ქართული ზმნის სტრუქტურული ანალიზის რთულ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე შექმნილია მდიდარი, სხვადასხვა კონცეფციების შემცველი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელსაც კარგად იცნობს ლინგვისტური სამყარო. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ამ ლიტერატურას ბ. ჯორბენაძის „ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები“ სახით ახალი ორიგინალური მონოგრაფია შეემატა.

ბ. ჯორბენაძე ჩვენს საენათმეცნიერო სამყაროში ახალი კაცი არაა. მართალია, ასაკით ის ახალგაზრდაა, მაგრამ ავტორია დაბრძენებული ნაშრომებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყო მშვენიერი გამოკვლევა „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“ (თბ., 1975). თავიდანვე კარგად ჩანდა ავტორის ინტერესი ქართული ზმნისადმი და მისი თვალსაწიერი ამ ფრიად ვრცელ სარბიელზე.

მე ერთგვარად გვერდი უნდა ავუქციო ტრადიციას, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევჩერდე აქტუალურობასა და იმ მეცნიერულ ღირსებებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, სარეცენზიო ნაშრომს ახასიათებს და სპეციალისტთა ინტერესს იწვევს. ამთავითვე უნდა ვთქვა ისიც, რომ აქ განხილული ფაქტობრივი მასალა, ზმნური სისტემები და სტრუქტურები, თეორიული პოსტულატები და კრიტერიუმები, კვლევის ხერხები და მეთოდები, რომელთაც ჩვენი ავტორი იყენებს, სამეცნიერო ლიტერატურაში აქამომდესაც კარგად იყო ცნობილი და ყოველივე ამაში ავტორის მონაპოვარი მინიმალურია, მაგრამ ორიგინალური იდეებით, ძიების ასპექტებით, ანალიზის ძირითადი მიმართულებებითა და პრინციპებით, მკაფიო განზოგადებებით, მიღებული შედეგებითა და შორსგამიზნული გაბედული დასკვნებით მონოგრაფია ფართო ინტერესების შემცველია, ფუნდამენტური ღირსებისაა. ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპების ძიებაში, შეიძლება ითქვას, გარკვეულ მიმართულებას ქმნის. მისი სახით საქმე გვაქვს ფუნდამენტურ გამოკვლევასთან, რომელიც ახალი დებულებებით, ახალი დასკვნებითა და განზოგადობებით ამდიდრებს მეცნიერებას. ამას ისიც უნდა დაუმატო, რომ ამისთანა სახის ნაშრომი ქართული ზმნის რთული ბუნების შესახებ აქამდის არ გვექონია, პირველია, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტად ზრდის მის აქტუალობასა და ღირსებას.

რა შეიძლება მივიჩნიოთ მონოგრაფიის განმსაზღვრელ მეცნიერულ ღირსებებად?

უწინარეს ყოვლისა ნაცნობი ენობრივი ფაქტების ახალი ასპექტით გამოუქება, ამ ფაქტების ურთიერთმიმართებათა იმ არსებითი ნიშნების გამოვლენა და კვლევა-ძიების ორბიტაში ჩართვა, რასაც სპეციალურად თა ყურადღება ან სულ არა, ან ნაკლებად ექცეოდა.

ავტორის დასკვნით, ენა შეიძლება განვიხილოთ შინაგან და გარე-ენობრივ მოვლენებთან მიმართებაში, როგორც ნიშანთა სისტემა. ენა არის შინაგანად თვითორგანიზებულ და დეტერმინირებულ ფორმითა სისტემა, რომლითაც გამოიხატება ცნობიერების ენობრივ ფუნქციონირება. ტრანსფორმირებული სინამდვილე. პოტენცია მიჩნეულია ენის მუდმივ თვისებად, რომელიც შეიძლება რეალიზებული იყო ენის განვითარების რომელიმე საფეხურზე, შეიძლება — არა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ნავარაუდევია „როგორც მუდმივი მოცემულობა, როგორც ბაზა ამ ენაში ყოველგვარი ფორმათწარმოებისა“. აქედან ავტორი კვშიარიტ დასკვნას აკეთებს: „სინქრონიული და დიაქრონიული დონეები (ასპექტები) განარჩევენ რეალიზაციის სხვადასხვა საფეხურს, რომ სინქრონია და დიაქრონია რეალიზაციის საფეხურს განეკუთვნება და არ შეეხება ენის პოტენციას, ენის მუდმივ არსებულ მონაცემებს“; „ენა გვეძლევა, — განაგრძობს ავტორი, — როგორც ისეთი შედეგი, რომელშიც იმთავითვე არის მოცემული შემდგომი შემოქმედებითი განვითარების პოტენცია“. და მართლაც, „ენა რომ შედეგის სახით არ გვეძლეოდეს, მაშინ ყოველი ინდივიდი იძულებული იქნებოდა, შეექმნა ახალი ენა“. ენის გამოყენებას ავტორი ამის გამო შემოქმედებით აქტად თვლის, რადგან იგი აზროვნების განვითარებას მიჰყვებაო. ენის მიჩნევა როგორც შედეგისა მკვლევარს საფუძველს აძლევს იმისათვის, რომ გამოყოფს ენაში მუდმივი და ცვალებადი ელემენტები. თუ ენა შემოქმედებაა, ბუნებრივია, მასში ცვლილებათა და გარდაქმნათა გარკვეული კანონზომიერებებიც უნდა არსებობდეს. ავტორი ხედავს ცვლილების ორ სახეს: შენაცვლებას (ე. ი. საკუთრივ ცვლილებას) და განვითარებას. შენაცვლებად მიჩნეულია ენობრივი ცვლილება, რომელიც სისტემის მარტოოდენ ერთ წევრს ეხება და ვერ იწვევს მთლიანი სისტემის შინაგანი მიმართულების გადალუნვას. ამის ნიმუშად დასახელებულია: მო-ი-ტანა და დიალექტ. მე-ი-ტანა. ეს ცვლილება მოხდა გარკვეული მიზეზით, მაგრამ მას ზეგავლენა არ მოუხდენია თვით სისტემის ფორმობრივ იერსახეზე. განვითარება კი გულისხმობს იმისთანა ცვლილებას, რაც იწვევს სისტემის რომელიმე რგოლის ან მისი მთლიანი იერსახის შეცვლას: თურმ. 1, ძვ. ქართ. სტატიკური ზმნის აწმყო: და-უ-წერ-ი-ე-ს, ახ. ქართ. სტატიკური ზმნის აწმყო: და-უ-წერ-ი-ა... მი-

ყვარ-ს, მ-ძულ-ს, მ-გონ-ი-ა ფორმათა შეცვლა ვ-ყვარ-ობ, ვ-ძულ-ობ, ვ-გონ-ებ ფორმებით. მყარია წამოყენებული დებულება: „ენის პოტენცია ერთბაშად არასდროს რეალიზდება, იგი აკუმულირებულა ენაში და მისი მხოლოდ თანდათანობითი (უფრო ზუსტად: „გამოზოგვითი“) გამოხატვა ხდება“. ენაში სინქრონიულ და დიაქრონიული მოვლენების გვერდით ავტორი გამოყოფს მუდმივ მონაცემებსაც. იმას, რაც უმკველია ენის განვითარების ყველა საფეხურზე და მას მუდმივს, ანუ „კონსტანტას“ უწოდებს. ეს კი არის ენობრივ ფორმათა და ფუნქციათა შინაგანი ურთიერთმიმართებანი, რაც განსაზღვრავს ენის თავისთავადობას, ენის მდგრადობას. მოვლენათა შინაგანი ურთიერთობა, ავტორის აზრით, განაპირობებს ენის სამყაროს, ხოლო ეს გულისხმობს ორი ან მეტი ენობრივი ფორმისა და ფუნქციის ურთიერთდამოკიდებულებას მკაცრი ურთიერთდეტერმინიზაციის საფუძველზე. სტრუქტურის ყველა ელემენტი კი დეტერმინირებულია, განაპირობებულია სხვა ენობრივ ფორმებთან ურთიერთობით.

ავტორი მწყობრად ალაგებს ენის ფორმობრივი და ფუნქციური კვლევის მეთოდოლოგიის საფუძვლებს. ყველაზე რაციონალურ კრიტიკიუმად, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ენის კვლევას, მიჩნეულია ენობრივ ფორმათა დეტერმინიზმი — ენობრივ ელემენტთა ურთიერთგანსაზღვრულობა და ამის საფუძველზე მათ ურთიერთობათა დადგენა. ნაშრომში ნათლადაა ნაჩვენები ამ დეტერმინიზმის ძირითადი შინაარსი და ნიშან-თვისებები. დეტერმინიზმის პრინციპი, ავტორის გაგებით, ვარაუდობს მყარად დადგენილ ფორმებს შორის მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთგანსაზღვრულობის წარმოჩენას, იქნის გამოკვლევას, თუ რომელი ფორმა რომლითაა პირობადებული, როგორ გამოიყოფა მორფემათა სისტემა და როგორ კლასიფიცირდება ის. მარჯვედაა დასაბუთებული ენობრივი ფაქტის ლინგვისტური სეგმენტაციის მიზანი; ესააო ენის ფორმობრივი ანალიზისათვის ნიადაგის მომზადება. მყარი თეორიული ნიადაგი აქვს წამოყენებულ კონცეფციას ენაში დეტერმინაციის ორი სახის არსებობის შესახებ: გენეტური (წარმოქმნითი) და სამიმართებო (საურთიერთო). პირველი გულისხმობს იმისთანა ფორმის არსებობას, რომელსაც თავისი მყარი საყრდენი აქვს (კეთ-ებ-ა იმიტომ არსებობს, რომ მას მოეპოვება საყრდენი: ა-კეთ-ებ-ს), მეორე კი ვარაუდობს, რომ ერთი ენობრივი ელემენტის არსებობა გულისხმობს მეორის არსებობასაც, მაგრამ არა-როგორც საყრდენს, ე. ი. ამ ელემენტთა შორის გამოირიცხულია გენეტური ურთიერთობა. ამავე დროს ავტორს არ ავიწყდება, რომ

პოლიანად დეტერმინისაციის ეს ორი სახე იმავე დროს გულისხმობს ფორმობრივსა და ფუნქციურ დეტერმინაციას შესაბამისი ფუნქციური კორელატების თანაარსებობით. ავტორი მოითხოვს, რომ გაირკვეს ფორმობრივი თუ ფუნქციური სისტემებისა და სტრუქტურების წარმოქმნის არსი და პირობები, დადგენილ იქნეს მათი შექმნის კანონზომიერებანი, მიზანი, შესაძლებლობა და რეალური არსებობა. ე. ი. განიორკვეს იმის საფუძველი, თუ რატომ გვაქვს ენაში სისტემები და სტრუქტურები.

ნაშრომის ამ ნაწილში განსაკუთრებით საინტერესოა მსჯელობა ენობრივი ფაქტის სემანტიკური და სტრუქტურული ანალიზის საკითხებზე. სავსებით მართებული და გასაზიარებელია ავტორის დასკვნა: ენაში ნამდვილად გვაქვს შემთხვევები, როცა სემანტიკურად დასაშვები სტრუქტურები ფაქტობრივად არ რეალიზდება ფორმობრივი აკრძალვის გამო. ამის საილუსტრაციოდ დამოწმებულია ა. შანიძის ცნობილი მაგალითი: გა-ი-ლ-ო კარი, მაგრამ გა-ლ-ე-ბ-ულ იქნა თანხა. მეორე ფორმისათვის სემანტიკურად შესაძლებელი გა-ი-ლ-ო ფორმობრივმა აკრძალვამ შეუძლებელი გახადაო; სემანტიკურად დასაშვები \*გა-კეთ-ებ-ი-ლ-ი, \*ა-შენ-ებ-ი-ლ-ი არა გვაქვს, მოგვეპოვება მხოლოდ: გა-კეთ-ებ-ულ-ი, ა-შენ-ებ-ულ-ი, თუმცა ჩვეულებრივია შე-კრ-ებ-ი-ლ-ი, შე-ღ-ებ-ი-ლ-ი; სემანტიკურად დასაშვებია თბილ-ღ-ებ-ა ფორმა, რეალიზებულია კი თბ-ებ-ა... ეს ფორმები რეალიზებულია ფორმობრივი სისტემის ზეგავლენითო. სარწმუნოა ავტორის დასკვნა: „ფორმობრივი ყალიბი არსებითად უკუზეგავლენის უნარის მქონეა, იგი თავის დაღს ასვამს სემანტიკას, გარკვეულ ჩარჩოებს უქმნის მას, შეჰყავს ამა თუ იმ სისტემაში, რითაც თითქოსდა აშკარა სემანტიკური პარალელიზმის დროსაც კი ნაირგვარ ღირებულებას წარმოაჩენს“. ფორმობრივი კვლევა, როგორც მართებულად მიუთითებს მკვლევარი, გულისხმობს ენობრივი ელემენტების თვისებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის, ხოლო ფუნქციური კვლევა კი — ენობრივი ფუნქციების (მნიშვნელობების) ურთიერთმართებების შესწავლას. ამასთან ერთად ავტორს ნათლად აქვს განსაზღვრული ფორმობრივი და ფუნქციების არსებითი ნიშნები ზმნის კატეგორიების ჩვენების მიხედვით.

ნაშრომის შემდეგი მეცნიერული ღირსება ზმნის ფუძის წარმოქმნის დინამიკის ჩვენებაა, რასაც მთელი მეოთხე თავი ეთმობა. ტრადიციული შეხედულებების კრიტიკის შემდეგ გარკვეულია ქართულში ზმნურ ფუძეთა შენების სამი პრინციპი: რედუპლიკაცია,



აფიქს:ცია და აბლაუტი (აპოფონია). ფუძედ ზმნის ის ნაწილია მიჩნეული, რომელიც საყრდენია ფორმათა სისტემებისათვის და პერმანენტულად ცვლადი მონაცემებია. პერმანენტულ ცვლას ავტორი ხედავს აპისთანა პარადიგამებში: მალ-ავ-ს > მალ-ავ-დ-ა > მალ-ავ-დ-ე-ს, ე. ი. მალ > მალ-ავ > მალ-ავ-დ თანამიმდევრულად გართულებული სისტემაა. მართლაც, ცალკე აღებული -კეთ- (ა-კეთ-ებ-ს), -ქ- (ა-ქ-ებ-ს), -ლ- (ა-ლ-ებ-ს) არაფრის საყრდენად არ გამოდგება. მათ იმდენად აქვთ ენობრივი ღირებულება, რამდენადაც გარკვეულ ურთიერთმიმართებათა ვამომხატველ ელემენტებს წარმოადგენენო. მართებული და გასაზიარებელია შეხედულებები თანამედროვე ქართულში ზმნურ ფუძეთა წარმოების ძირითადად ხაზოვან პრინციპზე აგების, ენობრივ მოკლენათა მათსავე დინამიკაში განხილვის და ფუძის ფორმობრივ ანალიზში ბინარული პრინციპის გამოყენების შესახებ.

სიახლე იგრძნობა თეორიული კონცეფციის ფაქტობრივი მასალით რეალიზებაში. ავტორი დაბეჭდვით გვარწმუნებს (და ეს მართლაც სარწმუნოც ჩანს), რომ ფორმობრივი ანალიზი ორ ძირითად პრინციპს — ფორმობრივი ელემენტების მოქმედებასა და თვისობას — ემყარება. ფორმანტებს იგი ახასიათებს მათი თვისობისა და ქმედების მიხედვით. ეს კი გულისხმობს იმის დაშვებას, რომ ერთი და იმავე ნაწარმოების ფორმანტებმა განვითარების გარკვეულ სტადიაზე შეიძლება განსხვავებული თვისობა და ქმედება შეიძინონ და ამით შეიძლება კიდევაც დასცილდნენ ერთმანეთს.

უცვლა შესაძლებელი ასპექტითაა დახასიათებული ენაში არსებული რეგვარი მნიშვნელობა — ლექსიკური და გრამატიკული. უდავოა, რომ ლექსიკურ მნიშვნელობათა რიცხვი ენაში განუსაზღვრელია, რადგან ფაქტობრივად განუსაზღვრელია ლექსიკურ ერთეულთა განრავლების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც „გრამატიკულ მნიშვნელობათა რიცხვი ნებისმიერ ენაში განსაზღვრულია, მკაცრად რეგულირებულია“.

ზმნურ ფუძეთა მიგრაცია ზმნურ სიტყვათწარმოქმნაში განხილულია როგორც პირველადი ზმნების, ისე ნაზმნარ სახელთა მასალაზე. აქ ნარკვედაა ნაჩვენები ფონეტიკური ფაქტორის როლი და რეგლამენტაცია. პარადიგმული ფორმების საყრდენი ფუძეების გამოვლენის საფუძველზე თვალნათლივანაა გაშუქებული მათი მორფოლოგიური ნიშან-თვისებები სერიათა მიხედვით. ერთი მხრით, წარმოდგენილია ფორმები I სერიისა (აწმყო: ს-წყურ-ი-ა, უწყვეტელი: ს-წყურ-ოდ-ა, კავშირებითი I: ს-წყურ-ოდ-ე-ს), მეორე მხრით, III სერიისა (თურ-

პეობიოი I: მო-ს-წყურ-ებ-ი-ა, თურმ. II: მო-სწყურ-ებ-ოდ-ა, კავ-  
შირებიოი III: მო-ს-წყურ-ებ-ოდ-ე-ს), მათი ფუძეების სხვადასხვა-  
ობა.

ამ თავიდან განსაკუთრებული ინტერესის შემცველია აგრეთვე  
მსჯელობა -ოლ და -ომ სუფიქსიანი მასდარების გვერდით, სახელ-  
დობრ, დგ-ომ-ა, ჯდ-ომ-ა და აქედან დგ-ი-ს, ჯდ-ი-ს ფორმათა რეა-  
ლურობაზე. ამის ვარაუდი ნამდვილად გამართლებული ჩანს, რამ-  
დენადაც მათ გვერდში უდგას დიალექტური (იმერული) დგ-ი-ა, ჯდ-ი-  
-ა, წვ-ი-ა ფორმები. ნაიროვანი მასალის მკაცრმა ანალიზმა და მიღე-  
ბულმა შედეგებმა ავტორს საშუალება მისცა უფრო გაეღრმავებინა  
ორიგინალური ძიება და მოეცა ფორმობრივი თვალსაზრისით ზმნური  
ფუძის თეორიული განსაზღვრება: ა) ყოველ სტრუქტურაში უკანასკ-  
ნელის მიმართ ფუძე მდგრადი (უცვლელი) ელემენტია; ბ) ყველაფე-  
რი ის, რაც საყრდენია ნებისმიერ ფორმათა ან ფორმების სისტემა-  
თა — ფუძედ იწოდება. ამასთან მართებულადაა მიჩნეული საყრდენი  
ელემენტის ფორმობრივი მთლიანობა. ე. ი. რაც უნდა რთული შედ-  
გენილობისა იყოს ფუძე, მოცემული ფორმის ფარგლებში არასეგ-  
მენტურია, დაუშლელია (დგ-ომ ფუძე ორ სეგმენტს გვაჩვენებს:  
დგ-||-დგ და -ომ, მაგრამ დგომა ფორმაში იგი დაუშლელადაა მიჩნე-  
ული. ფორმობრივ-ფუნქციური თვალსაზრისით ფუძე, ავტორის დას-  
კვნით, არის „ენობრივი სტრუქტურის ის მონაკვეთი (სეგმენტი),  
რომელიც მდგრადია მოცემული სტრუქტურისათვის და საყრდენია  
ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის და რომელსაც  
ერთდროულად მოეპოვება ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციე-  
ბი“. ზმნის ფუძის იმ დეფინიციებთან შედარებით, რაც ცნობილია  
სამეცნიერო ლიტერატურაში, ავტორის ფორმულირებები უფრო მკა-  
ფიოდ, უფრო მართებულად და დასაბუთებულად მიმაჩნია.

ნაშრომის ღირსებაა ფორმანტა შედგენილობის მკაფიო ანალიზი,  
რასაც VI თავი ეძღვნება. ხმოვან-თანხმოვნით შედგენილი ზმნური  
ფორმანტები (-ალ, -ელ, -ილ, -ოლ; -ამ, -ემ, -ომ; -ან, -ენ, -ონ; -ას,  
-ეს, -ოს...) მიჩნეულია რთულად და ერთგვარად დაუშლელი ელემენ-  
ტებიდან ვოკალური ან კონსონანტური ელემენტების გამოყოფით  
წარმოჩენილია მათი წარმომავლობის სურათი, ვოკალური და კონსო-  
ნანტური ელემენტების მიერ სხვადასხვა ფუნქციის შეტანა ამ ფორ-  
მებში, ან მათი შერწყმა გვიანდელადაა წარმოდგენილი. ამ ვარაუდს  
საკმარისად მყარი დასაბუთება ეძლევა.

ავტორმა დამაჯერებლად ჩამოაყალიბა ფორმანტა ანალიზის პრინ-  
ციპები ქართულში. დადგენილია ფორმანტთა დეტერმინაცია, ანუ

ფორმანტთა მიხედვით-შედეგობრივი ურთიერთდამოკიდებულება. ფორმანტთა თვისობა და კმედება, იდენტიფიკაციის პირობები. დაწვრილებითაა საუბარი გენეტურ (წარმოქმნით) და სამიმართებო (საურთიერთო) დეტერმინაციასე და აქედან განხილულია ფორმობრივი და ფუნქციური დეტერმინაცია. საანალიზოდ მოშველდებულა პირველადი და ნასახლარი ზმნები; დეტერმინაციის ძირითადი პრინციპები შეპირისპირებულია მოტივაციასთან. საინტერესო დასკვნებია მიღებული ფორმანტთა იდენტიფიკაციის საკითხზე მსჯელობის შედეგად. გამოვლენილია ფორმობრივად იდენტურ და ფუნქციურად არაიდენტურ ენობრივ მონაცემთა წარმოქმნის კანონზომიერებები. ფორმანტთა ანალიზის საფუძველზე მიღებული პრინციპები ზოგადი ხასიათისაა და ასახავს იმ კანონზომიერებებსაც, რომელთაც ზოგადი ენათმეცნიერება იცნობს. ქართულ მასალას ამ მხრით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ზოგად ენათმეცნიერებაში. მთლიანად VII თავი, სადაც ეს პრობლემებია განხილული, ნაშრომის ცენტრალურ ადგილა იჭერს და გამოირჩევა როგორც ფაქტობრივი მასალის ნაირობით, ისე სიღრმეული შედეგების პოზიტიური მნიშვნელობით.

ნაშრომის ორი ბოლო თავი (VIII თავი: „ზმნურ ფორმათა სემანტიკური სტრუქტურის საკითხები“, IX თავი: „ენის ფორმობრივი და ფუნქციური კატეგორიები“) ფაქტობრივად აჯამებს ძიების შედეგებს. არგუმენტირებულია წამოყენებული დებულება: „სემანტიკურ სტრუქტურას ქმნის სხვადასხვა სისტემებიდან ამორჩეული სემანტიკურ ელემენტთა ინტეგრაცია ერთ ენობრივ ფორმაში“. ეს დასკვნა გამაგრებულია სინონიმური პერიფრაზირებითა და სემანტიკურ მონაცემთა შეპირისპირების საკითხებზე მსჯელობებით. ავტორის აზრით, „ფუნქციური სისტემებისა და სტრუქტურების აგების პრინციპები წარმოქმნიან ფუნქციურ კატეგორიებს“. საერთოდ ფუნქციური კატეგორიების გამოყოფის საკითხზე მსჯელობისას კი ნაშრომის საყრდენი ტრადიციული გრამატიკის მემკვიდრეობაა. ენობრივი ფორმა და ფუნქცია ნაშრომში განხილულია იმანენტური ერთობით, მათი სისტემებისა და სტრუქტურების ჩვენებით, ხოლო ენობრივი ფორმისა და ფუნქციის შემსწავლელ დისკოპლინებად მიჩნეულია მორფოლოგია, როგორც ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ფორმობრივ სისტემებსა და სტრუქტურებს, მათ შინაგან და გარეშე მიმართებებს მათსავე დინამიკაში, სემანტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ფუნქციურ სისტემებსა და სტრუქტურებს, მათ შინაგან და გარეშე მიმართებებს მათსავე დინამიკაში.

ასე მესახება მე ბ. ჯორბენაძის ნაშრომის უმთავრესი მეცნიერულ ლირსებები. ყოველივე ზემონათქვამს უნდა დავუმატო ისიც, რომ ავტორი ამჟღავნებს ფართო ერუდიციას, ურთულესი პრობლემების გლობალურად გაშუქების, ენის სტრუქტურული და ფუნქციურა ელემენტების ანალიზის უდავო ალლოსა და ოსტატობას, ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ცოდნას. ავტორის მიერ წამოყენებული ქართული ზმნის ფორმოზრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, რომლებიც სათავეს უდებენ გარკვეულ მიმართულებას ქართული ზმნის რთული სტრუქტურული და სემანტიკური ბუნების ახალი ასპექტით შესწავლაში, ეკვი არაა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ჩვენი მეცნიერების განვითარებაში. სიამოვნებით აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნაშრომი დაწერილია ჩინებული ქართულით, ავტორის ფრაზა, სტილი რაფინირებულია, ლექსიკა — მდიდარი.

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა. მაგრამ ამ მშვენიერი ნაშრომის შესახებ ორიოდ შენიშვნის გამოთქმა მაინც მიმაჩნია საჭიროდ. წვრილმანებზე, ცხადია, არ შეგჩერდები, არც განმეორებებზე, რომელთაც ცალკე ელემენტების ანალიზისას ავტორი ვერ ასცდენია. ყოველივე ეს ამისთანა ნაშრომში მოსალოდენელია და ადვილად გასასწორებელიც. შეგჩერდები მხოლოდ ორიოდ, ჩემი აზრით, პრინციპულ საკითხზე.

1. უწინარეს ყოვლისა, თვალში საცემია ავტორის გატაცება ცნობილი მატერიებზე ვრცელი მსჯელობით, რის გამართლებაც სპეციალურად დანიშნულების ნაშრომში ძნელია. დიდი ნაწილი ნაშრომის პირველი თავისა — „ენათმეცნიერების საგანი, ონტოლოგიისა და მეთოლოგიის საკითხები“, მეორე თავისა — „ცვლადი და მუდმივი ენაში“, მესამე თავისა — „ენის ფორმოზრივი და ფუნქციური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები“, ცალკე ადგილები სხვა თავებიდანაც. შეიცავს ცნობილ კეშმარტებათა დალაგებას, რაც ნაშრომის ძირითად დებულებებს, კაცმა რომ თქვას, არაფერს ჰმატებს, მოცულობას კი ზრდის. ყველაფერი ის, რაც აქაა ნათქვამი, მართებულია და თავისთავად საინტერესოც, მაგრამ მკითხველი ამ ინფორმაციას გაეცნობა სახელმძღვანელოებიდან და მიმოხილვითი ნაშრომებიდან, რომლებიც საკმარისად მოგვეპოვება. პირველი თავის პირველ პარაგრაფში, მაგალითად, ლაპარაკია ყოველი საგნის შეცნობისა და შესწავლის პროცესის ორ ასპექტზე (ონტოლოგიურსა და მეთოდოლოგიურზე), იმაზე, რომ ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, სხვადასხვა განზომილებით განიხილება; ასევე ზოგადი მსჯელობაა მეორე პარა-

გრაფშიაც — ობიექტი ერთია, შემსწავლელი დარგი — მრავალი; მესამე პარაგრაფში გაშუქებულია საერთოდ მეთოდის რაობის საკითხები, მეოთხეში — მეცნიერული კვლევის ეტაპები ზოგადად, მეხუთეში — მეცნიერული კვლევის გაგება მიზანდასახულების მიხედვით და ა. შ. მთლიანად ეს თავი შესავლად გამოადგებოდა ნებისმიერ ლინგვისტურ ნაშრომს. აქ კი ვერ ვხედავ მის აუცილებლობას. მით უმეტეს, ავტორი მასში ახალს არაფერს გვთავაზობს, ხოლო ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპებთან, რასაც ჩვენი ავტორი იკვლევს, მათ მეტად შორეული კავშირი აქვთ. აბა, ენა რომ ნიშანთა სისტემადაა გაგებული და ამაზე რომ მრავალი შეხედულება არსებობს, ისედაც კარგად იცის ამისთანა სპეციალური დანიშნულების ნაშრომის მკითხველმა. უნდა ვთქვა ისიც, რომ დასახელებული საკითხები აქ არც სრულადაა განხილული, ბევრი რამ მხოლოდ კონსპექტურადაა წარმოდგენილი და, ბუნებრივია. ფუნდამენტურად მათი განხილვა აქ ვერც მოხერხდებოდა. ასევე მეორე თავში დიდი ადგილი ეთმობა სინქრონიული და დიაქრონიული კვლევის მსგავსება-განსხვავებაზე, მათ დონეებზე ვრცელ მსჯელობას. ჩემი აზრით, არც ეს იყო საჭირო. ამასთან ყველაფრის სრულყოფილად თქმა ავტორმა ვერც აქ შეძლო. მნიშვნელოვნად უნდა შეკუმშულიყო მესამე თავიც. რითი შეიძლება გამართლდეს ასე ვრცელი მსჯელობა დეტერმინიზმის იდეაზე ფილოსოფიასა და ენათმეცნიერებაში, ენობრივი ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართების, ენის ძირითადი ელემენტების გამოყოფისა და დახასიათების საშუალებებისა და სხვ. საკითხებზე? ამის მოტივირება ძნელია. ერთი სიტყვით, ნაშრომის არამცირე ნაწილი უჭირავს ნაცნობ მატერიაზე ზოგად მსჯელობას, რომელსაც მეტად შორეული კავშირი აქვს ძირითად პრობლემასთან. თავისთავად ყველა ეგ საკითხი საინტერესოა, მაგრამ თავის ადგილას. თუ მაინცა და მაინც აუცილებლად მიიჩნევედა ავტორი მათზე შეჩერებას, ზომიერება უნდა დაეცვა.

2. საკამათო არაა აზრი იმის შესახებ, რომ „ენაში პოტენციურად იგულისხმებიან ისეთი სისტემებიც, რომელთა გამოვლენის მეტ-ნაკლებობა ფაქტიურად ენის მფლობელის ინდივიდუალურ თვისებებზეა დამოკიდებული“. ამაში ხედავს ავტორი პოტენციისა და რეალიზაციის ანარეკლს, მაგრამ აქედან არა ჩანს, თუ როგორ უტყერის იგი ენის მფლობელის, ასე ვთქვათ, უფლებამოსილების საზღვარს; სადაა შემაკავებელი ძალა, რაც ბოჭავს ინდივიდს? ინდივიდის, ენის მფლობელის ძალამოსილება უსასრულოა თუ სასრული? როგორ გავიგოთ

პოტენცია და ინდივიდის შენატანი გრამატიკულ წყობაში? რამდენად  
შეძლება ამის მიხედვით გამართლდეს „წარმოშობი გრამატიკის“ წი-  
გად: ამოსავალი პრინციპი?

3. ჩემთვის მთლად ნათელი არაა განსხვავებულ პოზიციაში ენობ-  
რივი ელემენტის სხვადასხვა ღირებულებად მიჩნევის თეზისი, რასაც  
ჩვენი ავტორი იცავს. ყოველ ენობრივ ელემენტს, თუ კი ის ნამდვი-  
ლად ენობრივი მონაცემია, ევალუება გარკვეული ფუნქციის შესრუ-  
ლება და არა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, საერთოდაც. ნაშრომში  
ნაოქვამია: „-კეთ- ელემენტი კეთ-ილ-ი ფორმაში და ა-კეთ-ებს-  
ფორმაში განსხვავებული ენობრივი ღირებულებისაა როგორც ფორ-  
მობრივ. ასევე ფუნქციურად“. რატომ უნდა მივიჩნიოთ აქ -კეთ-  
ელემენტის ღირებულება ლაბილურად? რა შეიცვალა, რაა მერყევი?  
-კეთ- ღარჩა -კეთ- ელემენტად, შევიდა ფუძეში ორივე შემთხვევაში:  
კეთ-ებ. კეთ-ილ. ლაბილობის პოტენცია მართლა ახასიათებს ზოგაერთ  
ენობრივ ელემენტს. მაგრამ ამ რიგში დგას კი -კეთ- და მისი ტიპის  
ელემენტები? თავისთავად აღებული -კეთ- ერთი ღირებულებისაა,  
მას ფუნქცია აქვს -ებ და -ილ-თან ერთად.

4. ნაშრომში ვკითხულობთ: „აწმყოში არარედუპლიცირებული  
ფუძეებისაგან წარმოებულ ზმნებს უპირატესად -ობ თემის ნიშანი მო-  
უღლით. რედუპლიცირებული ფუძეებისაგან წარმოებულთ, როგორც  
წესი, -ებ თემის ნიშანი: ლაწ-უნ-ობ-ს, მაგრამ: კაკან-ებ-ს“. ქვევით  
ამის საწინააღმდეგო მაგალითიცაა დასახელებული: კაკან-ობ-ს, რასაც  
ერთვის განმარტება: თითქოს ეს აფიქსიანმა ფორმამ გამოიწვია: კაკ-  
-ან. კაკან-ობ-ს ნამდვილადაა ენაში, ნაშრომშიც დასახელებულია  
დიალექტური ფორმები: კაკან-ობ-ს, ძიგძიგ-ობ-ს, ხითხით-ობ-ს, ჭიკ-  
ჭიკ-ობ-ს, ჩურჩულ-ობ-ს, როხროხ-ობ-ს, რომელთაც აქვთ ტენდენცია  
აალიტერატურო ენაში შემოჭრისა. თუ კი ეს ასეა (რომ ასეა, ავტო-  
რის მსჯელობაც მოწმობს). მაშინ კი შეიძლება ასე გადაჭრით ითქვას,  
„რედუპლიცირებული ფუძეებისაგან წარმოებულთ, როგორც წესი,  
-ებ თემის ნიშანი“ მოუღლითო? -ობ ნიშანიც რომ გვაქვს, და ჩვეუ-  
ლებრივადაც!

5. ნათელია შეხედულება ზმნის ფუძისა და მისი მოდიფიკაციის  
საკითხებზე, რომ ფუძე მას მიაჩნია ენის მოქმედ (ცოცხალ) ელემენ-  
ტად, მაგრამ მთლად ნათელი არაა ძირის გამორიცხვის მიზეზი დაკ-  
ვირვების ობიექტთა რიგიდან. „ძირი უშუალოდ არ ფუნქციონირებს  
ენაში და ფუნქციონირებას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ფუძის  
შემადგენლობაში შევა. ენისათვის მოქმედი („ცოცხალი“) ელემენტი  
ფუძეა და არა ძირი. ძირი აბსტრაქტირებული ცნებაა, იმ რიგის წმინდა

მონაცემია, რომელიც მხოლოდ „ლაბორატორიული წესით“ ძიდება. ამიტომაც არის მისი საზღვრები ასე ბუნდოვანიო“. თითქოს საკითხი მართებულადაა დაყენებული. მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ძირა სულ ამოვადგოთ თვალთახედვიდან და მისი სახსენებელიც დავივიწყოთ? ძირი ენაში ვითომ მართლა არ ფუნქციონირებს? ვითომ ასეა? ქვევით მეტიცაა ნათქვამი ძირის მისამართით: „უმეტეს წილ ან ისტორიული მონაცემია, ან თეორიულად დასაშვები შესაძლებლობა და არა თანამედროვე ენის ფაქტია“. ამ დებულების შესაბამისად თუ გავაანალიზებთ ა-კეთ-ებ-ს სტრუქტურას, მასში საერთოდაც არ უნდა გამოყოს — -კეთ- სეგმენტი, შეიძლება კი მოცემული სტრუქტურის ფორმობრივი ანალიზი -კეთ- სეგმენტის ფუნქციონირებისა და გამოყოფის გარეშე? ხომ არ ფიქრობს ჩვენი ავტორი, რომ ა-კეთ-ა > ა-კეთ-ებ-ს > გა-კეთ-ებ-ულ-ი სტრუქტურებში, რომელთაგან პირველში ფუძეა -კეთ-, მეორეში -კეთ-ებ, მესამეში -კეთ-ებ-ულ. -კეთ- ფარ-ღია, ეტყვათ, -ებ ან -ულ სეგმენტისა? ემიტომ შეხედულება ძირის ენის არარეალურ ფაქტად მიჩნევის შესახებ დასაზუსტებელია. ძირს კუთვნილი ადგილი უნდა დარჩეს სიტყვის ფორმობრივი ანალიზისას. ლინგვისტურ ცნებათა იერარქიაში.

1979 წ.

## სვანური ჯადოსნური ზღაპრის საკითხავი †

სვანური ხალხური პროზა ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი და ამიტომ ყოველი ახალი სპეციალური ნაშრომი, რომელიც მიზნად ისახავს მისი პრობლემების გაშუქებას, ჩვენი მეცნიერების ნამდვილ მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს ეს პირველ რიგში ეხება სვანურ ჯადოსნურ ზღაპარს, რის არათუ სპეციფიკა არ არის შესწავლილ-გამოვლენილი, არამედ ტექსტობრივი ნიმუშებიც ერთობ მცირეა გამოქვეყნებული. მართალია, მოგვეპოვება რამდენიმე სანდოდ ჩაწერილი და მეცნიერული სიფრთხილით გამოცემული ტექსტი, მაგრამ მათი შესწავლა თეორიული ფოლკლორისტული პლანით აქამდის არავის უცდია. სწორედ ამის გამო ახალი მონოგრაფიული ნაშრომი სვანური ზღაპრული ეპოსის რთულ საკითხებზე მეცნიერების უეჭველ შენამატს წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს ოთარ ონიანის ნაშრომი, რომელიც პირველი მონოგრაფია, მიზნად რომ ისახავს სვანური ხალხური პროზის პოპულარული ჟანრის, ჯადოსნური ზღაპრის, სტრუქტურის, პერსონაჟთა სამყაროსა და ძირითადი მოტივების გენეზისურ შესწავლას.

ოთარ ონიანის ნაშრომი — „სევანური ჯადოსნური ზღაპრის სახე-  
ები“ ამდღობს ჩვენს წარმოდგენას სევანური ჯადოსნური ეპოსის  
საკითხებზე. აქამდის მეტად ზოგადი და არასრული ინფორმაცია  
გვექონდა სევანური ჯადოსნური ზღაპრის სპეციფიკურ ნიშნებზე. მე-  
ტად ზოგადად ვიცნობდით მათ. ახლა კი, ოთარ ონიანის საინტერესო  
მონოგრაფიის წყალობით, სწორი წარმოდგენა გვექნება სევანური  
ხალხური პროზის ამ უალრესად თვითმყოფი შენაკადის სიუჟეტურ და  
სტრუქტურულ თავისებურებებზე.

ნაშრომი ფრიად აქტუალურსა და საინტერესო პრობლემათა მთე-  
ლი კომპლექსის გაშუქებას ეძღვნება და ჩვენს ინტერესს იმითაც  
იწვევს, რომ აქ სევანური მასალა შესწავლილია საერთო ქართველური  
სიუჟეტის მონაცემთა ფონზე და დიდი ადგილი ეთმობა სიუჟეტური  
მოტივების, სტრუქტურული ელემენტების შედარებითს შეჯერებას.  
ნაშრომში საჭირო მასალის ანალიზის საფუძველზე ყურადღება გამა-  
ხვილებულია ქართველური ჯადოსნური ეპოსის საერთო და სპეცი-  
ფიკური სიუჟეტის საკითხებზე.

ნაშრომის უმთავრეს მეცნიერულ ღირსებებს, ჩვენი აზრით,  
შეადგენს შემდეგი:

1. აქ პირველადაა ასე ფართო გეგმით განხილული სევანური ჯა-  
დოსნური ზღაპრების სახეები და გამოვლენილია მათი სიუჟეტის  
ძირითადი კომპოზიციური, თემატიკური, სტრუქტურული ნიშან-  
თვისებები.

2. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ სევანური ჯადოსნური  
ზღაპრის წყობა ზოგადქართულია, ამასთან მისი სპეციფიკა მეღავენ-  
დება როგორც სიუჟეტურ სტრუქტურაში ისე მოტივებსა და პერსო-  
ნაჟთა სამყაროშიაც. მდიდარი ფაქტობრივი მასალის შედარებითმა  
შესწავლამ ავტორი მიიყვანა იმ დასკვნამდის, რომ სევანური ჯადოს-  
ნური ეპოსის გენეზისური საფუძველი ზოგადქართული სინამდვილეა:  
მასში ბუნებრივია ყველა ის მხატვრული სახე, მოტივი და პერსო-  
ნაჟი, რომლებიც საერთოქართულ ზღაპრულ ეპოსში გვაქვს. ამასთან  
სევანური ჯადოსნური ზღაპრების ბევრი სიუჟეტური სქემა მსგავსებასა  
და შეხების წერტილებს გვაჩვენებს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის  
ეპოსთანაც. საკუთრივ სევანური ჯადოსნური ზღაპრის სპეციფიკურ  
ნიშნებად მიჩნეულია: ა) ქართული ჯადოსნური ეპოსისაგან განსხვა-  
ებით მასში მკვეთრადაა ასახული ოჯახის განვითარების ეტაპები და  
საფეხურები; ბ) მზისა და მთვარის ადამიანური თვისებებით აღჭურ-



ვა, მათი კაცის ენაზე ამეტყველება, ადამიანისადმი დახმარება, ე. ო. მათი პერსონიფიკაცია; გ) ხე-მცენარეთა პერსონიფიკაცია და მათ თაყვანისცემის უძველესი რწმენის გადმონაშთები, ერთი რიგი ხე-მცენარეებისა (ალვის ხე, მუხა, ცაცხვი) ზებუნებრივი თვისებებით არის აღჭურვილი და ადამიანს დახმარებას უწევს, ხოლო მეორე რიგი (ნაძვი, წიფელი, ზოგჯერ მუხაც) უარყოფით ფუნქციას ასრულებს, ადამიანს მტრობს. ამ გარემოებას მკვლევარი სამართლიანად ხსენს წარმართულ და ქრისტიანულ რწმენათა იდეური წინააღმდეგობის ანარეკლად. მნათობთა, ხე-მცენარეთა პერსონიფიკაციის ეს ფაქტები მეტად საინტერესოა და სევანურ ჯადოსნურ ზღაპრებს განსაკუთრებულ ადგილს უჩენენ ქართველურ ხალხურ პროზაში; დ) ქვის, განსაკუთრებით თეთრი ქვის, მრავალნაირი ფუნქციის უნიკალური ასახვა და ე) ღვთაებათა (წმ. გიორგი, მიქაელ მთავარანგელოზი, დაღრ) პერსონიფიკაცია. ავტორის მსჯელობა დამაჯერებელია, პოზიცია და მეთოდოლოგიური საყრდენი — სწორი.

3. ნაჩვენებია სევანური ჯადოსნური ზღაპრების უნიკალური ნოტივეები და პერსონაჟები, რომლებითაც ისინი ყურადღებას იქცევენ არა მხოლოდ ქართველური ზღაპართმცოდნეობის, არამედ ზოგადი ფოლკლორისტიკის თვალსაზრისითაც. თვალნათლივ გამოვლენილია რამდენიმე ისეთი მოტივი და პერსონიფიკირებული საგანი, რომელიც თავის მხრით იშვიათია და ვარიაციები არ ეძებნება არც ქართულსა და არც იმ სხვა ხალხის ზღაპრულ ეპოსში, რომელზედაც დღეს ჩვენი ცოდნის პირობებში ჭერჭერობით ხელი მიგვიწვდება.

4. ცხოველი ინტერესის შემცველია ქვის მრავალნაირი ფუნქციის დადგენა სევანური ჯადოსნური ზღაპრის მასალაზე. ამ ფუნქციებიდან ავტორს პირველ რიგში გამოყოფილი აქვს ღვთაებრივი სიწმინდე, ადამიანის მფარველობა, მაგიური ძალა, განაყოფიერება, ხოლო საკუთრივ თეთრი ქვა მთვარის ატრიბუტადაცაა მიჩნეული.

5. ავტორი მარჯვედ იყენებს სიუჟეტთა შედარების მეთოდს და თვალნათლივ გვაჩვენებს ქართველური ჯადოსნური ეპოსის სიუჟეტის ძირითად რგოლებს, მსგავსსა და განსხვავებულ მოტივთა სისტემას. ავტორის მსჯელობა აქ შემაგრებულია ბევრი ხალხის ჯადოსნური ეპოსის ცალკე მოტივების შედარებითი ანალიზით. შედარებითმა ძიებამ ო. ონიანს საშუალება მისცა კრიტიკული თვალთ შეხედდა ჯადოსნური ზღაპრების ტრადიციული კლასიფიკაციისათვის და თავისი შენიშვნები გამოეთქვა ამ კლასიფიკაციის ნაკლოვან მხარეებზე.

6. ავტორის მსჯელობა ეყრდნობა არა მართოდენ უკვე ცნობილსა და გამოქვეყნებულ ტექსტებს, არამედ, რაც მთავარია, თავად მის მიერ ადგილებზე, სამეცნიერო ექსპედიციების დროს, მოპოვებულ მასალასაც. მართალია, უპირატესად აქ მოშველიებულია ქვემო სვანეთის რეგიონში ჩაწერილი ტექსტები, მაგრამ უყურადღებოდ დეტოვებული არ არის სემო სვანეთის რეგიონში ჩვენი ენათმეცნიერების მიერ (ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. ქალდანი, ალ. დავითიანი და სხვ.) ჩაწერილი და გამოქვეყნებული ტექსტებიც.

7. ნაშრომის მეცნიერულ ღირსებას ზრდის ტექსტები, რომლებიც მას ერთვის. აქ სულ 14 ზღაპრის ტექსტია წარმოდგენილი, აქედან 3 პირადად შრომის ავტორის მიერ არის ჩაწერილი ქვემო სვანეთში, ხოლო 6 კი ამოღებულია. ა. შანიძისა და ვ. თოფურიას კრებულიდან (სვანური პროზაული ტექსტები, ბალსზემოური კილო, თბ., 1939).

8. მთლიანად ნაშრომში იგრძნობა ავტორის დაუცხრომელი მისწრაფება სიახლისაკენ. მრავალი ზღაპრის სიუჟეტური გრეხილი პირველადაა ჩართული სპეციალური ძიების ორბიტში. მკვლევარი ამქვეყნებს ფაქტობრივი მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ცოდნას, დამოუკიდებელი კვლევა-ძიების ჩვევას.

თ. ონიანი ფიქრობს, რომ ცხოველთა ზღაპრები, რომლებიც ბევრ მეცნიერს ზღაპრის თავდაპირველ სახედ მიაჩნია (თუმცა ჩვენ პირადად ამ აზრს არასდროს ვიზიარებდით), ადამიანის პრაქტიკული, განვითარების შედარებით მაღალი დონის მაჩვენებელია და მეორად მოკლენად უნდა ჩაითვალოსო. ეს მოსაზრება საკამათოდ არ მიგვაჩნია. მაგრამ საკამათო ის არის, თუ რად დასჭირდა ავტორს ამ საკითხზე შეჩერება, როცა იგი სულ სხვა პრობლემას იკვლევდა? თუ კი თემას ერთგვარად გადაუხვია და მაინც გამოთქვა თავისი აზრი აქ დიდი პრობლემის შესახებ, რატომ არ მოიშველია საკუთრივ სვანური მასალა, რომელიც მეცნიერული სამყაროსათვის მეტად მკრთალ ფერებშია ცნობილი? დასანანია, რომ ნაშრომში ცხოველთა ეპოსი არსებითად განხილული არ არის, ლაპარაკი არ არის ცხოველთა ზღაპრების სტილისტურ-თემატურ ნიშან-თვისებებზე, მათ ალევორიულსა და იგავ-არაკულ შინაარსზე. ასევე არაფრის მთქმელია მთელი პარაგრაფი „ჯადოსნური ზღაპარი და ხალხური ნოველა“. სადაც ლიტონად ნათქვამია: სვანურ ხალხურ პროზაში ხალხურ ნოველას ცხოველთა ეპოსთან ერთად რაღაც „მესამე ხარისხის ადგილი უკავიაო“. ეს მსჯელობა მხოლოდ გაკვირვებას იწვევს, რადგან სვანური ხალხური პროზის ამ პოპულარული ჟანრებისათვის ასე მძიმე ბრალდების საბუთად სარწმუნო ფაქტები დასახელებული არ არის. სვა-

ნური ჯადოსნური ზღაპრების ღირსებებზე ლაპარაკი კი არ უნდა გულახსნობდეს სევანური ხალხური პროზის სხვა ჟანრების დამცირებას. ვანა შეიძლება ხალხური ქმნილებების ასეთ ხარისხებზე სერიოზულად საუბარი?

ავტორი იმეორებს ცნობილ თეზისს: ჯადოსნური ზღაპარი არის ზღაპრის ყველაზე არქაული სახეო; „ჯადოსნური ზღაპარი არის ყველაზე არქაული ჟანრი ხალხურ პროზაში“. რამდენადაც აქ გავრცელებულა შეხედულებაა გაზიარებული, ჩვენ სადაო არა გვაქვს რა, თუმცა ეს თეზისი პირადად ჩვენ მაინც მცდარად მიგვაჩნია. შენიშვნას ის იწვევს, რომ ამ თეზისის საილუსტრაციოდ არ გამოდგება სევანური ჯადოსნური ზღაპრები, რომლებიც აქაა განხილული. საქმე ისაა, რომ ამ ზღაპრებში უპირატესად ლაპარაკია განვითარებულ საზოგადოების უმაღლესი საფეხურის სტრუქტურის რვაღებზე. პერსონაჟებად გამოყვანილია მეფეები, ხელმწიფეები, კეისრები, ვეზირები — ფეოდალური იერარქიის განუყოფელი ატრიბუტები, იარაღად — თოფი და სხვ. ვანა განვითარებული საზოგადოების, კერძოდ, ფეოდალური წყობის ეს ბუნებრივი აქსესუარი არქაულად უნდა მივიჩნიოთ? ხომ არ აჯობებდა, ამისთანა შემთხვევაში გველაპარაკა არა ჯადოსნური ზღაპრის არქაულობაზე საერთოდ. არამედ ჯადოსნურ მოტივთა არქაულობაზე, რაც მართლა აღსანიშნავი ფაქტია, ხოლო ჩვენამდის მოღწეული ჯადოსნური ზღაპრის ტექსტები, კომპოზიციურად და შინაარსობლივად, მოტივთა რთულ სიუჟეტურ ნაერთს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ამ საკითხებს კვლავ ჩაფიქრება სჭირდება. რამდენიმე ტექსტის, გნებავთ, მარჯვე ანალიზითაც, ეს ღიდი პრობლემა ვერ გადაწყდება.

შრომას ახლავს მშვენიერი ტექსტები. მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ აქ სევანური ტექსტების მხოლოდ ქართული თარგმანია წარმოდგენილი. საქირო იყო კი ორივე ტექსტის, დედნისა და თარგმანის, სინქრონიულად წარმოდგენა.

1971 წ.

### ალფრედის იდეაგისათვის ხალხურ შემოქმედებაში

ხალხური შემოქმედება ცხოვრების უტყუარი სარკეა. მის მრავალრიცხოვან ჟანრში წარმოსახულია ადამიანთა შრომითი და სოციალური დამოკიდებულების რთული პროცესები თავისი დადებითი და უარყოფითი ნიშნებით, დაბრკოლებებითა და წინააღმდეგობებით. ხალხურ პოეზიასა და პროზაში, რომელთა ტრადიცია უხსოვარ ეპო-

ქებს წვედება, ასახულია ადამიანის სანუკვარი იდეალები. აქ, უწინა-  
რეს ყოვლისა, ერთმანეთს უპირისპირდება ორი საწყისი: კეთილი და  
ბოროტი. მათი განუწყვეტელი ბრძოლის ფონზე ნაჩვენებია მთელი  
ცხოვრება ალურიცხველი პერიპეტიებით, პირველყოფილი ანიმისტუ-  
რი წარმოდგენები, სოციალური ყოფის რეალები, ბუნებისა და სა-  
ზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი. შთამაგონებელ ძა-  
ლითაა დახატული ადამიანთა დამოკიდებულების, შრომისა და თავი-  
სუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი პასაჟები. საყოველთაო ყურად-  
ღებას ის გარემოება იქცევს, რომ, მაგალითად, ზღაპარში მუდამ წინა  
პლანზე წამოწეულია კეთილი ძალა — დადებითი გმირი, რომელსაც  
ხალხი სათუთად უფრთხილდება და ზრდის, აიარალებს ცოდნითა და  
გამოცდილებით, გამოატარებს მძიმე განსაცდლის ბეწვის ხიდზე, და-  
აძლევენებს საოცარ დაბრკოლებებს და შემდეგ საბოლოოდ ბედნიე-  
რების გვირგვინით ამკობს. ქეშმარიტი ხალხური ქმნილებისათვის  
უცხოა მელანქოლია და ამო გოდება, უიმედობა და გულგატეხილო-  
ბა. ხალხური ზღაპრები, ლექსები, ანდაზები, სიტყვის მასალები  
ოპტიმიზმის, მოხერხებულობის, სიხარულის დიადი საგალობლები.

ხალხური სიბრძნე განზოგადოებულია ზღაპრის, ლექსის, ანდაზის,  
აფორიზმის სიმღერის სახით და დასაბამიდანვე ვრცელდება. ამოუ-  
წყველია მისი თემატიკური რეპერტუარი. დიდი ნაწილი ხალხური  
ქმნილებებისა ეძღვნება ადამიანის დამოკიდებულებას ბუნებასა და  
მის მოვლენებთან, სინამდვილის ვნებათა ღელვას, მწვავე სოციალურ  
კონფლიქტებს. ლალი ფანტაზია განუსაზღვრელ ფარგლებს აღწევს.  
ხალხური სიბრძნის უქცნობი ნიმუშები საშუალებს გვაძლევენ თვალი-  
გავადევნოთ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებზე  
ადამიანის წარმოდგენათა ევოლუციის პროცესს, სწორედ ამიტომ,  
კერძოდ, ზღაპარი, ხალხური, ლექსი, ანდაზა ჩვენ მიგვაჩნია არა რო-  
გორც მხოლოდ გონების სავარჯიშო მხატვრულ ქმნილებად, არამედ  
როგორც ხალხის ფილოსოფიური აზროვნების ნაყოფად, რომელსაც  
ფრიად დიდი შემეცნებითი ღირებულება მოეპოვება.

ხალხის ხსოვნა ინახავს არა ყველაფერს, არამედ მხოლოდ იმას,  
რაც მყარი და გამძლეა, შემოწმებულია ცხოვრების პრაქტიკით და  
მთელი ძალით ასახავს შემოქმედის სულიერსა და მატერიალურ მო-  
თხოვნებს, ხოლო არამყარი, ცხოვრების მიერ დაწუნებული და უკუ-  
გდებული, შემთხვევითი და მოულოდნელი იმთავითვე ფსკერზე  
ილექება. განვითარების გზას ვერ პოულობს და ღრმა დავიწყებას  
ეძლევა.

ხალხის ფანტაზია, უწინარეს ყოვლისა, თავს დასტრიალებს მრმავალსა და მის საიმედო ყლორტებს. ექომაგება ნორჩს, ყოველივე იმას, რასაც აქვს მომავალი და რამაც უნდა შეცვალოს არსებული უკეთესით. ამიტომ მისი ზრუნვის მთავარი ობიექტი არის ნორჩი, ახალგაზრდა ადამიანი. ფხიზლად უელის მას, წერთნის, გამოყავს ცხოვრების ფართო შარაჯზაზე. ეპიკურ ქმნილებებში ასეთი სახეა ახალგაზრდა ადამიანი, ხალხურ ლექსში — ლირიკული გმირი, ანდაზა და აფორიზმი კი განაზოგადებს გამოცდილებას და ნართაულად გვაჩვენებს ხალხის შეხედულებებს წრთობა-აღზრდაზე. აზრები, იდეები აღზრდის საკითხებზე გაოსკვივის ხალხური ქმნილებების ყველა ეანრში. ქართული ხალხური ზეპირშემოქმედება ამ მზრით მკვლევარს ფრიად ძვირფას მასალას აძლევს იმისათვის, რომ ღრმად ჩაწედეს ხალხის შეხედულებებს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე, გაითვალისწინოს ე. წ. ხალხური პედაგოგიკის პრინციპები, მისი სისტემა.

ანტონ ხინთიბიძე პირველი მკვლევარია ჩვენში, რომელიც ქართულ ხალხურ ზეპირშემოქმედებას სწორედ ამ თვალსაზრისით იკვლევს. თავისი ხანგრძლივი ძიების შედეგები ავტორს შეუჭერებია და გადმოუცა ერთ მონოგრაფიაში.

„აღზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“ ფუნდამენტური მონოგრაფიაა, რომელშიაც განხილულია ქართული ხალხური პედაგოგიკის პრინციპები, ახალი თაობის აღზრდის ხალხური სისტემა.

აღზრდის იდეების ძიება ქართულ ხალხურ ზეპირშემოქმედებაში დაკავშირებულია ჩვენი ავტორის სახელთან. პირდაპირ უნდა ითქვას, მას წინამორბედი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, აქ არ ჰყოლია. ყოველივე ეს ღიდად ზრდის წიგნის ღირებულებას. საესებით სწორია ამოსავალი დებულება: აღზრდის იდეების ისტორია უნდა დავაწყოთ ხალხური შემოქმედების შესწავლით. ანტ. ხინთიბიძესთან ერთად ჩვენც ღრმად გვჯერა, რომ სწორედ ხალხის გენიამ მოგვცა პირველი პასუხი აღზრდის, სწავლისა და ცოდნა-გამოცდილების შექმნის ნაშენელობის საკითხებზე; ამ უკანასკნელმა კი ჯერ თავისი ასახვა იპოვა ჩვენს შესანიშნავ ეპოსში. პოეზიაში, ანდაზებში, გამოცანებში, თქმულებებსა და ფოლკლორის სხვა უძველეს ეანრებში, ხოლო შემდეგ გამოძახილი ნახა მოზარდი თაობის აღზრდის იმ მეცნიერულად ჩამოყალიბებულ პროგრესულ სისტემაში, რასაც ჩვენი საზოგადოება ემყარება.

როგორია ანტონ ხინთიბიძის მონოგრაფიის ძირითადი მეცნიერული ღორსებანი, რითი ამღიდრებს იგი ჩვენს ცოდნას, რა სიახლეებს შეიცავს, რით იპყრობს ჩვენს ყურადღებას?

მონოგრაფიაში აღძრული და გაშუქებულია არა ერთი ცალკე აღებული საკითხი, არამედ პრობლემათა მთელი სერია. რაც მთავარია, აქ პირველადაა მეცნიერული შესწავლის საგნად ქცეული ქართული ხალხური სიბრძნის ასობით ნიმუში. საანალიზოდ მოხმობილია უაღრესად საინტერესო, ნაირფეროვანი ფაქტობრივი მასალა, რომლის ერთი ნაწილი ცნობილია არსებული პუბლიკაციებიდან, ხოლო მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი, მიგნებულია რესპუბლიკის არქივთსაკავეებში, ან უშუალოდ ადგილებზეა ჩაწერილი პირადად მის მიერ და საზოგადოდაც პირველადაა ჩართული კვლევა-ძიებაში. ნაშრომის ერთი უმთავრესი მეცნიერული ღირსება, ჩვენი აზრით, არის ის, რომ ყოველი დებულება აქ ეყრდნობა შერჩეულ-შეჯერებულ ფაქტობრივ მასალას, ობიექტური მიუდგომლობითაა აწონილ-გაწომილი და სანდოდ ასახავს სინამდვილის ვითარებას.

შესავალს გარდა მონოგრაფია შეიცავს თერთმეტ თავს. რასაც გამოყენებულ, ბეჭდურ და ხელნაწერ, წყაროთა ვრცელი ნუსხა ერთვის.

პირველ თავში გადმოცემულია ხალხის აზრები ცხოვრების უმთავრეს მოთხოვნილებებსა და მიზნებზე. უპირატესად ანდაზების მასალაზე ნაჩვენებია, რომ ხალხური შემოქმედება ემსახურება ადამიანთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ცხოვრების უკეთ მოწყობას და „ამ საქმეში იგი გადამწყვეტ როლს თვით ადამიანს“ აკუთვნებს (გვ. 61). ხალხურ რეალისტურ ქმნილებებში დაძლეულია გონებრივი შეზღუდულობა, ღვთისა და ბედის ყოვლისშემძლეობის რწმენა და წინა პლანზე წამოწეულია ბუნების გარდამქმნელი ძალა — ადამიანი. ავტორი მართებულად მიუთითებს: „ხალხის აზრით, სწავლა-აღზრდა თუ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებას არ ემსახურება, მიუღებელია. ხალხი ამ თვალსაზრისით აიარაღებდა ახალგაზრდობას თავისი არსებობის მთელ მანძილზე“ (გვ. 82). ამავე დროს იგი მომავალ თაობას უნერგავდა რწმენას, რომ ადამიანმა ყოველი თავისი საქმიანობა უნდა დაუკავშიროს ცხოვრების კონკრეტულ მოთხოვნებს და ამ უკანასკნელით განსაზღვროს: „აღზრდის დაკავშირება ცხოვრებასთან არა მხოლოდ ცოდნისადმი ინტერესის აღძვრისა და ბუნების შესწავლის, არამედ ზნეობრივი და ფიზიკური ჩამოყალიბების პირობაცაა“; „ადამიანს ვერავითარი სწავლა და თეორიული მომზადება ვერ უშველის, თუ ცხოვრებას არ იცნობს“; „ცხოვრებიდან მოწყვეტა ადამიანის უსაქმურობას, უმოძრაობასა და განუვითარებლობას იწვევს; ცხოვრებასთან კავშირი და საქმიანობა კი — სიცოცხლისუნარიანობასა და განვითარებას“ (გვ. 89). ანდაზების მიხედვით ავტორი დაასკვნის: „ხალხის აზრით, ქეშმარიტი მხოლოდ ისეთი აღზრდა შეიძლება იყოს,

რომელიც სწორედ ცხოვრების მოთხოვნილებებს ითვალისწინებს“ (გვ. 89); „ხალხური აღზრდის იდეები არა მხოლოდ ცხოვრებიდან გამოდინარე იდეებია, არამედ მისკენ მიმავალიც: ცხოვრებიდან გაზოსულნი თვით ცხოვრებას უბრუნდებიან მის გასაუმჯობესებლად, ადამიანთა საკეთილდღეოდ; ხალხი ადამიანისაგან თავისი დროს სამსახურს მოითხოვს“ (გვ. 90). ფოლკლორული ძეგლებიდან ჩანს, რომ ახალი თაობის აღზრდის მთავარ მიზნად ხალხი მის ცხოვრებისათვის მომზადებას მიიჩნევს. ხალხი აქ სწორად კერეტს აღზრდის აზრს, მომავალს. ამ აზრს ეხესხებოდნენ ხალხის გენიას პედაგოგიკის კლასიკოსები ყველა ეპოქისა.

ინტერესს იწვევს მონოგრაფიის მეორე თავი, რომელშიც დაღაგებულია ხალხის აზრები ბავშვსა და მის თვისებებზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აღზრდის ობიექტად პირველ რიგში სწორედ ბავშვია მიჩნეული და შემდეგ მოზრდილი. სწორადაა განზოგადებული ხალხური შეგონებები: „სანამ კეცი ხურს, ცომი ჩააკარიო“, „წნელი სანამ ნედლია, მანამ უნდა მოგრიხო“, რადგან, როცა გახმება, აღარ მოიგრიხებაო. არ არის დავიწყებული, ამასთან, რომ ხალხისავე აზრით, სწავლას ასაკი არა აქვს, სწავლა ღრმა მოხუცებულობაშიაც არ მოსკარბდება კაცს. აკი ანდაზა გვეუბნება: „ცხენი დაბერდა და თოხარიკობა მერმე ისწავლაო“. ავტორის მსჯელობა ბავშვის თვისებებზე ეყრდნობა ხალხური ანდაზებისა და ლექსების მონაცემებს.

მესამე თავი მონოგრაფიისა ეძღვნება ხალხის შეხედულებათა გადმოცემას გონებრივი უნარიანობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხალხური შემოქმედების ძეგლებში სწავლის, ცოდნა-გამოცდილების, წინდახედულობა, დაკვირვების, სიღინჯის, სიბრძნის. უნარ-ჩვევების ძიება. ხალხის აზრით, ადამიანისათვის აუცილებელია გონიერება, ცოდნა-გამოცდილება, წინდახედულობა, სიღინჯე, ამავე დროს ყოველივე ამას უნდა ემატებოდეს მათი გამოყენების უნარი, რადგან, როგორც ანდაზა გვასწავლის, „ქკუა ბევრსა აქვს, მაგრამ მოხერხება — ცოდნაო“ (გვ. 137). ხალხი მოითხოვს არა მარტო ახალი თაობის გონებრივ აღზრდას, არამედ პრაქტიკულ მომზადებას ცხოვრებისათვის, რაც ფართო გაგებით, შრომითს აღზრდას გულისხმობს. ამ პრობლემას მთლიანად ეთმობა მეოთხე თავი, რომელშიაც შრომის ცალკე პროცესებზეცაა ლაპარაკი.

მეხუთე თავში გაშუქებულია ხალხური დიდაქტიკის საკითხები. ავტორის აზრით, ხალხური დიდაქტიკა ეყრდნობა განსაზღვრულ კანონზომიერებებს, რომლებიც ივსებოდა და იხვეწებოდა ეპოქათა

კანკაელობაში, დღეს კი ასე ორგანულად ესმაურება აღზრდის თანა-  
შეჯროვე მოძღვრებას და დიდად ხელს უწყობს ჩვენი დიდაქტი-  
კის გამდიდრებას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ცოდნის დაუფ-  
ლების საფუძვლებზე, სწავლების პრინციპებზე. უხვი მასალის ჩვე-  
ნებით გამოკვეთილია ხალხის შეხედულებანი შეგნებულობის, თვალ-  
საჩინოების, თანამიმდევრობის, ცოდნის განმტკიცების, მისაწვდომო-  
ბის, ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების პრინცი-  
პებზე, ვრცლად და დახასიათებული ხალხის შეხედულებანი სწავლების  
შინაარსის, ცოდნა-გამოცდილების გადაცემის მეთოდთა, ცოდნა-უნა-  
რის შემოწმებისა და გამოცდილების საკითხებზე. სიამოვნებით უნდა  
აღინიშნოს, რომ შეხედულებანი დიდაქტიკის ამ პრობლემებზე ნაჩ-  
ვენებია ჰეშმარიტ ხალხურ ქმნილებათა მიხედვით და ძიებისას და-  
ცულია საჭირო მიუდგომლობა. მართალია, ზოგიერთ ტექსტში ავტო-  
რი ხედავს იმაზე მეტს, ვიდრე იქ ნამდვილად იგულისხმება, მაგრამ  
ეგ ნაშრომის ღირსებას ვერ ამცირებს.

მეექვსე თავში ლაპარაკია ზნეობრივი აღზრდა-განვითარების  
ღმნიშვნელოვანეს მომენტებზე. გადმოცემული და შეფასებულია  
ხალხის შეხედულებები უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებელი  
პრძოლის, კაცური კაცის სხვა თვისებების — ამხანაგობის, მეგობ-  
რობის, კოლექტიურობის, ჰუმანურობის — საკითხებზე, სინდისიერო,  
პატიოსანი, თავმდაბალი, დისციპლინირებული ადამიანის აღზრდაზე;  
ქობაზული და კვალიფიცირებულია ზნეობრივი აღზრდის მეთოდები,  
მართალია, ზოგჯერ გულუბრყვილო, მაგრამ მაინც მეთოდები (დარ-  
წმუნება, ახსნა-განმარტება, ეთიკური საუბარი, თხრობა, წასლისება,  
დასჯა). სარწმუნოდაა ხაზგასმული, რომ ხალხის აზრით, ახალი თაო-  
ბის ზნეობრივი აღზრდა ნაადრევ ასაკში უნდა იწყებოდეს.

მეშვიდე თავში ავტორი გვიჩვენებს ხალხის შეხედულებებს მშვე-  
ნიერებასა და მის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე, ესთეტიკური  
გრძნობების აღზრდაზე. მომდევნო თავში ახასიათებს ხალხის აზრებს  
ფიზიკური აღზრდა-განვითარების საკითხებზე, მეცხრე თავში ვეცნობით  
ხალხურ თვალსაზრისს ინდივიდუალურ, ჯგუფურ სწავლებასა და  
თვითწრთობაზე, მეათე თავში — ძველი და ახალი შეხედულებების  
დამოკიდებულებას, ხოლო ბოლო, მეთერთმეტე, თავი მთლიანად  
ეთმობა ხალხური შემოქმედების ადგილს სასკოლო განათლების სის-  
ტემაში. ამ თავს უფრო მიმოხილვის ხასიათი აქვს და მიგვითითებს,  
თუ რა ადგილს იჭერდა და იჭერს ხალხური შემოქმედება ძველსა და  
ახალ სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში. გარჩეულია სახელმძღვანე-  
ლოები, დახასიათებულია ხალხური შემოქმედების ნიმუშთა აკარ-  
გიაობა. განსაკუთრებით კარგადაა განხილული შესანიშნავი ქართ-



ველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები — „დედაენა“ და „ბუნების კარი“ — და მათში შეტანილი ხალხური თხზულებანა.

ასეთია მოკლე მიმოხილვა იმ ძირითადი პრობლემებისა, რომლებიც ნონოგრაფიაშია გაშუქებული. როგორც ვხედავთ, აქ გადმოშლილია თითქმის მთელი ქართული ხალხური პედაგოგიკა, მისი ძირითადი სასიცოცხლო პრინციპები, რომელთა ტრადიცია საუკუნეებს ითვლის და რომელთა ნიადაგზე ისტორიულად ჩამოყალიბებულა ქართული ხასიათი, ქართველი ერის სულიერი, მორალური, ფიზიკური ნიშან-თვისებანი და ზნეობრივი ქცევის ის ნორმები, დღეს ასე ორგანულად რომ ერწყმას ახალი საზოგადოების მშენებელი თაობის აღზრდის სისტემას.

ავტორი, როგორც თავშიაც ითქვა, იყენებს მდიდარსა და მრავალფეროვან მასალას, რომელიც განზოგადებულია სწორი გეგმით. მასალის დამოწმებისას დატულია ზომიერება, მეტი ადგილი ძიებასა და მსჯელობას ეთმობა, ვიდრე მასალის გადმოცემას. ავტორი საფუძვლიანად აღწერს საგნის სამეცნიერო ლიტერატურას და მას კრიტიკულად იყენებს, ამჟღავნებს არა მარტო პედაგოგიური აზროვნების ისტორიის ღრმა ცოდნას, არამედ, რაც მთავარია, უძლიერესი ხალხური შემოქმედების ძეგლების საფუძვლიან ცოდნას, მათი ფილოსოფიური, პედაგოგიური და ფოლკლორული ანალიზისა და შეფასების უდავო უნარს.

ამ მეცნიერულ ღირსებებთან ერთად მასში სადავო და საჩოთირო ადგილებიც გვხვდება. დაზღვეული არ არის ის სხვა სახის ნაკლისავანაც. ჩვენ წვრილმანებს არ გამოვედევნებთ, არც იმ ცალკეულ მეორეგარისხოვან ნაკლოვანებებზეც გავაგრძელებთ სიტყვას, რაც მონოგრაფიაში ცოტა როდია; შეეჩერდებით მხოლოდ რამდენიმე საკითხზე და თანაც აქვე უნდა ვთქვათ, ჩვენი შენიშვნები ეხება არა მარტო იმას, რაც არის მონოგრაფიაში და. ჩვენი აზრით, ერთგვარ რეპლიკას იმსახურებს, არამედ იმასაც, რაც აქ არ არის, მაგრამ აუცილებლად უნდა გითხვილიყო.

პირველი შენიშვნა მონოგრაფიის მოცულობას ეხება. ის გადატვირთულად გვეჩვენება, მაგრამ გადატვირთულია არა ფაქტობრივი მასალათ, არამედ ალაგ-ალაგ გამეორებებით. ზედმეტად გამოიყურება, მაგალითად, ასე ვრცლად საუბარი „გულ“ სიტყვაზე. ჯერ ერთი, ამ სპეციფიკური შინაარსის ნაშრომში ასე ვრცელი ფილოლოგიური ანალიზი ხსენებული სიტყვისა საჭირო არ იყო და, მეორე მხრით, თუ საქმე საქმეზე მიდგება: „გულის“ ლინგვისტური შეჯერებისათვის წარ-

მოდგენილი მასალა საკმარისი არ არის. სხვადასხვა ლექსიკონისა და გამოკვლევების მიხედვით: მასზე, გაცილებით მეტის თქმა შეუძლებელია, მაგრამ ამის აუცილებლობა აქ სრულიად არ იყო. ასევე გაქიანურებულა ზოგადი მსჯელობა ხალხური ქმნილებების თვისებათა შესახებ, რაც თითქმის ყველა თავს ემჩნევა, განსაკუთრებით კი შესავალს, რასაც 60 გვერდი უჭირავს. სიტყვა-სიტყვით ნაშრომში, ცხადია, არც ერთი თავი ან პარაგრაფი არ მეორდება, მაგრამ გამეორებანი მაინც გვხვდება. ეს, თუნდაც, ითქმის შრომისა და შრომითი აღზრდის საკითხებზე, რომელთაც ეთმობა ცალკე თავი, მაგრამ შესავალსა და სხვა თავებშიაც არის მათზე საუბარი.

რამდენადაც მიზნად დასახულია აღზრდის იდეების შესწავლა ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, ამდენად საჭირო იყო ამ მხრით ქართული ფოლკლორის სპეციფიკური ნიშან-თვისებების დაძვბა და მათი შეპირისპირება სხვა ხალხთა ანალოგიური ქანრის ქმნილებებთან; ერთი სიტყვით, იმის ჩვენება, რა არის აქ ადგილობრივი, ეროვნული და რა საერთო, საყოველთაო. ალაგ-ალაგ ამის ცდას ვხედავთ, კერძოდ, ზღაპრებსა და ანდაზებზე მსჯელობისას, მაგრამ არა სისტემური სახით. მეტიც. ჩვენს ავტორს კარგად მოეხსენება, ქართულ ხალხურ ანდაზებში, ლექსებში, თამაშობებში ბევრ ისეთ სპეციფიკურ მოტივს ვეცნობით, რასაც ვერ ვხვდებით სხვაგან. მათზე საგანგებოდ შეჩერება კიდევ უფრო აამაღლებდა ნაშრომის ღირსებას.

ავტორი აღზრდის იდეებს ეძებს ხალხური ზეპირშემოქმედების ყველა ქანრში. იხილავს ამ მიზნით ზღაპრებს, ანდაზებს, ლექსებს, თამაშობებს. ეს სავეებით სწორია, მაგრამ შენიშვნას მეორე გარემოება იწვევს. საქმე ის არის, რომ ავტორს ცალ-ცალკე არა აქვს განხილული აღზრდის იდეები ხალხური შემოქმედების ქანრებში. მეტიც უნდა ვთქვათ. აღზრდის იდეები, კერძოდ, ქართულ ხალხურ პოეზიაში საერთოდ მკრთალადაა გაშუქებული. ასობით შესანიშნავი ზეპირპოეტური ქმნილება, რომლებიც ასე ამშვენებენ ქართულ ხალხურ პოეზიას, არა თუ განხილული, დასახელებულიც არ არის. მკვლევარს სწორად აქვს აღნიშნული მშობლების, კერძოდ, დედის როლი ახალგაზრდა ადამიანის აღზრდაში და აქ საილუსტრაციოდ ანდაზებია დამოწმებული. ეს ცუდი როდია, მაგრამ რა დააშავა ლექსებმა, რატომ არ უნდა გამოგვეყენებინა ლექსებიც? აი, თუნდაც, გავიხსენოთ შედეგრი ჩვენი ხალხური პოეზიისა „ლექსო, ამოგთქომ“ და მისი მსგავსი პოეტური ქმნილებანი. განა ამისთანა ტექსტების ანალიზი წიგნს არაფერს შეჰმატებდა? ჩვენ ვთვლით, რომ აღზრდის იდეები ხალხურ პოეზიაში ისევე ცალკე უნდა განხილულიყო, როგორც ზღაპარსა და ანდაზაში.

ალბათ გვეტყვიან ამით ნაშრომის ძირითადი დებულებები მაინც არ შეიცვლებოდაო. გეთანხმებით, ეგების ასეც მომხდარიყო, მაგრამ სამაგიეროდ უფრო სრულყოფილად და თანამიმდევრულად ვაჩვენებდით აღზრდის იდეების ცხოველმყოფლობას ხალხური სიბრძნის ყველა ქანარში.

მთლად სწორად არ არის გაგებული ზოგი ხალხური ძეგლის პირდაპირი და ნართაული შინაარსი და ამის გამო იქ აღზრდის იდეების, ძიება ერთგვარ ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამის რამდენიმე შემთხვევიდან დავიმოწმებთ მხოლოდ ერთს. გარჩეულია მშვენიერად ანდაზები: „ბავშვის პირით სიმართლე ღაღადებსო“ და „სოფელში რომ! მიხვიდე, ამბავი ყმაწვილს ჰკითხე, უფრო მართალს გეტყვისო“. ამ შეგონებათა პირდაპირი აზრი საყოველთაოდ ცნობილი და ნათელია. მაგრამ იქვე დამოწმებულია ამის დიამეტრულად საპირისპირო შინაარსის ანდაზები: „ერთი ბავშვის სტუმრობას თხუთმეტი ცხენოსნის სტუმრობა სჯობსო“, „ბავშვს რომ გაუტინებ, მუშტს გიჩვენებსო“, „ბავშვი მალლა ავიყვანე და თავში ჩამკრაო“ და გაკეთებულია ასეთი განხილვა: ბავშვის „ამ თვისებათა ერთგვარ შემაჯამებლად მოჩანს აფორიზმი — „ყმაწვილს და გიყს არა ეძრახება რაო“. ამის დაჯერება კი ძნელია. ნუ თუ ხალხი ყმაწვილსა და გიყს ათანაბრებს, ერთ სიბრტყეზე აყენებს? არადამაჯერებელია ავტორის მეორე დებულებაც: „ზემომოყვანილ აზრს—„ყმაწვილს და გიყს არა ეძრახება რაო“—ხალხი ავითარებს და ამბობს—„გიყი მოზვერი კაი ხარი დადგებაო“. არა, ამ ორი ნათქვამის გათანაბრება არ შეიძლება, მათ სხვადასხვა წარმოშობა და სხვადასხვა აზრი აქვთ, რასაც ცალკე ახსნა უნდა, ხოლო, მეორე მხრით, ანგარიში უნდა გაეწიოს სიტყვის ნართაულობასაც. პირველ შემთხვევაში გიყი პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი და შემოიღეს, სულათ ავადმყოფს ნიშნავს; მეორე შემთხვევაში კი სიტყვა გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული და გაუწვრთნელს, გაუხედნავს გულისხმობს (გიყი მოზვერი — გაუხედნავი მოზვერი). ამიტომ ასეთი მაგალითებით ვერ დასაბუთდება „ბავშვის შემაწუხებელი თვისებები“, მისი თავმომაბეზრობა, რაზედაც საუბარი აქვს ჩვენს ავტორს. ანდაზა ნართაულად გადმოცემული ხალხური სიბრძნეა და მისი შინაარსის ახსნა განმარტებისას ეს ვარემოება არ უნდა დავივიწყოთ.

არ არის ახსნილი ურთიერთსაპირისპირო შინაარსის ანდაზების წარმომავლობა და ფუნქცია. მაგალითად, ერთი მხრით გვაქვს აფორიზმები: „სწავლა სიბერემდისო“, „ცხენი დაბერდა და თოხარიკობა მერმე ისწავლაო“, მეორე მხრით კი — „კაცი რომ სიბერის დროს ჩონგურის

დაკერის სწავლას დაიწყებს, სამარეში მოესწრება დაკერასო“. აქ ორი აფორიზმი გვაქვს და ორი თვალსაზრისი. პირველის აზრს გამორიცხავს მეორე ანდაზა. ან ერთი უნდა მივიჩნიოთ ხალხის გენიის ნაყოფად, ან — მეორე. მაგრამ ჩვენ ვგვონია, რომ ორივე მათგანი ხალხის გონების ნაყოფია, ოღონდ სხვადასხვა წარმოშობისა. თითოეულ მათგანს თავისი სარჩული უძევს. მკვლევარს შეეძლო, გაეხსნა ხალხური ანდაზების ეს ნეტად თავისებური სპეციფიკა. ასეთივეა, ერთი მხრით „სიფრთხილეს ღავი არ სტივიაო“, მეორე მხრით, „ფრთხილი ჩიტი მანეში ორივე ფეხით გაებაო“, „ბრძენი სიფრთხილით წახდებო“ და ა. შ. ამათაუც ხომ ახსნა უნდა!

წაშრომში გაიგივებულია ცნებები ბავშვი და შვილი. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს ასეც უნდა იყოს, მაგრამ აღზრდის თვალსაზრისით აჯობებდა ამ ცნებების ცალ-ცალკე კვალიფიკაცია, მით უმეტეს ბავშვისა და შვილის სახეები ხალხურ ქმნილებებში ნაირფეროვნადაა აღბეჭდილი.

მონოგრაფიის შესავალში გულისტკივილით არის აღნიშნული ფოლკლორში დამოწმებული აღზრდის იდეების დათარიღების სიმწე-ლე. იმის გამო, რომ ხალხური სიტყვიერი მასალა უთარიღოა, შეუძ-ლებელი ხდება აღზრდის ესა თუ ის იდეა გარკვეულ პერიოდს დაუ-კავშირდესო. მართებული მსჯელობაა! მაგრამ ჩვენთვის გასაგები არ არის გამოთქმული გულისტკივილის საფუძველი. შეიძლება კი, მაგა-ლითად, დათარიღდეს შრომითი და ფიზიკური აღზრდის იდეები ხალხურ შემოქმედებაში? ხომ ცხადია, ეს იდეები დასაბამიდან ვრცელდება და დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც ხალხური ზეპირმეტყველების თვით წარმოქმნის ეპოქაში იყო. თარიღების ძიების ნაცვლად, რასაც ეგების მართლაც აქვს ზოგან გამართლება, ხომ არ აჯობებდა იმის თვალმიდევნება, ამათუ იმ ეპოქამ რა ცვლი-ლებები შეიტანა ხალხური აღზრდის სისტემაში, რითი და როგორ გაამდიდრა იგი?

1967 წ.

## დალისა და გითჰილის ნაკვალევზე †

სვანი ორფევისი ჭუნირს აკენესებს. ნაღვლიან ჰანგებში ვაქაკის წკრიალა ხმა უღერს. მელექსე დასტირის მაღალ მთებში დაღუბულ შონადირეს:

დიდება სვანეთის ღმერთებს,  
ნათელი ადგას თქვენს საბრძანებელს  
დიდება შენდა, ნადირთ მფარველო,  
შენ გემორჩილება ზეავი და გრიგალი.  
კარგი მონადირის მარჯვენა ხელი ხარ,  
ცული მონადირის—მტერი და დამსჯელი,  
საჩიხვეებში ჯიხვი გყავს მრავალი,  
საშურთხეებში — შურთხის ქარავანი.  
დიდება შენ, დალ ბეღნიეჲ!

ლალი მონადირე, გივერგილი, ცოლის დალატმა იმსხვერპლა.  
უხვანიდან მას ცრემლს აფრქვევს ოქროსთმიანი დალი, ლალცხატე-  
ბიდან ჯიხვები და შურთხები გლოვის ზარს ხმას უწყობენ. ჯგრააგმა  
ვერ მიუსწრო, მონადირე დაიღუპა. ოქროსთმიანმა დალმა განთიადი-  
სას გაიტაცა დაღუპული გივერგილის ცხედარი და

თოვლყინულოვან მიუვალ მთებში  
სადაც არასდროს ყოფილა კაცი,  
არცა ფრინველი, ჯიხვი და არჩვი,  
მან შეარჩია წმინდა ადგილი.  
და მონადირის ტანჯული სული  
ნატერის ყვაილად გადააქცია.  
თვითონ თოვლიან მთებს მიეფარა.  
როცა იცინის დალილ, დარია,  
როდესაც ტირის, მოიღრუბლება,  
წვიმა წამოვა ნიაღვარივით —  
ეს დალილ ტირის ერთგულ გივერგილს,  
ეს შვის ასულის ცრემლები არის...

ქუნირი კენესის. ხალხი ცრემლმორეული უსმენს გულისდამთუთ-  
ქავ მელოდიას.

ხალხური მისტერია თაობიდან თაობას გადაეცემა.

ასევე ამალეღვებელია დალისა და ბეთქილის ეპოსიც, რომელიც  
გივერგილის ტრაგედიასთან ერთად ქართულად გადმოიღო, დიდი  
სიყვარულით დაასურათა და ცალკე წიგნად გამოსცა რესპუბლიკის  
დამსახურებულმა მხატვარმა ვახტანგ ონიანმა.

ბეთქილის ეპოსი სვანური ხალხური სიბრძნის შედევრია. დალი  
და ბეთქილი მიუწვდომელ თეთრ კლდეებზე დააბიჯებდნენ. აქაურ  
კაცს ნამდვილად სჯერა: მათი ნაკვალევი ახლაც ატყვია მთებსა და  
ქარაფებსო.

თქმულებები და სიმღერები დალისა და ბეთქილისა ხალხური  
გენიის განუმეორებელი ქმნილებებია. მათ დიდი მოკრძალებით ინა-

ნავენ და ასრულებენ ტრადიციულ დღესასწაულებზე. დალი — ნა-  
დრატობატრონი, ხალხის წარმოდგენით, ბროლივით თეთრი, ოქროს-  
ომიანი, ულამაზესი ქალღვთაებაა, რომელიც ჭიხვებს, არჩევებს, შურ-  
თხებს პატრონობს; ბეთქილი კი — გულლადი მონადირე დალის  
უიღბლო სატრფოა. შეცდა ქაბუკი ბეთქილი: დალის ძვირფასი სა-  
ჩუქარი სხვას გადასცა. სატრფომ არ დაინდო მოლაღატე და კლდი-  
დან გადაჩხვა. თანასოფლელებმა მღუღარე ცრემლებით დაიტირეს  
ბეთქილი. მეკუნირენი დღესაც გულშიჩამწვდენად ასრულებენ მის  
საგალობელს.

სვანი მთქმელები ცადაზიდულ კლდეებში მიგითითებენ თვალსა-  
წიერ ადგილებს, უხვანებს, სადაც თითქოს დალის სამყოფია, უხვა-  
ნები უშბის, თეთნულდის, შხარის, ზესხოს, ლენხარის, აშარის, ლაი-  
ფურის მაღალ და თვალწარმტაც კლდეებშია. იქიდან უთვალთვალებს  
ის ჭიხვებსა და შურთხებს. მიგითითებენ შორეულ პიტალო კლდეებს,  
სადაც თითქოს მშვენიერი დალი ხედებოდა თავის სატრფოს. ეპოსის  
ერთი ვერსია ბეთქილს ყაბეშელ (სოფელი მულახის საბჭოში) მონა-  
დირედ თვლის: ბეთქილის მონადირე ძაღლთა კივილი ყაბეშიდან  
უშგულს ისმოდან... უშბის მახლობლად, თვალუწვდენელ მწვერვალ-  
ზე დაგანახებენ სარკმელს (დალალახვრა): დაღმა გამოკვეთა, რათა  
თვალი ედევნებინა ჭიხვთა ქარავნისათვის აქეთ მხარესაც და ჩრდი-  
ლოეთითაცო...

დალი და ბეთქილი უშგულის ზვიად კლდეებშიაც დაქროდნენ და  
შხარის სიტურფით ტკებოდნენო, — მოგვითხრობს ლეგენდა.

მეც მივყვები ლეგენდის გმირთა ნაკვალევს. ბევრი მივლოა აქ  
ქაბუკობისას, მაგრამ ახლაც, ყამთმრავლობის დროსაც, სასიამოვნოა  
უშგულის მონახულება და სოფლის ბრძენ კაცებთან ვატყობილ-  
ქართულება.

უშგული.

ყველაზე მაღალი დასახლებული ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში  
და არა მარტო აქ. ზღვის დონიდან ეს მშვენიერი სოფელი 2200 მეტ-  
რის სიმაღლეზე მდებარეობს.

უშგული ძვეს სწორედ იქ, სადაც სათავეს იღებს მრისხანე ენგუ-  
რი, სადაც იგი მცირე ნაკადულებისაგან იზადება, უცებ სუქდება, შემ-  
დეგ კისრისტეხით ჩაურბენს კალას, იფარში იერთებს თეთნულდის  
ქაფმორეულ ნაყურს — ჰადიშურას, ლატალთან — მესტრის მდინა-  
რესა და მულხურას, ბეჩოსთან — დოლრას, ხაიშთან — ხაიშურას,  
ჯვართან კი გაივსება და ფაფარგაშლილი მიექანება შავი ზღვისაკენ.

უშგულს კაცი, თუნდაც, იმიტომაც უნდა ესტუმროს, რომ მის სანახებში იბადება ენგური. ენგურზე კი დღეს აბა რამდენს სწერეს. ენგურაქისის სისტემა, რომელსაც ახლა აშენებს კაცისმარჯვენა, ნამდვილად გვაოცებს ადამიანს.

უშგულის არქიტექტურულ ანსამბლს ოთხი სოფელი ქმნის: ჩაყაში, მურყმელი, ჟიბიანი და ჩვიბიანი. ოთხივე მათგანი, აქაური მკვიდრის, გასული საუკუნის განთქმული ისტორიკოსის ბ. ნიქარაძის (თავისუფალი სვანი) სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამომწყვედელია მთებს შუა“. ირგვლივ მათ მარადყინულიანი ცადატყორცნილი მთები ერტყმის. ჩრდილოეთიდან მელიდურად დასცქერის თმაშვეერცხლილი, ზვიადი შხარა.

მომაჯადოებელია უშგულის პანორამა. თავისი მდებარეობით სოფელი უნიკალურია. ვინ მოსთვლის, რამდენი მოგზაური გაუოცებია. მის სიტურფეზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ბუნების ამ მშვენივრებით მოხიბლული ყოფილა დიდი თამარი. კოშკიც აუგია აქ გემოვნებით შერჩეულ ადგილას. თავის მაღალ კოშკში მთელ თვეებს ატარებდაო საქართველოს მეფეთა მეფე...

ბუნების სიზვიადეს სიმკაცრეც ერთვის. წელიწადში ექვსი თვე უშგულში ზამთარია, თოვლის საბურველი და ყინვის სუსხი აძნელებს სუნთქვას, სოფელი ღრმა თოვლში იფლობა. მოძრაობა ჩერდება. თითქოს მაჯისცემაც წყდება. ბუნებრიდან ამოსული ბოლი აგრძობინებს კაცს მხოლოდ, რომ ზამთრის უკუნეთშიაც აქ მშვენიერია ცხოვრება.

საინტერესო თავგადასავალი აქვს უშგულს. ბევრი რამის მომსწრენი არიან მისი უბერებელი კოშკები, ჯერ კიდევ შუასაუკუნეების ადრეულ ეპოქაში რომ აუგიათ ხალხის ხუროთმოძღვრებს. არა თუ მაშინ, მრავალი საუკუნის წინათ, დღესაც აოცებს კაცს კოშკების ბრწყინვალე არქიტექტურა, საშენი მასალა, ბათქაში, განლაგება. ათასწლოვანი კოშკები ახლაც ამაყად დგანან და ბედნიერ შთამომავლობას აუწყებენ ჩვენი ხალხის დიდებული წარსულის ლეგენდებად ქცეულ ეპიზოდებს.

უშგულში დაცულია IX—XIII საკუნეთა ჰელური ხელოვნების უნიკალური ძეგლები, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში იცავდა და ახლაც იცავს ადგილობრივი მოსახლეობა. საგანძური მოწმობს ქართველური ხელოვნების საოცრად მაღალ დონეს შუასაუკუნეთა ეპოქაში. ამ საუნჯეს სათუთად უვლიან სვანები და მითი სამართლიანად ამაყობენ.

დალი და აფსაათი აქ გამოატარებდნენ ხოლმე ჭიხვებისა და არჩევების ქარავანსო, აქ ბინადრობდნენ ლამარია (ღვთის მშობელი) და ლაგურკა (წმინდა კვირიკე) და სასწაულებს ახდენენო, ამ მიუვალ კლდეებში შობა დალმა ამირანიო... მოგვითხრობენ ხალხური სიბრძნის შემნახველნი.

უშგულის ლამარია მეტისმეტად ლამაზი იყო, — გვაუწყებს მშვენიერი ლეგენდა. ძლიერ მოეწონა იგი ერთ უწმინდურ დევს და ხელი სთხოვა. ლამარიამ მაშინვე უკუაგდო უგუნური დევის წინააღმდეგა. განრისხებულმა დევმა შური იძია: ენგურის ხეობაში. კალსა და უშგულს შუა, ქვიტკირით ამოაშენა კლდე და მდინარე გადაადობა. წყალი დაგუბდა, დონემ აიწია და ვაკე ადგილები სულ დატბორა. ნათესები დაიღუპა. სოფელი შეწუხდა. ამან გაამწარა ლამარია. გამოუშვა თავისი ვერძი, რომელსაც ლაგურკამ (წმ. კვირიკემ) საკუთარი გრძნეული ვერძიც მიაშველა. ვერძები დაეჯახნენ ქვიტკირის კედელს, გაანგრეს და მდინარეს გზა გაუხსნეს. „განგრეულ კლდეს“ ახლაც დევის ნაშენს ეძახიან. დევის ნაშენი 1905 წელს უნახავს ნ. ჩრმაკაძეს და ლეგენდაც ჩაუწერია: „შორიდან რომ შევხედე, მართლა ქვიტკირის ნაშენი მეგონაო“, — წერდა მოგზაური შემდეგ „ივერიაში“.

ძველი უშგულელი მონადირეები თვალხილულ ფაქტად მიაგებდნენ, თუ როგორ უნახავთ მათ ნადირთპატრონი დალი, როგორ გასსლექიან ხელიდან ჭიხვი და შურთხი, როგორ დადევნებიათ მათ მიუვალ ქარაფებში, როგორ დამტკბარან უშბისა და თეთნულდის, შხარისა და შხელდის, ბუნების ამ ქეშმარიტ საკვირველებათა, ცქერით გამთენიისას და შუაღამით. პროფ. ქს. სიხარულიძეს სწორედ აქ ჩაუწერია ულამაზესი ლეგენდა უშბისა და თეთნულდის სიყვარულზე: უშბას ძლიერ უყვარსო თეთნულდი. თეთნულდი მორცხვია, ემალება უშბას, პირს არიდებს, ამიტომაც ახვევია მას ასე ხშირად ნისლი. ნისლი მისი პირსაბურავიაო. გავიხსენოთ, თუნდაც, კიდევ, ჩვენამდის წილპირად მოღწეული ნამდვილი ამბავი ფუთა დადემქელიანისა. საბატონო სვანეთის გულზვიადმა ბატონმა განიზრახა თავისუფალი სვანეთის დამონებაც. უშგულელებს ბატონი არასოდეს ჰყოლიათ და ქედმაღალ დადიშქელიანს წინ აღუდგნენ. მშვიდობიანი მოლაპარაკებით რომ ვერარას გახდნენ, ხერხი იხმარეს: მიიპატიყეს ავი ბატონი, სუფრა გაუშალეს ლამარიას სალოცავის ეზოში, ბატონს ქვის სავარძელი დაუდგეს, ჩუმად ქვიტკირის ზღუდე გახვრიტეს, შიგ გრძელულიანი თოფი ჩადეს და პირით ბატონსიკენ მიმართეს. ჩახმანს ჩააბეს გრძელი თოკი, რომელსაც ხელი მოჰკიდა ყველა ოჯახიდან წარმოგზავნილმა ვაჟაკმა, დათქმულ სიგნალზე თოკი გამოსწიეს, თოფმა იგრილა და



ავი ბატონი უსულოდ დაეცა. რახან ბოროტი ბატონის მკვლელობაში მთელი სოფელი მონაწილეობდა, კანონით ველარავინ დასაჯეს. ვერც ჰისხლის აღების ადათმა იმოქმედა.

უმგულელი მოხუცები საკვირველ ლეგენდებს, უცნობსიუვეტიან ზღაპრებს, მითოლოგიურ თქმულებებს ვიამბობენ. აქ გაიგონებთ უძველეს თვითმყოფ ხალხურ სიმღერებს, რომლებშიაც შექებულა ადამიანი, მშრომელთა მარჯვენა, ვაქეცობა, სამშობლოს სიყვარული, აწმყო და მომავალი. თავისებური წყობისა და რიტმის ლექსებში ხალხის გენია უმღერის კაცურკაცობას, შრომას, სიკეთეს. სვანური ენის უმგულური კილო ცნობილია თავისი უმდიდრესი ლექსიკითა და ნატიფი ფრაზეოლოგიზმებით. ყველა ადგილი ხალხის მეხსიერებაში ჩაღბეჭდილია მშვენიერი ტოპონიმებით. შემონახულია უნიკალური ცეკვები, ხალხური ყოფის უძველესი რეალიები და ტრადიციები. ყოველივე ამას პარმონიულად ერწყმის ხალხის მიერვე შექმნილი თანამედროვე კულტურა. ჰარმაგნი და ახალგაზრდები სიამაყით გაცნობენ თავიანთი სოფლის ტრადიციებს, სიახლეებს, შრომითს წარმატებებს. დიდად სასიამოვნოა მათთან საუბარი. საქვეყნოდ განთქმულია სვანური სტუმართმოყვარეობა, ტკბილი „ხოჩა ლადელ“, შინაურული შეხვედრა. მოკრძალებულობა, თავაზიანი მიმართვა და მოკითხვა.

ბევრი რამ ჩაწერილი, შესწავლილი და გამოცემულია. სვანური ყოფას, ენასა და ხალხურ სიბრძნეს წლების განმავლობაში იკვლევდნენ ბესარიონ ნიყარაძე და ნიკო მარი, აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია, ნიკო ბერძენიშვილი და გიორგი ჩიტაია, ვერა ბარდაველიძე და რუსუდან ხარაძე, ქსენია სიხარულიძე და ელენე ვირსალაძე, მიხეილ ჩიქოვანი და ალექსი რობაქიძე, მაქსიმე ქალდანი და თინათინ შარაძენიძე. შექმნილია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა. მაგრამ კიდევ უფრო ბევრი რამ კვლავ შესამოწმებელი, ჩასაწერი და შესასწავლია. და ძიება გრძელდება. ამ დიდ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლები, მუზეუმები. ხანდაზმული და ჰაბაუჯი მუშაკები.

გაიზარდა, კიდევ უფრო დამშვენდა თანამედროვე უმგული. თითქმის ყველა მოსახლეს ახალი ორსართულიანი ქვეთიკირის სახლი აუგია. საუცხოოადაა მორთული და მოკაზმული საცხოვრებელი სახლები. დღეს საცხოვრებელ ბინებს აღარ ხურავენ მამა-პაპური ფიქალით. თუმცა გული კი დამწყდა იმის გამო, რომ ამ შესანიშნავ ადგილობრივ სახურავ მასალას სვანეთში დღეს პატივს აღარ სცემენ.

უმგულში ხენა-თესვას არ ეწვევიან, რადგან მთის მკაცრი ბუნება ამის შესაძლებლობას არ იძლევა, მეცხოველეობაა წამყვანი დარგი,

მეურნეობაში აქა-იქ მოყავთ ქერიც, კარტოფილიც. დღე-ღამეებს ატარებენ შორეულ სათიბებში და ზამთრისათვის ცხოველებს ნოყიერ საკვებს უმზადებენ. მთელი პოეზიაა შექმნილი თიბეზე, სათიბებზე, მკლავმაგარ მთიბავეებზე. საუკეთესოა აქაური ყველი, კარაქი, რძე. უშგულური კარაქი ყველგან დიდი მოწონებით სარგებლობს. 80 წლის წინათ ბ. ნიჟარაძე წერდა: „უშგულის მეწველი ძროხა განთქმულია სვანეთშიო“. უშგულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, დ. ჩარკვიანმა, მითხრა, ეს დღესაც ასეაო.

სოფელს აქვს საშუალო სკოლაც, კლუბიც. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ აკლია.

სოფლის ერთ-ერთმა თავკაცმა, ტერენტი ჭელიძემ, მოკრძალებით მითხრა: — მობრძანდით, ბატონო, უშგულში, ხშირად მობრძანდით, ნახეთ ჩვენი კუთხე, ძველი კოშკები, ახალი სახლები, საძოვრები, საქონელი, მეურნეობა; გული გვწყდება, რომ ჩვენი სოფლის სანახავად ცოტანი მოდიანო!

მთელი სოფლის ამ გულისტკივილს ჩვენც უნდა შევუერთდეთ. ნუთუ არ შეიძლება უშგულისაკენ მეტი ტურისტის გაგზავნა?

აქამდის არ იყო სამანქანო გზა, ახლა ეს დაბრკოლება გადალახულია. კალიდან გაიჭრა მშვენიერი გზა, რამაც სამანქანო გზით შეაერთა ზემო და ქვემო სვანეთი. მაისოვს, 1933 წელს, ქვეითად დიდი გაჭირვებით გავიარე კალა-უშგულის საცალფეხო ბილიკი. სამანქანო გზა არის, მაგრამ საავტობუსო მიმოსვლა ვერ მოგვარებულა. ვანა ასე ძნელია მესტიიდან რეგულარული საავტობუსო რეისის დანიშვნა? არა თუ მარტო ავტობუსი, სოფელმა სავერტმფრენო რეისის დანიშვნაც მოითხოვა და სავსებით სამართლიანადაც.

უგზობამ უშგული მოსწყვიტა მეზობელ ქალაქებსა და სოფლებს, დააფრთხო ახალგაზრდებიც. ამის გამო ბევრი კომლი კიდევ აიყარა და სხვაგან გადასახლდა, რაც დიდად დასანანია.

სასურველია, დაკმაყოფილდეს სოფლის მშრომელთა ოცნება: დაინიშნოს საავტობუსო და სავერტმფრენო რეისები. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს მშრომელთა კომუნალური მომსახურება, კლუბისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა. ადგილობრივ მოსახლეობას უნდა შეექმნას შრომის, კულტურული დასვენების, ცხოვრების საუკეთესო პირობები.

უშგული უნდა გადავაქციოთ ღია მუზეუმად, რომ ის ნახოს რაც შეიძლება მეტმა კაცმა, შინაურმაც და სტუმარმაც, რომ ყველას მიეცეს ამის შესაძლებლობა.

ეს მცირე წერილი მინდა დავამთავრო წინადადებით: მეტი ყუ-  
რადლება მიექცეს უშგულის კეთილმოწყობას, დაწესდეს აქ რეგულა-  
რული საავტობუსო და სავერტმფრენო რეისები. აშენდეს ტურისტ-  
თა ბაზა. ამ დიდ სამუშაოს მართო მესტიის რაიონის ორგანიზაციე-  
ბი, ცხადია, ვერ შეძლებენ, საამისოდ სახსრები არ ეყოფათ, მათ  
რესპუბლიკური ორგანიზაციები უნდა წამოეშველნონ.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საავტობუსო და სავერტმფრენო რეი-  
სების დაწესება უშგულში მოგებას ვერ მოგვეცემს. მაგრამ საბაგიე-  
როდ გაკეთდება საშვილიშვილო საქმე.

იმედი გვაქვს საქმეში ჩაერევიან რესპუბლიკური ორგანიზაციები.  
პირველ რიგში ამაზე თავიანთი სიტყვა უნდა თქვან საქართველოს  
ავტოტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის, კულტურის, სოფლის  
მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა შესაბამისმა ორგანი-  
ზაციებმა.

გვჯერა, ჩვენი წინადადება უყურადღებოდ არ დარჩება.

შიეხედოთ უშგულს!

1971 წ.

### „თავახდილთა“ ნაკვალევზე

შიეყვები ფასის მთიდან კისრისტეხით წამოქოჩრილსა და იმერე-  
თის დაბლობზე ლალად გამონავარდებული რიონის ნაპირებს და  
დავეძებ ძველი „თავახდილების“ ნაბუღრებს, რომელთა სილამაზემ  
თავის დროზე აღაფრთოვანა ვახუშტი ბაგრატიონი. ჩემ წინ გადაშ-  
ლილია ჭაღარა ფაზის მდინარის აუზის უძველესი დასახლებული  
პუნქტები, მომხიბლავი იმერული პანორამა, აყვავებული თანამედ-  
როვე სოფლები, ფაქიზად მოვლილი ბოსტნები, ჩატარებული სიმინ-  
დის ყანები და მუდამ მწვანე საჩაიეები, გემოვნებით ნაგები კობტა  
ოდები, სკოლების ახალი კორპუსები, ჰერმალალი კულტურის სახ-  
ლები, შინ მოუსვლელთა სტენდები და მუზეუმები. თითქოს მესმის  
ვახუშტის სიტყვები: „ოსმალნი და სპარსნი საყოველთაოდ ამ ქვე-  
ყანას უწოდებენ ბაშაჩუხს, რომელ არს თავახდილი, უქუდობისათ-  
ვის, რომელთა ჰბურავთ მცირე რაიმე ნაჭრისაგან ლართა, ვითარცა  
მდებარედ თავსა ზედა“. ვახუშტის ამ ცნობის მიხედვით უწოდა  
ბრძენმა აკაკიმ თუფის ერთი ბრწყინვალე მოთხრობის პერსონაჟს  
ბაში-აჩუკი. „ქალმა ჰკითხა: „ბაში-აჩუკს რათ გეძახიანო?“ და  
გაჟმაც მიუუგო: „ეს აქ დამარქვეს თათრებმაო: ფაფანაკით რომ მხე-

დავენ, უქუდო ვკონივარ, თავმობდილი, და მათებურად ბაში-ა-უკი თავმობდილსა ნიშნავსო“.

ნეტავ სად არის ეს „თავახდილეთი“? გამოვიკითხე, მაგრამ ყველგან ვაკვირვებით მეუბნებიან: არ ვაგვიგონიაო. ერთმა წელმრავალმა წვეროსანმა კი სულ წყალი გადამიწურა: ჩვენ მუდამ გვეხურა და გვახურავს ჩვენებური თავსაბურავი და ნამუსის ქუდი, უქუდობა რას გვიქვიაო. ოღონდაც!

ავედევნე ვახუშტის ნაკვალევს. ჩემი მასპინძლები არიან სამტრედიის რაიონის აქტივისტები რომან სიხარულიძე და ზურაბ შუბლაძე, დროდადრო თენგიზ ჭიქაშუა და ზურაბ გრიგოლია, პოპულარული ექიმი გენო გეგეშიძე და სიყრმის მეგობარი, დამსახურებული ჟურნალისტი, ინჟინერი საშა ჩიქოვანი. მუდმივ კონსულტაციას მიწევს თ. პირველი. ვიმოგზაურე სოფელ-სოფელ, მოვიარე 48 დასახლებული პუნქტი, შევხვდი შრომისა და ომის ვეტერანებს, სოფლის თავკაცებსა და რიგით ადამიანებს. რა დამავიწყებს დავით ქაჯიასთან (დანირი) და კარლო ნიკოლეიშვილთან (გომი), ვლადიმერ ვადაქორიასთან (ტოლები) და ბათურა ტყეშელაშვილთან (ბაში), კიკიკო ქორიძესთან (გამოჩინებული) და თამარ თავაძესთან (სამტრედია) გატკბილქართულებას. მათი ხელშეწყობით შევძელი ადგილებზე შემეკრიბა მარგალიტებივით მიმობნეული ტოპონიმები, ჩვენს წინაპრებს რუდუნებით რომ შეუქმნიათ, მაგრამ შთამომავლობას დავიწყებისათვის მიუცია. მიკროტოპონიმია უშუალოდ ხალხის გონების ნასიბრძნია და არაჩვეულებრივი უშუალოებით ასახავს თვალით ნახულსა და ყურით გაგონილს, უხსოვარდროინდელ საცხოვრისს. ვერც ერთ ლექსიკონში ვერ იპოვიეთ ამ ქართულ სიტყვებს. ადგილზე უნდა გაეცნო ძვირფას ლექსიკურ საგანძურს, რომ სწორად წარმოიდგინო მისი შინაგანი სამყარო. მარგალიტებივით ბრწყინავენ: ნამოჩვარი და გორიკი, ქაიჯვარი და კუპატა, ზანდო და ქვასიპა, ლეფეთი და ორთე...

მიკროტოპონიმთა ძირითადი ნაწილი საერთოქართულის ტიპისაა: დობირო, ნავენახარა (საჯავახო), საწვერო (ტოლები), ურეკი (ნიგორზღვა), წყაროსთავი (ეწერი), საშინდია (ბაში), ნასაკირები, ბუქნარი (კვირიკე), დაფნარი, ნაგომარი (ოფეთი) და მისთ. დიალექტური მოდელისაა: ნალობრალი, ქვასიპა (საჯავახო), ნამოყვარი, ნაციხვარა, ჭიაფნარა, საჩიჩქნია, ორღელა, უმანო, ბაძენარა (ტოლები), ბორჩხეთი, დერგა, ქვარნალა (ნოლა), გზაბოძალი, აკვანა (ბაში), ქვაგაჭრილა, მიწანელა (გორმაღალი) და ასობით სხვა. კოლხური მოდელისაა:

დისკუსიო (ზემო აბაშა), ონწარო (იანეთი), ვალურია, ოჭოფა (ეწერი), ჩხოროწყუა (გორმალაი), ოქიშკარე, ტობათი, ოხტომე (ტოლები) და ა. შ. თითოეულ ამ ქართულს თავისი ლამაზი თავგადასავალი აქვს. მათი დავიწყება არ შეიძლება. ხალხის ნასიბრძინი ხალხსავე უნდა დაუბრუნდეს. მათი შეკრება ხომ დიდად საშურიია. ჩემს ბლოკნოტში სამოათსზე მეტი ერთეულია ჩაწერილი. ეს მარტო მოგზაურობის რამდენიმე დღეში.

შუაბაშში მიმითითეს სასაფლაოზე, რომელსაც უქრთამეურს ეძახიან: აქ მექრთამეებს არ ასაფლავებდნენ, მათ უკურობ მიწაში მარხავდნენო, — ჩაიღიმოლა ენაწყლიანმა ინფორმატორმა. ამისთანა სიტყვა სხვაც ბევრია.

შევეცქერი ტანკენარ ქალიშვილებსა და გარუჯულ ვაჟაკებს და კვლავ მაგონდება ვახუშტის მიერ შექმბულნი იმერნი: „კაცი და ქალნი, ვითარცა ვსთქუთ, ეგრეთცა იუწყე, გარნა უშუენიერესადცა და უუპაეროვნესადცა, ვინადგან გლახთაცა შვილნი მიგვანან წარჩინებულთა შვილთა. სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი, ეგრეთვე ცხენთა, და ირალთა, და საკურველთა: ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემმართებელნი და ძლიერნი... მომღერალ-შვალობელნი და მწიგნობარნი წარჩინებულნი“. საოცარია, ღმერთმანო, ორნახევარი საუკუნის წინათ, თუ როგორი სიზუსტით განუკურვტა სწორუბოვარ მემატიანეს დღევანდელობა! ამ მშვენიერი ეუზნას ქართველთა „მხარ-მკლავებსა და მათ საქმეებს“ უკეთესად ვერც დღეს შეამკობს კაცი.

ფაზის მდინარის, ცხენისწყლისა და გუბისწყლის ეს აუზი კაცმა, გნებავთ, მარტო იმისთვისაც უნდა ნახოს, რომ აქ ცხოვრობდა XIX საუკუნის ფიქრთა მპყრობელი, ევროპული განათლების მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძე, ილიასთან და აკაკისთან ერთად თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში ურყევ ბურჯად რომ ედგა ქართულ კულტურას. აქ, ულამაზეს დიდ ჭიხაიშში ცხოვრობდა ის და აქაა მისი სასაღმრთელო, რომლის მდიდრული ექსპოზიციები სრულყოფილად გვიჩვენებს უბადლო ენციკლოპედისტის მრავალმხრივ მოღვაწეობას. ნ. ნიკოლაძე იყო ერთადერთი ქართველი მოღვაწე, რომელიც მრავალი ქვეყნის ორმოცზე მეტი დასახელების გაზეთსა და ჟურნალში თანამშრომლობდა და შემოქმედებითი შეხვედრები ჰქონდა კარლ მარქსთან, ვლადიმერ ლენინთან, პოლ ლაფარგთან, ალფონს დოდესთან, ლუი ბლანთან, ვიქტორ ჰიუგოსთან, ემილ ზოლასთან, ჟან ჟორჟსთან, მეგობრობდა ა. გერცენთან, ნ. ჩერნიშევსკისთან, ნ. ოგარი-

ოვთან, მ. სალტიკოვ-შჩედრინთან, ქართული მწერლობისა და აზროვნების იმისთანა გოლიათებთან, როგორც იყვნენ ილია და აკაკი, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი და კირილე ლორთქიფანიძე. რუსული დემოკრატიული აზრის ისტორიაში მთელ ეპოქას ქმნის მისი საოცარი იდეური მეგობრობა ნ. ჩერნიშევსკისთან. „ეს მაღალნიჭიერი, ჰკვიანი და ევროპულად განათლებული ადამიანი, — ამბობდა თავის დროზე გემანელი მწერალი და პუბლიცისტი არტურ ლაისტი, — პირველი ქართველი ჟურნალისტია ევროპული მნიშვნელობით. ნიკო ნიკოლაძემ მრავალი ათეული წლის განმავლობაში თავისი ერის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტა და ნათელი გონებით განჰყვიტაო“. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ სახლმუზეუმში სათუთად უვლიან ძვირფას მემკვიდრეობას. მას ბევრი მნახველი ჰყავს.

სამტრედიის რაიონი ამჟამად რესპუბლიკის ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური და კულტურული რეგიონია, სადაც 67.682 კაცი ცხოვრობს მოსახლეობის 93,5 პროც. ქართველია. იგრძნობა მოსახლეობის ბუნებრივი მატება, მაგრამ მძლავრობს ურბანიზაციის პროცესი: სოფლის მოსახლეობა მცირდება, ქალაქ სამტრედიის მოსახლეობა კი დიდად იზრდება, რაიონის მოსახლეობის ნახევარზე მეტი (39.770) მარტო ამ ერთ ქალაქში სახლობს. მოსახლეობის მიგრაცია განსაკუთრებით მთის სოფლებს ემჩნევა. იმისთანა კურთხეულ მთის სოფელში, როგორც გამოჩინებულია, ამჟამად 330 კაციღაა დარჩენილი: მხოლოდ ბერიკაცები და დედაბრები დავრჩით, ახალგაზრდები გავექცენენო, — ცრემლმორევით შემომჩივლა 85 წლის პენსიონერმა, ჭიკო ქორიძემ. რაიონში ბევრი რამ კეთდება ურბანიზაციის პროცესის შესანელებლად, მაგრამ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს.

— უკანასკნელ წლებში სამტრედიამ მნიშვნელოვნად შეიცვალა სახე, აშენდა საწარმოთა ახალი კორპუსები, საცხოვრებელი ბინები, სასტუმრო, წყალსადენის ახალი მაგისტრალები, გალამაზდა ქუჩები და მოედნები. ჩქარა დამთავრდება საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა, მივიღებთ ბუნებრივ გაზს, შენდება რკინიგზის ახალი სადგური, ბავშვთა რკინიგზა, ტელეფონის სადგური ოთხი ათასი ნომრით; ასევე დიდი მშენებლობებია გაჩაღებული სოფლებშიც. ყველა ამისათვის სახსრები გამოყოფილია და მუშაობაც გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს, თუმცა სიძნელეებიც ცოტა როდი გვაქვსო, — მითხრეს რაიონის თავკაცებმა. ღმერთმა ხელი მოუშაროთ!

რაიონში შრომის დიდება ზეიმობს. ადრე აქ გლეხკაცს უჭირდა. აკლდა პურიც, სიმინდიც, ხილიც. ჭაობი სულს უხუთავდა ადამიანს.

სიმინდის ყანებში კოლო და მალარია მძვინვარებდნენ. ასე იყო წინათ. გავიხსენოთ, თუნდაც, თუ აღრინდელი მძიმე ყოფა რა რეალისტურად ასახა ჩვენი დროის შესანიშნავმა ბელეტრისტმა დემნა შენგელაიამ თავის „სანავარდოში“. სადღაა ახლა წინანდელი სანავარდო და ორპირი. თითქოს ტოპონიმებიც კი წაშლილა ხალხის ხსოვნაში. ადამიანის გარჯამ შეცვალა გარემო, დაატრიალა ბარაქა. ორიოდ მაგალითს დავასახელებ. მხოლოდ.

აი, მაგალითად, ღანიჩის სასოფლო საბჭო, ორი ჩვეულებრივი იმერული სოფელი — ღანიჩი და კოგნარი. ახლა აქ 744 კომლი სახლობს 121 გვარისა — 2100 სულით. კაცის გულს ახარებს აყვავებული სოფლების ნახვა. მოსახლეობა წელგამართულია. აქ დაიბადა თაოსნობა: „არც ერთი ოჯახი უბოსტნოდ და უფუროდო“, რომელიც აიტაცეს. წამოწყებას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი გლეხკაცი დავით ქაჯაია. გაიყოლია თანასოფლელები. დღეს სოფელთა 98 პროც. საკუთარი ფური ჰყავს, ბოსტანმაც იხარა, მოსავლიანობა შესამჩნევად გაიზარდა. დაინერგა ძვირფასი კულტურების ორმოსავლიანობა. შრომა-გარჯაში თავი გამოიჩინეს ნესტორ შენგელიამ, ამირან თევზაძემ, ლევან არველაძემ, ეუეუნა არველაძემ. მნახველის გულს ახარებს მათი მშვენივრად მოვლილი ნათესები გვაზაურაში, კოხებში, ღვანიურებში, ქაჭურეთში, ხურგანეთში, ცხენისწყლის, კურთავისა და ქერეხას სანაპიროებზე. სოფლის გამოცდილება სპეციალურად განიხილა რესპუბლიკის სასურსათო კომისიამ. ხელმძღვანელთა წინაშე თამამად წარსდგა დავით ქაჯაია. მისი სიტყვა და საქმე ერთსულოვნად მოიწონეს.

რაიონის სიამაყეა ვაზისუბნის მეურნეობა, რომელსაც უძღვება ზურაბ კობალეიშვილი. თავი გამოიჩინეს და მუყაითი შრომით სახელი გაითქვეს მევენახეებმა ჯუმბერ ძიგუამ და ვალია რუხაძემ, მეჩაიეებმა რომან ძიძიგურმა და გულნარა ლორიამ. მეურნეობას სატკივარცი ცოტა როდი აქვს, მაგრამ ყველაფერი კეთდება სიმწელოთა დასაძლევად. მეურნეობის პლანტაციები განლაგებულია იმ ადგილებში, რომელთაც ძველად ეძახდნენ: ნამოყვარს, ნაციხვარს (ტელეფისს), ნაჭერალას, ჰიაფნარას, თხმელარას, საგანოს, საქორიას, რცხილაკანჭარას, დიდქვას, ხოროჯინას, ორღელას, ანთაბარს, ნარიონალს. ბეგას, ნოლას, ქვასიპას, ქვაყუღეს, სატახიას...

ეს ის, რაიონის მარცხენა სანაპიროს ადგილებია, რომლებიც ადრე საჯაოხოს ხეობად იწოდებოდა და მუდამ იმერეთის სამეფოსა

და ვურიის სამთავროს სასახლეო დავის საგანს წარმოადგენდა. ამ ადგილებისათვის ბევრჯერ გაჩაღებულია ძმათა შორის სისხლის ლერა. დღეს კი ეს სავარგულები და დასახლებული პუნქტები ტოლების სასოფლო საბჭოშია გაერთიანებული.

ტოლები (ვახუშტის ნომენკლატურით ტოლა) ერთი ყველაზე ვეტარლოწილობილი და მკიდროდ დასახლებული სასოფლო საბჭოა. მის შემადგენლობაში შედის საქვეყნოდ განთქმული სოფელი ნოლა. სადაც დაიბადა ერის დიდი მოძღვარი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე. საუკუნესმიღწეული მხცოვანი მეცნიერი ახლაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს სასწავლო საქმეს და ყურადღებას არ აკლებს მშობლიურ სოფელს, რომელსაც მისი სახელობის სკოლა ამშვენებს. ტოლებში ამ დღეებში გაიხსნა კულტურის სახლი, სადაც ბუდე დაიდო სოფლის მკვიდრის, კომპოზიტორ გომარ სიხარულიძის რუღუნების შედეგად გახსნილმა სამუსიკო სკოლამ. ბეგაში კი გასულ წელს პოეტ ალ. შანიძის თაოსნობით გაიხსნა კულტურის მოღვაწეთა მუზეუმი.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ქალაქ სამტრედიის შუაგულში აღმართულ ქანმრთელობის კერაზეც. მხედველობაში მაქვს კურორტი „სამტრედია“. მისი ასავალ-დასავალი ჭერხნობით ცოტა ვინმეს თუ გაუგონია, მაგრამ ის ღირსია იმისა, რომ ქვეყანა იცნობდეს. კურორტს სულ ათიოდე წლის ისტორია აქვს. ამ ადგილას ადრე სამონასტრო კაობი იდგა და ავი კოლო ხორთუმს იღესავდა. გეოლოგებმა ნაკვობის გუმანი აიღეს და თავიანთი გრძნეული ბურღი გაუვალ კაობში ჩაუშვეს. მოულოდნელად, 1450 მეტრის სიღრმიდან, თერმულმა გოგორდოვანმა ცხელმა წყალმა ამოხეთქა. საკვირველმა წყალმა გველა გააოცა. საქმის შესანიშნავი ენთუზიასტის, ექიმ ზინაიდა ნაცვლიშვილის რუღუნებით აქ გაიმართა ბალნეოლოგიური კურორტი. უწყალურ წყალს დიდმნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებები აღმოაჩინდა. სპეციალისტების წინასწარი დასკვნით, იგი შველის ტვლების, კუნთების, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, საჭმლის მომწელებელი ორგანოების, ჰიპერტონიული დარღვევების მრავალგვარ, სხვადასხვა წარმოშობის ქრონიკულ დაავადებებს. მინერალური წყლის სხვა სამკურნალო ხარისხის შესწავლა გრძელდება. ამჟამად აქ სამკურნალოდ მოდიან როგორც მახლობელი, ისე შორეული რაიონებოვან და შინ კმაყოფილი ბრუნდებიან. კურორტი აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატებითა და მედიკამენტებით. ექიმთა პერსონალსა და სამკურნალო საქმეს სათავეში უდგას ექიმი გენო გეგეშიძე.



საუცხოო სანახავია მოვლილი და მორთული ეზო-კარი. ყველაფერს ატყვია მთავარი ექიმის ზ. ნაცვლიშვილის მზრუნველი ხელი. მუშაობის უფრო ფართოდ გაშლას აფერხებს სტაციონარის უქონლობა. უკვე დაუწყიათ სტაციონარის მთავარი კორპუსის მშენებლობა, სახსრებიც გამოუყვიათ, მაგრამ მშენებლები რატომღაც არ ჩქარობენ. რით შეიძლება გამართლდეს მათი სიზანტე?



ჩემი მოგზაურობის დრო ამოიწურა. მოკლე ხანში გრძელი გზა გავიარე, აღვწერე ათასობით ტოპონიმი და ანთროპონიმი. ვემშვიდობები სამტრედიას. სამტრედია დასავლეთი საქართველოს გადახსნილი გულია, დიდებული საგზაო-სამიმოსვლო კვანძი. ეს ერთადერთი ქალაქია რესპუბლიკაში, საიდანაც დიდი საარქონიგზო და საავტომობილო მაგისტრალები მიემართება ქვეყნის ოთხივე კუთხისაკენ — აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ. მდორედ მოდელავს ქალარა ფაზის მდინარე და გულში ალერსით იკრავს ოდესღანდელი არგონაეტების მიერ შექებული ლეგენდარული აიეტის ნაიარევს. ვისაც ძველი ორპირი და სანავარდოს სანახები უხილავს, გაუჭირდება იმის წარმოდგენა, რომ სწორედ იმ ადგილებში ახლა ისე იზრდება და იფურჩქნება ქართველი კაცის გამრჯე ხელით ნასათუთევი, ას ათი წლის სამტრედია. ბარაქალა ქართველი კაცის მარჯვენას!

1985 წ.

### ფრონეაზის ხეობაში

გასულ ზაფხულს თორისა და ნემვის თვალწარმტაც ხეობებს ვესტუმრე. მოვინახულე მტკვრის მომაჯადოებელი სანახები ტაშისკარიდან აწყურამდის. წლეგანდელი ცხელი ივლისიც მოგზაურობას მოვანდომე. ამჯერად მოვიარე ისტორიული ზემოქართლის აყვავებული ხეობები, სადაც მდორედ მოედინება სურამის ქედის კალთების გამოწვეული შოლა და სურამულა, კერათხეულა და უწლეულა, წადლეულა და ფლეულა მათი უთვალავი შენაკადებით, რომლებიც ერთად აღებული, აქაურ მკვიდრთა გამოთქმით, ფრონეებია და ფრონეების ხეობებს ქმნიან. ვინახულე ბრილი და ცოცხნარა, ზეკოტა და ბიჭინისა, ალი და ნაბახტევი, უწლევი და ცხეთიჯვარი, ცხრამუხა და თაგუეთი, ქაშეთი და რბონა, წრომი და ფლევი, ტკოცა და ნაცარგორა. წადელი და ჩორჩანა, წელვერი და ბროლოსანი, ხცისი და ოსიაურა, ჯომი და ვაყა. ტაშისკარი და ბულბულის ციხე, თან მახლდნენ ა. ს.

პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგ სტუდენტთა დიდი ჯგუფი და ახალგაზრდა მეცნიერპუშკაეები გ. გოგატიშვილი, ს. მელიქიძე, ი. ტეფნაძე. ვაკვირდებიან ხალხურ მეტყველებას, ვსწავლობდით ადგილობრივ ლექსიკას; მთლიანად აღწერეთ რეგიონის ტოპონიმია და ანთროპონიმია. ხაშურის რაიონის მთისა და ბარის აყვავებულ სოფლებში შევხვდით შრომისა და ომის ვეტერანებს, ჰალარაშერეულ და ახალწვერ-აყრღ ადამიანებს. მოცლა არავის ჰქონდა. უელიდნენ და აბინავედნენ მოწეულ ბარაქას, თოხნიდნენ, მკიდნენ, ლეწავდნენ. რწყავდნენ, თიბავდნენ. მაგრამ დროს ჩვენთვისაც პოულობდნენ.

რესპუბლიკის ერთ-ერთი დაწინაურებული რაიონის მშრომელები იპყრობენ წარმატების ახალ მიჯნას.

სოფელი ცხოვრობს სისხლჰარბი ცხოვრებით. დიდად სასიამოვნოა აქაურ ბრძენაკაცებთან შეხვედრა და გატკბილქართულება. ყველგან ღიმილით გვეგებებიან, გვესაუბრებიან სადღეისო საკითხებზე, სიამაყით აფასებენ წარმატებებს, პირუთენელად ამხილებენ წარუმატებლობის მიზეზებს, იგონებენ სამამულო ომის დაუფიწყარ ეპიზოდებს, ხეობებში ხმაურია, ისმის ტკბილი სიმღერა, სიცილ-კისკისი, მანქანების გუგუნია. ადამიანთა ურთიერთგადაძახილი ექოდ ეფინება მინდვრებს, ვენახებს, ბაღებს, ჰარხლის პლანტაციებს, მტილებს.

ღუმელი ჩამომდგარა მხოლოდ ნასოფლარებში. ღმერთო, მაინც რამდენი ნასოფლარი და ნასახლარი ყოფილა ფრონეების ამ ხეობებში? ვახუშტი ბაგრატიონი XVIII ს. შუაწლებში მოწიწებით ამკობდა აქაურ კოპწია სოფლებს, მაგრამ ახლა სადღა იპოვნით ზოგიერთ მათგანს, ბევრი ადრე მტერს დაუქცევია, ზოგი კი სულ ახლახან აუყრიათ და სხვაგან დაუსახლებიათ. ნასოფლარებში სამარისებური სიჩუმეა. არც მამალი ყვიის, არც ძაღლი ყეფს. ყველა ყველაა, მაგრამ ულუმბა და კოდისწყარო მაინც არ შორდება თვალსა და გულს.

ულუმბა.

მთის კოხტა სოფელი ალის ფრონეთა სათავეებთან. ის მუდამ ამყად გადმოსცქეროდა წალკოტისებრ ხეობას. ყველას. ხიბლავდა მომაჯადოებელი ადგილი. ულუმბის მონასტერი განთქმული იყო ქართლსა და იმერეთში. აქ მოღვაწეობდა მიქელ ულუმბელი, რომლის სახელი ასე მოწიწებით იხსენიება ქართლის ცხოვრების ანალებში. მიქელი იყო ერთი იმ ცამეტ მამათაგანი, რომელიც ქართლში სამოღვაწეოდ შუამდინარეთიდან მოვიდა VI საუკუნეში. ვახუშტი ბაგრატიონი მოკლედ აღწერს მოსულ მამებთან ქართლის კათალიკოსის. პირველშეხვედრის საინტერესო სცენას და, სხვათაშორის, დასტენს:

„მიეგება ევლავიოზ კათალიკოზი და მოიკითხა ასურულითა ენათა; ხოლო მათ ქართულ პასუხ-უგესო“. იმართებოდა დღეობები, იყო ხალხმრავლობა, შეხვედრები, ბჭობდნენ საქვეყნო საქმეებზე. კერათხევის „ზეით არს მონასტერი ულუმბისა, უგუმბათო, დიდი, დიდნაშენი, მიქელ იგ მამათაგანის ქმნული, და დაფლულ არს მიქელ მუნვე, ზის წინამძღვარიო“, — ამბობს ვახუშტი. ულუმბის კეთილმოწყობილი მონასტერი XIV ს. დაუნგრევიათ და მიწასთან გაუსწორებიათ თემურ ლენგის ველურ ურდოებს. გვიან აღუდგენა იგი მხარის მფლობელ ქუცნა ამირეჯიბს, მაგრამ შემდეგ კვლავ გაუპარტახებია თურქობას.

ულუმბამ ჩვენს დღეებამდისაც მოიტანა სახელი და დიდება. მკვიდრნი უვლიდნენ მრავალტანჯულ სოფელს და სოფელიც იწინავედა წარსულის ხსოვნას, მომავლის რწმენას. გელაშვილები, კიპარიძეები, ხარაიშვილები, აქ რომ დიდხანს სახლობდნენ, ახლაც შენატრიან თავიანთ ნასახლარებს, ბევრ მათგანს გული ერჩის უკან დასაბრუნებლად. აგონდებათ აქაური, მთის პირობებისათვის შესაფერისი, კოლმეურნეობა, მერცხლის ბუდისებრი ახოები, ქერისა და კარტოფილის ნათესები, მოვლილი და ნაპატიები პირუტყვი, კლდის გულიდან მოჩუხჩუხე ნაკადულები, დღეს რომ ასეა მიგდებული. — მანსოვს, ომის შემდგომ წლებში, ერთხელ ულუმბაში სოფელთა კრებას დავესწარი, არ დამავიწყდება მათი მსჯელობა. მთა მთაა, მაგრამ აქ მუდამ იგრძნობოდა ხვათი და ბარაქა, ხალხმრავლობა. ამ მიტოვებულ სერებზე ჩამწკრივებული იყო სახლები, ორმოცზე მეტი კოპლი ცხოვრობდა; დაბრკოლებაც, საზრუნავიც ბევრი იყო, მაგრამ ამას სოფელი ადვილად იტანდაო, — მითხრა რაიონის ერთ-ერთმა ძველმა მოღვაწემ მიხეილ მახათაძემ, რომელმაც ჩემთან ერთად კვლავ მონახულა მიტოვებული წალკოტი.

აქედან იღებს დასაბამს ცნობილი ქართული გვარი ულუმბელაშვილი.

საკვირველია, ჩვენი დროის ადამიანებმა როგორ გაიმეტეს ულუმბა დასავიწყებლად? ჩანს, მეტისმეტად აჩქარებულა ზოგიერთი მშინდელი ხელმძღვანელი: მთის ძველი სოფელი აუყრია და სხვაგან ჩაუსახლებია. — ჩვენ როდი გვკითხეს რამეთუ! — გულისტკივილით ამბობენ ალელები და უწლევლები. ალის სოფლის თავკაცმა, გივი ნოზაძემ, რომელიც ხეობაში სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს, მეტიც თქვა: განა შეიძლებოდა ულუმბის გაუქაცრიელება? დავამატებ: ნამდვილად არ შეიძლებოდა! ეგვე დაადასტურეს

უწლევის მკვიდრმა მეტყვევებმა გრიგოლ ტაბატაძემ, ალის მევენახეობის პეურნეობის ბრიგადირმა ალექსანდრე შუბითიძემ, ხაშურის მკვიდრმა საზოგადო მოღვაწემ მიხეილ მახათაძემ, ბევრმა სხვამაც.

დიდად საშური საქმე იქნებოდა ულუმბისათვის სულის ჩადგმა. აქ მოსახლეობის დასამაგრებლად და დასასაქმებლად არსებობს ყველა პირობა: გზა, წყალი, ტყე, საძოვრები, სათივრეები, საეარგულები. შეიძლება შეიქმნას მეცხოველეობისათვის საჭირო მტკიცე ბაზა. მთის კვალობაზე ულუმბა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მისადგომი ადგილია. საჭიროა მხოლოდ მისი გაცოცხლების სურვილი. შეიძლება ის სამეფოდ გადაეცეს რესპუბლიკის რომელიმე ორგანიზაციასაც, სამეცნიერო-კვლევითს ან სასწავლო ინსტიტუტს. მისი აღდგენის, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის ახალ ხუთწლედში ცოტა რამ როდი შეიძლება გაკეთდეს.

ბრილიც, უწლევიც, წაღვლიც მთის მკვიდრი სოფლებია. ისინი სხვა დასახლებული ადგილების მსგავსად, რაიონის ცენტრსა და დიდ საგზაო მაგისტრალებს საავტობუსო გზებით უკავშირდებიან. სარეისო ავტობუსები წამდაუწუმ დაქრიან სოფლის გზატკეცილებზე აღელთა და რაიონის სხვა რეგიონის მკვიდრთა სასახლოდ უნდა ვთქვათ, რომ ისინი მამაბაურად უვლიან სასოფლო გზებს.

კარგი გზა სოფლის ბედნიერება და სიხარულია. ის აახლოებს სოფელსა და ქალაქს. ამარტივებს საზარუნავს. ამაგრებს ადგილზე ახალგაზრდობას, უქმნის შრომის, სწავლის, ცხოვრების, მიმოსვლის, პირობებს. გზა რომ სოფლის თვალი და ყურია, ეს კარგად ესმით გივი ნოზაძეს, გურამ მუმლაძეს, ელდარ ხაჩიძეს, ილია თედემეილს, რევაზ ბუხრიკიძეს, ირაკლი გურულს, ზაურ ჩოჩიშვილს, იასონ მახარობლიძეს, ჯემალ ტაბატაძეს, ხაშურის რაიონის სოფლებისა და ქალაქის თავკაცებს. არწივის თვალით დასცქერიან ისინი სოფლის გზატკეცილებს, უვლიან მათ, რაიონის ხელმძღვანელებიც არ აკლებენ ამ ღირს საქმეს ყურადღებას.

საზარუნავი კიდევ ცოტა როდია. ყველა გზა ჯერ კიდევ არაა კეთილმოწყობილი, აქა-იქ მოსახრეშია, მოსაასფალტებელია, ხიდებიც მოსაველელია, ხალების გზებს გამრჯე ხელიც არ ეტყობა და ა. შ., მაგრამ მთავარი აქ მაინც ისაა, რომ საგზაო საქმე არაა მოგდებული. ბევრი რამ კეთდება და უფრო მეტი ახლო მომავალში გაკეთდება.

უწლევით, ბრილით, ნაბახტევით, წაღვლით, ვაყა, უძველესი და ულამაზესი სოფლები ჭერათხეულისა და ფრონეების ხეობებში, უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო დამშვენებულა. კაცის მარჯვენას წალკო-

ტად უქცევია ისედაც საოცნებო ადგილები. აზრდითაა ნორჩი ბუნქ-  
ნარი და ტყეები, გაშენებულია ხეხილის ახალი ბაღები და ვენახები.  
იგრძნობა შრომის ნამდვილი ზეიმი. უწლევს რომ ჩაუვლი, თვალს  
მოგტაცებს მთის ცელქი მდინარე — უწლელა. მცირე მდინარის  
ათასწლოვან დინებას ერთგან ორად გაუჭრია სალი კლდე და ახლაც  
განაგრძობს თავის საქმეს, აღრმავებს კრილს. შუაგაპრილი კლდის  
ორივე ნაპირს დევკაცის საოცარი ნაკვალევი ატყვია. უზარმაზარი  
კლდე თითქოს ვიღაცას ზეაუწევია, სოლივით გამოკვეთილი ლოდი  
ქვეშ შეუყუნებია და მთისოდენა კლდე გადასაყირავებლად მოუმზა-  
დებიაო. ამ ადგილს დღესაც დევის ნაკვალევს ეძახიან სოფლის კაცე-  
ბი. ლეგენდა გვაუწყებს: მდინარის ნაპირას დევები შეყრილან. ერთ  
მათგანს, იქვე ფეხმორთხმით რომ იჯდა (კლდეს თითქოს ახლაც ატყ-  
ვია დევის ნაჭდომი), დაუკვებნია: მდინარის გაღმა გადახტებო. იმ  
კლდეს ზევით ავწევ, სოლს შეუდგამ და გადავაყირავებო. მყისვე წა-  
მომხტარა, სალ კლდეზე მარჯვენა ფეხი ისე მძღავრად დაუკრავს. ღრმა  
ნაკვალევი დასტყობია, მარცხენა ფეხი გაღმა კლდისათვის დაუკ-  
რავს, — აქაც ნაკვალევი დარჩენია, მთისოდენა კლდე მხრებით აუწე-  
ვია, სოლად გამოკვეთილი ლოდი შეუდგამს და სანაძღო მოუვიარო.  
ლეგენდას უწლეველი ბრძენკაცები მისტერიად გადასცემდნენ თაო-  
ბიდან თაობას, დარბაისლური ქართულით გაიმბობენ ახლაც. მეცა და  
სტუდენტებმაც მრავალ ვარიანტად ჩავიწერეთ, უწლევლები სათუ-  
თად უვლიან დევის ნაკვალევს. მშენიერი სანახავია კლდეზე ნაჭკვევი,  
ნამდვილად დევკაცის ნატერფალსა ჰგავს...

აღის ფრონის ხეობაში ასევე განთქმულია ნაბახტევი და მისი  
სიძველენი. ნაბახტევის ტაძარი თავისი ჩუქურთმა-ორნამენტებითა და  
მოხატულობით საყოველთაოდ იყო ცნობილი. ნაბახტევის ციხეზე  
ხალხში ვრცელდება უქნობი ლეგენდა, რომლის თანახმად იგი მუდამ  
ვაჟკაცურად უხვდებოდა მტრის თავდასხმებს. ციხის მამაცი მფლო-  
ბელი, ქუცნა ამირეჯიბი, დიდხანს უმკლავდებოდა დაუპატრებელ  
სტუმრებს, მაგრამ ბოლოს მომხდურთა კარბმა ძალებმა შეძლეს მისი  
ხელში ჩაგდება, შუბით გული გაუპეს და მისი ნეშტი ეკლესიაში  
შეაგდესო. უღრეკი რაინდის ცოლსაც წამებით აღსასრული ელოდა.  
უთხოვია მოძალადეთათვის: უკანასკნელად მაინც მაჩვენეთ დაღუ-  
პული ქმრის სახეო. მოთქმით შესულა ეკლესიაში, გულში მახვილი  
უკრავს და ზედ დაკვდომია ძვირფას მეფულეს. ღირსეული მამული-  
შვილები ეკლესიაში დაუსაფლავებიათ. დღეს ნაბახტევი დაწინაურე-  
ბული სოფელია ხეობაში. ხვევრივითაა შეფენილი მომცრო სერზე...

ნაბახტევიდან გზატყეცილს რომ აყვები, მარჯვნივ შეუხვევ, მოკლე მანძილს გაივლი და თვალს მოგტაცებს წინგადაშლილი ხეობა. ვრცელი ტბისძირისებრი ტაფობი. გამოჩნდება მწვანეში ჩაფლული წალღი. ისტორიული სოფლის სახელი ხშირად იხსენიება ქართლის ცხოვრების ანალებში. აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს ამ სამიწრო სოფელში დავით აღმაშენებელს თურმე საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდა და გაშლილ ტაფობში თავის ლაშქარს წვრთნიდა, როცა თურქების წინააღმდეგ შეტევას ამზადებდა. აქ „იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წალღის-თავიო“, — გვაუწყებს მემატიაზე. აულელებელად ვერ მოისმენ სველი წარღვლის ტრაგიკულ თავგადასავალს. იგი ბევრჯერ დაულაშქრავეთ ვერაგი მტრის ურდოებს, ერთხელაც უამიანობაც დაჰმატებოა და სულ გაუჟაცრიელებულა. შთამომავალთ ახალი წალღი ბევჯალმა გაუშენებიათ. ლიფონის წყალი მას აერთებს ფრონის აუზს ფცის წყლის მეშვეობით. წალღის შემოგარენი ცნობილია ნასოფლარებით, ნაკომკრებით, ნაკალოვრებით, ნასახლარებით. ბევრ აქაურ თვითმყოფ ტოპონიმს წინ აუცილებლად „ნა“ ემატება, როგორც უეჭველი მოწმე მძიმე ბედისა. ჩვენი მეცნიერები დღეს გულმოდგინედ სწავლობენ ისტორიული სოფლის წარსულსა და პერსპექტივებს. არქეოლოგებმა აქ ბევრი უნიკალური ძეგლი იპოვეს. ახლა ნამდვილი თანამედროვე აყვავებული სოფელია. ამშვენებს გემოვნებით ნაშენები ბინები, საშუალო სკოლის ახალი კაპიტალური შენობა; მოსახლეობა წელგამართულია. სიამოვნებას ჰგვრის კაცს სოფლის მკვიდრებთან გაბაახება. მერმე-და რა ნაირფეროვან ლექსიკას გავეცანი აქ, რა წკრიალა ქართულით მეტყველებენ ეს ბრძენი სოფლის კაცები, რა მდიდარი ტოპონიმიაა შემონახული...

კოდისწყარო.

თავინებებელი წალკოტი. ყელამდის მწვანეში ჩაფლული ნასოფლარი. ასწლოვანი კაკლისხეები, ხეხილის ბაღები, მიგდებული მაცოცხლებელი წყარო, აზრდილი ბუჩქნარი და ალერდი რაღაც საოცრად მოწყენილი და ყურებჩამოყრილი გვხვდება. კაცის ჰაქანება არა ჩანს. სულ რამდენიმე წლის წინათ კი აქ ხალხმრავლობა სუფევდა. 60-იანი წლების დასაწყისში ჩამკვდარა სიცოცხლე. — აქ რა გინდათ, კარგი გზა არა გაქვთ, აიყარეთ, ქალაქს მიაშურეთო! უბრძანებია რომელიღაც ვაი უფროსს. სოფელიც აყრილა. ნასოფლარის გვერდით მცირე ტბაა. იქ შევხვდი მწყემსკაცს ალექსანდრე ციციშვილს: პროწლე ჩამოერეკა ტბაზე დასარწყულებლად. — ვერ ვტო-

ვებ ჩემს ტკბილ სოფელსო, — მითხრა ალექსანდრე ციციშვილმა, — ქალაქში ბინა კი მაქვს, მაგრამ მეურნეობის ნახირს მხოლოდ აქ ვაძიებ და კოდისწყაროს ვერ ვშორდებიო. გულდაკოდილია ცხრა-მზნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ელდარ ხაჩიძე. თავად რბონელია. რომელსაც აგრეთვე თურმე აყრას უპირობენ, კარგად იცნობს ნასოფლარს, სიყვარულით მაჩვენებს ადგილებს, სადაც მისი მეზობლები ცხოვრობდნენ. მოვლილი საკარმიდამო ნაკვეთები ჰქონდათ. მიტოვებულია სიკეთით სავსე საცხოვრებელი ადგილები, კაკლის ხეივნები, ხეხილის ბაღები, საბოსტნეები, ანკარა წყაროები, სარკისებრი გზა, უჩანმრთელესი ადგილები.

კოდისწყარო პატარა დასახლებული პუნქტი იყო. კოპწია სოფელში მხოლოდ 54-მდე კომლი ცხოვრობდა ტკბილად და აუმღვრევლად, თითქოს არაფერი აკლდათ, გზასაც არაუშავდა რა, მაგრამ მაინც ამოდ... ღიად დასანანი და გულდასაწყვეტია მისი გაუკაცრიელება.

კოდისწყაროს მეზობელ რბონაში შევხვდი ქარმაგ მოხუცს არჩილ ხაჩიძეს, ამას წინათ 84 წელი რომ შეუსრულდა. და მის ერთგულ მეუღლეს, სამაგალითო ქართველ დედასა და ბებიას — მარიამ გოგალიძეს. მოხუცები მისტირიან კოდისწყაროს და მოუთმენლად ელიან იქ სიცოცხლის განახლებას. არ თმობენ რბონას: აქ დავიბადეთ, აქ ვშრომობთ, აქ უნდა დავიხოცოთო...

მივირს ნასოფლართა უბრალოდ ჩამოთვლაც კი. გაიხსენეთ, გნებავთ, ლუდა და ღანძილები, ჭოშორა და ნარუჯები, აზარმეთი და ლუბრუმა, ჯვართმუხა და ჭანკოტაძეები... რომელი ერთი დავასახელო. ყველას მიხედვა უნდა. ზოგი მათგანის აღდგენა ნამდვილად საშვილი-შვილო საქმე იქნებოდა. მთის სოფლები უნდა გვეამაგროთ. მოსახლეობის ასე ძლიერი მიგრაცია ტრადიციული სოფლიდან კარგის მომასწავებელი არაა.

მთის სოფლების კეთილმოწყობაზე ზრუნვა ამოცანადაა დასახული. ბევრი რამ ამ მხრით უკვე კეთდება და, ცხადია, უფრო მეტი ახალ ხუთწლედში გაკეთდება. ადგილობრივ ინიციატივასა და წამოწყებას ფართო ასპარეზი უნდა დაეთმოს, საგულისხმოა, რომ ხაშურის რაიონის ხელმძღვანელებსაც გადაუდგამთ პირველი ნაბიჯები მთის სოფლების განსამტკიცებლად. მითხრეს: განზრახული გვაქვს ზოგიერთი ნასოფლარის მიწა-წყალზე მუშა-მოსამსახურეთათვის ნაკვე-

თების გამოყოფა და იქ საცხოვრებელი პირობების შექმნა. ღმერთ-  
მა ქნას! ეს ღონისძიება ყოველმხრივ მხარდაჭერას საჭიროებს.

1981 წ.

## ქართული უნივერსიტეტის გახსნის გამომდინარე

1918 წლის პრესაში

(მასალები)

ცნობილია, რომ ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს. თავისთავად ეს თარიღი სიმბოლური იყო და დაწესდა უნივერსიტეტის ფუძემდებლის, ივანე ჭავჭავიძის, წინადადებით. იყო სხვა წინადადებაც, ასახელებდნენ 10 იანვარს, 14 იანვარსაც, მაგრამ რადგან ამ დროისათვის ყველაფერი ვერ ესწრებოდა, მოითხოვდნენ უნივერსიტეტის გახსნის გადადებას სხვა დროისათვის, კერძოდ, 1918 წლის სექტემბრისათვის, კიდევ მიიღეს ეს წინადადება, თუმცა ივანე ჭავჭავიძე ამას არ დაეთანხმა, უნივერსიტეტის გახსნის გადადება საქმის ღალატად ჩათვალა და თავად უზრუნველყო საშვილიშვილო წამოწყების გამარჯვებით დაგვირგვინება. საგულისხმოა იმ ფაქტის გახსენება, რომ უნივერსიტეტის ფუძემდებლის თითქმის ყველა თანამებრძოლი დაეთანხმა უნივერსიტეტის გახსნის ვადის გადადებას, თვით უნივერსიტეტის კომისიაც ამ აზრს დაადგა, მაგრამ ივანე ჭავჭავიძის ქვეყნისათვის რაინდულმა გულმოდგინებამ და გაბედულებამ უზრუნველყო დაწყებული საქმის სასახლოდ დამთავრება. ეს იყო ივანე ჭავჭავიძის სტრატეგიული გეგმის ქვეყნისათვის აცხადება. ახლა ამის თქმა ადვილია, მაგრამ, თუ იმდროინდელ მძიმე ვითარებას გავხსენებთ (სრული უსახსრობა, კადრების ნაკლებობა, მატერიალური ბაზის უქონლობა, უბინაობა, სასწავლო აუდიტორიების მოუწყობლობა, სტუდენტთა კონტინგენტის სიმცირე, გათბობის, განათებისა და სხვა აუცილებელი პირობების უქონლობა), უნივერსიტეტის გახსნა საოცრად მძიმე პირობებში ნამდვილად სასწაულს მოასწავებდა. ეს პირდაპირ უნდა ითქვას და ამ გარემოებას სამართლიანად უსვამენ ხაზს ქართული უნივერსიტეტის მემკვიდრეები. ეს საკითხები ასე თუ ისე გაშუქებულია უნივერსიტეტის ისტორიისა და თავად ივანე ჭავჭავიძის მოგონებებში. ამიტომ მე მათზე არ შევჩერდები.

ქართული უნივერსიტეტის გახსნა იყო უდიდესი კულტურული მოვლენა ერის ცხოვრებაში და ეს მოვლენა ზემოთ აღნიშნულ როგორც საზოგადოების, ისე იმდროინდელი პრესის ორგანოების მიერ.



ისტორიულ მოვლენას ფართოდ გამოეხმაურნენ მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები, გაშუქდა ყოველმხრივ. დასაწინაა, რომ გასაგები მიზეზების გამო, ეს გარემოება რაღაც ორიოდ სიტყვით არის აღნიშნული უნივერსიტეტის მათიანეში. დღეს კი, უნივერსიტეტის ღაბრსების 70 წლისთავზე, საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში ადრე ღამ-გებული უზუსტობა უნდა გასწორდეს.

ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა როგორც კერძო სასწავლებელი, მაგრამ ეს იყო არა უბრალოდ კერძო, არამედ უაღრესად დიდი საზოგადოებრივი, ქვემარტად დიდი ეროვნული დაწესებულება. ქართული უნივერსიტეტის გახსნას მაღალი შეგნებით შეხვდა მთელი მაშინდელი ქართველობა, ერის ყველა სოციალური ფენა, ყველა პოლიტიკური პარტია და საზოგადოება. ამისთანა ერთსულოვანი, სრულიად საქართველოს ერთობლივი ზეიმი ჩვენი ქვეყნის ისტორიას, შეიძლება ითქვას, თითქოს არ ახსოვს.

ქართული უნივერსიტეტის გახსნა ფართოდ გააშუქეს იმდროინდელმა ჟურნალ-გაზეთებმა. თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით გამოეხმაურნენ ისტორიულ მოვლენას „საქართველო“. „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „ხალხის მეგობარი“, „საქართველოს რესპუბლიკა“. „თეატრი და ცხოვრება“. თბილისისა და ქუთაისის სხვა ჟურნალ-გაზეთები. 1918 წლის იანვარში დროდადრო გაზეთები იუწყებოდნენ, რომ იანვრის შუა რიცხვებში გაიხსნება ქართული უნივერსიტეტიო, ქვეყნდებოდა საჭირო ინფორმაცია აბიტურიენტთა მიღების წესებისა და პირობების, სწავლის ფასის, იმ სპეციალობათა შესახებ, რომლებზედაც იწარმოებდა აბიტურიენტთა მიღება. ერთი სიტყვით, პრესის ორგანოთა მეშვეობით საზოგადოებრიობა სრულად იყო ინფორმირებული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით. მართალია, ამ ინფორმაციაში ლაპარაკი არ არის იმ ხანგრძლივ მოსამზადებელ მუშაობასა და რუდუნებაზე, რაც უნივერსიტეტის ფუძემდებელმა, ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა გასწიეს. არც იმ მძიმე დაბრკოლებებსა და ხელშეშლაზე, რაც წინ ელობებოდა საშვილიშვილო საქმეს, რის შესახებაც საზოგადოებრიობა ასე თუ ისე ადრე იყო ინფორმირებული, მაგრამ პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნა მაინც სათანადოდ გაშუქდა. ფართოდ აღნიშნა არამარტო ქართული უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის 26 იანვარს, არამედ ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთება, რაც მისი გახსნიდან 6 თვის შემდეგ განხორციელდა. უნივერსიტეტის ისტორიაში ეს მეორე, უეჭველად, ღირსსახსოვარი მოვლენა, სამწუხაროდ, სრულიად არ არის გაშუქებული.

ქართული უნივერსიტეტის გახსნა იყო ამ დიდი ეროვნული საქმის მოლოვის, ივანე ჯავახიშვილის, მოღვაწეობის ტრიუმფი. ეს ფაქტი ქართულმა საზოგადოებრიობამ, ყველა მაშინდელმა ბეჭდვითმა ორგანომ სავსებით სწორედ აღნიშნა. განსაკუთრებით ბედნიერი იყო ქართული უნივერსიტეტის გახსნისთვის მებრძოლ მამულებილთა გუნდი და მისი მამაცი მეთაური. უნივერსიტეტის ცნობილი მემატინაჟე, პროფ. ს. ჯორბენამე, სამართლიანად ამბობს: „1918 წლის 26 იანვარს ეროვნულ ზეიმზე ყველაზე ბედნიერები — სიამაყის, ღირსების, სიდიადის გრძნობით სავსენი — დიდად რომ პროფესორთა საბჭოს წევრები: პეტრე მელიქიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გენგაძე თაყაიშვილი, ანდრია ბენაშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი იყვნენ. უსაზღვრო და უნაპირო იყო ივანე ჯავახიშვილის ბედნიერება. მას. ერთადერთს ხალხის მანდატით, ეროვნული უნივერსიტეტის შესაძირკვლის მარად საპატიო და წმინდა სახელი ხვდა წილად“ („ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, თბ., 1984, გვ. 228).

ქართული გაზეთები 1918 წლის იანვრის დასაწყისიდან აოჯგუბენ განცხადებებს ქართული უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. „საქართველოს“ 1918 წლის 4, 5, 9, 10, 11, 12, 14, 15, 20 იანვრისა, „ერთობის“ 5, 9, 10, 12 იანვრისა და სხვ. ნომრებში გამოქვეყნებულია ამისთანა შინაარსის განცხადება (ვიმოწმებ „ერთობის“ ტექსტს, რომელაც დაბეჭდილია გაზეთის 1918 წ. 5 იანვრის №3-ში პირველ გვერდზე): „ქართული უნივერსიტეტი თფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში. ამ თავითვე იქნება სიბრძნისმეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან“. აქვე გამოცხადებულია სტუდენტთა მიღების წესები. შემდეგ ნათქვამია: „სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი. იმ მსმენელთათვის, რომელთაც მხოლოდ ერთი-სა ან ორი საგნის მოსმენა სურთ, — ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი“. განცხადებას ხელს აწერენ: „ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი“ („ერთობა“, №3, 1918 წ. 5 იანვარი). ეგვევ განცხადება „ერთობასთან“ ერთად 1918 წლის 20 იანვრამდის ქვეყნდებოდა „საქართველოში“, „სახალხო საქმესა“ და სხვ. გაზეთებში. „საქართველო“ 1918 წ. 13 იანვარს (№10) აქვეყნებს მოსე ჯანაშვილის ვრცელ სტატიას „ქართული უნივერსიტეტი“. ავტორი მხურვა-

ლედ ესაღმკე. უნივერსიტეტის გახსნას და ღირსეულ შეფასებას  
 აძლევს ივ. ჭავჭავიძის ღვაწლს. სტატიაში, სხვათაშორის, ნათქვა-  
 მია: „ახლა გულის წადილი, ამწვანდება ეროვნული შემეცნების ნია-  
 დაგი, რომლის გაფხვიერება იწყეს ბროსემ, ბაქრაძემ, ცაგარელმა და  
 მათ მიმდევრებმა. ივ. ჭავჭავიძელმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირ-  
 თი — გუთნის ღედობა, თვით ქართლურ მძიმე ღრმად სახვნელ გუთ-  
 ნისა“ (გვ. 3). სტატია მრავალმხრივთაა საინტერესო, მაღალი შეფასება  
 ეძლევა ივ. ჭავჭავიძის შრომებსა და შეხედულებებს საქართველოს  
 ისტორიის საკითხებზე. „საქართველო“ 1918 წ. 25 იანვრის ნომერში  
 (№ 20) ათავსებს უნივერსიტეტის გამგეობის განცხადებას სასწავლებ-  
 ლის შტატის შესახებ. ამ საინტერესო დოკუმენტს ვიმოწმებ მთლიან-  
 ნად სიტყვასიტყვით: „ქართული უნივერსიტეტი, პროფესორთა და  
 ლექტორების შემადგენლობა 1918 წ. პირველ სემესტრში. უნივერ-  
 სიტეტის რექტორი: დამსახურებული პროფესორი პეტრე გრიგოლის  
 ძე მელიქიშვილი (ქიმიის დოქტორი), სიბრძნისმეტყველების ფაკულ-  
 ტეტის დეკანი პროფ. ივ. ა. ჭავჭავიძე (ქართული ფილოლოგიის  
 მაგისტროსი, პეტერბ. უნივერს.), სიბრძნისმეტყველების ფაკულტე-  
 ტის მდივანი პროფ. იოს. ალექს. ყიფშიძე (ქართული ფილოლოგიის  
 მაგისტროსი, პეტერბ. უნივერს.), პროფ. ბენაშვილი (გეოდეზიისა და  
 სტრუქტურული გეოლოგიის პროფესორი, პეტერბურგის ტექნოლო-  
 გიურ ინსტიტუტის და სამხედრო-საინჟინერო აკადემიისა. ლექციების  
 კითხვას დაიწყებს, როდესაც სამათემატიკო განყოფილება გაიხსნე-  
 ბა), პროფ. კორნ. კეკელიძე (საეკლესიო ისტორია და მწერლობა,  
 ღვთისმეტყველების მაგისტროსი), პროფ. დ. უზნაძე (ფსიქოლოგია  
 და პედაგოგია. ფილოსოფიის დოქტორი, ჰალეს უნივერსიტეტისა),  
 პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი (პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა,  
 დოქტორი ფილოსოფიის ლაიფციგის უნივერსიტეტისა), პროფესო-  
 რის მოადგილე ანდ. რაჭმაძე (უმაღლესი მათემატიკის მაგისტრანტი,  
 მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, ლექციებს შემოდგომი-  
 დან დაიწყებს). პროფ. მოადგილე სვ. ავალიანი (ისტორიის მაგისტ-  
 რანტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივ.-დოცენტი), პროფ. მო-  
 ადგილე შ. ნუცუბიძე (ფილოსოფიის მაგისტრანტი, პეტერბ. უნი-  
 ვერს.), პროფ. მოადგილე გ. ახვლედიანი (საზოგადო და შედარებითი  
 ინდო-ევროპული ენათმეცნიერება, ენათმეცნიერების მაგისტრანტი,  
 ხარკოვის უნივერსიტეტი), პროფ. მოადგილე აკ. შანიძე (ენათმეცნიე-  
 რება, ქართული ფილოლოგიის მაგისტრანტი, პეტერბ. უნივერს.),  
 მეცნიერი ხელმძღვანელი ე. თაყაიშვილი (ქართულ სიძველეთა მეც-  
 ნიერება, ანუ არქეოლოგია), მეცნიერი ხელმძღვანელი იუსტ. აბულა-

ძე (სპარსული ენა), ლექტორი ელ. ი. ორბელიანისა (ფრანგული ენა), ლექტორი არტ. ლაასტი (გერმანული ენა), ლექტორი ილ. თ. ყიფშიძე (გერმანული ენა), ლექტორი ვანდა ღამბაშიძისა (ინგლისური ენა). უნივერსიტეტის გამგეობა“.

გაზეთის მორიგ ნომერში („საქართველო“, № 21, 1918 წ. 26 იანვარი) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის ივ. ჭავჭავიძის ხელმოწერით ქვეყნდება ფაკულტეტის 6 დარგის (ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, სიტყვიერების, საისტორიო, საეკონომიო) სასწავლო გეგმები.

1918 წ. პირველი სემესტრისათვის საერთო საგნებად დასახელებულია: 1. ფილოსოფიის შესავალი (კვირაში 1 საათი), საფილოსოფიო შესავალი (კვირაში 2 ს.); 2. საექსპერიმენტო ფსიქოლოგიის შესავალი (კვირაში 2 ს.), 3. საზოგადო ენათმეცნიერება (2 ს.), 4. მსოფლიო ისტორია (2 ს.), 5. ქართული სიძველეთმცოდნეობა ანუ არქეოლოგია (2ს.), 6. საქართველოს ისტორია (2ს.), საისტორიო სემინარი (2 ს.), 7. საეკლესიო ისტორია (2 ს.), 8. ძველი ქართული მხატვრული მწერლობის ისტორია (1 ს.), 9. რუსეთისა და სლავების ისტორია (2 ს.); 10. ქართული სამართლის წყაროები და ისტორია (1 ს.), 11. პოლიტიკური ეკონომია (2 ს.), 12. მიწისმფლობელობა საქართველოში (1 ს.), 13. ძველი ქართული ენა (2 ს.), 14. ლათინური ენა (3 ს.), 15. ძველი არაბული ენა (4 ს.), 16. ძველი სომხური ენა (2 ს.), 17. სპარსული ენა (3 ს.), 18. გერმანული ენა (3 ს.), 19 ინგლისური ენა (3 ს.), 20. ფრანგული ენა (3 ს.).

აქვე გამოქვეყნებულია ცალკე სპეციალობათა სასწავლო გეგმები. აქედან სანიმუშოდ დავასახელებ ენათმეცნიერებისა და სიტყვიერების დარგების გეგმებს.

ენათმეცნიერების დარგი: ა. 1. ყველასათვის საუბრედებულ საგნები, 2. საზოგადო ენათმეცნიერება, 3. საექსპერიმენტო ფონეტიკა, ანუ ბგერათმეცნიერება, 4. ყელ-ცხვირ-პირის ანატომია და ფიზიოლოგია, 5. ძველი ქართულ ენა, 6. საზოგადო შედარებითი ენათმეცნიერება (ინდოევროპული, ქართული, სემური, თურქული); 7. ერთერთი კლასიკური ენა: ან ბერძნული, ან ლათინური და სანსკრიტი; ბ. ქართული ენათმეცნიერება (ზემოაღნიშნულ 7 მუხლში ჩამოთვლილის გარდა): 8. ქართული მწერლობის საზოგადო ისტორია, 9. ქართული ენის ისტორიული გრამატიკა, 10. ახალი ქართული და კილოკავები, 11. მეგრულ-ქანური, 12. სვანური, 13. აფხაზური, 14. შედარებითი ქართულ-მეგრულ-სვანური გრამატიკა, 15. არაბული ენა (ასურული ან ებრაული, 4 სემესტრის განმავლობაში), 16. ან სომხური, ან სპარსული, ან თურქული (2 სემესტრის განმავლობაში).

სიტყვიერების დარგი: 1. ყველასათვის სავალდებულო საენები, 2. ენათმეცნიერების შესავალი და სინტაქსი, 3. სიტყვიერების თეორია, 4. ესთეტიკის ისტორია და თეორია, 5. ძველი ქართული ენა, 6. საზოგადო და ქართული საეკლესიო მწერლობა, 7. ძველი ქართული მხატვრული მწერლობის ისტორია, 8. ახალი ქართული მხატვრული მწერლობის ისტორია, 9. ქართული ხალხური პოეზია (და კილოკავები, ან მეგრულ-ქანური, ან სვანური), 10. მსოფლიო მწერლობის ისტორია (სპეციალობისდა მიხედვით: ან გერმანულ-რომაული, ან ბერძნულ-ლათინურ-ბიზანტიური, ან არაბულ-სპარსული, ან სომხური, ან სპარსულ-თურქული, ან რუსული), 11. სპეციალობის მიხედვით ენები: ან ბერძნულ-ლათინური, ან სომხური, ან გერმანულ-ფრანგული, ან ინგლისური, ან არაბული და სპარსული, ან თურქული, ან რუსული („საქართველო“, № 21, 1918 წ. 26 იანვარი, გვ. 4). ეგვეც სასწავლო გეგმა სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის დეკანის ივ. ჭავჭავაძის ხელმოწერით გამოქვეყნებულია აგრეთვე გაზ. „სახალხო საქმეში“ (№ 154, 1918 წ. 25 იანვარი, გვ. 3).

სასწავლო გეგმა შედგენილია ორიგინალურად, რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების უნივერსიტეტების შესაბამისი ფაკულტეტების სასწავლო გეგმების გათვალისწინებით. ის ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ქართული უმაღლესი სკოლის ისტორიაში განუმეორებლად უნდა მივიჩნიოთ. მაშინ, ჩანს, ფართო პროფილის ენათმეცნიერისა და ლიტერატორის მომზადებას უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა. ვიდრე შემდგომ. სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო ძირითად და არა დამხმარე დისციპლინებზე. ივ. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი სასწავლო გეგმები სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე გათვალისწინებული სპეციალობებისა, რომლებიც ცნობილია სხვა პუბლიკაციიდანაც. დღესაც დიდ ინტერესს იწვევს.

უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიალს გამოეხმაურა ყველა მაშინდელი გაზეთი. გამოქვეყნებულ ინფორმაციებში აღწერილია საზეიმო სხდომის გრანდიოზულობა. უცვლელად დავიმოწმებ მხოლოდ სამაგაზეთის, „საქართველოს“, „ერთობისა“ და „სახალხო საქმის“, ცნობებს.

ა) გაზ. „საქართველო“ (№ 23, 1918 წ. 28 იანვარი): „ქართული უნივერსიტეტის გახსნა. იანვრის 26, საათის პირველზე დიდი ზეიმით გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. აუარებელ საზოგადოებას ველარ იტვედა ქართული გიმნაზიის შენობის კედლები. გახსნის წინ საქართველოს პატრიარქ-კათოლიკოსის მიერ შესრულებულ იქნა საღმრთო წირვა, ხოლო წირვის შემდეგ თბილელმა მიტროპოლიტმა

გადაიხადა სამადლობელო პარაკლისი, შემდეგ ეროვნული საბჭოს და-  
ვალებით უნივერსიტეტი გახსნა ა. ჩხენკელმა. მას მხარს უმხვენიბდნენ,  
ერთის მხრით, უნივერსიტეტის რექტორი პროფ. მელიქიშვილი, მეო-  
რეს მხრით, უნივერსიტეტის დეკანი პრ. ივ. ჯავახიშვილი და მთელი  
პლევადა — ახალგაზრდა პროფესორ-დოცენტები.

აკაკი ჩხენკელმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. კილო მისი ამ საზე-  
იმო სხდომაზე, მართალია, არ იყო საზეიმო, მაგრამ მაინც წარუხოცელ  
შთაბეჭდილებას სტოვებდა მსმენელზე. აქ არ იყო რაიმე იაფფასიანი  
ეფექტის გამოძწევეი ილლუმინაცია, არამედ ცივი, მომენტის ღრმად  
შეიღებული ადამიანის სიტყვა, რომელსაც თეთრ ჩირაღდნის აგზნება  
თუ. ერთის მხრით, ახარებს, ატკობს, მეორეს მხრით. სააკაძისებურა  
ნკმუნვარება იცავს და გადაბტყდარ მახვილს დაყრდნობილი უმზერის  
უფსკრულის პირად წარმდგარს ერს, რომელსაც დაპვიწყებია მდგომ-  
რობა, დაპვიწყებია საშინელების მიერ ამართული ბლაგვი ნაჯახი და  
ბავშვურ ენთუზიაზმით შექზარის განათლების ტაძარში ახალ ზარების  
ჩამორეკვას, სადაც, თუკი აცალეს, იეზეკილისებური უფრო ხარისთა-  
ვა ქურუმები კი არ იმეფებენ, ძველი რუთინის ყრუ და მუნჯი ქურუმ-  
ბი. — არამედ მშობლიო კერით ნაწრთობ-გამოზრდილი თავგანწი-  
რული მეჩირალდნენი!

შემდეგ ტრიბუნა დაამშვენა მელიქიშვილმა, ქალარა, წელთა  
დაზიდული, მაგრამ ენერგიით მეტყველი სახე გახარებით გატკობთ:  
წინასწარ გაგრძნობინებთ, რომ ერი განცდათა გარდაქმნის შემდეგ არ  
უნდა დაეცეს სულით: „საშინელება იყო საფრანგეთის თავს, დიდმა  
რევოლუციამ გასისხლიანებულ გულმკერდზე სასიკვდილო მახვილი  
დააქირა, მაგრამ ფენიქსებურად იგივე საფრანგეთი აღზდგა, განახლდა.  
მან წარმოშვა სახელოვანი კარნო, მეცნიერების ისეთი გენიასთაგანი,  
როგორც ლაფკაზი, ბერტოლენ“... მშვიდი, მისი ბეჯითი სიტყვა გეუბ-  
ნებათ, რომ სალი სული და მეცნიერების ქურაში წრთობილი გული არ  
დაპლუპავს მას...

შემდეგ დაიწყო მილოცვები მეზობელთა და უცხოელთაგან. გეს-  
მით ქათინაურები მრავალ საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან.  
მრავალნაირია სიტყვათა კონა, მაგრამ ყველას ერთი და იგივე სურნე-  
ლი ამკობს: „ქართველი ერი უპირველესია მეზობელთა შორის. იგი  
წინმსრბოლი იყო პოლიტიკურად და განათლების მხრით, წილად ზედა  
პირველობა უნივერსიტეტის გახსნაში“...

უკანასკნელი მილოცვა მუშისგან იყო: ვლასა მგელაძე. ამ გრძნო-  
ბის ტრიბუნმა სული და გული ფიანდაზად გადაუშალა „ჩრდილოეთით  
დაბრუნებულ“ შვილთ. ყოველი მისი სიტყვა ველური ყვავილი იყო,  
რომელსაც მკვეთრ სურნელებასთან ერთად ფოლადის ფერი დასცე-

მიათ... ზეიმი მისალოც დეპეშების წაკითხვით დამთავრდა“ (გვ. 3, ხელს აწერს „დ. კ.“).

გაზეთის იმავე გვერდზე დაბეჭდილია ორი პორტრეტი: „პროფესორი პ. მელიქიშვილი“ და „პროფესორი ივ. ჯავახიშვილი“. ორივე პორტრეტს ახლავს ამ მეცნიერთა ბიოგრაფიული ცნობები; აქედან ამოვწერ ივ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიულ ცნობებს: „პროფესორი ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წ. აპრილის 11-ს. საშუალო განათლება მიიღო თბილისის მესამე და პირველ გიმნაზიაში. კურსის დასრულების შემდეგ (1895 წ.) შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე. უსმენდა პროფესორ ა. ცაგარელს. ვ. როზენს, ნიკ. მარს და სხვებს. უნივერსიტეტი დაამთავრა 1899 წ. დასწერა თხზულება: „წმიდათა ცხოვრებანი გრიგოლ წერენცის სომხურ სალიტერატურო ძეგლებში“, რისთვისაც დააჯილდოეს ოქროს მედლით. მუშაობდა ბერლინში პროფესორ პარნაქთან. თარგმნა გერმანულად „წმიდა ევსტათე მცხეთელის წამება“ (დაიბეჭდა „პრუსიის სამეცნიერო აკადემიის სხდომათა უწყებაში“ 1901 წელს). მის დახმარებლია კ. შულცემ თარგმნა გერმანულად „წმ. მოწამის აბო ტფილელის წამება“. 1903 წლის პირველ იანვრიდან ჩაირიცხა პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად. სამაგისტრო დისერტაცია („სახელმწიფო წეს-წყობილება ძველ საქართველოსა და ძველ სომხეთში“) დაიცვა 1907 წელს მაისის 12-ს. 1918 წლის იანვრის 13-ს ქართულ უნივერსიტეტის საბჭომ ივ. ჯავახიშვილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად აირჩია“ („საქართველო“, № 23, 1918, 28 იანვარი). სამოდლის შემდეგ (№ 25, 1918 წ. 31 იანვარი) გაზეთმა გამოაქვეყნა ქართული უნივერსიტეტის გახსნისას აკაკი ჩხენკელის, კათალიკოს პატრიარქის კირიონ II-ის, დეკ. კ. ცინცაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები. სამივე სიტყვა მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

კირიონ II-ს უთქვამს: „ამ ძვრა-რყევა და სიყმილის დროს ჩვენზე საძლიერ დავეინახეთ საძიარკველი ჩავუყაროთ ქართულ მაღალ კულტურულ დაწესებულებას, რომელმაც უნდა შეიტანოს მეცნიერების შუქი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რომელიც შეადგენს ჩვენი ხალხის სიამაყეს. ახლა თქვენს ხელშია, ბატონო პროფესორნო, ბედ-იღბალი ამ მაღალი სამეცნიერო ტაძრისა. ჩვენი გული ივსება სიხარულით, რომ სიბრძნეს, რომელიც დაუსრულებელია, ვნერგავთ ამიერიდან ჩვენს ხალხში. ამ დღესაც მოვესწარით, რომ ქართულ უნივერსიტეტს ვხსნით. განა ამ ორიოდ-სამი წლის წინათ შეგვეძლო ამის წარმოდგენა? ჩვენი გენიოსის ნათქვამისა არ იყოს: „კეთილმან სძლია ბოროტსა, სიცოცხლე მისი გრძელია“ (გვ. 4).

3) გაზ. „ერთობა“ (№ 22, 1918 წ. 28 იანვარი): „ქართული უნივერსიტეტის გახსნა. 26 იანვარს გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი გახსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს დავალებით აკაკი ჩხენკელმა. მან წარმოთქვა ვრცელი სიტყვა. „აკაკი ჩხენკელი მიესალმა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორს პრ. ივ. ჯავახიშვილს და ღრმა მადლობა უძღვნა მას დიდი ამაღისათვის. კმაყოფილმა საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშისცემით და ოვაციებით დააჯილდოვა ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ უნივერსიტეტს“. „მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ დამსწრე უნივერსიტეტის რექტორის პ. მელიქიშვილის გამოსვლას, რომელმაც ქართულ და რუსულ ენებზე წარმოთქვა მოკლე სიტყვა. და, სხვათა შორის, შეეხო კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეს და აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება მეცნიერებას ამ სიმდიდრის შესწავლა-გამოყენების საქმეში. პროფ. ყიფშიძე შეეხო ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას. მისი სიტყვებიდან გამოიჩქვამდა, რომ სტუდენტთა რიცხვი 400-ამდის აღის. პრ. ივ. ჯავახიშვილს უნდა წაეციოთხა ლექცია, მაგრამ ვინაიდან ბევრი ხალხი დარბაზის გარეთ იყო დარჩენილი, თვით დარბაზში კი საჭირო წესრიგის დაცვა შეუძლებელი გახდა დამსწრეთა სმრავლის გამო — ლექციის წაკითხვა გადაიდო სხვა დროისათვის. მისაღალმებელი სიტყვები წარმოთქვეს წარმომადგენლებმა: პოლონელთა საბჭოს (პოლონურათ), ამიერ-კავკასიის მუსულმანთა ცენტრალურ კომიტეტის, სომეხთა ეროვნულ საბჭოს, სომხის ეპისკოპოსის (ქართულათ), რუსთა ეროვნული საბჭოს დროებითი ბიუროს, სახალხო უნივერსიტეტის, დასავლეთ ამიერ-კავკასიის მუსულმანების და მუსულმანთა თფილისის კომიტეტის, სამოსწავლო კომისარიატის, ქალთა უმაღლეს კურსების, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, კავკასიის მასწავლებელთა კავშირის, პოლონელთა საქველმოქმედო საზოგადოების, ქართველ კათოლიკეთა ჯგუფის, კავკასიის მუზეუმის, საგეოგრაფიო საზოგადოების, ბოტანიკური ბაღის, გაზ. „ფაიქარის“, ქალთა უმაღლეს კურსების საისტორიო-საფილოლოგო ფაკულტეტის, მე-2 სავაეო გიმნაზიისა. დროს უქონლობის გამო, — ვკითხულობთ შემდეგ ინფორმაციაში, — ქართულ დაწესებულებების წარმომადგენლებს არ მიეცათ მისაღმების საშუალება. საერთო სურვილით, როგორც გამონაკლისი, სიტყვა მიეცა მუშა ვლასა მგელაძეს, რომელმაც მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა. მოვლით, ნახეთ, — მიმართა მან პროფესორებს, — თუ რა განძი, რა კულტურა შეინახა ქართველმა ხალხმა. იმედია, შემდეგში მეცნიერება არ ექნება ისეთი ყალბი, როგორც იყო იგი საშუალო საუკუნეებში. ემსახურეთ ძმობა-ერთობის იდეას, მაშინ დააფასებენ თქვენს შრომას, მაშინ ჩვენც შემოვკრებებით თქვენს გარშემო. ქართველი ერი



ისტორიულ ქართველში გამოვლილი, არ მოკვდება. ამის თავდებია ის, რომ ჩვენ საუკეთესო მებრძოლნი მივეციით განმათავისუფლებელ მოძრაობას. იმედია, ქართული უნივერსიტეტის კარები არ იქნება დანშული დემოკრატიისათვის. მაშინ იგი ჩვენში იპოვის საუკეთესო დარაჯს. გაუმარჯოს ქართულ უნივერსიტეტს, თქვენს მობრძანებას და ამ შენობას, რომელიც ჩვენი ხელებით არის აშენებული (ხანგრძლივი ტაში). დასასრულ, აკაკი ჩხენკელი მიესალმა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორს პრ. ივ. ჯავახიშვილს და ღრმა მადლობა უძღვნა მას დიდი ამაგისათვის. კმაყოფილმა საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშისცემითა და ოვაციით დააჯილდოვა ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ უნივერსიტეტს“ („ერთობა“, № 22, 1918 წ., გვ. 2—3).

გ) გაზ. „სახალხო საქმე“ 1918 წ. 26 იანვრის № 155-ში, პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით იუწყება: „დღეს იხსნება ქართული უნივერსიტეტი“. პირველ გვერდზევე დაბეჭდილია სამსონ დადიანის სტატია „მეცნიერების ტაძარი“, მეორე გვერდზე — ქრისტეფორე რაჭველიშვილის სტატია „საკულტურო დღესასწაული“, ცულუ თოფურაძისა — „ქართული უნივერსიტეტი და ქართველი ერი“, წერილები: „პეტრე მელიქიშვილი“ (პორტრეტით), „ივანე ჯავახიშვილი“ (პორტრეტით), სარედაქციო წერილები.

სამსონ დადიანის სტატიაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ფრიად საგულისხმოა და დამახასიათებელი, რომ ამ რევოლუციური ნგრევის დროს. როდესაც ჯერ ოდნავადაც არ შემაგრებულა ფუძე ახალი ცხოვრებისა, საქართველოში იხსნება ტაძარი მეცნიერებისა, საქართველოში იკრებიება მეცნიერთა დასი და ცდილობენ, გააღვივონ დაფერფლილი კერა მეცნიერებისა. ჩვენს ბატონებს, ძველი რუსეთის მტარვალურს მთავრობას, საქართველო მხოლოდ ფეხქვეშ სათელველურთა ქვეყნად მიაჩნდა და მისი ღირსება, ღირებულება, არსებობა და განვითარება მას არ აინტერესებდა. იგი მას ამ მხრით არც კი იცნობდა და არც სურვილი ჰქონდა, გაეცნო. საერთოდ კავკასია და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორია სრულიად ხელუხლებელი და დაუშრეტელი წყაროა სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და ქართველი ერი საუკეთესო მასალაა კულტურისა და ცივილიზაციის დასამყენლად და ასაყვავებლად. ჩვენი ისტორიის შორეულ სიღრმეშიაც კი ვხედავთ ჩვენ ქართველთა სიყვარულს მეცნიერებისას, ფილოსოფიისას, განათლებისას, კაცობრიობისათვის არა ერთი და ორი შესანიშნავი განძი შეუწახავეს საქართველოს ძველი ქვეყნების სიბრძნისა და შემოქმედებისა და აჰა, დღეს აქვე ერის შიგ გულში იდგმის მეც-

ნიერების შექმენი ლამპარი, რომელიც ამერიიდან ვაას გაუშუქებს  
ერს აზროვებას, შემოქმედებას“ (გვ. 2).

ქრისტეფორე რაქველიშვილი თავის მშვენიერ სტატიაში („საკულ-  
ტურო დნესასწაული“) ამბობს: „დღეს ყოველი შეგნებულის, კულ-  
ტურულ ქართველის გული ჰხარობს და ზეიმობს. მტერთა და მოყუ-  
რეთათვის ხელშესახები, დასანახი ჰხდება, თუ როგორ მკვდრეთით  
სდგება. წელში სწორდება ჩვენი სამშობლო და რა წარმტაცი პერს-  
პექტივები გვეშლება თვალწინ. ვინ იფიქრებდა ამ ერთი წლის წინად,  
რომ ანკამად ქართული უნივერსიტეტის გახსნას მოვესწრებოდით?  
დღეს კი ეს სასიხარულო ფაქტია და 26 იანვარი ქართული კულტუ-  
რისათვის მეტად მნიშვნელოვანი და ტკბილის მოსაგონარი დატა  
იქნება. ამ ნგრევა-შენების დროს, როდესაც მრავალი ღირე-  
ბელება ჰკარგავს ფასს — მეცნიერების ტაძარი ქართველი ახლ-  
გაზრდობისა და მთლად ერისათვის უნდა გადაიქცეს განწმენლის სა-  
სახლედ, სადაც ქართველობა დაეწაფება მეცნიერების უკვდავების  
წყაროს და შეეცდება თავის ცხოვრების გამშვენიერებას“. ქ. რაქვე-  
ლიშვილი სტატიას ამთავრებს ამ სიტყვებით: „ქართველ ერს არ  
შეუძლიან მადლობა არ უთხრას მოწიწებით იმ ადამიანს, რომელმაც  
ესოდენი ღვაწლი დასდო ამ საქმეს. ეს გახლავთ პატივცემული ივ. ჯა-  
ვახიშვილი, ადამიანი, რომელმაც მეცნიერის სიღინჯესთან შეადულა  
აღფრთოვანებული გულ-მხურვალემა მამულიშვილისა. ადამიანი, რო-  
მელსაც წარსულის მტვერიან ფოლიანტებმა ვერ დაუხშეს აწმყოს  
მძაფრი გრძნობა და იგი მუდამ მაძიებელი წარსულთა დროთა სინათ-  
ლისა, მაძიებელი იყო საქართველოს სიკეთისა, მისი წელში გასწო-  
რების, მისი პოლიტიკური ლამპრის კვლავ ანთებისა. სახელი და  
დიდება ჩვენს მეცნიერს, რომელმაც მარადპყო თავისი სახელი ქარ-  
თველი ერის მეცნიერების ტაძრის საძირკვლის ჩაყრითა“ (გვ. 2).

ქრ. რაქველიშვილის ამ ბრწყინვალე სიტყვებით გადმოცემულია  
იმ პერიოდის მამულიშვილთა ერთსულოვანი აზრი, რაც დღესაც ასე  
ელერს.

ცულუ თოფურიძის წერილში ნათქვამია: „დღიდან მისი დაარსე-  
ბისა ქართული უნივერსიტეტი და ქართველი ერი ერთმანეთზე მჭიდ-  
როთ დაკავშირებულ-გადაჯაჭველნი იქნებიან. ქართული უნივერსი-  
ტეტი — ჩვენი კულტურისა და მეცნიერების ტაძარი — აღორძი-  
ნების გზაზე დააყენებს დროთა უკულმა ბრუნვისა გამო ჩამორჩენილ  
ქართველ ხალხს: ის აღუზრდის ქართველ ერს გონებით მაღალს, ნე-  
ბისყოფით ძლიერს და გრძნობითა და სულით სპეტაკ შვილებს“  
(გვ. 2).

გზ. „სახალხო საქმის“ 1918 წ. 28 იანვრის №157-ში დაბეჭდილია ქართული უნივერსიტეტის გახსნის ვრცელი ანგარიში, რომელშიაც ვკითხულობთ: „უნივერსიტეტის გახსნას დაესწრნენ მეზობელ ერთა წარმომადგენელნი და უცხო სახელმწიფოთა ელჩები“; იქვე დაბეჭდილია უნივერსიტეტის გახსნისას აკაკი ჩხენკელის მიერ წარმოქმული სიტყვის სრული სტენოგრამა და ცნობები უნივერსიტეტის რექტორის პროფ. პ. მელიქიშვილისა და უნივერსიტეტის მდივნის პროფ. ი. ყიფშიძის სიტყვათა შესახებ. „ამ მოხსენება-ისტორიის მოსმენის შემდეგ აკ. ჩხენკელი აცხადებს, რომ დღეისათვის განზრახული პირველი ლექცია პროფ. ივ. ჯავახიშვილისა შემდეგ თემაზე „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველს ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობაში და ცხოვრებაში“ წავითხულო იქნება სხვა დროს, რაც გაზეთში იქნება გამოცხადებული“ (გვ. 4). გაზეთის 6 თებერვლის №164-ე ნომერში გამოქვეყნებულია ი. მკედლიშვილის შთაბეჭდილებები: „პირველი დღე ქართულ უნივერსიტეტში“ (გვ. 3). მოკლე წერილში გადმოცემულია ხალხის აღტაცება უნივერსიტეტის დაარსების გამო.

უნივერსიტეტის გახსნას თბილად გამოეხმაურა იოსებ იმედაშვილის ყურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ყურნალის 1918 წ. №3-ში (იანვრის 28) პირველ გვერდზე დაბეჭდილია უნივერსიტეტის რექტორის პროფ. პ. მელიქიშვილისა და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის პროფ. ივ. ჯავახიშვილის პორტრეტები, მეორე გვერდზე კი მშვენიერი მისალმება — „სალამი განათლების ტაძარს“, რომელშიაც ნათქვამია: „საქართველოს თვითაზროვნებას და სულეორ განთავისუფლებას საძირკველი ჩაეყარა. იანვრის 26 გაიღო ქართული უნივერსიტეტის კარები. ამიერიდან ყოველს ქართველს შეუძლია თავის სამშობლოშივე მიიღოს უმაღლესი განათლება. ჰუმანიტაზ ეს დღე ისტორიულ დღედ ჩაითვლება. 117 წლის განმავლობაში შეჩერებული ჩვენი მშობლიური განათლების კერა კვლავ იწყებს ბრწყინვას განახლებული ძალებით. მან უნდა მოგვანიჭოს გონებრივ-სულიერი სიმაღლე, საკუთარი თავის რწმენა, სამშობლო ქვეყნის და მსოფლიოს ჩიყვარული.

გზა! გზა ფართო ჩვენის ნატვრის ერთ გამოხატულებათაგანს! სალამი ჩვენის განახლების ტაძარს, სალამი მის მესვეურ დამფუძნებელთ, სალამი ჩვენს მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს და მის თანამოღვაწეთ, რომელთაც საძირკველი ჩაუყარეს ამ ტაძარს! მთელი ქართველობის ვალაა ყოველის ღონისძიებით გაამკვიდროს ქართული უნი-

ვერსიტეტის კედლები, რომ მას შიგან უკუნის უკუნისამდე ღვიოდეს ცაცხლი უქრობელი ქართლოსიანთა გათოშილი გულის გასათბობად“. უკრნალის № 4-ში (1918 წ. 18 თებერვალი) დაბეჭდილია მუშა მის. დევნიის ინფორმაცია „ქართულ უნივერსიტეტში მოსმენილი ივ. ჯავახიშვილის ლექციიდან (მოკლედ)“ (გვ. 12—14).

უნივერსიტეტის გახსნისას აკაკი ჩხენკელის მიერ წარმოთქმული სიტყვა, როგორც ითქვა, გამოაქვეყნეს მაშინდელმა გაზეთებმა. ის მრავალმხრივთაა საინტერესო, ამჟამადაც არ დაუქარგავს მნიშვნელობა, როგორც ისტორიის დოკუმენტს, ასახავს მძიმე ეპოქას, განსაცდელსა და მომავლის იმ რწმენას, რასაც უნივერსიტეტის გახსნა უნერგავდა მრავალტანჯულ ერს. ორატორს უთქვამს:

„საქართველოს ეროვნული საბჭოს მინდობილობით ბედნიერება მაქვს გავხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი (ტაში). მე ვამბობ, პირველი-თქო, აქედან ცხადია, დღევანდელი დღე დიდმნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. დღემდე ჩვენ არ გვქონია არცერთი მაღალი სასწავლებელი. მე არ შეგვხვები შორეულ წარსულს, იმ წარსულს, რომელიც განიყოფება რუსეთის ფარგლებში ჩვენი ცხოვრების ხანიდან. მაშინ ჩვენ გვქონდა დროს შესაფერისი უმაღლესი სასწავლებელიც.“

ერს, რომელსაც არა აქვს თავისი სამეცნიერო ტაძარი, არ შეუძლია სთქვას, რომ იგი სრულსაკოვანია. როცა მე მესმოდა საზღვარგარეთ საქართველოს შესახებ საგმირო ამბები, თუ რა მონაწილეობას ჰქონდა იგი განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაშინ მეკითხებოდნენ. რამდენი უნივერსიტეტი, პოლიტექნიკუმი და სხვა უმაღლესი სასწავლებელია საქართველოშიო. და მე ამ შეკითხვაზე მხოლოდ გაწითლებით ვუბასუხებდი. ჩვენ არ შეგვეძლო, მიგველო განათლება სამშობლო ენაზე. რა ერია ის ერი, რომელსაც არა აქვს საშუალება ისარგებლოს მეცნიერების ნაყოფით სამშობლო ენაზე. ჩვენ რუსეთის საზღვრებში ცხოვრებამ მოგვითანა კულტურულ-ეკონომიური და პოლიტიკური თვითცნობიერება, ეს უნდა მიეწეროს როგორც რუსეთის საზღვრებში ცხოვრებას, ისე თვით ქართველი ენის უნარს, რომელმაც აუღო ალლო ახალ ცხოვრებას. ახალ ხანას, საზოგადოებრივ პოლიტიკურ ასპარეზზე შედგა ფეხი და ცნობილპყო თავის თავი როგორც შინ, ისე გარეშე უფრო ფაროოდ, ვინემ ეს წარსულში იყო. მაშინ იტყოდენ: ეს და ეს მეფე, ეს და ეს სარდალიო; არ იყო ისეთი ხანა, რომ ეთქვათ — ქართველი ერი წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზმს, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს უცხოელებშიო. თუ რატომ არ გვქონდა მაღალი სასწავლე-

ბელი, ამის მიზეზი ყველამ იცის. ჩვენ სხვებთან ერთად ვიყავით ზაგრაული ერი, მოკლებული ყოველგვარ უფლებას. ახლა მოგვეცა საშუალება, გავხსნათ ქართული უნივერსიტეტი. ეს მიეწერება დიდ მოძრაობას, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი ერი, მისი დემოკრატია. მაშასადამე, როცა ქართველი დემოკრატია იბრძოდა სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებისათვის, ამავე დროს იგი იბრძოდა ერის უფლებებისათვის. დემოკრატიის ღვაწლმა მოგვივლინა დღევანდელი დღესასწაული. თქვენ იცით ქართველი ხალხის დაუშვრეტელი წყურვილი ცოდნის შეძენისადმი. ჩვენი სასწავლებლები, რომლებშიაც უფრო გამარჯვებული და ბიუროკრატული რეჟიმი იყო განიფებული, ვერ იტევდნენ ჩვენს მოსწავლეებს. სტატისტიკის მიხედვით ჩვენში ათჯერ მეტი სასწავლებელი იყო საჭირო, რომ მოთხოვნილება დაგვეკმაყოფილებია. თუ რამდენად ძლიერია ჩვენში სწავლა-განათლების წყურვილი, ეს სჩანს გურიის მაგალითიდან. გურიაში დღეს იმდენი სასწავლებელია, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების შემდეგაც იქ არ იქნება საჭირო ახალი სასწავლებლის გახსნა. და თუ ეს სკოლები ეროვნული ენაზე, მაოი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადი იქნება, რატომ პირველათ იხსნება მაღალი სასწავლებელი, როცა ჯერ კიდევ არ გვაქვს დაბალი და საშუალო ეროვნული სასწავლებლები? ასეთ ხანაში სწორეთ საჭიროა ქართული უნივერსიტეტი, რომლიდანაც უნდა გამოვიდეს ის ხალხი, რომელიც გაუძღვება დაბალ და საშუალო ეროვნულ სკოლებს. საჭიროა ცოდნა, მეთოდი, რომ ახალგაზრდობას გრანობა გავუფაქიზოთ, ხასიათი განვუმტკიცოთ. ცხადია, ჩვენ დიდი სიხარულით უნდა მივეგებოთ ამ საქმის დაწყებას, ქართ. უნივერსიტეტის გახსნას. ჩვენ გვეჭირდება დიდი ცოდნა-განათლება. ამ მხრით არ ვართ მაინცდამაინც დაწინაურებული. ერთა ისტორიაში არის მაგალითები, როცა ერი იჩენს უნარს ერთ რომელიმე დარგში, ვთქვათ, პოლიტიკაში, პუბლიცისტიკაში. მაშინ მეცნიერებისათვის მას აღარ რჩება ძალა და ღონე. ჩვენ სწავლა-განათლების მხრივ ბევრ ერს ჩამოვრჩით უკან, ისეთ ერებსაც, რომლებიც პოლიტიკურად ჩვენზე დაბლა დგანან. ჩვენ გვესაჭიროება შესწავლა წარსულის, შეგნება აწმყოსი, გათვალისწინება მომავლისა. ჩვენ შეიძლება კარგათ ვიცოდეთ რომელიმე ბრაზილიის წარსული, ხოლო ბევრი არ აღმოჩნდა ჩვენში, რომ თავის ერის წარსული იცოდეს. ეს სრულებითაც არ მოასწავებს, თითქოს ჩვენ უნდა ვიართო წარსულის გზით. არა, ჩვენ უკვე შევდგებით იმ გზაზე, რომლითაც განათლებული ერები მიდიან. წარსულის შესწავ-

ლა ვცხადებოდა ჩვენ აწმყოს შესაგნებათ და მომავლის გასათვალისწინებლათ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ თანამედროვე მეცნიერების დარგები, შევისწავლოთ ახალი მეთოდები; ეს საჭიროა მომავალი მასწავლებლებისათვის.

ჩანაქლებ საჭიროა სხვა ერთა ცნობა, მათი წარსულის, აწმყოს და მომავლის შესწავლა-გათვალისწინება. მეცნიერება არ არის ქართული, ფრანგული, ინგლისური. იგი ერთია. მხოლოდ ფორმა, სახე შეიძლება იყოს ეროვნული; მეცნიერება ამიტომ საუკეთესო იარაღია ხალხთა დაახლოვებისა. იგი რომ ეროვნული იყოს, მაშინ გაძნელებოდა ხალხთა შორის კავშირისა და სოლიდარობის განმტკიცება. ამიერკავკასიაში კი იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც შემოვლილი ჰქონდა ეს მხარე. საჭიროა ერთმანეთის შესწავლა, პატივისცემა. თუ არ არის „შენ“, არ იქნება არც „მე“, რადგანაც არსებობს „მე“, მაშასადამე, არსებობს „შენ“, არსებობს სხვა ერებიც. ქართული უნივერსიტეტის დანიშნულება უნდა იყოს აგრეთვე ერთა შესწავლა. ეს მოვცემს საშუალებას მტკიცე კალაპოტში ჩავაყენოთ ერთა ურთიერობა.

მოქალაქენო! ნებას ვაძლევ ჩემ თავს მიულოცო პროფესორთა კოლეგიუმს. უნდა ვუთხრა მათ, რომ მათი გზა არ არის ყვავილებით მოყვნილი, იგი ნარ-ეკლიანია. ჩვენ გვაკლია მეცნიერული ძალები, შესაფერისი მოწყობილობა, იარაღები. ამ მხრივ საქმის ადვილათ და დაჩქარებით მოწყობა შეუძლებელია. ეს უნდა გავითვალისწინოთ და ქართველმა ერმა უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ მცირე ჯგუფს არაფრისაგან ყველაფრის შექმნა არ შეუძლია. მე მწამს, რომ თქვენი (პროფესორთა) ენერგია, საქმისადმი სიყვარული და მტკიცე სურვილი შეგაძლებინებთ შეასრულოთ თქვენი მოვალეობა. ეს უნივერსიტეტი ქართული უნივერსიტეტია, მაგრამ იგი არ არის სახელმწიფოს უნივერსიტეტი. ქართველ ერს არა აქვს საჯარო უფლებებით აღჭურვილი ორგანოები. ქართული უნივერსიტეტი მაშინ იხიერებს, როცა ქართველ ერს ექნება ასეთი ორგანოები (ტაში).

ჩვენ ვდგევართ ქართველ ერის პოლიტიკურ განათლების კართან. შორს არ არის ის დრო, როცა ქართველი ერი სხვა ერებთან ერთად მიიღებს კანონიერ კმაყოფილებას. არის ერთადერთი თავდები, რომ ქართველი ერი გადასჭრის ნაციონალურ საკითხს ისე, რომ მას მიიღებს სხვა ერებიც, იგი გაატარებს კანტის თქმულებას, სხვასაც ის უსურვე, რაც შენთვის გინდაო. ამის თავდებია ქართული დემოკრატია (ტაში). და თუ ეს იმედი გაგვიცრუვდა, მაშინ ვიტყვოდი მე, ვაი ჩვენ... ქართველი ერი განიცდის საბედისწერო ჟამს. სულ ახლოს

არის უფსკრული, სადაც შეიძლება იგი გადაიჩეხოს... ასეთ მდგომარეობაშია რუსეთის ყველა ერები. დღევანდელი ანარქია, სამოქალაქო ომი, უჩვეულობა მომასწავებელია იმის, რომ დადგება განკითხვის დღე. და ვფიქრობ, ქართული უნივერსიტეტის გახსნა სიმბოლური მოვლენაა. ჩვენ დღეს აქ ვზეიომობთ, ქართველი ერის ბედი კი განსაცდელშია... როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზების გამო. ჩვენ თითქოს გვაკლია თვის მდგომარეობის შეგნება. მე მესმის, როცა ვკითხულობთ ჩვენს ისტორიაში, ამა თუ იმ მეფემ თავის რაზმით "შეუტია მტერს სამშობლოს დასაცავათ, მაგრამ მტერი ათჯერ მრავლრიცხოვანი და ძლიერი აღმოჩნდა და დაამარცხა იგიო. ასეთი მდგომარეობა მირჩევნია მე იმ მდგომარეობას, როცა ჩვენ არა გვაქვს წარმოდგენილი განსაცდელი. დამარცხება არ არის საშიში მაშინ, როცა ერს ესმის განსაცდელი. ხოლო თუ იგი მოულოდნელათ დამარცხდა, მაშინ დაემხობა კიდევ.

ქართული უნივერსიტეტის უწმინდესი მოვალეობაა ემსახუროს დემოკრატიის კანონიერ მოთხოვნილებებს, იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს. თუ წინათ ეროვნული კულტურა ვიწრო ჯგუფისათვის იყო ხელმისაწვდომი. დღეს ეროვნული კულტურა მხოლოდ მაშინ არის ეროვნული. როცა მთელი ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახდება. არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება. ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება, დაეწაფოს მეცნიერებას. მეცნიერება უნდა იყოს დემოკრატიის დამცველი. დემოკრატიასა და მეცნიერებას შორის არსებული კავშირი უნდა იყოს დაცული ქართულ უნივერსიტეტში. უნდა ვიქონიოთ იმედი. რომ ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელები პირნათლად შეასრულებენ თავის წმინდა მოვალეობას (ხანგრძლივი ტაში): „ერთობა“, № 22, 1918, გვ. 2).

1918 წლის ქართულ პრესაში სათანადო გამოძახილი ჰპოვა აგრეთვე მეორე ღირსშესანიშნავმა აქტმა — ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთებამ. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც ითქვა, მოხდა უნივერსიტეტის გახსნიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. 1918 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში. მთვარობის წარდგენით საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ამის შესახებ მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება. გაზ. „ერთობის“ 1918 წ. 3 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია უნივერსიტეტის გამგეობის შემდეგი განცხადება: „ქართული უნივერსიტეტი ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით აგვისტოს 27 გამოცხადდა თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტათ. უკვე არსებული სიბრძნისმეტყველების (საისტო-

რიო-საფილოლოგო) ფაკულტეტს ენკენისთვიდან ემატება სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტებიო“. აქვე დაბეჭდილია სტუდენტთა მიღების წესები და ცნობა, რომ სწავლა 1 ოქტომბერს იწყებაო. ეგვეე განცხადება გამოქვეყნებულია „ერთობის“ 5 სექტემბრის ნომერშიც და სხვაგანაც.

საკითხი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ ეროვნულ საბჭოში (პარლამენტში) აღუძრავს განათლების სამინისტროს. კანონპროექტის განხილვისას ეროვნულ საბჭოში 1918 წ. 27 აგვისტოს გამართულა ცხარე დებატები. სნდო-მას თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე, მოხსენებები წაუკითხავთ ლ. ნათაძესა და ნ. ცინცაძეს. „ერთობა“ 1918 წ. 29 აგვისტოს (№ 183) აქვეყნებს ამ დებატების ანგარიშს. აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა გამოუწვევია კანონ-პროექტის დებულების მე-7 მუხლს. აღძრულა ფრიალ მნიშვნელოვანი საკითხები, რის გაცნობაც უეჭველად საინტერესოა დღევანდელი მკითხველისათვის. ამიტომ მას ვამოწმებ სრულიად „ერთობის“ პუბლიკაციის მიხედვით.

„ლ. ნათაძე: ქართული უნივერსიტეტი 26 იანვრიდან უკვე მოქმედებს, მხოლოდ ის არის კერძო უნივერსიტეტი, ამიტომ მინისტრი შუამდგომლობს, რომ ეს უნივერსიტეტი ცნობილ იქნეს სახელმწიფო უნივერსიტეტად. ჭერჭერობით არის მხოლოდ ერთი ფაკულტეტი — სიბრძნისმეტყველების, მომავალ სამოსწავლო წელს იქნება სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტი. აქ წარმოდგენილია კანონ-პროექტი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ, უნივერსიტეტის დროებითი დებულებანი და ხარჯთ-აღრიცხვა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თბილისის უნივერსიტეტი, როგორც სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროს მხრივ, ისე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაური მეურნეობის მხრივაც სრულებით ავტონომიურია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითვე განაგებს. მეთვალყურეობა უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედებისა განათლების მინისტრის უფლებას შეადგენს. ეს უნივერს. იმითაც განირჩევა რუსულ უნივერსიტეტისგან, რომ აქ არის შემოღებული მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხი დოქტორისა, ანუ მოძღვართ-მოძღვრისა. რუსეთის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი, ხოლო დასავლეთ ევროპის დოქტორის ხარისხი მოძღვართმოძღვრობის სამეცნიერო ხარისხს უდრის. მომხსენებელი კითხულობს თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებით ძირითად დებულებებს. საბჭომ პირველი 6 მუხლი შეუსწორებლივ. უკამათოდ მიიღო. მე-7 მუხლში ნათქვამია: პროფესორები, კერძო დოცენტები, მეცნიერნი ხელმძღვანელები, ლაბორანტები, ასისტენტები და ლექტო-



რები ლექციებს ქართულად კითხულობენ, ქართულადვე სწარმოებს საქმიანი ვარჯიშობაც. ამ მუხლში ს. დ. ფრაქციას შემოაქვს შესწორება..

მ. ცინცაძე (ს. დ.): ყველა ახალ უნივერსიტეტში ზოგიერთ სამეცნიერო საგანი უცხო ენაზედაც იკითხებოდა. შესაძლებელია ჩვენს უნივერსიტეტშიც შეიქმნეს საჭირო განსაკუთრებულ შემთხვევაში უცხო ენაზე ლექციების კითხვა (როცა ასეთი ქართულად არ მოხერხდება). ამიტომ ჩვენს ფრაქციას სურს ამ მუხლს გაუკეთოს ასეთი შენიშვნა: პროფესორთა კოლეგიას უფლება აქვს საჭიროების დროს უცხო ენაზეც აწარმოოს ლექციების კითხვა.

დ. უზნაძე (ს. ფ.): ამის წინააღმდეგი არც ამ დებულებათა შემდგენელნი იყვნენ, მხოლოდ ეს თავისთავად იგულისხმებოდა და ქვევით ერთ-ერთ მუხლშიაც არის ნათქვამი, რომ პროფესორთა კოლეგიას შეუძლია მოიწვიოს უცხო მეცნიერი ხელმძღვანელი იმ პირობით, რომ ან ქართული შეისწავლოს, ან ქართველი მსმენელები მოამზადონ, ხოლო ჩვენი ფრაქციის აზრით ძირითად დებულებაში საჭირო არ არის აღნიშვნა იმისი, რომ შეიძლება უცხო ენაზედაც ლექციის წაკითხვა.

ნ. ცინცაძე (ს. დ.): პროფესორთა საბჭოს რომ ამის უფლება ჰქონდეს, აუცილებლათ საჭიროა ამ მუხლს შენიშვნა გავუკეთოთ. ის მუხლი, რომელიც ბ. უზნაძემ მოიყვანა, არ აძლევს უფლებას პროფესორებს, რომ ქართულის გარდა სხვა ენაზე იკითხებოდეს ლექციები განსაკუთრებულ პირობებში.

შ. ქარუმიძე (ნ. დ.): უნივერსიტეტი, როგორც სამეცნიერო, ისე მართვა-გამგეობის მხრივ ავტონომიურია, ამიტომ საჭირო არ არის ასეთი შენიშვნა. პროფესორთა კოლეგიას ამ უფლებას პირველი მუხლი ანიჭებს.

ლ. ნათაძე (ს. დ.): უნივერსიტეტის გამგეობას აქვს ავტონომია მხოლოდ ამ ძირითად დებულებების ფარგლებში, ამიტომ საჭიროა პროფესორთა კოლეგიას ნება დაერთოთ, მოიწვიოს უცხო ენაზე მკითხველი, თუ ამას ის საჭიროდ დაინახავს. კენჭის ყრით შენარჩუნა მიღებულ იქნა.

ნ. ცინცაძე (ს. დ.) კითხულობს ხარჯთაღრიცხვას და ამბობს, რომ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა საფინანსო კომისიამ გააღიდა, რადგანაც მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ პროფესორი ხელმძღვანელნი თუ უზრუნველყოფილნი იქნენ მატერიალურათ, მაშინ უფრო მეტს გააკეთებენ. საბჭომ ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცა. ამ წლის ბოლომდე ხარჯი უდრის 331.300 მან.“ („ერთობა“. №183, 1918 წ. 29 აგვისტო, გვ. 2. ინფორმაციას ხელს აწერს „ა. ს. უა“, ალბათ სიგუა).

მოსმობილი დოკუმენტები და გამოხმაურებანი კომენტარებს არ საჭიროებენ. აქედან კარგად ჩანს, თუ საზოგადოებრიობა როგორ შეეგება ქართული უნივერსიტეტის გახსნასა და მის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთებას. როგორ დიდად აფასებდა იგი უნივერსიტეტის დაარსების მესვეურთა რუდუნებასა და თავდადებულ მზრუნველობას მის ბედზე, თუ მაშინდელ მოღვაწეებს როგორ ესმოდათ უმაღლესი სასწავლებლის როლი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, თბილისის უნივერსიტეტის მომავალი, მისთვისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის ყოველგვარი პირობების შექმნის აუცილებლობა. ყოველივე ეს კი მოწმობს, რომ ხალხისა და ხელისუფალთა მხარდაჭერა თუ არ ექნებოდა, იმ ძნელბედობის ქაშის ერის დიდებისათვის ბრძოლის კეთილშობილ რაინდს, ივანე ჯავახიშვილს, გაუჭირდებოდა თავისი ისტორიული მისიის შესრულება.

1988 წ.

### 15 წელი სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფურცლები მოგონებით

ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები გორისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში გავატარე. სხვადასხვა დროს აქ ვმუშაობდი ქართული ენის კათედრის გამგედ, ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანად, წამყვანი საენათმეცნიერო დისციპლინების ლექტორად. სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში, კერძოდ, 15-ზე მეტ წელიწადს დავყავი გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პარალელურად და „ჩამსვლელი ლექტორის“ ეპითეტით მიცნობდნენ. ასეც იყო. მაშინ იმ ინსტიტუტში რამდენიმე „ჩამსვლელი ლექტორი“ მოღვაწეობდა და, ბუნებრივია, ინსტიტუტთან და მის კოლექტივთან ბევრი ტკილად გასახსენებელი მოგონება მაკავშირებს. იყო წლები, როცა გორისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში პარალელურად ვასრულებდი ქართული ენის კათედრის გამგის მოვალეობას.

... ოცდაათანი წლების მიწურულს (1937—1938 სასწავლო წელს) გადაწყდა, რომ სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელსაც ჰქონდა რუსული და ოსური სექტორები, ქართული სექტორიც გახსნილიყო, თუმცა ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ საამისო სპეციალისტთა კადრები მაშინ არა თუ ცხინვალში, თვით რესპუბლიკის დედაქალაქშიც სანთლით საძებარი იყო.

და აი, ერთ დღეს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამოიარა მაშინდელი განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სკოლის სამმართველოს უფროსმა მ. ჩხეტიამ და მთხოვა ცხინვალს წაყოლა: იქ ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართული განყოფილება უნდა გავხსნათ და შენ ენათმეცნიერული დისციპლინების კურსების წაქითხვა დაგვევალო.

პატრისცემით შეგვხვდნენ ინსტიტუტის დირექტორი ვ. ა. ხეთაგუროვი, დირექტორის მოადგილე ბ. ტ. კორნაევი და ფაკულტეტის დეკანი პ. ი. გაღიევი. გაიმართა საქმიანი საუბარი ფაკულტეტის პერსპექტივის საკითხზე. ინსტიტუტს მაშინ ძალიან უჭირდა. არ ჰქონდა შესაფერისი ბინა, სუსტი იყო მისი მატერიალური ბაზა, არ ჰყავდა ადგილობრივი კადრები, ჰქონდა ცხინვალს მიმოსვლაც. რკინიგზა არ იყო, ხოლო ერთადერთი პატარა ავტობუსი, რომელიც გორიდან დადიოდა, მგზავრებს ვერ აუდიოდა. ხშირად, განსაკუთრებით თოვლიანი ზამთრობით, ავტობუსი ფუჭდებოდა და ტყუილიდან ცხინვალამდის ქვეითად წასვლა გვიხდებოდა. მასხოეს, ერთხელ ტყუილიდან ქვეითად მიმავლებს ტირანისის ჩრდილოეთით გაშლილ მინდორში შემოგვვადნდა და თოვლიან ღამეში მგლების კერძადაც კინალა გავხდით...

... ავგილობრივი მუშაკი ვერავინ ვიპოვნეთ, გარდა ერთი პედაგოგისა, ეს გახლდათ დიმიტრი გონაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი მასწავლებელი სკოლაში. ის სიამოვნებით გადმოვიდა ინსტიტუტში სამუშაოდ და მას დაეკისრა კათედრის მასწავლებლის მოვალეობა. ჩამოყალიბდა ქართული და ოსური ენების კათედრა, რომლის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა. მალე აკად. გ. ახვლედიანის მზრუნველობით მომზადდა ოსური ენის სპეციალისტები, ასპირანტურა დაამთავრეს დიმიტრი და ანდრეი ბეკოევებმა და ორივე ხალისით შეუდგა მუშაობას. სამწუხაროდ, ანდრეი მოულოდნელად გარდაიცვალა და ოსური ენის მასწავლებლის რთული საქმის მთელი სიმძიმე მხრებზე დააწვა დიმიტრი ბეკოევს. ჩქარა მან მოიპოვა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და მთელი ენერგიით ჩაება მუშაობაში. შესაძლებელი გახდა ქართული და ოსური ენების კათედრის გაყოფა ორად. ცალ-ცალკე ჩამოყალიბდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომლის ხელმძღვანელობა კვლავ მე მომენდო. და ოსური ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომლის გამგედ დიმიტრი ბეკოევი ავირჩიეთ.

იმ ხანებში, ე. ი. ოცდაათიან-ორმოცდაათიან წლებში, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა ქართველ მეცნი-

ერთა და საზოგადო მოღვაწეთა შესანიშნავი პლეადა: გიორგი ნ. დირაძე და ალექსანდრე ფრანგიშვილი, იოსებ მეგრელიძე და თედო ბეგიაშვილი, აკაკი თოფურია და სიმონ გაჩეჩილაძე, ტიტე სარიშვილი და ნესტორ მექვაბიშვილი, სამსონ ენუქაშვილი და რევაზ ბარამიძე, იპოლიტე ვართაგავა და კოტე გაჩეჩილაძე, პლატონ კვიციანი და პროკოფი ვადაჭკორია, შოთა გაფრინდაშვილი და ოთარ ქაჭაია, კარპეზ დონაძე და დავით (დათუნა) ჩხეიძე, გიორგი რუსია და ვახტანგ რევი, ეთერ შუმანია და აკაკი კენჭოშვილი, ვასო ყიფშიძე და ევგენი გეგელაშვილი, ვალერიან ქათამაძე და სერგო გუნია, ირაკლი გედევანიშვილი და ალექსანდრე პაპავა, ემელიანე გიორგაძე და გიორგი ბურნაძე.

სხვადასხვა დროს ინსტიტუტს ხელმძღვანელობდნენ ვ. ა. ხეთაგური, ზ. ნ. ვანევი, ზ. ა. ჯიოვი, პ. ვ. დოგუზოვი; დირექტორის მოადგილეებად მუშაობდნენ: ა. ფ. ფარასტაევი, ბ. ტ. კორნაევი, ა. რ. ხვოლესი, გ. დ. ჯიოვი, რ. გ. ხარებოვი, ა. ფურცხვანიძე, ფაკულტეტთა დეკანებად — პ. ი. გადიევი, ე. ქ. კუსრაევა, გ. ა. მაშიევი, ი. ე. ვასიევი და სხვ.

დაუვიწყარია, კერძოდ, ხსოვნა დოცენტ პეტრე იურის ძე გადიევისა. ის ომამდის სათავეში ედგა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტს, ყველაზე დიდსა და სტუდენტმრავალ ფაკულტეტს. მუდამ მოძრავი, ღრმად ერუდირებული, სამაგალითო მეცნიერი და პედაგოგი, ოსური სკოლის გამოჩენილი მემკვიდრე, თავმდაბალი, უმწიკვლო. სტუდენტთა უზადო აღმზრდელი და მეგობარი პეტრე კადიევი განასახიერებდა ოსი ინტელიგენტის საუკეთესო თვისებებს. ასე ჩამოაყალიბა ხსოვნაში ამ მომხიბლავი პიროვნების ნათელი სახე. მახარებდა, რომ ახალგაზრდა ინსტიტუტს, რომელიც ეს-ეს იყო ფრთებს შორია, ყველაზე დიდი ფაკულტეტის მეთაურად ჰყავდა ისეთი ავტორიტეტული და კომპეტენტური მოღვაწე, როგორც პ. გადიევი იყო. მასთან გასაუბრება ყოველთვის ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებდა. სამწუხაროდ, დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, როცა ისევ დაგბრუნდი ინსტიტუტში, ის აღარ დამხვდა, ადრე გარდაიცვალა. ასევე სიამოვნებით ვიგონებ რაქდენ ხარებოვს. ეს ჩუმი, კეთილშობილი, სამაგალითო ადამიანური თვისებებით შემკული, უმწიკვლო კაცი განაგებდა ინსტიტუტის რთულ დარგს, მაგრამ თავისი კაცურკაცობით ინსტიტუტის მთელი კოლექტივის ღრმა პატივისცემით სარგებლობდა.

ინსტიტუტში სწავლება სამ ენაზე წარმოებდა, ქართულად, ოსურად და რუსულად. ფართო მუშაობა ტარდებოდა სტუდენტობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ინსტიტუტის

მრავალეროვან კოლექტივში სუფევდა ერთსულოვნება და ურთიერთ-პატივისცემა. მეცადინეობები ტარდებოდა მაღალ მეცნიერულ დონეზე. იმართებოდა ოსური, ქართული და რუსული კლასიკური ლიტერატურის ინტერნაციონალური საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან. მაკონდება ბევრი კარგი სააღმზრდელო-კულტურული ღონისძიება, რომელიც აქ გაიმართა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ძალებით. დიდი აღმავლობით ჩატარდა შ. რუსთაველის, ს.-ს. ორბელიანის, დ. გურამიშვილის, ი. ქავჭავაძის, ა. წერეთლის, კ. ხეთაგურის, ნართული ეპოსისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები და საღამოები, თანამედროვე ქართული, ოსური და რუსული ლიტერატურის, ქართული და ოსური ფოლკლორის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები, შეხვედრები გალაკტიონ ტაბიძესთან, დავით ჯიოევთან.

ვეშმარიტად დაუვიწყარი იყო საქართველოს სახალხო პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის შეხვედრა ინსტიტუტის ქართველ და ოს სტუდენტებთან. ამ შეხვედრამ წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა და ფართო გამოქაჩილიც გამოიწვია პრესაში. გალაკტიონმა სტუდენტებს უამბო მისი შემოქმედების ბევრი შედეგის წყაროებზე, გაუმხილა, თუ რა „საიდუმლოს იტევდა მისი გული“. ეს შეხვედრა, რომელიც ქართული ენის კათედრამ მოაწყო, დაწვრილებითაა აღწერილი შეხვედრის მონაწილე სტუდენტის, ამჟამად ცნობილი ყურნალისტის, გივი თედევის წიგნში „გალაკტიონ ტაბიძე ოსეთში“, აგრეთვე აკ. თოფურის წიგნებსა და ამ სტრიქონების ავტორის მოგონებებში „შეხვედრები გალაკტიონთან“.

დიდი ყურადღება ექცეოდა სტუდენტთა პროფესიულ აღზრდას, დაოსტატებას. პედაგოგიურ პრაქტიკას, მათი მომზადების პორიზონტის გაფართოებას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტერესის გაღვივებას. ნაყოფიერად მუშაობდა კათედრასთან არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელშიც მრავალი კვლევითი ხასიათის თემა დამუშავდა. წრეში აღიზარდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც შემდგომ მეცნიერები, მწერლები, ყურნალისტები გახდნენ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ აქ აიღვეს ფეხი ვენერა სომხიშვილმა და ვახტანგ ცოტნიაშვილმა, რომლებიც ახლა მეცნიერების კანდიდატები, დოცენტები არიან და ინსტიტუტში მოღვაწეობენ. აქ გადადგეს პირველი ნაბიჯები პოეტმა მიხეილ ნართიკოევმა, ფოლკლორისტმა დუდარ ბეგიზოვმა, მწერალმა და მთარგმნელმა მერი ცხოვრებოვამ, ყურნალისტმა გივი თედეევმა, საზოგადო მოღვაწეებმა გ. ჯუსოევმა, ს. წერეთელმა, ა. კასრაძემ და სხვ.

დუღარ ბეგიზოვმა ადგილზე შეკრიბა ოსური ხალხური პროზის ძვირფასი ტექსტები და მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი კანადა. შემდეგ ეს ტექსტები შევიდა კრებულში „ოსური ზღაპრები და ლეგენდები“, რომელიც 1957 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ჩემი რედაქციითა და გამოკვლევით, ტექსტი ქართულად თარგმნა მერი ცხოვრებოვამ. ამ წიგნმა ფართო გამოხმაურება გამოიწვია. ისაა თვითმყოფელი ოსური ხალხური პროზის პირველი კრებული ქართულ ენაზე. ქართულ მკითხველს აცნობს ოსური ზღაპრების საუკეთესო ნიმუშებს. ოსური ზღაპრების შესწავლა და პუბლიკაციები შემდგომაც გავრცელდა. 1959 წელს ჩემივე რედაქციითა და შესავალი წერა ერთ გამოცემაში „ოსური ხალხური ზღაპრების“ დიდი კრებული. შედგენილია ა. ს. ბიაზროვის მიერ. ტექსტები ქართულად თარგმნეს მერი ცხოვრებოვამ და ელენე ბაშარულმა. ამ გამოცემამაც დადებითი გამოაზიანი გამოიწვია.

სამეცნიერო წრეში გაერთიანებული იყო სტუდენტობის მოწინავე ნაწილი. წრე ყოველწლიურად აგზავნიდა საუკეთესო მოხსენებებს სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე. ბევრი სტუდენტის მაშინდელი მოხსენება გამოქვეყნებულია გაფართოებულ თეზისების სახით და დაჯილდოებულია ქების სიგელებით.

ქართული ენის კათედრა პროფესორ-მასწავლებელთა ერთ-ერთი მოწინავე უჯრედი იყო ინსტიტუტში. ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად კათედრის წევრები მთელი ხალხისათვის მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. დამუშავდა ბევრი ახალი და აქტუალური პრობლემა ზოგადი ენათმეცნიერების, ქართული, ოსური, მთის კავკასიური ენების ლექსიკის, ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული წყობის შესახებ. აქ დაიწერა და ინსტიტუტის შრომათა კრებულში დაიბეჭდა ი. მეგრელიძის, ო. ქაჯაიას, შ. გაფრინდაშვილისა და ამ სტრიქონების ავტორის ბევრი გამოკვლევა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ი. მეგრელიძის გამოკვლევათა სერია „ლიახვის ხეობის სიძველეები და მათი წარწერები“, დილოური ენის სტრუქტურისადმი მიძღვნილი დიდად საინტერესო ნარკვევები; შ. გაფრინდაშვილის „ძირითადი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები დარგულ ენაში“; ო. ქაჯაიას — „მოხეური დიალექტი“, ამ სტრიქონების ავტორის 12 გამოკვლევა („ს.-ს ორბელიანის ლექსიკონი მის თანამედროვეთა და XVIII ს. მწიგნობართა შეფასებით“, „ქართული ანდაზის სინტაქსის საკითხები“, „ქართული მასალები მსოფლიოს ენათა შედარებით ლექსიკონში“, „ატრიბუტივიანი შემასმენელი ქარ-

თულში“, „მიცემითი ბრუნვის ძირითადი სინტაქსური ფუნქციებისათვის ახალ ქართულში“, „რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონების რედაქციებისათვის“, „ქსნის ხეობის ტოპონიმია“, „დალაქტური ლექსიკა მწერლის თხზულებებში“ და სხვ.).

თავიდანვე დაინერგა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ტრადიცია. კათედრაზე გაჩაღებული იყო შემოქმედებითი ძიება, სახლისაკენ სწრაფვა. ყოველწლიურად ეწყობოდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო ექსპედიციები ადგილობრივი მეტყველების შესასწავლად, იმართებოდა სამეცნიერო და განსვლელი მეთოდური სესიები, ცემოდა უცნობი ძეგლები და შეკრებილი მასალები. დახმარებას გვიწევდნენ ადგილობრივი ორგანოები, გასეთები „სახპოთ: ოსეთი“ (რედაქტორი არჩ. მამისაშვილი) „სოვეტონ ირისტონი“ (რედაქტორი ალ. ქუმარიტოვი), უზრნ. „ფიდიუაგი“ (რედაქტორი გ. ჯატიევი), გამომცემლობა „ირისტონი“. აქ გამოიცა პირველად აკად. ნ. მარის ცნობილი ნაშრომი „ქართული ენა“ (დასაბეჭდად მოამზადა და ბოლოსიტყვა დაურთო ი. მეგრელიძემ, რედაქტორი ალ. ღლონტი); დაიბეჭდა აგრეთვე ი. მეგრელიძის, აკ. თოფურიას, კ. დონაძის, ტ. სარიშვილის, ამ სტრიქონების ავტორის მონოგრაფიები, ცალკე ნიშნები, შრომათა კრებულები.

1952 წელს დაიწყო ინსტიტუტის „შრომების“ გამოსვლა, რაც, უეჭველად, დიდი მოვლენა იყო ინსტიტუტის შემოქმედებით ცხოვრებაში. II—VII ტომების გამოცემის ხელმძღვანელობა მე მქონდა დავალებული. „შრომებში“ გამოქვეყნდა კათედრის მიერ შესრულებული საინტერესო ნაშრომები ცოდნის სხვადასხვა დარგიდან. განსაკუთრებით ძვირფასი გამოკვლევები გამოაქვეყნეს ჩვენი კათედრის წევრებმა. „შრომების“ ტომეულები დღესაც ინარჩუნებენ მეცნიერულ ღირსებებს და დიდიხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ. ბევრი პუბლიკაცია და გამოკვლევა თავისი მნიშვნელობით უნიკალურია და გვიჩვენებს ავტორთა კვლევა-ძიების მაღალ მეცნიერულ დონეს, პრობლემათა აქტუალობასა და სიცოცხლისუნარიანობას.

ჩემთვის დიდად სასიამოვნოა იმის გახსენება, რომ სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ზრდა-განვითარებაში ჩემი მოკრძალებული წვლილიც, ურევია. აქ ვმუშაობდი 1938—1941, 1946—1953 წლებში და ემონაწილეობდი მის შემოქმედებით ცხოვრებაში. მაშინ ბევრი რამ გვაკლდა, მაგრამ იმედით შეეცქეროდით მომავალს, ვძლევდით დაბრკოლებებს, ვცდილობდით უკეთ მუშაობას, მოთმი-

ნებით ვზრდიდით და ვაწრთობდით თაობებს. გულით ვხარობ, რომ დღეს ინსტიტუტი თვალს უსწორებს ქვეყნის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს, ჰყავს მძალხარისხოვან სპეციალისტთა ადგილობრივი კადრები, განმტკიცებულია მისი მატერიალური ბაზა, შექმნილია მუშაობის, სწავლა-აღზრდისათვის საჭირო პირობები, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი ნაყოფიერად მონაწილეობს ახალი კადრების აღზრდის დარგში დასახული ღონისძიებების განხორციელებისათვის ბრძოლაში, სასწავლო-სააღმზრდელო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში იპყრობს ახალ სიმალლებს. ევკვი არაა, ინსტიტუტი კვლავ ახალი წარმატებებით გაგვახარებს, მუდამ წინ ივლის ახალი პორიზონტების დასაუფლებლად.

1982 წ.

### გიორგი მეცხრამეტი

ჩვენი დღეების მომავალ მემატიანეს არ დასჭირდება ძველი არქივების ჩხრეკა. ყველაფერი გარკვეული და ზუსტად დადგენილია: „მნაობის“ დღევანდელი მთავარი რედაქტორი, განთქმული მწერალი, კრიტიკოსი, მოაზროვნე, საზოგადო მოღვაწე გიორგი ნატროშვილი სწორედ ის, რიგით მეცხრამეტე, გიორგი ნატროშვილია, სამამულო ომის ქარცეცხლმა რუხი ფარაჯა რომ ჩააცვა იმ მრისხანე წლებში და სამშობლოს დამცველთა ლაშქრის პირველ რიგებში ჩააყენა (ეს ცნობა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ — ი. ნატროშვილმა და მდივანმა — დ. ბიკაშვილმა დამიდასტურეს, თუმცა თავად წერს, მეოთხთმეტე ვიყავი!). რამდენიმე თანამოსახელგვარე მაშინ შინაც დარჩა, მაგრამ ესენი ღრმა ასაკს მიღწეული ბერიკაცები ან ჯერ კიდევ აკვანში ჩაკრული ჩვილკაცები იყვნენ; დანარჩენები სულ ფრონტზე გაიკრიფნენ. ვანა ცოტაა? ცხრამეტი მოერთსახელგვარე მეომარი ერთი მშვიდობიანი სოფლიდან, მათგან ათი შინმოუსვლელი! თავად ჩვენი გიორგიც მხოლოდ ღვთის განგებამ იხსნა ამკარა დაღუპვისაგან და მძიმედ დაჭრილი დაუბრუნდა მშობლიურ კერას ვალმოსდელი. საშინელმა ომმა მილიონობით მჩქეფარე სიცოცხლე ჩააქრო. მარტო გიორგი ნატროშვილის მშობლიური ზემო მაჩხაანიდან 922 ოჩეული ვაჟკაცი წავიდა ფრონტზე, ხოლო მათგან 485 შინ ვერ დაბრუნდა...

ზემო მაჩხაანი მამაცთა საბუდარი იყო და არის.

ამ ჩინებულ საბუდარში აღიზარდა გიორგი ნატროშვილი. დღეს ვინ არ იცნობს ზემო მაჩხანს? ამ მშვენიერ ქართულ სოფელს კაცი,



თუნდაც, მარტო იმიტომაც უნდა იცნობდეს, რომ აქედან ოთხი ათეული წლის განმავლობაში ისმოდა ნიკო მამიაშვილის, ჩვენი ეპოქის ამ დიდი გლეხკაცის, ქუხილი. ეს იყო ნიკო მამიაშვილი, რომლის სახელი შორს გასცდა მშობლიური ქვეყნის საზღვრებს. ბევრ სანაქებო საგლეხკაცო წამოწყებას ჩაუდგა სათავეში ნიკო მამიაშვილი. საქმეთა და მის მიერ დათესილ სიკეთეთა ჩამოთვლას ახლა ვერ შევძლებ, მაგრამ ერთი რამ კი მაინც უნდა გავიხსენო. ნიკო მამიაშვილის თავკაცობით სოფელმა გააშენა შინმოუსვლელთა ულამაზესი ბაღნარი, სადაც დარგულ ყოველ ვაშლის ხეს კაცის სახელი და გვარი აქვს. მოფიქრება არ უნდა! „ზემო მაჩხაანის ბოლოს, — მოგვეთხრობს გიორგი ნატროშვილი, — იყო ერთი უდაბური, ხრიოკი ადგილი, რომელსაც ძველად თათარაანთ სერს ეძახდნენ. ახლა აქ საუცხოო ბაღნარი შრიალებს და ყველა ხეს კაცის სახელი და გვარი აქვს წარწერილი. ეს იმათი გვარებია, ვინც სამამულო ომის წლებში თავი დასდო სამშობლოსათვის... შორიდანვე მოგვარი თვალი კედელზე ჩამწყრივებულ აუარებელ სურათს; ლამაზ ჩარჩოებში ჩასმული ეს სურათები, ერთ დიდ კოლექციაში წარმოდგენილნი, მართლაც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენენ. თვალს ვეღარ მოსწყვეტ. სულ დარჩეული ერთი-მეორეზე უკეთესი ვაყვაცები შემოგვეცქერიან კედლიდან... ჩემი თანასოფლელები, ჩემი მეზობლები; უცქერი მათ და არ გჯერა, რომ ისინი აღარ არიან... მე კი ვდგავარ და შევეცქერი სურათებს, ვკითხულობ წარწერებს: ჯამასპიშვილები, ბოსტოლანაშვილები, ქილიტაშვილები, ბენაშვილები, მარტყოფლიშვილები, ნატროშვილები“... დღეს ზემო მაჩხაანში ნატროშვილთა გვარის 205 ოჯახი სახლობს, 542 სული, მათ შორის 25 მარტო გიორგი ნატროშვილია, დიდი და ბატარა.

გიორგი ნატროშვილის აკვანი ქიზიყის სწორედ ამ მადლიან მიწაზე დაიწყო. აქ დარბოდა იგი ტოლ-ამხანაგებთან ერთად, „მისი ემბაზი იყო“ ბოლბისხევი და გედიქისხევი, უსვამს თავწყაროსა და ფარჩხაჩაანის წყაროს წყალი, ურბენია ბროწოლხევსა და არმათიონზე, ლევანანებთან, რობიტაანებთან, ყოჩიანებთან, ცაკანებთან, გონანებთან, გოგილაანებთან ერთად დასწრებია კვირაცხოვლობას, თუმცა ნატროაანები უფრო მარტყოფლიანებთან, ჯანანებთან, ჯამასპიანებთან, ჯილიტაანებთან ერთად მთავარანგელოზობას ეტანებოდნენ; დაუხერავს ტარაბანა და შირაქი, უვლია ივრის ქალებში. თვალთ დაუხვერავს ქუმბათის, ჩანკაანის, ღრიმახევის ვერცხლისფრად შეფენილი ზვრები. მაინც რა მომაჯადოებელი ადგილებია ვახუშტის მიერ შექმებული ძველი კამბეჩოვანის ამ დღევანდელ წალკოტში!

ვაიხსენეთ, ოუნდაც, ქვაბხევი და ბროწოლხევი, ლეკანთხევი და ფრიდონიანი, მთამუხური და თელაწყალი, ნაგომრები და ყორეები, დიდხევი და ჩალანთხევი, ორგორები და ყოლოთო, კოდითავი და კუდიანძელი... ვისაც ეს მომხიბლავი ადგილები არ უნახავს, მას გაუჭირდება ქართული სოფლის სიტურფის წარმოდგენა.

გიორგი ნატროშვილის მხატვრული მემკვიდრეობა ქართული ენის სუნთქვაა ესთეტიკურ სახეებში. მისი ქართული ჩვენი თავსკრა, ხალხური სინატიფით შედუღებული დედაენაა. ნატროშვილისეულ ფრაზაში გულისძარღვივით ძგერს თვალმარგალიტივით ჩამქვრა სიტყვა. მწერლის გამოტვიფრულ დიალოგში იგრძნობა სიტყვის სასწაულებრივი ენერგია, ადამიანის გონებას გზას რომ უხსნის შეუზღუდავი ფანტაზიისაკენ. სიტყვა სიბრძნის ძირი და ქვეყნობე-ღია. რასაც ეყრდნობა ლიტერატურაცა და მეცნიერებაც. უსიტყვო მეცნიერება ისევე უაზრობაა, როგორც საქმეს დაცილებული სატყვიერი მეცნიერება, ასევე ლიტერატურა. სიტყვა და საგანი, ხატი და სამოსელი ერთადაა შედნობილი. მათი გათიშვა შეუძლებელია. სიყვარულის მეცნიერება, რომლის თეორეტიკოსი და მოძღვარი თავად გიორგი ნატროშვილია, ემყარება სიტყვის ფენომენის იმისთანა გაგებას, რომლის თანახმად სიტყვა ამოუწყავ ძალასა და ენერგიას შეიცავს, რასაც ვერავითარი ფილოლოგია და ლინგვისტიკა ვერ განჭვრეტს. ის მხოლოდ ადამიანის გულმა შეიძლება გაზომოს და განიცადოს. სიყვარულის მეცნიერება კი გულის მეცნიერებაა. გიორგი ნატროშვილი ამბობს: „ყველაფერი შეიძლება ისწავლოს კაცმა ქვეყანაზე — იქნება ეს მშობლიური თუ უცხო ენის კანონები, ლინგვისტიკა თუ დიალექტოლოგია, ისტორია თუ ფილოსოფია, რა ვიცო, რა მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ შეიძლება ისწავლოს კაცმა. მაგრამ არის ერთი მეცნიერება, რომელსაც ვერცერთ უნივერსიტეტში ვერ ისწავლი. ესაა სიყვარულის მეცნიერება, კეთილი გულის საუნჯე, რომელიც დაბადებიდან უნდა დაჰყვეს ადამიანს“.

ენის გრძნობასა და სიყვარულს აქ, იგულისხმება, გადამწყვეტი პოზიცია უჭირავს. მსმენელი უნდა ენდოს მოამბეს, მოამბე — მსმენელს. მათ უნდა სწამდეთ ერთურთისა, ხალხური სიბრძნის შემნახველი და მესიტყვე გულს გადაუხსნის მხოლოდ იმ მკვლევარს, რომელსაც ის ენდობა, რომლის სახითაც ის თანამოაზრეს დაინახავს. მაშინ გაუხსნის მას დაფარულ საუნჯეს, რაც მის სულში ტრადიციას ჩაუქეღია. გ. ნატროშვილმა ეს თეზისი განაზოგადა აკაკი შანიძის მიერ ქართული ენისა და ხალხური სიბრძნის სიყვარულის მაგალითზე და მოგვცა მრავალმნიშვნელოვანი შეგონებები. „აკაკი შანიძემ, — ამ-

ბობს ჩვენი ავტორი, — სწორედ ამიტომ შეძლო მარჯვედ გამოეყენებინა თანამედროვე ფილოლოგიისა და ფოლკლორისტიკის ყველა მონაცემი და ერთდერთი სწორი ბილიკი ეპოვე ხალხის გულსაკენ, იმიტომ შეძლო ყოველივე ეს, რომ მან მთქმელების უსაზღვრო ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. მათ, რა თქმა უნდა, წარმოდგენა არა ჰქონდათ ფილოლოგიაზე, მაგრამ გუმანით მიხვდნენ, რომ ეს კაცი რაღაც დიდ, პატრიოტულ საქმეს იყო შექიდებული და წრფელი გულით მიენდნენ. აი ეს იყო გადამწყვეტი: ქვეყანა, სადაც უნდა წაგიყვანოს მთქმელმა და თვითონაც მეგზურად უნდა გამოგყვეს — ჯადოსნური სამყაროა, განსაკვიფრებელი და სანეტარო... ამ ისტორიული საქმის კეთება არ შეიძლება «სხვათა შორის», აქ საქმროა თავგანწირვა, მას უნდა მოახმარო მთელი სიცოცხლე, აქ საქმროა ფანტიკოსობა, ფანტიზმამდე მისული სიყვარული ქართული ენისა და იმ ხალხისადმი, რომელმაც ეს ენა შექმნა».

სიყვარული მშობლიური ენისა, მოკრძალება მის, როგორც ღვთაების, წინაშე გ. ნატროშვილის შემოქმედების მაცოცხლებელი ნაკადია. მის ნაწერებში ქება ქართული ენისა არა პათეტიკურობითაა შეფერილი, არამედ მოდის გულის სიღრმიდან, ორგანულადაა განცდილი. შეიძლებოდა ამ აზრის დასაბუთება მისი ნაწერების ტექსტის ლინგვისტური ანალიზით, რაც ნამდვილად წარმოაჩინდა მწერლის ენის შინაგან სამყაროსა და ხალხურ ნიადაგს, სახელისა და ზნის საოცარი ჰარმონიულობით შეხამებულობას ფრაზაში, გამოწასახველობის უხილავი ენერჯის წვდომას ქართული ენის გვირგვინში — ზმნაში, სიტყვის სილალის მიღწევას ფანტასტიკურ შესაძლებლობადის, მაგრამ მწერლის ქმნილებებიდან ამოკრებილი ლინგვისტური პარადიგმების დალაგება იმდენ რამეს მაინც არ მოგვეცემა, რასაც თავად მისი თეორიული კონცეფცია გვაძლევს. ეს კონცეფცია, შემუშავებული მეცნიერების მიღწევათა განზოგადების საფუძველზე. კი გაშლილია მწერლის ყველა ნაწარმოებში. ყველა მათგანში წინფენილია ქართული ენის მრავალგანზომილებიანი სამყაროს ცოდნა და განუზომელი სიყვარული.

ქეშმარიტი მწერლობა იქაა, სადაც სიტყვის ფენომენი ხარობს. სიტყვა მიაგავს ჯარისკაცს, მწერალი კი — სარდალს. სარდალი იქ აყენებს ჯარისკაცს, სადაც მინიმალური მსხვერპლით მაქსიმალური წარმატების მოპოვებაა შესაძლებელი. ის სარდალი იზეიმებს გამარჯვების სიტკბოს, რომლის ლაშქარი რჩეული ჯარისკაცებისაგან შედგება. მწერალიც ასე იქცევა. ჯერ ის სიტყვას აბარტყებს თავის უბე-

ში, თითოეულ ნაბარტყევს სულს ჩაუდგამს, გამოაგვირისტებს და შემდეგ ჯარისკაცებივით განალაგებს გამონათქვამებში, რათა მინიმალური ენერგიით მაქსიმალური ღირებულების სულიერი საგანძური შექმნას. ასეთია ნამდვილი მწერლის ხედვრი. ასეთია გიორგი ნატროშვილიც.

გ. ნატროშვილის „დედაენა“ ერთი ბრწყინვალე ხოტბაა ქართული ენისა. ვის არ უქია ჩვენი დედაენა, მაგრამ ეს სულ სხვაა. ნიყვარულის მეცნიერება ამ ნაშრომში უჩვეულო პათოსითაა რეალობეზული. ეტიუდი „დედაენის“ იუბილეს ეძღვნება, მაგრამ ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ეს იუბილე არის არა ი. გოგებაშვილის სწორუპოვარი „დედაენის“, არამედ მთელი ქართული ენისა და ქართული მწერლობის იუბილე. გ. ნატროშვილმა ამ ეტიუდში დაიმოწმა შესანიშნავი ადგილი ნიკო მარის ერთი ნაშრომიდან, რომელიც ასე უღერს: „ენა ცარიელი ბგერა არ გახლავს, არც სიტყვა — მხოლოდ მისი მნიშვნელობა. ენა სიტყვა და საქმეა, თავდაპირველად განუყოფელი სიტყვა და საგანია, ერთად შედნობილი. ასე რომ, სიტყვა თავდაპირველში საგნის გამომხატველია, მისი ცოცხალი სურათია. ქართველი ერის ენა მუსაიფში ან ლექსიკონში არ განიხილება. სიონი თბილისში, ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, 864 წლის მრავალთავი სინას მთაზე, პალესტინის საბაწმინდელი ქართველი მამების მიგზავნილი, ყანების მორწყვის სისტემა იმერხევის, ტაო-კლარჯეთის მთებზე, ხეხილების თუ პურის სხვადასხვა სახის, ასობით ყურძნის ნერგის აღმოჩენა და განვითარება, ვთქვათ, მიქაელ მოდრეკილის საგალობელთ კრებული, შავთელის ხოტბა-შესხმა, ქართული სიმღერა, ქართველის მიხვრა-მოხვრაც — ყველა ქართული ენა გახლავსო“, — და ამ ისედაც ხატოვან მსჯელობას იმისთანა კიდევ უფრო შემქმნერქვეველი და აზრტევადი კომენტარი დაურთო, რომლის მსგავს სიტყვაობას ცოტას იპოვნის კაცი ქართულ მწიგნობრობაში. „გასაოცარ რამეს ამბობს აქ ნიკო მარი. — მიუთითებს ავტორი, — ეს არის გენიალური ჩაწვდომა თუ ამოხსნა, არ ვიცი, რა ვუწოდო! აქ ლაპარაკია სიტყვის საგნობრიობაზე. სიტყვა შეიძლება არა მარტო გაიგონო, არამედ დაინახო კიდევ, ხელით შეეხო, იგრძნო, შეამჩნიო, თვალსაჩინო გახადო მისი შეფარდება მატერიალურ, საგნობრივ სამყაროსთან, ქართული ენა, როგორც კონსტრუქციული ელემენტი, ჩატანებულია თბილისის სიონის კედლებში და ბაგრატის ტაძრის შენობაში, ყანების მორწყვის სისტემაშიც, და ასე მოდის დასაბამიდან. იდუმალებას ფარდა ეხსნება, ფარდა ეხსნება მშვენიერ სამყაროს, რომელსაც წუთისოფელი ეწოდება“.

გიორგი ნატროშვილის სიყვარულის მეცნიერების კაცთმცოდნეობის საილუსტრაციოდ კიდევ უნდა დაუშვათ ერთი ადგილი „ყველის მიწიდან“. ეს ესეა ავტორმა გიორგი შატბერაშვილის ენამზეობის საჩვენებლად გამოაქვეყნა, ამით მოიწონა ნიჭიერი მწერლის ქართული და ტრფიალი ქართული სიტყვისადმი. ყველას გვახარებდა გ. შატბერაშვილის მოგზაურობანი ჯადოსნური ქართული სიტყვის საბაღნაროში. მისმა „თვალადური ქართულის ჭაწიკმა“ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. გ. ნატროშვილი წერს: „ბევრს იქნებ გაუკვირდეს კიდევ — ასეთმა შესანიშნავმა პოეტმა და პროზაიკოსმა ფილოლოგისა და ლინგვისტის ტვირთი რაღად წამოიკიდაო; მაგრამ, ჯერ ერთი, გიორგი ძალიან ღონიერი იყო და თავისი ხიზანბარელისა, თუ თენგო ბიჭისა არ იყოს, მას ბევრის აწევა შეეძლო, მეორეც, მისთვის ესეც შემოქმედება იყო და სიტყვები თუ ძიებანი ამ სიტყვათა ასახსნელად, რომლებიც მან თვალადში მარგალიტებივით იპოვნა და დიდ ქართულ ენას მიუმატა, უღერენ, როგორც მისი საუკეთესო ლექსები... ის სალიტერატურო ქართულის ამ ანკარა სათავეებს ეძებდა და კარგადაც იცოდა, რომ ეს სათავე ხალხშია, მის წილშია; გიორგიმ ისტორია ძალიან კარგად იცოდა და ისიც იცოდა, რომ ქართული ენა, როგორც ყველა ენა მსოფლიოში, დაიბადა მიწაზე, დაიბადა ახალგატანილ კვალში, სათიბსა და ჯეჯილში, ვენახსა და მინდორში; დაიბადა ამ მიწაზე და მერე, ორი ათასი წლის მანძილზე ყველა უნივერსიტეტი და აკადემია გაიარა, მთელი ქვეყნის სიბრძნე და მეცნიერება აითვისა და, ამავე დროს, თავისი მიწისეული სინედლე, უშუალობა, თავისი შუქი და სიწმინდე არ დაკარგა!“

გიორგი ნატროშვილი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მემკვიდრეა. მისი მონოგრაფიები და ესეები, ეტიუდები და ნარკვევები ეძღვნება ქართული მწერლობის ყველაზე ამაღელვებელ პრობლემებს. აქ მკითხველის თვალწინ გაირბენენ ერის დიდების ქურუმთა ტკბილსახსოვარი სახელები, მათი თხზულებების ტიპებისა და ხასიათების შინაგანი სითბოთი და მიუღდგომლობით შესრულებული ანალიზებით. ყველაზე მწვავე სადღეისო საკითხებზე გამოთქმულია ავტორისათვის ჩვეული ნათელი აზრები. ძნელია, რას მიანიჭო უპირატესობა ამ თხზულებებში: თემის აქტუალობას, აზრის სიცხადეს, ენის ხატოვანებას თუ სამივეს ერთად, გ. ნატროშვილი გველენება ერის სულიერი კულტურის ფასეულობათა პირუთვნელ მსაჯულად, გონებრივი განსჯის მაღალოსტად, ტკბილქართულის ქომაგად. გ. ნატროშვილის

ქართული ჩვენი დედაენაა თავისი ძალითა და ენერგიით; მის ქმნი-  
ლებებში ერის საუნჯეა გამოტანილი მკითხველის სამსჯავროზე და  
მისი შეხედულებები აქ ღრმად კომპეტენტურია.

ჩემს წინ დევს ოთარ თურქიას ფოტოსურათი წარწერით — „რე-  
დაქტორი“. ესაა გიორგი ნატროშვილის ცნობილი ფოტოსურათი. რა  
ჩინაპული პოზაა დაკერილი! ამ სურათმა მოიარა ბევრი ორგანოს  
რედაქცია შინ და გარეთ. მას თვალი შეავლეს ჭაბუკმა და მსცოვანმა  
რედაქტორებმაც. ზოგ მათგანს კიდევ ენიშნა ფოტოობიექტივის მიერ  
ზუსტად აღბეჭდილი დამახასიათებელი შტრიხები. რედაქტორი! უც-  
ქერი ამ მშვენიერ ფოტოსურათს და ხედავ კეთილშობილ რედაქ-  
ტორს, მორიგ ავტორს რომ დინჯად ესაუბრება, მაგრამ უჭირს კირ-  
ვეული პაციენტის დარწმუნება, სათვალეები შუბლზე აუფარებია,  
ოფლი ღვართქაფად ჩამოსდის... ეს ნამდვილი გიორგი ნატროშვილია  
ცხოვრებაში, რედაქციაში, ყველაზე ბედნიერი რედაქტორი ჩვენში,  
ორი ათეული წლის განმავლობაში „ლიტერატურული საქართველოს“  
რედაქტორი, ამის ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში — „დროშის“  
რედაქტორი, ჩქარა ათი წლის განმავლობაში — „მნათობის“ რედაქ-  
ტორი. ძნელი ტვირთია რედაქტორობა. ავტორობა უფრო ადვილია,  
რადგან მას საქმე აქვს მხოლოდ მკითხველთან, რედაქტორობა კი —  
ორჯერ უფრო ძნელი, რადგან მას საქმე აქვს ორივესთან, ავტორთან-  
ნაც და მკითხველთანაც. ის ორივეს სულის ინჟინერი უნდა იყოს.  
ნამდვილად ძნელია რედაქტორობა. გიორგი ნატროშვილი დიდი სი-  
ფაქიზით წევს ამ მძიმე ტვირთს.

გიორგი ნატროშვილის სახელი ორი მხრითაა ჩემთვის ძვირფასი.  
ჯერ ერთი. მე მოწმე ვარ მისი შემოქმედებითი ძიების პირველნაბი-  
ჯებისა, რაც გადაიდგა უნივერსიტეტის კედლებში, სადაც მე და ის  
ერთ მერხზე ვისხედით და ერთად ვუსმენდით ქართული კულტურისა  
და მეცნიერების ქურუმთა ლექციებს; შემდეგ ასევე მოწმე ვარ მისი  
შოლვაწეობის ჰორიზონტის გაფართოების და შეუჩერებელი ზრდისა.  
ამიტომ გ. ნატროშვილის სახელი ჩემთვის ძვირფასია. მეორეც. დღეს  
ის არის ღირსეული მამულიშვილი, სახელგანთქმული მოღვაწე ქარ-  
თული კულტურისა, ფართო გეგმითა და გატაცებით რომ განაგრძობს  
სანუკვარ საქმეს და დიდი წვლილი რომ შეაქვს ერის დიდებისათვის  
ბრძოლაში. ეს კი მის სახელს საყოველთაო პატივისცემით ჰმოსავს.  
მის კალამს ენაგი არასოდეს მოედება. კაცურ კაცს სიბერე არ უწე-  
რია.

1980 წ.

## ახალი ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემის გამო

ქართულ ლექსიკოგრაფიას დიდი ტრადიცია აქვს. პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული ცნობარები ჩვენში ჯერ კიდევ ადრე, მწიგნობრობისა და მთარგმნელობითი მუშაობის განვითარების პირველსავე საფეხურებზე შექმნილა. ცალკე, ძნელად გასაგებ სიტყვათა განმარტება-სქოლიოებთან ერთად ჩვენამდის მოღწეულია ეფრემ მცირის მთელი განმარტებითი ლექსიკონი (XI ს.), რომელსაც ფასი არ დაედება. შუასაუკუნეებში საქართველოში თარგმნითი და განმარტებითი, მოგვიანებით ორენოვანი ლექსიკონებიც შექმნილა. XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში საბა ორბელიანმა ლექსიკოგრაფიის მთელი სკოლა ჩამოაყალიბა. მისი სწორუპოვარი „სიტყვის კონა“ ქართული კლასიკური ლექსიკოგრაფიის გვირგვინია, რომელიც მთელ ეპოქას ქმნის. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამას მოჰყვა ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“, ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში — დავით ჩუბინაშვილის „საუნჯე ქართულის ენისა“. ჩვენს ეპოქაში გამოცემული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (პროფ. ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით) კი შეჯამებაა ჩვენი მეცნიერების მრავალსაუკუნოვანი ძიებისა ქართული ლექსიკის შესწავლის დარგში.

ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენის პირველი ცდები ადრეც გვქონდა, მაგრამ უფრო თვალსაჩინო ეს ცდები ჩვენი საუკუნის ოციან წლებში გახდა. ქართველ ავტორებთან ერთად ამაში დამსახურება უცხოელ მეცნიერებსაც მიუძღვით. პირველ რიგში აქ უნდა დავასახელოთ გერმანელი მეცნიერის, პროფ. რიხარდ მეკელიანის, ქართულ-გერმანული ლექსიკონი (R. Meckelein, Georgisch-Deutsches Wörterbuch, Berlin und Leipzig, 1928), ერთ-ერთი ადრინდელი მშვენიერი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი.

ყველაზე დიდი დამსახურება ქართულ-გერმანული ლექსიკონის ახალი პრინციპებით შედგენაში პროფესორ კ. ჩხენკელს მიუძღვის.

პროფ. კ. ჩხენკელს ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრივობა მანამდისაც კარგად იცნობდა გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული ქართველოლოგიური შრომებით, რომელთა შორის განსაკუთრებულ ცხოველ

მეცნიერულ ინტერესს იწვევდა ორტომიანი „ქართული ენის შესავალი“ (Kita Tschenkéli, Einführung in die Georgische Sprache, band I, theoretischer teil (გვ. I-XIV, I-628); band II, praktischer teil (გვ. I-614). Zürich, 1958), ილუსტრირებული უხვი და გემოვნებით შერჩეული მასალით. კ. ჩხენკელის ამ კაპიტალურმა ნაშრომმა გერმანულ და დასავლეთის სამეცნიერო წრეებს დაწვრილებით გააცნო ქართული ენის ფონეტიკური სისტემა, მორფოლოგიური და სინტაქსური წყობის ძირითადი პროცესები. ამიტომ სრულიად არ იყო შემთხვევითი, რომ „ქართული ენის შესავალმა“ გამოსვლისთანავე მიიქცია ყურადღება და დასავლეთის სამეცნიერო წრეებში ფართო გამოძახილი გამოიწვია: მშვენიერი რეცენზიები დაიბეჭდა მის შესახებ საერთაშორისო ლინგვისტურ ჟურნალებსა და გამოცემებში. ამ ნაშრომს, სხვათა შორის, განთქმულმა ჩეხოსლოვაკელმა ქართველოლოგმა, აწ განსვენებულმა პროფესორმა ი. იედლიჩკამ უძღვნა ბრწყინვალე წერილი, რომლის ქართული თარგმანი ჟურნ. „მნათობში“ დაიბეჭდა.

კ. ჩხენკელმა, როგორც ცნობილია, ციურჩხის უნივერსიტეტში (შვეიცარია) შექმნა ქართველოლოგთა სკოლა, აღზარდა ნიჭიერი მოწაფეები, შეასწავლა მათ ქართული ენა და ლიტერატურა, გააცნო ჩვენი ხალხის ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა. განსვენებული მეცნიერის მოწაფეთა შორის პირველ რიგში დაწინაურდნენ შვეიცარიელი ნიჭიერი ქალები, იოლანდა მარშვეი, ლეა ფლური და რუთ ნოიკომი, რომელთაც შეისწავლეს და დედაენასავით შეიყვარეს ქართული ენა. კ. ჩხენკელის თაოსნობით ქართველოლოგიის პროპაგანდის მიზნით ციურჩხისში შეიქმნა მთელი დაწესებულება — „ამირანი — ფერლაგ“ (ამირანის გამომცემლობა), სადაც ითარგმნა გერმანულ ენაზე და გამოიცა ქართული კლასიკური ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები („ვისრამიანი“, პროზის ნიმუშები და სხვ.). ხსენებული გამომცემლობა 1960 წელს შეუდგა პროფ. კ. ჩხენკელის ახალი ქართულ-გერმანული ლექსიკონის ბეჭდვას ცალკე ნაკვეთების სახით, უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა კაპიტალური შრომის ექვსი მონაკვეთი და პროფ. კ. ჩხენკელი 1963 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. ავტორის სიკვდილით თითქოს შეწყდა მისი ფართო გეგმით მოთქმებული ლექსიკონის შემდგომი ნაკვეთების გამოცემა.



საბედნიეროდ, დაწყებული გამოცემა ოდნავ შეფერხდა მხოლოდ, მაგრამ არ შეჩერებულა. მასწავლებლის საქმე მოწაფეებმა განაგრძეს, მთელი მასალის გადამუშავება და გამოსაცემად მომზადება კ. ჩხენკელის საუკეთესო მოწაფემ, პროფ. იოლანდა მარშევი ითავა, ამ დიდ საქმეში მას ხელი შეუწყო ქართული ენისა და სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ცოდნამ და ქარველოლოგიაში ფართო განსწავლულობამ. და აი, 1964 წელს განახლდა ლექსიკონის ბეჭდვა, გამოვიდა ლექსიკონის მორიგი, მეშვიდე, ნაკვეთი, გადამუშავებული იოლანდა მარშევის მიერ („Kita Tschenkeli, Georgisch-Deutsches Wörterbuch, Bearbeitet von Jolanda Marchev“) გამოცემა დასავლეთის სამეცნიერო წრეები აღფრთოვანებით შეეგებნენ.

ლექსიკონის მეშვიდე ნაკვეთის გამოსვლასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილებიდან შევითქვით იმ უანგარო ამაგის შესახებ, რაც შევიცარიის სამეცნიერო საზოგადოებრივობამ დასდო კ. ჩხენკელის მიერ დაწყებული საქმის წარმატებით დამთავრებას. ამ მიზნით შევიცარიის სწავლულთა საზოგადოებრივობას შეუქმნია სპეციალური სამეურნეო კომიტეტი, კურატორიუმი, პროფ. ერნს რიშის (თავმჯდომარე), პროფ. მანუ ლოიშანისა და პროფ. გეორგ რედარდის შემადგენლობით. კურატორიუმს გამოუძებნია სახსრები ლექსიკონის გამოცემის დასაფინანსებლად და განსვენებული მეცნიერის მასალების ხელმეორედ გაცხრილვა-გადამუშავება პროფ. იოლანდა მარშევისათვის მიუზღვია.

ლექსიკონის მომდევნო ნაკვეთების ბეჭდვა ახლა შეუფერხებლად გრძელდება. ქ-ნი იოლანდა მარშევი და მისი კოლეგები, ჩანს, ენერჯიას, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ დაწყებული დიდი საქმე სრული წარმატებით დაგვირგვინდეს. კაცს ხიბლავს მათი რუდუნება. 1965 წლიდან წელიწადში გამოდის ორი ნაკვეთი ექვს-ექვსი სასტამბო თაბახის მოცულობით. უკვე გამოსულია 18 ნაკვეთი. რაც 1690 გვერდს შეიცავს. ბოლო, 18-ე ნაკვეთი (ქ, ლ, ყ: ყიდულუყიდ-ამდის), რომელიც 1970 წლის პირველი ნახევარში გამოიცა, ამასწინათ მივიღეთ. დანარჩენი მასალა (შ, ჩ, ც, ძ, წ, ჯ, ხ, ჯ, ჰ), რასაც ალბათ შეიძლია ნაკვეთი კიდევ დასჭირდება, მზადდება დასაბეჭდად. ლექსიკონი იბეჭდება საუკეთესო ხარისხის ქალაღზე, ქართული შრიფტი

(ლოერი და შავი) შერჩეულია კარგად, პოლიგრაფიულად ასე რთული წიგნის ტექნიკური რედაქცია უნაკლოა.

ქართველი მკითხველი, ბუნებრივია, ღრმა მადლიერებისა და დიდი პატივისცემის გრძნობით მოიხსენებს შვეიცარიელ მეცნიერთა ასე ზრუნვას ჩვენი თანამემამულე, უდროოდ გარდაცვლილი, ავტორის ნაშრომის გამოცემაზე. ისტორიამ ცოტა იცის ამის მსგავსი მაგალითი.

ქართულ-გერმანული ლექსიკონის ნაკვეთების გამოსვლას, როგორც ითქვა, დიდი მოწონებით შეხვდნენ დასავლეთის სამეცნიერო ორგანიზაციები. გამოქვეყნდა ბევრი რეცენზია და ანოტაცია. გამოცემას მალაღობა შეუფასებდა მისცეს ცნობილმა უცხოელმა ქართველოლოგებმა: პროფ. რენე ლაფონმა (საფრანგეთი), პროფ. დ. ლენგმა (ინგლისი), პროფ. ი. ასფალგმა და პროფ. კ. ჰ. შმიდტმა (გერ), პროფ. კ. ბუდამ (ესპანეთი), პროფ. ჯ. გარიტმა (ბელგია), პროფ. უ. ტ. ჰოლმესმა (აშშ) და სხვ. ქართული ენისა და კულტურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი. მ. მამულაშვილი, სავსებით სწორად აღნიშნავდა: „კ. ჩხენკელის ქართულ-გერმანული ლექსიკონი, მისივე „ქართული ენის შესავალი-თან“ ერთად, ჩვენი ენით, ქართველოლოგიითა და, საერთოდ, კავკასიოლოგიით დაინტერესებული ყველა უცხოელის სამაგიდო წიგნი გახდა. ამ ნაშრომებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი ევროპისა და ამერიკის არაერთი დიდი ბიბლიოთეკის თაროებზე. საყურადღებოა, რომ ამერიკელმა პროფესორმა სოლანომ ქართული ენა სწორედ კ. ჩხენკელის ამ ნაშრომთა დახმარებით შეისწავლა“ („თბილისი“, 10.XII.69).

რითაა შესანიშნავი კ. ჩხენკელის გერმანულ-ქართული ლექსიკონი: რა უმთავრესი მეცნიერული ღირსებები აქვს მას?

ქართულ-გერმანული ლექსიკონი მრავალმხრივ საინტერესო ორიგინალური ნაშრომია და მისი საბოლოო შეფასება, ცხადია, შესაძლებელია მხოლოდ გამოცემის დამთავრების შემდეგ. აქ მხოლოდ წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ ლექსიკონის ზოგიერთი არსებითი ღირსება, რითაც მან სპეციალისტთა დამსახურებული ინტერესი და საყოველთაო მოწონება გამოიწვია. შეეჩერდებით მხოლოდ ორიოდ მათგანზე.

უწინარეს ყოვლისა ლექსიკონი ყურადღებას მასალის სიუხვით იპყრობს. სხვა ორენოვანი ლექსიკონი, რომელშიაც ქართული მასალა ასე უხვად და ნაირფეროვნად იყოს წარმოდგენილი, ჩვენ არ გვეგულებს. მასალის ასე გაწყობა და ჩვენება საშუალებას აძლევს ქართული ენის არა მცოდნეს, შეისწავლოს არა მარტო ლექსიკა ჩვენი ენისა,

რაც უპირველესი დანიშნულებაა ლექსიკონისა, არამედ რამდენადმე გაითვალისწინოს სიტყვათა ცვალებადობის წესებიც. ნაჩვენებია სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების არსებითი თავისებურებანი, რამდენადაც ეს მოსახერხებელი და ასატანია ლექსიკონის ჩარჩოებში. ლექსიკურ ერთეულთა ასე გამართვას და განმარტებას, ბუნებრივია, სპირდებოდა ორივე ენის — ქართულისა და გერმანულის — ლექსიკონსა და სტრუქტურული სისტემის ჩვენების მეთოდის ზედმიწევნით ცოდნა. ამ მიზრით, უნდა ითქვას, ლექსიკონი მართლაც სანიმუშოა.

სწორადაა წარმოჩენილი გასამარტავ სიტყვათა სტრუქტურული მოდელი, ბრუნებისა და უღლების სისტემის სემანტიკური მხარე, ფუძეთა წარმოების თავისებურებანი. ყველა ლექსიკური ერთეულის ძირი, მარტივი თუ რთული ფუძე, ისეა გამოყოფილი, რომ მკითხველს გრძნობს ფუძის შედგენილობას და თვალსაჩინოდ ხედავს სიტყვის ცალკე ელემენტებს. ძირი, როგორც წესი, ყოველთვის გამოყოფილია შავი შრიფტით. მკითხველს საშუალება აქვს, ზუსტად გაითვალისწინოს თავსართ-ბოლოსართები, სიტყვის ფუძისა და ძირის ვითარება და მოდიფიკაცია მორფოლოგიურ კატეგორიათა მიხედვით. მასალის ასე ჩვენება მკითხველს შესაძლებლობას აძლევს სწორად გაიაზროს სიტყვის სტრუქტურულ ელემენტთა ურთიერთობა, ფუძეთა მოდელირების სისტემა, ფუძის კუმშვა, კვეცა, ფონემათა კომბინაცია, სიტყვის სწორი ეტიმოლოგია.

სანიმუშოდ ავიღოთ რამდენიმე სიტყვა უ ასოს მასალიდან. ცნობილია, რომ ამ ასოზე ბევრია - უ უარყოფითი პრეფიქსით წარმოქმნილი ფუძე. აი, როგორ გამოიყურება წარმოქმნილი ფუძეები ლექსიკონში: უხმარი, უხმარებელი, უხმარებლად, უხმარობა... უხარში, უხარშავი, უხარშელა... უძრახავი, უძრახველი, უძრახველი... თითოეული ლექსიკური ერთეულის ძირი, როგორც ჩანს, შავი შრიფტითაა გამოყოფილი და თვალსაჩინოა სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა. აღვიღებთ მისი ეტიმოლოგიური ანალიზი. ამასთან ყველა ერთეულს ზუსტი გერმანული თარგმანი ახლავს.

ასევე თვალსაჩინოადაა ნაჩვენები ზმნა. ცნობილია, რომ ქართულა ზმნის რთულ სტრუქტურული მოდელი აძნელებს მის ყოველმხრით ასახვას ლექსიკონში. არა თუ თარგმნით, ჩვეულებრივ განმარტებით ლექსიკონშიაც კი ძნელი ხდება ქართული ზმნის სემანტიკის ყოველმხრით ჩვენება. ამიტომ ლექსიკოგრაფოსები ამ მიზნით სხვადასხვა ხერხს იყენებენ სამეთაურო სიტყვად გამოაქვთ ხან საწყისი, ხან მიძლეობა ან, ზოგჯერ, თვით პირიელი ფორმებიც კი. კ. ჩხენკელის ლექსიკონში ზმნის სამეთაურო სიტყვად აღებულია მხოლოდ საწყისი და

იმავე ბუდეში წარმოდგენილია მწკრივთა პარადიგმები, შესაბამისი სტრუქტურული კატეგორიები. აი, ამის რამდენიმე ნიმუში.

ამპარტავან ფუძიდან: ამპარტავნობა, ვამპარტავნობ, ვიამპარტავნებ, ვიამპარტავნე, მიაამპარტავნია; ამპარტავნება, ვამპარტავნებ, გავამპარტავნე, გამიაამპარტავნებია; ვამპარტავნდები, გავამპარტავნდნი, გავამპარტავნებულვარ...

უძლურ ფუძიდან: უძლურობა, ვუძლურობ, უძლურება, ვაუძლურებ, დავაუძლურებ, მოვაუძლურებ, ვაუძლურე, მიუძლურებია, დავიუძლურე, დამიუძლურებია, ვუძლურდები, დავუძლურდები, მოვუძლურდები, დავუძლურდი, დავუძლურებივარ...

ფენ||ფინ ძირიდან: ფენა, ვფენ, გავფენ, გამოვფენ, გადავფენ, გარდავფენ, გადმოვფენ, დავფენ, მივფენ, მიმოვფენ, მოვფენ, შევფენ, ჩავფენ, ვფინე, მიფენია, ვაფენ, ამოვაფენ, გავაფენ, გამოვაფენ, გადავაფენ, გადმოვაფენ, დავაფენ, მოვაფენ, შევაფენ, შემოვაფენ, ვაფინე, მიფენია, ვიფენ, ამოვიფენ, გავიფენ, გადავიფენ, დავიფენ, მივიფენ, შევიფენ, ჩავიფენ, წავიფენ, ვიფინე, მიფენია, ვუფენ, ამოვუფენ, გავუფენ, გამოვუფენ, გადაუფენ, დავუფენ, მოვუფენ, შემოვუფენ, ვუფინე, მიფენია, ვაფენ, იფინება, გაიფინება, გამოიფინება, გადმოიფინება, დაიფინება, მოიფინება, შეიფინება, ჩაიფინება, -იფინა, -ფენილა, ეფინება, აეფინება, ამოეფინება, გაცეფინება, გამოეფინება, გადაეფინება, გადმოეფინება, დაეფინება, მიეფინება, მიმოეფინება, მოეფინება, შეეფინება, ჩაეფინება, ჩამოეფინება, -ეფინა, -(ჰ)ფენია, ეფინება, აეფინა, ამოეფინა, გაეფინა, გამოეფინა, გადაეფინა, გადმოეფინა, დაეფინა, მიეფინა, მიმოეფინა, შეეფინა, შემოეფინა, ამოეფინა, ჩაეფინა, ჩამოეფინა, აფენია, უფენია...

ლექსიკონში ზმნის თითქმის ყველა შესაძლებელი ფორმა ერთ ბუდეშია წარმოდგენილი და იქვეა მოცემული მათი გერმანული თარგმანი.

ასეა გაწყობილი ზმნის ფუძეთა დიდი უმეტესობა და აქედან ქართული ენის არცოდნე მკითხველს, როგორც ითქვა, საშუალება ეძლევა, სწორად გაერკვეს ზმნის ფორმათა წარმოებასა და ლექსიკურ ღირებულებაში.

სანიმუშოდ ფასოს მასალას თუ ავიღებთ (ნაკვ. 16 და 17, გვ. 1438—1529), აქ ასეა ნაჩვენები ზმნათა ფუძეები პარადიგმებითურთ: ფათურ, ფათქუნ, ფაკლ, ფალ, დამფალ, ფანდალ, ფანტ, ფანტაზიორ, ფანცქალ, ფარ, ფარგლ||ფარგვლ, ფარდ, ფარდაგ, ფარეშ, ფართო||ფართოვ, ფართქალ, ფართხალ, ფარისეველ, ფარფარ, ფარფატ, ფარფაშ, ფარშ, ფარჩხ, ფარცხ, ფას, ფატ(ვ)რ, ფაფუკ, ფაფხურ, ფაქიზ, ფალარად, ფაშ||ფაშვ, ფაშრ||ფაშვრ, ფაჩუნ, ფაციც, ფაცუნ, ფაცურ,

ფას, ფახფუხ, ფახურ, ფევიფი, ფეთ, ფეთიან, ფეთქ, ფენიფინ, ფერ (ფერვა), ფერ (ფერება), ფერ (შეფერება), ფერად, ფერადოვან, ფერდ, ფერთხ, ფერმკრთალ, ფერფ(ვ)ლ, ფერცხ, ფერხ, ფესვიან, ფეფქ, ფეშ-ხო(ვ), ფეხვ, ფეხმარდ, ფითრ, ფითხნ, ფილოსოფოს, ფილტ(ვ)რ, ფინანს, ფინაჩ, ფის, ფიტ, ფიფინ, ფითქ, ფიქ(ვ)ლ, ფიქრ, ფიქრიან, ფიშ-ფიშ, ფიჩინ, ფიჩხ, ფიც, ფიცრიფიცერ, ფიცხ, ფიწლიფიწვლ, ფლიფვლიფალ, ფლავ, ფლანგ, ფლატ, ფლაშუნ, ფლეთიფლით, ფლიდ, ფოთარ, ფოთიალ, ფოთლიფოთვლ, ფოთნ, ფოკუს, ფოლ, ფოლად, ფოლხვ, ფომფლიფომფლევ, ფონ, ფორ, ფორეჯ, ფორთხვ, ფორიალ, ფორიაქ, ფორმ, ფორფოტ, ფორხ, ფორხილ, ფოფინ, ფოფრიფოფერ, ფოფხ, ფოც, ფოხიალ, ფრანტ, ფრატუნ, ფრენიფრინ, ფრდიან, ფრთო-ვან, ფრთქვენსიფრთქვინ, ფრთხიალ, ფრიალ, ფრუტუნ, ფრქვ, ფრჩხილ, ფსკე(ენ), ფუთ, ფუთნ, ფუთფუთ, ფულიფუვილიფულიფუვ, ფუკ, ფუნდრუკ, ფურთხ, ფურტან, ფურთუ, ფურფუე, ფურჩქ(ენ), ფურჩხნ, ფურცილიფურცილ, ფუსფუს, ფუტან, ფუტარიფუტარ, ფუფუნ, ფუფქ, ფულ(ვ)რ, ფულური(ვ), ფუყ, ფუშ, ფუჩეჩ, ფიცქ, ფურცხუნ, ფუძნ, ფუქ, ფუხფუხ, ფქვ, ფქვილ, ფშეკიფშეკი, ფშვენ, ფშვენტიფშენტი, ფშრუკ, ფშრუკუნ, ფშრუტუნ, ფშუტ, ფშვენ(ენ), ფჩენიფჩინ, ფცქ(ენ), ფხავ, ფხაკუნ, ფხაკურ, ფხან, ფხატ, ფხაკნ, ფხაკუნ, ფხეკიფხეკი, ფხვი-ერ, ფხენიფხვენ, ფხვილიფხვი, ფხიან, ფხიზლ, ფხლაკნიფხლაკენ, ფხოს, ფხოტ, ფხოკნ, ფრეწიფხრიწ, ფხუკიან.

ზმნის ფუძეთა ასე დალაგება, ანალიზი და თარგმანი არა მარტო მათ ლექსიკურ-სემანტიკურ ღირებულებას გვაჩვენებს, არამედ წარმოდგენას გვაძლევს ზმნის ახალ ფუძეთა წარმოქმნის პროცესზე, ამ პროცესის ლექსიკურსა და მორფოლოგიურ საფუძველზე. ლექსიკონის ამ თავისებურებას თეორიულ ინტერესთან ერთად ფრიალ მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოყენება აქვს.

მასალა ლექსიკონისა შეფარდებულია ქართული ენის დიდ განმარტები თლექსიკონთან, რომელიც პროფ. ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოიცა (ტტ. I—VIII, თბ., 1950—1964). აქედანაა უპირატესად ამოკრებილი ლიტერატურული და დიალექტური (კუთხური) სიტყვანი, ოღონდ რამდენადმე გადამუშავებული სახით. გადამუშავებას გამოუწვევია ლექსიკურ ერთეულთა ოდენობის მნიშვნელოვნად შეკუმშვა, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მაგალითად, იმავე ფ ასოზე 2380-მდის ერთეულია დამოწმებული, ქართულ-გერმანულ ლექსიკონში კი 1580-მდის ერთეული. სხვაობა, ცხადია, საგრძნობია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს სიტყვათა მექანიკურ გამოტოვებას კი არა, მასალის თავისებურად გადამუშავებას გამოუწვევია. წარმოქმნილ სი-

ტყვათა დიდი ნაწილი ძირეულთან ერთადაა შეტანილი ერთ ბუდეში, ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები, ჩვეულებრივ, ცალ-ცალკეა გამოტანილი სამეთაურო ერთეულებად, ასევე ზმნის ფუძეები ქართულ-გერმანულ ლექსიკონში ერთ ბუდეშია მოქცეული პარადიგმებითურთ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ზმნის წარმოქმნილი ფუძეები ცალკე ერთეულებადაა გამოტანილი და ა. შ. ამათ ისიც უნდა ღაგმატოს, რომ კ. ჩხენკელის ლექსიკონში უცხოური წარმავლობის სიტყვები შემცირებულადაა აღბეჭდილი. ყოველივე ამის გამო, ცხადია, ლექსიკურ ერთეულთა ოდნობა, აქ ნაკლებია, ვიდრე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მაგრამ ენის ლექსიკა მაინც შედარებით კარგადაა ასახული.

ქართულ-გერმანულ ლექსიკონში საზოგადო სახელებს, ზმნებისა და ფორმაუცვლელ სიტყვათა სისტემასთან ერთად რამდენიმე ანთროპონიმიც გვხვდება. ფ ასოზე, მაგალითად, დამოწმებულია ფარნოზი, ფარსადანი, ფეშანგი, ფილიპე, ფრიდონი. ანალოგიური მასალა სხვა ასოებზეც ასევეა აღბეჭდილი. მაგრამ ნათელი არ არის, თუ რა პრინციპითაა შერჩეული ანთროპონიმები. თუ ეს ანთროპონიმები მიჩნეულია ქართულად, მაშინ სხვა მათგანმა რაღა დააშავა? ჩვენში ხომ ისტორიულად იყო და დღესაც ათასობით წმიდა ქართველური წარმოშობის ანთროპონიმია ხმარებაში? აქ დასახელებული ანთროპონიმები ტრადიციულად კი იხმარებოდა ჩვენში, მაგრამ მათ ქართულად მაინც ვერ მივიჩნეთ: ისინი სხვადასხვა ეპოქებშია შეთვისებული სხვადასხვა ენებიდან, რომლებთანაც ჩვენს ენას კონტაქტები ჰქონია. თუ ავტორს მხოლოდ ქართული წარმოშობის ანთროპონიმთა სისტემის ჩვენება სურდა (ეს, ცხადია, ურიგო როდი იქნებოდა!), მაშინ აჯობებდა პირველ რიგში ნამდვილად ქართველური მასალა შეგვერჩია და შეგვეკრიბა უფრო სრულად. გავისხენოთ, გნებაეთ, სწორედ იმავე ფ ასოზე რა საკუთარი სახელებია დამოწმებული ქართულ წყაროებში (ფაზია, ფალგოზი, ფალეგ, ფანდო, ფანეულ, ფანჯა, ფარაგ, ფარაზა, ფარჯუკ, ფასუკ, ფაფილა, ფალაურა, ფეჯა, ფიდარო, ფილევან, ფინეზ, ფიფი, ფიცხელა, ფოკა, ფორთოხ, ფოცხვერა, ფროდი, ფუინჩი, ფუნჩა, ფუჩე, ფუხუ და მისთ.). რითი შეიძლება გამართლდეს აგრეთვე ის გარემოება, რომ ლექსიკონში დამოწმებულია მარტო მამაკაცთა სახელები? ღედაკაცთა სახელებმა რაღა დააშავეს?

ლექსიკონს სხვა, უფრო არსებითი ნაკლიც, აქვს, მაგრამ მათზე შეჩერება საჭიროდ არ მიგვაჩნია. მთლიანად ჩვენს წინ ბევს შესანიშნავი თანამედროვე ლექსიკონი. და განა ასეთი რთული შრომა უნაკლოდ შესრულდებოდა? მოვიგონოთ დიდი საბას აღსარება: „ერთისა

და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნელიაო!

ახალი ქართულ-გერმანული ლექსიკონი მეცნიერების ნამდვილად მნიშვნელოვანი შენაძენია. მკითხველი ღრმა მადლობის კრძნობით ეცნობა მას. ქვეშაირიტად, ჩვენი ხალხის მეგობრები, ძვირფასი ცაცრბელი კოლეგები საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ. ქართველი საზოგადოებრიობა ღრმად აფასებს მათ ამაგს და თავისი გულითადი პატივისცემა მან გამოხატა კიდევ პროფ. იოლანდა მარშეის, ლეა ფლურისა და რუთ ნოიკომის მიმართ მათი საქართველოში სტუმრობის დროს. ღიად სასურველ სტუმრებს ყველგან სიყვარულით ხედებოდნენ, ალტაცებით უსმენდნენ მათ სამახსოვრო გამოსვლებს ქართულ ენაზე ტელევიზიით. რადიოთი, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, პრესაში. შვეიცარიელ მეგობარ ქალთა სახელება ჩვენში ახლა ასე ფართო პოპულარობით სარგებლობენ. ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ, ასევე წრფელი გულითა და პატივისცემით მივიღოთ ძვირფასი მეგობრები, შესანიშნავი შვეიცარიელი ქართველოლოგა ქალბატონები, რომელთა უანგარო საქმიანობა, ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემაზე გაწეული შრომა და რუდუნება გადაეცემა შთამომავლობას, როგორც უქცნობი მაგალითი, ორი ხალხის მეცნიერთა გულითადი მეგობრობის ისტორიის ბრწყინვალე ფურცლები.

1971 წ.

## ისევ ორ ლომთან

პირველად ეს ეგვიპტური სფინქსები ნახევარი საუკუნის წინათ ენახე, სწორედ ერგასისის წლის წინათ, როცა ნევისპირა ქალაქს მეცნიერებაში თვალის ასახელად ვესტუმრე. მართოდ ვიდექი უნივერსიტეტის სანაპიროზე დადგმული ორი ლომის სფინქსებთან და გავტყუროდი საოცარ პანორამას: ჩემ წინ გადაშლილი იყო მდორე ნევა, მარჯვენით — ისაკის ტაძრის მომაჯადოებელი კოლონადა, თითქოს ცაში გაფრენილი „ბრინჯაოს მხედარი“, საადმირალოს მოოქროვანი შპილი, სასახლის მოედანზე აღმართული ალექსანდრეს მონუმენტური სვეტი, ერმიტაჟის ხელთუქმნელი ანსამბლი, მარცხნივ კი — ძველი უნივერსიტეტის თეთრი არშიებით მორთული ყავისფერი კორპუსები, ბირჟის თვალმომპრელი მოედანი და პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის ოქროცურვილი სილუეტები. ვისაც ეს განმაცვიფრებელი პანორამა საკუთარი თვლით არ უნახავს, გაუჭირდება პეტერბურგის დიდებულა არქიტექტურის სილალისა და გაქანების წარმოდგენა.

ნევის ქალაქმა საშინელ განცდას გაუძლო. ფაშისტი ბარბარო-სები უმოწყალოდ ბომბავდნენ მშვენიერ ქალაქს. მაგრამ მან გმი-რულად გაუძლო მრავალწლიან ბლოკადას, გადაარჩინა უძვირფასესი მუზეუმები, არქიტექტურის ხელთუქმნელი ძეგლები, მოიშუშა მძიმე ჭრილობები. ომის შემდგომ კიდევ უფრო დამშვენდა ქალაქი. აშენდა ახალი რაიონები. პეტროგრადი იყო და არის მუზეუმების, ძეგლების, ზეგობრობის, სილამაზის განუშეორებელი ქალაქი. აქ ორგანულადაა შერწყმული ძველი და ახალი.

არა თუ იმ დროს, როცა დამოუკიდებლად თვალებს ვახელდი, დღე-საც, როცა უკვე ამ თვალების დახუჭვაა მოახლოებული, წინაპართა ნაკვალევზე სიარული ისეთივე სიამოვნების მომგვრელია, როგორც მაშინ იყო. ისევ ორ ლომთან ვდგავარ. დიდი ხანი გავიდა, მას შემდეგ რა არ გადახდა ქალაქს, მაგრამ დღესაც ყველაფერი ისეა, თითქოს არაფერი შეცვლილა. შვეცკერი ეგვიპტის ხელოვნების შედევრს, აქ რომ ასე მდუმარედ დგას და მნახველი მუდამ ეხვევა. ახლა მარტო არა ვარ. ჩემთან შეილიშვილებიც არიან, რუსუდანი რაღაცას იხატავს, ხათუნა კი წარწერას კითხულობს: ... «перевезен в град святого Петра в 1832 году»... მაგონდება აკად. ვ. სტრუვეს ნაამბობი: ჩემი პირველი სამეც-ნიერო ნაშრომი ამ სფინქსების იეროგლიფების ამოშიფვრას მიეძღვნა, გამოკვლევამ მოწონება დაიმსახურაო.

ვის არ ჩაუვლია უნივერსიტეტის ხალხმრავალ სანაპიროზე და ვისი ყურადღება არ მიუპყრია ორ ლომს? აქ შეჩერებულან საქართ-ველოს მომავალზე მეოცნებე სტუდენტები ილია და აკაკი, დავით ჩუბინაშვილი და ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი და ექვთიმე თა-ყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი და შალვა ნუცუბიძე, იოსებ ყიფშიძე და სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო მუს-ხელიშვილი და ევგენი ხარაძე, იუსტინე აბულაძე და სარგის კაკაბაძე, გიორგი ჩიტაია და ვუკელ ბერიძე, იუსტინე ჯანელიძე და ავლიპი ზუ-რაბაშვილი, ძმები დონდუები, სერგი ჭიქია და გიორგი წერეთელი, კრტა მეგრელიძე და ვლადიმერ ფუთურიძე, ილია ვეკუა და ვიქტორ კუპრაძე, გიორგი ხარატიშვილი და გიორგი ზარიძე, ლევან ჯაფარიძე და თამარ კეზელი, ვანო შადური და გიორგი ტალიაშვილი. ამ სანაპი-როთი მიიჩქაროდნენ უნივერსიტეტში ნიკო მარის ლექციებისა და ლევ შჩერბის სემინარების მოსასმენად, ენისა და აზროვნების ინსტი-ტუტის კავკასიური კაბინეტის სხდომებზე დასასწრებლად „ოცდაათია-ნი წლების თერგდალეულები“ მიხეილ ჩხაიძე და შოთა ძიძიგური, იოსებ მეგრელიძე და სერგი ჟღენტი, ელენე ვირსალაძე და მაკარ ხუბუა, მიხილ ჩიქოვანი და ამ სტრიქონების ავტორი.



ნევისპირა ქალაქმა და მისმა სამეცნიერო ცენტრებმა დიდი როლი ითამაშეს ჩვენი ეროვნული კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა თაობების აღზრდაში. დიდი ქალაქი რევოლუციამდელი მეცნიერული ქართველოლოგიის ერთ-ერთი უპირველესი კერა იყო. პირველად სწორედ აქ ჩაისახა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ცხოველმყოფელი იდეა, რომლის განხორციელება ისტორიამ ივანე ჯავახიშვილსა და პატრიოტ მეცნიერთა იმ შესანიშნავ გუნდს დააკისრა, მისი შთაგონებითა და წინამძღოლობით რომ მოქმედებდა.

ნევისპირა ქალაქთან ბევრი მოგონება მაკავშირებს. ამჯერად მხოლოდ ორ მოვლენას გავისხენებ.

პირველი გახსენება კიბა მეგრელიძის შრომების გამოჩენას ეძღვნება. ეს ნამდვილი სენსაცია იყო. პროფესორი კიბა მეგრელიძე, ჩვენი დროის შესანიშნავი ფილოსოფოსი, ქართულ უნივერსიტეტში აღიზარდა, სწავლა გერმანიაში განაგრძო, ხოლო ოცდაათიანი წლების დასაწყისში ცნობილი ენისა და აზროვნების ინსტიტუტში მოღვაწეობდა. მახსოვს, მისი მოხსენებების ციკლმა, რომელიც ფილოსოფიისა და ენის მწვევე პრობლემებს ეხებოდა, ცხოველი ინტერესი გამოიწვია როგორც ფილოსოფოსთა, ისე ლინგვისტთა წრეებში. მოხსენებებს იმ პერიოდის ყველაზე გამოჩენილი ფილოსოფოსები და ლინგვისტები ესწრებოდნენ. წამოყენებული დებულებები ცხარე მსჯელობის საგნად ხდებოდა. ყველას ერთსულოვნად მიაჩნდა ახალი შეხედულებების პერსპექტიულობა. საზოგადოებრიობამ ასევე შეაფასა მეცნიერის ნარკვევები, რომლებიც ფილოსოფიურსა და ლინგვისტურ ორგანოებში იბეჭდებოდა. მთლიანი მონოგრაფიის გამოქვეყნება მაშინ ვეღარ მოეცა. ავტორის სიკვდილის შემდეგ მონოგრაფიის მხოლოდ ნაწილი გახდა ცნობილი მკითხველისათვის იოსებ მეგრელიძის რუდუნების წყალობით. ამ ცალკე წიგნად დაბეჭდილმა ნაწილმა კი, როგორც ცნობილია, მსოფლიო აღიარება გამოიწვია. კიბა მეგრელიძის თეორიული კონცეფცია სიახლე იყო ფილოსოფიური და ლინგვისტური აზრის განვითარებაში. მან მყარი თეორიული საყრდენი მოუძებნა ენის ფილოსოფიის ძირეულ ასპექტებს, რაც ქართველი მეცნიერის საშურა წარმატება გახლდათ.

მეორე გახსენება ნიკო მარს ეხება. ოცდაათიანი წლების დასაწყისში ნიკო მარის იაფეტური თეორია ცხარე მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. მე ამ მსჯელობას ტუნგუსეთის მეტეორიტის გამო გამართულ დაუსრულებელ კამათს ვადარებ. იაფეტური თეორია ლინგვისტურ პორიზონტზე სწორედ ტუნგუსეთის მეტეორიტის ჩამოვარდნას ჰგავდა. მისი ცალკე დებულებები კამათს კი იწვევდა, მაგრამ ახალი თეორიის მამამთავრის სახელსა და ავტორიტეტს ყველა ერთსულო-

ვნად პატივს სცემდა. ნ. მარი სულისჩამდგმელი იყო მკავალი მეცნიერული წამოწყებისა. გახლდათ ენისა და აზროვნებას ინსტიტუტის, მსოფლიოში ზოგადი ენათმეცნიერების პირველი ინსტიტუტის, დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი, მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიის დამაარსებელი და უცვლელი პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, მთელი რიგი სამეცნიერო ორგანიზაციების ფუძემდებელი. მის ინსტიტუტში ერთად მოღვაწეობდნენ როგორც მოწაფეები და თაყვანისმცემელნი, ისე, რაც საგულსხმოა, იაფეტური თეორიის მოწინააღმდეგენი. აქ, ნ. მართან ერთად, მუშაობდნენ, მაგალითად, ლ. შჩერბა, ს. ობნორსკი, დ. ბუბრიხი, რომლებიც სრულიად არ იზიარებდნენ იაფეტურ თეორიას, მაგრამ მის თეორეტიკოსს ღრმად პატივს სცემდნენ. თეორიულ მოწინააღმდეგეებთან ერთად მუშაობა და საერთო საქმის წარმართვა ნ. მარის სტიქია იყო. კრიტიკა მას თეორიის მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა, დოგმატიზმი და რუტინა — დამღუპველად. სამწუხაროდ, ეს გარემოება არ აღმოჩნდა გათვალისწინებული ორმოცდაათიანი წლების „თავისუფალ დისკუსიაში“, რომელმაც, ავად დასახული მიზნის გამო მოსალოდნელი შედეგი ვერ მოგვცა იმ მხრით, რომ ერთგვარად შეზღუდა შემოქმედებითი აზრის განვითარება, გააბატონა დოგმატიზმი, კარი გაუღო დასავლეთიდან შემოჭრილ მოდურ ბურჟუსს, რომლის გაფანტვა თეორიულ ენათმეცნიერებაში ჯერაც ვერ მოხერხებულა. ეს ნამდვილად აღსანიშნავი გარემოებაა, რასაც დღეს ყველა გრძნობს, მაგრამ ამაზე სხვა დროს. ახლა ისევ მოგონებას დავუბრუნდები.

მაგონდება 1934 წლის სუსხიანი დეკემბერი. იმ დღეებში ღაეცა ბობოქარი ნიკო მარი, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართული ენის ქებას რომ ქადაგებდა მაღალი ტრიბუნებიდან. მისი გარდაცვალება ცენტრალურმა პრესამ მეცნიერების აუნაზღაურებელ დანაკლისად აღიარა. ცენტრალური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები სავსე იყო სამგლოვიარო და გამოსათხოვარი წერილებით. დიდი მეცნიერის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა უცხოეთის პრესაც (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, აშშ, იტალია, იაპონია). დღესაც გუშინდელივით მახსოვს გლოვის დღეები. პირველი სამგლოვიარო მიტინგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, „რუსული გეოლოგიის მამამ“, ა. კარპინსკიმ გახსნა. ის მეთათე ათწლეულში იყო გადამდგარი, ქალიშვილმა მოიყვანა. ცრემლმორეული შესავალი სიტყვა აკადემიის პრეზიდენტმა ასე დაიწყო: *тяжело, Николтая Яковлевича нет...* დიდ დარბაზში შოპენის სამგლოვიარო მელოდია იღვრებოდა.

ორატორები ერთმანეთს ეცვლებოდნენ. გამოვიდნენ აკადემიკოსები: ვ. კომაროვი, ვ. ვოლგინი, ი. მეშჩანინოვი, ნ. დერჟავინი... გრანდიოზული იყო დაკრძალვის ცერემონია. მიცვალებული გამოასვენეს მარმარილოს სასახლიდან და სამგლოვიარო პროცესია ნევის პროსპექტით ალექსანდრე ნეველის ლავრისაკენ გაემართა. ნევის პროსპექტზე, ქალაქის მთავარ მაგისტრალზე, მოძრაობა შეჩერდა. ათიათასობით პატივისმცემელი მიაცილებდა მეცნიერს უკანასკნელ გზაზე. იმ დღეს მაინც საოცრად ბარდნიდა და პროცესიის მდუმარებას მეტ მყუდროებას აძლევდა. ბევრი სიტყვა ითქვა სასაფლაოზეც. განსაკუთრებით დამამახსოვრდა იოსებ ორბელის მგზნებარე სიტყვა. მადლიერმა მოწაფემ დიდ მასწავლებელს მეცნიერი რევოლუციონერი უწოდა. თოვლის თეთრი ფიფქები პეპლებივით დაჰფარფატავდნენ ორატორის შავ წვერს...

ნევისპირა ქალაქი, განსაკუთრებით ვასილის კუნძულზე განლაგებული უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, ქართველოლოგიის ცენტრი იყო მთელი ორასი წლის განმავლობაში. სიმბოლურია. რომ აქ ერთ-ერთ მშვენიერ ქუჩას ჩვენი დედაქალაქის სახელი ამშვენებდა და ამშვენებს დღესაც, ოღონდ მას ახლა ისევ აგვლებური წაკითხვა შემორჩენია: Тифлисская улица. ღირსშესანიშნავ ქუჩაზე განლაგებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა, ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ცნობილი ინსტიტუტი, განთქმული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, გამოყენებითი მათემატიკის, ეკონომიკის, ჟურნალისტიკის, იურიდიული, მართვის პროცესების, გეოგრაფიის, ისტორიის, ფილოსოფიის ფაკულტეტების სასწავლო კორპუსება. თბილისის ქუჩისა და ბიჩყის ხაზის გადაკვეთიდან იწყება და ნევისაკენ მიემართება თვით უნივერსიტეტის ლარკით გაშლილი კორპუსები.

ეს ადგილები განსაკუთრებით ძვირფასი იყო იმ ქართველი ახალგაზრდობისათვის, პეტერბურგის უნივერსიტეტში მეცნიერების მწვერვალებს რომ ეუფლებოდა. ამას ისიც აძლიერებდა, რომ პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკასა და არქივებში ინახებოდა ქართული კულტურის უნიკალური ძეგლები, რომლებიც მუდამ იპყრობდა ჩვენი მეცნიერების ყურადღებას. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს. რომ აქ დაცულია დიდი ქართველი ენციკლოპედისტის, იოანე ბაგრატიონის, ხელნაწერად დარჩენილი მემკვიდრეობა, რომლის შესწავლასა და გამომზეურებას კიდევ ბევრი ახალი მკვლევრის ძალღონე დასჭირდება. მეტად ფასეულია მეცნიერის, კერძოდ, ხელნაწერად დარჩენილი რუსულ-ქართული კაპიტალური ლექსიკონი, რომელიც არა თუ

მაშინ, დღესაც ინარჩუნებს მეცნიერულ ღირსებას და მ-სი პუბლიკაცია ნამდვილად საშური საქმე იქნებოდა.

ეს სტრიქონები უწინარეს ყოვლისა მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის უძველესი საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ფონდის ამჟამინდელმა მძიმე მდგომარეობამ ჩამომაწერინა. სხენებული საჯარო ბიბლიოთეკა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი წიგნსაცავი მსოფლიოში, 1795 წ. დაარსდა. ბიბლიოთეკის წიგნაკი ფონდი ივსება გამოცემათა სავალდებულო ცალებით, რომლებიც დედამწის ყველა კუთხიდან მოდის. ამჟამად აქ ათობით მილიონი წიგნი, ჟურნალი და გაზეთია მსოფლიოს ყველა ენაზე. ბუნებრივია, ყველაზე მდიდარი რუსული ფონდია. ქართული ფონდი ჩინებულადაა მოვლილი. მას სამი ათეული წლის განმავლობაში თავს დასტრიალებდა ქართული წიგნის ცნობილი მკვლევარი ანდრო აბრამიშვილი. ამჟამად კი უონდის კურატორია სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის განყოფილების გამგე, ანდრო აბრამიშვილის ნიჭიერი მოწაფე, მრავალი ენის მცოდნე მეცნიერი, ენაე საგიდოვა. 36 წელიწადია, რაც იგი აქ მოღვაწეობს. მისი განყოფილების ფონდები 1,5 მილიონზე მეტ წიგნსა და პერიოდულ გამოცემას აერთიანებს სსრ კავშირის 86 ხალხის ენაზე. ასიათასამდის ერთეულს მართო ქართული ფონდი შეიცავს. 1810 წლიდან მოყოლებული დღემდის განყოფილება კონპლექტდება მსოფლიოს ყველა გამოცემის სავალდებულო ცალებით. ეს დიდი ბედნიერებაა. სპეციალისტს შეუძლია რამდენიმე წუთში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა წიგნი, სსრ კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა რა ენაზეც მოისურვებს. აქ ბევრი ისეთი უნიკალური ქართული წიგნია დაცული, რომელიც სხვაგან არსად არ მოიპოვება.

ქართულ წიგნებს აღრე მუდამ ბევრი მკითხველი ჰყავდა. აქ მუშაობდნენ გამოჩენილი სპეციალისტები და თავიანთი სტატიებისა თუ მონოგრაფიებისათვის საჭირო პირველ წყაროებს ეცნობოდნენ. განსაკუთრებით ბევრი დისერტანტი და სტუდენტი ეცნობოდა სხენებულ ფონდებს. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში განყოფილებას მკითხველი მოჰკლებია. ენაე საგიდოვამ გულისტკივილით შემომჩივლა: მკითხველი გვაკლია, ბიბლიოთეკას თუ მკითხველი არ ეყოლება, მისი არსებობა საფრთხის წინაშე დადგებაო.

თავაზიანად გადმოიღო თაროდან ფაქიზად შენახული სანუკვარი წიგნი — „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა, ჩასმული ხავერდგადაკრულ მუყაოს ყდაში და ჩათვლით ჩაიკითხა ეპკნობი სტრიქონები. ათასობით ასეთი იშვიათი გამოცემა აქ დაცული და მკითხველს ელოდება. მოვალენი ვართ, ყურადღება არ მოვაკლოთ მეცნიერებისა და კულტურის მძლავრ ქართულ საუნჯეს.

დიდ ქალაქში მრავალი ქართველი ცხოვრობს, მაგრამ როცა შევე-  
ტყვე: რომ ბევრი მათგანი ბიბლიოთეკის არსებობას არც კი იცნობსო,  
წემრცხვა. ოცდაათიან-ორმოცდაათიან წლებში ასე არ ყოფილა. ჩვე-  
ნი ეპოქა წიგნის ეპოქაა, წიგნი დღეს ადამიანის განუყოფელი თანა-  
მგზავრია. თუ წიგნს მკითხველი არ ეყოლება, ის ხომ მიწაში ჩაფ-  
ლულ ოქროს დაემსგავსება.

მე მინდა ეს სტრიქონები წაიკითხონ ჩვენმა თანამემამულეებმა,  
სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი და დასკვნები თვითონვე გააკე-  
თონ. ნებისპირა ქალაქის ქართველი ბინადარი უეჭველად უნდა  
გახდნენ საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ფონდის მუდმივი და  
აქტიური მკითხველები. ის კი, ვინც ულამაზეს ქალაქს სტუმრად ეწ-  
ვევა, თავს ვალდებულად უნდა თვლიდეს, რათა მოინახულოს ჩვენი  
ფროვნული საუნჯე და მადლობის გამამხნევებელი სიტყვები უთხრას  
მის ჭირისუფლებს, რომლებიც ასე სიყვარულით უფრთხილდებიან და  
უვლიან ქართულ წიგნებს.

1984 წ.

### პროფ. ვ. ევსევის საპასუხოდ

ჩემმა მეგობარმა, ცნობილმა კრიტიკოსმა ერემია ქარელიშვილმა,  
პეტროზავოდსკიდან მიიღო პროფ. ვ. ევსევის წერილი, რომელიც  
ქარელ ტოპონიმს ეხება. ბატონმა ერემიამ მთხოვა პასუხის დაწერა.  
აი, ეს პასუხიც: ძვირფასო ერემია, ყურადღებით წავიკითხე შენი კა-  
რელიელი მეგობრის, პროფ. ვ. ევსევის, წერილი, რომელიც პეტრო-  
ზავოდსკიდან მიგიღია. ფრიად საინტერესო დოკუმენტია. ავტორი.  
ჩანს, მარტო ცნობისმოყვარე არ არის; მას სურს, რაღაც „აღმოჩენა“  
გააკეთოს და გაგვაოცოს. მაგრამ, ჩემი აზრით, პასუხის მიწერისას  
ეს გარემოება კარგად უნდა გავითვალისწინოთ და მას იმისთანა ინ-  
ფორმაცია მივაწოდოთ, რომ საეჭვო აღარაფერი დარჩეს.

ბევრი ვეფიქრე. გადავსინჯე ჩემთვის ხელმისაწვდომი დოკუმენ-  
ტები, შევაჯერე საისტორიო წყაროები, მოვეთათბირე სპეციალისტ  
ისტორიკოსებსაც, მაგრამ იმისთანა ხელშესახები რამ, რაც გაამართ-  
ლებდა ავტორის ვარაუდებს, ვერ ვიპოვნე. პატივცემული პროფესო-  
რი საკუთარ. წარმოსახულ ვარაუდებს ეყრდნობა და არა სარწმუნო  
წყაროებიდან ამოკრებილ ფაქტებს. სანდო წყაროები კი, რაზედაც  
ქვემოთ გიამბობ, მის მოსაზრებებს ძირშივე აქარწყლებენ.

1. ჯერ ორიოდე სიტყვა ქარელ და კარაღეთ ტოპონიმთა

წესახებ. მათ, ჩემი აზრით, არავითარი კავშირი არა აქვთ კარელი ეთნონიმთან. დამთხვევა მოჩვენებითია. ქართული ქარელ სულ სხვაა, ვიდრე რუსული карел. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ქართული ტოპონიმის თავკიდური ბგერა არის ქ (kh) ფშენიერი ქართული თანხმოვანი, რუსულისა კი К (k), სულ სხვა ხარისხის თანხმოვანი. რაც შეეხება კარალეთ ტოპონიმს, ის ავტორს карел-НЕТ-ად მოუხსენიებია, რაც მართებული არ არის. ეს ტოპონიმებ (ქარელიცა და კარალეთიც) გვიანდელია და XII—XIII საუკუნეებს არ უკავშირდებიან. ამიტომ მოჩვენებით მსგავსებაზე დაყრდნობა და აქედან შორს გამიზნული დასკვნების გაკეთება სასურველ შედეგს არ მოგვცემს. შეგახსენებ ზოგიერთ ფაქტს. ჩვენთვის ყველაზე უფრო სარწმუნო დოკუმენტებში, „ქართლის ცხოვრების“ ძველ ქრონიკებში, ეს ტოპონიმები სულ არ იხსენიებიან. მეორე მხრით, ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს. მეორე ნახევარი) ცნობილ წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ტოპონიმი ქარელი დამოწმებულია ძამისხევის დასახლებულ პუნქტთა (სოფელთა) შორის (იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 198), მაგრამ ეს ხომ XVIII ს. მეორე ნახევრის ცნობაა და არა XII—XIII საუკუნეებისა. ჩემი თხოვნით, ისტორიკოსმა ჯ. გვასალიამ საგანგებოდ შეამოწმა ქარელ ტოპონიმის პირველხმარება წყაროთა შიხედვით და გამოარკვია, რომ ქარელ ტოპონიმი პირველად იხსენიება მხოლოდ XVII საუკუნეში, 1636 წელს, ციციშვილთა გაყრის წიგნში. უფრო ადრინდელი ცნობა ამ ტოპონიმის შესახებ არ მოგვეპოვება, თუმცა ქარელის მახლობელი ბევრი სოფლის სახელები უძველეს წყაროებში აღბეჭდილია. ამიტომ რუს. Карел-ისა და ქართ. ქარელის რაიმე კავშირზე ლაპარაკი, ისიც XII—XIII სს. პერიოდში, მეცნიერულად გაუმართლებელია. ამაზე სერიოზულად ვერ ვიმსჯელებთ. ამას უნდა დავმატოს ქართ. ქარელ ტოპონიმის ეტიმოლოგიაც. ტერმინის ძირია ქართ. ქარ, რაც სწორედ ქარს (რუს. ветер) ნიშნავს (აქ მართლაც იცის ხშირი ქარები, რადგან ღია ველე-ბია), ხოლო -ელ სადაურობის მაჩვენებელი სუფიქსია; ე. ი. ქარელი ნიშნავს ქარიან ადგილას მცხოვრებს ან მყოფს, ქარი (რუს. ветер) და არა карел ეთნონიმი. ქარელ ტოპონიმის ეს ეტიმოლოგია საეჭვოდ აღარათფერს ტოვებს. Карел ეთნონიმის ეტიმოლოგია სულ სხვა სამყაროს გვაჩვენებს. მათი დაწერილობაც სხვადასხვაა: ქართულად გვექნება Kharel, ხოლო რუსულად karel.

რალა შეიძლება ითქვას კარალეთ ტოპონიმის შესახებ? ჯერ უნდა დავადგინოთ, რომ რეალურად გვაქვს არა Карелет ტოპონიმი, როგორც წერს პროფ. ვ. ევსეევი, არამედ კარალეთი. შემდეგ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ კარალეთ ტოპონიმით აღნიშნულ ამჟამინდელ დასახლებულ პუნქტს ძველად, XII—XIII სს., ერქვა ნაქარმაგევი და არა კარალეთი. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს. მეორე ნახევარი) გადმოგვცემს: „ნაქარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო, და აწ კარალეთად წოდვილი, ადგილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“ („ქართლის ცხოვრება“, IV, თბ., 1973, გვ. 368). ამიტომ კარალეთი არ შეიძლება მივიჩნიოთ უძველეს ტოპონიმად, იმ ადგილის აღმნიშვნელ ტერმინად, სადაც ვითომ კარელიელები სახლობდნენ XII საუკუნეში თამარ მეფის პირველი ქმრის ამალიდან. ჩემი თხოვნით, კარალეთ ტოპონიმის პირველხმარებულებაც შეამოწმა ისტორიკოსმა ჯონდო გვასალიამ და აღმოჩნდა, რომ კარალეთ ტოპონიმი პირველად იხსენიება XV ს. მეორე ნახევარში, ზაზა ფანასკერტელის დოკუმენტებში. აღრინდელი წყაროები ამ ტერმინს არ იცნობენ.

ასე რომ, პატივცემული პროფესორის ვარაუდები ვარაუდებად რჩება, მათ ნიადაგი არა აქვთ. არც ფოლკლორული ცნობები მოიძებნება, რომელთაც შეეძლოთ რაიმეს მინიშნება ქარელში კარელიელების დასახლებიან შესახებ.

ყოველივე ეს კარგად უნდა გავაგებინოთ პატივცემულ პროფესორს.

2. საექვოა ავტორის აზრი, რომ რუსი მთავრის, ანდრია ბოგოლუბსკის, ძე, იური, თამარ მეფის პირველი ქმარი, რომელიც ნოვგოროდიდან და ვლადიმირიდან იყო გაქვევებული და ყივჩაღეთში იმალებოდა, თითქოს, საქართველოში ჩამოვიდა «в месте с княжеской дружиной». ცნობილია, რომ იური საქართველოში ჩამოიყვანა დიდვაჭარმა ზანქან ზორაბაბელმა არა ვლადიმირიდან ან ნოვგოროდიდან, არამედ ყივჩაღეთიდან, რომელიც საქართველოს ესაზღვრებოდა ჩრდილოეთით. ყივჩაღეთში ის ექსორირებული იყო და თავს აფარებდა ბიძის (დედის მხრით) ოჯახში (მისი დედა ყივჩაღი ქალი ყოფილა). არც ერთ წყაროში, რომელიც ამ ამბავს ეხება, აღნიშნული არ არის, რომ იურის თან ახლდა რომელიმე, მითუმეტეს, კარელიელთა, რაზმი. ის შეკედლებული იყო ყივჩაღ ბიძასთან (სევეინჯის ქალაქში), სადაც კარელიელები არ ყოფილან. რა საბუთით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ყივჩაღეთში თავშეფარებულ იურის თან წამოჰყვა

კარელიელთა რაზმი? არ მოიპოვება არავითარი წყარო, რომელიც ამაში დაგვარწმუნებდა. იურის საქართველოში ჩამოსვლა და თამარ-თან შეუღლება აღწერილია ცნობილ ძეგლში, რომლის სახელია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, მაგრამ აქ მინიშნებაც კი არა გვაქვს იმაზე, რომ მას ახლდა რომელიმე რაზმი (ვილაც, უნდა ვიფიქროთ, უეჭველად ეყოლებოდა მეგზურად, მაგრამ რაზმი, თანაც ისე მრავალრიცხოვანი, რომელიც შემდეგ დასახლებობდა ცალკე სოფლად. არ ჰყოლია, ან რა რაზმი უნდა ჰყოლოდა ყივჩაღეთში ექსორირებულ კაცს, რომელიც გაძევებული იყო ვლადიმირიდანაც და ნოვგოროდიდანაც, სადაც კარელიელები ცხოვრობდნენ?). ხსენებულ ძეგლში, რომელიც თამარის ეპოქაშია შექმნილი და თავისი მნიშვნელობით უნიკალურია, ვკითხულობთ შემდეგს: „...მეტყველმან თქუა: „მე ვიცი შვილი ჯელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთა მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორია-ქმნით დევნული გარდამოიხუეწა ბიძისა, სავალათად სახელწოდებულისაგან. და არს იგი ყივჩაღთა მეფისა სევიჩისა ქალაქსა“. მაშინ მოსმენართა მისთა უკმეს ერთი მკვდრთაგანი დიდ-ვაჟარი ზანქან ზორაბაბელ. მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაემნითა მოყმე სახე-კეკლუტი, სრული ანაგებიითა და მჭურეტთაგან საჩენი გუარის-შვილად. ამისთა მნახველთა და გამცდელთა — პატრიარქმან, დიდებულმან, ვაზირთა და სპათა — მოაქსენეს თამარს, და მათგან ნებადაურთავი განმზადეს ქორწილი. რამეთუ თამარ ქეშმარიტი იყო და მტკიცე სჯულთა ზედა“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., II, თბ., 1959, გვ. 36—37; არსებობს ამ ძეგლის რუსული თარგმანიც, რომელიც შესრულებულია კ. კეკელიძის მიერ).

აქ თითქმის ყველაფერზეა ლაპარაკი, შექებულია რუსი მოყმე, მაგრამ მის თანმხლებ რაზმზე არაფერია ნათქვამი. იურის ჩამოსვლის შესახებ სხვა წყაროებშიცაა საუბარი, მაგრამ მის თანმხლებ რაზმზე არსად არაფერია აღნიშნული. ამიტომ ლაპარაკი იურის თანმხლებ კარელიელთა რაზმზე საეჭვოა, დასაბუთებული არ არის, დოკუმენტური წყაროებით არ მართლდება. არ მოგვეპოვება დოკუმენტური წყაროები, რომელიც გაამართლებდა პატივცემულ პროფესორის დებულებას: „Есть основания считать, что большую часть его друженников — карел царица Тамара переменяла на свою сторону и наделила землей в пынешнем Карельском районе Грузии“. ამ დებულების საფუძველს მე ვერ მიაგავნი. ეს მხოლოდ ლიტონი განცხადებაა.



3. ქართულ ფოლკლორში არ მოიძებნა (არ არის) რაიმე ხელშე-სახები ლეგენდა-გადმოცემა, რომელიც ამ საკითხს ეხებოდეს. რაც შეეხება ქართული და კარელიური ფოლკლორის საერთო მოტივებს, უპირატესად ზღაპრულ ეპოსში, ეს სადავო არ არის. საერთო მოტი-ვები ფოლკლორული უნივერსალიების სფეროს განეკუთვნება და ყველა ხალხის ზეპირშემოქმედებაში მოიპოვება. მაგრამ ამით არაფ-რის დამტკიცება არ შეიძლება. ის სხვა რიგის პრობლემათა სწავ-აროს განეკუთვნება. მით უმეტეს, იგი ვერაფერს გვეტყვის საქართვე-ლოში კარელიელთა რაზმის დასახლების შესახებ. ფოლკლორული უნივერსალიების კვლევა სულ სხვა ასპექტებს მოითხოვს და აქ მათ ადგილი არა აქვთ.

4. ქართული და კარელიური ენების ურთიერთობის შესახებ სა-უბარი შეიძლება ჩამოვადგოთ მხოლოდ ტიპოლოგიური პლანით. ზო-გი რამ შეიძლება ამ ენებში ერთნაირადაა გააზრებული ან გახმოვა-ნებული, ვიმეორებ, ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ ამით მაინც თავს ვერ მოვიტყუილებთ. მსგავსი რამ ყველა ენაში შეიძლე-ბა იზოვოს კაცმა, მაგრამ ესეც უნივერსალიების ან ტიპოლოგიის სფეროს განეკუთვნება მხოლოდ. თავის დროზე ნ. მარმა სცადა ენათა ტიპოლოგიურ სამყაროში შედწევა, რამაც საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. გენიალურმა ავტორმა აზრი გამოთქვა სუომურ (ფი-ნურ) — კარელიურისა და სომხურ-ქართულის შეხების წერტილების შესაძლებლობის შესახებ თავის ცნობილ ანგარიშში კარელიაში მოგ-ზაურობის შესახებ (იხ. „Суоми-карельские и сомех-картские язы-ки“; Н. Я. Марр, Избранные работы, V, М.—Л., 1935, 389—392). მაგრამ აქ დასმულ პრობლემას მეცნიერი შემდეგ აღარ დაბ-რუნებია და მისი საბოლოო აზრი ამ ენათა ურთიერთობის შესახებ ნათელი არ არის. მე მგონია, რომ ქართულს და კარელიურ ენებს (ისევე როგორც ქართულსა და სხვა ენებისმიერ ენას) შეიძლება აღ-მოაჩნდეს საერთო, შეხების წერტილები (ეს სავესებით მოსალაღ-ნელია), მაგრამ აქედან შორსგამიზნული დასკვნების გაკეთება გაჭირ-დებოდა, რადგან ისინი სხვადასხვა ოჯახის (სისტემის) ენებია, რომელთაც სხვადასხვა ასპექტით ვსწავლობთ. ამ ენათა გენეტიკური ნათესაობის შესახებ მსჯელობის დაშვების საფუძველს, ან ამ პრობ-ლემის ჩაღრმავებული ძიების პერსპექტივას მე მაინც ვერ ვხედავ. რა სიღრმითაც და ასპექტითაც არ უნდა შევისწავლოთ ხსენებულ ენათა ურთიერთობა, მე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ მაინც ვერ გავცემთ პასუხს პატივცემული ავტორის მიერ დასმულ საკითხზე —

ცხოვრობდნენ კარელიელები საქართველოში თუ არა? ჩვენი წყაროების შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ საკითხის ამ სიბრტყეზე დასმა გაუმართლებელია, რადგან არაფრით არ მტკიცდება, რომ კარელიელები საქართველოში ცხოვრობდნენ: Kharel და karel სულ სხვადასხვა წარმოშობისა და განმეორების ტერმინებია.

ძმური სიყვარულით ალ. ლლონტი

16.X.1985.

თბილისი

### დღიურიდან

სიმონ გაჩეჩილაძესთან ხანგრძლივი მეგობრობა მაკავშირებდა. ადრე უნივერსიტეტიდან ვიცნობდი, წლების განმავლობაში ერთად ვმუშაობდით გორისა და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. თითქმის ყოველ კვირაობით ვხვდებოდით ერთმანეთს. ვსაუბრობდით ლიტერატურისა და მეცნიერების ახალ მიმართულებებზე, ახალ წიგნებზე, სტუდენტთა აღზრდის საკითხებზე. ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი. სიმონი უაღრესად თავისებური და კოლორიტული პიროვნება იყო ცხოვრებაშიც, მწერლობაშიც, მეცნიერებაშიც, უმაღლეს სკოლაშიც. მისმა წიგნებმა, რომლებიც პოეტიკის სისხლხორცეულ საკითხებს ეძღვნებოდნენ, შეაყვარა ჩვენს ახალგაზრდობას ლიტერატურა, ლექსისა და პროზის თეორია. ამ წიგნებზე აღიზარდნენ და კვლავაც აღიზრდებიან თაობები. მისი სახელი, ტკბილმოსავლანარი დღეს, ასეთად დარჩება შთამომავლობისათვისაც.

აქ ვიმოწმებ რამდენიმე ფურცელს ძველი დღიურიდან.

### ლექსია

...მაშინ ჩვენ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვმუშაობდით. მე კათედრას ვხელმძღვანელობდი, სიმონი კათედრის წევრი იყო. მე ყოველკვირაობით მიხდებოდა ინსტიტუტში ყოფნა და ზოგი რამის შესრულებას მაინც ვერ ვასწრებდი. სიმონი კი იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ ყველაფერი რიგზე ჰქონდა. ქებასაც იმსახურებდა. სტუდენტებს ძალიან უყვარდათ, მის ლექციებს არავინ გააცდენდა, კარგადაც სწავლობდნენ.

და აი, ერთ დღეს რაღაც საქმეზე სიმონის ნახვა გახდა საჭირო. შვედალე აუდიტორიის კარები, სადაც ის მეგულებოდა და სახტად დავრჩი: სტუდენტები ჩუმად ისხდნენ, ლექტორი არ ჩანდა: აი, ამ

წუთში დაამთავრა ლექცია და წავიდაო. მე დავიჯერე, თუმცა გამო-  
სვლის ზარის დარეკვას კიდევ აკლდა ორიოდე წუთი.

საერთო ბინაში მივაკითხე. ვერც იქ მივუსწარი. შეჰქველავ უნდა  
მენახა, უმისოდ ის სასწრაფო საქმე ვერ გაკეთდებოდა.

სალამოს რაღაც სხდომა იყო დანიშნული და ინსტიტუტში მივე-  
დი. ელექტრონათურა ოდნავ ბეუტავდა. სალექციო აუდიტორიიდან  
ხმამაღალი სიცილი შემომესმა. კარები შევადე, აუდიტორია გაქვდი-  
ლი იყო. კათედრასთან იდგა სიმონი და ლექციის კითხვას განაგრ-  
ძობდა. მეგონა, შემნიშნა-მეთქი და იქვე მერხზე ჩამოვჯექი. ჩემთვის  
ყურადღება არავის მოუქცევია, ყველა ყურადღებით უსმენდა ლექ-  
ტორს. სიმონი ტემპერამენტით ლაპარაკობდა. არჩევდა „ბაში-ჩქვის“  
პასაჟებს. ზეპირად, საოცარი სიზუსტით იმოწმებდა საილუსტრაციო  
ეპიზოდებს. თიმსალ-შაკოს დახასიათებისას გადაუხვია და საუბარში  
სხვა საინტერესო ეპიზოდები ჩართო, რასაც აუდიტორიის გამო-  
ცოცხლება და ხარხარი მოჰყვა. ისტორიული მოთხრობა სულ სხვა  
კუთხით განიხილა, ვიდრე მე ვიცოდი. შეჩერდა თხზულების სიუჟეტ-  
ზე, პერსონაჟებზე, ენაზე, პოეტური სინტაქსის საკითხებზე, ლექსი-  
კაზე. ეს იყო შესანიშნავი მეცნიერის ღრმად გააზრებული ეტიოლო-  
გიური დიდი აკაკის ერთი უბრწყინვალესი ქმნილების შესახებ. ლექცია  
დიდხანს გაგრძელდა. მე სხდომაზე დამავიანდა, მაგრამ მშვენიერი  
ლექცია კი მოვისმინე.

სიმონს მქვერმეტყველება მოვუწონე. გაიკვირვა: საიდან იცი,  
როგორი ლექცია წავიკითხეო! მას მბეუტავი ნათურის შუქზე ვერ  
შევენიშნე. თურმე სტუდენტებმა მომატყუეს: სიმონი დღისით იქ  
არ ყოფილა, დაგვიანებოდა, საღამოთი მოსულიყო ინსტიტუტში.  
სტუდენტები კი დალოდებოდნენ და ლექცია არ გაეცდინათ.

სიმონის ლექციები სხვა დროსაც მქონდა მოსმენილი, მაგრამ ეს  
მანინე განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ჩემთვის ერთხელ კიდევ ცხა-  
დი გახდა, თუ ასე რატომ უყვარდათ სტუდენტებს სიმონი და მისი  
ლექციები და რატომ არ აცდენდნენ ამ ლექციებს...

### მარილიანი ხუმრობა

... ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში სპეციალისტთა მთელი  
ჯგუფი თბილისიდან დავდიოდით. ყველას გვინდოდა ერთად მჯზავ-  
რობა, განსაკუთრებით გვსურდა სიმონის თანამგზავრობა, რადგან  
მისი მარილიანი ხუმრობა გვხიბლავდა. სიმონი განსაკუთრებული ხა-  
ლისითა და ინტონაციებით გვიამბობდა ხოლმე „მსუქანი ქალების“  
საოცარ თავგადასავლებს. ამ თემაზე საუბარი მას არასოდეს მოს-

წყინდებოდა, რა ხასიათზეც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის მზად ვახლდეთ, ეამბნა რაიმე ახალი ნამდვილიცა და არანამდვილიც. ჩვენც გზა ვრძელი გვქონდა და ტკბილმოუბრებსაც ვეძებდით. მე, იოსებ (სოსო) მეგრელიძე, გიორგი ნადირაძე, თედო ბეგიაშვილი, პლატონ კვიციანი, პროკოფი ვადაქორია, ვახტანგ რევია, კარპეზ ღონაძე მატარებლით დავდიოდით, სიმონი კი ხან ჩვენ შემოგვეერთლებოდა ხოლმე, ხან კი თავისი „მოსკვიჩით“ მგზავრობდა.

ერთ საღამოს თავი მოვიყარეთ თბილისის რკინიგზის ვაგზალში. სიმონიც აქ იყო. მატარებელი გვიან გადიოდა. მოვთავსდით ერთ ვაგონში. მატარებლის გასვლის წუთები მოახლოვდა. სიმონმა თავისი გაბერილი პორტფელი აიღო და მეორე ვაგონში გადავიდა. ჩქარა მატარებელი დაიძრა, მაგრამ სიმონი ველარ ვიპოვნეთ. შეგვეშინდა: ეგებინა ჩამორჩა-თქო!

11 საათზე ცხინვალს მივალწიეთ. ბევრი შემხვედრი დაგვხვდა. თვალი მოვკარი სიმონს, ფრიად სიმპათიურ მსუქან მანდილოსანს მოჰყვებოდა თავისი გაბერილი პორტფელით. მანდილოსანს ახალგაზრდა მეგობარი ქალი შეხვდა მანქანით. მანდილოსანმა სიმონის პორტფელი მძლოლს გადასცა და მეგობარს სიმონი წარუდგინა: გაიცანი, ოლქის მთავარი გინეკოლოგი, საოცარი ექიმი ყოფილა, ყველაფერი იცისო...

ახალგაზრდა ქალმა გაიღიმა, სიმონს თავაზიანად ხელი ჩამოართვა და დასძინა: ბატონ სიმონს ვინ არ იცნობს, ჩემი დოცენტი იყო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქართულ ლიტერატურას გვასწავლიდა, მისი ლექციები დღესაც კარგად მახსოვსო!..

მანდილოსანმა ხელები ლოყაზე შემოიკრა: უი, ეს რა მომხვლიაო!.. და მანქანას მიაშურა. მძლოლმა გაბერილი პორტფელი სიმონს მიუგდო და მანქანა თვალს მიეფარა.

სიმონი იდგა და ჩვეულებრივ იღიმებოდა...

შემდეგ თავისი დინჯი იუმორით გვიამბო: ეს მანდილოსანი მატარებელში გავიცანი, კუბეში მარტოდ იჯდა მოწყენილი, დიდი თანამდებობის პირის ცოლი ყოფილა. გავეხუმრე, ექიმი ვარ, ოლქის მთავარ გინეკოლოგად დამნიშნეს, ხომ ვერ მეტყვი, როგორი ქალაქიამეთქი! ყველაფრის თქმა აღარ დამაცალა და მთელი თავისი გინეკოლოგიური გაჭირვება მიამბო, აბა ექიმთან დასამალავი რა ჰქონდა, — მე კი განსაკუთრებულ მკურნალობას შევპირდიო!..

ყველა ხარხარებდა. „გინეკოლოგობა“ შემდეგ სიმონს დიდხანს შერჩა თიკუნად.

...სიმონი თავისი ცნობილი წიგნის ახალ გამოცემას ამზადებდა. მე და იოსებ მეგრელიძე მარისტობისათვის მაგრად „დაგვამუშავეს“. ერთი თამამი ორატორი, სხვათა შორის, ჩემს „ქართულ შაირებსაც“ გადმოწვდა. ამ წიგნში ქართული ხალხური ლექსის მახვილის საკითხი ნ. მარის მიხედვითაა გაშუქებულიო, თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ ნ. მარის შეხედულება ქართული მახვილის თავისებურების შესახებ ურყევი მეცნიერული კეშმარიტება იყო. „კრიტიკა“ მაშინ ძოდაში იყო. და არ მწყენია, გაკვირვებით კი გამიკვირდა, ამიტომ თამამ ორატორს ირონიადაკრული მადლობა მოვასხენე.

სხდომის ბოლოს სიმონმა მითხრა: სამარცხვინოა, ჩვენს კოლეგას არაფერი სცოდნია, ცამდის მართალი ხარ, ჩემი წიგნის ახალ გამოცემაში ნ. მარის ურყევე დებულებებს ქართული მახვილის შესახებ ახლა უფრო ვრცლად გავამუქებ და შენს „ქართულ შაირებსაც მეტი პატივისცემით დავიმოწმებო.

სიმონმა, როგორც კეშმარიტმა მეცნიერმა, დაპირება შეასრულა. უმეცარ კრიტიკოსს აღმოხდა: აი, გამოჩნდა დაგვიანებული მარისტიო!

### „რწყილი და ჰიანჰველა“

სიმონმა რწყილისა და ჰიანჰველას ცნობილი ზღაპარი გადაამუშავა და მშვენიერი პოემა შექმნა. შეცვალა ზოგიერთი მოტივი. მაგალითად, არახალხურად მიიჩნია კრუხის მიერ წიწილას დათმობა — დედა შვილს დასალუპავად როგორ გაიმეტებსო, მხარი დაუჭირა იაკობ გოგებაშვილს და ხალხური „ტილი და ჰიანჰველას“ ნაცვლად თავადაც „რწყილი და ჰიანჰველა“ იხმარა. ტილი რწყილით პირველად ი. გოგებაშვილმა შეცვალა. თხულება ზოგმა კრიტიკოსმა მოიწონა, ზოგმა შენიშვნები გააკეთა. საკითხი აღიძრა ერთ-ერთ დისკუსიაში, რომელიც მწერალთა კავშირში ჩატარდა. კერძოდ, მარიჯანმა სიმონს მკვახედ უთხრა: თქვენ „რწყილსა და ჰიანჰველას“ ხალხური სურნელება დაუკარგეთო.

სიმონმა თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა: არ ვიცი, რას ნიშნავს ხალხური სურნელება, ან რა უნდა შევკადრო ისეთი ფაქიზი გემოვნების პოეტს, როგორიც მარიჯანი ბრძანდება, მაგრამ მიჭირს თქმა, რომელი უფრო სურნელოვანია, ტილი თუ რწყილიო!

აუდიტორიას ღიმილმა ჩამოუარა. მარიჯანი წინა რიგში იჯდა ბესო ულენტსა და იოსებ გრიშაშვილს შორის და ორივეს რაღაც ჩაფლაპარაკა, მაგრამ სავასუხო სიტყვა არ წარმოუთქვამს.

### სიმონი და პოლიხრონი

გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში გათავისუფლდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობა. ენებღნენ შესაბამის სპეციალისტს. პოლიხრონი ცინცაძემ, რომელიც მაშინ ამ კათედრის დოცენტი იყო, წამოაყენა სიმონის კანდიდატურა: გორში ერთად დავდივართ, ერთად ვიმუშავებთ, კათედრის ოქმებსა და ანგარიშებს მე შევადგენო. ყველამ კარგად იცოდა, რომ სიმონს ქალაქ-დომანია, მიწერ-მოწერა და ოქმების შედგენა ჰირივით ეჯავრებოდა. ფაკულტეტის მაშინდელმა დეკანმა, მ. ჩიკვაიძემ, თავი შეიკავა, სიმონი ოქმებსა და ანგარიშებს არ შეადგენს და კათედრის საქმე ჩაგვივარდებაო, მაგრამ, რაკი პოლიხრონი ცინცაძემ იკისრა კათედრის მდივნობა, დათანხმდა.

სიმონი ერთსულოვნად ავირჩიეთ ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ. კათედრამ იმ წელიწადს ბევრი კარგი ღონისძიება განახორციელა. გაჩაღდა მუშაობა სტუდენტებთან. მოეწყო სამეცნიერო სესიები, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები. ერთი სიტყვით, ყველა კმაყოფილი იყო კათედრის საქმიანობით. წევრები, გამგე და მდივანი — სიმონი და პოლიხრონი — ყველა შეხმატკბილებულად მუშაობდა. დრო გავიდა. ხანდახან რაღაც გამორჩათ, მაგრამ დეკანატისა და ინსტიტუტის რექტორატის საყვედურები პოლიხრონს ხვდებოდა: ანგარიშების შედგენა დაგაგვიანდათ, ოქმებში ყველაფერი ისე არ ჩაგიწერიათ, როგორც ინსტრუქცია მოითხოვს, სუსტად მუშაობთო. მაგრამ სიმონს არ აწუხებდნენ.

პოლიხრონი ჯერ ჩუმად იყო. საქმემ კი იმატა და იმატა, ქალაქ-დების შედგენის ტემპმა კი იკლო. პოლიხრონს მოთმინების ფიალა აევსო, რასაც შედეგად მეგობრების წალაპარაკება მოჰყვა. გაბრაზებულმა პოლიხრონმა სულ მიანება თავი ოქმებისა და მოხსენებითი ბარათების წერას და ინსტიტუტში სიარულსაც უკლო. მოდიოდა მხოლოდ იმ დღეებში, როცა იქ სიმონი არ ეგულებოდა.

სიმონს გაუჭირდა. რაღა უნდა ექნა, თავად შეუდგა ძველი ოქმების ქექვას, ანგარიშების წერასა და გადაწერას. პირველად ვნახე ოქმების მწერალი სიმონი, ოფლი რომ წურწურით ჩამოსდიოდა. დეკანატიდან მაინც ბუზღლუნი ისმოდა. ძველ მეგობრებს შორის დამოკი-

დებულება უფრო გამწვავდა. პოლიხრონმა ინსტიტუტ-დან წასვლა-  
ცი დააპირა.

გაოცებული ვიყავი: არც სიმონსა და არც პოლიხრონს ერთურო-  
სათვის რაიმე ზედმეტი, გამაღიზიანებელი ან შეურაცხყოფელი სი-  
ტყვა არ უკადრებიათ. პოლიხრონი მუდამ აფასებდა სიმონის ღვაწლს,  
მისი შრომების ღირსებას; სიმონიც ყოველთვის დადებით შეფასებას  
აძლევდა პოლიხრონის შრომებსა და ლექციებს, თუმცა ისინი ბო-  
ლომდის უძრახნი დარჩნენ.

ბუნებით კეთილშობილ მოღვაწეს არ შეეძლო ვინმესთვის ეკად-  
რებინა უკადრისი მეგობართა წრეში, მით უმეტეს, საჯაროდ ან პრე-  
საში.

### ფინური ოლა

... იმ წლებში მე ა. ჰავჰავაძის ქუჩაზე ვცხოვრობდი ვიწროდ.  
ვიწროდ ცხოვრობდა სიმონის ოჯახიც. ერთი სექტემბრის კვირა  
დღეს სიმონმა ჩამომიარა თავისი „მოსკვიჩით“. დელისში წავიდეთ,  
სამოსახლო ადგილი ავიღოთო.

გამიკვირდა, სად ჩვენ და სად სამოსახლოს ძებნა, ვინ შეძლებს  
ბინის მშენებლობას-მეთქი! მაინც ვაკეცი. ჩემთან ერთად იყო ჩემი  
ძეულე, სიმონის ნამოწაფარი. გეზი ავიღეთ დელისისაკენ. საბურ-  
თალოს დასახლება მაშინ სპეციალისტების სახლის მიდამოებში მთა-  
ვრდებოდა. შემდეგ ბაღები, ვენახები და საძოვრები ჰქონდათ გადა-  
ქიმული სოფლელებს. დელისიც სრულიად მოუწყობელი, მტკრია-  
ნი, ტალახიანი ორლობეებით დასერილი დასახლებული ადგი-  
ლი გახლდათ, სადაც მხოლოდ ძაღლის ყეფა და მამლის ყვირილი  
ასმოდა. მანქანამ რომელიღაც ორლობეში შეუზბია და ერთ ძველ-  
ბურ ჰიშკართან შეჩერდა. ეზოს ირგვლივ მაღალი ძეძვი ერტყა, მას-  
პინძელს ხის პატარა ქოხი ედგა, სიმინდი ეთესა და ატმის ხეები ედგა.  
საოცრად სურნელოვანი ატამი დაშლიფებულიყო. მასპინძელმა კალა-  
თები აგვივსო, ფიჩხის ცეცხლზე სიმინდებიც შეგვიწვა და გვითხრა:  
აი, ბატონო, ესაა ჩემი კარმიდამო, ღმერთმა მოგახმაროთ, აქ ორი  
სახლი აშენდება, მოზრდილი ეზოებიც გექნებათ, ატმის გაშენების  
საფასური მომეცით, სხვა თქვენი არა მინდა რაო.

სიმონმა სერიოზული ბაასი გაუმართა. მე ვიღიმებოდი. პირვე-  
ლად ვნახე სიმონი, მშენებლობის საქმეზე ასე პროფესიულად მოუ-  
ბარი. მწიფე ატამი ძალიან მომეწონა, მაგრამ ამ უდაბურ, გადასაქარ-  
გავ, უგზოუკვლო ადგილას დასახლებაზე რა მოგახსენოთ. წასვლამ-

დის ერთი სული მქონდა. სიმონი შეჰპირდა მასპინძელს: იმ კვირას მოვალთ და ჩვენს გადაწყვეტილებას მოგახსენებთო.

წამოვედით. უკან გახედვა არ მინდოდა. სიმონი კი სულ უკან-უკან იხედებოდა, აი სინათლე ყოფილა გაყვანილი, წყალს ჩვენ გავიყვანთო...

ორღობის გამოსასვლელს თვალი მოვკარით მოზრდილ ცარიელ მინდორს, ასე ჰექტარზე მეტი ფართობისა იქნებოდა, აქა-იქ ატმები ჩანდა უწყლობითა და მოუვლელობით ტოტებშემხმარი და ფოთოლ-შემორჩენილი. შევჩერდით. მინდორი მაღალი ძეძვით იყო შემოკავებული. ერთ ადგილას ჩანდა შემოსასვლელი. იქ ქალი და კაცი დავინახეთ, ბარით წყალს გზას უკვალავდნენ: აქ უნდა დავსახლდეთ, სარწყავი წყალი გაგვყავსო. მე გავეხუმრე: მერმე და ამ ტრიალ მინდორში მეზობელი არ გინდათ-მეთქი? მობრძანდით, ბატონო, აი ამ მინდვრის ორი მესამედი თავისუფალია, დასახლდით, პატრონი აი, უგერ, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი რომ შენდება, იქ კომენდანტად მუშაობსო. მე გავიხედე და შორს თვალი მოვკარი ხარაჩოებს. აქ კი გაშლილი მინდორი იყო, სოფლის ბოლო, უკაცრიელი ადგილი.

კარზე მივადექით კომენდანტს. მხიარული კაცი გამოდგა, მობრძანდით, დასახლდით, ნარგავების ღირებულება გამინალდეთ და საკარმიდამო ნაკვეთი ღმერთმა მოგახმაროთო. მე ისევ გამეცინა, ამ უკაცრიელ ადგილას ვინ დასახლდება-მეთქი! სიმონმა კი დინჯად უპასუხა: იმ კვირას მოვალთ და ყველაფერზე შევთანხმდეთო.

მეორე კვირას, მართლაც, სიმონმა თავისი „მოსკვიჩით“ გამომიარა: წავიდეთ, დაეწყეთ მშენებლობა, უკვე გავიკითხე, ფინურ სახლს მოგვცემენ და დავსახლდეთო...

სიმონის სიტყვები მე ისევ ხუმრობად ჩავთვალე და ამჭერად აღარ წავეყოლივარ. შემდეგ კიდევ ბევრჯერ გამომიარა სიმონმა, მოდი, საქმეს შევუდგეთო, მაგრამ მე ვერ გავბედე მშენებლობაში ჩაბმა.

მალე სიმონმა იქ გამართა ეზო, ხის მაღალ ბოძებზე წამოჭიმა ფინური ოდა და მთელი ოჯახით დასახლდა. ამ პერიოდში საბურთალოს დასახლებაც გაგრძელდა და დელისს მიუახლოვდა, შემდეგ გაქრა დელისის ორღობეებიცა და იმ მიწა-წყალზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები წამოიჭიმა.

სიმონი კი ამ დასახლების ერთ-ერთი პიონერი იყო. მშენივრად მოაწყო ეზო, ვაზის ხეივანი, გააშენა ხეხილი, თევზის აუზი.

ფინური ოდა იმერულ ოდას ჰგავდა, ხის მაღალი ბოძები, მართალია, ქარს ვერ იმაგრებდნენ, მაგრამ მაინც აძლევდნენ სახლს იმე-



რულ იერს. ერთიცა ვნახოთ, შემოდგომის ცივ საღამოს ამოვარდა-  
საშინელი გრივალი და სახლი ჯერ შეატორტმანა, შემდეგ ბოქები-  
დან გადმოავდო. საბედნიეროდ, იმ ღამით შინ არავინ იყო, მაგრამ  
ბევრი საოჯახო ნივთი და ჭურჭელი მიინც დაზიანდა. ჩქარა სიმონმა  
ისევ ააგო აქ იმერული ოდა, ოღონდ ახლა ის ცემენტის ბოქებზე  
შეაყენა და ქვეშ ფართო სარდაფი გაშალა.

დიდხანს ცხოვრობდა აქ სიმონის ოჯახი. მისი ეზო ჩინებულად  
იყო მორთული. გაიყვანეს განიერი ქუჩებიც. გაჩნდა მკიდრო დასახ-  
ლება. ამჟამად სიმონის ნასახლარზე ცათამბრჯენი საცხოვრებელი სახ-  
ლებია აღმართული.

სიმონის იმერული ოდა საბურთალოს დიდი დასახლების ერთ-  
ერთი პირველი ნამდვილი ნიშანსვეტი იყო. ვინც დღეს ამ ადგილებს  
მოინახულებს, ჩემი ნაამბობი ზღაპრად წარმოუდგება.

### „უღარდელი კაცი“

...სიმონის პირშო — გიორგი — სასახლო მოღვაწე გაიზარდა.  
სულ ახალგაზრდამ მიიქცია საზოგადოებრიობის ყურადღება თავის  
უდავო ნიჭით, ლიტერატურული გემოვნებით, ორიგინალური შრომე-  
ბითა და გამოსვლებით. გაჰყვა მამის ნაკვალევს. ჩქარა მეცნიერების  
კანდიდატი გახდა. სიმონი კმაყოფილი იყო ვაჟის წარმატებით. ვხა-  
რობდით მეგობრებიც.

გიორგი დაოჯახდა და ჩინებული ოჯახიც შექმნა. შეირთო ასევე  
ჩემი ახლო მეგობრის, ანტიფო რაფაეას, ქალიშვილი, მიაა, სამავალი-  
თო ქალი, იმედის მომცემი ახალგაზრდა მკვლევარი ქართულ-სომ-  
ხური ლიტერატურული ურთიერთობისა. მალე ისიც მეცნიერების  
კანდიდატი გახდა და დაწინაურდა ხელნაწერთა ინსტიტუტში. სიმონი  
კმაყოფილი იყო რძლის წარმატებით. ვხარობდით მეგობრებნიც.

სიმონს აწუხებდა მხოლოდ ის, რომ მისი პირშო ჯერ კიდევ არ  
იყო გაფორმებული მუდმივ სამუშაოზე. მაგრამ წუხილს არ იმჩნევ-  
და: ყველაფერს თავისი დრო აქვსო, მაგრამ უფრო წუხდა მძახალი.

ერთ დღეს შემხვდა ანტიფო რაფაეა და აღელვებით მითხრა: უღარ-  
დელი კაცია შენი მეგობარი! ჩემი სიძე სამავალითო ყმაწვილია, მაგ-  
რამ ასე სანამ უნდა იყოს, სიმონი სულ არ ფიქრობს მის მუდმივ  
სამუშაოზე მოწყობის საკითხზეო!

გამეღიმა. უღარდელი კაცი დღე-დღეზე ელოდა ვაჟიშვილის გა-  
ფორმებას მუდმივ სამუშაოზე, თუმცა თავს ისე გვაჩვენებდა, თით-  
ქოს ეს მას არ ეხებოდა...

მართლაც, სულ მოკლე ხანში ის მიიწვიეს რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. გახდა დიდი სამეცნიერო კოლექტივის სახელოვანი წევრი. გაიხარეს მძახალმაც, „უდარდელმა კაცმა“.

ანტიფო და სიმონი არა მარტო კეთილი მძახლები, გულითადი მეგობრები იყვნენ და ასეთებად დარჩნენ ბოლომდის.

1984 წ.

- ბარნე ა. (Aarne A.), 138.  
 აბაევი ვ. ი. (Абаев В. И.), 168.  
 აბაშიძე ა., 123.  
 აბაშიძე რ., 195, 229.  
 აბაშიძე ყ., 29.  
 აბზიანიძე თ., 156.  
 აბრამია ჰ., 173.  
 აბრამიშვილი ა., 340.  
 აბულაძე ილი., 37, 174.  
 აბულაძე იუსტ., 170, 174, 180, 299, 336.  
 აგლაძე ი., 172.  
 ავალიან დ., 123.  
 ავალიანი სვ., 299.  
 ავიტაბილე პეტრე, 56.  
 აზადოვსკი მ. კ. (Азадовский М. К.), 168, 192.  
 ალავეძე მიხ., 39, 43, 45, 46, 47, 48, 113.  
 ალიბეგაშვილი არტ., 172.  
 ამირეჯიბი ქ., 293.  
 ანდრეევი ნ. პ. (Андреев Н. П.), 138, 168, 192.  
 ანდრონიკაშვილი მხ., 37, 156.  
 ანტონ I, 17.  
 არაგვისპირელი შ., 25.  
 არგოლოზო იაკობ, 58.  
 არონსონი ჰ. (Aranson H.), 15, 17.  
 არსენიძე რ., 123.  
 არჩილი, 229.  
 ასრათოვი რ., 247.  
 ასფალგი ი. (Assialg Iulius), 330.  
 აუტლევა ს., 198.  
 აფაქიძე ა., 145, 150.  
 აფაქიძე გ., 145.  
 აფანასიევი ა. ნ. (Афанасьев А. Н.), 124.  
 აღმაშენებელი დავით, 294, 295.  
 აღნაშვილი ლ., 193, 225.  
 ახელედიანი გ., 126, 155—169, 174, 191, 198, 199, 315.  
 ახმეტელი აღ., 172, 200.  
 ბაგაური ვ., 154.  
 ბაგაური ლ., 154.  
 ბაგრატიონი ანტ., 14.  
 ბაგრატიონი ეახუშტი, 195, 248, 283, 284, 288, 342.  
 ბაგრატიონი თ., 37, 180.  
 ბაგრატიონი ი., 131.  
 ზაიძე ვ., 153.  
 ბაჟანი მ. (Бажан Н. П.), 200.  
 ბარათაშვილი ნ., 99.  
 ბარამიძე აღ., 174, 181.  
 ბარამიძე რ., 316.  
 ბარნოვი ვ., 180, 200.  
 ბაქრაძე დ., 299.  
 ბაქრაძე ეკა, 135.  
 ბაქრაძე კ., 191.  
 ბეგიაშვილი თ., 316, 348.  
 ბელონსკაია თ., 164.  
 ბელინსკი თ. (Белинский В. Г.), 227.  
 ბენაშვილი ან., 298, 299.  
 ბენაშვილი დ., 154, 155.  
 ბერიძე ვუკ., 29, 46, 47, 48, 125, 126, 127, 129, 130, 146, 170, 172, 174, 336.  
 ბერძენიშვილი ნ., 75, 77, 174, 281, 342.  
 ბიაზროვი ა. იხ. (Бязров А. Х.), 318.  
 ბლანი ლუი, 285.  
 ბლეიკი რ., 132.  
 ბოპი ფ. (Bopp F.), 10, 66, 80.  
 ბროსე მ., 64, 299.  
 ბუაჩიძე ბ., 172.  
 ბუბრიხი დ. (Бубрих Д. В.), 338.  
 ბუდა კ., 316.  
 ბურნაძე გ., 316.  
 ბურჭულაძე რ., 136.  
 ბუსლაევი თ. (Буслаев Ф. И.), 240  
 შაბაშვილი ეკ., 25.  
 გადიევი პ. ი. (Гадиев П. Ю.), 315, 316.  
 გალაკტიონი, 151—155, 169, 172, 195, 200, 207, 224, 229, 317  
 გალანო კლემენტე, 58.  
 გამსახურდია კ., 25, 172, 195, 200, 229.  
 გამყრელიძე თ., 36, 37, 103, 104, 164.  
 გარიოთი ე. (Garitte Gérard), 330.  
 გაფრინდაშვილი შ., 316, 318.  
 გაჩეჩილაძე აშბ., 173.  
 გაჩეჩილაძე გ., 353.  
 გაჩეჩილაძე კ., 316.

- გაჩეჩილაძე ს., 346, 347, 348, 349, 316  
350—353.
- გეგელაშვილი ე., 316.
- გედევანიშვილ ირ., 316.
- გეორგიევი ვ. (Георгиев В.), 66.
- გერცენი ა. ი. (Герцен А. И.), 285.
- გვაზავა დ., 172.
- გვასალია ჯ., 343.
- გვეტაძე რ., 172.
- გიგინეიშვილი ბ., 15, 17, 156.
- გიგინეიშვილი ი., 38, 48.
- გიორგაძე გ., 172, 173.
- გიორგაძე ებ., 316.
- გოგატიშვილი გ., 290.
- გოგებაშვილი ი., 16, 25, 92, 93, 95, 98,  
101, 204, 324, 349.
- გოგობერიძე მ., 166, 169, 191.
- გოგინიაშვილი ფ., 165, 298, 299.
- გოგუაძე ე., 61, 62.
- გოლცევი ვ. (Гольцев В.), 200.
- გონაშვილი დ., 315.
- გორგაძე ს., 29.
- გორდელაძე კ., 200.
- გორისელი გ., 26, 27.
- გორჯი მ. (Горький А. М.), 112, 200.
- გრენი ა., 180.
- გრეჩი ნ. (Греч Н.), 240.
- გრიბოედოვი ა. ს. (Грибоедов А. С.),  
85, 92.
- გრიგოლია ზ., 284.
- გრემი ი. (Grimm I.), 10, 66, 80,
- გრინაშვილი ი., 152, 167, 172, 200, 201,  
203, 350.
- გუდავა ტ., 156.
- გუდიაშვილი ლ., 200.
- გუნია ს., 316.
- გურამიშვილი დ., 99, 229, 317.
- გუხმანი მ. მ. (Гухман М. М.)
- დადიანი შ., 200, 201.
- დადიანი ს., 305.
- დავიდოვი ი. (Давидов И.), 240.
- დავითიანი ალ., 260.
- დალი ვლ. (Даль В. А.), 110.
- დეტერსი გ. (Deeters G.), 13, 15, 17,  
21, 253.
- დერჟავინი ნ. ს. (Державин Н. С.),  
339.
- დესნიცკაია ა. ვ. (Десницкая А. В.),  
80, 164, 168.
- დვალა რ., 146.
- დოგუზოვი პ. ვ. (Догузов П. В.), 316.
- დოდაშვილი ს., 103.
- დოდუ ალფონს, 385.
- დოკაძე ნ., 154.
- დოლოძე ნ., 225, 230.
- დონაძე კ., 219, 316, 348.
- დონდუა ვ., 168.
- დონდუა კ., 168, 181.
- დონანაშვილი ელ., 34.
- დუდუჩავა ალ., 172.
- დუმბაძე ნ., 224.
- დურნოვი ნ. (Дурново Н.), 246.
- ევსეევი ვ. (Евсеев В.), 341.
- ეიხენბაუმი ვ. (Eichenbaum В.), 236.
- ენუქაშვილი ს., 316.
- ენუქიძე თ., 37.
- ენძელიანი ი., 157.
- ერისთავი რ., 25, 195.
- ეული ს., 172.
- მადაკორია პრ., 316, 348.
- ვაჟა-ფშაველა, 16, 124, 195.
- ვართაგავა იპ., 316.
- ვახუშტი, 75, 77, 78.
- ვეკუა ი., 316.
- ვინოგრადოვი ვ. ვ. (Виноградов В.  
В.), 240, 246.
- ვირსალაძე ელ., 47, 48, 139, 142, 192,  
225, 281, 336.
- ვოლგინი ვ. პ. (Волгин В. П.), 339.
- ვოსტოკოვი ა. (Востоков А. X.), 66 80
- ზანდუკელი მიხ., 29, 174, 191.
- ზარიძე გ., 336.
- ზელენინი დ. კ. (Зеленин Д. К.), 124.
- ზოლა ემ., 285.
- ზომლეთელი ნ., 172.
- ზორაბაძელი ზანქან, 344.
- ზურაბიშვილი ილ., 200.
- თამარაშვილი მ., 56, 57, 58, 60.
- თაყაიშვილი ე., 45, 48, 169, 193, 203,  
204, 298, 299, 336.
- თედეევი გ., 154, 317.
- თეიმურაზი, 229.
- თომაძე მ., 216, 218.
- თორღუა ვლ., 173.

- თოფურია აკ., 316, 317, 319.  
 თოფურია ვ., 29, 38, 39, 48, 125, 174  
 191, 244, 253, 266, 281.  
 თოფურიძე ც., 305, 306.  
 ინაქოშვილი მ., 164.  
 იაშვილი პ., 172, 200.  
 იედლიჩკა ი., 328.  
 იესპერსენი ო. (Espersen O.), 54, 55.  
 იმნაიშვილი გრ., 247.  
 იმნაძე აკ., 172, 173.  
 ინასარიძე მ., 145.  
 ინგოროყვა პ., 29, 37, 48, 181.  
 ძალანდაძე ანა, 224.  
 კარიკაშვილი დ., 103.  
 კარტოზია გ., 244.  
 კაცნელსონი ს. დ. (Кацинельсон С.  
 Д.), 168.  
 კაკაბაძე ს., 126, 326.  
 კასრაძე ა., 317.  
 კასტელი ქრ., 56, 58, 61.  
 კეზელი თ., 336.  
 კეკელიძე კ., 133, 159, 165, 174, 181  
 191, 193, 298, 299, 344.  
 კელენჯერიძე ა., 172.  
 კელენჯერიძე მ., 103.  
 კენჭოშვილი აკ., 316.  
 კეტხოველი ნ., 221, 222, 225.  
 კვარაცხელია გ., 170.  
 კვიციქელია პლ., 316, 348.  
 კიზირია ა., 238, 239, 240.  
 კიქნაძე ნ., 173.  
 კლიაშვილი დ., 25.  
 კოტეტიშვილი ვ., 29, 171, 191, 192,  
 200.  
 კრაჩკოვსკი ე. (Крачковский И. Ю.),  
 168, 169.  
 კულიკოვა ა. მ. (Куликова А. М.),  
 82, 83, 87  
 კუპრაძე ვ., 336.  
 კურილოვიჩი ე. (Курилович Е.), 55  
 ლაისტი არტ. 286, 300.  
 ლამბერტი არქ., 58.  
 ლანგი დ., 330.  
 ლაფარგი პ., 285.  
 ლაფონი რ., 330.  
 ლაღიძე შიტრ., 203.  
 ლეონიძე გ., 25, 152, 154, 169, 172,  
 173, 174, 195, 200, 229, 251.  
 ლიპერი ო. (Липпер О.), 124  
 ლოლაშვილი ი., 132, 133, 134.  
 ლომაძე ს., 128.  
 ღომინაძე ე., 124.  
 ლომონოსოვი მ. ვ. (Ломоносов М.  
 В.), 7, 17.  
 ლომოური თ., 75, 77, 342.  
 ლომოური ნ., 25.  
 ლორთქიფანიძე კირ., 16, 286.  
 შაკალათია ს., 124.  
 მაშიაშვილი ნ., 321.  
 მაშალაძე ტ., 124.  
 მაშისაშვილი არჩ., 319.  
 მაშისაშვილი მ., 154.  
 მაშულაშვილი მ., 330.  
 მარი ნ. (Мари Н. Я.), 13, 17, 21, 36,  
 37, 48, 55, 103, 125, 133, 134, 135,  
 136, 157, 160, 166, 169, 170, 180,  
 193, 244, 253, 281, 300, 319, 324,  
 336, 337, 338, 345, 349.  
 მარიჯანი, 349, 350.  
 მარშევი ლოლანდა (Marchev Jolanda),  
 328, 329, 335.  
 მაქეაერიანი გ., 36, 37.  
 მაქეაერიანი ვ., 172.  
 მახათაძე შიხ., 291, 292.  
 მახარაძე ა., 29.  
 მაჯო ფრანჩესკო მარია, 58, 59.  
 მგალობლიშვილი ელ., 172, 173.  
 მეგრელიშვილი გრ., 224.  
 მეგრელიძე ი., 48, 166—170, 316, 318,  
 319, 336, 348, 349.  
 მეგრელიძე კ., 168, 169, 170, 336, 337  
 მეიე ა. (Meiye A.), 65.  
 მეკელანი რ. (Mekkelein R.), 327.  
 მელეტინსკი ე. დ. (Мелетинский Е.  
 Д.), 124.  
 მელიქიშვილ გ. ა. 46.  
 მელიქიშვილი პ., 165, 298, 299, 302, 303,  
 304, 305, 307.  
 მელიქიძე ს., 290.  
 მელიქსეთბეგი ლ., 181.  
 მერკვილაძე გ., 172.  
 მესხი ს., 205, 286.  
 მეტრეველი ალ., 126.  
 მუხნარგია ი., 29.

- მეჭვადიშვილი ნ., 316.  
 მეშხინ-ნოვი ი. ი. (Мещанинов И. И.),  
 7, 13, 17, 107, 108, 169, 170, 246,  
 329.  
 მთაწინელი გიორგი, 39, 133, 213.  
 მთაწინელი ექვთიმე, 214.  
 მთაწინელი იოანე, 213.  
 მილევი ვს. (Миллер Вс.), 117, 124.  
 მიწისძვრა ნ., 200, 201, 202.  
 მესხეთისშვილი ნ., 336.  
 მადრიასე გ., 316, 348.  
 ნათაძე ლ., 312.  
 ნაკაშიძე ნ., 95.  
 ნატროშვილი გ., 142, 320—326.  
 ნებიერაძე გ., 156.  
 ნიკოლაიშვილი ი., 103.  
 ნიკოლაძე გ., 224.  
 ნიკოლაძე ნ., 16, 200—205, 285, 236.  
 ნინოშვილი ე., 25, 195.  
 ნიქარაძე ბ., 281.  
 ნოზაძე ლ. ა., 137.  
 ნოიკონი რუთი, 328, 335.  
 ნოლაძე გ., 170.  
 ნუსინოვი ი., (Нусинов И.), 180.  
 ნუცუბიძე აბ., 172.  
 ნუცუბიძე შ., 181, 191, 298, 299, 336.  
 ობნორსკი ს. (Обнорский С. П.), 338.  
 ოგარიოვი ნ. (Огариев Н. П.), 285.  
 ონიანი ალ., 55.  
 ონიანი არ., 126.  
 ონიანი თ., 124.  
 ონიანი ოთ., 264, 266.  
 ორბელი ი. ა. (Орбели И. А.), 168, 169.  
 ორბელიანი ელ., 300.  
 ორბელიანი ს.-ს., 34, 84, 111, 131, 138,  
 141, 151, 195, 229, 317, 327.  
 ორლოვსკაია ნ. პ. (Орловская Н. П.),  
 60.  
 ორტუტაი ლ., 197.  
 პაპავა ალ., 316.  
 პასტერნაკი ბ. (Пастернак Б. Л.), 200.  
 პატარაია გ., 34.  
 პაული ჰ. (Paul H.), 7, 9, 17, 65.  
 პეტერსონი მ. (Петерсон М.), 156,  
 240, 246.  
 პეტრენკო პ. (Петренко П.), 169.  
 პეტროვიჩი ა., 213.  
 პეშკოვსკი ა. (Пешковский А. М.),  
 240.  
 პილინაიკი ბ. (Пильняк Б. А.), 200.  
 პირველი თ., 284.  
 პლინიუსი, 45.  
 პოტანინი გ. (Потанин Г. Н.), 180.  
 პოტებნია ა. ა. (Потебня А. А.), 6, 7,  
 17, 117, 129, 240.  
 პროპი ვ. ი. (Пропп В. Я.), 124.  
 პუტილოვი ბ. ნ. (Путылов Б. Н.), 124.  
 პუშკინი ა. ს. (Пушкин А. С.), 5, 12.  
 შირმუნსკი ვ. მ. (Жирмунский В.  
 М.), 197.  
 ყორდანია გ., 37, 55.  
 ყორდანია თ., 37, 103.  
 ყორყოლიანი ს., 128.  
 ქლენტი ბ., 200, 350.  
 ქლენტი მ., 61.  
 ქლენტი ს., 47, 48, 156, 157, 164, 168,  
 244, 336.  
 რადიანი შ., 172.  
 რაზიკაშვილი თ., 25, 125, 138, 142, 193.  
 რაზმაძე ან., 165, 299.  
 რამიშვილი ბ., 166.  
 რამიშვილი გ., 156.  
 რასკი რ., 9, 66, 80.  
 რაფაეა ანტ., 353, 354.  
 რაფაეა მიაი, 353.  
 რაპეელიშვილი ქრ., 172, 305, 306.  
 რედარდი გ., 329.  
 რევია ვ., 316, 348.  
 რექტორი გაიოზ, 14, 17.  
 რექტორი დავით, 34.  
 რიში ე., 329.  
 რობაქიძე ალ., 281.  
 როზენი ვ. (Розен В.), 300.  
 რუდენკო ბ. ტ. (Руденко Б. Т.), 15,  
 17.  
 რუსაძე იბ., 137.  
 რუსთაველი შოთა, 134, 174, 195, 317.  
 რუსია გ., 316.  
 საგიდოვა ე. ა. (Сагидова Е. А.), 340.  
 სალუქვაძე გიორგი, 62.  
 სალტიკოვ-შჩედრინი მ. (Салтыков-  
 Щедрин М. Е.), 286.

- სანიკიძე თ., 231, 232, 235.  
 სარაგიშვილი დ., 204, 205.  
 სარაგიშვილი ვ., 204.  
 სარიშვილი ტ., 316, 319.  
 ხარჯენლაძე ზ., 15, 17.  
 ხაჩიკიანი თ., 125, 201, 202, 219.  
 სერდუჩენკო გ. პ. (Сердюченко Г. П.), 168.  
 სენიძე ალ., 169.  
 სიგუა აღ., 199, 200, 201, 202, 204, 205.  
 სისარულაძე გომარ., 61, 288.  
 სისარულაძე ი., 49, 61.  
 სისარულაძე რ., 284.  
 სისარულაძე ქს., 190—198, 228, 281.  
 სკალინგერი ჟივლ ეზარი, 151.  
 სოკოლოვი ი. (Соколов Ю. М.), 168, 192.  
 სომხიშვილი ვ., 137, 317.  
 სტრუვე ვ. ვ. (Струве В. В.), 160, 168, 335.  
 სულაძე ა., 154.  
 სუპერანსკაია ა. ვ. (Суперанская А. В.), 55.  
 სუხოტინი ვ. (Сухотин В.), 240.  
 ტაბიძე გ., 25.  
 ტაბიძე ტ., 172, 200.  
 ტალიაშვილი გ., 336.  
 ტეფნაძე ი., 290.  
 ტიხონოვი ნ. (Тихонов Н.), 200.  
 ტრეტიაკოვი ვ. (Третьяков В.), 95, 91.  
 უზნაძე ი., 159, 166, 191, 298, 299, 313.  
 ულუმბერო მიკელ., 290.  
 უმიკაშვილი პ., 92.  
 უშაკოვი დ. ნ. (Ушаков Д. Н.), 110.  
 ფარასტაევი ა. ფ. (Парастаев А. Ф.), 316.  
 ფილინი ფ. პ. (Филин Ф. П.), 168.  
 ფოგტი პ. (Yogi Н.); 15, 18, 253.  
 ფლური ლეა, 328, 335.  
 ფორტუნატოვი ფ. (Фортунатов Ф. Ф.), 240, 246.  
 ფი.ფხაძე ი., 121, 128.  
 ფრანგიშვილი აღ., 316.  
 ფრიმანი ე., 10.  
 ფუფურიძე ვ., 326.  
 ფურცხვანიძე ა., 316.  
 ფურცელაძე ნ., 140.  
 შავთარაძე ი., 29, 38, 48, 247, 316.  
 ქალანდი მ., 36, 37, 43, 48, 244, 266, 281.  
 ქარელიშვილი ერ., 341.  
 ქარუმიძე შ., 313.  
 ქაჯაია ი., 316, 318.  
 ქიაჩელი ლ., 229.  
 ქიქოძე გ., 172, 200.  
 ქლაუდიო, 56, 57.  
 ქორქია რ., 173.  
 ქუთათელაძე ა., 103.  
 ქუთელია ნ., 156.  
 ქუმარიტოვი აღ., 319.  
 ქერდაძე შ., 137.  
 ქურციკიძე ც., 34.  
 ქუჩიშვილი ვ., 172.  
 ღამბაშიძე ვ., 300.  
 ღამბაშიძე რ., 146, 247.  
 ღლონტი აღ., 18, 37, 47, 48, 49, 84, 85, 125, 138, 319, 346.  
 ყველაშვილი ც., 154.  
 ყაზბეგი აღ., 195.  
 ყაუხჩიშვილი ს., 49, 126, 191, 336, 344.  
 ყიფიანი დ., 103.  
 ყიფშიძე ი. (Книшидзе И.), 48, 55, 124, 126, 165, 244, 298, 299, 300, 304, 316, 336.  
 ყუბანეიშვილ ს., 140.  
 შადური ვ., 336.  
 შალამბრიძე გ., 18, 23, 29.  
 შამელაშვილი რუსუდან, 137.  
 შანიძე აკ., 13, 15, 18, 21, 29, 37, 46, 49, 51, 52, 54, 55, 60, 68, 71, 101—108, 125, 126, 132, 159, 163, 165, 169, 174, 191, 193, 200, 203, 205, 243, 244, 253, 266, 288, 298, 299, 322, 336.  
 შანიძე აღ., 288.  
 შანშიაშვილი ს., 25.  
 შარაშიძე გ., 47, 49.  
 შარაძენიძე თ., 281.  
 შახმატოვი ა. (Шахматов А. А.), 240, 246.  
 შენგელაია დ., 25, 146, 172, 287.  
 შილაკაძე ი., 107.  
 შიშმარიოვი ვ. (Шиншмарев В. Ф.), 163.

- შლახერი ა., 7, 10.  
 შმიდტი კ. კ. (Schmidt K. H.), 330.  
 შუბოთიძე გ., 154.  
 შუბლაძე ზ., 284.  
 შუშანიანი ე., 316.  
 შერბა ლ. ვ. (Шерба Л. В.), 151, 157, 168, 246, 336, 338.  
 ჩარკვიანი კ., 172.  
 ჩემოდანოვი ნ. კ. (Чемоданов Н. К.), 168.  
 ჩერნიშევსკი ნ. (Чернышевский Н. Г.), 285, 286.  
 ჩიკვაძე მ., 350  
 ჩიშაკაძე ნ., 280.  
 ჩირვაძე ს., 128.  
 ჩიქობავა ა., 16, 18, 23, 29, 37, 43, 44, 49, 59, 106, 111, 126, 174, 191, 244, 253, 327, 333.  
 ჩიქოვანი ალ., 172, 173, 284.  
 ჩიქოვანი მიხ., 38—49, 125, 139, 142 168, 177—192, 225, 281, 336.  
 ჩიჭოვანი სიმ., 152, 200.  
 ჩიტარა გ. 43, 49, 126, 281, 336.  
 ჩიჩეროვი ვ. ი. (Чичеров В. И.), 197.  
 ჩუბინაშვილი გ., 126.  
 ჩუბინაშვილი დ. (Чубинов Д.), 14, 18, 33, 34, 37, 63, 81, 90, 103, 111, 131, 327, 336.  
 ჩუბინაშვილი ნ., 3, 14, 18, 23, 33, 34, 37, 63, 64—92, 96, 111, 131, 146, 327.  
 ჩხაიძე მიხ., 168, 336.  
 ჩხატარაიშვილი ქვ., 62.  
 ჩხეიძე დ., 316.  
 ჩხეიძე კ., 312.  
 ჩხენკელი აკ., 304, 307, 308.  
 ჩხენკელი კ., 15, 18, 169, 327—331.  
 ჩხეტია მ., 315.  
 ცაგარეიშვილი ემ., 128.  
 ცაგარელი ალ. (Цагарели А.), 59, 60, 63, 299, 300, 336.  
 ცანავა აბ., 139, 142.  
 ცინცაძე ი., 55.  
 ცინცაძე კ., 303.  
 ცინცაძე ნ., 312, 313.  
 ცინცაძე პ., 350, 351.  
 ცინცაძე შ., 173.  
 ცოტნიაშვილი ვ., 317.  
 ცუცქერიძე რ., 137.  
 ცხოვრებოვა მ., 194, 317, 318.  
 ძიძიგური შ., 16, 17, 22, 23, 29, 38, 39, 41, 44, 49, 130, 157, 158, 164, 163, 247, 336.  
 წერეთელი აკ., 16, 25, 112, 180, 195, 201, 232—237, 283, 286, 317, 336, 347.  
 წერეთელი გ., 180, 195, 205, 286.  
 წერეთელი გ. ვ., 25, 50, 140, 156, 164, 168, 336.  
 წერეთელი გრ., 191, 326.  
 წერეთელი ე., 26.  
 წერეთელი ს., 317.  
 წულაძე ევგ., 173.  
 ქავკავაძე ალ., 85, 92.  
 ქავკავაძე ილია, 3—27, 92, 93, 94, 99, 112, 137, 195, 199, 201, 237, 286, 317, 336.  
 ქანტურიშვილი დ., 85.  
 ქარაია პ., 126.  
 ქელიძე ვ., 210, 214.  
 ქიქინაძე ი., 128.  
 ქიქრიაძე ლ., 173.  
 კოჭუა აკ., 172.  
 კყონია აკ., 171—176.  
 კყონია ილ., 126.  
 ხანთაძე შ., 37.  
 ხარატიშვილი გ., 236.  
 ხარაძე ევგ., 224, 236.  
 ხარაძე რ., 281.  
 ხარებოვი რ. გ. (Харегов Р. Г.), 316.  
 ხახანაშვილი ალ. (Хаканов А. С.), 125, 180, 181, 193.  
 ხეთაგუროვი კ., 154, 317.  
 ხეთაგუროვი ვ. ა., 315.  
 ხვოლესი ა. რ., 316.  
 ხინთიბიძე ანტ., 269.  
 ხოლოდოვიჩი ა. ა. (Холодович А. А.), 17.  
 ხომერიკი ლ., 173.  
 ხორავა აკ., 200.  
 ხორენელი მოსე, 161.  
 ხუბუა მ., 125, 168, 244, 336.  
 ხუდადოვი ნ., 203.  
 ხუნდაძე სილ., 29, 103.



- ჭავჭავაძის ალ., 145.  
 ჭავჭავაძის ივ., 11, 17, 29, 43, 45, 49,  
 125, 126, 159, 165, 169, 174, 180,  
 181, 191, 192, 200, 204, 212, 295—  
 308, 336.  
 ჭავჭავაძის მიხ., 25, 172, 200, 229.  
 ჭანაშვილი მ., 17, 27, 94, 103, 105, 142,  
 180, 181, 247, 251, 298.  
 ჭანაშვილი ს., 43, 49, 174.  
 ჭანგულაშვილი თ., 206, 209.  
 ჭანელიძე იუსტ., 336.  
 ჭანელიძე ნიკოლოზ, 137.  
 ჭარდინა ანტონიო, 55—60, 61.  
 ჭაფარიძე ლ., 336.  
 ჭაფარიძე ო., 145.  
 ჭახველაძე ე., 154.  
 ჭიბლაძე გ., 29.  
 ჭიბუტი ვ., 172.  
 ჭიოყვი ზ. ა. 316.  
 ჭიქია მ., 51, 54.  
 ჭიქია ს., 168, 336.  
 ჭორბენაძე ბ., 253, 260.  
 ჭორბენაძე ს., 298.  
 ჭორჩაძე არჩ., 29.  
 ჭუსოევი გ., 317.  
 ჭარნაყი ა. (Harnack A.), 303.  
 ჭიუგო ე., 285.  
 ჭოლმესი უ. ტ., 330.  
 ჭუმბოლდტი ე. (Humboldt W.), 5, 6,  
 10, 13, 17.

## შინაარსი

წინასიტყვა	3
ზოგადი და ქართული ენათმეცნიერების საკითხები ი. კავკავაძის მხატვრულ-ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში	5
„ენის საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ“	18
ძველი ქართული ლექსიკიდან	33
ლეჩხუმური ტოპონომია და ლექსიკა	37
კინობით-მოფერებითობის ელემენტები ქართველურ ანთროპონიმიაში	49
ანტონიო ჭარდინა — ქართული გრამატიკის შემდგენელი XVII საუკუნეში	55
შედარება და შეპირისპირება ნიკო ჩუბინაშვილის გრამატიკულსა და ლექსიკოლოგიურ ნაშრომებში	63
ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონების გამოცემის გამო	80
ნიკო ჩუბინაშვილი — 200	86
უკვდავ-უბერებელი წიგნი	92
აკაკი შანიძის მწკრივის თეორია ენობრივი უნივერსალიებისა და ტოპოლოგიის შუქზე	101
უმდიდრესი ლექსიკის მქონე ენები	109
მობილ ალაიძის ლინგვისტური ეტიუდის გამო	113
ნოველტური მოტივები ქართველური ხალხური პროზის ეპიკური ციკლების სიუჟეტურებაში	114
ვ. ბერიძის „სიტყვის კონის“ ახალი გამოცემის გამო	125
ისევ ზმნურ ერთეულთა განლაგებისათვის განმარტებით ლექსიკონებში	130
XI საუკუნის უცნობი ძეგლების პუბლიკაციის გამო	132
მოკლე პასუხი დასმულ კითხვებზე	135
ქართული ზღაპრის ერთი მოტივისათვის „ათასერთლამიანში“	137
პირველი არქეოლოგიური ლექსიკონი	144
შეხვედრები გალაკტიონთან	151
ქვეყნად სიკეთის მთესველი	155
ერგასისი წელი ხალხის სამსახურში	166
გახსენება ნათელი სახისა	171
ხალხური ეპოსის გამოჩენილი მკვლევარი	176
მას კარგად იცნობენ შინ და გარეთ	190
პატრიანე ჩვენი დღეებისა	199
ქვეყნისა და ლექსის მსახური	206
შეწყვეტილი თბრობა გრძელდება	210
ღეგენდების სამყაროში	216
მეცხრე მთის გადასახედიდან	218
ქართული ზღაპრები რუსულ ენაზე	225
ქართული ლექსიკის განვითარების გზები	231
ქართველურ ენათა სინტაქსის საკითხები	238
ინგლოურის დარგობრივი ლექსიკა და ტოპონომია	247

მონოგრაფია ქართული ზმნის ფორპობრივი და ფენქციური ანალიზის	
პრინციპების საკითხებზე	252
სვანური ჯადოსნური ზღაპრის საკითხები	263
აღზრდის იდეებისათვის ხალხურ შემოქმედებაში	267
დალისა და ბეთქილის ნაკვალევზე	276
„თავახდილთა“ ნაკვალევზე	283
ფრონების ხეობებში	289
ქართული უნივერსიტეტის გახსნის გამოძახილი 1918 წლის პრესაში	296
15 წელი სამხრეთ ოსეთის პედაგოგურ ინსტიტუტში	314
გიორგი მეცხრამეტე	320
ახალი ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემის გამო	327
ისევ ორ ლომთან	335
პროფ. ე. ევსეევის საპასუხოდ	341
დღიურიდან	346
პირთა საძიებელი	355

**Глonti Александр Андреевич**  
**М Р А В А Л К А Р И**  
**ФИЛОЛОГИЧЕСКИЕ ЭТЮДЫ**  
(на грузинском языке)

რედაქტორი ო. შალამბერიძე  
მხატვარი ბ. ლობჯანიძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ზაკალაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი რ. გოგოშვილი  
უფრ. კორექტორი ლ. გაგნიძე  
კორექტორი ლ. ლიპარტელიანი  
გამომშვები დ. ხუციშვილი

ИБ № 4316 научно-популярное издание

გადაეცა ასაწყობად 20.05.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.01.91.

ქალაქის ზომა 60×90, ქაღალდი № 1. გარნიტურა ვენა.

ნაბეჭდი თაბახი 22,75, საღებავგატარება 22,75. სააღრიცხვო-საგამომცემლო

თაბახი 21,44. ტირაჟი 2.000, შეკვ. № 57.

ფასი 3 ლა. 70 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, გ. ჩუბინიშვილის ქ. № 50.

Издательство «Ганатლება», Тбилиси, ул. Г. Чубинишвили, № 50.

---

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 380028, თ. ჭავჭავაძის პრ. 1.  
Издательство Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.